

წმ. მეფე დავით აღმაშენებლის სახელობის
მართლმადიდებელი მრევლის კავშირი

სომხეთი —
მტერი თუ მოყვარე?

ანუ

რატომ იჩემებენ სომხები
650 ეკლესიას



თბილისი
2006

წიგნში ვანხილულია ქართულ-სომხური ურთიერთობის ძირითადი საკითხები: სომებთა საქართველოში გადმოსახლების (თავი III), ქართველ გრიგორიანთა – ქართველთა გასომხების (თავი IV), მართლმადიდებლური ტაძრების მიტაცების (თავი II), სომებთა სარწმუნოების (თავი VI), ასევე, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დასახელებულ თავებს პროლოგის მაგირ (თავი I) წარუემდვარეთ 2005 წლის ნოემბერში თბილისში ჩატარებული საერთაშორისო სიმპოზიუმის მასალები. ამ სიმპოზიუმზე წარმოდგენილი ბ-ნ ლ. ისახანანის მოხსენება, ფაქტობრივად, იყო სომხეთის ეკლესიის განცხადება-მოთხოვნა, რომ საქართველოს კალესიამ უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება და თავის ტერიტორიაზე არსებული 600-ზე მეტი „სომხური“ ეკლესია-ნაგებობა „დაუბრუნოს“ სომხეთის ეკლესიას.

მრავალი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მავიჩნიერ, გამოგვეხმნებინა ჩვენს წიგნში აშკარა პროვოკაციული ხასიათისა და პოლიტიკური დატვირთვის მქონე რუკა-ცნობარი (თავი VII), რომელიც დაბეჭდა ციურიხში და 1995 წელს გამოიცა ერვანში, და რომლის მიხედვითაც, სომებთა მტკიცებით, საქართველოს ტერიტორიაზე 650-ზე მეტი სომხური საეკლესიო ნაგებობა განთავსებულია.

წიგნში მნიღებულია სომებთა ანტიქართული ზრახვები. დასაბუთებულია სომებთა განცხადებისას და ქროველთა მიმრთ პეტებზების უსაფეროობა, არამეცნიერულობა და პოლიტიკური მიზანშეწონლობა. ქართველმა ხალხმა უნდა გაისიგრძევანოს საფრთხის რეალობა და, ერთი მხრივ, არ დაუშვას საქართველოს დაქუცმაცების შემდგომი ეტაპი, ხოლო, მეორე მხრივ, უნდა იღვაწოს ორი ხალხის მეობრული დამოკიდებულებისა და ორი ქვეყნის კეთილმებრული თანაარსებობის დამკვიდრებისათვის.

წიგნზე მუშაობდნენ: ა. უნგიაძე
მ. ბერიძე

მასალა გამოსაცემად მოამზადა: ა. უნგიაძე

გაფორმება: ა. უნგიაძისა

ტექნიკური დახმარება: ზ. ნონიაშვილისა

რედაქტორები: ნინო ბელთაძე და გულია ჩხაიძე

ISBN 99940-53-06-X

როგორ წავიკითხოთ წიგნი

წიგნი შედგება რამდენიმე თავისაგან, რომლებიც ერთმანეთთან შინაარსობრივად მჭიდროდ არის დაკავშირებული, მაგრამ დამოუკიდებლადაც მეიძლება იქნეს წაკითხული. როგორც მოგახსენეთ, ჩვენ შევეცადეთ, რომ წიგნში ჩვენებული ტექსტები ნაკლებად ყოფილიყო. ამიტომ წიგნი სხვადასხვა ავტორთა წერილებიდან ამოღებულ ციტატებზე ავაგეთ. პირველწყარო მითიერებულია ციტირებული ტექსტის ბოლოს (იშვიათად თავში), კუთხოვან ფრჩხილებში – [...] – ჩასმული რიცხვით, ხოლო შესაბამის პირველწყაროთა ჩამონათვალი წიგნს ბოლოში დავუროთ. ციტატები კუთხოვან – « ... » – ბრჭყალებში ჩავსვით. ხშირად ციტატები თავად შეიცავს ციტატებს. ეს უკანასკნელი ჩვეულებრივ – „ ... “ – ბრჭყალებშია ჩასმული. ციტირებული ტექსტიდან ვიზუალურად გამორჩევის მიზნით, ჩვენებული ტექსტი დახრილი შრიფტითა აკრეზიდილი.

ჩვენ მადლობას მოვახსენებთ ყველას, რომელთა ნაშრომებმა ასახვა პოვა წიგნში, განსაკუთრებით მათ, ვინც წიგნისთვის მასალები მოვაწოდეს ან რჩევები მოვცეს: ბატონებს – ბონდო არველაძეს, ალექსანდრე აბდალაძეს, დავით კანანელს, გურამ მარხულიას, დავით ჭელიძეს, ბექან ხორავას, ლევან ჩაჩუას; ქალბატონებს – მარიამ ყიფიანს, მარიამ ნიაურსა და თევ პაიჭაძეს. მადლობას კუნძით: მარიამ ბურჯანაძეს კორექტურისათვის; ნატალია ბენდელიანს, ბელა ნაკანს, ნინო ჭეიშვილს, თეკლა ბასიაშვილს, ნინო მჭედლიშვილს, გაუტერინე გუგუშვილს, თამარ ხარშილაძეს, მარიამ გიორგაძეს, ლევი და ირაკლი ბერეჟიანებს – ტექნიკური დახმარებისათვის.

ეს წიგნი შემოწირულობებით იბეჭდება და, როგორც აღნიშნეთ, არ ისახავს მიზნად სახელის მოხვევასა და კომერციულ მოგებას. თანხის შემოწირველები, როგორც ნამდვილი ქრისტიანები, არ ითხოვენ მათი სახელების საგანგებოდ აღნიშვნასა და პატივს. ღმერთმა შეუწიროთ გაღებული თანხები და, ჩვენის მხრივ, მადლობას

მოვახსენებთ მათ.

დასასრულ, დიდ მადლობას ვუხდით ჩვენს სულიერ მამებს, მმებსა და დებს თანადგომისა და შეწევნისათვის. მადლობა ღმერთს და მადლობა თქვენ!

ა. უნგიაძე

წინასიტყვაობა

სომხეთი – მტერი თუ მოყვარუ? ეს კითხვა საუკუნეებს გასდევს. იგი აქტუალურია დღესაც.

სომხეთი მიერ 22 საუკუნის წინ დაწყებული ტაცება ქართულისა – მიწისა, კულტურისა, დიდებისა, სახელისა, სახელებისა და ა.შ. – დღესაც გრძელდება. ამ ტაცებამ განსაკუთრებული მასშტაბით, რუსეთის საქართველოს მიმართ კოლონიზაციორულ-რუსიფიკაციორული პოლიტიკის წყალობით, XIX საუკუნეში შეიძინა. XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისში სომხებში კვლავ აღორძინდა იდეა „დიდი სომხეთის აღდგენისა“ – რუსეთის დახმარებით და მეზობელი სახელმწიფოების, ძირითადად, საქართველოს ხარჯზე. ამ იდეის ხორციშესხმას XX ს. დასაწყისში სომხეთის დაშნაკური ხელისუფლება ცდილობდა, რომლის პოლიტიკა ხშირად ავანტიურისტული იყო. დაშნაკთა ავანტიურამ შეიწირა მრავალი ათასი სომების სიცოცხლე თურქეთში. დაშნაკთა ავანტიურა იყო სომხეთის ომი საქართველოს წინააღმდეგ, რასაც მოვიანებით, ბოლშევიკური რუსეთის წყალობით, საქართველოდან ლორეტაშირის ჩამოშორება და სომხეთთან მიერთება მოჰყვა.

დღეს ხდება დაშნაკური იდეების კვლავ გაცოცხლება, რომლის მიზანია საქართველოდან ჯავახეთის მოწყვეტა. ამ მიზნით სომები მოღვაწეების მიერ საქართველოს ისტორიის ტოტალური გაყალბება კვლავ მიმდინარეობს. ჯავახეთსა და სომხეთში ამუშავებულია პროპაგანდისტული მანქანა. შედეგად მოსახლეობა აგიტირებულია, მასა – აუდიტირებული. სულ უფრო ხშირად გაისმის საქართველოსთვის მეტად სახიფათო განცხადებები ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნის შესახებ.

„**სომხური საქმე**“

«მსოფლიო ისტორიაში ანალოგი არ მოეპოვება მეზობელი ქვეყნის მიმართ ისეთ უპატივცემულობას, მისი მთელი ისტორიული წარსულის გაყალბებას, როგორც ამას აკეთებენ სომები ვაიმეცნიერები» [23].

„**სომხური საქმე**“ „დიდი სომხეთის“ „აღდგენის“ იდეასა და მცდელობას უკავშირდება. „დიდი სომხეთის“ შექმნის გეგმა ყოველ დროში უმთავრესად ქართული მიწების მიზაცებასა და ქართული

მოსახლეობის გასომხებას გულისხმობდა. მართლმადიდებლური ტაძრების მიტაცება ქართველთა გასომხების უმნიშვნელოვანები ეტაპი იყო, ვინაიდან, ისტორიულად, მართლმადიდებლობა ქართველობის განმაზღვრელ ნიშანთვისებად ჩამოყალიბდა. მართლმადიდებლობას შეენიჭა ქართული სულიერება, ზნეობა, ცნობიერება, კულტურა, ყოფა, ტრადიცია და ადათ-წესები. სომხების მიერ ტაძარწართმეული ქართული მოსახლეობა, – დაუმოძღვრავი, გაუთვითცნობიერებელი და უმწყემსოდ შთენილი, – იღებდა სომხურ რჯულს, რის შემდეგაც იწყებოდა მათი გასომხებისა და ასიმილაციის პროცესი. ამ გზით იქნა გასომხებული ათასობით ქართველი.

ამ გზაზე განსაკუთრებულ წარმატებას სომხებმა XIX სს. II ნახევარსა და XX სს. დასაწყისში მიაღწიეს. საბჭოთა პერიოდში გასომხების პროცესი შეჩერდა, რადგან ბოლშევკიებმა და მათმა მემკვიდრე კომუნისტებმა დღის წესრიგში დაყენეს მხოლოდ ერთი კლასის, მსოფლიო პროლეტარიატის, მოგვიანებით კი ერთი ერთს, – საბჭოთა ერთს – ფორმირება, რამაც რუსეთის შემაღებლობაში შემავალი მცირე ერგების ვიწრო ეროვნული მისწრაფებები შეაფერხა. თუმცა სომებთა საქართველოში დასახლების პროცესი, კანონდარღვევებითა და ფარულად, საბჭოთა პერიოდშიც გრძელდებოდა.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხებში კვლავ გაიღვია „დიდი სომხეთის“, „აღდგენის“ იდეამ, – რა თქმა უნდა, ისევ რუსეთის დახმარებით. მაგრამ პერსპექტივები ისეთი მასშტაბური ველაპ არის, როგორიც XIX ს-ში იყო, როდესაც გასომხების პროცესი შიდასახლმწიფოებრივ (რუსეთის იმპერიის ფარგლებში) ხასიათს ატარებდა. პოსტსაბჭოთა პერიოდში კი მან სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობებისა და კონფლიქტების ხასიათი მიიღო. შედევად დაინთო ომის ცეცხლი მთიან ყარაბახში, ასევე – აფხაზეთსა და სამაჩაბლოში. ეს უკანასკნელი პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც უკავშირდებიან „სომხურ საქმეს“.

აშკარაა, რომ ჯავახეთში სომხური სეპატარატიზმის გაღვივებას სომხეთიდან უწყობენ ხელს. მაგალითად, გაზეთი „მეცამორი“, რომელიც სომხეთში იბეჭდება და ანტიქართულ და ცრუისტორიულ ცნობებს მრავლად შეიცავს, ახალქალაქის მოსახლეობას თვეში ერთხელ უფასოდ ურიგდება. მაგალითისათვის მოგვყავს ამონარიდი აკადემიკოს სურენ აივაზიანის მიერ „მეცამორში“ გამოქვეყნებული მასალიდან (იხ. [22], გვ.61):

«...ეს გაზეთები არ გეგონოთ საქართველოში იბეჭდება – სომხეთში გამოდის და ხშირად ჩამოაქვთ ახალქალაქში, სადაც უფასოდ არიგებენ. ისეთი რამეები წერია, ნორმალური კაცი თავიდან ბოლომდე ვერ წაიკითხავს... – თავიდან ბოლომდე ლაფში ვართ ამოსვრილნი. გამკითხავი კი არავინ არის... მალულად რატომ უნდა დაარიგონ, ვინმესი ეშინიათ თუ რა?! თვეში ერთხელ, დღისით, მზისით, რამდენიმე ათას ცალს ურიგებენ მოსახლეობას. ვინმე რომ აუკრძალოს, ერთი ამბავი ატყდება.

გაზეთში სეპარატისტული აზრების კორიანტელი დგას, აქ საქართველოს ისტორია და ქართველების წარმომავლობა „ახლებურად“ არის წარმოდგენილი. გაგაცნობთ რამდენიმე ასეთ ნაბოდვარს:

„... საიდან აღმოჩნდნენ ქართველები საქართველოში? 524 წელს ჩვენს ერამდე სომხეთის მეფეთ მეფემ ტიგრან I-მა დაიპყრო ესპანეთი (იბერია). იბერები ჩამოასახლა სომხეთის პროვინცია ვირქვრასტანში და გურის (გურია) მხარეში. მმართველად კი მათ დაუყენა სომები ნახარარი (დიდი თაგადი) დადიანი (!)“. ...როგორც ხედავთ, ქართველთა წარმომავლობის პრობლემა ხელის ერთი მოსმით არის გადაწყვეტილი.

ახლა ვნახოთ, საიდან „განჩიდა“ სიტყვა „ქართველი“.

„ისტორიკოსების ცნობით, „ქართის“ ფუძე უკავშირდება „ქურთს“. რაც შეეხება სომხეთის ამ ჩრდილოეთის პროვინციის რუსულ სახელწოდებას – „გრუზია“, ის უკავშირდება სიტყვას „გრუზჩიქს“, მუშას. სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდათ ქართველებს, ვიდრე რუსებს შეავიწროებდნენ და გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდნენ“ [22].

„...რუსები დღევანდელი საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები უძველესი ხალხია (!). აქ ისინი ძველი წელთაღრიცხვის ხვის III-I ათასწლეულებში ცხოვრობდნენ. მოგვიანებით აქ მოსულმა ქართველებმა მათი მემკვიდრეობა მიითვისეს და ამ მიწების ძირძღვილი ტომების – რუსებისა და სომხების შევიწროება დაიწყეს... მცდარია მოსახლება, თითქოს ქართველებმა შექმნეს თავიანთი სამეფო, ე. ი. სახელმწიფო 1001 წელს... პირველად ქართული სახელმწიფო წარმოიშვა 1918 წლის 25 მაისს... სომხეთის ისტორიის თანახმად, სომხეთი, როგორც სახელმწიფო, დაარსდა 2107 წელს ჩვენს წელთაღრიცხვის ხვამდე» [23].

«მსგავსი „ისტორიული დასკვნები“ „ისტორიული ფაქტებითვე“ არის

განმტკიცებული: „როცა 1801 წელს იმპერატორმა პავლე I-მა საქართველოს სამეფო გააუქმა, სამეფო კარი მაშინ მთლიანად სომხური წარმომავლობის იყო. უკანასკნელი მეფე – გიორგი XII მამით (ერეკლე II) და დედით წმინდა სომეხი იყო. სამეფო კარი სომხურ ენაზე ლაპარაკობდა. ამ ენაზე გამოსცემდნენ ბრძანებებსაც. ეს არც არის გასაკვირი, რაღან ყველა ქართველი თავადი სომხური წარმომავლობისაა: ბარათიან-ბარათაშვილი, ჭავჭავაძე-ჭავჭავაძე, ადამიან-ჯავახიშვილი, სააკიან-სააკაძე. ერთადერთი ქართული წარმომავლობის გვარი არის გამრეკელი. სხვათაშორის, ქართველებისგან მითვისებული პეტრე ბაგრატიონი, ბორიძინოს გმირი, სინამდვილეში პეტროს ოვანესის ძე ბაგრატუნია, სომეხი ხორცით, სისხლით და სულით ...“.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს თავადური გვარები „სომხური წარმომობისაა“, წერილის ავტორი „გულისტკივილით“ აღნიშნავს, რომ ზოგიერთმა ვაისომებმა ეს დაივიწყა და საკუთარი თანამემამულების წინააღმდეგ გაიღაშქრა: „ერთ-ერთი ასეთი ვაისომეხი იღია ჭავჭავაძინა. აი, რას წერდა ეს მოღალატე სომხებზე: „გვიჭირდა თუ გვილხინდა, თქვენთვის არაფერი გვიგრძნობინებია, ისე მიგიღეთ და გიმასპინძლეთ. თქვენ კი ჩვენს სახლში მტრებად იქცეთ“. რა საფუძველი ჰქონდა, ამას რომ ამბობდა? იმ დროს თბილისის მცხოვრებლების 90%-ს სომხები შეადგენდნენ, შემდეგ მოდიოდნენ რუსები, ოსები, აფხაზები და ქურთები. ქართველები კი მხოლოდ 1,5% იყო. იღია ჭავჭავაძინი კი 90% სომეხს 1% ქართველის სტუმრად თვლის ...

დედით და მამით სომებმა ჯულაშვილმა – სტალინმა 1921 წელს თბილისში, ბოლშევიკების კრებაზე განაცხადა: „რა საქართველოს დედაქალაქია თბილისი, როცა აյ სომხები უფრო მეტნი ცხოვრობენ, ვიდრე ქართველები? ეს მდგომარეობა უნდა შეიცვალოს და თბილისში ქართველები ჩავასახლოთ. საქართველოს უნდა გადაეცეს აფხაზეთი, აჭარა, ჯავახეთი და ოსეთი“...

აი, ასეთ ნაბოდვარს დასასრული არ უჩანს გაზეთ „მეცამორში“. ზემოთ ხსენებულ წერილში იმასაც წაიკითხავთ, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სომხურიდან ქართულად გადათარგმნა სომებმა კნიაზმა „აშოტ იზ რუსტავი“. ქართველებმა კი მერე სომხური დედანი დაწვეს და

„ვეფხისტყაოსანი“ მიითვისეს. XII საუკუნის ეს „ლიტერატურული დივერსია“, თურმე, გაგრძელებულა. მაგალითად, მსოფლიოში ცნობილი „სულიკო“ დავიდ აბრამიანს დაუწერია, მერე ტექსტი ქართულად გადმოუთარებინა სომეხი თავადის – როსტომ ბაგრატუნის შვილს, აკაკი ბაგრატუნს, რომელიც აკაკი წერეთლის ფსევდონიმით წერდა (!). მას ისე მოსწონებია „სულიკო“, რომ რუსულადაც უთარგმნია, ქართველებმა კი იგი მიითვისეს. მეტიც, როცა აკაკი ბაგრატუნი „სულიკოს“ თარგმნიდა, ამ დროს სომეხი მხატვარი ნიკოლაი ფიროსმანიანი შედევრებს ქმნიდა, რათა შეძლევ გაუყიდა და სომხური ხელგაშლილობით საყვარელი ქალისათვის მილიონი ვარდი ეჩუქბინა...

ისევ ციტატა: „ჯავახეთი იძარცვებოდა და იძარცვება ყველაზე უსინდისოლ. ეს არის მხარე, სადაც არ ცხოვრობს არც ერთი ქართველი, მაგრამ აქ გამეფებულია ქართველების დესოტიზმი. რომ არ ყოფილიყო რუსეთის ახალქალაქის ბაზა, აქედან 15 ათასი სომხური ოჯახი გაიქცეოდა. ამაზე ყოველი სომეხი უნდა დაფიქრდეს, ამაზე ნამდვილად ღირს დაფიქრება...“. ამ „ღრმააზროვან“ ოპუსს ხელს აწერს აკადემიკოსი სურენ აივაზიანი, რომელიც, ამავე დროს, გაზეთის მთავარი რედაქტორი აღმოჩნდა.

სეპარატისტული გაზეთი მხოლოდ ამ სტატიის პუბლიკაციას არ დასჯერებია. მის ფურცლებზე უხვად არის გაბნეული გეოგრაფიული რეკენტიც, სადაც დიდი სომხეთი ნიკოფილიდან დარუბანდამდე, შავი ზღვიდან კასპიამდე არის გადაჭიმული და ამ რუკაზე საქართველო, უბრალოდ, არ არსებობს!“ [22].

ს. აივაზიანისა და მმათა გონს მოკლებული ნაბოდვარი მეცნიერულად გაცამტვერებული აქვს ბ-ნ ა. ოოთაძეს ზემოთ დასხელებულ წიგნში ([23]). საქართველოსა და ქართველების მიმართ დაგვარმლიანი ტონი და ბრალდებების ნიაღვარი სულ უფრო და უფრო მატულობს. სურენ აივაზიანისა და მმათა მათთა ნაბოდვარს ღრმა ფესვები აქვს და უძველესი დროიდან მომდინარეობს... სურენ აივაზიანის ბრიყვული და ცილისმეტამებლური განუკითხაობის უპასუხოდ დატოვება დანაშაულის ტოლფასია. მრავალ ათასწლეულს გამოვლილ ქართველებსა და სომხებს მსგავს საკითხებზე საუბარი არ უნდა სჭირდებოდეთ. იგი უცხო ძალის მიერ შეძლოვდებული და ინსპირირებული თემაა და ხალხი ამ ანკესზე არ უნდა წამოეგოს. ისე კი, ასეთი სისულელები, რომლებიც გზადაგზა ჩნდება ხოლმე, კაცმა რომ თქვას, ზარის შემოკვრის საფუძველი უნდა გახდეს!“ [22]. ასეთი განვაშის ზარი XIX ს. ბოლოს დაარისხეს

დიდმა ილიაშ და სხვა მამულიშვილებმა. XX ს. ბოლოსა და XXI ს-ის განვლილ წლებში სომებთა გამოხდომები, მართალია, უპასუხოდ არ დარჩენილა, მაგრამ, ვფიქრობთ, განვაშის ზარმა ფართო ფენები უნდა მოიცვას, ერთ შეძრას და გაერთიანოს საშობლოს დასაცავად. «შები ხალათში არ დაიძალება, ერთა შორის პრობლემებს სირაქლემას მეთოდით ვერ გადაჭრი. ეს თვალნათლივ გვიჩვენა აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის მაგალითებმა, სამხრეთ საქართველოში აბობოქებულმა ანტიქართულმა ქარიშხალმა, ზოგიერთ სომებს მეცნიერთა მიერ, ეწ. „დიდი სომხეთის“ ცრუმეცნიერული იდეის რეანიმაციამ, ინტელიგენციის ერთი ნაწილის, ერთი შეხედვით, ლიბერალურმა, მაგრამ, არსებითად, ანტიეროვნულმა, ერთა შორის ურთიერთობათა გამწვავების ორიენტაციამ» [15].

კეთილმეზობლას ალტერნატივა არა აქვს!

სომებ „მოღვაწეთა“ აბსურდამდე მისული ბოდვა რომ არც ისე უწყინარია და მაფიოზ გამიზული სამომავლო ხასიათი აქვს, ეს თვალნათლივ ჩანს იქიდან, რომ საქართველოს ძირძველ რეგიონში – ჯავახეთში – სეპარატისტული განწყობილება სულ უფრო ძლიერდება. სომებთა მხრიდან საქართველოსადმი დამოკიდებულების ტენდენცია შეძალებულია: «დ. ლენგის ნაშრომში „ქართველები“, რომელიც 1966 წელს გამოიცა ინგლისურ ენაზე, საქართველოს ისტორიული პროვინცია სამცხე-ჯავახეთი გამოცხადებულია ტრადიციულად საქართველოს ტერიტორიად. ხოლო 20 წლის შემდეგ გამოცემულ მისავე ნაშრომში „სომხები“ კი – როგორც ტრადიციულად სომხეთის ეთნიკური ტერიტორია. რატომ გააკეთა ყოველივე ეს ისეთი რანგის მეცნიერმა, როგორიც ლენგია?» [23].

ამგვარად, სეპარატიზმის ტენდენცია ნათლად ჩანს. სრული სურათისათვის «...აქვე გვინდა ერთი მეტად საგულისხმო ფაქტიც მოვიყვანოთ: ახალქალაქში დაბანაკებული რუსული სამხედრო ნაწილის შესახვლელთან უზარმაზარი პლაკატია გამოკრული (15 მეტრის სიგრძისა და 3 მეტრი სიმაღლის), რომელიც იწყება მოწოდებით: „დაუუფლე ამ მიწას უშიშრად... რუსეთის არმია შენ დაგიცავს“. აქვეა ამ სიტყვების ავტორის, მეფის რუსეთის გენერალ პასკევიჩის პორტრეტიც. ცხადია, ეს მოწოდება გაახსნდათ იმ ძალებს, რომლებიც აქეზებენ და ზურგს უმაგრებენ ჯავახეთში მოსახლე სომხებს და ცდილობენ ქართველებისა და სომხების დაპირისპირებას» [23].

ქართველმა ხალხმა უნდა გაისივრდებანოს საფრთხის რეალობა და, ერთი მხრივ, არ უნდა დაუშვას საქართველოს დაქუცმაცების შემდგომი ეტაპი, ხოლო მეორე მხრივ, უნდა იღვაწოს ორი ხალხის მეგობრული დამოკიდებულებისა და ორი ქვეყნის კეთილმეზობლური თანაარსებობის დამკვიდრებისათვის.

სწორედ ამ მიზნით გავტედეთ და შევადგინეთ წინამდებარე წიგნი. იგი არ წარმოადგენს ახალ ფურცელს მეცნიერებაში, არა აქვს ორიგინალურობისა და ყოვლის მომცველობის პრეტენზია. ჩვენ არ ვისახავთ მიზნად, რომ ამ წიგნით რაიმე შევმატოთ ჩვენს სახელს, არც სხვა წარმატების, მეტადრე – კომერციულის მიღწევას ვესწრაფვით. ჩვენი მიზანი იყო, შეძლებისძაგვარად შევხებოდით სომხურ-ქართული ურთიერთობის მრავალ მხარეს, ერთ წიგნში მოგვყრას თავი ურთიერთობის ამ მხარეთა შესახებ მასალისათვის და მოგვეწოდებინა იგი მკითხველისათვის. ჩვენი მიზანი იყო, რაც შეიძლება მეტი სისრულით წარმოგვეჩინა ქართულ-სომხურ ურთიერთობებში ის პრობლემები, რომლებიც სულ უფრო საშიშ ხასიათს იძენს ჩვენი ქვეყნისათვის, მისი ტერიტორიული და სულიერი მთლიანობისა და ერთობისათვის. ჩვენ გვინდა კიდევ ერთხელ დავარისხოთ განვაშის ზარი, და, თუ ცოტათი მაინც შევძლით ეს, სხვა საზღაური არ გვინდა.

ჩვენ შევეცადეთ, რომ წიგნში, რაც შეიძლება, ნაკლები ყოფილიყო ჩვენებული ტექსტები და მეტი ადგილი სხვადასხვა მეცნიერთა, მწერალთა და მოღვაწეთა ნააზრევისათვის, მათი ნაშრომებიდან მოხმობილი ციტატებისთვის დაგვეთმო. ამ თვალსაზრისით წიგნის თანაავტორობა მაუთვის ყველას, ვისი ციტატებიც მასში შევიდა. ჩვენ, ფაქტობრივად, ამ ციტატებზე ავაგეთ მოელი წიგნი.

წიგნში განხილულია ქართულ-სომხური ურთიერთობის მირითადი საკითხები: სომებთა საქართველოში გადმოსხლების (თავი III), ქართველ გრიგორიანთა – ქართველთა გასომხების (თავი IV), მართლმადიდებლური ტაძრების მიტაცების (თავი II) და, ასევე, სხვა მნიშვნელოვანი საკითხები. დასახელებულ თავებს პროლოგის მაგიერ წინ წავუმდგვარეთ 2005 წლის ნოემბერში თბილისში ჩატარებული საერთაშორისო სიმბოზიუმის მასალები. სწორედ ამ სიმპოზიუმზე სომხების მიერ გაკეთებულმა უპასუხისმგებლო განცხადებებმა იმის თაობაზე, რომ საქართველოში V საუკუნეში არსებობდა სომხური ეპარქია, რომ საქართველოში 650-ზე მეტი სომხური ეკლესია-ნაგებობაა და რომ სომხეთის ეკლესია მოითხოვს მათ დაბრუნებას, მოგვა ბიძგი წინამდებარე წიგნის გამოცემისა.

ჩვენ, ასევე, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, წიგნში შეგვეტანა მასალა (თავი VI), რომელიც სარწმუნოებრივ, ეკლესიოლოგიურ საკითხებს, კერძოდ, მონოფიზიტობასა და სომხურ სარწმუნოებას შეეხება. მყლევარები ხშირად ანგარიშს არ უწევენ იმას, რომ სარწმუნოებრივი დაპირისპირება ზოგადი დაპირისპირების ერთ-ერთ ძირითად მიზეზს წარმოადგენს. ეს დაპირისპირება, შესაძლოა, ბოლო ეპოქებში ზედაპირზე არ დგვს, ხმამაღლა არ განიხილება და ფრაზელლოგაში არ ფიგურირებს, მაგრამ მის გარეშე მრავალი მოვლენა და საკითხი დარჩება არასრულფასონად გაგებული და წარმოდგენილი. სამწუხაროდ, ზოგიერთი ავტორი ვერ წვდება ამ მხარის მნიშვნელობას, რაც მათი მიღომის ცალმხრივობას, ხშირად – მცდარობას განაპირობებს. რიგი ავტორებისა კი დაპირისპირებასა და მის თანამდევ მოვლენებს მხოლოდ პოლიტიკურ ჭრილში განიხილავს და აფასებს.

ჩვენ, ასევე, მრავალი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გამოგვექვეწებინა ჩვენს წიგნში აშკარა პროვოკაციული ხასიათისა და პოლიტიკური დატვირთვის ქქონე რუკა-ცნობარი (თავი VII), რომელიც დაიბეჭდა ციურიხში და 1995 წელს გამოიცა ერევანში, და, რომლის მიხედვითაც, სომებთა მტკიცებით, საქართველოს ტერიტორიაზე 650-ზე მეტი სომხური საეკლესიო ნაგებობაა განთავსებული.

წიგნში მხილებულია სომებთა ანტიქართული ზრახვები. დასაბუთებულია სომებთა განცხადებებისა და ქართველთა მიმართ პრეტეზიების უსაფუძვლობა, არამცნიერულობა და პოლიტიკური მიზანშეუწონლობა. მხილება უყრდნობა არა მხოლოდ ქართველ მუცნიერთა და მოღვაწეთა არგუმენტებს, არამედ სომებს, რუს და უკროელ მუცნიერთა ნაშრომებსაც.

სრული კატეგორიულობით გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ არა გვსურს სომხებთან მტრობა. პირიქით – კეთილგანწყობილ ურთიერთობას აღტერნატივა არა აქვს! ჩვენ ვიზიარებთ და მივდევთ იღიას, აკაკის, იაკობ გოგებაშვილის პრინციპებსა და პათოსს – პირუთვნელსა და მიუკრძოებელს, მაცურსა და მამწილებელს, მაგრამ კეთილურთიერთობის მოსურნეს. «თუნდაც საქმე უბრალო კაცისა იყოს, შთაგონება და წაქეზება ამისთანაებში, აშკარაა, გაბრძნობილის მეცნიერისაგან არის. ამიტომაც საბუთი გვაქვს, ეს უკადრისი საქციელი და ყველა სხვა ამისთანა, სომებთ-მწიგნობართა მანქანებას მივაწეროთ და არა მთელს ერს სომხისას» [3].

«სომხებზე დასაბამიდან ჩამოყალიბდა ცუდი აზრი – და ეს გახლავთ

შეუძლია აზრი, საკმაოდ საფუძვლიანი, რადგან აბსოლუტურად ერთნაირად ჩამოყალიბდა ყველა ერის შემეცნებაში, თანაც ისტორიულად სხვადასხვა დროს... ჯერ წრთი, აუცილებელია ერთმანეთისაგან გაემიჯნოთ სომები ხალხის ძირითადი მასა და ამ ერის მტაცებელი პლუტოკრატია, პოლიტიკანიზმით გამსჭვალული სამღვდელოება და ფსევდოინტელიგენცია. ე.ი. ის მმართველი სომხური საზოგადოებრივი ფეხები, რომლებიც ჩაგრავენ არა მხოლოდ სხვა ტომის მეზობელებს, არამედ საკუთარ უბრალო თანამემამულებსაც. ამ თავკაცებთან და მათ მიერ დაქირავებულებთან შეხებისას არ შეიძლება, რომ ნებისმიერ წესიერ ადამიანს არ აღეძრას სიძულვილის გრძნობა სომხების მიმართ. ამ საიდუმლოებით აღსავსე ერის ისტორიის გაცნობისას კი, არ შეიძლება, მის მიმართ არ განიძსჭვალო ერთგვარი თანაგრძნობით, რადგან მას უამრავი კარგი თვისება გააჩნია. მაგრამ, რამდენადც დიდი იქნება ეს თანაგრძნობა, მით უფრო გაიზრდება ზიზღი და სიძულვილი მათი ჯილაგიდან გამოსული პოლიტიკანების, მჩაგრძლებისა და მემბოჟების მიმართ» [20]. ჩვენი მხილებაც სწორედ ამ „თავკაცებს“ შეეხება, რომლებიც ცრუ ინფორმაციებითა და გაყალბებული ისტორიებით სომებ ხალხს წამლავენ.

ჩვენ, ქართველი ხალხი, კეთილმეზობლობის მოსურნენი ვართ. მიუხედავდა მრავალი დამცირებისა, შეურაცხოფისა და ცილისწამებისა, გულში ღვარძლი და ბოროტი განზრახვა არ ჩაგვიდვია. და, თუკი, ჩვენს წიგნში სომებ მეცნიერთა და მწერალთა ბოროტი საქმენი და ჩანაფიქრი წარმოვაზნებთ, ეს ისევ სომებთა სასიკეთოდ მოვიმოქმედეთ: სომებ მოღვაწეთა პირუთვნელი მხილება სომები ხალხის გონსმოსაგებად კცანით საჭიროდ, რაც მათსავე ინტერესებში შედის, რადგან სიკეთის წილ მტრობა ქართველთა, ისტორიულად, მათ არაფერს რგებდათ და ვერც მომავალში მოუტანთ სარგებელს.

სომებთა მიმართ „პირში უძრახეს“ კეთილი მაგალითი მოგვცეს დიდმა იღიამ, აკაკიმ, იაკობ გოგებაშვილმა და სხვა მოღვაწეებმა. ჩვენს წიგნში, ისევე, როგორც ამ თემაზე სხვა ავტორების წიგნებსა და წერილებში, მათი წერილებიდან მრავალი მოსაზრება და ციტატა არის შეტანილი. დღევანდელ დღეს თითქმის უცვლელად ესადაგება ო. გოგებაშვილის სიტყვები წერილიდან „სიმართლე თბილისზე“, (იხ. მაგ. [22], გვ. 100), რომელიც 1897 წ. გამოქვებდა. გადავწყვიტეთ, შესავალში შემოგთავაზოთ ამონარიდი ამ წერილიდან:

„გაზეთ „მშაკის“ განსვენებულმა რედაქტორმა გრიგოლ არწრუნმა მოურიდებლად და კატეგორიულად განაცხადა პრესაში, რომ კავკასია

რუსებსა და სომხებს (მხოლოდ სომხებს) უნდა ეკუთვნოდეთ. ისე გამოდიოდა, რომ ქართველები საუკუნეთა მანძილზე იცავდნენ ამიერკავკასიას მაპმადიანთა გამანადგურებელი შემოსევებისაგან საკუთარი სისხლით მხოლოდ და მხოლოდ სომხეთა საკეთილდღეოდ, რომლებიც VII საუკუნეში თავიანთი დამოუკიდებლობის დაკარგვის დროიდან, დანამატის როლს ასრულებდნენ ამიერკავკასიაში. ქართველთათვის ასეთი პანკავკასიური პრეტენზიები უცხოა, თუმცა საამისოდ მათ მეტი საფუძველი აქვთ, რადგან დასუსტებული საქართველოს რუსეთთან შეერთების წინაც კი, თითქმის მთელი ამიერკავკასია უხდიდა ხარქს საქართველოს სამეფოს. ამ საკითხში ქართველები ყოველთვის იცავდნენ და იცავენ სამართლიან პრინციპებს: „თითოეულს თავისი უნდა მიეზღოს“ ან „ყველამ უნდა იცოდეს თავისი ადგილი“. მაგრამ სომხები მეტისმეტს ჩემულობენ სხვებთან უპირატესობის თვალსაზრისით და ამიტომ ისინი ძნელად ასატანი მეზობლები არიან ყველა ტომისათვის.

არ იფიქრო, მკითხველო, რომ არწრუნის ფრაზა შემთხვევით მოწყდა კალმის წვერს. არა, იგი ნაყოფია კარგად მოფიქრებული ქართველოფული გეგმისა, რომლის განხორციელება უაღრესად კონკრეტულად წარმოებს.

რაც შეეხება სომეხთა საერთო დამოკიდებულებას ქართველებისადმი, აქ, კეთილი სურვილის შემთხვევაში, მათ შორის ნორმალური დამოკიდებულების დამყარება, რა თქმა უნდა, შესაძლებელია. ამისათვის საჭიროა, რომ სომხებმა ხელი აიღონ ქვეყნიურების წინაშე ქართველთა სისტემატურ დამცირებაზე, რაც, ცხადია, მეტისმეტად აღიზიანებთ უკანასკნელთ, შეკვეცონ თავიანთი მადა, საერთოდ, ქართული დოკლათის მიმართ და, კერძოდ, სიხარბით გამოწვეულ თავიანთ ახლანდელ მისწრაფებათა ერთგვარი გამართლებისათვის არ ამტკიცონ ის სრულიად ყალბი აზრი, რომ, თითქოს, აღმოსავლეთი საქართველო უშველეს დროში დიდ სომხეთში შედიოდა, მაშინ, როდესაც სინამდვილეში პირიქით იყო: თვით სომხეთი თავისი „შეუძარებელი“ (ჯანმიევის გამოთქმა) სატახტო ქალაქით, ანით, საქართველოს სამეფო ნაწილს შეადგენდა დავით აღმაშენებლის, გიორგი მესამის, თამარ მეფის დროს და თითქმის მთელი შუა საუკუნეების მანძილზე, რაც თვით სომხეთი ისტორიკოსების მიერ კატეგორიულად აღიარებული, საყოველთაოდ ცნობილი ისტორიული ფაქტია; ამაռ ნუ უარყოფინ, წინააღმდეგ ყველა გამოჩენილი ეკროპელი და რუსი აღმოსავლეთმცოდნის (ლენორმან-მასპერო) მტკიცებისა, რომ ურარტულები, რომლებმაც კაცობრიობის ისტორიაში პირველებმა აღმართეს ჰუმანურობის დროშა მტრების მიმართ, ქართველთა წინაპრები

იყვნენ. შემდეგ ამისა ნუ იღებენ ყველანაირ პროცენტებს, ყოველგვარი უსამართლობით ნუ ისაკუთრებენ ქართულ ადგილ-მამულებს; ...და ბოლოს, ქალაქებში საარჩევნო უფლების გამოყენებისას ქართველთა საზიანოდ ბოროტად ნუ ისარგებლებენ თავისი რიცხობრივი უპირატესობით, რომელიც განპირობებულია მაღალი ბურუაზიული ცენზით, და ამით ქართველებს ნუ წაართმევენ ქალაქის თვითმმართველობაში მონაწილეობის კანონიერ უფლებას. ერთი სიტყვით, სომხებმა ხელი უნდა აიღონ ქართველთა დევნაზე, მათვის სამშობლოს წართმევაზე, რისთვისაც ისინი სარგებლობენ ქართველთა დროებითი მეტად შევიწროებული მდგომარეობით, და დიდი ბოროტებით ნუ მიუზღავენ მათ იმ დიდი სიკეთისათვის, რომელიც ქართველებს სომხებისათვის გაუკეთებიათ. პირიქით, ახლა ისინი იმ სიკეთეზე, რომელიც ქართველებს სომხების მიმართ გამოუჩენიათ მათ უდიდესი გასაჭირის უამს, სიკეთითვე უნდა უპასუხებდნენ. ე.ი. სომხები ქართველების მიმართ უნდა იჩენდნენ ისეთივე მმურ, ჰუმანურ კეთილმოსურნებას, როგორსაც ქართველები იჩენდნენ გადმოხვეწილ სომხთა მიმართ იმით, რომ ძმურად შეიფარეს ისინი, ყველა უფლებებში გაათანასწორეს ქართველებთან და არც ერთი წუთით ოდნავადაც არ აგრძნობინებდნენ, რომ ისინი უცხო მხრიდან მოსული სტუმრები არიან.

ასე რომ, თუ ქართველები აიძულეს, რომ მათ, სომეხთა მიერ ქართველთა დევნის საპასუხოდ, არმენიულობიობისა და ბოკოოტირების დროშა გაშალონ, მაშინ ამ დროშა სიხარულით შეუერთდება კავკასიის (და არა მხოლოდ კავკასიის-ა.უ.) ყველა ხალხი. აქედან ცხადია, რომ სომეხთა მიერ კეთილმეზობლური დამოკიდებულობის პრინციპის დაცვა, უწინარეს ყოვლისა, მათი პირდაპირი, უაღრესად საარსებო, ყველაზე ძვირფასი ინტერესებიდან გამომდინარეობს. ჩვენ სრულიად გულწრფელად, სუფთა გულით ვუსურებდით ჩვენს მეზობლებს ამ ინტერესების გამარჯვებას; სულითა და გულით გვწარდია მათი თავისუფალი, შეუზღუდველი გნვითარება, მაგრამ მხოლოდ სომხეთი ეროვნების ბუნებრივ საზღვრებში».

ჰეშმარიტად, სომეხთი ძმებთ და დებო, კეთილმეზობლობას ალტერნატივა არა აქვს!



თავი I

სომხები 650 ეკლესიას იჩემებენ საქართველოში

2005 წლის 24-26 ნოემბერს თბილისში საქართველოს საპატრიარქოს თაოსნობით ჩატარდა II საერთაშორისო სიმპოზიუმი სახელწოდებით: „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწყო, მომავალი“. სიმპოზიუმი უნდა შეფასდეს ეკლესიოლოგიური და სამეცნიერო თვალსაზრისით. ეკლესიოლოგიური კრიტერიუმით სიმპოზიუმის შეფასება ცალკე თემაა და მასზე არ შევჩერდებით; აღნიშნავთ ოდენ, რომ ზოგიერთი მოხსენების სიმპოზიუმის პროგრამაში ჩართვამ ჩრდილი მთავრება ჩვენს ეკლესიას – მის, როგორც მართლმადიდებლობის სიწმინდის დამცველის, პრესტიჟს.

სამეცნიერო თვალსაზრისით თუ შევაფასებთ, უნდა აღინიშნოს, რომ მრავალი განსხვავებული ღირსებისა თუ სამეცნიერო ღირებულების მოხსენება იყო წარმოდგენილი სიმპოზიუმზე. მაგრამ არც ამ თემას შევეხებით გამოწვლილვით. ჩვენი განხილვის ძირითადი საგანი იქნება ბატონ ლევონ ისახანიანის მოხსენება: „სომხური ეპარქია საქართველოში: ისტორია და თანამედროვეობა“, რაც, ამთავთვე უნდა



ითქვას, არ იყო სამეცნიერო ხასიათის. მან სამეცნიერო და საზოგადოებრიობის ფართო წრეებში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია – სიმბაზრითა და ხასიათით საღარი იმ ვნებათაღელვისა, რომელმაც დიდ იღიას ხელში კალამი აღდებინა და „ქვათა ღაღადი“ დაწერინა. ფაქტობრივად, ეს იყო სომხეთის ეკლესიის განცხადება-მოთხოვნა, რომ საქართველოს ეკლესიამ უნდა გამოიჩინოს კეთილი ნება და თავის ტერიტორიაზე არსებული 600-ზე მეტი „სომხური“ ეკლესიანაგებობა „დაუბრუნოს“ სომხეთის ეკლესიას.

ეს მოთხოვნა ჩამოყალიბებული იყო ბატონ ლევონ ისახანიანის „მოხსენებაში“, რომლის დედაბი ზრის გადმოსაცემად საკმარისია ამ მოხსენების თეზისები ([1], გვ.49): «საქართველო ის ქვეყნაა, საღაც მრავალი საუკუნის განმავლობაში, მევობრულ და ტოლერანტულ გარემოში თანაცხოვრობდნენ სხვადასხვა ეროვნებისა და რელიგიური მრწამისის წარმომადგენლები. აღსანიშნავია, რომ ისტორიული პროცესის განვითარების, გეოგრაფიული მდებარეობისა და სხვა. ფაქტორების გამო სომხური მოსახლეობა ყოველთვის წარმოადგენდა საქართველოში საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ ჯგუფს, რომელიც მონაწილეობდა ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში და ადეკვატურად პასუხობდა სხვადასხვა სახის გამოწვევებს. სომები ერთან ერთად საქართველოში საუკუნეების განმავლობაში არსებობს სომებთა სამოციქულო წმინდა ეკლესია.

სხვადასხვა წყაროების მიხედვით, სომხური წმინდა ეკლესია ცალკე ეპარქიით არის წარმოდგენილი საქართველოში მე-5 საუკუნიდან... საუკუნეების განმავლობაში სომხურ ეპარქიას საქართველოს ტერიტორიაზე აგებული აქვს 600-ზე მეტი სასულიერო დაწიწულების შენობა-ნაგებობა, კერძოდ კი ეკლესიები, სალოცავები, სასულიერო სასწავლებლები და სხვ.

Այսուղեծած მიջամտության:

- საქართველოში სომებთა სამოციქუլო წმინდა ეკლესიის ეპარქიის სათანადო სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრა;
- საქართველოში რელიგიის თავისუფლებისა და რელიგიური ორგანიზაციების საქმიანობის მარეგულირებელი კანონმდებლობის სრულყოფა;
- საქართველოში საუკუნეების განმავლობაში სომებთა სამოციქულო წმინდა ეკლესიის ეპარქიის შემადგენლობაში შემავალი ეკლესიების ეპარქიისთვის გადაცემა“.

სიმპოზიუმზე ბატონნმა ლევონ ისახანიანმა გარკვევით თქვა, რომ „მოხსენებაში“ წარმოდგენილი თვალსაზრისი და მოთხოვნები არის არა მისი კერძო აზრი, არამედ სომხეთის კლესის პოზიცია და თვალსაზრისი. თუმცა ამის აღნიშვნა არც იყო აუცილებელი, ვინაიდნა საკითხის პრეისტორია ამაზე ცალსახად მიუთითებს: 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოიცა რუკა-ცნობარი „სომხური კლესიების საქართველოში“, რაც 1995 წლის ზაფხულში სწრაფად გაავრცელეს საქართველოში ძცხოვები სომხებსა და არა მარტო სომხებს შორის. თუ რა მიზანს ისახავდა ამ რუკა-ცნობარის, რომლის მიხედვითაც საქართველოში, თითქოს, 650 სომხური კლესია, ასეთი სწრაფი პოპულარიზაცია, შეიძლება ითქვას – მსოფლიო მასშტაბით, ამას დიდი გამჭრიახობა არ სჭირდება.

ეტყობა, მიკერძოების საშინელი სენი ამ ხნის მანძილზე კი არ შენელებულა, პირიქით, უფრო გამძინვარებულა, რადგან საუკუნის წინ ნათქვამი სიტყვები დღეს ზუსტად ესადაგება რუკა-ცნობარისა ავტორის მიერ შედგენილ საქართველოში „სომხური“ ეკლესიების გაბერილ სიას... ჩამოთვლილი ეკლესიების უმრავლესობა სომხურად ქცეული ქართული ეკლესიებია. რუკა-ცნობარს თუ დავუჯრებთ,

გამოდის, რომ სომხებს კი არ უცხოვრიათ ქართველებში, პირიქით, ქართველები შეუხიზნიათ სომხებს ამ კურთხეულ ივერთ მიწაზე. ასეთ დასკვნას გააკეთებს, ვინც კი თვალს გადააკლებს რუკა-ცნობარს და მასზე მოხაზულ საქართველოს სქემატურ რუკას... მიზეზი რუკა-ცნობარის ასეთი ელვისებური გამოცემისა არის 1995 წლის გაზაფხულზე თბილისში ახალშენის (ნორაშენი) ეკლესიის ირგვლივ ატეხილი აჟიოტაჟი, დელეგაცია ეწმიაძინდან და სხვა. ამის გამო ერევანში საჩქაროდ გამოაცხვეს ეს უბადრუკი რუკა-ცნობარი და „დოკუმენტურად“ დააფიქსირეს 650-მდე „სომხერი“ ეკლესია საქართველოში. ახლა თუ არა, გავა რამდენიმე ათეული წელი და ამ „საბუთს“ ერთი ამბით წარმოადგენენ სომხები და, ვინ იცის, მაშინ შეიძლება სვეტიცხოველიც დაიჩრმონ» [2].

აი, გავიდა მხოლოდ ერთი ათეული წელი და სომხებმა სიმპოზიუმშე კვლავ წამოაყენეს თავიანთი პრეტენზიები, მიიჩნიეს რა ამისთვის ხელსაყრელად დრო და ადგილი. დროის ხელსაყრელობა რომ, შესაძლოა, „კოორდინირებული” ყოფილიყო გარკვეულ წრეებთან, ამაზე მიანიშნებს სიმპოზიუმიდან ერთი თვის თავზე საქართველოს პარლამენტში საქართველოს სახალხო დამცველის გაკეთებული მოხსენება, რომელიც გულდაგულ ეხმანება სომებთა მოთხოვნებს. რაც შეეხება ადგილის ხელსაყრელობას, ამას, როგორც ცოტა ქვემოთ ვნახავთ, სიმპოზიუმის ზოგიერთი ორგანიზატორი თავგამოდებით ადასტურებს.

ნენებულ რუკა-ცნობარზე უფრო დეტალურად II თავში შევჩერდებით. ახლა კი დავუბრუნდეთ სიმპოზიუმზე ბატონ ლევონ ისახანიანის წარმოდგენილ მოხსენებას, რომელმაც უკიდურესი აღშფოთება გამოიწვია ქართველ მეცნიერთა, სასულიერო პირთა, მრევლისა და საზოგადოების ფართო წრეებში.

ისტორიული თვალთახედვით საინტერესოა, თუ რა „გამოწვევებზე“ საუბარი ბ-ნ ლ. ისახანიანის მოხსენებაში და რა „გამოწვევებს პასუხობდა“ საქართველოს ტერიტორიაზე მაცხოვრებელი სომები მოსახლეობა, რომელ „გამოწვევას“ პასუხობს ეს ხელახლა წამოყენებული საყვადურნარევი პრეტეზია – 650 ეკლესია-ნაგებობა ჩვენია და დაგვიძრუნეთო?

თავიდანვე უნდა ითქვას, რომ დიდი ვნებათაღელვის პირობებში მოხსენება შეფასებულ იქნა, როგორც არამეცნიერული, ქართველთა შეურაცხმყოფელი, საზოგადოების დამამცირებელი, პოლიტიკური

დანიშნულების მქონე და ა.შ. დარბაზში ხმაურიანი კამათისას ზოგად შესაძლოდ მიიჩნა, რომ ეს მოხსენება პროვოკაციულ მიზანს ისახავდა.

თავდაპირველად რეპლიკით თავისი თვალსაზრისი გამოიქვა აკადემიკოსმა როინ მეტრუველმა¹: „მე მოვისმინე ბატონ ისახანიანის გამოსვლა. ეს იყო არასერიოზული მიდგომა აუდიტორიისადმი. ჩვენ ახლა ეს (მოხსენება) სერიოზულად განვიხილოთ აქ – არ მიმაჩნა მიზანშეწონილად. . . აბსურდული განცხადება გააკეთა ამ კაცმა (ისახანიანმა-ა.უ.). რაც მან თქვა, იმაზე კამათი, ბატონებო, ღირსება არ არის ამ საზოგადოებისთვის... 600 (სომხური) ეკლესია და საეკლესიო დაწესებულებაა საქართველოში, და V საუკუნიდან საეპისკოპოსოო. ახლა ჩვენ ეს სერიოზულად აქ განვიხილოთ და სერიოზულად ვეკამათოთ მას, მე არ მიმაჩნა მიზანშეწონილად“.

ამ რეპლიკას მოჰყვა აკადემიკოს მარიკა ლორთქიფანიძის რეპლიკა: „ბატონო როინ, სწორედ იმიტომ მივეცი შეკითხვა - რომ ამბობთ, სომხური ეკლესიებია, დაგვისაბუთეთ-თქო. ის ხომ მოხსენებით გამოდის სამეცნიერო სიმპოზიუმზე, – დაგვისაბუთოს! ხოლო, თუ ეს არის პოლიტიკური გამოსვლა, მაშინ სხვა საქმეა. და კიდევ მაქვს ასეთი რეპლიკა: თუ ეს არ არის მეცნიერული მოხსენება, მე ბოლიშს ვიხდი სარედაქციო კოლეგის წევრების მიმართ, მაშინ რატომ მიიღეს და გამოაქვეყნეს იქ, სადაც სამეცნიერო მოხსენებების თეზისებია გამოქვეყნებული?“. ორგანიზაციონურების მიმართ ამ შენიშვნას დარბაზმა მხარი დაუჭირა.

ეკლესიების სომხურობის დამადასტურებელ არგუმენტებად ბატონმა ისახანიანმა მოიყვანა შემდეგი: „მაგალითად, სომხურ ეკლესიას აქვს მაღალი საკურთხეველი. მართლმადიდებელ ეკლესიაში, რამდენადც მე ვიცი, არის შედარებით დაბალი საკურთხეველი. ეს ერთ-ერთი ფაქტორი. ამასთანავე, სომხური წარწერები, ფრესკები და სხვა“.

კი მაგრამ, სომეხი შევობრები, მაღალი საკურთხეველი აქვს, მაგალითად, ჯვრის მონასტერს, ალავერდს და სხვა ცნობილ ქართულ ეკლესიებს. ამათაც სომხურად მიიჩნევთ? რაც შეეხება წარწერებსა და ფრესკებს, თუ როგორ იფხიკებოდა ისინი და მათ მაგივრად იკვეთებოდა სომხური, ამის შესახებ შემდგომ გვექნება საუბარი. ეს მეთოდი - ქართულად მოღალადე ქვათა სომხურად აღაღადებისა,

¹ ეველა ამონარიდი გამოსვლებიდან იბეჭდება აუდიო და ვიდეოჩანაწერების მიხედვით, რასაც ნაწილობრივი რედაქციით გთავაზობთ. რიგ შემთხვევაში რეაქტივული ტექსტის ზუსტ სტენოგრამულ ამონაწერს სქოლიოში მოვიყვანთ.

სომეხთა მიერ ხშირად გამოიყენებოდა ქართულ ეკლესიათა მიტაცება-დასაკუთრების მიზნით, რისი ფაქტებიც მრავლად არის ისტორიაში.

მაგალითად, ერთ-ერთი სადაო – ნორაშენის ეკლესიის შესახებ, ბატონ ისახანიანის არგუმენტების საპირისპიროდ, ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ აღნიშნა: „ნორაშენის ეკლესიაზე იყო დისკუსია ქართველ და სომებს მეცნიერებს შორის. დადგნილია, რომ ის იყო ქართველი ეკლესია. შემდეგ სომხებმა შეძლეს გარკვეულ პირობებში მისი მიტაცება, თუ შეიძლება ასე ითქვას. იქ არის ქართულწარწერიანი ქვები, რომლებიც ჩატანებულია კედელში – გაწმინდეს ის კედლები და ნახეს; და იქ, აგრეთვე, აღმოჩენილია ქართულწარწერებიანი საფლავები. ამიტომ, ასე მარტივად ეს საკითხი არ წყდება“.

ამის შემდგომ ქალბატონმა მარიკა ლორთქიფანიძემ დააყენა შემდეგი საკითხი: „მე ბოლიშს ვიხდი სარედაქციო კოლეგის მიმართ, მაგრამ მოვითხოვ, თავისი ოფიციალური განცხადება გააკეთოს – რატომ შეიტანეს ეს არამეცნიერული ნაშრომი სამეცნიერო მოხსენებების ნუსხაში“.

პოლემიკაში სომეხი ძღვდელი ჩაერთო. მან იქ მყოფ საზოგადოებას ქრისტიანული ქცევა დაუწენა და აღნიშნა: „ის, რომ მოხსენებას არასერიოზულს უწოდებთ, ჩემი აზრით, არ არის თქვენი მხრიდან ლამაზი... მე, როგორც სომხეთის სამოციქულო ეკლესიის მსახური, გიცხადებთ, რომ ის ეკლესიები, რომლებიც ბატონმა ისახანიანმა დაასახელა, ნამდვილად სომხური ეკლესიებია. თუ გაქვთ კითხვები, არსებობს თუ არა ამის დამადასტურებელი საბუთები, შეგვიძლია მოვიყვანოთ მტკიცებულებანი... არარეალურია იმაზე ლაპარაკი, რომ თუკი თბილისის სომხურ ეკლესიაში არის ქართული წარწერები, მაშინ ეს ეკლესია ქართულია“.

როგორც ვწერდავთ, ის, რაც სომეხთათვის უტყუარი არგუმენტად გამოდგება, ქართველებისთვის ყოვლად გამოიყენებორია. გაგვახსენდა დიდი ილიას სიტყვები: „იგი გუნდი სომხებისა ამ თვალთმაქცობას არა ჰქმარობს, არა სჯერდება: მისთვის ცოტაა სხვისა მართალი ჰქმალოს, თავისი ტყუილი აყვიროს. ამ გუნდმა კარგად იცის, რომ საბუთი, რაც გინდა დამალო, დღესა თუ ხვალე გამომჟღავნდება და თავისას გაიტანს. საქმე საბუთის გაბათილებაა, ან წაშლა, ან ჩაფხუ-ამოფხეება, ან გადაკეთება სათავისოდ. რომ არც ამისთანა ინიები დაეფიცებათ სომეხთა მწიგნობარ-მეცნიერებს, ესეც ცხადია. და, რადგანაც ქანი, მრავალი შენობანი, ტაძრები, მონასტრები ჰლალადებინები,

რომ ძველის-ძველად ამ ადგილებში ქართველები ყოფილან, რა თქმა უნდა, საჭიროა, ამ უტყუარს მოწმებს ქართველებისას ხმა ჩაწყვეტინონ, ხმა არ ამოაღებინონ. ამისათვის ერთი თქვენი მოწონებული ხერხი უხმარით: აუღიათ და, საცა შეძლებიათ და მოუხელთებიათ, წაუშლიათ ყოველივე კვალი. არა ერთი და ორი მაგალითია მიმისი, რომ ცდილან, ნიშანი ქართველობისა დაუკარგონ ძველს შენობას, ტაძარს თუ მონასტერს, ამოფზიკონ ქვაზედ ნაწერი ქართული, ან წაშალონ, ან მთელი ნაჭერი ქვა შენობიდამ ამოიღონ და მის მაგიერ სხვა ჩასვან სომხურის ნაწერითა. არა ერთი და ორი მაგალითია მიმისთანა თინისა და ოდესლაც გამოცხადებული იყო აქაურ ქართულ და რუსულ გაზეთებშიაც“ [3].

სარედაქციო კოლეგის სახელით გამოვიდა სიმპოზიუმის ერთ-ერთი ფაქტიური ორგანიზატორი, ცხუმ-აჯხაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი. მან, კერძოდ, აღნიშნა: „უპირველეს ყოვლისა, მე ვესტრებოდი საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და სომხეთის სამოციქულო ეკლესიის სამღვდელოების მრავალ შეხვედრას, საღაც, ზოგიერთ მათგანზე, იყო საუბარი მის შესახებ, თუ როგორია დამოკიდებულება საქართველოს მართლმადიდებელი და სომხეთის სამოციქულო ეკლესიებისა საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სომხურ ტაძრებთან დაკავშირებით. მე მახსოვს ერთ-ერთი ასეთი სერიოზული, ოფიციალური შეხვედრა, მიძღვნილი ამ თემისადმი. მაშინ თბილისში ჩამოსული იყო სომხეთის ეკლესიის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობდა დღევანდელი პატრიარქი, მაშინ – ეპისკოპოსი, გარეგინ II. და იქ, მის უწმინდესობასთან საუბარში, საკითხი შეეხო სწორედ ნორაშენის ეკლესიას. როგორც აქ მოვისმინეთ, საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას, ქართველ მეცნიერებს, აქვთ გარკვეული ისტორიული საბუთები იმასთან დაკავშირებით, რომ ამ ეკლესიის ბედი, ასე ვთქვათ, არაერთგვაროვანი იყო. მაშინ გარეგინ II-მ ბრძანა, რომ სომხურ ეკლესიასაც აქვს გარკვეული მეცნიერული საბუთები, და ითქვა, რომ, აღბათ უნდა შეიქმნას საგანგებო ორმხრივი კომისია, რომელიც ამ საკითხზე ერთობლივად იმუშავებს, რათა ეს საკითხი არ გახდეს სამღვდელოებისა და, მითუმეტეს, მრევლს შორის კამათისა და უთანხმოების გაღვივების საფუძველი. და, იქიდან მოყოლებული, მინდა გითხრათ რომ, დიდხანს ეს საკითხი აღარ დასმულა.

გავიდა წლები და, ბოლოს, როდესაც პატრიარქი გახდა გარეგინ II, მისი დავალებით ჩამოვიდა დელეგაცია ისევ ამ საკითხთან

დაკავშირებით. დელეგაციის მეთაური იყო არქიეპისკოპოსი, ყარაბახის ეპარქიის წინამღვვარი. ვისაუბრეთ და გაირკვა, რომ სომხურ ეკლესიას პრეტენზია არა აქვს საქართველოს ეკლესიასთან, რომ სომხური ეკლესია საქართველოს ეკლესიის მიმართ რაიმე საყვედურს არ გამოხატავს; რომ არ არის საქართველოს ეკლესია უფლებამოსილი, გადაწყვიტოს, ეს ეკლესიები გადაუცემა თუ არ გადაუცემა. საქართველოს ეკლესიას აქვს ისტორიული და სამეცნიერო მონაცემები, რომელსაც ხელისუფლებას გადასცემს, რომ ის გაერკვეს, როგორია პოზიცია. ასევე, სომხურ ეკლესიას აქვს უფლება, მიაწოდოს ინფორმაცია ჩვენს ხელისუფლებას. ბოლოს შევთანხმდით: ვინაიდან, ჯერჯერობით, არ არსებობს სამართლებრივი კანონმდებლობა, რომელიც დაარეგულირებდა საქართველოში სხვა ეკლესიების, კომისარებლობებისა და რელიგიების იურიდიულ სტატუსს, ამ საკითხის მოგვარებამდე ამ თემაზე გამოვაცხადეთ მორატორიუმი; სანამ სახელმწიფო არ მიიღებს გარკვეულ სამართლებრივ დოკუმენტს რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, მანამ ჩვენ ამ თემაზე არ უნდა ვიკმათოთ. მაშინ, პირველ შეხვედრაზე, პატრიარქმა ბრძანა, რომ, ჩვენი თვალსაზრისით, ეს (ეკლესიები) არის საქართველოს ეკლესიის კუთვნილება; ჩვენ გვაქვს კიდეც საამისო მეცნიერული საფუძვლები, მაგრამ, რადგანაც, სომხური ეკლესია არ ეთანხმება ჩვენს პოზიციას, ამ ტაძარში ნურც ქართული სამღვდელოება შეასრულებს ლოთისმახურებას და ნურც სომხური სამღვდელოება, სანამ არ იქნება (საკითხი) გარკვეული². (რეპლიკა დარბაზიდან: „600 ეკლესიაში?!“ პასუხი: „ნორაშენის ეკლესიაზე იყო ლაპარაკი“).

² რომ არ არის საქართველოს ეკლესიის კომპეტენცია, გადაწყვიტოს ეს ეკლესიები გადაუცემა თუ არ გადაუცემა. საქართველოს ეკლესიის კომპეტენციაა მისი ისტორიული და სამეცნიერო მონაცემები, რომელიც მას აქვს და რომელსაც ხელისუფლებას გადასცემს, რომ ის გაერკვეს, როგორია პოზიცია. ასევე სომხურ ეკლესიას აქვს უფლება გადასცეს ინფორმაცია ჩვენს ხელისუფლებას. ბოლო ჩვენი შეთანხმება იყო ესთით: ვინაიდან ჯერჯერობით არ არსებობს იურიდიული, სამართლებრივი ბაზის, რომელიც დარეგულირებს საქართველოში სხვა ეკლესიებს, კონფესიებს, აღმასარებლობებისა და რელიგიების იურიდიულ სტატუსს, ვიდრე ეს საკითხი არ მოგვარდება, ჩვენ ამ თემაზე გამოვაცხადეთ მორატორიუმი; სანამ სახელმწიფო არ მიიღებს გარკვეულ სამართლებრივ დოკუმენტს, ბაზის რელიგიურ ორგანიზაციებთან დაკავშირებით, მანამდე ჩვენ ამ თემაზე კამათი არ უნდა გვქონდეს. მაშინ, პირველ შეხვედრაზე, პატრიარქმა ბრძანა, რომ ჩვენ მიგვაჩნია, რომ ეს (ეკლესიები) არის საქართველოს ეკლესიის კუთვნილება, ჩვენ გვაქვს ასეთი მეცნიერული საფუძვლები, მაგრამ რადგანაც სომხურ ეკლესიას აქვს (იხ. გვ. 24)

შეძლებ მუსუე დანიელმა განაცრძო: „ყველა შეხვედრისას ფურადღებას ვაქცევდით, რომ ორ მეზობელ ქვეყანასა და ერს შორის ყოფილიყო მშენდობიანი ურთიერთობა, რაშიც ძალიან დიდი როლი აკისრია, უპირველეს ყოვლისა, კელესიებს. მათ შორის ურთიერთობის დაძაბვა – ეს ძალიან სახიფათოა. ამიტომ ყველაფერი უნდა გააკეთოს როგორც ერთმა მხარემ, ისე მეორე მხარემ, რათა ამის პრეცენტები არ შეიქმნას.

ეხლა რაც შეეხება კითხვას, რომელიც აქ გაჩნდა, და შეფასებებს, რომელიც აქ გამოითქვა: ეს (ისახანიანის მოხსენების) თეზისი, გარკვეული თვალსაზრისით, მართლაც ქმნიდა საფუძველს, რომ ფართო საზოგადოებისგან აღქმულიყო, როგორც საყვედური. საქართველოს ეკლესია ზეიმობს 2000 წლისთვის და ვშიშობდით, რომ ჩვენი ეკლესიისთვის, მრევლისთვის მტკიცნული იქნებოდა ასეთი თემა (სიმპოზიუმზე) და ჩვენ შევეცადეთ, ბატონ ლევონს დავკავშირებოდით. მე მითხრეს, რომ ბატონ ლევონს ვერ დაუკავშირდნენ (???) და ჩვენ გვქონდა ორი აღტერნატივა: ან დაგვეტოვებინა ეს მოხსენება, ან ამოგველო. მე, პირადად, როდესაც სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად ვესწრებოდი მსჯელობას, გამოვთქმი აზრი, რომ ამ ფონზე არასასურველი იყო ამ მოხსენების გამოტანა. მაგრამ, ვინაიდან, ჩვენ ავტორს ვერ დავუკავშირდით და ვერ გავაგებინეთ ჩვენი გულისტკივილი, მისთვის უარის თქმა უხერხული იქნებოდა“.

გულისტკივილი, რომ შეიძლება არ ეთანხმება ჩვენს პოზიციას, ამ ტაძარში ნურც ქართული სამღვდელოება შეასრულებს ღვთისმსახურებას და ნურც სომხური სამღვდელოება, სანამ არ იქნება (საკითხი) გარკვეული.

³ როდესაც ჩვენ მივიღეთ ეს (ისახანიანის მოხსენების) თეზისი, ცოტა უცხო იყო შნარასი, რამეთუ იყო, გარკვეული თვალსაზრისით, ქმნიდა საფუძველს, რომ ფართო საზოგადოებისით აღქმულიყო როგორც საყვედური. საქართველოს ეკლესია ზეიმობს 2000 წლისთვის და იყო გულში რაღაც ეს ხინჯი, რომ ჩვენი ეკლესიისთვის, მრევლისთვის მტკიცნული იქნებოდა, რომ აი ასეთი საყვედურის თემა იქნებოდა (სიმპოზიუმზე) და ჩვენ შევეცადეთ, რომ ბატონ ლევონს დაუკავშირდოთ. მე მითხრეს, რომ ბატონ ლევონს ვერ დაუკავშირდნენ ფიზიკურად და ჩვენ გვქონდა ორი აღტერნატივა, ან დაგვეტოვებინა ეს მოხსენება, ან ამოგველო. მე პირადად, როდესაც სარედაქციო კოლეგიის წევრებთან ერთად ვესწრებოდი მსჯელობას, გამოითქვა ასეთი აზრი: მიუხედავდ იმისა, რომ ამ ფონზე, რაც მე მოყენე, სასურველი არ იყო ამ მოხსენების გამოტანა, ვინაიდან ჩვენ ავტორს ვერ დავუკავშირდით და ვერ გავაგებინეთ ჩვენი გულის ტკივილი, მისთვის უარის თქმა, როდესაც მოვიდოდა და ნახავდა, რომ მისა მოხსენება არ არის, ნაკლებად გასაგები იქნებოდა.

„თეზისი, – განაცრძო მუსუე, – მიუხედავად იმისა, რომ მას ჰქონდა დეკლარატიული ხასიათი, არ იყო და არ არის მოხსენება... როგორიც არ უნდა ყოფილიყო ეს მოხსენება, ეს არის სომხური ეკლესიის პოზიცია. ეს ბატონი ლევონის აზრი არ არის, ეს არის ოფიციალური პოზიცია და, მე ვფიქრობ, რომ მე მაქვს უფლება, არ დავეთანხმო, მაგრამ მასაც აქვს უფლება თქვას ის, რაც ჩვენთვის, შეიძლება, მიუღებელია... მე საყვედური მინდა ვუთხრა ამ დარბაზის ზოგიერთ წევრს: ეხლა ჩვენ გამოვხატეთ სომხური ეკლესიის მიმართ რაღაც... (არ დაასრულა აზრი, რასაც დარბაზიდან მოჰყვა კითხვა: „რა გამოვხატეთ?“), მე ვთვლი, რომ ჩვენი ემოცია უკვე იყო არაკორექტული და ქართული ქრისტიანობისთვის შეურაცხმყოფელი... უარი ამ მოხსენებაზე იქნებოდა სომხური ეკლესიისათვის და ჩვენი მეზობელი ხალხისათვის აზრის გამოთქმის შეზღუდვა. ეს მათი უფლებაა, როგორი აზრი ექნებათ. (დარბაზიდან რეპლიკა: „ჩვენ არა გვაქვს უფლება?“). თუ ვინმეს კიდევ გინდათ აზრის გამოთქმა, შეგიძლიათ... იცით, რას ნიშნავს განსხვავებული აზრის შეწყნარება? ეს ნიშნავს, რომ, შეიძლება, რაღაც შემთხვევაში გცდებოდე... ამიტომ აქ არის მსჯელობა, ეს არის სამეცნიერო სიმპოზიუმი... და, თუ ეს თემა აწუხებს სომხურ ეკლესიას და ეს თემა აწუხებს ქართულ ეკლესიას, უკეთესი ადგილი სად არის. აი, მეცნიერები და ვისაუბროთ. გამოთქვით აზრი, ვინ გიშლით?!“.

როგორც ზემოთ ვნახეთ, ქართველმა მეცნიერებმა, ორგანიზატორებისაგან განსხვავებით, არ მიიჩნიეს მიზანშეწონილად სიმპოზიუმზე მოხსენების მიღება და არც მასზე მსჯელობა და კამათი.

„უკეთესი ადგილი სად არის“, რომ ბრძანა მუსუე, – სახალხო დამცველმა, როგორც ჩანს, სომხური პრეტენზიების მხარდასაჭერად, უკეთეს ადგილად პარლამენტის სხდომა მიიჩნია და, სიმპოზიუმიდან ერთი თვის თავზე, თავის ვრცელ მოხსენებაში, შეეხო რა რელიგიურ თემას, რომელიც, რბილად რომ ვთქვათ, არ გამოირჩეოდა ქეთილგანწყობით მართლმადიდებელთა მიმართ, აღნიშნა: „...ამ ეტაპზე სომხური სამოციქულო ეკლესიის საქართველოს ეპარქია ყველაზე რადიკალურად თბილისში ნორაშენისა და ახალციხეში – სურბნიშანის ტაძრების დაბრუნების საკითხს სვამს... საპატრიარქოს პოზიციას ტაძრების ისტორიული მეპატრონის შესახებ ანგარიშს უწევს ხელისუფლება, რომელიც ცალმხრივად ვერ წყვეტს, დაუბრუნოს თუ

არა ტაძრები თავის ისტორიულ მფლობელს...“ (დასახ. მოხსენება, გვ. 85). როგორც კხედავთ, სახალხო დამტკველი ოპერატორები და გამოეხმაურა სიმპოზიუმზე წამოჭრილ საჭიროობოებო საკითხს და ერთი ხელის მოსმით, საქართველოს საპატრიარქოსაგან და ქართველ მეცნიერთაგან განსხვავებით, გადაწყვიტა ხსენებული ტაძრების ისტორიული მემკვიდრის საკითხი სიმბეთის ეკლესის სასარგებლოდ, რითაც აშკარად გადამეტება თავის უფლება-მოვალეობებს.

სიმპოზიუმის ან პარლამენტის დარბაზში დიდი იღია რომ ბრძანებულიყო, აღბათ, თავის უკავე გამოთქმულ აზრს გაიმეორებდა: „დროა, ნიღაბი ავხადოთ იმ ერთს გუნდს სიმბებისას, რომელთა მეცნიერნი ასეთს ყოფას გვაწევენ ქართველებს. დროა, ჰქუას მოვიდეთ და არ შევუშინდეთ იმ ცრუქნებულებას, რომელნიც განგებ პირში ბურთს გვჩრიან, რომ თავისი ონბაზობა, ორპირობა და ცალგულობა მიაფურჩინო. ნუ გვამხილებთო, თორებ ეროვნულ შფოთის აღდგენას დაგწმებთ, რეტროგრადების ბანაგში თავს ამოგაყოფინებთ, რადგანაც მეცნიერებები საუკუნის დასასრულს (მითუმეტეს XXI საუკუნეში – ა.უ.) ეროვნულ შფოთის ატება, ერთა შორის ლვარძლის მთამოთესვა სიბრივებისა და გონების სიბეჭდეს მოასწავებსო და ლიბერალობის შეგინებასათ. განა არ ვიციოთ, მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქნელსა, მაგრამ განა ეს საბუთია, თვალი დავიბრმაოთ, უკრძალები ბამბა დაკიტოთ და ენა მოვიკრათ?.. ნუთუ მართლა ამ ლათაიტებს უნდა შევუშინდეთ და ენაც არ დავძრათ ჩვენის საკუთარის ვინაობის სარჩლისა და პატრონობისათვის? თქვენი წკიპურტიც-კი გვწყინს და ჩვენს პანდურის-კი ნუ იწყეთო. რა ნაბიჭვრები ჩვენა ვართ ამ წუთისოფლისა, რომ ამას გვეუბნებიან, ამით გვითათბირებენ?!” [2].

დავუბრუნდეთ სიმპოზიუმს. მეუფე დანიულის მოწოდებაზე აზრის გამოთქმასთან დაკავშირებით, სიტყვა ითხოვა მართლმადიდებელმა მღვდელმა, რომელმაც აღნიშნა: „უპირველეს ყოვლისა, ნამდვილად უნდა მოვთოვოთ ჩვენი ემოციები და კორექტულად გამოვთქვათ მოსაზრებები. მე მაქვს (სომეხ) ბატონებთან ასეთი კითხვა: იერუსალიმში მაცხოვრის საფლავთან არის იაკობ მოციქულის სახელობის ტაძარი, მონასტერი, რომელიც ეკუთვნოდა საქართველოს ეკლესიას. ჩვენ რომ მოგთხოვოთ დაბრუნება ამ ტაძრისა, დაგვიბრუნებთ? (რეპლიკა დარბაზიდან: „ამათოვის ამ კითხვის დასმა შეიძლება?“) იცით, რა, სასულიერო პირია და ბრძანა, რომ ტოლერანტები ხართო. მე მის სარწმუნოებასთან ნამდვილად არა

ვარ ტოლერანტული, მე ვთვლი, რომ სამოციქულო ეკლესია იყო სიმბეთის ეკლესია, დღეს ის არის ცდომილებაში... (მეუფე შეაწყვეტინა რეპლიკით, რომ აქ ამაზე საუბრის ადგილი არ არისო). კარგი, ამაზე გამეციოთ პასუხი, რაც მე გაითხეთ“ – დაასრულა მართლმადიდებელმა მღვდელმა. შემდეგ კამათი ასე წარიმართა:

სომეხი მღვდელი: – მე თქვენ ამაზე არ გიპასუხებთ!

ქართველი მღვდელი: – იმიტომ, რომ თქვენ არა გაქვთ პასუხი;

სომეხი მღვდელი: – გვაქვს პასუხი – ეკლესია, რომელზეც თქვენ საუბრობთ, ეკუთვნის სიმბეთის ეკლესიას.

ქართველი მღვდელი: – თქვენცა გაქვთ ბევრი ეკლესია, რომელზეც საქართველოს ეკლესიას აქვს პრეტენზიები. ეს ქართული ეკლესიები იყო!

სომეხი მღვდელი: – და შემდეგ როგორ გახდნენ სიმბერები?

ქართველი მღვდელი: – სიმბებმა მიიტაცეს;

სომეხი მღვდელი (განცვიფრებული): სიმბებმა მიიტაცეს?!

ამ შემთხვევისათვის სწორედაც რომ ზედგამოჭრილია იღიას დროინდელი სიტყვები: «ისინი (სიმბები-ა.უ.), ვინც ღვიძლ მმად მიგვაჩნია, ვინც – საქართველოს კალთის ქვეშ იპოვა რქა ცხოვრების ხსნისა, დღეს ისინი გამხდარან მოსისხლე მტრად. ამ ღვიძლი ცალგულობენ შემუსრონ და ამოამტვრიონ წერაქვით ქართული წარწერები... არაბები ბატონობდნენ 200 წელიწადი და ისინი არ სჩადიოდნენ ამ ამბებს, რასაც დღეს ვხედავთ და გვესმის. მისდომიან და ანგრევენ ტაძრებს რეინის კეტებით და წერაქვებით, ანადგურებენ ნახატებს, თვალებს ჩიჩქიან წმინდანებს და სხვ. სამარცხვინოა, რომ მამა-პაპათა სისხლით შერეული კირით აღშენებული ტაძარი დაისაკუთრონ გუშინდელ მოსულთა და მკვიდრნი კი განდევნილ იყენენ თვისსავე მამულში. მით უფრო სათაკილოა ამგვარი მოვლენა, რომ იქნებ ხარაჯაც დაადონ ჩვენს მლოცველებს ამ მამა-პაპათა სალოცავებში» (გაზ. „ივერია“, 1885 წ., №159).

დიდი ხმაურის შემდეგ სიმპოზიუმის სხდომაზე სიტყვის წარმოთქმის უფლება ერთ-ერთმა დამსწრე საერთო პირმა თოხოვა: „მიზანი მიღწეულია... როდესაც მეუფე დანიელმა ბრძანა, რომ მას (ისახანიანს-ა.უ.) აქვს ასეთი პოზიცია და ჩვენ გავცეთ პასუხი. პოზიცია ბევრნაირი შეიძლება იყოს. არსებობს ასეთი თეზისი, მე ვიტყვი და შენ მერე ასაბუთო. აი, ზუსტად ასეთ ვითარებასთან გვაქვს საქმე: გამობრძანდა ბატონი,

რომელმაც თქვა, რომ საქართველოში 600-ზე მეტი ეკლესია, რომელი, ეკუთხით სომხებს და ახლა ჩვენ მთელი სერიოზულობით მეცნიერები უნდა მოვაწვიოთ და ვამტკიცოთ, რომ ეს 600 ეკლესია არის ჩვენი. მე აბსოლუტურად ვიზიარებ ბატონ რომის აზრს, რომ ამაზე პოლემიკა საერთოდ არ უნდა დაგვეწყო, მაგრამ რადგან დავიწყეთ, ქალბატონ მარიკას აზრი უნდა განვითარდეს და, ვფიქრობ, ამაზე ვიღაცამ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა... მე გვტყვით, ამას რა გავრძელება მოჰყება. (როგორც მოგახსენეთ, გაგრძელება მაღლევ, ერთი თვის თავზე, მოჰყავა, კერძოდ, სახალხო დამცველის გამოსვლა პარლამენტში-ა.უ.). ეს (მოხსენება) რომ დღის წესრიგში არ შესულიყო, ეს (თეზისები) არ დაიბეჭდებოდა, არც ხვალ (ვინმე) წაიკითხავდა. შემინდეთ მუსფევ, მაგრამ თქვენ უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვაღებოდათ ამ დროს. შეიძლება ვინმე სარედაქციო კოლეგიაში შემცდარიყო, მაგრამ თქვენ, როცა ამის მსგავს მოხსენებაზე იყო ლაპარაკი... თქვენ თქვით, რომ, არა უშავს, რადგან ვერ ვატყობინებთ და იმას არ ეწყინოსო, და.... ჩვენ რომ გვეწყინა აბსოლუტურად არაკორექტული, შეურაცხმყოფელი, დაუსაბუთებელი გამოსვლა? ვიმეორებ;: ამან თქვა და ახლა თქვენ ამტკიცეთ, და აიღეთ პასუხისმგებლობა თქვენს თავზე“.

დასასრულ, სიტყვით გამოვიდა აკადემიკოსი დავით შესხელიშვილი: „რაც ბატონმა როინმა ბრძანა, აბსოლუტურად სწორია... რა თქმა უნდა, ეს მოხსენება მოხსენება არ იყო, ეს სრულიად აშკარაა, და ვერ დამიმტკიცებს ბატონი ლევონი, რომ სომხური ეპარქია არსებობდა ოდესმე საქართველოში (დარბაზიდან: „V საუკუნეში“)... არც V-ში და არც ოცდამეტეთში. იცით, რა არის ეპარქია? ეკლესიები კი არ არის ეპარქია. ეპარქია არის ტერიტორია, რომელიც შედის რომელიღაც ეკლესის იურისდიქციაში. ასეთი რამე იყო საქართველოში? არც V-ში და არც შემდგომ. ამაზე ლაპარაკი არის აბსურდი. ახლა ამაზე მსჯელობა შეიძლება? ეს ხომ არასერიოზულია? აქ ლაპარაკი, ფაქტიურად, იმაზე იყო, რომ დღევანდელი ეკლესიები სომხების არის თუ არა. ეს ჩვენი სიმპოზიუმის გადასაწყვეტია, კაცო? ამიტომ, ძალიან გთხოვთ, მევობრებო, მოვეშვათ – თეზისები დაიბეჭდა, დასაბეჭდი (პასუხებიც) დაიბეჭდება და მორჩა და გათავდა“.

სიმპოზიუმის სხდომის დასასრულს ხმაურმა, შფოთმა იმატა. დარბაზს ვტოვებდით აღელვებულები, შეურაცხმყოფელები, დამცირებულები და უცულვებელყოფილები: ამ პრობლემის წამოწევა, რა თქმა უნდა, არ იყო შემთხვევითი; შესაძლოა, არსებობდეს გარკვეული

გვემა, თუ როგორ განვითარდეს თემა. სახალხო დამცველის ხსნებული მოხსენება, ვფიქრობთ, ამ გეგმას უკავშირდება.

ვითარების მოწესრიგებასა და რამდენადმე განმუხტვას სიმპოზიუმის დასკვნით სხდომაზე ჩვენი ეკლესის პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი, ილია II შეეცადა. სანამ მისი გამოსვლიდან ამონარიდს მოვიყანდეთ, შემოვთავაზებთ მანამდე გამოსული ქალბატონის – მარიკა ლოროტქიფანიძის სიტყვას (მცირეოდენი შემოკლებით): „სექციის თავმჯდომარებ ნაწილობრივ მოგახსენათ იმ მმიმე მდგომარეობის შესახებ, რომელიც ბატონ ისახანიანის მოხსენებასთან დაკავშირებით შეიქმნა. უნდა მოგახსენოთ – ჩემი პოზიცია თავიდანვე გამოვაცხადე – რომ არ მიმაჩნია სწორად და (გამოვთქვი) საყვედური, არა ისახანიანის მიმართ, რომელსაც თავისი აზრი აქვს ამ საკითხზე, არამედ სარედაქციო კომისიის მიმართ, რომელმაც მისი თეზისები ამ სახით შეიტანა მოხსენებათა თეზისებში. ბატონმა დავითმა (აკად. დავით მუსხელიშვილი – ა.უ.) მაშინვე (სექციაზე კამათის დროს – ა.უ.) გამოოქავა თვალსაზრისი: საწინააღმდეგო, ერთმანეთისაგან განსხვავებულ მოსაზრებებს ჯებირს ვერ შევუქმნითო, – მართალია, მაგრამ მართალია ისიც, რომ სომხები ჩვენთან და, ამ შემთხვევაში, ქართულ ეკლესიასთან მიმართებაში, წერენ სომხურად და ევროპის ყველა ენაზე, ჩვენ კი ქართულად ხანდახან თუ ვუპასუხებთ მათ... კიდევ შეიძლებოდა არაფერი მეტქა, მაგრამ, როდესაც ამ საკითხზე ლაპარაკი გამწვავდა, მეუფე დანიელმა ბრძანა, რომ მას აქვს ამაზე თავისი კონცეფცია. მე, რა თქმა უნდა, თავს უფლებას არ მივცემ, მეუფე დანიელს ვეკამათო, მაგრამ მოგახსენებთ, რომ ის, რაც მან ბრძანა, არ მიმაჩნია სწორად, და, აი, რატომ: მეუფე დანიელმა ბრძანა, რომ წლების მანძილზე ქართულ და სომხურ ეკლესიებს შორის მიმდინარეობდა დავა საქართველოში მთელი რიგი ეკლესიების გამო; შემდეგ მეუფე დანიელმა ბრძანა, რომ ქართული და სომხური ეკლესიების მეთაურები შეთანხმდნენ, ამ საკითხზე დისკუსია და კამათი შეჩერებულიყო. აი, ამის შემდეგ გამოდის, რომ ქართული მხარე ამას არ არღვევს – არღვევს ისევ სომხური მხარე: აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ (თურმე) V საუკუნიდან ჩვენთან სომხური ეპარქია არსებობდა, რომ 600-ზე მეტი სომხური საეკლესიო ძეგლი იქნა აგებული. როდესაც ვთხოვთ მომხსენებელს, დაესაბუთებინა, არავითარი საბუთი მან არ წარმოადგინა. (სექციაზე) ითქვა, რომ ეს არ არის სამეცნიერო მოხსენება და ამიტომ მის ირგვლივ კამათი არ

უნდა იყოს. მაშინ მე მაქვს ასეთი წინადადება: რადგან დაირღვა სამეცნიერო სიმპოზიუმის ხასიათი – „შემოტანილი (მოხსენება) არ ჩაითვალა სამეცნიერო მოხსენებად, და მის ირგვლივ კამათი და დისკუსია არ შედგა, ამიტომ, ამ სიმპოზიუმის მასალების გამოქვეყნებისას, შეიძლება ისევ წესის დარღვევით, იქვე იქნეს დაბეჭდილ-გამოქვეყნებული ქართველ მეცნიერთა თვალსაზრისი დებულებებზე, რომელიც წამოყენებულია ისახანიანის მოხსენებაში“.

დასასრულ, უწმინდესმა წარმოთქა სიტყვა. მან მადლობა გადაუხადა სიმპოზიუმის მონაწილეებს, ხოლო შეძლევ აღნიშნა: „საქართველოს ეკლესია, მოგეხსენებათ, არის უძველესი ეკლესია, დაარსებული მოციქულ ანდრია პირველწოდებულის მიერ; ეკლესია, სადაც ეწამა მრავალი მოწამე – მე არ მეგვლება ქვეყანაზე ისეთი ეკლესია და ისეთი ქვეყანა, რომელშიც ამდენი წამებული ყოფილიყოს. ეს გვაძლევს დიდ სულიერ ძალას და ამით საზრდოობდა და საზრდოობს ქართველი ხალხი 2000 წლის განმავლობაში. ყველაფერი, რაც გაკეთდა კულტურაში, ლიტერატურაში, არქიტექტურასა და სხვა დარგებში, ყველაფერი იყო დაყრდნობილი ქრისტიანულ სარწმუნოებაზე. საქართველო არის ის ქვეყანა, სადაც საოცრად შერწყმული იყო ცოდნა და რწმენა. და ამისი არა ერთი მაგალითი გაგვაჩნია. ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი სიმპოზიუმი დაიწყო უნივერსიტეტში და დასკრინითი სხდომა ტარდება მეცნიერებათა აკადემიაში, და ამ სიმპოზიუმში მონაწილეობას დებულობენ ჩვენი დიდი მეცნიერები და ცნობილი ადამიანები.

მე მინდა ვთქვა, რომ მრავალი კარგი მოხსენება გაკეთდა სექციებში, მაგრამ, ამავე დროს, იყო ისეთი მოხსენებები, რომელთაც გამოიწვის არასასურველი კამათი და შემოიტანეს დისონანსი სხდომებზე. თქვნ მოისმინეთ ჩვენი აკადემიის პრეზიდენტისაგან, რომ ეს მოხსენებები გამოცემულ უნდა იქნას, მაგრამ, სანაც გამოიცემა, მე მინდა, კიდევ ერთი შეკრება მოვაწყოთ საქართველოს საპატრიარქოში, რომელზეც ყოველი მოხსენება დეტალურად უნდა იყოს განხილული და გაანალიზებული, და სათანადო შეფასება უნდა მიეცეს მათ. მე ასევე მინდა ვთქვა, რომ ამ მოხსენებების დროს თქვენ იყავით მოწმე იმისა, რომ დაიწყო კამათი და წარმოიშვა განსხვავებული აზრი ამა თუ იმ საკითხზე. მე მინდა ვთხოვთ ყველას, ვისაც აქვთ განსხვავებული აზრი, წერილობით წარმოადგინოს საპატრიარქოში, ჩვენ აუცილებლად განვიხილავთ მას და, თუ იქნება მისაღები, აუცილებლად მივიღეთ“.

ვფიქრობთ, ისეთი ზომიერი, კეთილმოსურნე და გულისხმიერი ადამიანის მიერ წარმოთქმული ეს სიტყვა, როგორიც ჩვენი პატრიარქია, წარმოადგენს აღნიშნული სიმპოზიუმის საკმაოდ მკაცრ შეფასებას.

მაგრამ რა იქნება ხვალ? როგორ დავიცავთ ჩვენ ჩვენს ეკლესიებს? ვინ და სად თხზავს ჩვენი ქვეყნის, ერთს, ეკლესიის ისტორიას? ერთი რამ ამთავითვე უნდა ითქვას: სახალხო დამცველის ზემოთ მოყვანილი პოზიცია მანიშნებს, რომ ხსნებული საკითხით სერიოზული უწყებები და ორგანიზაციები არიან დაინტერესებულნი. ამაზევე მიუთითებს სახალხო დამცველის აპარატთა შექმნილი რელიგიათა საბჭო და მისი შემადგენლობა. გაზეთ „ქონიერი“ 2005 წ., №36-ის ერთ წერილში აღნიშნულია, რომ ამ რელიგიათა საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე მიუწვევიათ და დაუტუქსავთ უერნალისტები, რადგან ისინი, თურმე, „კარგად არ წერე რელიგიურ თემებზე“. აშკარად გამოჩნდა საბჭოს ტენდენცია: – „თუ მართლმადიდებელ ეკლესის გალანტრავ, სახალხო დამცველის რელიგიათა საბჭოს სხდომაზე შენს საკითხს არ განიხილავენ, მაგრამ თუ სხვა რელიგიების წარმომადგენლებს სექტანტებად მოიხსენიებ და იტყვი, რომ მათი მოძღვრება ანტიმართლმადიდებლურია, საშიშროების წინაშე დგები, რომ შენი, როგორც უერნალისტის, საქციელის განხილვა საბჭოს დღის წესრიგში დადგება“.

„აღნიშნული პუბლიკაციიდანვე ვიგებთ, რომ რელიგიათა საბჭოს სხდომაზე გამოვიდნენ: მღვდელმსახურებაკრძალული დეკანოზი ბასილ კობახიძე, კავკასიური ინსტიტუტის წარმომადგენელი თამარ შამილი, ნოდარ ლადარია (გაზ. „24 საათის“ ომბუდსმენი – ა.უ.) და ა.შ. ამ სხდომაზე სოფელ სამსარში მომხდარი ინციდენტის შესახებაც ისაუბრეს. შეგახსენებთ, რომ ახალქალაქის რაიონის სოფელი სამსარი უძველესი ქართული სოფელია, რომელიც ამჟამად სომხებით არის დასახლებული. გასულ (2005 წ. – ა.უ.) ზაფხულს აქ მძიმე ძღვომარეობაში მყოფი ძეგლების გასაწმენდად თბილისიდან ჩამოსული სტუდენტები სომხურმა მოსახლეობამ ტაძარში არ შეუშვა. ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც სტუდენტებს, ასევე მათთან მყოფ მონაზვნებსაც. სახალხო დამცველის ოფისში გამოითქვა აზრი, რომ ხსენებულ ინციდენტში დამნაშავე საქართველოს ეკლესია ყოფილა. საბჭოს სხდომის წარმომადგენლებს არ გაახსენდათ, რომ სამსარში მომხდარი ინციდენტის გამო ქართულ მრევლს ბოდიში მოუხადა საქართველოში სომხური ეპარქიის ხელმძღვანელმა ეპისკოპოსმა

ვაზეგნ მირზახანინმა... ამავე პუბლიკაციიდან იმასაც ვიგებთ, რომ (საბჭოს) სხდომაზე კათოლიკოს-პატრიარქის მიმართ საყველურიც გამოთქმულა. რაში ადანაშაულებენ საქართველოს პატრიარქს? იმაში, რომ მან თქვა: როცა ქართველი ტოვებს მართლმადიდებლობას, იგი დალატობს თავის სარწმუნოებას სასულიერო პირს, მით უფრო, პატრიარქს, (საბჭოს აზრით) იმის თქმის უფლება არ ჰქონია, რომ მართლმადიდებლობიდან განდგომა წწმენის დალატია! ეს არამც თუ მისი უფლებაა, არამედ მოვალეობაც. ან რა შეფასება უნდა მიეცეს მართლმადიდებლობის დატოვებას და სხვა სარწმუნოებაზე გადასვლას – „ეკლესიის ერთგულებისა“ თუ „რწმენისთვის თავდადებისა?“...

უერნალისტი ამხელს დეკანოზ ბასილ კობახიძის ბრალდებას, თითქოს უმართებულო და უერნალისტის მხრიდან არასწორი იყო იმ ფაქტის გახსნება, როცა რამოდენიმე წლის წინ ფოკაში მოსალოცად წასულ ქართველ მართლმადიდებლებზე ადგილობრივი მოსახლეობის ნაწილის მხრიდან თავდასხმის ცდელობა განხორციელდა» (ზ. ცხოვრებამე, „საქართველოს ეკლესიის თანამედროვე განსაცდელი“, 2005 წ.).

ამ, ასეთი სული ტრიალებს სახ. დამცველის ოფისში და რელიგიათა საბჭოში: ანტიქართული და ანტიმართლმადიდებლური.

ვშიშობთ, რომ ჩვენს სიტყვებს მავანი სომეხთა და ქართველთა შორის მტრობის გაღვივების ცდელობად მიიჩნევს. მაგრამ ჩვენ მტრობის კი არა, ძმობისა და კეთილმეზობლობის ძოსურნენი ვართ, და, თუ რამეს სიმართლით მწარედ ვამბობთ, მხოლოდ იმიტომ, რომ შევაგონოთ მოყვასს თავისი ცდომილება, დავანახოთ ჩვენი კანონიერი სურვილი და უფლება – დავიცვათ ის, რაც გვეპუთვნის ჩვენსავე ქვეყანაში, ჩვენ სახელოვან წინაპართა ნამაგარი, ნაოვლარი და ნასისხლარი. ჩვენ ვიზიარებთ დიდი მამულიშვილების – ილიასა და აკაკის სულისკვეთებას, რასაც კიდევ უფრო ძაფორდ შეძლევ თავებში შევეხებით. აქ კი მოვიყვანთ შემოკლებით 1902 წ. გაზეთ „ივერიაში“ დაბეჭდილ ო. ქსნისპირელის წერილს „უსუსური ლიბერალობა“:

« ...სჩანს ისევ გაჩადდა კამათი ძველ „უმთა სიავის“ გამო. სჩანს, ეს „უმთა სიავე“ ღრმად სწვდება ჩვენის ერის გულსა და სულს... ჩვენთვის ამ პატაროგიურს მოვლენას შეადგენს სომხობისა და ქართველობის დამოკიდებულება... დიალ, საარჩევნო სეზონის სიახლოვე არაფერ შუაშია, რომ კამათი ქართველთა და სომეხთა დამოკიდებულებისა გამო გაახლდა... ამ კამათის საგანი წყლულად

გამოსვლია საზოგადოებას და ვიდრე ეს წყლული არ გამოირწყვის, საქმეს არა ეშველება რა.

პატივცემულ გაზეთს („ცნობის ფურცელი“ – ა.უ.) თვალში ეკლად ეჩხირება, როცა ვინმე ქართველი უსიამოვნოს იტყვის ხოლმე სომხობაზე. „ცნობის ფურცელმა“ მორთო მაღალ ჰანგზე გალობა, ლათაია ძმობისა და ერთობისა. მე რომ მკითხოთ, ეს ლათაია უფრო გარედან მონაბერია, ვიდრე შინაური... გვესმის, როცა „ნოვოე თბოზრენიეს“ ხელმძღვანელი დალატებს, ძმობა და ერთობა საჭიროა ქართველთა და სომეხთა შორისო. გვესმის აგრეთვე, თუ რად ან რისთვის ესეთი დალატისი მიმართულია მარტო ქართველთა მიმართ... დიალ, ბატონებო, ძმობა და ერთობა, კაი მოგცეთ ღმერთმა, რომ კარგი სწავლაა, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როცა იგი ყველასთვის სავალდებულოა. თორემ დაჩაგრულს და გაძარცულს ძმობა რომ უქადაგო და მჩაგვრელს-კი აღვირი მზუშვა და ნება მისცე, ითარეშე და ინავარდეო, - მაშინ რა ძმობა და ერთობა იქნება... მეტიც არის, რომ ქართველ ხალხს უქადაგო, ძმობა და ერთობა იქნიე მეზობლებთანაო. მთელი ჩვენი ისტორია ამტკიცებს, რომ ქართველი ყოველთვის ძმებად სოვლიდა კავკასიონის მკვიდრთა. იმ თავითვე ქართველს სომეხი ძმად მიაჩნდა და, გაჭირვების დროს, ნამდვილ ძმობასაც უწევდა. სამწუხაროდ, ეს არ ითქმის სომხობაზე. თითქმის არც ერთი ძველი მეისტორიე სომეხი კეთილად არ იხსენიებს საქართველოს და, როცა შემთხვევა ეძლევა, შხამსა და გესლს არ იშურებს ჩვენის სამშობლოსათვის. გვიკვირს და გვაოცებს, თუ ასეთი რა დაუშავა ბედკრულმა საქართველომ თავისს მეზობელ ერსა, რომ, მაგალითურ, გარდა დღიც-კი დიდებულს ვახტანგ გორგასლანს მხდალად და შშიშრად ჰხადის და იმის ლაშქარს უპატირუად იხსენებს!... იქნება, თქვენც მოგეხსენებოდეთ, რომ პირველადვე სომეხნი მიწა-წყალს გვდავებოდნენ და სულ იმის ფიქრსა და ცდაში იყვნენ, რომ გაეგლიჯათ რამე. როცა შეეძლოთ აკი გაგვგლიჯეს კიდეც და ვნის არე-მარედგან აქათგენ გამოვლალეს. ახლანდელი გარემოება ხომ ყველას თვალწინ უდგია. ახლა სომხობა სურამის უდელტეხილისკენ მიგვერეკება. კადნიერება იქამდე მივიდა, რომ მთელი საქართველო რუპაზე სომხეთად დახატეს და ასეთი რუკა „დიდისა სომხეთისა“ მთელ ევროპას მოჰყინეს. ეს ხომ ასეა, მაგრამ ძმობასა და ერთობას მაინც ჩვენ გვიქადაგებენ და კაცთა მმულვარედ ჩვენ გვთვლიან! ცხადზე ცხადია, რომ ქართველობა მხოლოდ მოსულს მეზობელს იგერიებს

და ამასაც-კი, ძმობისა და ერთობის სახელით, ჩვენვე დანაშაულად გვდებენ და მერე იცით ვინ?—ჩვენივე ლიბერალნი!

მაგრამ ჩვენი უსუსურობა იმაშია, რომ ახლაც მაღალი ფრაზა გვხიბლავს. ლიტერატურული „ეტიკეტი“ კერპად გავიხადეთ და ამიტომ ქართველ პუბლიცისტს ისრე არა ასიამოვნებს რა, როგორც „პროგრესისტის“, „ლიბერალის“ სახელი. მეზობლებმა კარგად იციან ეს ჩვენი სისუსტე და ასე ხშირად წინ გვიფენებ ლიბერალურ და პროგრესიულ ზიზილ-პიპლებს. როცა ეროვნული ბრძოლა არსებობს, მაშინ კლასებრივს ასახელებენ, ბურუჟა ებრძვის ქართველ ფეოდალს და არა სომეხი ქართველსაო... ჩვენც ასეთ ბრძოლას ტაშს ვუკრავთ და სინაძვილეს კი ვერ ვხედავთ.

დროთა ბრუნვამ გუშინდელი ჩუმი და წყნარი მეზობელი ონაგრად გაგვიხადა, ეს ონავარი მოგვისია და იერიშით ზედ მოგვაყენა. ჩვენ-კი მოგერიების ნებასაც არ გვაძლევენ.

დიალ, ჩვენს მდგომარეობაში, უპირველეს ყოვლისა, სიფხიზლე და კულტურული, მედგარი კანონიერი ბრძოლაა საჭირო და არა „ნანინას“ სიძლერა, რომელიც თვლემას და ძილს ჰგვრის საზოგადოებასა. სწორედ ასეთი თვლემა და ძილი არ ასცდება ჩვენს ერსაც, უკეთ ჩვენის უდროოდ მომწიფებულ ლიბერალების გალობას აპყვება... » (გაზ. „ივერია“, 1902 წ. №170).




თავი II

როგორ და რატომ იტაცებდნენ და იტაცებენ სომხები ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს

1. შესავალი

ამ თავის წანამძღვრად დიდი ილიას შემდეგი სიტყვები გამოიდგება: „სომეხთა მეცნიერთა და მათთა აქართა ონები კარგა ხნის ამბავია... ამისთანა ტყუილი და გაცუდლუტებული ისტორია-გეოგრაფია ვისი უნარი უნდა იყოს? ის დღეა და ეს დღე, სომხის მწიგნობარნი იმის ცდასა და მეტყველებაში არიან, რომ საქართველო, რაც შეიძლება, ამიერკავკასიში ავის თვალით დაანახვონ ქვეყანას, რაც შეიძლება მეტი ნაწილი ჩამოათაღონ და თვით მითვისონ, რაც შეიძლება, გაუუქმონ წარსულიც, შეუბდალონ აწმყოცა. მაგალითისამებრ, ყველასათვის ცნობილია, რომ ჭოროხის ხეობა ძველად-ძველიდამვე შეადგენს ნაწილს ზემოქართლისას, საცა ბოლოს ხანებში სამცხე-სათაბაგო იყო. სომხის მწერლები კი — ემინი, ხუდაბაშოვი, ერიცოვი სწორედ ამ ადგილებს გვეცილებიან და ამტკიცებენ, რომ მტკვრის სათავის ადგილები, მთელი ჭოროხის ხეობა — დიდს სომხეთს ეკუთვნოდნენო. თითქმის ერთის სახტომს ადგილს-და გვარჩენენ... ესეთი ოსტატობა და ოინბაზობა არ დაეფიცებათ იმათ, ვინც ძველს ქვას აცლის ძველს მონასტერს, ან ქართულს წარწერას ჰუცეკს



და ზედ სომხური ასოები გამოჰყავს, ან თვითონ ქვას იპარავს და ეშმაქმა იცის, სადა ჰკარგავს“ [3].

ტაძრების მიტაცება ქართველთა გასომხების უმნიშვნელოვანების ეტაპი იყო, ვინაიდან ისტორიულად მართლმადიდებლობა ქართველობის განმსაზღვრულ ნიშან-თვისებად ჩამოყალიბდა, მართლმადიდებლობას შეენიჭა ქართული სულიერება, ზნეობა, ცნობიერება, ჯულტურა, ყოფა, ტრადიცია და ადათ-წესები. სომხების მიერ ტაძარწართმეული ქართული მოსახლეობა კი, დაუმოძღვრავი, გაუთვითცნობიერებელი და უმწყებსოდ შოენილი, იღებდა სომხურ რჯულს, რის შემდეგაც იწყებოდა მათი გასომხებისა და ასმილაციის პროცესი, ხშირად – ძალადატანებით. ამ გზით იქნა გასომხებული ათი ათასობით ქართველი, საქართველოს მოელი რეგიონები. ამ გზით ცდილობდნენ ჩვენს ქვეყანაში შემოხიზული სომები ერთს წარმომადგენლები დიდი სომხეთის „აღდგენის“ ოცნების განხორციელებას.

ამ გზაზე განსაკუთრებულ წარმატებას სომხებმა XIX ს. II ნახევარსა და XX ს. დასაწყისში მიაღწიეს. მავრამ უდევთო ბოლშევიკებმა და მათმა მემკვიდრე კომუნისტებმა დღის წესრიგში დაყენებს მხოლოდ ერთი კლასის, მსოფლიო პროლეტარიატის, მოგვიანებით კი – ერთი ერთს, „საბჭოთა ერთს“ ფორმირება, რამაც რუსეთის შემადგენლობაში შემავალი მცირე ერების ვიწრო ეროვნული მისწრავებები შეაფერა. თუმცა ამ პერიოდის მანძილზეც სომები „მეცნიერები“ სხვადასხვა გამოცემებსა და პუბლიკაციებში თავიანთ სასარგებლოდ ჩვენი ქვეყნის ისტორიას გამაღებით აყალბებდნენ, რაშიც რუსი მეცნიერების მხარდაჭერა თვალსაჩინო იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ სომხებში კვლავ გაიღვია დაიდი სომხეთის „აღდგენის“ იღეამ, რომლის განხორციელება, რა თქმა უნდა, ისევ რუსეთის დახმარებითა გათვალისწინებული.. თუმცა პერსპექტივები ისეთი მასშტაბური ვეღარ არის, როგორიც XIX ს.-ში იყო. პოლიტიკურადაც, რუსეთის ფარგლებში შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობები სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებად და კონფლიქტებად გარდაიქმნა. შედეგად, დაინთო ომის ცეცხლი მთან ყარაბახში, ასევე, აფხაზეთსა და შიდა ქართლში. ეს უკანასკნელი უთანხმოებანი პირდაპირ არა, მაგრამ ირიბად მაინც უკავშირდებიან სომხურ „იღეას“.

სამეცნიერებლი კარაპეტიანის გამოქვეყნებული რუსა-ცნობარი და სხვა პუბლიკაციები სწორებ ამ სომხურ „იღეას“ ემსახურებიან. ანუ,

კვლავ დღის წესრიგში დგას უცხოთაგან ქართულ ტაძართა მიტაცება, ქართული კულტურის ნიმუშების ხელყოფა თუ მითვისება, ქართული მიწების დაპატრონება.

2. ისტორიის გაყალბება სომხურად

«ერევანში არსებულმა სომხური ხუროთმოძღვრების კვლევის ორგანიზაციამ 1992 წელს გამოუშვა ფერადი ბუკლეტი „ახალქალაქი“ – სომხურ, რუსულ და ინგლისურ ენებზე. მისი შინაარსის მიხედვით, არც მეტი, არც ნაკლები, ახალქალაქი ძველი სომხური ქალაქი ყოფილა. ეს ორგანიზაცია ანალოგიური ბუკლეტების გამოცემას აპირებს წყალბილაზე, ბარალეთზე, ახალციხეზე, სათხეზე და სხვა ისტორიული მნიშვნელობის აღგილებსა და ძეგლებზე. მანვე ერევანში გამოაქვეყნა რუსა-ცნობარი – „სომხური ეკლესიები საქართველოში“, 1995, ავტორია სამველ კარაპეტიანი» [2].

ხსნებულ რუსა-ცნობარის ანოტაციაში პირდაპირაა ნათქვამი: «წერილობითი წყაროების მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა, საქართველოს რაიონებში განლაგებულია 650 სომხური ეკლესია (ქართლსა და კახეთში (XIII-XIV საუკუნეებში აშენდული), ხოლო უფრო გვიანდელი: იმერეთის, სამეგრელო-კოლხეთის, აფხაზეთისა და აჭარის სომხური ეკლესიები აშენებულია XIX ს. დასასრულსა და XX ს. დასაწყისში)» [2].

დაკვირდით სიტყვებს: „წერილობითი წყაროების მეცნიერული კვლევა-ძიების შედეგად გამოირკვა...“. წინა თავში ნაწილობრივ შევეხეთ, ხოლო ამ თავსა და მომდევნო თავებში არაერთხელ წარმოვაჩენთ ამ „გვლევა-ძიების“ ნამდვილ შინაარსს, რა „გამოარკვიეს“ სომებმა მეცნიერებმა და როგორ ხდებოდა მათ მიერ ისტორიის გაუგონარი გაყალბება, ისტორიული ფაქტების ტოტალური დამახინჯება, „მეცნიერული“ თაღლითობა და ინსინუაციები.

სწორედ ამისთანა „ტყუილი და გაცუდლუტებული ისტორია-გეოგრაფიის“ ერთ-ერთი ნიმუშია რუსა-ცნობარი. ბ-ნ ს. კარაპეტიანი გუგარეთსა და ჯავახეთს – მარნეულს, ბოლნისს, დმანისს, თეთრი წყაროს, წალკას, ნინოწმინდას, ახალქალაქს, ასპინძას – „ისტორიულ სომხეთს“ უწოდებს. ამ ხეარებს კი ქართველი, უცხოელი და, რაც მთავრია, თავად ძველი სომები მეცნიერები – აგათანგელოსი, მოვსეს ხორენაცი, ჰოვანეს დრასხანაკერტცი, ლაზარე ფარპეცი და სხვ. –

ქართველთა სამფლობელოებად თვლიდნენ. მაგრამ სომები ისტორიკოსები ამ ფაქტს ვერ შერიცებიან და გაუგონარი სიკერპით ქვემო ქართლს, ჯავახეთს და, თქვენ წარმოიდგინეთ, მესხეთსაც „ისტორიულ სომხეთად“ ნათლავენ.

სომები მეცნიერთა ყალბისმქელობამ და თაღლითობამ უვროპული მეცნიერებიც კი გააკვირვა.

თავისი რუკა-ცნობარის შედგენისას ბ-ნი ს. კარაპეტიანი წყაროებად იყენებს სწორედ ისეთი ტენდენციური მეცნიერების ნაშრომებს, როგორიცაა აღ. ერიციანი და პ. მურადიანი.

მეცნიერებათა დოქტორ მურადიანის „ენერგიული და ანტიკართული მოღვაწეობა ცნობილია. ჯერ იყო და – ის-ზე დაბოლოებული ყველა ქართული გეოგრაფიული სახელი და ტოპონიმი გაასომხურა. ეს „აღმოჩენა“ რომ არ დაუკერქს, მერე მცხეთის ჯვრის ტაძარს შეუტია – სომები თოდოსაკის აშენებულიაო. ცნობილი ქართველი მეცნიერი კალისტრატე სალია პარიზიდან წერდა: „პარიზი მურადიანმა ფრანგულად გამოაქვეყნა „რევიუ დეზ ეტიუდ არმენიშენში“ სტატია მცხეთის ჯვრის შესახებ. გამოაქვეყნა მისი მეგობრის მიერ გადაღებული სომხური წარწერა (როგორც, კითომ, მცხეთის ჯვრის სომხური წარწერა-ა.უ.). შემდეგ იყო, რომ დაინტერესებულმა მეცნიერებმა თქვეს: მეცნიერებაში გაუგონარი ფალიიფიკაცია გაუკეთებია პ. მურადიანს“ (გაზ. კომუნისტი, 1990, 7 ოქტომბერი).

ვნახოთ, ბ-ნ ს. კარაპეტიანის მიერ დამოწმებულ ისტორიკოს ალექსანდრე ერიციანთან დაკავშირებით რას იგონებს ე. თაყაიშვილი: „... მიღერმა მითხრა, მუდამ ამბობდა (ე. ერიციანი-ა.უ.), რომ (საქართველოში) ყველაფერი სომხურია, ახლაც აგრძელებს ამასვე!...“, (გ. ლომთათიძე – „ქართული კულტურის მატიანე, ე. თაყაიშვილი“, 1990 წ., გვ 133).

აი, ეს „ობიექტური“ ერიციანი გაზ. „ნოვოე ობოზრენიში“ (1891, №2502) წერდა, რომ საქართველოს ქალაქებში: ტფილისში, ახალქალაქში, ახალციხეში, აწყურში, გორში, ლუშეთს, თელავს, სიღნაღს, ოზურგეთს, უფლისციხეს და სხვა, სომხები შეადგენდნ მცხოვრებლების უმეტეს ნაწილს, ზოგან, თითქმის, მარტო სომხები ცხოვრობენ. ზოგიერთი სომები მეცნიერი წმ. ნინოს, წმ. გიორგის სომხებად მიიჩნევენ. თურმე „მემატიანთ თქმულებით სომხები ყოფილან 13

ასირიელი მამანი“ (გაზ. „პოვიტ“, 1907, 344-45)» [2].

«ჩვენ, ქართველებს, იქნება მიღომით ლაპარაკი შეგვწამონ. აბა, ახლა მოვუსმინოთ იმისთანა მოწამეებს, როგორიც ლენორმანი და პანრი რაულსონია და დავინახავთ, რომ გადასხვაფერება, სხვისა თავისად დაჩემება, აფხეცა და ჩაფხეცა საბუთებისა, გაბათილება სხვისა და სხვის ადგილას თავიანთ თავის გამოჭიმვა და სხვა ამისთანა სიკეთენი მათი (სომხების-ა.უ.) ძეგლისძველი უნარია და ძველადვე ამისი ოსტატობა სცოდნიათ» [3].

«ქვემო ქართლი, ჯავახეთი რომ ძირდველი ქართული მიწაა, ეს უკვე აღინიშნა და აღარ გავიმეორებ. მაგრამ ბ-ნ მურადიანს კი შევახსენებ ერთს: დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ეპოქებში დიდი საქართველოს სამეფო გადაჭიმული იყო ნიკოფისიდან დარუბანდამდე, ე.ი აღმოსავლეთ სომხეთის ნაწილი საქართველოს სამეფოს ფარგლებში შედიოდა ყოველგვარი სუვერენული უფლებების გარეშე. თუმცა ასე შორის რატომ მივდივართ, აგრე XVIII საუკუნეში საკუთარ სახელმწიფოს მოკლებული და ერევნის სახანოდ ქცეული აღმოსავლეთ სომხეთი (უმეტესი ნაწილი) გახლდათ ერევლე მეფის ვასალი, ყმა, მაგრამ ჯერ არცერთ ქართველ ისტორიკოსს აზრად არ მოსვლია ერევანს, არარატის ველს და საერთოდ სომხეთს უწოდოს ისტორიული საქართველო. სომები მეცნიერები კი შინ თუ გარეთ შემთხვევას არ უშვებს და ყურებს უჭედავენ მსოფლიო საზოგადოებას ამ ყალბი მეცნიერული პროპაგანდით. გამოსცეს „ისტორიული სომხეთის“ ურიცხვი ფანტასტიკური რუკები და ამით შეეცადნენ უცხოელი მკითხველი დაარწმუნონ, თითქოს არ არსებობს აღმოსავლეთ საქართველო, სამხრეთ საქართველო. ეს იყო და არის მხოლოდ „ისტორიული სომხეთი,...?!” [2].

მაგრამ, «ტაბარ-მონასტრებისა და ქვების გარდა, სხვა მოწმენიც არიან ქართველობის მღაღადებელნი ამიერკავკასიაში. ამისთანა მოწამენი მატიანენი და ქრონიკებია, მეცნიერთაგან გამოიძიებულნი, და, ვითარცა ისტორიულნი საბუთი, პირში უდგანან სომებთა მწიგნობართა. კარგად იციან, რომ, თუ ეს ისტორიული საბუთები არ გააქარწყლეს, ბევრს არაფერს გახდებან საქართველოში. რა თქმა უნდა, ახლა აქედამ მოგვიარეს. მათი მეცნიერი პატკანოვი მოგვდგა და თავზე გადაგვაფხრიწა ჩვენი „ქართლის ცხოვრება“, ეს ვახტანგ VI დროს არის შეთითხნილიო, ერთადერთი წერილია – „სომხური ქრონიკა“ ჰქვიაო – და თუ რამ მასალაა ქართველების ისტორიისა, იქ თუ იპოვებაო» [3].

„ისტორიის გასომხურების“ მონდომებული მცდელობაა

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორის, ტ. მარუთიანის 1978 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოქვეყნებული მონოგრაფია „სიღრმეთა სომხეთი“. წიგნი სომხური არქიტექტურის ძეგლების სერიით სომხეთის მწერალთა კავშირის გამოცემლობის „სოვეტეკან გროლის“ მიერაა გამოცემული. ავტორი ისტორიის რუსი ყალბისძმენელის, ნ. ტოკარსკის კვალს მისდევს.

«...ნაშრომის შესავალში ტ. მარუთიანი ისეა გატაცებული ყველანაირი ქართულის გასომხურებაში, რომ ამტკიცებს, თორნიკე ერისთავი, ქართველთა სარდალი ჯოვანი, პეტრიწონის მონასტრის დამარსხელი გრიგოლ ბაჭურიანის ძე და მეფე დავით კურაპალატიც კი სომხები არიანო.

წიგნში, უსაფუძვლოდ, სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებადაა გამოცხადებული ქართული არქიტექტურის შედევრები – იშხანი, ოშკი, ბანა, ხახული და სხვ. ავტორი ყოველგვარ ხერხს იყენებს, რათა ტაო, უძველესი ქართული მიწა, სომხურად გამოცხადოს, ხოლო მისი მკვიდრნი – სომხებად. ტ. მარუთიანი ქართული კულტურისაგან იზოლირებულად განიხილავს ტაოს ქართულ არქიტექტურას, ყოველ ღონეს ხმარობს, ტაო და მისი მიმდებარე ტერიტორია, თავისი ქართული არქიტექტურული ძეგლებით სომხურად წარმოაჩინოს.

ასეთია ტ. მარუთიანის მონოგრაფიის „სიღრმეთა სომხეთი“-ის შესავალი, რომელშიც ავტორი შესაბური „ობიექტურობით“ წარმოგვიდგენს ტაო-კლარჯეთის ისტორიას. ამ „ობიექტურობის“ მიზანი აშკარაა: თუ ეს მხარე, განსაკუთრებით ტაო, სომხური მიწა იყო, მაშინ, ბუნებრივია, იქ აშენებული ტაძრებიც სომხური არქიტექტურის ძეგლებია. სწორედ ამ პოზიციის განსამტკიცებლად ყოველნაირად ცდილობს ტ. მარუთიანი ტაოს ქართულ ძეგლთა გასომხურებას.

იშხანი. იშხნის ტიპის ეკლესიების განმეორებაა მეფე გაგიკის მიერ აგებული წმ. გრიგოლის ტაძარი (1001 წ.). საქართველოში ამ ტიპის ეკლესია (ბანა) აშენდა მხოლოდ X საუკუნის დასაწყისში. ტ. მარუთიანი ბანასაც გადასწვდა. საოცარი ისაა, რომ ტაძრის ქართულ სახელს – ბანას იგი მოურიდებლად ცვლის სომხური სახელით „ბანაკ“.

ტ. მარუთიანი მოუსვენარი მკვლევარია, იგი თავის წიგნში – „სიღრმეთა სომხეთი“ ღმერთ ტაძარსაც შეხხო და ისიც, მისთვის ჩვეული „ოსტატობით“ და „სერიოზული მეცნიერული შესწავლის“ საფუძველზე, თავისი ერის კუთვნილებად გამოაცხადა.

ტ. მარუთიანის კვლევის შეძლევი ობიექტია **ხახულის ტაძარი.** ჯერ სახელწოდების შესახებ – მარუთიანი აქაც ქართული ტაძრის

სახელწოდებას სომხური ფორმით ცვლის და მას ხახუ-ს უწოდებს.

ტ. მარუთიანი ჯიუტად ანვითარებს თავის აკვიატებულ ცალმხრივ აზრს ტაოს ქართული ხუროთმოძღვრების შესახებ (ექიქი, პარხალი, დორთქილისა, ტაოს კარი და სხვ.). მაგალითად, საისტორიო მწერლობაში ცნობილი ტაოსკარის სახელწოდებას ელვის სისწრაფით „ტაოოც ქარ“-ით (ტაოს ქვა) ცვლის თუ რატომ, რის საფუძველზე, ამის შესახებ დუშს.

თუმცა ამ საქმეში ტ. მარუთიანი მარტო არ არის და მას მხარს უშევებს პ. მურადიანი, რომელმაც სომხურ ლიტერატურულ გაზეთში („გრაკინ თეთრ“, 1988, 26 აგვისტო) გამოაქვეყნა ვრცელი სტატია სათაურით: „ტენდენციური ისტორიული შეხდულება“. პ. მურადიანი „ცნობილია“ ძველი ქართული კულტურისადმი მიმტაცებლური დამოკიდებულებით: მცხოვის ჯვრის ტაძარი სომხური არქიტექტურის ძეგლად აქცია, მეთვრამეტე საუკუნის ქართული მწერლობა მხოლოდ სომხები მწერლების შექმნილად გამოაცხადა, ნ. ბარათაშვილი მოწაფედ დაუყენა ხ. აბოვანის და მრავალი ასეთი „მეცნიერული გმირობა“ აქვს ჩადენილი მას.

ტ. მარუთიანი საბოლოოდ ყოველგვარ მეცნიერულ და ზნეობრივ საფუძველს მოკლებულ დასკვნას გვთავაზობს წიგნის („სიღრმეთა სომხეთი“) დასასრულს: „კლარჯეთის სამხრეთით მდებარე სიღრმეთა სომხეთის არქიტექტურული ძეგლები: იშხანი, ბანაკი, ხახუ, ექქი, ტაიოც ქარი აშენებულია ამ ქვეყნის მკვიდრი (?! ბ. ა.) მოსახლეობის – სომხები მონოფიზიტი და დიოფიზიტი მრევლისთვის“.

ალბათ, ტ. მარუთიანიც (და არა მარტო ის) ჰამბურცუმასავით არაერთხელ შემიბრუნებს კითხვას, მაგრამ ტაოს ქვანი თავიანთ თავზე თვითონვე ღაღადებენ ჭეშმარიტებას და ითხოვენ შველას ტ. მარუთიანის მსგავს მეცნიერთა ხელყოფისაგან“ [25].

«მხილება არაფრად ეჭაშნიკება ავის მქმნელს, მაგრამ ეს როდია იმის საბუთი, რომ თვალი დავიბრმავოთ, ყურებში ბამბა დავიცოთ, ენა მოვიჭრათ... საფუძვლიანი და საბუთიანი სიბოროტის და სიავის მხილება საჭიროა და აუცილებელი. საბუთიანს მართალს მხილებას, თუნდა მტერი ერისას, გონიერი ერი მადლობით ეპყრობა და არა რისხვითა და შფოთოთა....» [3].

სომებ ყალბისმქმნელთა რიგებს „ამშვენებს“ თბილისის უნივერსიტეტში უკვე მერამდენე მეცნიერად გამომცხვარი და

მისი ეს საქციელი, უფრო სწორად უსაქციელობა, უზნეობა, გამოხატული მისსავე ტენდენციურ შრომებში, იმდენად ამაზრზენი და მომაბეზრებელი გახდა, რომ თვით ბ-ნ მურადიანის თანამემამულების აღშფოთებაც კი გამოიწვია. მაგალითად, ერთ-ერთი ცნობილი სომეხი საზოგადო მოღვაწე წერს: „აკადემიკოსი მარიკა ლორთქიფანიძე ისტორიკოსთა საზოგადოებაში პირდაპირ იერიშზე გადავიდა სომეხ მეცნიერებთან ამ კაცის გამო. სომხები აცხადებენ, მურადიანი სომეხი ერის ქრონიკული ვენერიული დაავადებაა და მის მოსაკრილებლად ლონეს არ იშურებენ“.

ბ-ნ მურადიანს კიდევ ერთხელ შეგახსენებ: ეს კლეისიები (შავნაბადა, თელეთის, ბეთლემის, ქარაფის ქალწულთა ეკლესიები, რომელსაც ბ-ნი მურადიანი სომხურად რაცხავს-ა.უ.) და მრავალი სხვა, რომელთა ჩამოთვლა შორს წაგვიყვანს, იყო ქართული. მაგრამ სხვადასხვა დროს შემოზიზნულმა სომხებმა, არცთუ სასახელო ხერხებით, მიისაკუთრეს. მოსპეს მათზე არსებული ყოველგვარი ქართულის კვალი, გადააკეთეს ან მასზე დაშენეს სომხური კლეისიები და გაუკეთეს სომხური წარწერები. შეადგინეს მშენებლობის სარჯთაღრიცხვა, ანგარიში და სხვა, რომელიც დაკულია

საქართველოს სომხური ეპარქიის არქივში. ეს არქივი კი გადატანილია ერევანში. ამ ქართული ეკლესიების სომხურობის დამადასტურებელ ერთ-ერთ საბუთად ახლა ამ სამეურნეო ანგარიშებს გვიყენებენ. ამ და სხვა ეკლესიებისა და აღრინდელი ქართულობის მაუწყებელი საბუთები დაცულია საქართველოს არქივებში, საისტორიო წყაროებში, გადმოცემებსა და პერიოდიკაში. ეს ყველაფერი შეძლებისდაგვარად გამოყენებულია ჩვენს წიგნში – „სომხური თუ ქართული ეკლესიები საქართველოში?!“. სომხური ეკლესიის ისტორიის სპეციალისტმა ბატონმა მურადიანმა, ალბათ, უნდა იცოდეს, უხეში შეცდომა კი არა, უფრობაა, სომებს მონოფიზიტებს „გრიგორიანებს“ ოომ უწოდებს. არ შველის საქმეს ამ სიტყვის ბრჭყალებში ჩასძა. სომებს მონოფიზიტებს პირველად „გრიგორიანები“ ოფიციალურად უწოდეს და დაუკანონებს სომხეთის მეგობარმა რუსეთის ჩინოვნიკებმა 1836 წლის 11 მარტის დადგენილებით. ეს იგივეა, ქართველებს – ნინოელები, რუსებს ვლაძიმირელები უწოდოთ. ამ მცდარი ტერმინის წინააღმდეგ ჯერ კიდევ 1911 წელს გაილაშქრა პროფესორმა ლეონ მელქისეთ-ბეგმა.

ბოლომდე ვერ გავიზიარებ ერთი ცნობილი სომეხი მოღვაწის აზრს ბ-ნი მურადიანის ფსიქიური მდგომარეობის შესახებ – „იქაც არის (იგულისხმება ერევანი) ერთი-ორი გიუ. არის ერთი პარუინ

მურადიანი. ის არის საეკლესიო არქიტექტურის სპეციალისტი. იგი ამბობს, რომ მცხეთის ჯვრის ეკლესია სომხური ეკლესიაა. ვეუძნები, მაჩვნენ ისტორიული წყარო, რითაც დაამტკიცებ-მეთქი, და იცით რას მიჩვენებს? ისტორიულ წყაროს, თუ როგორ აშენებდნენ სომხები. მოდით და ეკამათეთ. მშენებლობაზე მუშაობა რომ ოსტატობა არა და ოსტატობა აასოლუტურად სხვა რამეა, ამას რომ ვერ ხვდება, აბა, რაღაზეა ლაპარაკი?“ („მართალი გაზეთი“, 2000, №16, ნოემბერი).

ბ-ნ მურადიანის პიროვნების მეცნიერული სახის სრულად წარმოსახენად მოვიტანთ კიდევ ერთ ფაქტს. ლიტერატურული გაზეთის „გრაკან თეთრ“ (1996 წელი. №30, 3. XII) ფურცლებზე გამოქვეყნებულია ინტერვიუ ბატონ პარუირ მურადიანთან — „არმენოლოგია გუშინ და ხვალ“. ამ გაზეთის თანამშრომლის რაიან ხასაპეტიანის დაწერილ შესავალში კითხულობთ: „მამტოცის პრემიის ლაურეატი (მურადიანი) სამართლიანად ითვლება სომხეთში კავკასიათმცოდნეობის ახალი სკოლის ფუძემდებლად“.

ცნობილი კავკასიათმცოდნების მარი ბროსეს, ნიკო მარის, ნ. ადონცის, ლეონ მელქისეთ-ბეგის – სომხეთის გარეთ, ხოლო სომხეთში – სურენ ერემიანის, გურგენ სევაკის და სხვათა შემდეგ საინტერესოა, რა ახალი კავკასიოლოგიური სამეცნიერო სკოლა შექმნა ბატონმა მურადიძემა, და, თუ ეს მართლა ასეა, მაშინ გასაგებია, რატომ გამოიჩინა უკანასკნელი ათეული წლები ანტიქართული გამოცემების სიუხვით ერევანი» [25].

ა.შ. სწორედ ამ მოსაზრების დასასაბუთებლადაა გამიზნული (ალბათ მაღლე წამოგვიყენებენ ალიბად) ქვემო ქართლის ეკლესიებიდან ეჩმიაძინში (1978 წელს) გატანილი საეკლესიო წიგნები. იმხანად რესპუბლიკის სახელმწიფო არქივის ხელმძღვანელობამ, რის ფასად ვერ ვიტყვით, მაგრამ ფაქტია, რომ მხოლოდ თეთრი წყაროდან წაიღეს (სომხებს გაატანეს) 71 წიგნი. სომხურ სოფლებად ჩათვალეს და წაიღეს წიგნები – ღურნუკიდან (დიდი და პატარა), 1877-1885 წლები, სულ 11 წიგნი; აღბულალიდან (იგივე თეთრი წყარო, უფრო ადრე გორისი), 1878-1886 წლები – 8 წიგნი, სამშვილდიდან იმავე წლებში 9 წიგნი, დიდი თონეთიდან 1868-1885 წლები (ნუ დაგვავიწყდება, აյ მასწავლებლობდა დიდი ვაჟა-ფშაველა. აյ დაიბადა ვახუშტი კოტეტიშვილი) 17 წიგნი; პატარა თონეთიდან, 1878-1885 წლები – 9 წიგნი; სოფელ კოდიდან ამავე წლებში 9 წიგნი (სულ 71)» [22].

«მიყვეთ ინტერვიუ-პასუხს და ბოლომდე ჩამოვხადოთ ნიღაბი პარუირ მურადიანს. იგი ცრუობს, როცა აცხადებს – ჯავახეთის სომხური რუკის გამოცემასთან არავითარი კავშირი არ მაქსო. აგერ ჩემს წინ დევს რუკა – „ჯავახეთი და მისი რაიონები“, (გამოცემლობა „ზვართნოცი“, 1995 წ.). მისი გამოცემის კომისიის წევრები არიან: ალბერტ ისოიანი, არუშან ჰაკობიანი, პიონ ჰაკობიანი, გელას ჰარუთინიანი, აშოტ მელქოიანი, პარუირ მურადიანი, სარგის ვარდეს სიანი, მიქაელ გევორქიანი.

ახლახან ბეირუთში სომხურ ენაზე გამოვიდა სამცელ კარაპეტიანის ავტორობით რუკა-ცნობარი „ჯავახეთის ისტორიული ძეგლები“. სახელწოდების მიხედვით, მასში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო ჯავახეთში არსებული ქართული ისტორიული ძეგლების სრული ჩამონათვალი, რასაკვირველია სომხურთან ერთად. აღარას ვამბობ ბიზანტიურზე, მაგრამ ნურას უკაცრავად – მასზე მხოლოდ სრულად არის აღნიშნული საეჭვო ისტორიული სომხური ძეგლები, ხოლო ქართული – რამდენიმე ძეგლით არის წარმოდგენილი» [25].

სამწუხაროდ, ისტორიის გაყალბებაში თავისი წვლილი შეიტანა ერევნის უნივერსიტეტმაც, რომელმაც გამოსაცემად მოამზადა და გამოსცა „სომხეთისა და მისი მიმღებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონის“ ხუთტომეტეული. „პირველი ტომი გამოვიდა 1986 წ,

მეორე – 1988, მესამე – 1991 წ, მეოთხე 1998 წ, მეხუთე – 2001 წ. მასში სომხურთან ერთად შეტანილია არც თუ მცირე რაოდენობით ასირიულ–ბაბილონური, ხეთურ–ჰურიტული, ბიზანტიური, არაბული, თურქული, ქართული, ალბანური, აზერბაიჯანული, რუსული, ქურთული წარმომავლობის, სხვადასხვა დროს წარმოქმნილი სახელები. ლექსიკონში შესული ტოპონომური ფართობი მოიცავს 400 ათას კვ. კმ-ს.

მიზანი კი არის, ყოველგვარი ეტიმოლოგიური მნიშვნელობის განმარტების გარეშე, სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა აღნუსხვა. ლექსიკონის მიზანი და დანიშნულება, ჩვენის აზრით, ტენდენციურია, რაც სახელწოდებაშივე ჩანს: „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმთა ლექსიკონი“. მისი პირველი ნაწილის აზრი ნათელია, მაგრამ ეჭვისა და დავის საფუძველს იძლევა მისი მეორე ნაწილი – „მისი მიმდებარე ტერიტორიები“. ვუიქობ, ამ ნაწილში გარკვეული აზრია ჩადებული.

ლექსიკონის ავტორებმა სომხეთის ტოპონიმიის აღსანუსხავად ერთობ ფართოდ მოხაზეს სამუშაო არეალი და ამიტომ სომხეთის მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმებიც თავისკენ მიითვალეს. მათ ისტორიული სომხეთი და მისი ყველაზე აყვავებული ზანა – დიდი სომხეთის ეპოქა აიღეს. მართლაც: სომები ხალხის ისტორიის ამ ოქროს ხანაში სომხეთის სამეფო გაძლიერდა და მეზობელ ხალხთა მიწები ბლომად იგდო ხელთ. მათ შორის ქვემო ქართლის (გოგარენე, გუგარქი) ფართო მოცულობის ტერიტორიის ანექსია მოახდინა. VI ს-ის ბოლოს „დიდი სომხეთი“ დაიშალა, მაგრამ ეს ფაქტი, ქართული მიწების ანექსია, არ იძლევა საფუძველს, რომ ეს ძირძველი ქართული მიწები ისტორიულ სომხეთად გამოვაცხადოთ, როგორც ამას აკეთებენ ლექსიკონის ავტორები, და არა მარტო ისინი, სამწუხაროდ. ამ რიგის სომებს მეცნიერთა ლოგიკას თუ გავყვებით, მაშინ სრული საფუძველი გვაქვს, დავით აღმაშენებლის მიერ სომხურ ქალაქ ანისის გათავისუფლება დამპყრობთა უღლისაგან (1124) და ქართული გარნიზონის ჩაყენება აღვიქვათ ისე, რომ ანისი და მისი მიმდებარე ტერიტორია, ტოპონიმია იყო ქართული და ქართულ ტოპონიმითა ლექსიკონში უნდა შევიტანოთ. ანდა, თამარ მეფის ეპოქაში თითქმის მთელი აღმოსავლეთ სომხეთი საქართველოს სამეფოს ემორჩილებოდა, ამის გამო შეიძლება აღმოსავლეთ სომხეთს

ვუწოდოთ ისტორიული საქართველო და მისი გეოგრაფიული ნომენკლატურა ქართულ ტოპონიმთა ლექსიკონში მოვათავსოთ? თუმცა ასე შორის რატომ მივდივართ, აგერ XVII ს-ში მეფე ერეკლე II დროს მთელი ერევნის სახანო (სომხეთის სამეფო XI ს-ში დაიშალა) ქართველი მეფის ვასალი იყო. განა ეს იძლევა საფუძველს, ერევნის სახანო, არარატის ველი, ეჯმიაწინი, ქანაქერი და მისი ძევლი სომხური ძეგლები, ისტორიული საქართველოს მიმდებარე სომხური ტერიტორიების ტოპონიმები ქართულ ტოპონიმთა ლექსიკონში შევიტანოთ?

აი, ასეთ ასურდამდე მიდის ზოგიერთი სომები ისტორიკოსი, ენათმეცნიერი თუ ლექსიკოგრაფი თავიანთ ნაშრომებში, რომელთაც ევროპულ ენებზე ბეჭდავლნებ და მთელ შსოფლიოში ავრცელებდნენ ბევრ ასეთ სიყალბეს. განა ამგვარი შეგნებულად „მცდარი“ შეხედულების შედეგი არ არის ტაო-კლარჯეთის ქართული მიწის და არქიტექტურის არაქართულობის, უფრო სწორად „სომხურობის“ მტკიცება? ამ საკითხის ისტორიას აღარ გავყვები და მოკლედ მოვჭრი. 1946 წელს სომები მეცნიერების დაკვეთით პროფ. ნ. ტოკარსკიმ ერევანში გამოსცა – „ძველი სომხეთის არქიტექტურა“. მან, არც მეტი და არც ნაკლები – ტაო-კლარჯეთის არქიტექტურა სომხურად გამოაცხადა. მას გამანადგურებელი პასუხი გასცა და სიყალბეში ამხილა აკად. ს. ჯანაშიამ („,სტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“, 1947 წ.), მაგრამ სომებს მეცნიერთა დამოკიდებულება ტაო-კლარჯეთის მიმართ არ შეცვლილა. ამას მოწმობს ახლახან მოსკოვში გამოცემული „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მესამე ტომი, რომელშიც კვლავ სომხურად არის გატანილი ტაო-კლარჯეთის ქართული ხუროთმოძღვრება. ოდნავ ვრცლად გვინდა შევტერდეთ ერთ ანალოგიურ მონოგრაფიაზე.

ჩვენ აღვნიშნეთ და კიდევ ვიმეორებთ – სომხეთთან მიმდებარე ქართული მიწები – ლორე–ტაშირი, ჯავახეთი, სამცხე, ტაო-კლარჯეთი, შავშეთი და ა. შ., გარკვეულ პერიოდებში დაპყრობილი იყო სომებთა მიერ, მაგრამ ეს არამც და არამც არ ნიშნავს ამ ტერიტორიების სომებთა ძველთაგანვე კუთხით და მიწა–წყალი, თავისი ქართული მოსახლეობით. ვერ დავეთანხმებით ბოლნისის სიონის და მის ახლომახლო არსებული ტოპონიმების ლექსიკონში შეტანილ ზოგიერთ განმარტებას. მაგ.,

ბოლნისის რაიონების შესახებ ვკითხულობთ: „ბოლნისები – სოფელი დიდი სომხეთის, გუგარქის ქვეყანაში, ბოლნაფორის გავარში, მოხსენიებულია შეა საუკუნეების ქართულ წყაროებში. ამჟამად შედის საქ. სსრ რესპუბლიკის ბოლნისის რაიონში“. აქვე უნდა აღინიშნოს, ამ ვრცელი ტერიტორიის ტოპონიმთა უმრავლესობა ქართული იყო და დარჩა ქართულად.

წულრულაშენი – „ტაძარი, დიდი სომხეთის გუგარქის ქვეყანაში, ბოლნაფორის გავარში, ამჟამად შედის საქ. სსრ რესპუბლიკაში, ბოლნისის რაიონში.....“

ლექსიკონში ასეა განმარტებული: „თრედქ – თრიალეთი... წალქარ – წალკა, გავარი „ერკი“, დიდი სომხეთის გუგარქის ქვეყანაში“. – „ხუჭაპ – სომხეთის გუგარქის ქვეყანაში, ტაშირის გავარი, ამავე სახელის მქონე სოფლის ახლოსაა. ეს ტაძარი აშენებულია XII ს-ში. მდებარეობს სომხეთის სსრ-ში, კალინინის რაიონის სოფელ პრივოლნოში. ტაძარი აშენებულია ბერძნული არქიტექტურის სტილით“. სომხური ენციკლოპედიის მე-5 ტომში (1979) ხუჯაბი შეტანილი არ არის. სხვათა შორის, არც ძველ სომხურ წყაროებშია მოხსენიებული. „სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა ლექსიკონის“ ავტორებმა სასწავლოდ შეიტანეს მასში ცვლილება. სომხური არქიტექტურის ნიმუშად ვერ თქვეს, მაგრამ ჰუჯაბის ქართველობა მაინც არ აღიარეს და ბერძნულად გამოაცხადეს. არადა, ჰუჯაბის ტაძარი არის XII ს-ის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი. კიდევ უფრო სამწუხაო ის არის, რომ ჰუჯაბის დაპატრონების მიზნით, სომხეთის საზღვარი 400 მეტრით არის გადმოწეული, რათა ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსი სომხეთის ტერიტორიაზე მოხვდრილიყო. რაც შეეხება ჰუჯაბის სააღმშნებლო ქართულ წარწერას, იგი გაუნადგურებიათ ჯერ კიდევ XIX ს-ში. ამის შესახებ არის ცნობა 1896 წ. უურნალ „მწყემსში“. ეს ინფორმაცია ქართულ უურნალს „მოსკოვსკიე ვედომოსტიდან“ გადმოუტარდია.

ჰუჯაბის სამონასტრო კომპლექსის ამ ლექსიკონში შეტანა იმაზე მიუთითებს, რომ სომებმა მეცნიერებმა, თავიანთი ჭკუთ, მიისაკუთრეს ქართული ხუროთმოძღვრების ეს შესანიშნავი ძეგლი.

ამ სტატიაში ლაპარაკია, თითქოს ქართველთა ხელში გადასვლის შემდეგ ჯავახები გახდა ჯავახეთი. მოხდა პირიქით, ძირძველი ქართული

მიწა ჯავახეთი ძველმა სომებმა ისტორიკოსებმა მოიხსენიეს ჯავახქად. ისე როგორც თბილისი – თფლისად აქციეს. ჯავახქ, თფლის არის ქართული ტოპონიმების არმენიზებული ფორმა. ეს განა მათ სომხურობას ნიშნავს? რაც შეეხება ჯავახეთს, 387 წელს ქართლმა კი არ შეიერთა, როგორც სტატიის ავტორი წერს, არამედ ამ წელს დაიბრუნა თავისი ძირძველი კუთვნილი ქართული მიწა. სტატიაში ჯავახეთის ეთნიკური მონაცემები აღებულია 1879 და 1903 წლის აღწერის მიხედვით. ავტორი ამას სპეციალურად აკეთებს, რადგან ამ წლებში ჯავახეთში რიცხობრივად სომხები სჭარბობენ ქართველებს. მაგრამ ეს უპირატესობა იყო ხელოვნურად შექმნილი. საქმე იმაშია, რომ 1830 წლამდე ქართველობა ჯავახეთში 90 პროცენტამდე აღწევდა. დანარჩენები იყვნენ სომხები, ებრაელები და სხვ. 1830 წელს, როცა პასკევიჩმა ერზრუმის სომხების 40000 ოჯახი დაასახლა ჯავახეთში ქართველების ადგილზე, ქართველებს ნება არ მისცეს ჯავახეთში ცხოვრების. მაშინ დემოგრაფიული უპირატესობა მოიპოვეს სომხებმა. ამიტომ აიღო სტატიის ავტორმა 1879, 1903 წლების ჯავახეთის აღწერების მონაცემები და ამით, თავის ჭკუთ, თანამდებოვე ჯავახეთი სომხურ მხარედ წარმოადგინა. ისე, ამ ლექსიკონის მიხედვით გამოდის, მთელი ქვემო ქართლი, ტაო-კლარჯეთი, სამცხე-ჯავახეთი ისტორიული სომხეთი ყოფილა... აი, ასეთი გამოცემების წყალბითავა, ჯავახელ სომხებს ვერ დააჯვრებ, რომ ისინი ქართულ მიწაზე ცხოვრობენ. მათ ჯავახეთი სომხურ მიწად მიაჩნიათ. ამგვარი მცდარი აზრის განმტკიცებას ჯავახელ სომხებს შორის ხელს უწყობს ზოგიერთი სომები მკვლევარი თავის ტენდენციური ნაშრომებით თუ საჯარო ლექციებით.

ისინი ამ ლექსიკონს გამოიყენებენ დოკუმენტად, როცა საქართველოს მორიგ ტერიტორიულ პრეტენზიებს წამოუყენებენ. თუმცა არც ახლა პასიურობენ და ჯავახეთს, ქვემო ქართლს, ტაო-კლარჯეთს ისტორიულ სომხეთად აცხადებენ, ხოლო იქ არსებულ ქართულ ძეგლებს იჩემებენ...

ერვანგმი რუსულ ენაზე გამოცემული სასკოლო სახელმძღვანელო – „სომები ხალხის ისტორია“ (1985). მასში შავით თეთრზე წერია: „სომხეთის მთანეთი, ანუ სომხეთი“. კარლო თოფურია მართებულად სვამს კითხვას: „რა არის ეს? თუ საგნის მასწავლებელი, მისი მოსწავლე და საზოგადო მკითხველი დაუჯერებს ასეთ

ურაპატრიოტულ განცხადებას, მაშინ ისინი ყოველგვარი ყოფმანის გარეშე გამოაცხადებენ:

რომ ახალქალაქი, ბოლნისი, მარნეული, ვიდრე აღვეთის აუზამდე, ძველთაგანვე სომხეთის ტერიტორია იყო და არის;

რომ ჭოროხი და მისი შენაკადის 80-90% სომხეთის მთიანეთზე, ანუ სომხეთის ტერიტორიაზე მოდის;

რომ ძველთაძველი ქართული კულტურის ძეგლები, რომელთა დიდი ნაწილი სამხრეთ საქართველოში მდებარეობს, სომხეთის მთიანეთზე ან სომხეთის ტერიტორიაზე ყოფილა განლაგებული“ (ურნალი „სკოლა და ცხოვრება“ 1989წ. №5).

კიდევ ერთიც - ასეთი პარანოიკული ასირების ნიმუშია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე გამოცემული, მსოფლიოში ცნობილი, მოსკოვის ლითონმცოდნების ინსტიტუტის წამყვანი მეცნიერთანამშრომლის, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის, ვინმე არტაშეს არწრუნის წიგნი - „„**მარტინ და მარტინი**“ ეს ტერმინი და არც არც ნაკლები, მსოფლიო ცივილიზაციის შემქმნელად გამოცხადებულია სომხეთის მთიანეთი, სომხეთი ხალხი, სომხეთი, სომხური ენა და ა. შ. ვფიქრობ, ზედმეტია კომენტარი...

1987 წელს ურნალ „გარუნში“ (გაზაფხული, №3) დაიბეჭდა ხოსრო თოროსიანის სტატია „შუშანიკის წამება“, რომელშიც სომხეთი ავტორი კატეგორიულად აცხადებს ამ თხზულების არაქართული წარმომავლობის შესახებ. იგი ამ მხატვრული ქმნილების არამცნიერული შეფასებით ცდილობს მის სომხურ ორიგინალურ თხზულებად წარმოჩენას.

ამგვარი ნაშრომის გამოქვეყნება სოლიდურ ურნალში არაფრით არის გამართლებული, არც მეცნიერულად და არც ეთიკურად. ასე წერა მეზობელი ერის შესახებ ჩვენს ქოქაში მოუღებელია, მითუმეტეს, შუშანიკის სახელთან დაკავშირებულია ქართველ-სომეხთა მეგობრობა და ურთიერთპატივისცემა. მასზე დაწერილი შრომები ამასვე უნდა ემსახურებოდეს.

ქართველოლოგმა პ. მურადიანმა, ცრუ საბუთებით „ხელდამშვენებულმა“, ქვეყანა შეძრა და მცხეთის ჯვარი სომხური წარმომავლობის ძეგლად აქცია. ამასაც არ დასჯერდა და ქართულ

-ის-ზე დაბოლოებული ტოპონიმები სომხურად გამოაცხადა. ვინც დაუკვირდება პ. მურადიანის ამ „ძიების“ შორს მიმავალ აზრს, ის იოლად მიხვდება, თუ რა „კეთილი“ ზრახვები ამოძრავებს მის ავტორს საქართველოსადმი. პ. მურადიანის ეს „ძიებანი“ არის „ერთგვარი აღორძინება“ და „მეცნიერული მტკიცება“ დაშნაკი „მოღვაწეების“ მიერ გამოშვებული ეგრეთწოდებული დიდი სომხეთის ისტორიული რუკისა, რომელსაც აკად. ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად უწოდა „ფანტასტიური“. ამ რუკაზე, სხვა „სიკეთებთან“ ერთად, ქართლის ნახევარი და, თავისთავად, თბილისი, სომხეთის საზღვრებში იყო მოქცეული. ასეთი ზღაპრული რუკის ისტორიული და მეცნიერული უსაფუძვლობის დამტკიცება თავის დროზე არავის გასჭირებებია და საპნის ბუშტივით გაქრა. ყოველ შემთხვევაში ასე გვეგონა, მაგრამ მწარედ შევცდით, რადგან ამ ე.წ. რუკის უტოპიური შინაარსი დღეს ხელახლა აღორძინებულა.

ერევანში სომხურ ენაზე 1967 წელსაა გამოცემული ფილოლოგის მეცნიერებათა დოქტორის პ. ჰაკობიანის ვრცელი მონოგრაფია „ხაჩატურ აბოვიანი“ (სომხურ ენაზე). მასში ხაჩატურ აბოვიანის თბილისში ცხოვრება და მოღვაწეობა ისეა წარმოდგენილი, თითქოს ამ პერიოდში, მეცნიერებები საუკუნის პირველ ნახევარში, საქართველოს დედაქალაქში მხოლოდ სომხები ცხოვრობდნენ და მარტოდენ სომხური კულტურა დომინირებდა. ავტორი გაცვრითაც კი არაფრის ამბობს თბილისში ქართული ეროვნული მწერლობისა და ინტელექტუალური აზროვნების შესახებ.

პ. ჰაკობიანმა თბილისის სომხური საზოგადოებრივი ცხოვრება ქართულისაგან იზოლირებულად წარმოადგინა, რომ მკითხველის თვალში უფრო დამაჯერებელი გაეხადა თბილისის დაარსების სომხური წარმოშობა: „**რას წარმოადგენდა წარსულში თბილისი?** – კითხულობს პ. ჰაკობიანი და თვითონვე პასუხობს: „**ძველ დროში თბილისი იყო გუგარქის საბდეშხოს ერთ-ერთი სანაპირო ციხე-სიმაგრე, რომელიც შემდეგ ქართველთა ქვეყნის დედაქალაქად გადაიქცა**“.

ჯერ გუგარქის შესახებ:

გუგარქი არის ქართული გოგარენის სომხური სახელწოდება. გოგარენე ქვემო ქართლის ნაწილს მოიცავდა და მკვიდრ მოსახლეობას გოგარები წარმოადგენდნენ, რომლებიც ერთ-ერთ ქართულ ტომს განეკუთვნებოდნენ.

ნ. მარს გოგარენე (აქ მცხოვრები გოგარები) ქართველთა წარმომავლობის ტომობრივ მიწად მიაჩნდა. ასევე უძველეს ქართულ მხარედ თვლიდნენ გოგარენს სენ-მარტენი, მარი ბროსე, დ. ბერძნიშვილი და სხვანი, თუმცა, რაღა შორს მივდივართ, თვით V საუკუნის სომეხი ისტორიკოსი, მოსე ხორენაცი წერს: – გუგარქის მოსახლეობას ძველთაგანვე იბერთა ტომი შეადგენდა.

ამ ძირძველი ქართული მიწის ბედი ისტორიის უკულმართობამ ისე მოაქცია, რომ დღესაც კი საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაა დარჩენილი. ამ ფაქტით წახალისებული სომეხი მკვლევარები თავგამოდებით ცდილობენ, დაამტკიცონ ამ კუთხის „სომხურობა“, მაგრამ შეუძლებელია ისტორიული ჭეშმარიტების მიჩქმალენა, რადგან ფაქტები მაინც თავისას ღარადებენ.

ქართლმა გოგარენე სამუდამოდ დაიბრუნა არა 387 წელს, როგორც ეს იყო მიღებული დღემდე, არამედ „ჯერ კიდევ III საუკუნის ბოლოს – ირან-რომის ომის დროს, ნიზიბინის (298) ზავის ახლო ხანებში, რომელთა შუამდგომლობით გოგარენე ქართლმა საბოლოოდ შემოიტკიცა“ (ან. ბოგვერაძე, ქართლის (იბერიის) სამეფოს 350 წლის გაყოფის საკითხისათვის, იხ. კრებული „მიებანი საქართველოს და კავკასიის ისტორიდან“, თბილისი, 1976).

სხვათა შორის, ნიზიბინის ზავით (298) ქართლსა და სომხეთს შორის ახალი საზღვრის დადგებას ამ ორი ქვეყნის სამეფო ოჯახების დაახლოებაც მოჰყვა – მირიანის ძემ, რევიმ, ცოლად შეირთო თრდატ III-ის ახლო ნათესავი.

ახლა უკვე გასასებია, რომ პ. ჰაკობიანი „ძევლ დროში“ გულისხმობს იმ პერიოდს, როცა გოგარენე სომეხთა მიერ მიტაცებულ „გუგარქად“ იქცა.

ბეირუთში სომხურ ენაზე გამოცემულ კრებულში – „მშობლიური ჯავახეთი“ (ჰაირენი ჯავახე, 2000წ.) მოთავსებულია სომხეთის ეროვნულ მეცნიერებათა აკადემიის მეცნიერ თანამშრომლის, სამველ ეკონომიკის ნაშრომი „აჭარის კვნძი“.

აჭარის ძველი და ახალი პერიოდის ისტორიაზე ისე ლაპარაკობს ავტორი, რომ არსად კრინტს არ ძრავს ამ მხარის ძირძველ ქართველობაზე. ამის გამო სომეხ მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება ექმნება, თითქოს აჭარა საქართველოს ერთ-ერთი კუთხე კი არ არის, არამედ თურქეთის რომელიმე ვილაიეთია.

ძველს რომ თავი დავნებოთ, აჭარის ისტორიის უახლეს მოვლენებსაც კი არასწორად გადმოგვცემს იგი. მაგალითად, მან აფხაზეთის და ე. წ. სამხრეთ ოსეთის თვითმარქებია რეპუბლიკების რიგში ჩააყენა აჭარა: „აჭარა, როგორც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, დეფაქტო დამოუკიდებელი მხარეა, სადაც თბილისის კონტროლი არ ვრცელდება ადგილობრივ თვითმმართველობაზე“.

რაც შეეხება აჭარაში მოსახლეობის შემადგენლობას, იგი ასეა წარმოდგენილი: 180 ათასზე მეტი – აჭარელი, 40 ათასი – რუსი, 25 ათასი – სომეხი და ა. შ. გამოდის, აჭარლები ქართველები არ არიან(!) – ასე გაიგებს სომეხი მკითხველი ამ ჩამონათვალს.

შემდეგ ევორანს მოაქვს ამონარიდი ცნობილი დაშაკის, რუსების, წიგნიდან – „სომეხი რევოლუციონერების მოგონებები“ (1988, სომხ. ენაზე).

„სომხები ბათუმში მისი დაარსების დღიდან ცხოვრობენ“ (გვ. 336). გამოდის, ბათუმი სომხების დაარსებული თუ არ არის, მის დაარსებაში მონაწილეობა მაინც აქვთ მიღებული. ეს ასე რომ იყოს, ვინ რას იტყოდა, მაგრამ არავითარი ისტორიული ცნობა ამის შესახებ არ არსებობს, გარდა სამველის სურვილისა! სურვილი კი, მოგეხსენებათ ისტორიის საბუთად არ გამოადგება.

2002 წელს ბეირუთში გამოქვეყნდა მეცნიერულ ნაშრომებისა და სტატიათა მოზრდილი კრებული – „მშობლიური ჯავახეთი“ (ჰაირენი ჯავახე), სომხურ ენაზე. კრებულის ნაშრომთა უმეტესი ნაწილი ტენდენციურია, ზოგ შემთხვევაში ანტიქართული. შევჩერდები სამზე, რომელთა ავტორი ს. კარაპეტიანია. ნიშანდობლივია და აშკარად ჩანს, რომ ს. კარაპეტიანის, ისე, როგორც დანარჩენი ავტორების, ერთადერთი სანუკვარი მიზანია, ნებისმიერი საშუალებით სომეხი მკითხველი დაარწმუნოს, რომ ჯავახეთი იყო და არის სომხეთის განუყოფელი ნაწილი და ამიტომ მიაჩნიათ – „მშობლიურ ჯავახეთად“.

საკმაოდ ნათლად გამოჩნდა ს. კარაპეტიანის მიერ ქართული ისტორიული ძეგლების უგულველყოფა. განა შეიძლება დაიმალოს ის ფაქტი, რომ, სულ ცოტა, 700-მდე ქართული ეპიგრაფიკაა განადგურებული, ეკლესიებს რომ თავი დავანებოთ. აქვე ვიტყვი იმასაც, რომ ს. კარაპეტიანისნაირი მეცნიერების „დამსახურებაა“, რუსეთის სპატრიარქოს მიერ გამოცემული „მართლმადიდებლური

ენციკლოპედიის“ მესამე ტომში ტაო-კლარჯეთის უნიკალური ქართული ძეგლები სომხურად რომ არის გამოცხადებული.

სომხური არქიტექტურის შემსწავლელმა ორგანიზაციამ (RAA) ბეირუთში სომხურ ენაზე გამოსცა რუკა-ცნობარი, „ჯავახეთის ისტორიული ძეგლები“. ახლა კი ს. კარაპეტიანმა მორიგი ანტიქართული „საჩუქრით“ – „ჯავახეთის ისტორიული ძეგლები“ – გაგვახარა. ე. წ. რუკა-ცნობარის მინარისიდან გამოღის ერთადერთი დასკვნა – ჯავახეთში ქართული ისტორიული ძეგლები თითქმის არ არის და მხოლოდ სომხურით არის მოფენილი ეს ძირძველი ქართული მიწა. ქართული ძეგლები რამდენიმე არის წარმოდგენილი. ახლა ვერ შეუდგებით ჯავახეთის ქართული ისტორიული ძეგლების ჩამოთვლას, მაგრამ იმას კი ვიტყვი, მათი რიცხვი რამდენიმე ასულს აღემატება. თუმცა, არ შეიძლება ერთი მაინც არ ვთქვა – მართლა კარაპეტიანივით საქართველოს სიძულვილით უნდა იყო დაპრმავებული ადამიანი, რომ არ აღნიშნო და უგულვებელყო ჯავახეთის ქართული ისტორიული ძეგლები.

კიდევ კარგი, რუკა-ცნობარში ჩახაზულ მცირე რუკაზე ჯავახეთი ჯერჯერობით, წითელი ისრით საქართველოს ფარგლებშია აღნიშნული. ამის მადლობელი უნდა ვიყოთ, რადგან გამოდიოდა და გამოღის კ. წ. ისტორიული და სახელმწიფო რუკები, რომლებზეც ჯავახეთი და ქვემო ქართლი სომხეთის საზღვრებშია მოქცეული. აღარას ვამბობ ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლების: ოშკი, ხახული, ბანა, მცხეთის ჯვარი და სხვათა სომხურად გამოცხადების შესახებ. კითხვაზე: მაინც რა მიზანს ემსახურება ასეთი ფალსიფიცირებული, ყალბი რუკა-ცნობარის გამოცემა – პასუხი ერთმნიშვნელოვანია: დაშნაკებს, რომელთა შეკვეთას ასრულებს ს. კარაპეტიანი, სურთ სომხები ხალხის შეგნებაში კიდევ უფრო მტკიცედ დამკვიდრდეს ჯავახეთის მიწის „სომხურობა“. ეს გახლავთ ჯავახეთის ავტონომიის მოთხოვნის დაშნაკური ფანდი, რათა მოხდეს მერე მისი მიერთება სომხეთთან. ამიტომ ისინი იქ არსებულ ქართულ უამრავ ისტორიულ ძეგლს გვერდს უვლიან და მკითხველს მარტო სომხური ძეგლების შესახებ აწვდიან ცნობებს. დარწმუნებული ვარ, ს. კარაპეტიანის ეს უკანასკნელი „ნაშრომი“ – „ჯავახეთის ისტორიული ძეგლები“ – გამოვა (თუ უკვე გამოცემული არ არის) ევროპულ ენგბზე, ქვეყნიერებას მოსდებენ „ძირძველ“ სომხურ მიწაზე

ჯავახეთში მხოლოდ სომხური ისტორიული ძეგლებია და ქართველებს კიდევ ნეტავ რა პრეტენზიები აქვთო» [25].

როგორც ვხედავთ, ჩვენი დროის სომხები „მოღვაწენი“ თავიანთ წინამორბედთა გზას მისდევენ, და არც თუ „წარუმატებლად“. «მიუხედავად ქართველი ხალხის მეზობელი სომხებისადმი სულგრძელი დამოკიდებულებისა, სომხები მეცნიერები საუკუნეების მანძილზე (წარმოიდგინეთ დღემდე) ყოველნაირად ცდილობდნენ, ცუდად მოეხსენიებინათ ქართველი ხალხი. ასე მოიქცა გ. ეზოვი თავის თხზულებაში „პეტრე ლილის ურთიერთობა სომებ ხალხთან“. ამ ცნობილი სომხების მიერ ქართველთა მიმართ გამომჟღავნებული ღვარძლი და სიძულვილი იმდენად უსაზღვროა, რომ ზოგიერთი მიუკერძოებელი სომხები ინტელიგენტი ამ წიგნის წაკითხვის შემდეგ აცხადებდა: „ჩვენ ზიზღით გვითხულობდით იმ ფურცლებს, სადაც ეზოვი ტალახში სვრის ქართველებს“.

სომებს მეცნიერთა იგივე მისწრაფება სომებთა მეტისმეტი ამაღლებისა და ქართველთა დამცირებისადმი მეტად მკაფიოდ მჟღავნდება ისეთი ნიჭიერი და განათლებული სომხების შრომებშიც კი, როგორიც განსვანებული გრიგოლ ჯანმიევი იყო. მისი უკანასკნელი შრომები – „მშური დახმარება სომხებს“ და „კავკასიის თვალ-მარგალიტი ბორჯომი“ სავსეა სომებთა უსაზღვრო ქებითა და ქართველთა გავებული გინებით. მან გაბედა დამცირება ისეთი უბრწყინვალესი პიროვნებისაც კი, როგორიც იყო სასიქადულო ქართველი მეფე, წმინდა თამარი, არ მოერიდა, რომ ჩირქი მოცხვო ამ იდეალურად უმწიდეს პიროვნებისათვის: „მაგრამ იცით თუ არა თქვენ“, – წერს იგი, – „ვინ არის თამარ მეფე? იგი არის ქალურ სიბილწეთა (?) და სათნოებათა დამათრობელი სურნელოვანი თაივული, მასში უცნაურადა შერწყმული დაუცხრომელი მჩქეფარე ენერგია და დაუოკებელი ვნებანი“.

საერთოდ, ბორჯომის მაჟულში სომხური ელემენტი წინა საუკუნეებში არც მოიპოვებოდა. ამჟამადაც იგი აქ ზღვაში წვეთს შეადგენს. ამას უნდა დაუმატოს ისიც, რომ მთელ ბორჯომის მაჟულში არსებული ყველა სოფლის, ყველა მდინარის, ყველა მთის, ყველა ნაგბიბის, ხუროთმოძღვრული ძეგლებისა და სხვა სახელწოდებანი წმინდა ქართულია.

ჯანმიევის წიგნიდან კი მკითხველს ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს ბორჯომი წინათაც დიდი სომხეთის ნაწილს შეადგენდა,

ხოლო ამჟამადაც სომხები არიან აქ მთავარი მკვიდრნი, ქართველები კი ისე, ვიღაც დაუპატიჟებელი სტუმრები არიან.

ჯანმიერის წიგნიდან ასეთი ყალბი დასკვნის გაცნობიერება მკითხველისათვის აუცილებელია, ჯერ ერთი, იმის გამო, რომ ადგილობრივი მოსახლეობის შემადგენლობიდან იგი პირველად ასახელებს სომხებს, შემდევ კი ქართველებს; მეორე, იგი რამდენჯერმე ახსენებს ბორჯომის მამულის შესანიშნავი სომხურ-ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლების ნაშთებს, მაშინ როდესაც სომხური სტილის ნაწილაკის შემცველი არცერთი ნაშთი აქ არასოდეს არსებულა და არც არსებობს, პირიქით, ყველა ძეგლი ან ქართულ-ბიზანტიური, ან წმინდა ქართული სტილითაა აღბეჭდილი; მესამე, იგი არაფერს ამბობს ბორჯომის მამულში მცხოვრებ ტომთა რაოდენობაზე, თუმცა ამისათვის საჭირო ცნობების მიღება მას ადვილად შეეძლო ბორჯომის სასოფლო მმართველობისაგან; მეოთხეც, რამდენიმეჯერ იგი ადასტურებს ადგილობრივ სახელწოდებათა ქართულ ხასიათს, ხოლო ყველა დანარჩენი სახელწოდების აშკარად ქართულ ხასიათზე სდეუმს და ამით სურს მკითხველს აფიქრებინოს, რომ თითქოს აქ სომხური მნიშვნელობა იგულისხმებოდეს, მაშინ როდესაც სომხური ხასიათის არც ერთი ადგილობრივი სახელწოდება აქ არ არის და არც ყოფილა ოდესმე.

არ შეიძლება არ აღვნიშნოთ კიდევ შემდეგი დამახასიათებელი მოვლენა. სომები მეცნიერნი იმ აზრს ავითარებდნენ, რომ, თითქოს ქართულმა ენამ სომხური ენის ძლიერი გავლენა განიცადა და მისგან მრავალი კულტურული ტერმინი შეითვისაო. და ამ ზღაპარს ისინი ისეთი დაუინებით ქადაგებდნენ, რომ მის სინამდვილეში ზოგიერთი გულუბრყვილო ქართველიც დაარწმუნეს. ეს გრძელდებოდა მანამ, ვიდრე შესანიშნავმა ფრანგმა მეცნიერმა გატერიასმა, რომელმაც ქართული ენა სომხურის შემდეგ შეისწავლა, არ დაამტკიცა, რომ ჰაიასტანის შვილთა ენა ჯერ კიდევ ვანის წარწერათა პერიოდში იყო გამოყვანილი თავისი ორბიტიდან ქართული ენის ძლიერი გავლენით, იმ ქართულისა, რომლისგანაც მას ნასესხები აქვს მათი არა მხოლოდ მრავალი კულტურული, განყენებული სიტყვები, არამედ თავისი გრამატიკული ფორმებიც კი შეცვლილი აქვს ქართული ენის მიხედვით» [22].

სომების მოღვაწეთა ერთი ჯგუფის განდიდების მანია უსაზღვრო და ავადმყოფურია. «ზოგიერთი სომები მეცნიერი სომხურ ხუროთმოძღვრებას მიიჩნევს განსაკუთრებულად, რომელმაც დიდი და გადამწყვეტი როლი ითამაშა რომაული რელიგიური ხელოვნების ჩასახვაში, გოთიკის წარმოშობაში. მათი აზრით, იტალიის, საფრანგეთის, გერმანიისა და ევროპის სხვა ქვეყნების ქალაქებს აშკარად ეტყობათ სომხური ხუროთმოძღვრების გავლენა. მეტად არადამაჯერებლად უღერს იმის მტკიცება სომხების მხრიდან, თითქოს ლეონარდო და ვინჩის მოგზაურობას სომხეთში დასავლეთისა და, განსაკუთრებით, იტალიელი ისტორიკოსები მხოლოდ იმის გამო უარყოფენ, რომ მათ არ სურთ აღიარონ სომხური ხუროთმოძღვრების გავლენა ლეონარდო და ვინჩის» [23].

3. ქართულ ტაძართა დატაცება სომხურად

ბ-ნი ს. კარაპეტიანის რუკა-ცნობარში შეტანილი და სომხურად მიჩნეული თბილისის ეკლესიები – წმ. ჯვარი (სურბ-ნშანი), ბეთლემი, კრწანისის ღვთისმშობლის, ორმეოც მოწამეთა სახელობის (ციხის ეკლესია, სომებთა მიერ წმ. მთავარანგელოზის ეკლესიად სახელვადარქეული), სურბ-გევორგის, ნორაშენის ღვთისმშობლის და სხვა ეკლესიები, როგორც ეს ისტორიულად და მეცნიერულად დგინდება, მართლმადიდებლურ ეკლესიებს წარმოადგენდნენ, რომლებიც მოვაიანებით სომხებმა დაისაკუთრეს.

«განიხილავდა რა ალექსანდრე მეფის დროის ქართული ეკლესია-მონასტრების ქტიოტორულ წარწერებს ივ. ჯავახიშვილი გულისტკივილით შენიშნავდა: „საქართველოში რომ ისტორიული ნაშთები კარგად ყოფილიყო შენახული და გადარჩენილი, უეჭველია, ბევრი ციხის და ეკლესიის ან მონასტრის კედლებზე იქნებოდა ზემოთმოყვანილი (ქართული – ა.უ.) მსგავსი წარწერები“... ბეთლემის ქართული ქტიოტორული წარწერები ლანგ-თემურის ურდოების ბარბაროსობას შეეწირა და სამუდამოდ დაიკარგა. მოხდა ის ტიპიური მოვლენა, რაც ასეთი უბედურების შემდეგ ხდებოდა. შეუპოვარი ქართველობა სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იცავდა

¹ ე. ცაბუეთი, ესამიანი ასახული შემდეგ მიხედვით» [22].

სამშობლოს და მტერს შეაწყდა... ქართული ბეთლემი კი, თუ აღნიშნულ პიშატაკარანს (ანდერძ-მინაწერი, პ. მურადიანის მიერ მოხმობილი – ა.უ.) დაგუჯერებთ, სომხების ხელში აღმოჩნდა» [2].

მაგრამ, რაც უამთა სიავეს გადაურჩა, მიტაცების უწინო შეპყრობილმა სომეხთა ხელმა მოაშოო. ერთ-ერთი საბუთიდან – ნაზარალი ხანის (მეფე ერეკლე I-ის) 1692 წ. 7 იანვრის ბრძანებიდან ჩანს: «ქართველი მეფე იმულებულია, თბილისის ჯვრის მამის ქართული ეკლესიის ირგვლივ დასახლებული სომხები აყაროს და სხვა აღიღილას გადასახლოს. თუ რა მიზნით სახლდებოდნენ სომხები მაინცადამაინც ქართული ეკლესიის გარშემო, ამის მიზვედრა ძნელი არ არის. ეს პროცესი ეჩმიაძინიდან იმართებოდა. ისინი ჯერ ფეხს მოიკიდებონ ვაჭრობით, აღებ-შიცემობით, ხელოსნობით, ეკონომიკურად მოღონიერდებოდნენ და მათ საცხოვრებელ ორბიტაში მოქცეულ ქართულ ეკლესიას, გადაბირების გზით, ნელ-ნელა ჩამოაშორებდნენ ქართულ მრევლს და ხელს მიჰყოფდნენ ეკლესიის გასომხურებას. ეს ხდებოდა პრაქტიკულად ნებისმიერი ხერხით: მოტყუებით, ძალადობით, მოსყიდვით და სხვ. ამ მოვლენას ადგილი ჰქონდა თბილისში და არა მარტო აქ. სწორედ ამგვარი საშიშროება რომ ივრმნო, ალბათ, ნაზარალისანმა, ამიტომ ერთაშემდეგ აყარა და მოაშორა ქართული ჯვრის მამის ეკლესიას მის ირგვლივ დასახლებული სომხები. ამ საბუთიდან მკაფიოდ ჩანს, ქართული ეკლესიების მისაკუთრების საფრთხე იმდენად დიდი ყოფილა, რომ მეფეებს ბრძანებები და ფიზიკური ძალის გამოყენება სჭირდებოდათ სომეხთა ასალაგმავად. სამწუხაროდ, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო, ამგვარი მისაკუთრების სენი ქართველ ხელისუფალთ ვერ მოუსპიათ, რის მწარე შედეგსაც დღეს ვიმკით. ამის საბუთია, თუნდაც, რუკა-ცნობარი, რომელშიც მრავალი ქართული ეკლესია სომხურად არის დატანილი. ამ ეკლესიების ქართულობის დამადასტურებელი ნიშნები ისეთი ენერგიულობით არის წამლილი, რომ რიგ შემთხვევაში ჭირს სიმართლის დადგენა» [2].

«თბილისის ცნობილი გუმბათიანი ქართული ეკლესია, მისი მრევლის გაგრივორიანების გამო, მოხვდა სომხების ხელში. ასეთივე ბედისა აღმოჩნდა ამავე ქალაქის კიდევ სამი გუმბათიანი ქართული ეკლესია. შემდგომში, აგრეთვე სომხების ხელში გადასულა თბილისის ოთხი უგუმბათო ეკლესია; „უგუმბათო თოხი აწ უპყრავთ სომეხთა...

ისანში, აღნიშნულთა გარდა, სომხების ხელში გადასულა ერთი ქართული უგუმბათო ეკლესია“ (ვახუშტი ბაგრატიონი, ქ.ც. IV, 1973 წ., გვ 226, 337). ვახუშტის აზრით, თავდაპირველად ქართველთა ხელში ყოფილა ქვემო ქართლში „ახპატი და სანაინი მეფეთა ქართველთა აღმენებული ეკლესიანი გუმბათიანი... გარნა აწ სხედან სომეხნი“ (ქ.ც. IV, გვ. 308). „ამათ გარდა იქვე, ქობერის და ძელი ჭეშმარიტის ცნობილი საეპისკოპოსო ეკლესია, რომელსაც, აგრეთვე, „აგარაკი“ ერქვა, ვახუშტის დროს ჯერ კიდევ ქართველთა ხელში იყო. „აგარაკის“ გამო ეწოდა ერთ-ერთ ეპარქიას „აგარაკ-წილკის ეპარქია“ [6].

«1978 წელს ჯავახეთში მუშაობდა სამეცნიერო ექსპედიცია, რომელმაც შეისწავლა ჯავახეთის ძეგლთა მდგომარეობა. აღმოჩნდა, რომ რაც არაბიბას, მონღოლიბას, სპარსობას, ოსმალიბას გადაურჩა, ახლა, ჩვენ თვალწინ ინგრეოდა, ნადგურდებოდა და ირყვნებოდა. სამწუხაროდ, ბევრ ძეგლზე ადგილობრივი სომეხი მოსახლეობის მიერ ქართული წარწერები განგებ და მოლიანად წაშლილ იქნა. კერძოდ, სოფელ ალასტანის ქართულ ეკლესიაზე „წარწერის წაშლა უცდიათ საგულდაგულოდ, საღებავიც გადაუსვამთ“; სოფელ განძის ეკლესიის წარწერაში „ვიღაცას სპეციალურად ბასრი იარაღით ასო-ასო ამოუშლია რამდენიმე სიტყვა“; ნასოფლარ დიგაშენის ეკლესიის „ჰერანგისა და დუღაბის ქვები მახლობელმა სოფლის მოსახლეობამ გაზიდა და გამოიყენა“; სოფელ დიდი ხორენიას „ერთნავიანი ძველი ქართული ეკლესია... სომხურად გადაუკეთებიათ“, ადრე არსებული ქართული წარწერის კვალიც აღარ ჩანს; სოფელ თავფარავანის დარბაზული ტიპის ეკლესიის ბრწყინვალე „ორნამენტების „დამუშავება“ უკვე დაწყებულია და საკმაოდ საგულდაგულოდაც, მახვილ იარაღს ახალი კვალი დაუმზნევია მასზე“; ნასოფლარ „კარნეთის წარწერებს ეტყობა „ეტაპები შერეცნისა“... ამოემტვრიათ რკინის იარაღით მინაშენის შესასვლელის წარწერა, ის, რაც ბასრ იარაღს გადაურჩა, საღებავმა მოუღლო ბოლო“; ჯავახეთის შესანიშნავი ძეგლის – სოფელ ფოკას XI საუკუნის დიდი დარბაზული ეკლესიის ერთ-ერთი წარწერა (ქართველი მშენებლის შესახებ) „სპეციალური რკინის იარაღით დაუზიანებიათ“.² ამ სიის გაგრძელება, ასე ვთქვათ, უსასრულოდ შეიძლება. ასეთი რამ ტიპი პიურია მთელი ჯავახეთის ძეგლებისათვის» [23].

² ქ. ბერიძე, ჯავახეთის ძეგლთა მდგომარეობა. ტ. I, ახალციხე, 2002, გვ. 335-402.

4. სომეხთა მამჩილებელი პუბლიკაციები

სომხების მიერ ქართულ ტაძართა დასაკუთრება მრავალ გამოცემაშია აღწერილი და დადასტურებული. ასეთია, მაგალითად, ვახუშტი ბატონიშვილის „ღულრაფიული აღწერა საქართველოს სა“. სომეხთა მიერ ქართულ ტაძართა დატაცება-დასაკუთრების უძრავი ფაქტია, ასევე, გადმოცემული XIX ს. ბოლოსა და XX ს. დასაწყისის უურნალ-გაზეთებში: „დროებაში“, „ივერიაში“, „მოგზაურში“, „მწყემში“, „ცნობის ფურცელში“. ნებისმიერ მსურველს შეუძლია გაუცნოს მათ ჩვენს წიგნთსაცავებში. ნაწილი ამ წყაროებისა მითითებულია [2], [4] და სხვა გამოცემებში³. ამ ქვეთავში გთავაზობთ ამონარიდებს პუბლიკაციებიდან, რაც ამ მოვლენას ეხება.

სომეხთა მიერ ქართული ეკლესიებისა და მოსახლეობის დაპატრონების ერთ-ერთი გზა იყო ძღიდარ სომეხთა მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მამულების შესყიდვა. მამულთან ერთად ტაძრების საკუთრებაში გადაცემა კანონით აკრძალული იყო, მაგრამ კანონების დაცვას სომხობა არას დაგიდევდათ, რადგან საქართველოს გასომხების პოლიტიკა რუსეთის ხელისუფლების მიერ, ხშირ შემთხვევაში, შეწყნარებული იყო. ამ გზით ხდებოდა მიტაცებული ტაძრების გასომხურება და მამულებთან ერთად ნაყიდი ყმა-გლეხების გასომხება. წინამდებარე ქვეთავში ასევე მოყვავს რამოდენიმე სახასიათო ისტორია, რომელიც ამ მოვლენას ეხება.

გაზეთი „მწყემში“, 1896 წ. 29 თებერვალი ლმერთო, რა ამბები ხდება!

„ერთ რუსულ გაზეთში („მოსკ. ვედ.“) ექვს იანვარს ამ წლისა, დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელიც შეეხება სომხებს და მართლმადიდებელ ეკლესიის საქმეს ჩვენი მხრისას. ჩვენ იმდენად საყურადღებოდ მიგვაჩნია ეს საგანი, რომ მოგვყავს პირდა-პირი თარგმანი იმ წერილისა თავით ბოლომდე.

³ [2]-ში მითითებულია უურნალ „მოგზაურის“ (გვ. 50, 55, 58, 59, 61, 65, 71, 72), გაზეთ „ივერიის“ (გვ. 12, 34, 62, 100, 105), „ცნობის ფურცლის“ (გვ. 104) „მწყემშის“, (გვ. 69) ნომრები. [4]-ში მითითებულია „ივერიის“, „მოგზაურის“ (გვ. 151, სქოლი) და „ცნობის ფურცლის“ (გვ. 152, სქოლი) ნომრები. [2]-ში ასევე მოყვანილია ვრცელი ამონარიდები პუბლიკაციებიდან.

,თქვენ თბილისელ კორესპონდენტს, როგორც მახსოვს, არაერთხელ დაუმტკიცებია თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ თბილისში რუსის ყოფა მნელია, თუ იგი ქება-დიდების საგალობელს არ უმღერს სომხის „ბაზარის“ ვაჭრობას, თუ იგი ხელს არ უწყობს მათ სიხარბის განზრახვებს, ანდა სულ განშორებით არ დგას გამდგარი ყოველი საქმისგან. თუკი რუსის მდგომარეობა ამგვარია, მაშ ,შეიძლება წარმოვიდგინოთ ქართველები და თაორები როგორლა ყოფაში უნდა იყენენ. საზოგადოდ, როგორ ყოფაში უნდა იყოს ყოველი ადამიანი, ვისაც არ შეუძლია პირფერობა და, ამავე დროს, ვისაც არავითარი უფლება არა აქვს ზურგის მოსამაგრებლად. ამ ვაჭრებმა არამცუ დაიპყრეს მთელი ქონებრივი ძალა, არამედ ლამის ძირი გაუთხარონ მთავარ საფუძველს მართლ-მადიდებლობისას უუძველეს მართლ-მადიდებელ მხარეში.

ამ უკანასკნელ დროს ქართულ გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა „ვინმე მღვდლის“ წერილები, რომელთაც მიიქციეს ყველას ყურადღება. თვით კილო წერილების ნამეტანი გულ-წრფელია. წერილები კი არა, უფრო გოდებაა იგი დიდად-მორწმუნე სულის, რომელიც გაუბრაზებია მოშხდარ უკუღმართობა-ვერაგობას, ვერაგობას განსაციფრებელს, რომლის მსგავსი არსად არა თქმულა, არსად არაფერი გაგონილა. ყველათერია იქ: სიწმინდის შებლალვაც, ხალხისა და მისი რწმუნების ქირდვაც, ღვთის გმობაც და თაღლითობაც, – ერთის სიტყვით, ყოველგვარი ბოროტ-მოქმედება, უსაზიზღრეს სარჩულზე დამყარებული. მოკლედ რომა ვსოდეთ, საქმე შეეხება ახალგვარ თაღლითობას – ძველისძველ საისტორიო ნაშთებზე წარწერების გამოცვლას, წარწერების მოსპობას იქ, სადაც ეს გამოცვლა საჭირო არ არის, ყოველგვარ ბოროტ-მოქმედებას, მართლ-მადიდებელ ეკლესია-მონასტრების წასართმევად ჩადენილს... ვინმე მღვდელი გულისხმობს მარტო ახალციხისა და ახალქალაქის მაზრას, მაგრამ მას იმნაირისავე საფუძვლით შეეძლო მთელ მართლ-მადიდებელ საქართველოზედაც ეთქვა იგივე.

– მაგრამ ტყუილად შეჭმახნილი ამბები ხომ არ არის ეს? „ვინმე მღვდელი“ გამოგონილი ადამიანი ხომ არ არის? ზღაპარი ხომ არ არის მის მიერ მოთხოვნილი ამბებიო? – გაიოცებს მკითხველი.

– არა, სრულებითაც გამოგონილი რამე არ არის, არც ზღაპარია,

ოღნავადაც გადამეტებული ამბავიც კი არ არის. არა, აქ არც თითოეული კერძო შემთხვევის განზოგადებაა. მის მიერ მოთხრობილი ყველაფერი ნამდვილი ჰქეშმარიტებაა, რომლის უეჭველობა გასჭვირს მისსავე ნაწერ თვითეულ სიტყვაში; გამოგონილი პირი როდი არის ეს საწყალი სოფლის მღვდელი, ძველ იერემიასავით იერუსალიმის ნაგრევებზე თვის წინაპართა სიდიადის მწარე ბედზე მგოდებელი. მისი ცრემლი და რუდუნება ჩვენ ყველას მომართ წარმოგზავნილია.

— ყველაფერი ეს ნამდვილი, გულწრფელი მისი მწუხარების შედეგია.

დას, ყოვლივე ეს სინამდვილეა, — სამწუხარო სინამდვილე, რომელიც შეეხება არათუ მარტო „ვინმე მღვდლის“ მიერ დასახელებულ მიდამოს, არამედ ბევრ სხვა აღაგსაც სრულიად მთელ საქართველოს მხარისას. მარტო მტკვრის და ჭოროხის სათავეების გაყოლებით, ყარსმდე და ერზრუმამდე მოყოლებული, სადაც საქრისტიანო სიძველის ყველა ნაშთებზე, განსვენებულის მეისტორიე და ბაქრაძის მოწმობით, ქართულს გარდა არასოდეს არავითარი სხვა წარწერა არ ყოფილა, — არამედ ჩვენი მართლ-მადიდებელ შხრის თვით შუაგულში თავისის საქმეს არიგებს. ტაძრებს ანგრევენ, სიწმინდეს იტაცებენ, წარწერებს სპონსორების ახალს სოხზავენ მათ მაგიერ, — თვით მკვდართა განსასვენებელი, სასაფლაოებიც კი ვერ ამორებიან ამ საერთო ხვედრს.

გნებავთ დამამტკიცებელი საბუთები? არავისათვის საიდუმლო აღარ არის, რომ თბილისის ზოგიერთი ეკლესიები, რომლებიც მართლ-მადიდებლების იყვნენ, ეხლა მართლმადიდებლებს აღარ აქვთ...

არავისათვის საიდუმლო აღარ არის, რომ შესანიშნავი თელეთის მონასტერი, თბილის რამდენიმე ვერსით დაშორებული, მართლმადიდებლების ხელში აღარ არის....

ყველამ იცის, რომ ვართაშენში წმ. ელისეს ტაძარი წართმეული და მითვისებულია.

სამშეილდის სიონის ეკლესია უკვე მოთვალთვალებულია წასართმევად; თითქმის მიმქრალი მეათე საუკუნის მისი წარწერა სომხური წარწერით არის შეცვლილი.

იქვე პატარა ქართველების ეკლესია, მერვე საუკუნეზე არაუგიანეს აშენებული, შესანახ აღვიღად არის გადაქცეული...

ბოლნისის სიონი, ხრამს გაღმით, თუ არა ვცდები, მეფის ფარს-მან მეოთხის მიერ აშენებული მეოთხე საუკუნეში — მართლმადიდებელთა სიწმინდე, სადაც მეჩვიდმეტე საუკუნის გასვლამდე საეპისკოპოსო კათედრა იყო, ვახტანგ გორგასლანის მიერ დაწესდული — სადავოდ გამხდარა და დღეს თუ ხვალ, ლამის, სხვის ხელში ჩავარდეს.

წართმეულია ნუხას ახლოს გიშის ტაძარი, ის ტაძარი, სადაც გიშელები მღვდელ-მთავრობდნენ.

ამასვე უპირებდნენ ქურმუხის ტაძარს, წმ. გიორგისას, მაგრამ ხალხმა ძალით გამოდენა ტაძრიდან მტაცებლები.

ჩალდირის ტბასთან დაქცეულია ერთი ქართული ეკლესია და ქვები კარდაკარ არის დატაცებული.

შესანიშნავი სიღნახის (სიღნაღი-ა.უ.) ციხე თითქმის სულ დანგრეულია და ქვები დაპარულია. იქვე ქართული წარწერები უშველეს სასაფლაოზე წაშლილია და სომხურით არის შეცვლილი.

ლორის ციხეში მოლად მოისპონ ქართული წარწერები... გაქრა გუჯაბის ეკლესიის წარწერა ბორჩალოს მაზრაში.

ერთ ძველის ტელ და მივიწყებულ სასაფლაოზე ერთ ქართველების ეკლესიასთან, კუჩქნახის მინის ქარხნის ახლოს, ბოლო ხანებში გაჩნდა სულ ახლად ახალი ფიქალები, ახალის სომხურის წარწერებითურთ...

კელაგერის ციხეშიდაც ესევე ხდება.

და სხვა, და სხვა!

რომ ცოტა მექექა ძველი გაზეთები ან და, მით უმეტეს, რომ მომეწადინებია დაწვლილებით აღაგობრივი ცნობების შეტყობა, მაშინ ამ ახლად გაჩენილ ბარბაროსების მოღვაწეობის ნუსხა დაუსრულებელი შეიქმნებოდა.

დაქცევა, ისევ დაქცევა, და ხელ ახალი დაქცევა, და ბოლო არ უჩანს ამ დაქცევას ჩვენი მხრისას...

მერე სად არის მმართველობა, სად არის გამოქვეყნება, სად არის დაცვა იმისა, რაც ღირსად დაცვის?

მმართველობა სომხების ხელშია, გამოქვეყნებაც მათ საჯირითოდ გამხდარა, მერე დაცვა... იგი მხოლოდ სომხების მიზან-განზრახვისათვის სუფევს... რასაც მე ვიწერები, ეს ყველამ უკვე იცის, ყველას ზიზღს ჰგვრის, მაგრამ დაბეჭდვით კი მხოლოდ ნაგლეჯ-ნაგლეჯ-

ბად თუ შეიძლებოდა ამის გამომუღავნება და ისიც ერთადერთ ქართულ გაზეთში. აქაური სომხური გაზეთები, რუსულ ენაზე გამომავალი, ამგვარ საქმეებს გვერდს უქცევენ. ერთად ერთი რუსული გაზეთი „კავკაზი“ კი ვერ ჰქონდავს ამის შეხებას, რადგანაც გრძნობს რისხვას საცენტურო კომიტეტისას. სტატიები ამ გვარ საქმეების შესახებ ყველა გრძელდება ძალიან თამამად, რადგანაც სხვა და სხვა ეროვნებებს შორის სიმბულვარის აღმძვრელად არიან მიჩნეულნი. ამავე დროს კი სიყალბე უფრო და უფრო წარმატებაში შედის და, ალბათ, მომავლისათვის ეროვნებათა დამაკავშირებლად მიუჩნევიათ იგი.

ნუ თუ ეს ყველაფერი დაუსჯელად გავრძელდება? ნუ თუ მართლ-მადიდებელ მღვდლებს მართლ-მადიდებელ მხარეში არ დაცლიან მართლ-მადიდებლობას?“

ამით თავდება ეს წერილი, რომელსაც ბოლოში ხელს აწერს „ქართველი“. მაგრამ ეს გულის წყრომა და რუდუნება დამწერის ვინაობას კი არ მიეწერება, რასაკირველია, არამედ იმ სამწუხარო მოვლენებს, რომლის მოწამე, როგორც ჩანს, იგი გამხდარა. არამც თუ ქართველი, არამც ყოველი ადამიანი აღელდება, ალბათ, ამგვარი ამბის გაგონებაზე. ჩვენ მხოლოდ ისლა გვრჩება, რომ მოვუცადოთ კიდევ დაწვრილებით ყველა ზემოხსენებული ბოროტქმედების გამოაშკარავებას! სწორედ სამართლიანია ზემოხსენებული წერილის დამწერის გოდება და წუხილი. მით უფრო სამძიმო არის ეს წუხილი და სარწმუნოების შემბლალველი გარემოება, რომ ამას შეყურებთ და ვისმენთ ამ მე-19 საუკუნეში».

«ართვინში ერთი დიდი ეკპლესია, თურმე, ძველის-ძველი. იქაურ სომხობას მოუწადინებია მზამზარულად ამ ეკლესის დაჩემება. მინამ დაიჩემებდნენ, ბერძნები შესცილებიან – ეგ ეკლესია ძველთა-განვე ქართველებისა ყოფილა, მაშასადამე, ჩვენთვის, ვითარცა მართლმადიდებლებისათვის, უფრო უპრინიაო. ამ ეკპლესიას მართლ-მადიდებლობის ნიშნად ზედა ჰქონია ქვა ქართულწარწერიანი. სომხებს აღარც უციიებიათ, აღარც უცხელებიათ, აუღიათ იგი ქვა და სადღაც წაუბრძნებიათ და მოუმალავთ. ამ გზით იგი ეკლესია მართლმადიდებელთათვის ხელიდამ გამოუტაცნიათ და დღეს სომხებს დაუჩემებიათ (იხ. დ. ბაქრაძე „*პირველი ამავებელი მეცნიერებების შემთხვევაში არა არის მართლმადიდებელი მეცნიერებების მიერ გამოსახული*“, გვ. 41)» [3].

„ივერია“ 1894, №114

„ახალციხე და საფარის მონასტერი“

«... აქაურს ქართველობას, ცოტა არ იყოს, აკლია უნარი განსჯისა, თვით-მოქმედებისა და გონიერის მოძრაობისა. თუმცა, ამ ბოლო დროს მოზარდ თაობაში იღვიძებს ხალისი წიგნის კითხვისა და სწავლისა, მაგრამ, სამწუხაროდ, ისინი აქნობამდის მოკლებულნი არიან სამკითხველოსა, თუმცა ამ ერთისა თუ ორის წლის წინად აქაურმა ქართველმა ნასწავლმა ახალგაზრდობამ ჩამოაგდო საუბარი ამ ფრიად საჭირო და საყურადღებო საგნის შესახებ, კრებაც მოახდინა იმ საქმის მოსარიგებლად, თუ რა გზით სჯობა სამკითხველოს დაარსება ძველის ქალაქისათვის, მაგრამ, სამწუხაროდ, სათავეშივე შეწყდა ეს ხალხისათვის ფრიად საკეთილო საქმე, რადგანაც ამ კრებაზევე დამსწრე ადგილობრივა მაზრის უფროსმა წინააღმდეგობა გამოუცხადა იმ საბუთით, რომ ახალციხეში უკვე არის სომეხთაგან დაარსებული წიგნთ-საცავი... ძველის ქალაქის ქართველობა სრულებით ვერ სარგებლობს ამ საზოგადო წიგნთ-საცავით და მიზეზი ამისა უნდა იყოს ის, რომ ქართული იქ ძალიან ნაკლებად მოიპოვება და, ამასთანავე, წელიწადში სამი მანეთის გადახდა ფრიად საძნელო გაღატაკებულ ქართველებისათვის.....

წმ. ვართანის და მაცხოვრისა გაშენებულია ქალაქის ახალ ნაწილში: ვართანის ეკლესიას ქართველები უწოდებენ იოანე ნათლის-მცემლის სახელს, რადგანაც, როგორც ამბობს ხალხი, წინად ამ ადგილას ქართველების ეკკლესია ყოფილა აშენებული იოანე ნათლის-მცემლის სახელობაზე, მაგრამ შემდეგ სომხებს როგორდაც დაუსაკუთრებიათ ეს ეკკლესია და მის ადგილზე აუშენებიათ ახლანდელი წმ. ვართანის ეკკლესია...

ე. შილდელი».

„ივერია“, 1902 წ. №256

„ხატის სოფელი (ბორჩალოს მაზრა)“

«ეს სოფელი არის გაშენებული მდ. ლოქის წყლის ხეობაზე. მასში 35 კომლი ქართველია და 7 – სომეხი. სოფელის შეუადგილას ყვითელი ქვის ეკკლესია ძველისძველად აშენებული. მეორე ეკკლესიაც წმინდა გიორგისა ფრიად ძველია და თლილი ქვით ნაშენი. მოხუცი კაცები ამბობენ, რომ ძველს დროს ეს ეკკლე-

სია ქართველების ხელში იყოვო, მაგრამ უამთა უწყალო ტრიალს ორივე ზემოდ მოხსენებული ეკკლესია გაუნადგურებია და შეუმუს-რავს ურჯულო აღა-მაჟად-ხანის ხელით. დასუსტებულ ქართველ ერს შემოესივნენ სომხები, რომლებიც მოედვენ მთელს ბორჩალოს და ხატის სოფელიც ამ ბედს ეწია. ხელთ იგდეს წმინდა გიორგის ეპკლესია და მისი კარ-მიდამო, უშმიშრად ამტკიცებენ, ეს ეპკლესია ერთმა ჩვენმა მეფეთაგანმა ააშენაო. ახლა მკითხველი ქვემოთ მოყვანილ წარწერიდგან მიხვდება, თუ ხატის სოფელი რომელმა არუ-თინამ დააარსა ან ეკლესია რომელმა ჰაირიკამ ააშენა. ხატის-სოფელის ეპკლესის შესავალ კარგების ქვას აწერია: „ქ. ესე ადი-დოს ღმერთმან მეფეთმეფე: პატრონი მარიამი: ჩვენ თურმანიძე: თურ-მან და მეცხედრე ჩვენი ქეთევან ყიზზილბაშიდ ვიყვენით და როდე-საც ბედნიერმან ყაენმან წყალობა უყო და მეფე როსტომ ქართლის სამეფოდ გამოგზავნა, ჩვენც წყალობა გვიყო და თან გამოგვატანა და გვიბოძა ჩვენი მამული სამკვიდრო და ხატის-სოფელი: აოხრე-ბული დაგვხვდა ყოველი: ხოლო ბედნიერის ყაენის და როსტომ მეფის წყალობით ისევ აგაშენეთ და ასრე ვათარხნეთ: საქართვე-ლოს მეფეთაგან და მეპატრონეთაგან არა ეთხოვებათ რა: არ საფა-რი: არ კოდის პური: არ საბალახე: არ კულუხი⁴ და არცა არა სხვა სახელმწიფო სათხოვარი: ხოლო ერთი ლაშქრით ნადირობისაგან მეტი: მოვძულდი მე ღმერთსა ქეთევან და მოიწია ჩემზედ განგება რისხვის მღვთისა და ამა სოფლად გარდახდა პატრონი ჩემი და შვილი ჩემი გედალი: დავრჩი უძეოდ: აქა მიიცვალა: ვაშენე ყოვლად წმიდის ტაძარი სულისა მისისა სახსრად: ეპა უბიწო ბიწ შეუხ-ებელო, რომელმან დაიტივე დაუტევნელი ქრისტე მეუფე: ღმერთი ჩვენი: შეიწირე მცირე ესე მოსართმეველი და ნაცვლად მიუგე გედ-ალის მოწყალება შენი და ასმინე ხმა ტკბილი სამეუფო:“

მანამდინ ქეთევანს შვილი გარდაეცვლებოდა და ააგებდა ამ ეპკლესიას „სულისა მისისა სახსრად“, მანამ სად ლოცულობდა ან თვით ან აქ მცხოვრები ქართველი ერი? საიდან წარმოსდგა ამ სოფლის სახელი: „ხატის სოფელი“.

⁴ კულუხი, ე.ი. ღვინის გადასახადი, რომელიც ერთმეოდათ საეკლესიო გლეხთ ძველ დროს ეპკლესის სასარგებლოდ, ხოლო ერთმეოდათ მეათედი

ოდეს მეფე როსტომ (და არა არუთინა, როგორც სომხებს ჰგონიათ!) ყიზილბაშში ყოფილა წაყვანილი იმაზე წინადვე, როგორც იგულისხმება, ამ სოფელში ყოფილა ძლიერი ხატი, რომლის თაყვა-ნის საცემლად მივლენილან სხვა-და-სხვა მხრიდგან აქ სალოცავად, ანუ ღამის სათევად და ამ ხატის მიზეზით სოფლისათვისაც უწოდე-ბიათ სახელად ხატის სოფელი, რა სახელითაც აქაური ყველა მცხოვრები ახლაც იხსენიებენ. არიან მოსწრებულნი მოხუცნი, რომელნიც გვიმტკიცებენ, რომ ძველი დღრითოგანვე ეპკლესია იყო წმ. გიორგის სახელობაზე და სომხებისაგან ქართულ ტრაპეზის მოშლამდე და დასაკუთრებამდე აქ იყრიდა თავს ქართველობა ყოველ ათს გიორგობას, ე. ი. ამ ეპკლესის ხატობის დღეს.

წმ. გიორგის ხსენება ამ დღეს, ე. ი. ათს ნოემბერს, იცის მხოლოდ საქართველოს ეპკლესიამ.

მ. ს. ბაიდოშვილი⁵.

„ივერია“ 1902წ. №156

«ბორჩალო». სწორედ ზნეობრივ შეურაცხყოფად უნდა ჩაითვა-ლოს ის, რასაც ამჟამად გვიშვრებიან აქაური „არამიანცები“ ქართველებს. რომელი ერთი ვიტიროთ, რა ამბავია ჩვენს თავს?! ნუთუ უამთა უწყალო ტრიალით დასჯილი ერი უნდა აქამომდე იტანჯებოდეს მმათაგანაც? ეს არის მმათა შვილობა?...

ბორჩალოზე მეტად „არამიანცებისაგან“ კლანჭებაკრული მხარე არსად მოიპოვება. ეს ყველამ ვიცით, რომ, სადაც რამე უპატრონოდ იყო, ყველა ამისთანებს „არამიანცებმა“ მოპკიდეს ხელი და დაეპა-ტრონნენ და, რომლის დაპატრონებაც ვეღარ მოასწრეს, თავიანთე-

⁵ მ. ს. ბაიდოშვილი — მღვდელი და გულმხურვალე მამულიშვილი, სტეფანე ბაიდოშვილი (ზოგიერთ წერილში ბაიდაშვილად მოხსენიებული), რომელიც გასული სუპარის დასაწყისში გულდათუთქული წერდა ქართველთა ისტორიული ნაშთების განადგურების თაობაზე. მღვდელი სტეფანე უშიშრად ამხელდა სომხთა ტაციარბას, მზაკვრობასა და ვერაგობას, მათ მიერ ქართველთა მართლმადიდებლურ ტაძართა დასაკუთრებასა და ქართველთა გასომხებას. მისი ცხოვრიბისა და მოღვაწეობის შესწავლა, ასევე, აღსასრულის გამოკვლევა და გამოქვეყნება, ფიქრობთ, დააინტერესებს საზოგადოებრიობასა და, მეტადრე, ეპლესის წევრებს.

ბური ხაზი მაინც დაატყეს და ნამდვილი პატრონის სახელი წაშალეს. დღეს ქართველს ერს გული უტირის თავის ძველ ნაშთების უნუ-გეშმ მდგომარეობის გამო. სად არის ჩვენი ტირილის და ჩივილის პასუხი?! ბორჩალოს მაზრაში, მაშავრის ხეობაზე ს. დმანისიდან დაყოლებული ახლანდელ არახლომდე მთელი ჩვენი ძველი ნაშთი ან თათრების ხელშია და ანადგურებენ, ანდა „არამიანცებს“ უპყრიათ.

ავიღოთ ეხლა ის ეკკლესიები, რომლებიც კი არიან მებატონის მამულებზე. ეს ორი თუ სამი წელიწადია, აშკარად ვეღარ ბედავენ „მმათაშვილები“ ტაციაობას, მაგრამ აქა-იქ ხუცურად ნაწერ ქვებს აძრობენ და მათ მაგიერ კედლებში სმენ სხვა ქვებს ზედ-წარწერით „არამიანცულს“ ენაზე. არავინ ჰყავს დამშლელი, ვინაიდგან ჩვენმა „აღმაშენებლებმა“ დაათავეს, დაყიდეს მამულები და სამუდა-მოდ გადასცეს მელიქ-აღებს. ვისაც ეს საქმე ეინტერესება, ნუ დაიშურებს ორიოდ მანეთს და ერთი ამოიხელოს, შეხედოს კვი-რაცხოველის ეკლესიას ს. აკაურთაში, დაათვალიეროს მისი შიგნი-თი და გარეთი კედლები, რომ ნათლად დაინახოს და შეიტყოს „არამიანცების“ საქმენი საზღაპრონი. ს. ტანძიაში გაუქმებული, მშვენიერ გეგმაზე აშენებული ღვთის-მშობლის სახელობაზე ეკკლესია მხედრულის ზედწარწერით, დღეს თუ ხვალ პრჩებათ სომხებს; აგრეთვე ს. ქვეშიც. რატევანში კიდევაც გადაუკეთებიათ თავიანთ წესზე და არ შერცხვენიათ იმისი, რომ თვით ეკკლესის ამშენებე-ლი ქართველი თავადი ბ. ბარათაშვილი შიგ ასაფლავია. ბოლნისის (ხატის სოფელი) წმიდა გიორგის ეკკლესია დიდი ხანია მონათლეს „სურვ გეურქათ“...

მღვდ. სტ. ბაიდოშვილი».

„მწყემსი“, 1901 წ, №36.

«... წირვა-ლოცვა კარგია, მაგრამ მარტო ამისთვის არა ვართ. თუ ხელები დაბმული გვაქს, ჭკუა-გონებას რაღათ ვაბამთ? მაშ, გვარგებს ახლა ძილი, რომ სახელიც აღმოგვიფხურან ლამის „მსოფ-ლიო მატყუარებმა“?

თიბათვის 30 იყო, რომ ქ. თბილისიდამ ქვეშის სამრევლოში წამოველი. დილიჯანში ექვსი სირაჯი რუმბებისავით დაწყობილ-იყვნენ. ისეთი პოლიტიკური ლაპარაკი შექმნეს, რომ მე, როგორც ქართველს, დამემინა. არახლოს ხიდზე რომ მოვედით, ხიდის ხმაუ-

რობამ გამომაღვიძია და შემომესმა ქართული ლაპარაკი: „ვა, მუნ-დრეკს სულ სძინავს“. მე გავნაბე სული, თვალები დავხუჭე — ზვერაობისთვის ბოდიშს ვიხდი — „ჩემმა მზემ — დაიწყო ბებერმა სირაჯმა — ცოცხლები არიან, მაგრამ სძინავთ, მე მარტოდ არ ვლაპარაკობ მაგათ კანზებზე (კნიაზები-ა.უ.), ეგ ტერტერებიც (იგ-ულისხმება მღვდლები-ა.უ.) ასირებული გულგვილები არიან და! შენ ოლონდ „გზნაცვალე, შენი ჭირიმე“ უთხარ, თორებ, გინდა, ეპელე-სიაც წაართვი, თავს მოგაშორებს. აი, ჩვენი რატევანის ეკკლესიაც გრე არ იყო, მუნდრეკ ქართველები თითონვე ვამუშავეთ მის შეკუთაზე და ვეუბნებოდით, თქვენთვის ვშრომობთო. ტყაპუჭს ძალიან ესმის, ეკკლესია პაოსის წესზე კეთდება თუ ქართველებისა?....

— მახლას, ეგ ეკკლესია ღვთისაა — დაიწყო მეორემ — მაგრამ აიღე ეს კანზები, მამულები რო დაათავეს და დაყიდეს, სარქისჯან, ახლა ეკკლესიებს აღარ უგდებენ ყურს. ბემურაზი ვიყო, თუ ერთი ოცი წლის მერე ახალი ებმიაწინი აქ არ გაიმართოს. აქ რომ მოურავად ვიყავ, ჩემი კანზი ოთხ წელიწადში ერთხელაც არ ამოვ-იდოდა და ახლა ძალიან მედარდება, მამული ეყიდება თუ დედული? ტო! მუნდრეკ, შენც პურს სჭამ და მეც, გაიღვიძე, გაცოცხლდი, თუ არა და, ცოცხალი მაინც ჩაწეს მიწაში და! რაღა ეს, რაღა ის, ქართველების სიცოცხლე — ნამდვილი მსოფლიო თეატრია. რას ვშვრებით ხოლმე პატარა ბოლნისში, საცა 35 კომლი ქართველია. იქ წმ. გიორგის ეკკლესია დავიჩემეთ, დღეს-ხვალ და ვაკურთხევთ: ღმერთმა აცოცხლოს ჩვენი ბაინდუროვი, მან სახლებიც აშენა საეკლე-სიო მლოცველთათვის და გიორგობას (10 წარწერა) ასეთი ამბავი გვაქ, რომ, ჰა! ვინ არი პატრონი, ერთი გვითხრას: ტო, ეშმაკის ფეხებო, თქვენ კალენდარში ათ გიორგობას არც გიორგი იხსენება, არც გეურქა და რადგან ეკკლესიაც ძეგლადვე წმ. გიორგის აშენებ-ულია, ქართველთაგან ხატობაც ამიტომ ხდება აქაო... საქმე, ახპერ-ჯან, იმაშია, რომ დღესაც არიან ქართველები იქვე მცხოვრები, რომ-ლებიც მოსწრებან ამ ეკკლესის სომხურად გადაკეთებასა, მაგრამ უსაპნო ურმისავით რომ ჭრაჭიჭრუჭ არ მოჰყვნენ, ჩვენც ვიცით წამალი „აი, ესნიც, აი, პარონ!“....

აი, ეს ამბავია ჩემ შორის, მეითხველო, რომ გაიჭერობა არ მეხმარა ჩემ თავათ, ისე გვეკარგებოდა წმ. გიორგის ეკკლესია, როგორადაც ტფილისის ეხლანდელი ვანქის სობორი.

მღ. ბაიდოშვილი».

„ივერია“, 1900 წ., №30

«სოფელ შულავერში მართლმადიდებელთათვის დაწყებული იყო ასაშენებლად ეკლესია, რომლისთვისაც 1895 წელს საქართველოს ექსარხოსმა დაამტკიცა კომიტეტი. მღვდელმა მ. სტეფანე ბაიდაშვილმა ის აზრი წარუდინა კომიტეტს, რომ საეკლესიოდ არჩეულ უნდა იყოს ადგილი შუა სოფელში ბ-ნ ყალამაქაროვებისათვის. კომიტეტმა მოიწონა ეს აზრი, მაგრამ ბ-ნი ყალამაქაროვი არ დასთანხმდა ამ ადგილის დათმობას. როგორც გამოჩნდა საქმებიდან, ეს ადგილი საქართველოს რუსეთთან შეერთების დროს ყოფილა საუფლისწულო ქართველ მეფებისა, ზედა ძღვარა კარის ეკლესია და მოშორებით ნიში. ამ დროს დროებით მმართველს საქართველოსას ბ-ნ კრილოვს ყალამაქაროვის მამა-პაპისათვის დროებით ჩატარებია პატრონობა ქართველ მეფეთა საუფლისწულო მამულისა. გასულა ხანი. ეკკლესია დაქცეულია (თუ დაუქცვიათ?), ყალამაქაროვებს აუშენებიათ საცხოვრებელი სახლები, ხოლო ნიში ეხლაც დგას. ამ ბოლო დროს, საქართველოს მამულების გამიჯვნის დროს, ყალამაქაროვებს გამოუცხადებიათ, რომ ვმფლობელობთ, როგორც სახელმწიფო მამულს, რადგანაც დიდი ხნის დასახლებულები ვართ აქაო.

.... სანატრელია, სასულიერო წოდებამ შეჰქრიბოს ცნობები იმ ძველის ტაძრების შესახებ, რომლებიც ბორჩალოს მაზრაშია, რადგან, როგორც ეტყობა, ბევრი სხვა საეკლესიო ადგილ-მამულებიც უნდა იყოს სხვათაგან დაჩემებული.

—————შვილი».

„ივერია“, 1899 წ., №239

«ამ ბოლო დროს ბორჩალოს მაზრაში რამდენიმე საჩივარი აღიძრა სომეხთა მიერ სამართლ-მადიდებლო ეკკლესიების მითვისების გამო. ტფილისის გუბერნიის მთავრობამ შუამდგომლობა აღმრა საქართველოს ექტარხოსის წინაშე იმის შესახებ, რომ ბორჩალოს მაზრაში გაგზავნილიყო ძველ ქართულ სიწმიდეთა და წარწერა-მხატვრობის მცოდნე კაცი. მისმა მაღალ-ყოვლად უსამღვდელოესობამ გაპგზავნა ამ აზრით სოფ. რატევანში ტფილისის ანჩისხატის ტაძრის მღვდელი პოლიევქტ კარბელაშვილი, რომელიც ამ დღეებში უკვე მისულა დანიშნულს ადგილას».

„ივერია“, 1901 წ., №11

„ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“

«...პირველად ჩვენ თვალწინ წარმოგვიდგება მარცხნივ, გორის ძირში, ხატის-სოფელი, სადაც მართლ-მადიდებელთ მიძინების ეკლესია სდგას სოფლის შუა, ხოლო წმ. გიორგის ეკლესია სოფლის თავში, მაღლა გორაზედ, რომელიც, როგორც პირველ წერილებშიაც ვთქვით, დღეს სომხების ხელშია... აქედან ორი ვერსის სიშორეზე ძევს სომხების ახალი სოფელი „ბოლნის-ხაჩინა“. ამ სოფელშიაც და მის ირგვლივ ბევრი ძველი ნანგრევი ეკლესიებია..

...ახაშენიდან რომ გაემგზავროთ დასავლეთისაკენ, მაშავერას ხეობაზე გზა-ტკეცილით, ორ ვერსზე კიდევ ვენახებია, მესამე ვერსზე კი, მარჯვნივ, მთის ძირში, დაინახავთ პატარა სოფელს, რომელშიც ცხოვრობს 26 კომლი ქართველი და 7 სომეხი. შუა გორაზე სდგას პატარა, მაგრამ ფრიად კოხტა ეკლესია, სამგუმბათიანი, ჯვრის სახის გეგმაზედ. აი, ეს სოფელი გახლავთ რატევანი. ეს მამული სოფლითურთ ძველად ყოფილა თავად ბარათაშვილისა. ოდეს მას მოუნდომებია გაყიდვა თავის მამულისა, იგი ვიღაც ფითოევს უყიდია. მამულის ყიდვისთანავე კანკელი მოუშლია, დაუდგამს სომხური და უკურთხებია იგი სომხურად. მერე ეს მამული უყიდია მანთაშვეს და დღესაც მის საკუთრებას შეადგენს. როდესაც ბარათაშვილი გარდაიცვალა, იგი ამ ეკლესიაში დაუმარხავთ და ძეგლიც დაუდგამთ. ეს რომ ნამდვილად ქართველებისა იყო და ფითოევმა გადააკეთებინა და აკურთხა სომხურად, ამას პოლწმობებ არა მარტო ქართვლები, რატევანში მცხოვრები, არამედ თვით სომხებიც. ამაზედ არის ოქმი შედგენილი 1900 წელს 11 გიორგობას და წარდგენილია მთავრობასთან.

...ეკლესია რომ ააშენოს მემამულებ თავის მიწაზე, იგი მიწა მის საკუთრებას აღარ შეადგენს, არამედ საკუთრებას საეკლესიო უწყებისას («ერიშტანი ასახანი შემთხვევაში»). რატევნის ეკლესიაც ეკუთნოდა, კანონსამებრ, სასულიერო უწყებას და არც მდგარა „პომეშჩიკის“ მამულზე, ამიტომ უნდა ჰქონდეს პლანი და თავ. ბარათაშვილსაც მისი გაყიდვისა არავითარი კანონიერი ნება არ ჰქონდა. აგრეთვე, საეკლესიო მამულები და ქონება არავის შეუძლია დაინარჩუნოს ახლანდელის კანონების ძალით დიდი ხნის მფლობელობით, როგო-

რადაც სახელმწიფო მამული. ამისდაგვარად, არც რატევნის ეკლესია და არც ხატისსოფლისა არ უნდა შერჩეთ სომხებს, რის იმდიც უტყუარი ჭეშმარიტებაა ქართველთათვის».

„შურნალი „მოგზაური“, 1901 წ., №2. „სამხრეთი საქართველო“

«ამ დასაღუპს გარემოებას ქართველებმა სულ ვერ მიაქციეს ფურა-დღება... აქედან დავიწყებთ იმ ეკლესიების და მონასტრების მოხ-სენებას, რომლებიც ადრე ქართველ მეფეებს ამ კუთხეში (ბორჩალო-ში-ა.უ.) აუგიათ. ბევრი მათგანი აოხრებულა, ბევრი დაქცეულა, მა-გრამ შავს გრიგალს კიდევ ბევრი გადარჩნილა... ამ კუთხის გაცნო-ბით მკითხველთ თვალწინ გადაეშლება ქართველთ განვლილი დრო და მწარე მხვედრ-სურათიც, თუ საღმე ერთ როგორ ცხოვრობს, ეძლევა იგი წარმატებას და დიდებას, მაგრამ მცირე რამ უბედურის მეოხებით მერე როგორ ეცემა, როგორ ქრება მისი კვალი და მის ნაცვლად ვინ იდგამს ფერხს. ამის დაკვირვება ჩვენთვის დიდად საჭიროებას შეადგენს, რადგანაც ქართველ ტომის ძეთა რიცხვს ვინ არ იზიდავდა თვისკენ და არ ასხვაფერებდა; ქართველ ძეთა რიცხვს სასტიკად მუსრავდა ყველაფერი და უკანასკნელ თვით ეკლესიურმა წესმაც კი უწყო დაკარგვა, რაის მეოხებით დიდი ძალი ქართველობა გაუკავშირდა სომხობას, სომხის გვარსა, ენას, ზნეს და ჩვეულებას.

...დმანისის ტაძარი, ძელი კათედრა ტაშირის მხრის ეპისკო-პოსებისა, მშვენივრად ნაშენი, უგუმბათო. აქ ეპისკოპოსის კათედრა არსებობდა მე-18 საუკუნის ნახევრამდე. ეს ტაძარი მაშავერის მხარეს მდებარეობს. იგი ეკუთვნოდა ორბელიანებს... დღეს ამ ტაძრის მიდამოები სომხეთა მდიდრებს ეკუთვნით და დმანისიც მათს საკუთრე-ბას შეადგენს.

ქობერის მონასტერი, ქართველთაგან აღშენებული, დღეს სომხებს უპყრავთ.

ძელი ჭეშმარიტის მონასტერი, ქართველთაგან ნაშენი, დღეს უპყრავთ სომებთა.

მანგლისის ეკლესია, აღშენებული კონსტანტინე იმპერატორის ბრძანებით, ქართველთა გაქრისტიანების დროს, შემდგომ აქ დასვა ეპისკოპოსი ვახტანგ გორგასლანმა. ამ ტაძარში მოტანილი ყოფი-ლა იესო ქრისტეს ფეხის ფიცარი. შემდეგ საუკუნეებში ერთს

კედელზედ დაუხატავთ მაკმადი ლომზე მჯდომარე; მოგვითხოობენ, რომ საქართველოს შემუსრვის დროს მაკმადიანებმა ეს ტაძარი მიტომ არ შემუსრეს. ეს ტაძარი დღევანდლამდე არსებობს. დღეს ამ ტაძრის ხეობას სომები მანგლაფორას უხმობენ!..

თელეთის წმიდა გიორგი დღეს სომხებს უპყრავთ, აქ იყო ძელიად ხატი წმ. გიორგისა ვერცხლისა, ქართულის ნაწერებით, შეწირული ერთის ქართველის მოლოზნისაგან.

ახპატის ეკლესია, ვრცელი, გუმბათიანი, ვახტანგ გორგასლანის-აგან აღშენებული. დღეს სომებთ უპყრიათ იგი და სომხების საკუთრე-ბად აღიარებენ, სომებთ მეფეთაგან აღშენებულს, მაგრამ ამაოდ. სომებთ ეს ტაძარიც დაიკავეს მეთხუთმეტე საუკუნის შემდეგიდგან, როდესაც ამ კუთხეში ქართველთა იწყეს შემცირება, ესენი ქართ-ლის განაპირ მცხოვრებლებად ითვლებოდნენ და ამიტომ მაკმადი-ანთაგან მათზე თავდასხმა ერთობ ხშირი იყო. ყველა უბედურება პირველად მათ ატყედებოდა თავზედ, მის მეოხებით მოისახნენ ახპა-ტის კუთხის ქართველნი და მათ მაგიერ სომები დასახლდნენ, რომელთაც შემდეგში ხელი სტაცეს ამ ტაძარსაც.

სანაინის ტაძარი, ქართველთ მეფეთაგან აღშენებული, დღევანდ-ლამდე შენახული, დღეს იგი სომებთ უპყრიათ და სომებთა ისტო-რიასაც იგი თვისს ტომის ძეთა საკუთრებად სწამო, მაგრამ ეს არ არის მართალი; რაც ქართველ ტომის ძეთა მოსპობით ახპატს მოევლინა, იგივე მოევლინა სანაინის ტაძარს. ვახტანგის დროს, ამ უკანასკნელს ორს ტაძარში სომებთა ორქევატორები (წინამდლ-ვარი) მსხდარან.

ჩვენ ყველა ეკლესიებს აქ ვერ მოვიხსენებთ, რადგანაც მათი რიცხვი ერთობ დიდია, სულ რაც ჩვენ გვაქვს დათვლილი, ორასამ-დე დიდი ეკლესია მოიპოვება, თლილი ქვებით ნაშენი, ზოგი სიონის ტოლა...

დღეს აქეთკენ ქართველნი თუ საღმე ცხოვრობენ, თუ მათი კვალი და ფეხი შემონახულა აქეთ, იგინიც მთლად დაცემულან, მათში წინაპართ სახე წაშლილა, დღევანდელი ქართველი ადარ არიან მხველ-მთესველ, საქონლის მოშენებელ და მევნახე, როგორც ადრე იყვნენ, რომელთ წინაპართ ცნობები დღესაც აკვირვებს მხ-ილველს».

ჟურნალი „მოგზაური“, 1901 წ. №6

„ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“

«გარდა ბერძნებისა და რუსებისა, მთელს ბორჩალოს მაზრაში ქართველებიც ცხოვრობენ... ცხოვრობენ მეტი ნაწილი თავადების მამულზე და სხვა პირებისა. საშინელი სამწუხარო ვაების ცხოვრება აქვთ, რადვანაც ჩვენს მეტამულე თავადიშვილებს აქაური მამულები ზოგი დაუყიდნათ და, რაც შერჩენათ აქამომდე, მოურავებად ყველგან ს—ი (სომხები-ა.უ.) ჰყავთ, რომლებიც განწირულებამდე უდირად ეპყრობიან ქართველ გლეხებს.

დღეს სოფელი დმანისი შეადგენს სომეხთა მდიდრების საკუთრებას. ამ ხეობის სოფელები შეადგენენ 11 თუ 12 სამღვდელო სამწყსოს. თითო სამწესო შესდგება ექვსი თუ შვიდი დაფანტული სოფელებიდან. რამდენიმე სამწესო სოფელი შეადგენს ერთს საზოგადოებას, რომელმაც, ქართველებს გარდა, არეულად სცხოვრობენ თათრები და სომხებიც. ეკლესიები ყველა სოფელშია, ჩვენ წინაპართაგან ძველად ნაშენი, დღეს ზოგი მათგანი სომხების ხელშია.

...ჭეშმარიტებას გადმოგცემს აქაური ისტორია, რომ ოდეს თათრები იქლებდნენ აქაურ მხარეს, მაშინ სომხები მოდიოდნენ სამხრეთიდან და აქაურ დაცარიელებულ ალაგებზედ იკალათებდნენ. თუ სადმე ქართველი იყვნენ დარჩენილი, მოსულნი სომეხი იმათაც ერეოდნენ ტკბილი ენით. თბილისის აზნაურთა დეპუტატთა ყრილობის საქმეებიდგან სჩანს, რომ, ოდეს საქართველო რუსეთს შეუერთდა, საქართველოში გამოგზავნილ იქმნა ვინმე ბ. კრილოვი. იგი სწერს შულავერში მცხოვრებს ყალანთარ ყალანთაროვს, რომ მას დროებით მიეღო მმართველობა იმ საუფლისწულო მამულისა, რომელშიაც სცხოვრობდა წინედ შვილის-შვილი ქართველთა მეფისა ალექსი. საქმეებიდგან აღარ სჩანს, ბ. კრილოვი რა იქნა, დროებაც არეული გახლდათ იმ უამად საქართველოში და მას აქეთია, რომ ეს უძვირფასესი მამული დღევანდლამდე ყალანთაროვებს დარჩათ.

ბრძანებისამებრ სასულიერო მთავრობისა, 1899 წელში გაგზავნილ ვიყავ ბორჩალოში ეკლესიის აშენების საქმეზედ. აქ მიამბეს, რომ ამ ყალანთაროვებმა, მას შემდეგ, რაც ბ. კრილოვმა მათ მამული ჩააბარა, დაშალეს იქ არსებული ფერისცვალების ეკლესია სამეფო სასახლისა და ქვა მისი იხმარეს ახალ შენობების აგებაზედ. იმ კომისიას კი, რომელიც დაარსებული იყო საქართველოს მამულებ-

ის გასაზომ-დასაყიფად, თბილისის სუდ-პალატისას 1867 წელში განუცხადეს, რომ მათ, ყალანთაროვებს, ეს მამული დაჩემებული აქვთ ძველ დროიდამვე, როგორადაც სახელმწიფო მამული. არსებულის კანონის ძალით მამული დაუმტკიცდა მათ, როგორც სახელმწიფო, და შულავერში მცხოვრები მართლმადიდებელნი ქრისტიანენი კი დღესაც ვერ შოულობენ შესაფერს ალაგს, რომ იქ ეკლესია ააშენონ, თუმცა ფული უკვე დიდი ხანია შეკრებილია და შაოშან სამღვდელო მოსამსახურეთა შტატიც გამოცხადდა.

ბოლნისის სიონის ტაძარი, აშენებული მეხუთე საუკუნის ნახევარში, ფარსმან IV-სგან, ქართველთა მეფისაგან და კათედრა ქართველ ეპისკოპოსთა, დღესაც სდგას, როგორც საუკუნო სახსოვარი, ქართველთა აგან რჯულისათვის და სამშობლოსათვის სისხლის ღვრისა. უამთა უწყალო ვითარებისაგან დღეს იგი ნახევრად მიწაშია დაფლული, ვიწროდ არტყია გალაგანი ქვისა, წინ უდგას მაღალი სამრეკლო წარწერით, რომელიც პირდაპირ თვალით ვერ წარიკითხვის, გარშემო არტყია ვენახები, მერე სასახლე იქ მცხოვრებ თათრისა და მერმე ირგვლივ არტყია მშვენიერი სახნავი, სარწყავი მიწა 100 დესტინაზე მეტი, საკუთრება აღალარებისა ეფენდიებისა, რომლებიც ტაძრის გვერდზე სცხოვრობენ. ფრიად არ ეჭამიკება ხოლმე ჩემი მისვლა იქ ამ აღალარს. ამ ეფენდიებსაც ეს კარ-მიდამო ეპკლესიისა ისევე აქვს დაჩემებული, როგორათაც ყალანთაროვებს – შულავერში. ნეტა იმ დროს ადგილების მზომავი რას ფიქრობდა, რომ ამ სიწმიდის კარ-მიდამოს თათრებს უზომავდა?! ამ ეპკლესიის პირდაპირ, წყლის გაღმა, მთის წერზე, სდგას ეპკლესია მსგავსი თბილისის სიონისა, გუმბათიანი, ყვითელის ქვით ნაშენი და შესანიშნავის ჩუქურთმებით მოკაზმული, დღეს მარტო გუმბათის თავი აქვს დანგრეული. ეს ეპკლესია სდგას აქაური თუჯის ქარხნის პატრონის ით. ბოლაჩის მამულში, რომელიც, როგორც მან თვით მთხრა, აპირებს ამ ეპკლესიის განახლებას. ამ ეპკლესიის ქვევით, აღმოსავლეთისკენ, მთის ძირში, გაშენებულია ხატის-სოფელი (პატარა ბოლნისი) ეს სახელი ძველი დროიდგანაა, რადგან აქ ქართველებს ისეთი ძლიერი ხატი პქონიათ წმ. გიორგისა ეპკლესიაში, რომ ყოველ წლივ ამ ხეობის ხალხი აქ იყრიდა თავს ხატობაში. დღეს ეს ეპკლესია სომხებს უჭირავთ, თუმცა ამ სოფელში 37 კომლი ქართველია და 7 სომეხი. გარდა ამ ეპკლესიისა, აქვე აშენებულია ღვთის-მშობლის სახელობაზე პატარა

ეკლესია, როსტომ მეფის და დედოფლის მარიამის აშენებული, მათის შვილის გედალის სულის საცხონებლად (როგორც ჩანს წარწერიდან). წირვა-ლოცვა ამ ეკლესიაში სრულდება ქართველთათვის, ხოლო წმიდა გიორგის ეკლესიაში სომეხთათვის. ეს წმ. გიორგის ეკლესია დაუპყრიათ სომხებს წარსული საუკუნის პირველ ოც წლებში, ვინმე დიანბეგის შანმიევის წყალობით და წმ. ტრაპეზი სომხურად შეუცვლიათ. ახლაც არიან ამ სოფელში ამის მომსწრენი ქართველი და თვით სომეხნიც. დღესაც დღესასწაული ხდება აյ 10 ნოემბერს ყოველ-წლივ, სომხების კალენდარში კი ამ დღეს არც გიორგი იხსენიება და არც გეურქა. ეს დღესასწაული ნამდვილი “ნაციონალური” დღესასწაულია ქართველთა. სომხებს ტრაპეზის გადაკეთებისთანავე დავიწყებიათ ეკლესიისთვის სახელ-იც გამოეცვალათ. აქამომდე 10 ნოემბერს, რომელ დღესაც აյ თავს იყრის თბილისის მდიდარი სომხობა, წირვის მერე გამოვიდონენ შვიდი ტერტერა „გორძაკლითურთ“ (ბლალონით) სადღესასწაულოდ შემოსილები და უვლიდნენ ქართველებს. მათ უკან მისდევდნენ ოთხი თუ ხუთი კაცი, რომლებიც ჰყიდდნენ წმინდა სანთლებს და ყულაბებით ფულს აგროვებდნენ მღლიცველებში, შესაწევნელად და გასავრცელებლად სომხებ-გრ. სარწმუნოებისა, რაც აკრძალულია კანონით (მითითებულია კანონი-ა.უ.). ამ ნაირი ქცევა სომხებისა წარმოგიდ-გენდათ თვალში სწორედ ეჩმიაძინს და არა ხატის-სოფელს. ამ ეკლესიაზე და ს. რატევნის ეკლესიაზე აღძრა კითხვა წინაშე სა-სულიერო და სამხედრო მთავრობისა 1899 წ. ადგილობრივმა მღვდელ-მა გ. ს. ბაიღოშვილმა და, როგორც ხმა დადის, უკვე დაგალებული აქვს მათს უსამღვდელოებობას ეპისკოპოსს კირიონს საფუძვლი-ანად გამოიძიოს ამ ეკლესიების საქმე და დაუბრუნოს ისინი ქართველებს. რატევნის ეკლესიის აბავს შემდეგ მოვახსენებთ „მოგ-ზაურის“ მკითხველს».

რატევნის წმ. გიორგის ეკლესიის სომეხთა მიურ მითვისების ისტორია, გადმოცემული 1901 წ. უკუ. „მოგზაურის“ №2-ში, წერ-ილში „ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“. წერილი შეძლევი სიტყვებით სრულდება: „ეტყობა, ქართველები არ სომობდნენ ფითოევის მიურ გადატაკებულ რატევნის წმ. გიორგის ეკლესიას და საჩივარი შეუტანიათ რუსის მეფის მთავრობაში. თუ

რას მიაღწიეს, შედეგად ჩანს: დღეს რატევნის ქართული ეკლესია ისევ სომხებს უჭირავთ“ [2].

«რატევნის შესახებ აგრეთვე საინტერესო ცნობებია 1901 წლის უკრნალ „მოგზაურის“ №3-ში. ამ დროს რატევნიში ყოფილა 30 კომლი, 105 მამაკაცი, 95 დედაკაცი. ნახევარი უკვე გრიგორიანულ სარწმუნოებას აღიარებდა, გვარები სომხურად გადაუქეთებიათ, მა-გრამ დედაენა ქართული ჰქონიათ. აქვეა ხატი-სოფელის შესახებ – აյ 30 კომლი ქართველი ყოფილა, მაგრამ ნახევარი სომხურ გრიგო-რიანულ სარწმუნოებას აღიარებწნო და თავი სომხებად მიაჩნიათ, თუმცა დედაენა ქართული აქვთ და ქართულად ლაპარაკობენო... აი, სომეხი სასულიერო პირების ანტიქართული მოღვაწეობის შედეგი. „პატარა ბოლნისში (ხატი-სოფელი) როსტომ მეფის მიურ XVII ს-ში აშენებული ეკლესიისათვის მდიდარ კაცს ბასილაშვილს ამ ეკ-ლესის სამრეკლოს და გალავნის აშენება გადაუწყვეტია, მაგრამ ქართველ გლეხებს მისთვის უარი უთქვამთ. მათ თავიანთი უარი ასე დაუსაბუთებიათ: – რატევნიში ჩვენ მამა-პაპებსაც ასე უუბნებოდა ფითოევი: შვილებო, გაიხარჯეთ, შეაკეთო ეკლესიაო. ჩვენ გვამუშავა და მერე კი ხელი აგვალებინაო. რატევნელები უეკლესიოდ არიან ახლაცო. ბასილაშვილიც მაგას გვიზამსო. მღვდელს ძლივს დაურწ-მუნებია გლეხები – ბასილაშვილი ქართველია: „თუ კი ბასილაშ-ვილი ქართველია, მამაო, მაში იმდი მაქსი, რომ თქვენი სიტყვა მართა-ლი დარჩეს ჩვენთვის. ასრულდეს ნება დვთისა და თქვენი“. მარ-თლაც, ბასილაშვილს თავისი სიტყვა შეუსრულებია და გახარებულ ქართველობას 25 დეკემბერს 1901 წლისას, ახლად აშენებულის კურთხევა დიდი ზეიმით აღუნიშნავთ“. ჩვენი დაუდევრობა, თორებ სომხები ამისთანა ეშმაკობას ვერ გაბედავენო, თუნდაც შიძმილით ყარაბალი მოაგონდეთო – მწარედ შენიშნავს პუბლიკაციის ავტორი.

უკრნალ „მოგზაურის“ იმავე ნომერში გვხვდება ასეთი ცნობაც: „ვინმე ყალანთაროვებმა ფერისცვალების ეკლესია სამეფო სასახ-ლისა დაშალეს და სახლების ასაშენებლად გამოიყენეს. ყალა-თაროვებს დაჩემებული აქვთ სახელმწიფო მამული... ბოლნისის ხაჩინიდან ორი ვერსის სიმორეზე, იმავე ხეობაზე მარცხნივ არის სოფელი სამწვერისი, სადაც ქართველებიც სცხოვრობნ, მისდევენ მებაღეობას. მთელი ეს აღაგი ეკუთვნის შანშიევებს. აქ, მაღლა, ბაღების თავში არის პატარა სამების ეკლესია, რომელიც განუახ-

ლებიათ 1870 წელს ბ. გრ. და ნინო შანშიევებს. თვით ნინო შანშიევმა მითხრა, მას სწადია ამ ნაგრევი ეკლესიის განახლება სომხურ წესზედ, მაგრამ ნანახი სიზმრის წინადადებისაებრ ქართულად ვაკურთხებინეო” (ჟურ. „მოგზაური“, 1901, №11, გვ. 1046). ამჯერად კი გადაურჩნია უფალს სამწევრისის ქართული ეკლესია სომხებისაგან, მაგრამ საბოლოოდ მაინც ვერ დასხლტომია ზოგიერთ სომებს სასულიერო პირთა მტაცებლურ ხელს. ამას მოწმობს მისი რუკა-ცნობარში შეტანის ფაქტი.

აქვეა მრავალმხრივ საყურადღებო ცნობა: „ახალშენს მარცხნივ აკრავს მაღალი გორა ზედ პატარა ძველი დანგრეული ეკლესით, რომელსაც ახალ „ელი-ბაბს“ უწოდებენ. მის დღეობას ქართველები დღესასწაულობენ მეორე კვირს, წმ. აღდგომისა. ხოლო ბერძნები, რომელთა სიტყვით აქ ძველის-ძველით წმ. წინასწარმეტყველი იღლიას ეკლესია ყოფილა, დღესასწაულობენ 20 ივლისს. ხატობის დღეს აქ იკრიბება მრავალი ბერძნი სოფ. წალკიდან, წინწყაროდან და სხვა მხრიდანაც. ამ ოთხი წლის წინათ, აქაურ „ტერტერებს“ სდომებიათ მისი დაჩემებაც, მაგრამ ბერძნებს, როგორც გაიჭერა ხალხს, მკლავი უხმარიათ და ტერტერები ამ ვება გორის წვერიდან მდინარე მაშავერაზე ტყაპა-ტყუპით ჩაუკეთათ. ელი-ბაბის მთის ძირას, მარჯვნივ, თაფანის მთაზე, არის ძველი ეკლესია. იგი და ელი-ბაბი გაჰყურებენ ერთმანეთს და, როგორც თაფანის ეკლესიის კედლების, ისევე სამწევრისასა და ხატი-სოფლის წმ. გიორგის ეკლესიებისას, ძველი წარწერანი აღარა ეტყობა რა, ხოლო ზოგ აღაგას ეშმაკობით ახლად ნაჩიჩქნია სომხური ასოებით.

ამასვე ჩივის ვინმე ხუცესი გამოქვეყნებულ ვრცელ წერილში — „ჩვენი ისტორიული ნაშთი და მათი სვე“ — „ძველ ნაშთებს აღარ ასვენებენ და ძალმომრეობით იჩემებენ (სომხები)... ანგრევენ ძველ ნაშთებს, წარწერებს სპობენ და ჩვენ კი ესე გვძინავს, დრო არ არის. დროა, თვალები მოვითშვნიტო, მოვიდეთ ახლოს, ვნახოთ ეს მოკაკნე ქათმები და ერთად ვიღონოთ რამე ნაშთების შესახებ“ (გაზ. „ივერია“, 1895, 172).

ეტყობა, სხვისი ეკლესიების მითვისება სომებს სასულიერო პირებს სისხლში ჰქონიათ... სამწუხაროდ, ქვემო-ქართლში ძველ ქართულ ეკლესიებზე ქართული ეპიგრაფიკის ამოფხეკა და სომხური წარწერების მიჯღაბნა ახლაც გრძელდება... ამ რამდენიმე ხნის წინ

ტელევიზიის „მაცნემაც“ გადმოსცა ანალოგიური უმსგავსობანი, რასაც სჩადის ამ მხარის მცხოვრები ზოგიერთი სომები“ [2].

სოფელ რატევნისა და „ელი-ბაბის შესახებ იგივე ისტორიებია მოთხოვილი 1901 წლის № 273 გაზეთ „ივერიაში“. წერილი შემდევი სიტყვებით მთავრდება: «და ამის შემდეგ კიდევ კაცთა სიძულვილს გვიკიჯინებენ, თუ ვიტყვით, რომ საქციელი იმ ვაჟბატონებისა დასაგმობადა».

1901 წლის უურნალ „მოგზაურის“ №21-ში მოთავსებული წერილის „ბორჩალოს მაზრა და მასში მცხოვრები ქართველები“ ავტორი გადმოგვცემს: «სოფლის (იგულისხმება აკურა, რომელიც ბარათაშვილის ყოფილა და ვიღაც სომებისთვის სოფელ ყამარ-ლოზე გაუცვლა-ა.უ.) შეა აღაგის სდგას ქვის ეკლესია, რომელიც ძველად ღვთისმშობლის სახელზე ყოფილა ნაკურთხი. ახალ მებატონეს იგი მცირედ შეუკეთებია და ჩვეულებისამებრ მიუდგამს სომხური ქვის ტრაპეზის შენებლობა დასრულებული არ ყოფილა. არც ნაკურთხია. მიუხედავად ამისა, ჩივის ავტორი, „ქართველი მღვდელი არასოდეს არ უხდის ამ ეკლესიაში პარაკლის თავის მრევლს, რადგან ადგილობრივი მებატონე არ აძლევს ნებას“. აი, ამას ჰქვია „გარეულმა ქათამა შინაური გააგდომ“. ქართული სიკეთით გაყიზინებული ჩარჩი მკვიდრ ქართველს ქართულ ეკლესიაში სიარულს უქრძალავს, იმ დროს, როცა ყველა დროის კანონით აკრძალული იყო ეკლესიის დასაკუთრება, რაც მამულის ყიდვა-გაყიდვის დროს უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. ამ კანონის შესახებ ავტორი დიდი იმედით მიუთითებდა წინა წერილში, მაგრამ, ჩანს, ამაռდ ჩაუვლია ქართველთა ყოველგვარ მცდელობას. კარგი, იურიდიული სამართალი იქთ იყოს, ხომ არსებობს ადამიანური სინდისი, დაუწერელი ზნეობრივი კანონები...

ბოლოს ავტორი ისევ რუსის მთავრობას მიმართავს: „საჭიროა, მთავრობამ ამ შემთხვევას ადრე თუ გვიან ურადღება მიაქციოს მისთვის მაინც, რომ აქ მყოფ ქართველებში სარწმუნოება არ შეირყეს. ვინემ დროა, ვისაც ასხია სური სასმენად, ისმინოს!“ — აფრთხილებს სევდიანად ავტორი თანამემამულეთ თუ მთავრობას... ფიტ-არეთის ეკლესიაზე შენიშნავს — „უპატრონოთ არის ჯერჯერობით, თუ „იანცები“ არ დაეპატრონნენ. სოფელ ტანძიაში, სულხან-საბას

მშობლიურ სოფელში, არის ეკლესია – ქართულ-ხუცური წარწერებით, მაგრამ, ამის მოუხედავად, „ტერ-კარაპეტს“ კლიტე დაუდვია ზედ და უწოდებს სომეხთა ეკლესიას“. ვფიქრობ, თავხედობა და უსირცხვილობა ამ „ტერ-კარაპეტაზე“ შორს ვერ წავა!

ვეცადეთ, ფაქტობრივი მასალის მეშვეობით წარმოგვედგინა ქვემო ქართლში ქართული ეკლესიების სომეხთა მიერ მითვისების არც თუ სანაქებო საქციელი. არა და, გასულ საუკუნეში ჩვენს წინაპრებს საქმით უბრძოლიათ, რათა სომეხ სასულიერო პირთა და სომეხ ვაჭართა ხელყოფისაგან გადაურჩინათ ეს უძველესი ქართული სალოცავები. სამწუხაროდ, ამაռდ ჩაიარა მათმა მცდელობამ და ყველა აღნიშნულ ეკლესიას და ბევრ კიდევ სხვას მაინც დაეპატრონნენ სომხები და დღეს ისინი შეტანილია რუკა-ცნობარში» [2].

ახლა ბატონ ივანე ჩიქოვანს დავუგდოთ ყური, რომელიც სომხების მიერ ბინაძორის ეკლესიის მითვისებას უჩივის:

გაზეთი „ივერია“, 1902 წ., №153

«შულავერი (ბორჩალოს მაზრა). შულავრიდგან 3 ვერსის მანძილზე, მაღლობ ალაგას მდებარეობს შესანიშნავი, ძველთაგან ნაშენი ციხე. რამდენიმე წელის წინათ მომიხდა შულავერში გავლა. აქ სცხოვრობენ „განათლებული“ სომხები. ჩამოვარდა ლაპარაკი, თუ როგორი მამაცნი ყოფილან მაგათი წინაპარი. ერთმა მათგანმა თავმომწონედ დაიძახა: „ეს შესანიშნავი ციხე ჩვენ ძველთაგან დანატოვარი არისო“. დავეკითხე: სახელად რას უწოდებენ იმ არემარეს, სადაც ეს ციხე არის მეთქი. „ბინაძორსაო“. ამ სახელმა დამაფიქრა. გავიდა რამდენიმე წანი და კვლავ მომიხდა იქით ყოფნა. ციხის ახლოს ვნახე სასაფლაო. სასაფლაოს ქვებზედ ქართული წარწერები ვნახე. ამასაც თავი გავანებე და მივედი ციხის გალავანთან და ძლივს გადაველ მასში. მეტად მაღალი კედლები აქვს. დავაპირე ირგვლივ შემოვლა, მაგრამ გალავანი დიდს მანძილზე აქვს შემორტყმული. ბოლოს ვიპოვე ჩამონგრეული კედელი და გადავედი. შუა ალაგზეც ციხეა შესანიშნავი ხელოვნებით აგებული. გამიკვირდა: ამ დიდი წნის წინ აშენებულ და ზავსმოკიდებულ ციხის კედლებზე შევამჩნიე ახლად ჩასმული თეთრი ქვები სომხური წარწერებით, გეგონებათ, გუშინ ჩაუსვამთო! ქართული ნაწერი კი გადაუფხეკიათ. დროა, ყურადღება მიგაქციოთ მამა-პაპეულ დან-

ატოვარს. თუ შნო არა გვაქვს შეძენისა, ძველთაგან დანატოვარი მაინც დავიცვათ» [2].

«მიტაცების სენი ისე იყო გამჯდარი სომეხ სასულიერო პირებში, რომ მაპმადიანურ გარემოშიც კი არ თაკილობდნენ ამ საქმეს და ცდილობდნენ, ხელო ეგდოთ ქართული ეკლესიები. აი, რას წერს „ინგილო ჯანაშვილი“ (მოსე ჯანაშვილი) – „გარდა ხსენებული ეკლესიებისა, კიდევ არის ბელაქნის ბოლოს ერთი ეკლესია, რომელსაც ლეკები ეძახიან „ნურიქილისა“ – ეკლესია მადლისა. ის ყოფილა დიდად მშვენიერი და გუმბათიანი, შემოვლებული ზღუდით. ბელაქანში მოვაჭრე სომხებს მისი დაჩემება ჰსურდათ, მაგრამ ტურა ვაჩიაძეს შთამომავლებმა – გალაჯოვებმა ნება არ მისცეს“ (უურნ. „მოგზაური“, 1901, №8-9). ამავე უურნალში (1903, №1-4) ინგილო ჯანაშვილი წერილში „პერეთის აღწერა“ აღნიშნავს: სოფელ ვარდაშენში XIV საუკუნის ადრინდელი ეკლესია არსებულა, ილია წინასწარმეტყველის სახელზე. მისი შესავლის კარზე ხუცური წარწერა ყოფილა. 1855 წელს ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოებისათვის უდალატნა ამ ეკლესის მნათეს, ვინმე ალექსანდრე სილიკოვს, და გრიგორიანული მრწამსი მიუღია. მას მოუნდომებია ამ ეკლესის დანგრევა და მისგან სომხური ეკლესის აშენება, მაგრამ ქართველ მართლმადიდებელ მოსახლეობას ამის ნება არ მიუცია. მაშინ გამქრალა ქართული წარწერები. ვისი ხელით, ამის მიხვდორა არ არის მნელი. შემდეგ ბევრჯერ მოუნდომებიათ ამ ეკლესის დაჩემება, მაგრამ უდებს (ადგილობრივი ტომი-ა.უ.) სასტიკი წინააღმდეგობა გაუწევიათ და არ დაუნებებიათ იგი. ამ სოფლის თავში მდგარ ნიში-წმერის (სიწმინდე) დაპატრონება მოუნდომებიათ სომხებს, მაგრამ მოძღვარს ნება არ დაურთავს, თუმცა მაინც არ იშლიან თავისასო.

...წმ. ელისეს საეკლესიო ნიშები ქართველ მართლმადიდებელ უდებს ეკუთვნოდა: მნათე პეტრე სილიკოვს იქვე უცხოვრია. მაგრამ მოსულა ყარაბაღელი სომხეი, ვინმე მურადოვი, ტერტერა, მნათეს შეპირებია – ნიშების მაგიერ ეკლესია ავაშენოთ და მართლმადიდებელი უდები ილოცებენო. პეტრე სილიკოვი გაბრიყვებულა და ნება მიუცია იმ პირობით, რომ იგი ეკლესიაში მნათედ იქნებოდა. ტერტერა მურადოვს ეკლესია აუშენებია.

(მე თქვენ გეტყვით, ეჩიაძინი არ დააფინანსებდა და ხელს არ

შეუწყობდა. ეს სომები სასულიერო პირი საგანგებოდ იქნებოდა გაგზავნილი ამ მხარეში გრიგორიანული სარწმუნოების გასავრცელებლად). მნათე პეტრე მომკვდარა, ტერტერას ეკლესია სომხურად უკურთხებია და „ეღიშე არაქელ“ უწოდებია. ამტყდარა საჩივარი, მაგრამ სომხებს ქრთამი გაუღიათ და ეს ეკლესიაც დაუსაკუთრებიათ. ერთი სიტყვით, როგორც მოსე ჯანაშვილი ოუწყება, სომები სასულიერო პირები ძალიან აგრესიულად მოქმედებდნენ მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. მით უმეტეს, თურმე, ამ საქმეში რუსები უწყობდნენ ხელს... „რუსებმა რომ ნუხის სახანო დაიპყრეს, პასკევიჩმა სომხები გააძლიერა ამ მხარეს და უმწყებსოდ დარჩენილმა მართლმადიდებლური სარწმუნოების უდებმა თანდათან მიიღეს სომხური სარწმუნოება“, თორებ ამ მხარეში სომხური ეკლესიები არასოდეს ყოფილაო – ამბობს ინგილო ჯანაშვილი» [2].

უურნალი „მოგზაური“, 1903 წ., №1

„ისტორიული და გეოგრაფიული აღწერა პერეთისა“

„...გიშელ-ქურმუხელი მთავარებისკოპოზი კირილე ამ სოფელს „ვარდთაშენს“ ეძახის, ხოლო ადგილობრივი სომხები და უდები ვართაშენს. სომხები ამტკიცებენ, რომ ის სომებთ მხედართ-მთავარმა ვარდანმა აღაშენაო. მაგრამ სტყუიან, ეს მხარე პერეთია, ხოლო პერეთში ქართველები სახლობდნენ. როგორც ამტკიცებს ისტორიკოსი სომებთა, ეღიშე, ხალხალამდე მიწა-წყლი ივერიას ეკუთვნოდა, ამას იქით, აღმოსავლეთისაკენ, ალბანიას.

როცა რუსეთმა დაიპყრო ნუხის სახანო და (პასკევიჩმა) სომხები გააძლიერა ამ მხარეს, უმწყებსოდ დარჩენილ მართლმადიდებელთ სარწმუნოების უდებმა სომხური სარწმუნოება მიიღეს. ეხლა ესენი გვედავებიან და სწადიანთ ჩვენი მამა-პაპის სალოცავი სომებთ დაისაკუთრონ. უსამართლობა იქნებოდა, რომ მთავრობამ სალოცავი ჩვენ წაგვართვას და გასომხებულ ჩვენს მომმეთ ჩააბაროს. ისინი გასომხებულან, მაშასადამე, უფლებაც დაუკარგავთ, რადგან უარ-უყიათ მამა-პაპის სარწმუნოება, ამისათვის უეჭველად ქართველ უდებს უნდა დარჩეთ სალოცავი... უნდა გადასწყდეს ერთხელვე, რომ სალოცავი, სომებთაგან „ეღიშე არაქელად“ წოდებული, ქართველ უდებს ეკუთვნით და არა გასომხებულებს...

ეჭვი არ არის, ამბობენ ახლანდელი უდები, რომ საქმეს მართლმადიდებელი სარწმუნოების აღმსარებელი მოიგებდნენო, თუ რომ ქრთამი არა დატრიალებულიყო. მოსამართლენი მიემხრნენ სომხებს და მოედვენ ღობე-ყორეს.

...თუმცა ნუხის დროებითმა პროვინციალურმა სასამართლომ ხსენებული სალოცავი გასომხებულ უდებს დაუმტკიცა, მაგრამ მართლმადიდებლებმა და მათმა მღვდლებმა მაინც ხელი არ აიღეს იმაზე. ყოველ წელიწადს, აღდგომის მესამე დღეს, იკრიფებოდნენ იქ სალოცავად და შემოსავალს იღებდნენ. სომხენიც ჯერჯერობით ხმას არ იღებდნენ. 1884 წელს ჭალეთის მონასტერში სომხეთის საულიერო მთავრობამ ვიღაცა ახალგაზრდა არქიმანდრიტი დანიშნა. ეს კაცი ჩაერია საქმეში. როცა ჩვეულებრივ მივიღენ მართლმადიდებელი უდები და გასომხებული უდები სალოცავად, შფოთის მოყვარე არქიმანდრიტმა წინააღმდეგობა გაუწია მართლმადიდებელთ მოძღვარს, აღუკრძალა გასომხებულებს – შემოსავალს ქართველთ მღვდელს ნუ აძლევთო. ამაზე ასტყდა მათ შორის ჩხუბი, კარგათა სცემეს ერთმანეთს, არქიმანდრიტსაც რამდენიმე მიარტყეს შფოთის ატენვისათვის. ჩაერია საქმეში პოლიცია, აღშფოთებული ხალხი დამშვიდეს. დაიწყო საჩივრები, არქიმანდრიტი დაითხოვეს. საქმე დარჩა ისევ უწინდებურად სადავოდ, მაგრამ მეტიჩარა პოლიციის ბოქაულმა ო. ქუთათელაძეშ უბრძანა ქართველ უდებს: მოერიდეთ სომხებს, ისინი ჩხუბს აპირებენ, თუ რომ თქვენი მღვდელი ჩვეულებრივ მივა სალოცავზეო.

ასრე ხელი მოუმართეს მოხელეებმა სომხებს და ძალაუნებურად ხელი ააღებინეს ქართველებს სალოცავზე. მაგრამ საჩივრები კიდევ ასტყდა 1889 წელს, მე მივართვი მთავარმართებელს თ. დონდუკოვ-კორსაკოვს, როცა ნუხის მღვდლად ვიყავი და ნაბრძანები მქონდა კერძოდ მისიონერობა გმირები ნუხის მაზრაში «აშენებაზე ცაჲენები» და ვსოთხოვე, გამოეძიებინათ წმ. სალოცავის საქმე და დაებრუნებინათ მართლმადიდებელ ეკლესიისათვის. დანიშნეს გამომმიებლად ნუხის უფროსის თანაშემწეო თ. ანდრონიკაშვილი. სომხებმა დაუწყეს იმას ლაქეცი, გაუმართეს სადილები, მიმხრეს და იმანაც დასტოვა „ეღიშე არაქელი“-ს საქმე და განაღვიძა დავა იღია წინასწარმეტყველის ეკლესის შესახებ, მაგრამ ვართაშნის ეკლესის მედავითნებ სოლომონ ჩიკვაძემ მოახსენა სომებთ მოსარჩლეს: „კნიაზო, იღია

წინასწარმეტყველის ეკლესის გარშემო თავისი მოწმეები პყავს და ამტკიცებენ, რომ ეს ეკლესია უსაცილოდ ქართველთა ყოფილა. სომხები ბზას არა ჰქმარობენ და ეჯავრებათ კიდეც, რადგან ქართველი ხმარობენ მას ბზობის დღეს. მის ნაცვლად ისინი ხმარობენ ტირიფს. აქედგან ცხადია, რომ სომხები არასოდეს არ დარგავდნენ ეკლესის გარშემო ბზას, თუ რომ ის მათი ყოფილიყო. იმასა რგავდნენ ქართველები. ვერ ხედავთ, ამ ეკლესის გარშემო თითქმის მთელი ტყეა ბზისა გაშენებული! ამის შემდეგ განა ეჭვილაა, რომ ილია წინასწარმეტყველის ეკლესია ქართველებს ეკუთვნით“. „თუ ასეა, მაშ „ელიშე არაქელის მატურა“, რომლის გარშემო ბზა არ არის, სომხების კუთვნილება ყოფილაო“ – დაასკვნა გონიერმა გამომძიებელმა და პირველი ქართველებს დაუნარჩუნა, მეორე – სომხებს.

ამის შემდეგ დაწყნარდნენ ქართველი უდები და გასომხებულები. დაიმკიდრეს სომხებმა „ელიშე არაქელი“ და კარგად მოიკეცეს იქ ფეხები. იმათ დააქციეს სრულად პეტრო სილიკოვისაგან აშენებული სახლიც და მის საძირკველზე ააგეს ახალი სახლი ქვიტკირისა შორეულ მლოცვათოვის. მეცადინეობენ, მურადოვისაგან აშენებული პატარა სამლოცველოც მოშალონ და მის ნაცვლად აღაშენონ დიდი ეკლესია. მოახერხებენ კიდეც. ამდენ ხანს მისი შემოსავალი ვართაშის ქართველთ ეკლესის ეკუთვნოდა, ახლა, რადგან იგი მას ჩამოერთო, სომხები აიღებენ და მოახმარებენ ეკლესის აშენებას. ყოველ წელიწადს 300 მანეთი ფული, რასაკვირველია, ცოტა შემოსავალი არ არის. ეს არის კიდეც საწყინო ქართველ უდებისათვის, რომ მათ საეკლესო შეოლაზე ხალხი და სასულიერო მთავრობა თავისს ფულს ხარჯავნენ, ხოლო სომხები მათ წინაპართა სალოცავის შემოსავლიდან ეკლესიებს იშენებენ, ძლიერდებიან, იპყრობენ ნუხის მაზრაში ქართველთაგან დაშოთნილ ძველებურ ეკლესიებს, სახლდებიან და მრავლდებიან ქართველთ მიწა-წყალზე, ხოლო ქართველთა გლეხობა ქართლ-კახეთში უმიწაწყლობით ღარიბდება, არ იცის, რა ქნას და საით წავიდეს. ხალხი მრავლდება, მიწა კი კლებულობს, ცოტავდება და სახნავ-სათესად აღარ ჰყოფნის.

ინგილო ჯანაშეილი».

გაზეთ ივერის 1887 წლის 28 აპრილის №83-ში ასეთი ცნობაა დაბეჭდილი: «„ვართაშინი ნუხაზედ მომორქულია ოცდახუთმეტი ვერსით. აქ აღდგომის მესამე დღეს იციან დღეობა წმ. ელისესი. ამ სოფელს ეპატრონებიან აქაური სომხები, თუმც ქართველები არ უთმობენ“.

თუ რა მიუღებელი ხერხებით იბრძოდნენ სომხები სასულიერო პირები ქართველი მართლმადიდებელი მოსახლეობის სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასაყვანად, ჩანს აქ მოტანილ შემდეგ ცნობაში: „ამას წინათ, – წერს პუბლიკაციის ავტორი, – უბრალო შემთხვევას აღმოუჩენია, რომ ერთის ქართველის შვილი სხვის სიაში ჩაუწერიათ შემდეგის გვარით და სახელით „არუთინ კირაკოზიანცი“. ბოლოს კი გამოჩენილა, რომ ეს ყმაწვილი გვარად ყოფილა – ბაბულაშვილი და სახელად მიხო რქმევია“. სომხები სასულიერო პირების შემოსევას ქართველი მოსახლეობის გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასაყვანად მასობრივი, გეგმაზომიერი ხასიათი ჰქონდა და იმართებოდა ეჩმიაძინიდან. ამას ხელს უწყობდა და წესი: სომხები მდიდარი მოქალაქე ქართველი თავადის მამულს რომ შეიძენდა, ქართველი გლეხი თითქოს ვალდებული იყო, ახალი მეპატრონის სარწმუნოებაზე გადასულიყო; სომქ მღვდელ-მსახურთა ენერგოული ღონისძიებები („კრესტნი ხოდები“) ქართულ მოსახლეობაში, მათი მოსყიდვები, სხვადასხვა გზით გადაბირება აიოლებდა ქართული მოსახლეობის სომხური სამღვდელოების ხელში ჩავარდნას. – ბ.-ს პუბლიკაციებიდან ვიცით, რომ რუსის მთავრობა ამგვარ ქმედებას კანონით კრძალავდა, მაგრამ ეს აკრძალვა ქაღალდს იქთ არ მიღიოდა. პირიქით, XIX საუკუნეში რუსული აღმინისტრაცია ქართველი და სომხები მოსახლეობის გათიშვასა და დაპირისპირებას ხელს უწყობდა და ქართველთა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასვლას ახალისებდა კიდეც. ადრე კი, XVIII საუკუნის ბოლოს, დავით ბატონიშვილის საკანონმდებლო აქტით – „სომხებს არც ერთი სახით არ ეძღვევათ ნება გაბატონებული რელიგიის – ქართული მართლმადიდებლური სარწმუნოების ადამიანებისათვის თავის სარწმუნოებაზე მოქცევის“ (გ. მაისურაძე – „ვინ აღვევს კეთილმეზობლურ ტრადიციას“, გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1992 წ. 22 მაისი).

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, ამ რამდენიმე წლის წინ ქვემო ქართლის მოსახლეობის ნაწილმა, რომელთაც კარგად ახსოვთ თავიანთი ქართველობა, აღიდგინეს ქართული გვარები და მართლმადიდებელი სარწმუნოება. ამას მოჰყვა ბ-ნ პ. მურადიანის საკმაოდ მძაფრი უარყოფითი რეაქცია („ქართველი გრიგორიანები, მითი და რეალობა“, გაზ. „ეპოქა“, 1990 წ. №8).

ამრიგად, ქართული ეკლესიების მითვისება გახლდათ პირველი ეტაპი, რასაც აუცილებლად მოჰყვებოდა მეორე – ამ ეკლესიების ირგვლივ მცხოვრებ ქართველთა გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადაბირება.

მიუხედავად იმისა, რომ პუჯაბის ცნობილი ტაძრის ქართულობაზე არაერთი სტატია გამოქვეყნდა, სომხებმა ის მაიც მიითვისეს. პუჯაბის ტაძარი არის XIII საუკუნის ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი (ქ. აბაშიძე, კ. ხარაძე, აკ. გელოვანი და სხვა). კიდევ უფრო სამწუხარო ის არის, რომ პუჯაბის ტაძრის დაპატრონების მიზნით სომხეთის საზღვარი 400 მეტრით არის გადმოწეული, რათა პუჯაბის ქართული სამონასტრო კომპლექსი სომხეთის ტერიტორიაზე მოხვედრილიყო (ქ. ხარაძე – „ძეგლის ნამდვილი მემკვიდრე“, გამ. „ახ. კომი“. 1988 წ. 15 ოქტომბერი). რაც შეეხება პუჯაბის სააღმშენებლო ქართულ წარწერას, იგი სომხებს გაუნადგურებით ჯერ კიდევ გასულ საუკუნეში. ამის შესახებ ცნობას გვაწვდის 1896 წლის უურნ. „მწყემსი“. ეს ინფორმაცია ქართულ უურნალს გადმოუხეჭდია „თანამდებობის უსახლისობისათვის“ [2].

ამ, კიდევ მაგალითები სომხეთა საქმეთა:

«სომხური წარწერის არსებობა ამა თუ იმ ეკლესიის კედელსა და ფრესკაზე ბ-ნ კარაპეტიანს ამ ეკლესიის სომხურობის უტყუარ საბუთად მიაჩნია. ეს თუ ასე არ არის, მაშინ როგორ უნდა გავიგოთ ის ფაქტი, რომ რუკა-ცნობარში აქვს შეტანილი: „უდაბნოს კლდეში ნაკვეთი (დავით-გარეჯი) ეკლესია, XVI ს.“; „უდაბნოს კლდეში ნაკვეთი ეკვდერი IX-XV სს.“. ეს სომხური წარწერები რომ პილი-გრიმულია, საფუძვლიანად დაამტკიცა პროფ. მ. ქავთარიამ („დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა“, თბილისი, 1965).

სომებს ავტორთა გამოკვლევებში, ქვემო ქართლის ან სამცხე-ჯავახეთის ქართული ტოპონიმის, ან ისტორიული ძეგლის განმარტებისას, ხშირად საგანგებოდ მიუთითებენ ამ რეგიონებში ძეგლი საფლავის ქვებზე სომხური წარწერების არსებობაზე. ამით არაორაზროვნად მიანიშნებენ ამ ძეგლის ან მხარის ვითომ სომხურობაზე. ჩვენი აზრით, ამ შემთხვევაშიც არ არის გამორიცხული ამ ქვების სომხური წარწერების ფალსიფიკაცია. ამის საფუძველს გვაძლევს ისევ „მოსკოვსკიე ვედომოსტის“ (1896 წ., 6 იანვარი) ასეთი ცნობა – „ერთ ძველისძველ და მივიწყებულ სასაფლაოზე

ქართველების ერთ ეკლესიასთან, კუჩენბახის მინის ქარხნის ახლოს (დმანისის რაიონი), ბოლო ხანებში გაჩნდა სულ ახალი ფიქალები, სომხური წარწერებით“. ეს ფაქტი ნათლად გვიჩვენებს, რომ ადგილი ჰქონდა ნაყალბევი სომხური წარწერიანი ქვების მოტანას და დადებას ან მიწაში ჩაფლვას ამა თუ იმ ქართული ისტორიული ძეგლის ირგვლივ, რათა შემდგომ სომხურად გამოეცხადებინათ. ასეთ უკეთურ საქმეს დღესაც ეწევა ზოგიერთი სომქები. 1990 წელს მარნეულის სოფელ ახერიფში მდგარი ქართული ბატალიონის უფროსობას მიუღია ინფორმაცია, ვიღაცა კაცი ზურგჩანთით დილით მოდის სოფლის ახლო მდებარე ძველ ქართულ ბაზილიკაში და საღამომდე იქ რჩებაო. წასულან და უნახავთ – ქართული ბაზილიკის საძირკველი გაუთხრია ვიღაც სომქებს, რომელიც თხრილში ჩამდგარი, საძირკველზე ქვემოდან მესამე ქვაზე კვეთდა სომხურ სააღმშენებლო წარწერას... ამ სოფლის ერთ მოხუც ქართველს შეუჩივლია ბატალიონის უფროსისათვის – ეს პირველი შემთხვევა არ არის, შემოგზავნილი სომხები ხშირად ჭრიან სომხურ წარწერებს ძველ ქართულ ეკლესიებზე. აღარ შევუდგები იმის მტკიცებას, თუ ვისი დავალებით და რა მიზნით ტვიფრავენ სომხები ქართულ ისტორიულ ძეგლებზე სომხურ წარწერებს. ფაქტი ერთია: ასეთი უზნეო საქციელის შედეგი ჩვენს ხელთაა - ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთის და სხვა შსარეთა მრავალი ძველი ქართული ეკლესია ახლა „სომხურადა“ გატანილი ბ-ნ ს. კარაპეტიანის მიერ შედგენილ რუკა-ცნობარში.

დღეს განსაკუთრებით მძიმე დემოგრაფიული მდგომარეობაა სამცხე-ჯავახეთში. ი. ჯავახიშვილის თქმით, 1829-1830 წლებამდე სამცხე-ჯავახეთში 95% ქართველები ყოფილან. მაგრამ 1829 წელს მეფის რუსეთის ადმინისტრაციამ, კერძოდ, მდიდარი სომხების მიერ მოსყიდული გენერალ პასკევიჩის თაოსნობით ერზერუმიდან ჩამოასახლეს სომხების 20000 ოჯახი. აქ მცხოვრები მირძველი ქართველი მოსახლეობა კი აიძულეს, გაქცეულიყო. მათ ნება არ მისცეს საკუთარ მიწაზე ცხოვრებისა. ასე ხელოვნურად შეიცვალა დემოგრაფიული თანაფარდობა სამცხე-ჯავახეთში სომხების სასარგებლოდ. აქ მოსულ სომხებს, ისე, როგორც წალკაში (თრიალეთში), დახვდათ ქართული ეკლესია-მონასტრები და ჩვეულებისამებრ დაიწყეს მათი დაპატრონება (უურ. „მოგზაური“, 1901, №8-9).

ამაზე მწარედ მოთქვამს ამ მხარის მკვიდრი, სწავლული და
საზოგადო მოღვაწე ივანე გვარამაძე: „ზოგიერთი სომები არ დასჯერდ-
ნენ ჩვენს მამა-პაპების სისხლით დაცულ პოხიერ მიწა-წყალს, მის-
გან მიღებულ მრავალ სიკეთე-სიმდიდრესა, გაძლიერ, გაღონიერდნენ,
გაიმაგრეს ურთიერთობისაგან ზურგ-მხარი და უწყეს ნგრევა ჩვენ
სათაყვანო ეკლესია-მონასტრებისა – სადაც შეძლეს, დაისაკუთრეს,
ხუცური წარწერები წაშალეს და თავიანთებურს ჯღაბნა დაუწყეს
არა მარტო ეკლესიებზედ, იგივე ნაოხარ სოფლების ლოდებზე და
ქვებზედ. სადაც ვერ გაიტანეს, ხელით ეკლესიები, ნაწერი, ნახატი
ქვები დაგლიჯეს და სასაფლაოები დალეწეს. ბევრგან ქართული
წარწერით სასაფლაოები დალეწეს, ეკლესიების ძველი სასაფლაოები
დათხარეს და ძვლები ღელე-ხევებში გადაყარეს. ღღემდის ქურთები,
თურქები, თარაქამები, მაპაჭადიანები კრძალვით და პატივისცემით ეპყ-
რობიან ჩვენ ეკპლესიებს და ზოგიერთი სომებთაგანი კი მტრულად
გვეპყრობიან, სიმართლით წყინობს კლდია (წერილების ავტორის
ფსევდონიმი-ა.უ.) მათ დაუნდობლობასა მღვდლით ერამდის, მაგრამ
გამგონი არა გვყავს, თბილისსაც ისაკუთრებენ, ასპინძა და აბასთუ-
მანი რაღა სახსენებულია?..“ (ჟურ. „მოგზაური“, 1901, 11, გვ 1035-
1036). ქართველ მამულიშვილთა მცდელობამ არც ქვემო ქართლში,
არც ქართლ-კახეთში და არც სამცხე-ვაკეთში ნაყოფი არ გამ-
ოიდო და მიკერძოების სენი თავისი გზით წავიდა. ეს ჩანს თუნდაც
ხსენებული მხარეების რუკა-ცნობარში შეტანილი გასომხურებული
ეკლესიების მაგალითზე» [2].

შია ჯიგრაშენი: „აქ არის ძველი ქართული ეკლესია, რომელიც თავის ქართულ სასაფლაოსთან ერთად სომხებს თავისად უქცევიათ...“. ამ გასომხურებულ ეკლესიაზე ივ. როსტომაშვილს უნახავს ქართული წარწერა – „ქრისტე შეიწყალენ ამშენებელნი...“ (გვ. 54). სოფელ კულალაში ცხოვრობდნენ სომხები და თათრები. „ამ სოფელში აქამ-დე შემონახულია ძველი ციხე კოშკითა და ძველი ეკლესით, სომხე-ბის მიერ სამრევლოდ გადაკეთებულით“ (გვ. 75). სათხეს ძველი ქართული ეკლესის ნანგრევების სამხრეთ კედელთან „სათხის ამჟა-მინდელ მაცხოვრებელ სომხებს მოუშენებიათ თავისი საკმაოდ ღამაზი ეკლესია“ (გვ. 105)» [2].

გულგრილად ვერ წაიკითხავ უდროოდ დაღუპული ისტორია-კოსისა და სასულიერო პირის, გიორგი ბოჭორიძის მონოგრაფიას „მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში“ (1992 წ.), სადაც მრავალი ფაქტია მოყვანილი სომხების მიერ ქართული ნაშთების იავარებისა და მოშთობისა. «მაგალითად, უდეს წმ. გიორგის პატარა, ერთნავიანი ეკლესიის შესახებ იგი წერს: დასავლეთი ფანჯარა შეკეთებულია და ზევით უდევს მცირე ქვა სომხური წარწერით, რაც განახლების დროს არის დადგებული (გვ.64). გიორგი ბოჭორიძეს 80 წლის მოხუც იაკობ ბალახიშვილისაგან შეუტყვია, რომ სოფელ წყალთბილას სომხური სკოლის შენობის კედელში ჩატანებულია ფეტობენიდან ჩამოტანილი მეფე-დედოფლის გამოსახულებიანი და წარწერიანი ქვათ» [2]. მკვლევარი სწრაფად წასულა და, დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად, მაინც უპოვია სკოლის კარის თავზე ჩატანებული, შეკირული სარკმელის თავის 2 ქა, ჩამოუღია და რის ვაი-ვაგლახით ვალეში ჩაუტანია. კარის ჩამორცეცხვის შემდეგ მათზე აღმოჩნდა შესანიშნავი ქანდაკება და ვადაფხევილი ქართული წარწერა: 12 სტრიქონიანი წარწერიდან ჯვრის ქვემოთ მხოლოდ 3-4 ასო დუღულობებიათ დაუზიანებელი.

«ტენდენცია აშკარაა – წაშალონ, აფხივონ ქართულის მაუწყებლობის ყოველგვარი ნიშანი და მერე თავისად გამოაცხადონ. საოცარია, იციან, რომ მოსულები არიან, იციან, რომ მათი არ არის ესა თუ ის ისტორიული თუ არაისტორიული ძეგლი, მაგრამ მაინც თავის საკუთრებად აცხადებენ. ამ დროს ბერძნებს, ებრაელებს და სხვებს ასეთი უსაფუძვლო პრეტენზიები არასოდეს განუცხადებიათ. აკად. ნ. ბერძენიშვილი მოუთოთებს ფოკას ეკლესიის წარწერების ფაქტზე და

დასტენს: „ასეთი ბოროტმოქმედების სამწუხარო მაგალითები ჩვენ სხვაგანაც გვხვდება ჯავახეთში“ (საქართველოს ისტორიის საკითხები, 1967, ტ. I, გვ. 248).

ისევ გიორგი ბოჭორიძეს მივყვეთ: „ქვაზე წარწერა განგებ არის გადაფხეცილი რაღაც იარაღით“, ლაპარაკია სოფელ აგარისწყაროს წარწერიან ქვებზე. „ახალციხეში წმ. სტეფანოსის ორი ეკლესია არის – ერთი ახალციხის დარამაჰლას უბანში. აწინდელ სომხერი სტეფანოსის ეკლესის ადგილას ძველად ქართველების ეკლესია ყოფილა, სომხერი ეკლესია ახალია“ (გვ. 166). გიორგი ბოჭორიძე შენიშვნავს: „ახალციხის სურბ-ნიშანის ეკლესია, ახალი შენობა, აშენებულია ქართული ეკლესის ადგილას“.

აკად. ექ. თაყაიშვილის, აკად. ს. ჯიქას, ივ. გვარამაძის, ივ. როსტომაშვილის, ვინძე „ხუცესის“ (ჩვენი ვარაუდით მოსე ჯანაშვილის) და სხვათა უძრავი მონაცემით – სამცხე-ჯავახეთში, თრიალეთში (წალკა), ქვემო-ქართლში (გოგარანი) მოსული სომხები ადგილზე დახვედრილ ქართულ ეკლესიებს უსირცხვილოდ დაეპატრონნენ და გაასომხურეს. აი, რატომ მოეფინა ნაწვიმარზე ამოსული სოკოებივით საქართველოს აღნიშნულ მხარეებს „სომხური“ ეკლესიები. იყო შემთხვევა და, არცთუ მცირე, ზოგიერთი ქართული ეკლესია დაშალეს და მისი მასალისაგან (ლამაზად გამოთლილი ქვები და სხვა) ააგეს ახალი სომხური ეკლესიები.

ობიექტური სურათის წარმოსახენად მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მოვიტანო საქართველოს ცენტრალურ არქივში დაცული სომხური ეკლესიების რიცხვი რაიონების მიხედვით: – ბოგდანოვკა (ნინოწმინდა) – 16 (1911-1916), ახალციხე – 10 (1911-1916), ახალქალაქ – 31 (1911-1916), გურჯაანი – 5 (1911-1915), ხაშური-ქარელი – 4 (1911-1918), ოლავი – 8 (1911-1918), კორი – 10 (1912-1918), წალკა – 10 (1911-1919), გარდაბანი – 10 (1911-1920), დმანისი – 2 (1920), ბოლნისი – 2 (1911), მარნეული – 4 (1911-1916), სიღნაღი – 5 (1911-1921), თეთრიწყარო – 11 (1911-1918). აღნიშნულ წლებში ეს ეკლესიები მოქმედებდნენ (სინდალური ჩანაწერები, ფონდი 489, აღწერა 12).

ფაქტია ისიც, რომ 1800-1900 წლებში (სხვა წლებშიც – ა.უ.) აგებულ ზოგიერთ სომხურ ეკლესიას აშენების თარიღი არ უზის და მითითებულია მხოლოდ ახლად (კვლავ, მეორედ) აშენების წელი. ეს გარემოებაც, აღნიშნულ ფაქტებთან ერთად, იძლევა საფუძველს, ვი-

ფიქროთ, რომ ეკლესიები იყო ქართული და ამიტომ მათი თავდაპირველი აშენების თარიღის რუკა-ცნობარში შეგნებულად აქვს ავლილი გვერდი» [2].

ცალკე საკითხია კათოლიკე მისიონერთა (პაპისტების) მოღვაწეობა საქართველოში, მათი პროტელიტური საქმიანობა, მათ მიერ დაარსებული მონასტრები და აშენებული ეკლესიები. მათი ქმდებანი ისეთი აგრესიულობით არ გამოირჩეოდა, როგორც სომხების, მაგრამ გვაქს არაერთი ფაქტი პაპისტების მიერ მართლმადიდებლური ეკლესიების დასაკუთრებისა. ზოგიერთი მათგანი დღეს სადაოთა რიცხვს განეკუთვნება. რუკა-ცნობარის ავტორმა, ბ-ნმა ს. კარაპეტიანმა, თანამომბე სომებს კათოლიკეთა აგრესიული ხაზი გააგრძელა, საქართველოში არსებული თოთქმის ყველა კათოლიკური ეკლესია სომხურად გამოაცხადა და შეიტანა თავის რუკა-ცნობარში, მათ შორის სახალხო დამცველის მიერ დასახლებული ეკლესიები, კერძოდ ივლიტასა და უღები. მაგალითისათვის, ივლიტაში ეკლესია ძველად მართლმადიდებლური იყო – ამის დამამტკიცებელი ქვა ტაძრის კედელში დღესაც არსებობს, შემდეგ ივი კათოლიკებმა მიიტაცეს, ბოლოს მართლმადიდებლებმა დაბრუნება. ახლა კათოლიკები ისევ ედავებიან. მავრამ, როგორც ირკვევა, მასზე პრეტენზიას სომხებიც აცხადებენ: ივლიტას ეკლესია ბ-ნ ს. კარაპეტიანს რუკა-ცნობარში სომხურადა აქვს შეტანილი. სახალხო დამცველი კი ამ ტაძრის კათოლიკებისთვის დაბრუნებას მოითხოვს. იგივე სურათია უდეს და სხვა ეკლესიებთან მიმართებაში. როგორც ვხედავთ, ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიებს სხვა კონფესიისა თუ ჯურის ხალხი იტაცებს და ხშირად ერთმანეთსაც ეცილებიან.

„მწყემსი“, 1887, №2

„თბილისიდგან“

«...სოფელ თელეთში არის წმ. გიორგის ეკადესია, რომელიც დღეს სომხებს ეკუთვნის. 1795 წლამდე ეს ეკლესია ქართველებისა იყო. ამ წმ. გიორგის ეკადესიაში საქართველოს ბევრი კუთხეებიდამ დაიარება სალოცავად ქართველი ერი და დიდი შესაწირიც შედის ამ სომხის ეკადესიას ქართველებისაგან. ამ ეკადესის წმიდა გიორგის ხატზე არის წარწერა, რომელიც მოწმობს, რომ ეს ხატი შეუწირავს ამ ეკადესისათვის ერთ ქართველ მონაზონს.

უმეტესი ნაწილი ამ სოფლის მცხოვრებთა ქართველებია. სომხები ძალიან მცირე ნაწილს შეადგენენ. აქაური სომხები, გარდა ზნე-ჩვეულებით, მთლად ქართველები არიან. დღემდის ამ სოფლში მცხოვრებ ქართველებსა და სომხებს შორის დიდი სიყვარული სუფევდა თურმე, მაგრამ დღეს ეს მშვენიერი დამოკიდებულება შეცვლილა. ამის მიზეზი ყოფილან თვით აქაური სომხის მღვდლები, რომელთაც საიდუმლოდ აღუკრძალავთ აქაური სომხებისათვის ქართველ გლეხებთან მისვლა-მოსვლა.

ამ სოფლში სომხის მღვდლებს დაუარსებიათ სკოლა. სკოლა-ში სწავლა სწარმოებს სომხურს ენაზე, რომელიც სრულებით არ იციან აქაურმა სომხებმა.... (სომხი მღვდლები – ა. უ.) მეცადინეობენ, რომ სომხებმა ქართველების ეკალესიაში არ იარონ.... ამ მიზნით ისინი ეკალესიებს იმ წმინდანის სახელებს არქმევენ, რომლებშიც დღეს სომხები დაიარებიან სალოცავად ... გვიკვირს, რომ წმ. ბარბარე არც კი ჰყავთ სომხებს თავიანთ წმინდანებში და ეკალესია კი ამ წმინდანის სახელზე გააკეთეს.

მცხეთაშიც სომხებმა ააშენეს ეკალესია სვეტიცხოველის სახელობაზე და ისინი იმავე დღეს უქმობენ, რომელ დღესაც ქართველები დღესასწაულობენ სვეტიცხოვლობას. სომხის მღვდლებს ამით უნდოდათ, რომ სომხებს ამ დღეს არ ევლოთ მცხეთის სობოროში, მაგრამ სომხები მაინც დაიარებიან ჩვენს ეკალესიაში. ერთი სიტყვით, სომხის მღვდლები მეცადინეობენ, რომ თავიანთ ეკალესიებს იმ წმინდანის სახელები დაარქვან, რომელთა სახელზე აღშენებულია ის ეკალესიები, რომელთა დღეობაზეც დაიარებიან სალოცავად სომხები».

„ივერია“, 1902წ. №253 „ცხინვალი“

«ცხინვალის მახლობლად, სოფელს სახეითოში, კლდის მაღლობზე, უხსოვარის დროიდგან აშენებულა ეკალესია, ესრედ წოდებული „ზღუდერი“. ამ ეკალესიის გვერდზე ეხლახანს სომხებსაც აუშენებიათ ეკალესია. მამული, რომელზედაც აშენებულა ეკალესიები, ათადან-ბაბადან ეკუთვნით თავად მაჩაბლიანთ.

ზემო დასახელებულ ეკალესიებს ათადან-ბაბადან ჰქონია და აქვს ერთად-ერთი საურმე გზა სომხების სასაფლაოზე. ამ ორის

სამის წლის წინად ხმა, კრინტი არავის დაუძრავს ამ გზის მითვისების შესახებ და მყუდროება იყო დამყარებული სომხებსა და ქართველებს შორის. იქნება სრული წელიწადი, რაც სომხებმა ამოირჩიეს თავი-ანთი ეკალესიების მნათედ ვასილ შერმაზანოვ-შერმანიანცი, რომელსაც შეუჯდა ბუზანკალი და მოინდომა, გზა შეუკრას ქართველებს. ქართველების ეკალესია მაღლობზეა აშენებული და ხსენებულ გზის გარდა სხვა არავითარი მისასვლელ-მოსასვლელი გზა არ არის. თვით მდებარეობა ჩვენი ეკალესიისა თვალით ბრძასაც-კი ამცნებს, რო, თუ არა ზემო აღნიშნული გზით, რომელსაც უკრძალავნ დღეს სომხები, ქართველებს არსაიდამ არ შეუძლიათ იქ მივიღნენ.

რაგი აუკრძალა სომხების მნათედ გზა ქართველებს, შეიქნა ალიაქოთი და ამ დღიდგან დაიწყო ქართველებისა და სომხების შორის ეკალესიის გზაზე დავი-დარაბა, გაიგზავნ-გამოიგზავნა საჩივრები, დანოსები, თხოვნები.

18 მაისს ზღუდრობა იყო, მოაწყდა დიდძალი ხალხი სალოცავად. რასაკვირველია, სომხებმა არ მოიშალეს თავიანთი დევ-გმირობა და უფრო-კი ნაცარ-ქექიობა, და არ უშვებდნენ ხალხს. ატყდა ორონ-ტრიალი და ის იყო უნდა დარეობნენ კიდეც ერთ-ურთს, რო გაჩნდა ადგილობრივი ბოლოციის ბოქაული ბ-ნი ყანჩაველი, რომელმაც დააშოშმინა ხალხი, ქართველებს მისცა გზა და სომხებს მიპართა შემდეგი სიტყვებით: „რა არის, თქვე დალიცვილებო, რაზე ამღვრევი ხალხს, არ გითხართ, მიპართეთ სასამართლოს, რატო არ იცდით, გაირჩეს საქმე“. ჩვენმა „მმებმა“ კარგად იციან, რო არავითარი საბუთი არა აქვთ სიმართლისა და რითი ან როგორ მიპართონ?!

მართალი.

„დროება“, 1881წ. №273 „წერილი რედაქტორთან“

«აბატონი რედაქტორო! ამ ხანებში გარდაიცვალა ქ. გორის ერთი იქაური მოქალაქე სომხის სარწმუნოებისა ივანე ამირალაშვილი. ამის დასაფლავებაზედ წარმოითქვა სიტყვა მეგობართავანი, რადგან ქ. გორს თითქმის არავინ იცის სომხური ენა, ამის გამო სიტყვა ითქვა ქართულად და, სხვათა შორის, შიო დავითაშვილის-გან.

არ გასულა რამ ხანი, რომ გორის მაზრის უფროსს მოუგიდა

სომხების საეპარქიო კონსისტორიიდამ 19 ოქტომბრის 1881 წლის, №3174, მოწერილი შემდეგი ქაღალდი რუსულ ენაზედ:

„Äððçéèíí-Èìåðåðéèíñéàÿ Äðìÿíí-Äðéåíðéàíñéàÿ åìäð. èííñèñðòíðèÿ ïðîñèðú Åàøå Ñèÿðåëüñðåâ îðíáðåðü îðú Øèí Äàâèäíâà, ñëóæàùåäí ñåéðåðåðåíú iðè Äïðíäñéîé Õíðååâ, íåúÿñíåíèå áú ðííú: níú +üååí ðàçðåðåíèÿ ííú ñéàçåëú íàäåðíáíå ñëíåí íà äððçéèíñéííú ýçùéå à Äðìÿíñéîé öåðéåâ è iðè nííååðøåíèè íàíéðéåü íàäåðøèì Èåâåííí Äìèðåäåíåñüì, ð.å. iðîñèëéú-ëè îð êíäí è iiéð+ëééú-ëè íà ýðí ðàçðåðåíèå, è îðú êíäí èìåííí; êåéíåíå íåúÿñíåíèå iðèñèåðü áú êííñèñðòíðèþ“.

ამგვარმა ქალალდმა მრავალნი შეიყვანა განცვიფრებაში. ნუთუ, როგორც მიიღო მომეტებულმა ნაწილმა გორის მცხოვრებელთა, მართლა უნდა ჩვენ ეს ქალალდი ისე ავხსნათ, რომ სომხების სამღვდელოებას საწყენად აქვს, რომ ქართველთ ქალაქში ქართველ მოქალაქეს უთხრეს ქართული სიტყვა?! მე ეს არ მჯერა, რომ აქამდის მიეღწიოს იმ ხალხის სასულიერო წოდებას, რომლისთვისაც ქართველ ხალხს გაუღია გული, სახლი და თავის მამულში შეუფარება თავი და უხსნია მტრისაგან ათასგვარად და დაუცავს საკუთარი სისხლით!».

«ქართული ეკკლესიების მითვისება, მათი ძველი წარწერების წარხოცვა, მის ნაცვლად სომხურის წარწერა და ქართული სახეს-ოვრების დამახინჯება სომხების მიერ, ახალი გაგონება არ არის: ეს განვლილ საუკუნეებშიაც უქმნიათ და ახლაც ხელს არ იღებენ ამნაირ ბარბაროსულ ქმედებაზეც. ამის ფაქტებს ვახუშტი თავის გეოგრაფიაში ცალსახად გვიჩვენებს და ჩვენმა მწერლებმა არაურთხელ ამოიღეს ხმა ამ უსამართლობის წინააღმდეგ. აი, სხვათა შორის, რავდენი ეკლესიები დაიჩემეს და მათში ქართული წარწერები გააქრეს: ტფილისში მეოდანის თავზე ყოფილა პატარა გუმბათიანი ეკკლესია, წმინდა ნიკოლოზის ეკლესია, დღეს ჯიგრაშენის ეკკლესიად წოდებული, ავლაბრის ხიდის იქით მყოფი ისნის ეკკლესია, ფეხსამის ეკკლესისა, ძველად ბეთლემის ღვთისმშობლად წოდებული, ტფილისის ახლოს თელეთის ღვთისმშობლის ეკკლესია, რომელიც ერეკლე მეფის სახლის ეზოში ყოფილა. ამ დასაკუთრებულ ეკკლესიებში ყველა ქართული წარწერა წარხოცილი და დამახინჯებულია და მათ ადგილას სომხურია ჩაწერილი.

გასული საუკუნის 80-ან წლებში გახმაურებულა ერთი ამბავი. თურმე თბილისის ნერსესიანის სემინარიის მოწაფეები თავიანთ პედაგოგებს შაბათ-კვირას მიჰყავდათ თბილისის ახლო-მახლო მიდამოებში ვითომ ისტორიული ძეგლების დასათვალიერებლად. სინამდვილეში კი ქართულ ეკლესიებზე წარწერილ ქართული ეპი- გრაფიკის ნიმუშებს ანადგურებდნენ.

ზოგიერთი სომხის მიერ ჩადენილი ასეთი ბარბაროსობის ფაქტი მოაქვს მარი ბროსეს – „ვარძიის... კლდის ქვეით ერთი სომხის სოფელია, სადაც იპოვება ერთი ძრიელ ძველი ეპკლესია და რომლისაც ზედწარწერები განვეხებდა დაუმახინჯებიათ“. განსაკუთრებული მოვლენაა (ქართული წარწერების წარხოცვა), შეუაგულ საქართველოში, თვითონ ადგილზე, რომლებიც ყველა ეჭვის გარედართვულებისა ყოფილა» [4].

«...ომულებულნი ვართ გავიხსენოთ, რომ ეკკლესიების ჩამომრთ-
მეველი და მიმოვისებელი ჩვენ-კი არა ვართ, არამედ თვით სომხები
არიან. ამათ ესრეთი ტაცვა-გლეჯაობის საქმე მარტო ახლა-კი არა,
გასულ საუკუნებშიაც დაიწყეს. ვახუშტი თავის გეოგრაფიულ აღ-
წერაში ასახელებს ბევრს ეკკლესიებს, რომლებიც სომხებს
დაუსაკუთრებიათ. ესრეთ უსამართლო საქმეს, ეკკლესიების
დასაკუთრებას, დღევანდლამდე ჩადიოდნენ, რაის გამო ჩვენმა გაზეთებ-
მაც ბევრ გზის გამოაქვეყნეს მათი მოქმედება. (იხილე „ივერია“
1899 წლ. №№149, 154, 239; 1900 წლ. №№ 98, 122, 155; 1901
წლ. №273; – იხილე ეგრეთვე მოგზაური 1901წ. №11, გვ. 1046,
–48 –49). ამას ხომ დღეს აქნობამდე ჩადიან და თვით ქვანიც-კი
ღაღადებენ მათ წინააღმდეგ. ხოლო სომხების თავგასულობა იქამ-
დე მიდის, რომ თვით ესრეთ ცხადზედ უცხადეს ფაქტებსაც-კი
უარყოფენ. აი, გაზეთი „ნორ-დარი“ 1902წ. №115, როგორ აქარწ-
ყლებს: „როგორც სომქთა და ქართველთა დაახლოვების მომხრეს,
გული მიკვდება ხოლმე, როდესაც ქართულ გაზეთებში ვკითხულობ:
ამა და ამ სოფელში სომხებმა ქართველების ეკკლესია მიითვისეს,
ამა და ამ ნანგრევებს ქართული წარწერა ჩამოაცალეს და სანაცვ-
ლოდ სომხური გაუკეთესო“ და სხ. და სხ. . . . არ ვიცი, ეს რა
ამბავია? ვერაფრით ამიხსნია და ამიტომ დაჯერებაც მემნელება. და,
ან როგორ უნდა დავიჯვერო, როდესაც სომხეთში იმოღენა სიძვე-
ლეთ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ? ყურად უდებლობით

ინგრევა, მიწასთან სწორდება თვით აქამდე მკვიდრად მდგომი მონასტრებ-ეკკლესიებიც-კი! . . სიძველეს და ნანგრევებს ვიღა ჩივის, როდესაც ეჩმიაძინის ცხვირ წინვე სომხები ათასობით სტოკებენ თავიანთ შშობელ ეკლესიას, იმ ეკლესიას, რომელიც ათას ექვსას წელზე მეტია გულში იხუტებდა, ლოთორანგთა სარწმუნოებას უერთდებიან და, რაც უფრო სამწუხაროა, — თავიანთ შშობელ ერსაც-კი მტრად უხდებიან! . . “„ცნობის ფურცელი“ 1902წ. №1912“ [4].

„ნორ-დარის“ იგივე პუბლიკაციას [2]-ში რამდენადმე განსხვავებული კომენტარი აქვს:

«ზოგიერთი სომხის ამგვარი მოქმედება იმდენად შემაძრწუნებელი ყოფილა, რომ, არამც თუ ქართული, თვით სომხური გაზეთი „ნორ-დარიც“ კი აღშეოთებულა. აი, რას წერს იგი: (ავტორს მოჰყავს „ნორ-დარიდან“ ეხლახან მოხმობილი ციტატა და აგრძელებს ციტირებას).

„და ამის შემდეგ, განა, ნება არა მაქვს სომქ მოლვაწეთ მივმართო შემდეგი კითხვით: მართლა არიან იმისთანა ვაჟბატონები, რომლებიც სომხთა წარსულის ნაშთების მიწასთან გასწორებას და მომშეთა სარწმუნოების გამოცვლას გულგრილად შესცერიან და იმავ დროს სხვათა ეკლესიებს ისაკუთრებენ?... და, თუ არიან ამისთანები, სომხთა უმრავლესობა მათ მოქმედებას რა თვალით უყურებს? საჭიროა ეს ვიცოდეთ, რადგან ჩვენ გვინდა, რომ ქართველებმა და სომხებმა ძმურად და ერთობით ვიცხოვროთ. წარსულის შეცდომები გავასწოროთ და უკეთესი მომავლისათვის ვიზრუნოთ. დიახ, გვინდა და სასურველიც არის, მაგრამ ზემოთ ხსენებული და მრავალი მაგგვარი მიზეზი ერთობის საქმეს წინ ეღლობება და ურთიერთობას ამწვავებს“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1902 წ., №1912). ამ წერილს ხელს აწერს — „ახალგაზრდა სომხი“. ჩანს, რომ იგი დიდებული მამულიშვილია, მაგრამ ეს მას საქართველოსადმი პატივისცემაში ხელს არ უშლის, რადგან იგი ჯანსაღად და ობიექტურად აფასებს ზოგიერთი სომხის უკეთურ საქციელს და ცდილობს, ამხილოს ამგვარ ვაჟბატონთა მიერ ქართული ეკლესიების მითვისების ფაქტები იმ დროს, როცა სომხური ისტორიული ძეგლები უყურადღებოდ ყოფილა მიტოვებული» [2].

«...ი. კანადპევი, რომელიც კავკასიაში 20 წელი ცხოვრობდა, 1902 წელს პეტერბურგში გამოცემულ წიგნში აღნიშნავდა, რომ

სომხები ქართველების კუთვნილ 7-8 ათას მანეთად ღირებულ სახლებს 200-300 მანეთად იგდებდნენ და ამ საქმეში განსაცვიფრებელ ვირტუოზობას იჩენდნენ⁶. მოჰყავს რა იმის მაგალითები, თუ როგორი მაქინაციებით იგდებდნენ სომხები მასობრივად ხელში ქართულ ქონებას ჩალის ფასად, ასკვნის: „აი, ასეთ შედეგს მიაღწია სომებმა ერმა, რომელიც არასოდეს ყოფილა საქართველოს მკვიდრი მოსახლეობა“. ი. კანადპევმა საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში ისიც კარგად შემაჩინა, რომ სომხები კოლოსალური სიმდიდრის შეძენასთან ერთად, ცდილობდნენ ყოველივე ქართული კულტურული მემკვიდრეობის წაშლას და მათ მითვისებას. იგი მიუთითებს იმის შესახებ, რომ სომხებმა რამოდენიმე მართლმადიდებლურ ტაძარში გაანადგურეს ქართული წარწერები, შეცვალეს განადგურებული წარწერები სომხური წარწერებით და ქართული ტაძრები სომხურ-გრიგორიანულ ტაძრად გადააკეთეს» [23].

«ამ ღოკუმენტს მიაკვლია სერგო ვარდოსანიძემ და გამოაქვეყნა თავის მონოგრაფიაში. გიორგი ლეონიძე წერდა — „გარე კახეთში სხვა ეკლესიებთან ერთად დაკეტეს უძველესი ნინოწმინდის საკათედრო ტაძარი, საიდანაც, სხვა ნივთებთან ერთად, საგარევოს რევკომმა გაიტანა ორი უძველესი ხატი: წმინდა ნინოს სასწაულთო ქმედი ხატი, შეწირული არჩილ მეფისგან, და წმინდა ნინოს ვერცხლით მოჰყედილი და განახლებული XVIII საუკუნეში ნინოწმინდელ-მიტრობოლიტ საბა ტუსიშვილის მიერ. ორივე ხატი წარმოადგენს დიდ ისტორიულ საუნჯეს და ვშიშობთ, რომ უცოდინარობის გამო შეიძლება საგარევოს რევკომმა მოხსნას ამ ხატებს სამკაულები და ჩუქურთმები. გთხოვთ, მიიღოთ ზომები მათ გადასარჩენად. გარდა ამისა, ენისელში არსებობს 20 პატარა ეკლესია, რომელიც სავსეა ისტორიული ფრესკებით. დღეს ამ ეკლესიებში დამდგარან სომხი ლტოლვილები, რომლენიც შიგ ცეცხლს ანთებენ და ანადგურებენ ყველაფერს» [25].

კიდევ მრავალი მსგავსი ფაქტის მოყვანა შეიძლება ახლო წარსულიდან. სამწუხაროდ, სომხთა მხრიდან უკანონო ქმედებები დღესაც გრძელდება, რაშიც მათ, ხშირად, რუსებიც ეხმარებიან:

⁶ ტ. ტ. ტარაშვილი. ტარაშვილების ფასადის გადასაცემი. ასეციე. აბაში, 1990. გ 66

„საპატრიარქოს უწყებანი“, 2002 წ, №36 „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ შესახებ.

«მოსკოვში გამოცემული „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ III ტომში დაბეჭდილია სომები მეცნიერების წერილები იმის შესახებ, თითქოსდა, საქართველოს ქრისტიანული კულტურის უნიშვნელოვანესი ძეგლები სომხური წარმომავლობისაა. ხსენებულ III ტომში დაიბეჭდა, ასევე, ფსევდომეცნიერული წერილები, სადაც ჩვენი ისტორიის გამოჩენილი ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები და ისტორიული კუთხეები სომხებად და სომხური სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილებადაა გამოცხადებული».

5. ჩვენ რა გვემართება, როგორ ვეპყრობით საკუთარ ისტორიას?

მოთხრობილი ამბების მოსმენის შემდეგ ყოველ გულწრფელ ქართველს შერცხვება, რომ იგი დავით აღმაშენებლის შთამომავალია, ათთა ბევრთა მოწამეთა მექვიდრე და დიდი ილიას თანამემამულეა, ილიასი, რომელიც სამშობლოსათვის ბრძოლაში მოწამებრივად განიწმინდა.

აბა, ვნახოთ, როგორი შემართება ჰქონდა ილიას მოძალადეებთან მიმართებაში: «...ჩვენ ვიმოწმებთ იმავე ბ-ნ ნიკოლსკის იმაში, თუ რა ჭირვეულობას ეწევიან სომებთა მეცნიერნი, რომ ქვათა ლალადს იგი ათქმევინონ, რაც თვით ჰსურთ და ამ სახით ქვებსაც კი, ქვებსაც, თაღლითობა გააწევინონ, ტყვილი ალაპარაკონ და ყურები გამოვიჭდონ – „ქვები ლალადებენო...“ რომ აქ ქვები კი არ ჰქონდებენ, სტყუიან სომებთა გაცულლუტებული მეცნიერნი და სხვა ამისთანები... ისე კი ღმერთმა მოახმაროთ თავიანთი ქება-დიდება, მაგრამ ჩვენის მითვისებას, ნურას უკაცრავად, ვერ შევარჩენთ, ვერ დავანებებთ და ამაში, იმედია, ყველა ჭკუათმყოფელი სომები დაგვეთანხმება!... » [3].

ასეთივე პირუთვნელი იყო ილიას თანამებრძოლი და ჭეშმარიტი მამულიშვილი, აკაკი წერეთელი. იგი შემართებით იბრძოდა როგორც ჩვენი ქვენის ისტორიის, ისე თავისი თანამედროვე ქართველთა უფლებების დასაცავად. მაშინდელ პრობლემათაგან ბევრი დღესაც აქტუალურია, თუნდაც სამოქალაქო უფლებების დაცვის თვალსაზრისით.

ამავე დროს, აკაკი შესაშური ობიექტურობით ეკიდებოდა და აფასებდა ყველა ერს: აქებდა სომხების გამორჩეულ თვისებებს და აძაგებდა ქართველთა მრავალ მანკიერებას, და ამას იგი სიყვარულით აკეთებდა.

ილია და აკაკი სომებთმოძულენი კი არა, პირიქით, სომები ხალხის მეხოუბენიც კი იყვნენ. მათ სურდათ სომხებთან კუთილმეზობლური ურთიერთობა და მეგობრობდნენ კიდეც მათ ღირსეულ წარმომადგენლებთან. დიდი მამულიშვილებისათვის დამახასიათებელია პირუთვნელობისა და კუთილმეგობრობის თვისებათა ურთიერთშეთავსება.

«აი, რას წერს ი. გრიშაშვილი: „საზოგადოდ აკაკი დიდი მეგობარი იყო სუნდუკიანისა... თავის დროზე ვის არ უნახავს ეს ორი ადამიანი ერთად ხელკავით მოსიარულე რუსთაველის პროსპექტზე? ვინ იცის რამდენჯერ ულაპარაკიათ და უოცნებიათ მათ ამ ორი ხალხის ჭეშმარიტ ბმურ მეგობრობაზე“.

აკაკი წერეთელი დიდი მამულიშვილი იყო და ამიტომ სიმართლეს, მწარე სიმართლეს ეუბნებოდა თავის მშობელ ერს, რადგან იცოდა: მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო. აკაკი წერეთელმა ხმა აღიმაღლა ქალაქის თვითმმართველობის არაკანონიერი გადაწყვეტილების წინააღმდეგ, რითაც, პირველ რიგში იმერეთიდან სამუშაოს სამებნად ჩამოსული გლეხები იჩაგრებოდნენ. თბილისში სამუშაოდ ჩამოსულ იმერელ გლეხებს დაიჭერდნენ ყარაულები, აჯარიმებდნენ და ქალაქიდან აძევებდნენ. „ჩვენ ვამბობთ იმ იჯარის თაობაზე, – წერს აკაკი წერილში, – რომელიც ქალაქის გამგეობამ მიანდო მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტს (?) უგურგებეგოვს და რომლის ძალითაც საწყალ იმერლებსა და მუშა ქართველებს უწყალოდ ჰგლევენ. წარსულ წელს გაზეთმა „დროებაშ“ და „თფილისის მოაბეჭ“ ბევრჯელ მიაქციეს ქალაქის გამგეობის ყურადღება, მაგრამ გამგეობას ყური არ გაუპარტყუნებია და მოიჯარები თავისას არ იშლიდნენ. ეს მოასწავებს, რომ გამგეობა მოქმედებას თანაუგრძნობს, თორებ როგორ არ განსაზღვრა მოიჯარის უფლება საბრალო მუშების შესახებ? აქ მხოლოდ ქართველების და მოსამსახურე ჩინოვნიკების ინტერესი იჩაგრება, სომხები არაფერს ჰკარგავენ და, ვგონებ, მისი მიზნება, რომ ქალაქის გამგეობა გულგრილათ უყურებს ამ აღა-მაჰმადხანურ საქმეს“.

მწვავე პოლემიკური ხასიათისაა აკ. წერეთლის სტატია – „მშაკის“ რედაქტორს“, რომელიც გამოქვეყნდა 1878 წლის 24 დეკემბრის „დროკბის“ ერთ-ერთ ნომერში (№265). აკაკი თბილისის სომხურ პროგრესულ ინტელიგენციას, გრ. არწრუნის მეთაურობით, საყვედურობს, მართალია, ქალაქის გამგეობის არჩევნებში მათ ხმა არ მისცეს მდიდარი ბურჟუაზიული სომხური საზოგადოების წარმომადგენლებს, მაგრამ მათთან ერთად გააშავეს ქართველებიც.

როგორც ჩანს, ხუთი ათას თბილისელ ხელოსანს არჩევნებში განცემული არ მიაღებინეს მონაწილეობა, რადგან ისინი ქართველებს მისცემდნენ ხმასო; მეორეც, „აქ სხვა ხრიკები იყო, ხელოსნებში მრავალი ქართველია, რომელიც თქვენ არ გებრიანებათ“, – წერს აკ. წერეთელი. ის ერთგვარად ადარებს ქართველი და სომხები ხალხის ეროვნულ ღირსებებს და შესაშური პირუთვნელობით აღიარებს სომხები ერის დადგებით თვისებებს. ასეთი აღიარება შეეძლო მხოლოდ ისეთ დიდ მამულიშვილს, როგორიც აკაკი წერეთელი იყო, რადგან მშვენივრად ხედავდა თავისი ერის შვილთა ღირსება-ნაკლს და არ ეშინოდა, თავისი ხალხისათვის სიმართლე პირში ეთქვა:

„რომ ქართველი არ ვიყო, დიდი მოყვარული და პატივის მცემელი ვიქენებოლი საქართველოს სომხობის! საქართველოს გარეთ დღესაც კი მომწონან ისინი, რადგან არ შემიძლიან, რომ მათი ღირსება არ დავაფასო. ძვირად შეხვდებით მისთანა სომხებს, რომელიც შეძლებისდაგვარად შემწეობას არ აძლევს თავის საზოგადო საქმეს. სხვები რომ არ ვახსენოთ, ისიც კმარა, რომ „არარატის“ საზოგადოებას წელიწადში ათასი თუმნობით შედის შესაწირავი. ყველგან შკოლები და შკოლები! ჩვენ, ქართველები, კი გადაქსაჭ-სულნი ვართ, საქმეთ მიგვაჩნია ჩვენივე თავის დაუფასებლობა და ჩვენს თავს ჩვენვე დავცინით, არათუ რამეს ვაკეთებთ. მაგრამ ქართველი რომ ვარ, არაფრად მეტაშნიკება ქართველის გაბედნიერება და ეს განა ჩემი ბრალია?! ვიცი, რომ გაკეთებული, გამდიდრებული ქართველი, არათუ არ არგებს სამშობლოს, კიდეც აზარალებს!...ჩვენში რაც რამ საზოგადო საქმა, სულ ღარიბდატაკების შრომით და შემწეობითაა გაკეთებული და კეთდება“.

მწარედ, მაგრამ გულისტყივილით ნათქავმი სიმართლეა. ამ სიმართლით უნდოდა პოეტს თავისი საყვარელი ერის გამოფხიზლე-

ბა, რათა მას ჩვენი დროის შესაფერად გამოეჩინა ცხოვრების ფხა და უნარი.:

„ „რა“ და „ინჩა“ წაიჩხუბნენ
და ერთმანეთს შავს უყრიან;
„ჩტო ტაკოეს“ ეცინება,
რომ ერთმანეთს ძირს უთხრიან“.

მიუხედავად ზოგიერთი სომხის უმაღურობისა, აკ. წერეთელი, საერთოდ, ხალხთა მეგობრობის, მით უმეტეს, ქართველთა და სომხებთა მრავალსაუკუნოვანი მეგობრობის განმტკიცების მომხრეა და ამასვე შთააგონებს ყველას.

საგანგებო შსჯელობას იმსახურებს აკაკის წერილი: „ისტორიული განხილვა სახელწილებისა: „არმენიის, ჰაიასტანის და სომხეთის“, რომელიც გამოქვეყნდა უურნ. „აკაკის კრებულში“, 1898, (ტ. V. გვ.32-52). აკაკი აქვე შენიშნავს ერთ, მართლაც, გულსატკენ ფაქტს:

„მიუხედავად ქართულ-ბერძნული ისტორიის წყაროებისა, სომებთა ისტორიამ მეფის წარმევაც კი მოგვინდომა და დიდი დავით კურაპალატი თავის მეფედ აღიარა, რასაკვირველია, იმ განძრახვით, რომ ქვეყანა დაერწმუნებინა: თუ მეფე ჩვენი იყო, მაშასადამე, მისი სამფლობელო – ტაოს კარი ანუ ახლანდელი ჭოროხის ხეობაც სასომხეთი ყოფილაო. მომავლის გასაკვლევად სხვისი წარსულის მისაკუთრება და მისივე ყოფილის უარის ყოფა უპირველეს ხერხ-ად უჭირავს ხელში. გუმინ არ იყო, რომ მათი მეცნიერი-პატკანოვი ამტკიცებდა: ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ, მხოლოდ მეოვრამეტე საუკუნეში, ვახტანგის დროს შეთხზეს და ისიც სომხურ ზღაპრიდანო.

ძალიან შორს წავიდა პროფ. ქ. პატკანოვის „ფანტაზია“, ქართული ძირული სამეცო გვარი – ბაგრატიონები. სომხები ეროვნების ბაგრატიდებად გამოაცხადა, თუმცა. სჯობია, მოუსმინოთ მას: „Äðåäàíûå ðîäàíûå  âëàäàåíèÿ Äàäðàòðèäàíâ  íàðîäèëèñü  â  íàëàñöè  ðàéé  ó  xîðîðà.  Â  ñìàåííñöè  ñ  íèìè,  íåäàó  xîðîðî  è  ðèííî,  íàðîäèëàñü  ñððàíà,  èçâåñðîáàÿ  â  ðàçíûå  ýïîðè  ï  íàçâàíèå  Èïëðèäû,  Èàçèéè  è  Àâðàçèè.  Îðàñëü  Àâðàòðóíè,  âñðöïèâ  â  ðîäñðåâíûå  ñâýçè  ñ  âëàäàåðåëüý  è  Àâðàçèè  è  Àððçèè.... VII  ââèà  óñüåéà  íàñðîéüê  óñëëèðöñý“

â ýðeðõ nñððåíâðõ, +ðî iâëéí ðc ââði +ëáíâ â êííöå VIII âåâðâ
âñððiíëé íà ãððçèíññéé iðåñðië è ðâði iïëíæëé iññíâðâíèå
çíâðâíèðié äéíâñðòèé ãððçèíññéð ãâððâððæäâ (ââððâððéííâ),
öðâñððâðââðâðæðõ äí íâ+âðâ ðâðéððâðâñ ñðiíëððéy” (x3 220-221).

პროფ. ქ. პატიკანოვი შემდეგ ჩამოთვლის სომხე ბაგრატიძითა
ჩამომავალ ცნობილ ქართველ მეუეებს: დავით აღმაშენებელს, გიორ-
გი III, თამარ მეფეს და სხვებს, რომელთაც ქართველთა ეროვნული
სახელმწიფოს განმტკიცებასა და განვითარებაში უდიდესი წვ-
ლილი აქვთ შეტანილი.

მაგრამ პროფ. ქ. პატკანოვი აქ არ ჩერდება და, განავითარებს რა თავის ე. წ. შესხდულებას, დასკვნის სახით წერს:

„Íå ïñðàáíàåëèåàÿñü íàä ðàçíûìè íåññíàðàçíîññðÿìè
ååíååëíåè-åññéîé ðàáëèöü Áàåðàðèäåîâ, iù çàìå-àåì, -ðòî
åððçéíññèé èåðòiiëñåö (ii Áåðòåíåö) ii-åìó-ðî íàðîñäèò
íóæíîé èäííðèðîåàöü ååéñòåèòåëüíûö ðîäíà-àëüíèéå
åððçéíññèó Áàåðàðèäåîâ, ðî åñòü, àðòìÿíññèó Áàåðàðòíè,
æèåøûö â Àðìåíè èç íåçàïàìíÿðíûö åðåìåí è ðàéåå, ii
óðåååðæååíèþ ðíðåíññéåí, iåðåñåëèåðøëñÿ èç Iàéåñðèíû“.

„იმათი (სომებთ მეცნიერთა) შთაგონებით არ იყო, რომ გრენმა საჯაროთ წარმოთქვა: „თამარ-მეფე მხოლოდ სომხებისა და ოსების ინტრიგამ დასვა ჭახტჩე, თვარა იმ დროს, მეთორმეტე საუკუნეში, ქართველები მცირესა და უმნიშვნელო, შეუგნებელ ბრძოს წარმოადგენდნენ“ („აკაკის კრიბული“, 1898, №1. გვ. 36).

ამაზე უფრო გაუცხარებდა აკაკი ზოგიერთი სომხური უურნალ-გაზეთის მცდარ დამოკიდებულებას ქართული ენის მიმართ: „იმათი (სომხების) უურნალ-გაზეთები ამტკიცებენ, რომ ქართული ენა ღარიბია, რომ რთული აზრის გამოთქმა შეუძლებელია და სიტყვებიც სომხ-ურიდან მიუღიათო, მაშინ, როდესაც სულ სხვას ამბობენ ევრო-პელნი მეცნიერნი და, მათ რიცხვში, ბ. გატეირასი, რომლის აზრით, სომხური ენის შესწავლა ისე ვერ მოხერხდება, თუ არ ქართული ენის წყალობით და საშუალებით?!“

შემდეგ აკაცის მოაქვს მეტებს საუკუნეში სომეხ-ქართველთა სარწმუნოებრივი განხეთქილების შედეგად მიღებული ერთი დოკუ-მენტი. ეს არის სომეხთა პატრიარქის, აბრაამის მიერ გამოცემული ბრძანება, რომლის მიხედვით სომხებსა და ქართველებს ურთიერთ-

მეზობლობა და ნათესაობა აეკრძალათ... ყოველივე ამის შემდეგ აკაკის მიაჩნია, სომხებს ქართველებისადმი კორექტულ დამოკიდებულებას ვერ მოვთხოვთო, და დასკვნის სახით წერს: „ამის შემდეგ ჩვენ რაღათ უნდა ვეცადოთ სომხების სინდისში ჩაგდებას, რომ მსოფლიო კანონს ეწინააღმდეგებან და რჯულს გატეხენო?“

„აკაგი თავისი წერილის ძირითად შინაარსს ასე გადმოგცემს: „ჩვენი სტატიის დედა აზრი იყო – დაგვემტკიცებინა, რომ სომხები, სადაც არა დაპარაგვიათ რა, ის უნდათ დაისაკუთრონ, რაც მათ არასოდეს ჰქონიათ! ეს არც ახალი მოვლენაა მათი მხრით. ძველა-დაც, იმ თავითვე, ასე ჩადიოდნენ: აუკუდმართებდნენ თვით ისტორი-ასაც კი, ასე რომ, მათი ისტორიული წყაროები ქართველებისა და საქართველოს შესახებ სარწმუნო არ არის. დღესაც კიდევ მთლად საქართველო სასომხეთად აქვთ ნაჩვენები და ცდილობენ ყველან, სადაც კი ხელი მიუწვდებათ, ქართველობის ნიშანწყალი მოსპონ, ქართული კვალი მოშალონ და ზედ თვისი დასდგან, წინააღმდეგ ყოველგვარი სამართლისა!... და, ამიტომაც, ჩვენი მხრით, მათდამი მმობა-სიყვარულს ყურადღებასაც არ აქცევნ და მათი მტრობა და გაუტანლობა ჩვენდამი უძველესი ღრიოდანვე მომდინარეობს. ამას ვამტკიცებდით ჩვენ. ეს სწყენია ბ-ნ ნ. მარს და ცდილობს, ეს აზრი დაარღვიოს და რწმენა გაჯიშქარწყოლოს“.

ახლა ვნახოთ, როგორ პასუხობს დიდი აკაკი ნ. მარს ამ უმართებულობა და საფუძველმოკლებულ განცხადებას: „ნათქვამია, ურია, ღმერთს ნუ ფიცულობ, და არა, ღმერთმანიო. მისია არ იყოს, ჩვენ უარსა ვჰყოფთ სომხურ წყაროებს და ის კიდევ მისკენ მიგვითოთებს, მაგრამ ჩვენი მწერლობის შესახებ უცხოელების მოწმობა რა საჭიროა? ჩვენ თვითონ უკეთ არ უნდა ვიცოდეთ?“ შემდეგ აკაკი ლაპარაკობს ძველი ქართული მწერლობის შესახებ და საქმაოდ ღრმა ცოდნასაც ამჟღავნებს. იგი ჩამოთვლის ძვლით ქართული მწერლობის ნიმუშებს

და შენიშვნავს: „ჩვენა გვაქვს: ერთი ათონის დაბადება, მთაწმინდელების ნათარგმნი, და მეორეც, ვახტანგისაგან სლოვიანურთან შესწორებული. მათ გარდა გვერბია კიდევ ნაწყვეტ-ნაწყვეტი დაბადებისა სირიულიდან ნათარგმნი, მაგრამ განა სირიელები სომხები იყვნენ? თუ უფალი მარრიც ერთად დღევანდელ სომებს პატრიოტებთან იმ აზრზე დგას, რომ, რადგან აისორები დღეს გრიგოლიანები არიან, გვარტომობითაც სომხებათ უნდა ჩაითვალონო, და არა დღეს, ძველადაც კი, ე.ი. მაშინაც კი, როდესაც სულ სხვა სჯული სჭერიათ.“

ამგვარი მაგალითების ჩამოთვლის შემდეგ აკაკი დაასკვნის: „ვინ არ იცის, რომ ჩვენი სასულიერო ლიტერატურა მდიდარია და, ორიგინალურის გარდა, რაც გვაქვს ნათარგმნი, ის სულ ბერძნულიდან გვაქვს და რაძლენიმეც სლოვიანურიდან, ანტონ კათალიკოსის მეოხებით. სომხურიდან კი არ მოგვეძევება რა, გარდა, ერთის მხრით, კრიტორებისა, რომლის არსებობა არც კი იციან ჩვენში. აბა, ერთი, გვიჩვენოს ბ-ნამა მარმა, რა წიგნები გვითარებია სომხურიდან? სანამ ამას არ ასრულებს, ჩვენ სრული უფლება გვექნება, ვთქვათ, რომ ბ-ნ მარს, სომხურ ენასა და ისტორიასთან ერთად, მათი ხასიათიც შეუთვისებია, ე. ი. სხვისას შეუპოვრათ, უსაბუთოდ ისაკუთრებს და ჩვენიაო – ბრძანებს. ყველაზე უფრო ის აწუხებს ბ-ნ მარმა, ჩვენ ჩვენს წერილებში მოწიწებით ვერ მოვიხსენიეთ მისი სასიქადულო მოძღვარი, პროფესორი პატკანოვი და, ვითომ, ცილიც შევწამეთ. ბ-მა პატკანოვმა ერთ თავის თხზულებაში გადაჭრით ბრძანა, რომ ქართველებს ისტორია არ ჰქონიათ და მე-XVIII საუკუნეში მეფე ვახტანგმა შეთხზა და ესეც სომხურ ზღაპრიდან, რომელიც ერთმა უმეცარმა ბერმა დასწერა მეთერთმეტე საუკუნეშიო“ . აკაკი აქვე შენიშვნავს: პატკანოვს ეს შეცდომა ან უმეცრებით მოუვიდა, ან განგებ ჩაიდინაო, „ორ ცეცხლ შეუ გამომწყვდეულმა პატკანოვმა დ. ბაქრაძის შენიშვნები ჩაყლაპა და გაჩუმდა, მაგრამ მარი კი არ ჩუმდება და მაინც კიდევ გაიძახის: არაო! არც ერთი და არც მეორეო, პატკანოვი სხვებსავით პატრიოტულად არ სწერდაო, რადგანაც ის მხოლოდ სარწმუნოებით იყო სომხები, თორემ რუსი მეცნიერი იყოო, და მისმა გამოკვლევამ მაინც ნათელი მოპფინა ისტორიასო და სხვანი“.

აკაკი თავის პირველ წერილში წერდა: „ჩვენმა უკანასკნელმა მეფეებმა ისინი (სომხები) შიგ შუაგულ საქართველოში შემოიხურების და, როგორც ვაჭარ-ხალხს, ომში გამოუსადეგარს, ქალაქები

ჩაბარეს. ქართველი ხალხი კი ბრძოლის ველზე ათენ-ადამებდა, სანამ ძლიერი რუსეთი არ მიეშველა და მტერი არ ჩამოიშორა! დაღლილი, დაქანცული და დაწყლებულებული ქართველები შინ რომ მობრუნდნენ, რა დახვდათ? ის, რომ მათი ყოფა-ცხოვრება, შემოხიზნულ მოძმეთ მიღებულ ვაჭრების ხელში იყო და, ბოლიშის მაგიერათ, პირიქით, მედიცინათ ჰყვიროდნენ: „ვინ ხართ და საიდან მოღიხაროთ? თქვენ როდი ყოფილხართ აქაო? ეს ყოველთვის ჩვენი ყოფილაო“. დასამტკიცებლად ქართველებისავე ტაძარ-მონასტრებს მიუთითეს, სადაც ქართული ზედ-წარწერა ამოეფხიკათ და „დავით-ბაგრატების“ ნაცვლად „არშაკ-მარშაკები“ ჩაწერათ“.

„ნუთუ ეს არ ესმის ბ-ნ პროფესორ მარრს და ჰგონია, ჩვენ მხოლოდ იმს ვამტკიცებდეთ, რომ სომხებს ისე სტულდეთ ქართული ნაწერები, რომ, სადაც უნდა ნახონ, უმიზეზოდ მოშლიან? არა, ეს კარგად ესმის ბ-ნ მარრსაც და, ამიტომაც, ბოლიშსა ჰედის სომხობას: „ამას უმეცარი ნასწავლები შვრებიან და ხალხის რა ბრალია?“ საუცხოვოა, თქვენმა მზემ! ... როცა უმეცრები ჩვენს წინააღმდეგ ცუდს ჩადიან, მაშინ იძახის ბ-ნი მარრი – „ეგ რა მეცნიერების ბრალია?“ როცა მეცნიერები – „უმეცრებმა რა ქნანო?“, როცა ხალხი – ინტელიგენციას რა ბრალი აქვსო?“ და როცა ინტელიგენცია – „ხალხს რა მოეთხოვებაო?“ ამგვარი რამეებით არის გაჭედილი მისი სტატია და, სწორე მოგახსენოთ, თუ არ პირადი პატივისცემა ბ-ნ მარრისადმი, პასუხის ღირსად არასოდეს გავხდიდით ამ აბოლაკატურ მრავლისმეტყველებას“.

„ბევრი სხვადასხვა წერილები მოგვდის, – წერს პოეტი, - მათ რიცხვში საყვედურებითა და ლანბძლვითაც ბევრია შეკაზმული და ამ ბოლო დროს მუქარასაც გვითვლიან. მადლობა ღმერთს! იმ ხანში აღარა ვართ, რომ ქებამ აგვამჩატოს და გმობამ გული გაგვიტეხოს! და, რაც შეეხება მუქარას, იმან სიცილის მეტი რა უნდა გამოიწვიოს ჩვენი მხრით? „სომხებს ემტერებით და სდევნით“ – იწერებიან.აბა, ამაზეა ნათქვამი: „შენი მე მითხარი და გული მომიკალიო!“ იმათი რა მოგახსენოთ და, ჩვენ კი ღმერთმა ნუ დაგვიჩლუნგოს ისე გრძნობა-გონება, რომ რომელიმე ერი შევიძლოთ და მისი მტრობა გულში გავივლოთ“.

„ეტყობა, ამ წერილების მჯდაბნელ ვაჟბატონებს მტერ-მოყვარეობა არ ესმით, – წერს აკაკი, – მათ სამართლიანი საყვედური

მძულვარების ნაყოფი ჰგონიათ, განა მძები მძებს და მეგობრები მეგობრებს არ ესაყველურებიან ხოლმე, როცა ერთი მეორეში უსაქციელობის რამეს შენიშვნავენ და დასაძრახისსა ხედავენ? მაგრამ ვინ იტყვის, რომ ეს უგულობითა და სიძულვილით მოსდითო?“

„იმათ რაც არ ჰქონიათ, რას დაპკარგავენ?! მაგრამ ჩვენ კი გავიჭყლოტეთ უსამართლოთ და ამიტომაც გვმართებს თვალის გახელა! აგიკლო, გდევნო, შენ ნაოხარზე მე გამოვიჭიმო, შენ სიცოცხლე წაგართვა და მე მით მოვიმატო, — ეს სამართლიანი სიტყვა—პასუხი არ არის! ამას არცერთი ნაციის კანონიერი ინტერესი არ მოითხოვს! ეს მხოლოთ ველური, მხეცური ინსტიქტებია და ჩვენ არ გვინდა, რომ ამგვარი რამ სომხის ნაციას შევწამოთ!“

„ამავე აზრზე უნდა იდგეს თვით სომხობის ახალ-თაობაც და თვითონვე უნდა უარყონ ამნაირი სომხობა. მაგრამ, ჰოი, საკვირველებავ! ისინი მხოლოდ ესარჩლებიან და ჩირქეს სდებენ მთელ სომხის ნაციას! ახლა, ჩვენ ვიკითხავთ: ვინ არის მტერი სომხის და ვის სძულს ის: ჩვენ, რომელსაც მძარცველთა ბრძო, ჩვენზე მომდგარი და ჩვენში შემოსული, სომხობის წარმომადგენლათ არ მიგვაჩნია, თუ ისინი, ვინც ექმაგება?“» [25].

დიდი ილიას მემკვიდრე თანამედროვე ქართველი მეცნიერებიც არისხებენ ზარებს. «ცნობილი ქართველი ისტორიკოსი აკად. მარიკა ლორთქიფანიძე გაოგნებული წერდა: «სომხები აცხადებენ, რომ ბანა, ოშკი, ხახული და სხვა ძეგლები სომხურია, მათ მსოფლიოს ასე გამოუცხადეს. ჩვენ რა გვემართება, რას ვუშვრებით საკუთარ ისტორიას, საკუთარ წარსულს?“ (გაზ. „ასავალ-დასავალი“, 2002 წ., №22). მართლაც დამაფიქრებელი სიტყვებია. გონს უნდა მოვუხმოთ და ისტორიის მოპარვის უფლება არავის მივცეთ, ყალბისმქნელებს დღოზე უნდა მივაგოთ საკადრისი პასუხი. იმედს ვიტოვებ, რომ პარუირ მურადიანის, სამველ კარაპეტიანისა და მსგავსი ტენდენციურად განწყობილი მკვლევარების გამოხდომები ვერ დაარღვევს ქართველი და სომხი ხალხების ათას ჭირ—ვარამში გამოწროთობილ მეზობლობას და მეგობრობას» [25].



6. დამატებითი მასალა მე-4 ქვეთავისადმი „სომხეთა მამხილებელი პუბლიკაციები“ (ეს მასალა გამოცემულ წიგნში, გარკვეული მიზნების გამო, არ ასახა) „ივერია“, 1895 წ., №3, 18 მაისი, გვ.1-2

„ ახალციხე-ახალქალაქის მაზრა ამჟამად დასახლებულია სხვადასხვა ტომისა და სარწმუნოების ხალხით. აქა სცხოვრობენ: ქართველები (მართლმადიდებლები, კათოლიკები და სუნიტები), სომხები (გრიგორიანები და კათოლიკები), ქურთები (სუნიტები) თარაქები (სუნიტები), რუსები-დუხობორები, ბერძენები და ებრაელები. უძველესნი მკვიდრი მცხოვრებნი, რასაკვირველია, ქართველები არიან, მხოლოდ დანარჩენი სხვადასხვა დროს და სხვა და სხვა ქვეყნიდგან შემოსული და დამკვიდრებულნი. სახელდობრ, სომხები შემოვიდნენ ამ ქვეყანაში არზრუმის საფაშოდგან მე-19 საუკუნის დასაწყისში, შემდგომ იმისა, რაც გენერალ პასკევიჩმა 1828 წ აგვისტოს 15-ს აიღო ახალციხე და 1829 წლის ადრიანოპოლის ხელშეკრულობით მთელი ეს ახლანდელი ახალციხე-ახალქალაქის მაზრა ოსმალეთმა რუსეთს დაუთმო.

როგორც ჩანს, სომხები მომეტებულ ნაწილად დასახლებულან თვით ქალაქ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრის სოფლებში... სომხები შემოვიდნენ ჩვენს ქვეყანაში, უკეთესი ადგილები დაიჭირეს, უკეთესად მოაწყეს თავიანთი ყოფა-ცხოვრება და სხვ. ყოველივე ესე, რასაკვირველია, ჩვენთვის სასიამოგნო და სასიხარულოა, ამგვარი წარმატება და კეთილდღეობა ჩვენის მეზობლის ხალხისა ფრიად სასიამოვნოა და არასოდეს ეს გარემოება ჩვენ საწყენად არ უნდა დაგვრჩეს, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს მოსული სტუმარი რანაირად მოეცყრო თავისს გულკეთილს და სტუმართმოყვარე მასპინძელს – ქართველებს, რანაირი დამოკიდებულება გამოუცხადა თავისს მხრივ იმას, რომლის სახლშიაც მან იპოვნა მყუდრო ბინა და მყუდროდ მოაწყო თავისი ყოფა-ცხოვრება, დააფასეს თუ არა სტუმართა სიკეთე თვისის მასპინძლისა? უნდა გამოგიტყდე გულისტკივილით, მკითხველო, და გითხრა, რომ სტუმარმა არ დაინახა და არ დააფასა გულკეთილობა თვისის მასპინძლისა, უნდა გითხრათ, რომ სომხები ვერ მოექცნენ ქართველებს ისე, როგორც უნდა მოჰქცეოდნენ.

ხშირად მსმენია ახალციხის ქართველებისაგან: ეხლა რა არის, შედარებით წინანდელ დროსთან ბედიერები ვართო, წინად არზრუმელების (აქაურს სომხებს არზრუმელებს უწოდებენ, რადგანაც არზრუმდან არიან გადმოსახლებულნი) შიშით ჭუჩაში თავისუფლად ვერ გავიდოდით.

ნაშთები ჩვენის ძველის ხელოვნებისა და განათლებისა ხომ ლამის არის სულ მთლად დაისაკუთრონ: ერთი ნაწილი ძველის შესანიშნავის ქუმურდოს ტაძრისა ჯავახეთში სომხებს თავიანთ ეკკლესიად აქვთ გადაკეთებული და იქ ასრულებენ ამჟამად ღვთის მსახურებას, ტაძრის ძველი წარწერები აქვს ხუცურად, მხოლოდ საშიშია, რომ ახლანდელმა მისმა პატრონებმა (სომხებმა) არ გააქრონ იგი. ჩვენს მიერ ტაძრის დათვალიერების დროს მოვიდა აღვილობრივი სომხის მღვდელი ჩვენთან და გვიჩვენა ტაძრის შიგნით ერთი ქვა, რომელიც ნახევარზედ კედელშია დატანებული და ნახევრადღავე სჩანს. თუმცა ჩვენ ვერ გავარჩიეთ სიბნელის გამო, ზედწარწერა არის თუ არა, მაგრამ თვითონ მღვდელმა დაგვარწმუნა, რომ ეს ქვა წარწერილიანი არისო, მხოლოდ წარწერა ნახევრადღავე სჩანს. ეჭვი არ არის, რომ ეს ქვა შემდეგშია ჩატანილი კედელში, როდესაც სომხებს თავიანთოვის მოუწყვიათ აქ ეკლესია.

ეს გარემოება იმას გაფიქრებინებს, რომ შეიძლება დანარჩენი წარწერილიანი ქვებით სომხებმა ამგვარადვე ჩატანონ სადმე კედელში, ან სრულიად მოსპონ ზედწარწერები და ამგვარად სამუდამოდ დაგვიკარგონ ისტორიული მასალა.

კიდევ კარგია, ქუმურდოს ტაძრის კიდევ შერჩენია ქართული წარწერები, თორებ სომხები პირდაპირ გვეტყოდნენ, ეს ეკკლესია ძველადგანვე ჩვენი ყოფილათ. ამგვარი მაგალითები ხშირია ამ მხარეში: ახალციხეში, ქალაქების მდინარე ფოცხოვის მარჯვენა კიდეზედ გაშენებულია ორი პატარა ძველი ეკკლესია, რომელთაგან ერთი კი ვიცით დაბეჯითებით, წმინდა გიორგის სახელზეა, მხოლოდ მეორეც ისევ ამის სახელობაზეა თუ სხვა წმიდანისა, დარწმუნებით არ ვიცით. თვით ადგილს, სადაც ეს ეკკლესიებია გაშენებული, მოღნისი ეწოდება და ამისათვის ეკკლესიასაც ხალხი უწოდებს მოღნისს ანუ მოღნისის ეკკლესიას. ზაფხულობით ძალიან ბლომად დაიარება ამ ეკკლესიაში ხალხი, როგორც გრიგორიანები, ისე მართლმადიდებლები და კათოლიკებიც. სომხებმა ამ ბოლო დროს

დაიწყეს სიარული. წინათ თურმე ისინი, როგორც გამიგია მოხუცებულებისაგან, სრულებით არ ეკარებოდნენ მოღნისს. ქართველები კი ძველადგანვე ყოველ კვირა უქმე-დღეს მიღიოდნენ იქ სალოცავად. ეკკლესიასთან პატარა წყალი ჩამოწანწერებს, რომელსაც თურმე ის თვისება აქვს, რომ ძლიერა პრგებს თავისა და თვალების ტკივილს. ეკკლესიას წარწერა არა აქვს რა, დარჩენილია მარტო უბრალო ქვით ნაგები კედლები. აი ეს ეკკლესია ეხლა გამხდარა სადავოდ ქართველებსა და სომხებს შუა: ქართველები იძახიან ჩვენიაო, სომხები იძახიან – ჩვენიაო. ამ უკანასკნელთ ფაქტიური მფლობელობა კიდევაც დაიწყეს, მაგრამ რის საფუძვლის ძალით, ეს ღმერთმან უწყის: მისავალი გზა გაუკეთეს, თავიანთი ხატები დაასვენეს ეკკლესიაში, სანთელს ჰყილიან და, როგორც ამბობენ, ვითომ წყალსაც ფასი დაადვეს, მაგრამ, ვიმეორებ კიდევ, რის საფუძვლის ძალით ეპატრონებიან სომხები ამ ეკკლესიას და ისაგუთრებენ მას? ეკკლესიასთან გდია ერთი საფლავის ქვა სომხურის წარწერით, რომელიც უნდათ თავიანთ ჭკვაში საფუძვლად გამოიყენონ სომხებმა. მაგრამ ეს, ჩემი აზრით, სუსტი საფუძველია. ჯერ ერთი იმისთვის, რომ ჩვენ ცოტა ეჭვში შევღივართ, ვგონებ ეს ქვა ახლად უნდა იყოს მოტანილი, რადგანაც წინად არსად არა ჩანდა იგი და მხოლოდ ამ ბოლო დროს გამოჩნდა, და მეორეც, განა არ შეიძლება საფლავის ქვაზედ სომხური წარწერა იყოს და ეკკლესია კი მათი არ იყოს. მაშ შეიძლება სომხებმა ახალციხის საკრებულო ტაძრიც დაისაკუთრონ, რადგანაც მის სასაფლაოზედ რამდენიმე საფლავის ქვა მოიპოვება სომხურის წარწერით. თუ საფუძველზედ მივარდება საქმე, ჩვენ ქართველებს უფრო მეტი საფუძველი გვაქვს, ვიღრე სომხებს. მოხუცებულობისგან გამიგონია, რომ უწინ ამ ეკლესიასთან ყოფილა გაშენებული სოფელი „მოღნისი“, სადაც უცხოვრიათ ქართველებს. შემდეგში ესენი ახალციხის ძველ ნაწილში გადმოსახლებულან და მათ შთამომავალთ ეხლაც, ვგონებ, მოღნისელებს ეძახიან. ეჭვი არ არის, რომ ამ სოფელ მოღნისში მცხოვრებ ქართველებს ეკკლესია ექნებოდათ და სწორედ მათი ეკკლესია, აი ეხლანდებოდ სადაცოდ გამხდარი მოღნისის ეკკლესია უნდა ყოფილიყო, რადგანაც სხვა ნაშთი ეკკლესიისა აქ არ არის. თვით სახელწოდება „მოღნისი“ ქართულია, წარმომდგარი სიტყვისაგან „მოღნიმისი“, რადგანაც ახალციხის ძველი ნაწილიდგან

რომ ვიანგარიშოთ, მოღნისის ეკედლესია მდინარე ფოცხოვის გაღმა მოვა. მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ახალციხის ქართველ კათოლიკეთა მღვდლის მამა იოანე გვარამაძის სახლთან გდია ერთი ოთხურთხანი სვეტის ქვა, რომლის ერთ გვერდზედ დარჩენილია შემდეგი ხუცური წარწერა: „სახელითა ღვთისათა მეოხებით წმიდისა ღვთისმშობლისათა მ-ქლ ღირს ვიქმენ... შენგად ამინ“. თუ ეს ქვა მართლა მოღნისის ეკლესიიდგან არის გამოტანილი, როგორც დამარწმუნა მამა იოანე გვარამაძემ, მაშინ უეჭვო უნდა იყოს, რომ ეს ეპილექსა ქართველებისა და მაშისადამე სომხებს არავითარი უფლება არა აქვთ დაეპატრონონ და აღიარონ იგი თავიანთ საკუთრიყბად.

სოფელ ბურნაშენში (ჯავახეთშია) დარჩენილია ერთი ძველი მართლმადიდებლების ეკლესია, რომლის აღმოსავლეთის კედელზედ, გარედან, ამოვიკითხეთ შემდეგი ხუცური წარწერა: (თავში ერთი სიტყვა ვერ გავარჩიე) „იხსენი დანიელ პირისაგან ლომთასა, ეგრე იხსენ ამის წმიდა ეკკლესიისა აღმაშენებელნი ხელთა გ-XX ???“ (უკანასკნელი სიტყვები, მგონია უნდა იკითხებოდეს: „ხელთაგან ჯოჯოხეთისათა“). წარწერის ქვეშ ქვაზედ გამოყვანილია ორი ლომი და შუაში დანიელი. ჩრდილოეთის კედელზედაც, შიგნიდგან, როგორც ეტყობა, ხუცური წარწერა ყოფილა, მაგრამ ბურნაშენის სომხების წყალობით, რომელთაც დაუსაკუთრებიათ ეს ეკლესია და შიგ ასრულებენ ახლა ღვთისმსახურებას, თეთრი კირით არის წაბლალული. თავში გავარჩიეთ მხოლოდ შემდეგი: „ქ. სახელითა ღვთისათა და დაშმ-?ად...“ რასაკვირველია, სრულებით რომ წაშალონ ქართული წარწერები, მაშინ უფრო ადგილად დაისაკუთრებენ.

როგორც ამბობენ, სოფელ ხორქიაში (ესეც ჯავახეთშია), ძველს მართლმადიდებელ ეკლესიაზედ სომხებმა ქართული წარწერა წაშალეს და სომხურად დააწერეს. აი, სადამდის მიდის მათთ თავაშვებული მოქმედება და თავისუფალი ნავარდობა ამ მხარეში. ამგვარადვე აღიარებენ სომხები თავიანთ საკუთრებად ეკლესიებს ყურაოუნისას (ახალციხის მაზრაში), აზავრეთისას (ახალქალაქის მაზრაში), იხტილისას (ახალქალაქის მაზრაში) და სხვ.

ვერ არის კარგის მეგობრობის ნიშანი, როდესაც ამჟამად ახალციხის საბჭოში ერთი ქართველი აღარ არის, რომ ყოველთვის საბჭოს გააკებინოს ხოლმე ძველის ნაწილის (ქართველები ქალაქის ძველს ნაწილში ცხოვრობენ) ჭირ-ვარამი, მისი ავი და კარგი, მისი

„ରୂପରୀତା”, 1899 ଫ୍ରେସ୍, 9 ଲେଖକମଳରେ.

„20 ივლისს ყ.დ. სამღვდელო კირიონი, ეპისკოპისი ალავერდისა, უწმ. სინოდის კანტორის მინდობილობით, ბრძანდებოდა ქ. დუშეთის მაზრაში, ამ ქალაქის მახლობლად მდებარე ბოდავის წმ. გიორგის ნიშის საქმის გამო. როგორც ვუწყით, ეს ნიში ამ რამდენისამე წლის წინათ სომხებმა მიითვისეს. ყ.დ. სამღვდელო კირიონმა მოხსენება წარუდგინა ამ საქმეზე უწმ. სინოდის კანტორას, რომელმაც განიხილა რა მოხსენება, დაადგინა: ეთხოვთ მის ბრწყინვალებას, კავკასიის მთავარმართობელს თ.გ.ს. გოლიცინს ადმინისტრაციული წესით ჩამოერთვას სომხებს ბოდავის წმ. გიორგის ნიში ქ. დუშეთში”

„ივერია”, 1904 წ. 1 დეკემბერი, №275, გვ.2

„ქართველთა ეკლესიების მიმთვისებელთა წინააღმდეგ ლონისძიება.

ბორჩალოს მაზრის, შუღავერის ოლქის საბლალობინო კრებაზე
სხვა საყურადღებო საგანთა შორის გაირჩა უცხო სარწმუნოების
ხალხთა მიერ მართლმადიდებელი ეკლესიების და მის ძვირფას
ნაშთთა მითვისების საქმე. როგორც ვიცით, ბორჩალოს მაზრა
ცნობილია ძველი, შესანიშნავ ქართულ ნაშთების სიმრავლით. ამიტომ
ამ კრებაზე მრავალი მაგალითი იქნა დასახელებული ამგვარი
მითვისებისა. მაგალითად, აკაურთის ეკლესის, რომელზედაც ეხლა
გამოძიება სწარმოებს. რატევნისა, სადაც პმარხია თავადი ბარათაშვილი
და სხვა. კრებამ ერთხმად დაადგინა: იმ ეკლესიებს, რომლებიც
დღოთა ბრუნვის გამო არიან სომხების მიწებზე, მაგრამ სომხები
არ უფლობენ, მართლმადიდებელი სამღვდელოება ჯეროვნად
დაეპატრონოს, ხოლო იმ ეკლესიების შესახებ, რომელიც უკიბი

მიუთვისებიათ სომხებს, სამღვდელოებამ აღმრას დავა სასამართლოს წესით”

სომხეთა მიერ ქართული ეკლესიებისა და მოსახლეობის დაპატრონების ერთ-ერთი გზა იყო მდიდარ სომხეთა მიერ ქართველ თავად-აზნაურთა მამულების შესყიდვა. მამულთან ერთად ტაძრების საკუთრებაში გადაცემა კანონით აკრძალული იყო, მაგრამ კანონების დაცვას სომხება არას დაგიდევდათ, რადგან საქართველოს გასომხების პილიტიკა რუსეთის ხელისუფლების მიერ, ხშირ შემთხვევაში, შეწყნარებული იყო. ამ გზით ხდებოდა მიტაცებული ტაძრების გასომხურება და მამულებთან ერთად ნაყიდი ყმა-გლეხების გასომხება.

მაგალითისათვის მოგვყავს რამოდენიმე სახასიათო ისტორია:

„მწყემსი”, 1901 წ., №15, გვ.3-5; №17, გვ.9

„მექენის საბლალობინო ოლქი ბორჩალოს მაზრაში.

შეცდომით რომ არ ვსთქვათ, თითქმის მთელი ბორჩალოს მაზრა შეადგენს მექენის საბლალობინო ოლქს ქართლ-კახეთის ეპარქიაში. ამ ხსნებულ საბლალობინოში თერთმეტი ქართველი სამრევლოა, გარდა ბერძნებისა და რუსების ორი სამრევლოისა, რომელთაგან თითოეული შესდგება რამდენიმე დაფანტულ, შორიშორს მდებარე სოფლებისგან. აქ სცხოვრობენ ქართველნი, რუსები, ბერძნები, სომხები და თათრები. ქართველები არიან გადმოსული ჯავახეთიდან და დასახლებულან აქ იმ დროს, როცა საბოლოოდ დასრულებულა ბრძოლა ქართველებსა და თათრებს შორის. მშვიდობინობის დროსვე გადმოსულან და დასახლებულან აქ სომეხნიც. თუმცა, ეს უკანასკნელი დღესაც ამტკიცებენ, რომ ბორჩალოს მაზრას როგორც წინეთ, ისე ეხლაც, სომხეთი ეწოდებაო, მაგრამ ისინი ამაში შემცდარი არიან, რადგან თვით ამ მხარის სახელწოდება „ბორჩალო“ არის ნამდვილი ქართული სიტყვა: ბორა-ჩალა „ბორა“ – ჭიათ, „ჩალა“ – ბალახი მაღალი, რომელიც აქ ხშირია. ამასვე ნათლად გვიმტკიცებს ადგილობრივი მდებარეობა: მთელ ბორჩალოში ყოველივე მთის წვერზედა ჩვენ გხედავთ ძველისძველ ეკლესიებს და ციხეებს –

საქართველოს ნაშთებს. ახლაც არსებობს დიდი ბოლნისის სობორო-სიონი, აშენებული მეხუთე საუკუნის ნახევარში მეორე ფარსმან ქართველთა მეფისაგან, რომელ სოფელსაც ახლა სომხები უწოდებენ ბოლნის-ხაჩინად. ამას ისტორია მოწმობს და კიდეც განგვიმარტებს, რომ ოდეს აქ თათრებმა აიკლეს ქვეყნები, მაშინ დაცარიელებულ ალაგიზე სახლდებოდნენ სომხები. და აი, იგივე სომხები, დღესაც დარჩენილ არიან ალაგ-ალაგ და უწოდებენ ამ მხარეს ე.ი. სამხრეთ საქართველოს, თვის საკუთარ სამშობლო მამულის ნაწილს.

აქ მცხოვრები ქართველები არიან მხნე, ყოჩალი და სარწმუნოებით მტკიცენი. მეტად გაჭირვებული ცხოვრება აქვთ მათ, რომელებიც დასახლებული არიან მებატონების მამულზე. მომეტებული ნაწილი ქართველებისა ცხოვრობს მდ. მოშავრას ხეობაში. ამ ხეობაში არის გაშენებული ქალაქ თბილისიდან 63 ვერსზე პირველი კოლონია ეკატერინენცელდი, სადაც ცხოვრობენ გარდა გერმანელებისა, მრავალი მართლმადიდებელი, რომელთათვის აქ შენდება ეკლესია საქართველოს ექსარხოსის ნებართვით. ამავე ხეობაში მდებარეობს შესანიშავ ალაგზე მეორე სოფელი – რატევანი. ცხოვრობს 25 მოსახლე ქართველი და 9 კომლი სომხი. აქ არის შევენირი სამ გუმბათიანი ეკლესია, აშენებული თავად ბარათაშვილის მიერ, რომელიც ამავე ტაძარში მარხია. ეს ეკლესია დღეს სომხების საკუთრებას შეადგენს. ახლად წარმოებული საქმე ამ ეკლესის შესახებ გვიმტკიცებს, რომ როცა თ. ბარათაშვილს მიუყიდნა ეს მამული ვიღაც ბ. ფითოევისათვის, ეკლესიაც სიტყვით მისთვისვე გადაუცია. ფითოევს მოუშლია წმ. ტრაპეზი, გადაუკეთებია ტაძარი და ბოლოს უკურთხება სომეხ-გრიგორიანთა წესზე. შემდეგ ფითოევს მიუყიდნა ეს მამული ბ. მანთაშვილისთვის – ცნობილის მდიდრისთვის და დღესაც, როგორც მამული, ისე ეკლესიაც შეადგენს მის, ბ. მანთაშვილის საკუთრებას. ამ ეკლესის დაჩემბა ახალ დროს მიეწერება და სჩანს, იმ დროს ამ ოლქის კეთილ წესიერების მეთვალყურეს სძინება, ეს ტკბილი ძილი დამტკიცდა 11 გიორგიბას 1899 წელს, ოდეს ამ ოლქის დასათვალიერებლად ბრძანდებოდა მათი უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ლეონიდი, რომლის წინადაღებით ადგილობრივ მღვდელმა აცნობა მთავრობას ყოველივე ჭეშმარიტება ამ ეკლესის შესახებ და იმედია, რომ ეკლესია რატევნისა დაუბრუნდებათ მართლმადიდებელ კანონიერ მფლობელ-ქართველებს,

რისთვისაც ჭეშმარიტს გულითად მადლობას უძღვნის მრევლი ამ ეკლესიის შესახებ კითხვის აღმმვრელს. ს. რატევნიდან ექვს ვერსზედ სტეს სოფელი ქვეში. მთელი სოფელი შემორტყმულია ერთ დიდ და მაღალ გორას გარშემო, მაღლა გორაზე არის ძველი ციხე და შიგ ეკლესია აშენებული 1700 წელს, არა ცნობილ არს ვისგან. ქვეშის სამრეკლოდან აღმოსავლეთ-დასავლეთისკენ არის სოფელი აკაურთა, აქაც მომეტებული ნაწილი ქართველებია, მაგრამ, რაღაც მამული ეკუთვნის თავად არღუთინსკი-დოლგორუკოვს (სომეხია) აქ ძველად ქართველების ეკლესია განახლებული იქმნა სომეხის წესზედ და ქართველები რჩებიან უეკლესიოდ. ამისთანა მაგალითები ბევრი მოხდებოდა, რომ მამა ბლალოჩინს ამ ოლქისას ყურადღება არ მიექცა ამ სამწუხარო მოვლენისათვის. ქართველ მრევლს ახლა იმედი აქვს, რომ როგორც მათ, ისე საქართველოს ძველ ნაშთთ ყურადღებას მიაქცევენ, მაგრამ ამისთანა მდგომარეობაში მყოფ ქართველებს მთელი წლის განმავლობაში მ. ბლალოჩინი თვალითაც არ უნახავთ.

ამ შემთხვევაში, ვალდებული ვარ, ყოველივე ჭეშმარიტება აღვარო: ეს მხარე ფრად დავიწყებული მხარეა, რომელშიაც, არამც თუ სომეხი, არამც სხვებიც უჯოხოდ დადინან და ქართველებს ურიგოდ ექცევიან... ამიტომაცაა, რომ სომხები ბორჩალოს ხეობას „ბოლნა-ფორას“ ეძახიან და!...

...აი, მესამე წელიწადია, რაც რატევნის ეკლესიის შესახებ, რომელიც სომხების ხელშია დღესაც, აღვმარით კითხვა, მაგრამ – ეს ემდურის მეორეს, ამას არა სცალიან, ის ამბობს: „სხვათა ჭირი ღობეს ჩინიონ“და საქმე დღესაც მწვანე მაუდის ქვეშ ძევს... უცადოთ პასუხს! სომხებმა კი მესამე აკაურთის ეკლესიას მიჰყვეს ხელი“

„ივერია“, 1901 წ., №76

„წერილი ცხინვალიდან

...სოფელ დგევრისში, რომელიც ერთის ვერსის მანძილზედ არც კი დ. ცხინვალიდგან, ერთი ძველი დანგრუული პატარა ეკლესია გახლავთ, რომელსაც ადგილობრივნი მცხოვრებნი „ძუძუთა ღვთისმშობლის ეკლესიას“ უწოდებენ. ამბობენ, ვისაც რე არ აღმოაჩნდება, ან შეკრობება და რაიმე მიზეზით დააკლდება, მივა ამ

ეკლესიაში, დანიშნულს ადგილს წყალს ჩამოავლებს და რე მოხსდის. რამდენად მართალია ეს ხალხის თქმულება, ჩვენ არ ვიცით, მაგრამ ადგილობრივნი მცხოვრებნი ასე მოგახსენებენ – აი, ამ ეკლესიის დღეობა მოდის და დღესასწაულობენ აღდგომის მეორე დღეს, ე.ი. ორშაბათს, იკრიბებიან ადგილობრივნი მცხოვრებნი ახლო-მახლო სოფლებიდგანა და ლოცულობენ. ეს ასედაც უნდა ყოფილიყო, რაღაც დგევრისში არც ძველად და არც ახლა არასოდეს ჭაჭანებად ხსენებაც კი არსადა ყოფილა სომხისა და მაშ ვისი უნდა იყოს, იგი ეკლესია თუ არა ქართველებისა?! მით უმეტეს, რომ ეკლესიის გარშემო სულ ქართველები სცხოვრობენ. მაგრამ უნებლიერ დუშეთის წმ. გრიგოლის ნიშის ისტორია გვაგონდება...

ამ ორი-სამი წლის წინათ გადასახლებულა ერთი არა-მკითხე, მაგრამ, როგორც საქმიდანა სჩანს, სხვისაგან გაოსტატებული სომეხი, თორებ კაცი, რომლის საზრდო-საბადებელსაც ვაჭრობა-აღებ-მიკემობა შეაღენს, განა ბაზარს თავს დაანებებს და სოფლად გადასახლდება, სადაც არა აბადია რა?! – მართლაც ამ ვაჟბატონის გადასახლების ორი წლის შემდეგ დგევრისში უცებ ცხინვალის სომხობა ქალით-კაცამდის თავიანთის ტერტერა-ტერაცუებით გაჩნდებიან დასახელებულ ეკლესიის კარებზედ, დასდგამენ მავიდას, დააწყობენ სანთლებს, გადაიხდიან პარაკლისს, გაჩაღდება სანთლები, პირველის წერა, ვედრება, ერთი ჰაი-ჰუ და სხ. სწორედ სასაცილო და სატირელს სურათს წარმოადგენდა ეს უცაური, უთავ-ბოლო, რაღაც ქვენაგრძნული კომედია! ერთი ბეწვა ნანგრევ ეკლესიის კარების წინ ცალ-მხარეზედ სომხების სანთლელი იყიდება, მეორე მხარეს – ქართველებისა. როგორ? გაოცებული ეკითხები შენს თავს? ორი მტკაველი, უმთა ვითარებისა გამო, დანგრეული ეკლესია, სადაც ფეხის დადგმა არა ყოფილა და არც არის სომხებისა, საიდგან გაჩნდა და გახდა ასე ანაზღეულად სომხებისა? თუ მართლა სომხებისაა, ქართველები რაღა მაჩანჩალანი არიან და თუ ქართველებისაა – სომხები რაღა შუაში არიან? ან როგორ მოხდა, რომ ერთი პატარა ეკლესია ერთსა და იმავე დროს ქართველებისაც არის და სომხებისაც? ვერ მივხვდებოლვართ, რა ამბავია, რა სასაცილო, სატირელი და სამასხარაო კომედიების თამაშობაა ამ მეორე საუკუნეში?! ეს ადამიანის დამამცირებელი კომედია რომ ჩვენის თვალით არ გვენახა წარსულს წელს, არ დავიჯერებდით. ხმას არ

ვიღებდით აქამდისი, რადგანაც გვეგონა, ჩვენი დიდად პატივცემული ბლალოჩინი, ან დგევრისის ეკლესიის მღვდელი გამოიდებდნენ თავს, რაიმე ღონეს იღონებდნენ და საქმის ვითარებას გამოარკვევდნენ, მაგრამ არსად არა სჩანს რა და არა ისმის-რა. ამისათვის საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ყურადღება მიექცეს, საქმე გამოირკვეს. დროა, ერთჯერ და სამუდამოდ მოეღოს ბოლო ზოგიერთი სომხების ამისთანა ნაცარქექიაობასა და ძველის ნაშთების ასე აბუჩად აგდებას! ცხინვალელი სომხები და მათი მღვდლები საბუთად იმას მოგახსეხებნ, რომ შესავალი კარგის ერთს ნათალს ქვაზედ ზედ წარწერა და სომხურია. ვნახეთ ეს ქვაც: წარწერა, მართალია, არის, მაგრამ სომხურია თუ ქართული ვერ გავარჩიე, რადგანაც სომხური და ქართული ხუცური ერთმანეთს ძლიერ წააგავს. ის კი უტყუარია, რომ ზედ წარწერიანი ქვა უფრო ახალი სჩანს, ვიდრე სხვები და განა თვით ეკლესიის შიდა მოყვანილობა არ ამტკიცებს, რომ ქართველებისაა? იმედია, ჩვენი ხმა არ დარჩება ხმად მღალადებლისა უდაბნოსა შინა, ჩვენი ძველი ნაშთების მკვლევარნი ყურადღებას მიაქცევნ ამ სადავიდარაბო ქართულის ოფლით ანაგებს ღვთის ტაძარს რაიმე საფუძველს დაუდებენ...”

რიგი წერილებისა ეხმაურება რუსულ ურნალ-გაზეთებს და შეეხება სომხეთი თემატიკას. მოვიყვანოთ ზოგიერთი მათვანი:

გაზეთი „ივერია“, 1897 წ., №117

ნარკვევი
(ურნალ-გაზეთებიდან)

გუშინდელს „ნოვოე ობოზრინიში“ დაბეჭდილია წერილი გ. ადამის ძის ყარანგოზიშვილისა, რომელიც ქ. ლუშეთის მკვიდრი აზნაურიშვილია და რომელმაც, ეჭვი არ არის, კარგად უნდა იცოდეს ეგრედ წოდებული „ახალ სურბ-გიორგის“ საქმე. აი რასა სწერს იგი ხსენებული სადავო ჭეშმარიტების შესახებ:

„საქმე აი რაშია: პაპაჩემის მამას დედით – ოპანეზ მანდენოვს პაპაჩემ გრიგოლ ადამის ძე ყარანგოზიშვილთან მეგობრული დამოკიდებულება ჰქონდა და სთხოვა თურმე ნება მიეცა წმ. გიორგის ძველ ეკლესის ნანგრევზედ სომხეთა ეკლესია აეშენებინა და

სასაფლავო გაემართნა. პაპაჩემმაც ნება დაპროტო თურმე. ოპანეზ მანდენოვმა ეკლესია ააშენა და ანდერძად დასტოვა რომ როგორც იგი, აგრეთვე მისი ოჯახის ყოველივე წევრი ხსენებულს ეკლესიაში დაემარხნათ და წელიწადში ორჯერ მანდენოვის გვარულობის მიცვალებულთა სულის მოსახსენიებლად პანაშვიდი გადაეხადათ. ამ ეკლესიაში დამარხულ იქმნენ: ოპანეზა და მისი ვაჟიშვილი მეუღლითურთ. დღემდის მის ანდერძს მუდამ ასრულებენ და აღდგომის მეორე დღესა და ამაღლების წირვასა და პანაშვიდს იხდიან მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად. სასაფლაოზედ აკრავს ასე 7 დღის მიწა, რომელიც ჩვენ ყარანგოზიშვილებს გვეკუთვნოდა. მამულების გამიჯვნის დროს 1887 წ. მამა ჩემს ბევრი სთხოვეს, რომ ხსენებული მამული ქალაქისათვის ეწუქბინა, რადგანაც დუშეთს მახლობლად ერთის ფეხის დადგმის ოდენა მიწაც კი არსად მოეძებნებოდა. მამაჩემმაც აუსრულა თხოვნა და ეს მამული დუშეთის სახელზედ გაამიჯვნინა. ამ მიწის გვერდით ტყეა და ამ ტყეში – ბოდავის წმიდის გიორგის ნიში, სადაც ყოველს წმიდა გიორგობას 23 აპრილსა და 10 ნოემბერს, ბოდავიდან მლოცავნი მოდიოდნენ ხოლმე მღვდლისა, ბლალოჩინისა და გლეხთა რჩეულ კაცებთან ერთად წმინდანის სადიდებლად. პროცესიაში მონაწილეობას იღებდნენ მართლმადიდებელნიცა და სომექ გრიგორიანნიც. სხვა დროს კი ეს ადგილი დუშელების სასეირო ადგილად ითვლებოდა და ვინც კი მოისურვებდა, ყველა დაიარებოდა დროის გასატარებლად. რადგანაც სომხებსა და ქართველებს შორის აქ ხშირად კამათობა და ჩხუბიც ასტყედებოდა ხოლმე, ამიტომ ბოდაველებმა სრულიად მოსპეს პროცესიები, ხოლო ცალკე ოჯახობით ეხლაც ყოველთვის დაიარებიან.

ეხლა აგისხნით, თუ როგორ მოხდა, რომ წარსულ მაისის 15-ს მიწის მზომავმა ბ-მა სტრეპჩევსკიმ ზემოთ აღნიშნული 2 ნაჭერი მიწა სურბ-გვორექის ეკლესიას მიუმიჯნა.

1887 წ. გამიჯვნის დროს, როგორც ზემოთაც ვთქვი, მამაჩემმა 7 დღის მიწა ქალაქ დუშეთს დაუთმო და ქალაქის სახელზედ იქმნა ამიტომ დამიჯული. დუშეთში იმ დროს დეპუტატად (როგორც ახლა ქალაქის უხუცესია) ვინმე თათულოვა იყო, სომხეთი. თათულოვამა: გადასახადი, რომლებსაც „ნედოიმკას“ უწოდებენ, – აბა ჩქარა და მალე მოგვეცითო. სიონელები იძახიან, ჩვენ ყოველ წელს უკლებლივ

ვიხდიდით ყალანსა და არ ვიცით, ეს „ნედოიმკა“ საიდან მოვიდაო. ასეთივე ამბავი დაემართა სოფ. ფანაბას, ვანშეტს, არშას და ცდოსაც, რომლებსაც უკლებლივ შეტანილი ჰქონდათ ხაზინაში ფული და დღეს კი „ნედოიმკა“ დატყვდათ თავსა. ასევე ჩაიყლაპა ფანშეტელების, არშელების და ცდოელების 15 თუმნის შეშაც. ეს ხუთი წელი არის იმ ფულმა ჩაილურის წყალი დალია და გლეხები პირში ჩალაგამოვლებულნი დღესაც შესცერიან”.

კალმის-წვერი”.

გაზეთი „ივერია“, 1897 წ., №70

„დღეს წერილია დაბეჭდილი ახალციხელ სომხთა შესახებ გაზ. „კავკას“-ში. წერილში დაწვრილებით არის მოთხოვნილი, როგორ უშლიდნენ ხელს სომხები მართლმადიდებელი ეკლესის აგებას ქ. ახალციხეში და იმის ნაცვლად შიგ შუა ქალაქში როგორ ააგეს საზაფხულო სახიორო. სხვათა შორის, ავტორი ამ წერილისა ბ-ნი ეედლე თავისის წერილის დასაწყისში შემდეგს ამბავს მოგვითხოვს:

„ეხლანდელი ახალციხის მაზრა შეადგენს უმეტეს ნაწილს ზემო ქართლისას, რომელსაც მტკვრისა და ჭოროხის მიდამოები უშირავს. ეს ქვეყანა ძველადვე ქართველების მიერ იყო დასახლებული და უხსოვარი დროიდან საქართველოს სამეფოს ნაწილს შეადგენდა. XIV საუკ. ზემო ქართლს ეწოდა საათაბაგო, 1828 წ. მთელი ეპოქა ძველისძველი საათაბაგოს უმეტესის ნაწილისათვის. ამ წელს 15 აგვისტოს, რუსთა ჯარმა, რომელსაც წინ უძღვდა პასკვიჩი, ბრწყინვალედ დაამარცხა ოსმალეთის ჯარი და იერიშით აიღო ახალციხე. 1829 წ. ადრიანოპოლის ხელ-შეკრულებით რუსეთმა, სხვათა შორის, ოსმალეთისაგან ახალციხის საფაშოც მიიღო, რომელიც ახალციხის მაზრად იქმნა გადაკეთებული და ჯერ ქუთაისის გუბერნიას ეკუთვნოდა, შემდეგ ტფილისისას.

რუსეთის ჯარის მიერ დაპყრობამ ახალციხისა, რომელსაც იქაურნი მიუვალ და მიუდგომელ სიმაგრედა სთვლიდნენ, შიშის ზარი დასცა მაპმადიანებს და დიდ-ძალი მკვიდრნი ამ საფაშოსი ოსმალეთს გარდაიხევნენ. ამის სამაგიეროდ სულ 5-6 თვის განმავლობაში გვეწვია 100 000 მეტი სომხი.

უკვე 1831 წ. ახალციხეს გადმოსახლებულმა სომხებმა თხოვნა მიართვეს გრაფ პასკევიჩს, რომელიც 10 მუხლისგან შესდგებოდა. აი, უმთავრესად რასა სთხოვდნენ სომხები: 1) სომეხ-გრიგორიანის სარწმუნოების ხალხთან ნურა სხვა ხალხს ნუ დაასახლებოთ. 2) ახალციხის სომხებს ნება ჰქონდეთ თავიანთი განსაკუთრებული „საერო სასამართლო“ დაირსონო. 3) ნება ჰქონდეთ თავისუფალის, უბაურ და უგადასახადო ვაჭრობისაო და სხვა. მაგრამ ისეთი არ იყო გრაფი პასკევიჩი, რომ იმათ დასთანხმებოდა. აშკარა საქმეა, მან უარჲყო ეს უსირცხვილო თხოვნა სომხებისაო“.

თუ ყოველივე ეს მართალია, აქედანა სჩანს, რა სხვის შემწყნარებელი ერი ყოფილა სომეხი და თავდაპირველებელი რა მოძღვრება კულტურისა შემოუტანია კავკასიაში, სხვას ჩემთან ნურავის გააჭაჭანებოთ, ჩვენ ცალკე უნდა ვიყვნეთო. შორს არსად წასულან იმ ფანატიკოსობაზედ, რომელიც, უეჭველია, უსწავლიათ ოსმალთაგან. ჩვენ-კი გვაპრალებენ სხვის შეუწყნარებლობას და მტრობის გამოკიდებას. ამაზედ არის ნათქვამი: „ჩემი რა გითხრა, გული რით გატკინოო“.

გაზ. „ივერია“, 1897 წ., №111

„დ. ცხინვალი. 18 მაისს, დ. ცხინვალში მზღვდრობა იყო. დღეობაზედ აუარებელი წვრილი-ფეხი და მსხვილი-ფეხი საქონელი ჩამოერეკა გლეხობას გასასყიდად. საქონელი ძალიან იაფად იყიდებოდა. ეს იარმუკობა არ იყო ისე საყურადღებო, როგორც შემდეგი გარემოება: ორი თუ სამი ცხინვალელი ხალხი დამკრებოდა და იძახდა: ვინც საქონელი გაყიდოს, სულზედ შაური გადაიხდოს. ამ სიტყვებმა ზოგიერთის ყურადღება მიიზიდა და ერთ-ერთს ფულის მკრეფავთაგანს ალექსანდრე ივანოვს ჩაეკითხნენ, ვისის ნება-დართვით, ან ვის სასარგებლოდ ჰკრებავთ მაგ შაურებსო. პირველს კითხვაზედ ხსენებულმა ვაჟბატონმა პასუხი არ აღირსა. ხოლო შემდეგ გამოტყდა, რომ ფულები სომხების ეკლესის გალავნის ასაშენებლად იკრიბება, რადგანაც მორკილი საქონელი სომხების ეკლესის მიდამოშიაცა დგებათ. სთქვა თუ არა ეს, საითლაც გაძვრა და მიეფარა“.

გთავაზობთ ამ ინფორმაციას დასახელებული უურნალიდან:

გაზეთი „მწყემსი”, 1896 წ. 29 თებერვალი

«ერთ რუსულ გაზეთში („მოსკ. ვედ.“) 6 იანვარს, ამ წლისას დაბეჭდილია ერთი წერილი, რომელიც შეეხება სომხებს და მართლმადიდებელი ეკლესიის საქმეს ჩვენი მხრისას. ჩვენ იმდენად საყურადღებოდ მიგაჩნია ეს საგანი, რომ მოგვყავს პირდაპირი თარგმანი იმ წერილისა თავით ბოლომდე.

„თქვენს თბილისელ კორესპონდენტს, როგორც მახსოვს, არაერთხელ დაუმტკიცებია თქვენი გაზეთის საშუალებით, რომ თბილისში რუსის ყოფა ძნელია, თუ იგი ქება-დიდების საგალობელს არ უმღერს სომხის „ბაზარის“ ვაჭრობას, თუ იგი ხელს არ უწყობს მათ სიხარბის განხრახვებს, ანდა სულ განშორებით არ დგას გამდგარი ყოველი საქმისგან. თუკი რუსის მდგომარეობა ამგვარია, მაშ შეიძლება წარმოვიდგინოთ ქართველები და თათრები როგორდა ყოფაში უნდა იყვნენ. საზოგადოდ, როგორ ყოფაში უნდა იყოს ყოველი ადამიანი, ვისაც არ შეუძლია პირფერობა და ამავე დროს ვისაც არავითარი უფლება არა აქვს ზურგის მოსამაგრებლად. ამ ვაჭრებმა არამცუ დაიპყრეს მთელი ქონებრივი ძალა, არამედ ლამის ძირი გაუთხარონ მთავარ საფუძველს მართლმადიდებლობისას უუძველეს მართლმადიდებელ მხარეში.

ამ უკანასკნელ დროს ქართულ გაზეთ „ივერიაში“ იბეჭდებოდა „ვინმე მღვდლის“ წერილები, რომელთაც მიიქციეს ყველას ყურადღება. თვით კილო წერილების ნამეტანი გულწრფელია. წერილები კი არა, უფრო გოდება იგი დიდად მორწმუნე სულის, რომელიც გაუბრაზებია მომხდარ უკუღმართობა-ვერაგობას, ვერაგობას განსაციფრებელს, რომლის მსგავსი არსად არა თქმულა, არსად არაფერი გაგონილა. ყველაფერია იქ, სიწმინდის შებდალვაც, ხალხისა და მისი რწმუნების ქირდვაც, ღვთის გმობაც და თაღლითობაც, ერთის სიტყვით, ყოველგვარი ბოროტმოქმედება, უსაზიზდრეს სარჩულზე დამყარებული. მოკლედ რომა ვთქვათ, საქმე შეეხება ახალგვარ თაღლითობას – ძველისძველ საისტორიო ნაშთებზე წარწერების გამოცვლას, წარწერების მოსპობას იქ, სადაც ეს გამოცვლა საჭირო არ არის, ყოველგვარ ბოროტმოქმედებას, მართლმადიდებელ ეკლესია-მონასტრების წასართმევად ჩადენილს. „ვინმე მღვდელი“ გულისხმობს მარტო ახალციხისა და ახალქალაქის

მაზრას, მაგრამ მას იმნაირისავე საფუძვლით შეეძლო მთელ მართლმადიდებელ საქართველოზედაც ეთქვა იგივე.

– მაგრამ ტყუილად შეჭმარხნილი ამბები ხომ არ არის ეს? „ვინმე მღვდელი“ გამოგონილი ადამიანი ხომ არ არის? ზღაპარი ხომ არ არის მის მიერ მოთხოვნილი ამბებიო? – გაიცემს ქითხველი.

– არა, სრულებითაც გამოგონილი რამე არ არის, არც ზღაპარია, ოდნავადაც გადამეტებული ამბავიც კი არ არის. არა, აქ არც თითოეული კერძო შემთხვევის განზოგადებაა. მის მიერ მოთხოვნილი ყველაფერი ნამდვილი ჰეშმარიტებაა, რომლის უეჭველობა გასჭვირს მისსავე ნაწერ თითოეულ სიტყვაში, გამოგონილი პირი როდი არის ეს საწყალი სოფლის მღვდელი, ძველ იერმიასავთ იერუსალიმის ნანგრევებზე თავის წინაპართა სიღადის მწარე ბედზე მგოდებელი. მისი ცრემლი და რუდუნება ჩვენ ყველას მომართ წარმოგზავნილია.

– ყველაფერი ეს ნამდვილი გულწრფელი მისი მწუხარების შედეგა. დაახ, ყოველივე ეს სინამდვილეა, – სამწუხარო სინამდვილე, რომელიც შეეხება არათუ მარტო „ვინმე მღვდლის“ მიერ დასახელებულ მიდამოს, არამედ ბევრ სხვა აღაგსაც, სრულიად მთელ საქართველოს მხარისას. მარტო მტკვრის და ჭოროხის სათავეების გაყოლებით ყარსამდე და ერზრუმამდე მიყოლებული, სადაც საქრისტიანო სიძველის ყველა ნაშთებზე, განსვენებულის მექისტორიე დ. ბაქრაძის მოწმობით, ქართულს გარდა არასოდეს არავითარი სხვა წარწერა არ ყოფილა, – არამედ ჩვენი მართლმადიდებელ მხრის თვით შუაგულში თავის საქმეს არიგებს. ტაძრებს ანგრევენ, სიწმინდეს იტაცებენ, წარწერებს სპობებს, ახალს თხზავენ მათ მაგიერ, – თვით მკვდართა განსასვენებელი, სასაფლაოებიც კი ვერ აშორებიან ამ საერთო ხვედრს.

გნებავთ დამამტკიცებელი საბუთები? არავისათვის საბუთები აღარ არის, რომ თბილისის ზოგიერთი ეკლესიები, რომლებიც მართლმადიდებლების იყენენ, ეხლა მართლმადიდებლებს აღარ აქვთ. არავისათვის საიდუმლო აღარ არის, რომ შესანიშნავი თელეთის მონასტერი, თბილისის რამდენიმე ვერსით დაშორებული, მართლმადიდებლების ხელში აღარ არის. ყველამ იცის, რომ ვართაშენში წმინდა ელისეს ტაძარი წართმეული და მითვისებულია.

სამშვილდის სიონის ეკლესია უკვე მოთვალთვალებულია წასართმევად. თითქმის მიმქრალი მეათე საუკუნის მისი წარწერა სომხური წარწერით არის შეცვლილი. იქვე პატარა ქართველების ეკლესია, მერვე საუკუნეზე არაუგვიანეს აშენებული, შესანახ აღვილად არის გადაქცეული... ბოლნისის სიონი, ხრამს გაღმით, თუ არ ცცდები, მეფის ფარსმან მეოთხის მიერ აშენებული მეოთხე საუკუნეში – მართლმადიდებელთა სიწმინდე, სადაც მეჩეთმეტე საუკუნის გასვლამდე საეპისკოპოსო კათედრა იყო, ვახტანგ გორგასლის მიერ დაწესებული – სადაც გამხდარა და დღეს თუ ხვალ ლამის სხვის ხელში ჩავარდეს.

წართმეულია ნუხას ახლოს გიშის ტაძარი, ის ტაძარი, სადაც გიშელები მღვდელმთავრობდნენ. ამასევე უპირებდნენ ჭურმუხის ტაძარს, წმიდა გიორგისას, მაგრამ ხალხმა ძალით გამოდენა ტაძრიდან მტაცებლები.

ჩალდირის ტბასთან დაქცეულია ერთი ქართული ეკლესია და ქვები კარდაკარ არის დატაცებული.

შესანიშნავი სიღნაღის ციხე თითქმის სულ დანგრეულია და ქვები დაპარულია. იქვე ქართული წარწერები უძველეს სასაფლაოზე წაშლილია და სომხურით არის შეცვლილი.

ლორის ციხეში მთლად მოისპო ქართული წარწერები... გაქრა გუჯაბის ეკლესიის წარწერა ბორჩალოს მაზრაში. ერთ ძელის ძველ და მივიწყებულ სასაფლაოზე ერთ ქართველების ეკლესიასთან, კუჩენბახის მინის ქარხნის ახლოს, ბოლო ხანებში გაჩნდა სულ ახლად ახალი ფიქალები ახალის სომხურის წარწერებითურთ...

კელაგერის ციხეშიდაც ესევე ხდება. და სხვა, და სხვა!

რომ ცოტა მექექა ძველი გაზეთები ან და მით უმეტეს, რომ მომეწადინებია დაწვლილებით ალაგობრივი ცნობების შეტყობა, მაშინ ამ ახლად გაჩენილ ბარბაროსების მოღვაწეობის ნუსხა დაუსრულებელი შეიქმნებოდა.

დაქცევა, ისევ დაქცევა, და სულ ახალი დაქცევა, და ბოლო არ უჩანს ამ დაქცევას ჩვენი მხრისას...

მერე სად არის მმართველობა, სად არის გამოქვეყნება, სად არის დაცვა იმისა, რაც დირსია დაცვის?

მმართველობა სომხების ხელშია. გამოქვეყნებაც მათ საჯირითოდ გამხდარა, მერე დაცვა... იგი მხოლოდ სომხების მიზან-განზრახვისათვის სუფევს... რასაც მე ვიწერები, ეს ყველამ უკვე იცის, ყველას ზიზღს ჰგვრის, მაგრამ დაბეჭვდით კი მხოლოდ ნაგლეჯ-ნაგლეჯებად თუ შეიძლებოდა ამის გამომჟღავნება და ისიც ერთადერთ ქართულ გაზეთში. აქაური სომხური გაზეთები, რუსულ ენაზე გამომავალი, ამგვარ საქმეებს გვერდს უქცევენ. ერთად ერთი რუსული გაზეთი „კავკაზი“ კი ვერ ჰბედავს ამის შეხებას, რადგანაც გრძნობს რისხვას საცენტურო კომიტეტისას. სტატიები ამ გვარ საქმეების შესახებ ყველა გრძელდება ძალიან თამამად, რადგანაც სხვა და სხვა ეროვნებებს შორის სიმბულვარის აღმმგრელად არიან მიჩნეულნი. ამავე დროს კი სიყალბე უფრო და უფრო წარმატებაში შედის და აღბათ მომავლისათვის ეროვნებათა დამაკავშირებლად მიუმჩნევიათ იგი.

ნუ თუ ეს ყველაფერი დაუსჯელად გაგრძელდება? ნუ თუ მართლმადიდებელ მღვდლებს მართლმადიდებელ მხარეში არ დააცლიან მართლმადიდებლობას?”

ამით თავდება ეს წერილი, რომელსაც ბოლოში ხელს აწერს „ქართველი“. მაგრამ ეს გულის წყორმა და რუდუნება დამწერის ვინაობას კი არ მიეწერება, რასაკვირველია, არამედ იმ სამწუხარო მოვლენებს, რომლის მოწამე, როგორც ჩანს, იგი გამხდარა. არამც თუ ქართველი, არამედ ყოველი ადამიანი აღელდება აღბათ ამგვარი ამბის გაგონებაზე. ჩვენ მხოლოდ ისლა გვრჩება, რომ მოვუცადოთ კიდევ დაწვრილებით ყველა ზემოხსენებული ბოროტქმედების გამოაშკარავებას! სწორედ სამართლიანია ზემოხსენებული დამწერის გოდება და წუხილი. მით უფრო სამძიმო არის ეს წუხილი და სარწმუნოების შემბლალველი გარემოება, რომ ამას შევყურებთ და ვისმერთ ამ მე-19 საუკუნეში».



თავი III

როდის გადმოსახლენენ სომხები საქართველოში

Վրաստանի վարչական այն շոշանները, որը գոյութուն
ունեն կամ ունեցել են հայկական նկնդցիներ



1. სომხეთის ისტორიის „ცრუ ფარშევანგები”

პირველ თავში აღვნიშნეთ, რომ ხსენებულ სიმპოზიუმზე ორგანიზატორების მიერ, სრულიად გაუმართლებელი და არადამაჯერებელი მიზეზების გამო, დაშვებულ იქნა ბ-ნ ლევონ ისახანიანის „მოხსენება“. მოხსენების მიზანი კი ქართულ-სომხური ურთიერთობების პრობლემატური საკითხის კვლავ წინ წაძონევა იყო – საკითხისა, საუკუნეების მანძილზე რომ გასდევს ქართულ-სომხურ ურთიერთობებს და, სხვათა შორის, ქართული სახელმწიფოებრიოების წინააღმდეგ მიმართულ მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ფაქტორებსაც შეიცავს. ერთი რამ ცხადია: როდესაც ადრინდელ ნაწერებს კითხულობ, თვალშისაცემია, ქართველი კაცი რა მტკიცნეულად აღიქვამდა, რომ მას ედავებოდნენ მამულებსა და ქონებას, ართმევთენ კლესიებს, ენას, სარწმუნოებას, კულტურას, ადათ-წესებსა და ჩვეულებებს. აი, საუკუნის წინ დაწერილი სიტყვები, რომლებიც ისე მოისმის, თითქოს ხსენებული სიმპოზიუმის სხდომაზე ეთქვას კიმეს:

«სომხის მწერლებს რომ კაცმა ჰქითხოს, ისინი საქართველოში უძველესი დროიდან, V საუკუნიდან არიან გადმოსახლებულნი, ე. ი. რა დროითგანაც იწყება ბრწყინვალება ძველისა საქართველოს

დიდებისა. თუ საქართველოში როდისმე შესანიშნავი, საქებური და თვალსაჩინო რამე მომხდარა, მათის აზრით, ან სომხების მიერ მომხდარა, ან მათი შემწეობით და ზედგავლენით; თუ ვინმე გამოჩენილი სარდალი ყოფილა, ან სომხი, ან სომხის ჩამომავალი ყოფილა; თუ ყველა წარჩინებული პირი არა, მათი მომეტებული ნაწილი მაინც... ესრე, რაც შეუძლიათ, ყველას ასომხებენ და ყველაფერს სომხების უნარსა და შნოს ათვისებენ. . . მაგრამ არც ჩვენი და არც სხვა ქვეყნის ისტორია ამ საგნისთვის ცხადად და მტკიცედ არაფერს გვიჩვენებენ. ეს ამბავი მართალი რომ ყოფილიყო, ან ჩვენი, ან სხვა ქვეყნის მეისტორიენი უეჭველად ხმას ამოიღებდნენ, რადგან ამ გადმოსახლებას უთუოდ დიდი მნიშვნელობა უნდა პქონოდა ჩვენის ქვეყნისათვის; ესრეთი გარემოება არც უცხოელთ გამოეპარებოდათ შეუმჩნეველად» [4].

ბ-ნ ლევონ ისახანიანის მოხსენების საფუძვლები XIX საუკუნის მიწურულსაც მზადდებოდა. სომხი მწერლების მიერ იწერებოდა საქართველოს ახალი ისტორია - სომხების სასარგებლოდ, იწერებოდა სომხეთის ახალი ისტორია – ისევ სომხების სასარგებლოდ: «ყველას თვალი რომ აუხვიონ სომხებმა და დაანახონ ხალხს ყველაფერი ისე, როგორც თვით უნდათ, „მშაკის“ (სომხური გაზეთი – ა. უ.) სახელოვანმა მწერალმა, 1897 წ. 137 ნომერში, ერთის კალმის მოსმით, თურმე, ყველაფერი დაამტკიცა. იმას თუ დავუკერებთ, თამარ მეფის და გიორგი პირველის დროს და მათზე უწინდელ საუკუნეში სომხები გადმოსახლებულან საქართველოში და საქართველოს ქალაქების მცხოვრებთა მომეტებული ნაწილი სომხები ყოფილანო, როგორადაც ამტკიცებულ ყველა ისტორიკოსი და იმ დროის მგზავრიო. ნათესავის დასაბუთებლად, იმოწმებს მარტი პეტრო დელლა კალეს, შარდენს, ტურნეფორს, იოსელიანს და ვეიდენბაუმს. ყველასათვის ცხადია, რომ ესენი არიან XVII, XVIII და XIX საუკუნის მოგზაურნი და მწერალნი: ამათ დასწერეს ის, რაც იმ დროს ნახეს... წარმოიდგინეთ, სად მეტვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეები და სად მეთერთმეტე, მეათე და მათზე უწინდელი საუკუნეები! . . . გარნა, ჩვენდა სასიქადულოდ, ეს მგზავრები არ ლაპარაკობენ და კრინგსაც არა ძრავენ არც იმ საუკუნეებისა და არც მაშინდელი სომხების გადასახლებისათვის» [4].

ახალი ისტორიის წერის სომხური მეთოდი მარტივია: წერ გამონაგონს და იმოწმებ შენივე წინამორბედი სომხის გამონაგონს.

ასე შრე-შრე ლაგდება ახალი მატიანის ფურცლები, იკინძება წიგნი ისტორიისა, რომლის გასაბათილებლად საქმარისია პირველი გამონაზონი – სათავე შეძღვომ შეთხზულ ისტორიათა – ამნილო და გაცამტვერო; და ამ ნაყალბევი პირველფურცლის ამოხევისთანავე, მთელი წიგნი ფურცელ-ფურცელ იფანტება. «ბ-ნ. სარუხანის (ვაზეთ „მშაკის“ მწერალი – ა.უ.) ისტორიას სხვა წყარო არა აქვს, თუ არა ისევ სომხის მწერლები. ჩვენ კი ადვილად ვერ შევიწყნარებთ სომეხთა მწერლების მოწმობას, როგორც საისტორიო ჭეშმარიტს ფაქტს, რადგან იშვიათად თუ ვისთვისშე საიდუმლოა, რომ მათი მწერლების ნაწერებში ძნელად მოიპოვება სიმართლე და ჭეშმარიტება. ასეთისავე აზრის არიან ევროპელი მწერლებიც, რომელთაც კი გამოიძიეს სომხებისაგან დაწერილი ისტორიები. მეცნიერებმა ერთიან ძირი გამოუთხარეს სომხების ისტორიას და მის დაქცევას და ხელმეორედ აშენებას საჭიროდ რაცხვენ. ყველამ იცის, რომ მოსე ხორენელი აქამდე შერაცხილ იყო მეხუთე საუკუნის მწერლად და ითვლებოდა სომხის ისტორიის მამამთავრად. თითქმის მთელი სომხის ისტორიის მწერლები მას ემყარებან, მაგრამ მეცნიერებმა მიაგნეს მის ახალ წყაროებს, რომლებიც 1892 წ. ვენეციაში თვით მხითარისტებმა დაბეჭდეს. აი, ამ გარემოებას როგორ გვიხატავენ: „ბ-ნი კარრიერი უწყალოდ ბრტყელის იმ ცრუ ფარშევანგს – მოსე ხორენელს, რომელიც უწინ სომხების საეკლესიო ისტორიის მთის მწვერვალზე დაფრინავდა, ახლა-კი, როგორც ერთი უბრალო ჭილყვავი (ბოლობეჭდა), მაღრიელი დარჩება, რომ მდაბალი ადგილი მაინც დაიჭიროს მერვე საუკუნის დასაწყისში“ (Journal Asiatique, 1895, t. 2, p. 94, Paris).

მოსე ხორენელის სამხელად და გასამტყუნებლად ევროპულ წყაროებში მოჰყავთ, სხვათა შორის, კარრიერის შეძღვები საბუთი: „კარრიერის მშვენიერმა ბჭობამ მოსე ხორენელისა და მისი პატრიარქების გენეალოგიისათვის გააქარწყლა მოსეს მიერ სომხების ჩამომავლობის მოთხოვნის სინამდვილე (აუთენტიკობა), კარრიერმა გადაწყვეტით ცხადჰყო, რომ ის მოგონილი სირიელი ისტორიკოსი, მარ აბას კატინა, რომელსაც მოსე ხორენელი თავის წყაროდ ასახელებს, სხვა არა არის, თუ არ მისივე გამოგონილი, რადგან მას უნდოდა მოეთხოვ იმისთანა ფაქტები, რომლებიც მანამდე არავის გაეცონა, ესრედ თავისი ფანტასტიური აღწერილობა დაპფარა ერთის სირიელი ისტორიკოსის აგტორიტეტთ; ეს ის-

ტორიკოსიც ისე გამოგონილი და ზღაპრულია, როგორათაც ზღაპრულია მოთხოვნა, რომელსაც მას ათვისებს¹ (Journal Asiatique, 1895, tom, 2, p. 86, Paris)» [3].

ცნობილი ევროპელი მეცნიერი, ლენორმანი, არ სვამს სირიელ კატინას რეალურობის საკითხს, მაგრამ ისიც ცალსახად მიუთითებს სომეხთა ყალბისმექელობაზე. «ლენორმანი, ეს ყველასაგან დიდ სწავლულად მიჩნეული კაცი, აი, რას ამბობს: „შეურყეველ ჭეშმარიტებად უნდა მივიღოთ, რომ სომხებს არ აბადიათ არარიგი ნაციონალური გადმოცემა პირველ ტიგრანამდე, რომელიც კიროსის თანამედროვე იყო. რაც-კი შეეხება ამაზე წინა დროს, ყველა მოთხოვნა სომეხთა მწერლებისა მომდინარეობს მოსე ხორენელის წიგნისაგან, და ეს წიგნიც, როგორც თვით ხორენელისაგან სჩანს, არის უბრალო ასლი (კოპი) მარ-აბაზ კატინის ცრუსიტყვაობისა, კომპილაციისა. ეს ბატონი კატინა სცხოვრობდა ქრისტიანობის პირველ საუკუნეს, ადგა ლიტერატორობის ხელობას, ეკუთვნიდა ედესის სკოლას და ამან შეადგინა კომპილაცია, საცა სიმართლეზე მეტი სიცრუე შეიტანა და სულ ეს ააშენა კტეზის ქრონოლოგიურ სისტემის მზგავას და, სხვაც რომ არა იყოს-რა, მარტო ამ სისტემის მობაძვას უნდა გაეფუშებინა საქმე, გაეშორებინა ჭეშმარიტებისაგან. გულუბრალო მკითხელის მოსატყუებლად კატინამ ეს ხერხიც მოიხმარა, რომ თავისი კომპილაცია მიაწერა ალექსანდრე მაკედონელის დროს. კატინას დროს ამისთანა ხერხიანობა ძალიან გავრცელებული იყო და ამ გვარის ყალბის წერილებით, ფალსიფიკაციებით მოჰყონეს მთელი ქვეყანა“ (იხ. ლენორმანი: ასსირიოლოგიური წერილი II, სერია I, წერილი II)» [3].

ქართულ-სომხური ურთიერთობა იწყება აღრეულ ეპოქაში, ძვ. წ. აღრიცხვის VII საუკუნიდან მაინც, თუ უფრო ადრე არა.

«ფილოლოგიაო – ამბობს ლენორმანი, - ეს აღგებრა ენათა ცოდნის მეცნიერებისა (ლინგვისტიკისა), როგორც მას უწოდებენ, ეს მეტად ძლიერი და მაღალი საშუალება, აღმადგინებელი ძველის ეთნოგრაფიისა, გვიმტკიცებს, რომ პირველი მემკვიდრენი იმ მიწისა, რომელსაც არმენია ჰქვიან, ქრისტეს წინ მეშვიდე საუკუნის

¹ მოსე ხორენელის ნაყალბევი ცნობა, თითქოს მესროფს სასწაულებრივ გამოეგონის სომხური, ქართული და ალბანური ანბანი, უარყოფილია ქართველი და უცხოელი (მაგ. სენ-მარტინი) მეცნიერების მიერ. (იხ. მაგ. Cappelletti Venezia, Bore, Buttners, Dessen Vermuth, Paris, Journal Asiatique, 1836, tom, 1, p. 215).

ბოლომდე იყვნენ იმავე ნათესავისა, რომელსაც კუთვნიან ქართველები და ზოგიერთი ეხლანდელი ხალხი კავკასიისა (აშკარაა, აქ ლენორ-მანს სახეში ჰყავს თუშ-ფშავ-ხევსურნი, სვანნი, მევრელნი, ლაზნი). ეს სწორედ ის ძველი მეტყვიდრენი არიან, რომელთაც დაბადება (ბიბლია 10, 3) უწოდებს „თოვორმ“ და რომელთაც არარიგი ერთობა არა აქვთ სომხებთან, პაოსიანთან. ამავე სახელს „თოვორმ“ სდებს არმენიის მკვიდრთა ეზეკიელ (XXVII, 14, XXXVIII, 6) იმ დროს, როცა დიდი ნაწილი ლურსმული წარწერებისა უკვე ამოჭ-რილი იყო ქვებზე, იმ წარწერებისა, რომელთაც აქამდის ვანის წარწერებს უწოდებენ.

ლენორმანი მეტად აშკარად ამტკიცებს, რომ ურარტუელი და ალაროდელნი ერთი და იგივე სახელწოდებააო. ერთი და იგივეობა ამ ორი სახელწოდებისა არამც თუ მარტო ლენორმანმა დაამტკიცა, არამედ სახელოვანმა ინგლისელმა მეცნიერმაც, რაულონსონმა. ამ იგივეობაზე დაფუძნა ლენორმანმა თავისი დასკვნა, რომ ურარტელების ენა და ლურსმული წარწერანი ალაროდიულ ენად და წარწერებად უნდა იყვნენ წოდებულნი და არა არმენულადო. ამ ენას და ერს არარიგი ნათესაობა არა აქვს სომხურ ენასთან და ერთანო. რაუ-ლინსონი ამბობს, უმატებს ლენორმანი, რომ „ალარუდი“ წარ-მოადგენს უბრალო ვარიანტს „არარუდი“-სას, რადგან ძველი სპარსნი ერთნაირად გამოსთვამდნენ „ლ“ და „რ“. „არარუდი“-დამ დიდი მანბილი არ არის „არარატამდე“ და აქედან ასსურელების წარწ-ერებში მოხსენებულ „ურარტუმდე“.

ამას ზედ უმატებს ლენორმანი: „ალაროდიელნი (იბერნი) წარ-მოადგენენ სწორედ იმ ძველ რასას, რომელიც ზევით მოვიხსენიეთ და რომელსაც დაუტოვებია არმენიის ლურსმული წარწერანი“. „ჩვენის აზრით, - ამბობს ლენორმანი, - არმენიაში ნაპოვნ ლურსმულ წარწერათა ენა მეტისმეტად ემსგავსება ქართულ ენას“. . . „იმედი მაქვს მომავალში, როდესაც ეხლანდელი ჩემი გამოკვლევა წინ წაი-წეს, ბლომად წარმოვადგინო შეურყეველნი საბუთნი ამ მსგავსებ-ისა. ეხლა-კი წარმოვადგენ ერთს შეურყეველ საბუთს, დაფუძნებულს არსებითი სახელის ბრუნვაზედო“. აქ ლენორმანს ისეთი საოცარი მაგალითები მოჰყავს, რომ ეჭვის მოყვარესაც ეჭვის ხალის მოუკლევს და ბოლოს უმატებს, - დიდებული ეჟენ ბურნუფის გამოკვლევა მომეტებულ საბუთს იძლევა, რომ არმენიის ლურსმულს წარწერა-თა ენა და ქართველებისა ერთი და იგივეა.

„არმენიის ლურსმულ წარწერათა ენა არარიგად, არაფრით, და-შორებითაც არა ჰგავს პაოსიანთა ენასაო, — ამბობს ლენორმანი, — იმ ხალხს, რომელსაც გამოუჭრია ეს წარწერანი და ქრისტეს წინ მეექვსე საუკუნემდე უფლობისა არმენიაში, არა ჰქონია არარიგი ნათესაობა სომხებთან, პაოსიანთან, როგორც თავისი შთამომავლო-ბით, ისეც ენით“.

„პაოსიანი შემოვიდნენ არმენიაში ვანის სულ ბოლონდელ წარ-წერის გამოჭრის შემდეგ, სახელდობრ იმ დროს, როცა თვით წარ-წერის გამომჭრელმა ერმა (ურარტელებმა), შესუსტებულმა რამ-დლინისამე საუკუნის განუწყვეტელ ბრძოლით საზარელ ნინევიის (ასურელთ) და ბაბილონის მფლობელებთან, დაიწია ჩრდილოეთი-საკენ, სწორედ იმ ადგილებისაკენ, რომელსაც ძველეთი უწოდებდა „ივერიას“ და ეხლა უწოდებენ საქართველოს“.

განსვენებული იღია სერებრიაკოვი, პროფესორი ლაზარევის ინსტიტუტისა, ერთს წერილში (იხ. „ივერია“, 1890 წ., №36.) ამბობს: „ლენორმანმა არამც თუ გააუქმა ქართველებისა და სომხ-ების ერთშთამომავლობა, თვით სომხეთიც აქემენიდების ხანამდე ჩამოართვა სომხებს და საბოლოოდ დაუმტკიცა ქართველებს“.

„ყველა ზემორე საბუთის ძალითო, — ამბობს ლენორმანი, — იძულებული ვარ, გამოვთქვა იგივე, რაც გამოთქვა ბ-ნმა პანრი რაუ-ლინსონმა: „ურარტუს ენას არა აქვს არარიგი ნათესაობა ეხლან-დელ პაოსიანთა ენასთან“. პაოსიანი გამოვიდნენ ფრიგიიდან და ნელ-ნელა დაიპყრეს ფრიგის დასაკლებით მდებარე მაღლობნი, საიდგანაც ძველი ურარტელნი მემკვიდრენი გააძევს და ზოგნი ჩანთქეს და შესცვალეს მათი სახელი, ენა, სარწმუნოება, გადმოცე-მანი თავიანთითო“. შეცვლა სახელისა თავიანთით, ენისა, გარდამო-ცემისა და სხვა ამისთანისა ძველისძველი ჩვეულება ყოფილა და ჩვეულება ხომ რჯულთ უმტკიცესია. ლენორმანი იმავე წერილში ამბობს, რომ თარგამოსისაგან შთამომავლობა სომხებმა ტყუილად დაიჩემეს.

დიდი მეორე მცოდნე და მკვლევარი ძველის-ძველი ისტორიისა, მასპერო, ამბობს: „მთიანი ქვეყანა (ურარტი), საიდამაც გამოდიან ტიგრი და ევფრატი, კერ კიდევ ასურელთა მეფის სარგონის დროს (ძვ. წ. 721 წ.) დასახლებული იყო ერთის მოდგმის ერითა, რომელიც მთლად განსხვავებულია ეხლანდელ სომხეთაგან და ეკუთვნის ნათე-საობით ქართველებსა. ეს დასკვნა ლენორმანისა სახელგანთქმუ-

ლად დამტკიცებულ იქნა სეისის და გუიარის მეცნიერული ღვაწლითომ“ (იხ. მასპერო: ძველი ისტორია აღმოსავლეთის ერისა, გვ. 431, გამოცემა IV).

იგი (ნიკოლსკი) ამბობს: „ურარტუს ქვეყნა, ასურულ და ბაბილონის საბუთების ძალით, არის ის ნაწილი უფრო დიდის და ვრცელის ქვეყნისა, რომელსაც იგი საბუთი უწოდებს „ნაირი““. ურარტელნი, იგივე ალაროდიელნი, ბ-ნი ნიკოლსკის აზრით, ან ეხლანდელი ქართველები არიან, ან-და იმათის მოდგმისა აღარავინარის.

ბატონი ნიკოლსკი უფრო შორს მიდის და იმასაც ამბობს, რომ „უდიდესი და უაღრესი ერი სირიის და მცირე აზიისა, შემქმნელი განსაკუთრებული კულტურისა და გულადი მეტოქე ეგვიპტისა და ზოგჯერ ასურეთისა – „ხეტტი“ ეკუთვნოდა აღაროდიელ ნათე-საობასო. აღაროდიტელი აშკარაა იგივეა, რაც ურარტელნი, სახ-ელიდან „ურარტი“, არარატი, მხოლოდ რ გარდაქცეულა ლ-დაო. „თაბალი“, ერი, რომელიც მკვიდრობდა კაპადოკიაში, აშკარაა იგივე აღაროდიელთა ნათესაობისა იყო“ (იხ. „Æðælhcí hñðø è Hñððî-íñðå“, ტ. 1, გვ. 389, წერილი ბ-ნ ნიკოლსკისა).

გვიკვირს ეს ხეტტების საქედ-სადიდებელი ამბები როგორ გამო-
ჰქონდათ სომებთა მეცნიერებს. უსათუოდ არა სცოდნიათ, თორუმ, აბა,
რას შეარჩენდნენ ქართველთა ნათესაობის ერს ამისთანა საქებურს
ამბებსა, მერე იციან, რომ ქართველნი დაუდევარნი არიან და იმ ჭიან
ლიძერალობით თვალებაბმულნი.

ბ-ნი ანუჩინი ანტროპოლოგიურადაც ამტკიცებს, რომ სომეხნი არმენიაში, წინანდელ ურარტუს ქვეყანაში, მერე მოსულნი არიან. გარდა ამისა, იგივე ანუჩინი იმიწმება, რომ იგი ქვეყანა დაიჭირეს სომხებმა დიდის ბრძოლისა და ომების შემდეგ ურარტელებთანაო. არის რამოდენიმე საბუთი, რომლის ძალითაც, შესაძლოა, ვიგულვოთ, რომ ურარტელნი, ანუ პონტის ქალღები, ქართველთა მამა-პაპანი ყოფილ-ანო (იხ. „*ԱԾածոնական պատմությունների համար պատմություններ*“ 358-361)» [3].

როგორც ვხედავთ, ქართველებთან დაპირისპირების, მათი მიწუ-
ბის დაპყრობის, გასომხებისა და ასიმილაციის კოდი სომხებში
უძველესი დროიდან ჩაიღო. სომხური „შენი – ჩემია“, როგორც
ჩანს, პირველად ქართველთა წინამორბედებს, ურარტუელებს, იგივე
ალაროდიელებს შეეხოთ – ფრიგიდან მოსულმა სომხების წინაპრებ-
მა მიითვისეს მათი წარსული, კულტურა, ქაფუნა, – თავისი ნაირითთა

და არარატით, და მოული შემდგომი პერიოდი ნაირ-ნაირი ტყეუიღებითა და „შენი – ჩემთბით“ ცდილობებს, წაგვართვან ქართველებს ჩვენი კუთვნილი ისტორია და ყოველი მონაპოვარი.

სარუხან-ისახანიანების კალმებს V საუკუნე არც თუ შემთხვევით გამოჰყავთ ახალი ისტორიის ფურცლებზე. „ქართლის კხოვრება“:

დაწვრილებით და კოცლად აღწერს, თუ როგორ ყვავოდა ყოველ
მხრივ საქართველო მეზუთე საუკუნეში, მეტადრე, ვახტანგ გორგას-
ლის დროს. ეს დრო წარჩინებულ დროდ არის შერაცხული ჩვენის
ისტორიისთვის. «აი, სწორედ ამ საუკუნეს ჩავლეს სომხებმა ხელი,
რათა თვით მიიწერონ და მიისაკუთრონ იმ დროის საქართველოს
ყოველი დიდება. ვინაიდგან, მოსე ხორენელის სიტყვით, იმ დროს
მოვიდა საქართველოში მესროფი, რომელმაც მისდა მონიჭებული
ზეგარდმო ძალით გამოიგონა ქართული ანბანი და მიაღებინა ბაკურ
მეფეს და მოსე ეპისკოპოსს... ერთი რამე დავიწყნია წმინდა მეს-
როფს – ქართველებისთვის სულის ჩადგმა! ესეც რომ ექმნა, მაშინ
გაუთანასწორდებოდა მათს გამჩენსაც. ნუთუ შეიძლება ამაზე მე-
ტის ქმნა! მათი (ქართველების – ა.უ.) ასოები ამ მესროფს გამოუვინაა,
მათში ყოველი განათლება ამას შეუტანაა, ეშმაკის ტყველიდან
ისინი მას დაუსხნია, საღვთო სჯული მას უსწავლებია და ესრეთ
მთელი ბარბაროსი ქართველები ღვთის თავიანისმცემლებად გაუხ-
დია!!!!... ვინა სოქვა, რომ ქართველები ამ დროს ბარბაროსები იყვნენ?
(ეს ადვილი მოსატევებელი იქნებოდა, ბერძნებს, ან სხვა განათლე-
ბულ ძეგლ ტომთ რომ თექვათ), ვინა სოქვა, რომ ქართველები ამ
დროს გადაკერძებული ეშმაკის მონად ქმნილ იყენენ, დაევიწყე-
ბინოთ ერთი მხოლოდი ღმერთი და წმიდა ნინოსაგან მიღებული
ქრისტეს სარწმუნოება? ნუ თუ ეს თავიანთივე ისტორიის წინააღმ-
დეგი არ არის, რომელშიაც სწერენ, თუმცა-კი უსაფუძვლოდ, რომ
გრიგოლ განმანათლებლის დროიდგანვე სასომხეთი აკურთხევდა
ხოლმე საქართველოს პატრიარქსაო? თუ ყველას დატოვებული
ჰქონდა ქრისტიანობა და ისევ წარმართობა დაეწყოთ, ვისთვისლა
იქნებოდა საჭირო სომხების ნაკურთხი პატრიარქი?... უკეთუ კარ-
გად ჩაუკერძებით ისტორიას, ცხადად დავინახავთ, რომ სპარსელები
ცეცხლის-მსახურებას სომხეთში უფრო ადვილად ავრცელებდნენ,
ვიდრე საქართველოში. ასევე შევნიშნოთ, რომ არც ერთი ისტორია
არ ასახელებს საქართველოში მეფედ ბაკურს V საუკუნეში. ერთი

ბაქარ მეფე იყო 342-364 წლებში და ვარაზ-ბაქარ 379-393 წლებში. ხოლო ვინ არის ეს ბაკურ, მესროფის მიერ მოქცეული და განათლებული, არ ვუწყით. ესეც სომხების უნარი და შნოა, გამოიგონო ის, ვინც კი უნდათ.

სომხი მწერლები V საუკუნის ქართველებს ბარბაროსებს უწოდებენ. მოვუსმინოთ თავად მოსე ხორქელს. „იგი საყვედურობს სომხეთის უწინდელ მთავრებს, რომლებმაც შთამომავლობას არ გადასცეს თვისი მოქმედებების შესახებ ამბები; კითხულობს, რა იყო ამისთანა გასაკიცხი საქციელის მიზეზი; იქნება ის, რომ საკუთარი ანბანი არ ჰქონდათო. არაო, თავადვე პასუხობს თავის-სავე კითხვას, რადგან მათ შეეძლოთ მოეხმარათ ბერძნული, სირიული, ანუ სპარსული ანბანი. „როგორც მგონია ასეთი საქციელის მიზეზი ეს იყოვო, რომ უწინ, როგორც ახლა, სომხებს არა ჰყვარებიათ არც მეცნიერება და არც ძველი საერო ზეპირ-გარდმოცემული გალობა-სიმღერებიო. ამისთვის სრულებით უადგილო იქნება, რომ ამისი რაიმე ვუთხრათ უგონო, უმეცარ და გაუნათლებელ ხალხსო“ (Storia di Mose Corenze, Lib. 1-ი, cap. 3, p. 7)“.

ელემენტარული ლოგიკა სომხებს მათთვის არასახარბიელო არჩევანის წინაშე აყენებს: თუ მოსეს ამ ნათქვამზე სომხები იტყვიან, რომ ტყუილია, მაშინ ისინი იძულებულნი იქნებიან, აღიარონ ცხადად, რომ ტყუილია მათი ისტორია, მათი ქრონიკა; ტყუილია მათი ნამყო და ყოველი ძველი დიდება, რადგან ყოველი მათი ძველი ისტორია დამყარებულია უფროსიერად მოსეს ისტორიაზე. ხოლო თუ გვითხრეს: მისი ნათქვამი მართალია, მაშინ ჩვენ მიუუგებთ: მაშ, როგორ მოხდა, რომ უგონო, უმეცარმა, უნაღვლელმა და გაუნათლებელმა სომხის ერმა, რომელსაც ყოველნაირი მეცნიერება სბულდათ, როგორც ამბობს მოსე, გამოიყვანა საქართველო კერპების სიბნელისაგან და მისცა მას ყველა ელემენტი განათლებისა, განანათლა სულიერად და ხორციელად? განა შეეძლო მიეცა სხვისთვის ის, რაც თვითონ არ ჰქონდა და რაც თვითონ უფრო სჭიროდა?

მოსე სომხის ერს რაცხს ისეთ უმეცრად და გაუნათლებელად თვით იმ დროსაც კი, როდესაც ის თავის ისტორიას წერდა. ხოლო ზემოთ დასახელებული მეცნიერთა გამოკვლევიდან ჩანს, რომ ახლა მას რაცხვენ მერვე საუკუნის ისტორიკოსად. თუ, მოსე ხორცენელის სიტყვებიდან გამომდინარე, ნამდვილია, რომ სომხები კიდრე მერვე საუკუნემდე, უმეცრების სიბნელეში ჩაფლული ყოფილან,

მაშინ სომხის მწერალთა გასამტყუნებლად და მათი სიცრუის გამოსაცხადებლად კმარა, მარტო ეს გარემოება დავასახელოთ.

მართლა რომ სომხის ერი გრიგოლ განმანათლებლის დრომდე ღრმა უმეცრების სიბნელეში ყოფილა, ამას მოწმობს ისევ სომხების პატრიარქის იოანე VI ისტორიის შესავალი (Journal Asiatique, an. 1836, tom, 1, p. 210, Paris). ხოლო მეცნიერები ამტკიცებული ყოფილა ქართული ენა, რაიც ამტკიცებს ქართულის უპირატესობას და სიძველეს სომხურის წინაშე (Revue de Linguistique, per J.A. Getteyrais, 1881, Juillet, vol. 14, p. 285, Paris). სენ-მარტენი გვისახელებს მეჭორე და მეზღაპრე ისტორიკოსს: „მეათე საუკუნის ისტრიკოსმა მესროფმა წმინდა ნერსესის ცხორება დაწერა, რომელიც სავსეა ზღაპრებით და გამოგონილი ფაქტებით“ (Journal Asiatique, an. 1830, tom, 1, p. 173, Paris)» [4].

სომხეთში მყოფი მისიონერები თავიანთ ერთ მოხსენებაში სომხების მწერლების სიცრუეზე ასე წერენ: „რადგან სომხები ზღაპრულის ისტორიების შეთხვაში მარღნი არიან, ამისთვის თავიანთ მარტიროლოგიაში მოიყვანეს არაერთი ისტორია, რომელიც სავსეა საოცარი ზღაპრებით“ (S. Martin, tom, 1, p. 404, Paris, 1818-19).

ამისთვის ვერ შევიწყნარებთ იმას, რასაც მოგვითხრობს მათე ედესელი დავით მეორის მიერ საქართველოში სომხების გადმოსახლებისას, რომელმაც სომხებისათვის საქართველოში დააფუშნა ქალაქი კორიო (გორი). დავით გორგასლის ცხოვრებისა და ბრძოლების ისტორია დაწვრილებით არის აღწერილი და ჩვენი ისტორია ამის შესახებ არაფერს ამბობს. რაც შეეხება გორს, სომხების სიცრუე აქაც ჩანს. სტრაბონი, ევროპელი მეცნიერები სხვას ამტკიცებენ. მაგალითად, ცეზარ ფამენი ამბობს: „გორის მდებარეობა აჩვენებს სტრაბონის მიერ მოხსენებულ გორსენასო“ (Cezar Famin, p. 31. Gamba, Voyage dans la Russie, tom. 2, p. 115).

არანაკლები სიყალე მოიპოვება ინჯიჯანის სასომხეთის ისტორიაშიც. ამ მწერალმა ყველა გაასომხა. მაგალითად, ამბობს, თბილისის მცხოვრები სომხები არიანო; ტფილისში სომხების პირველი ეკლესია 632 წელს აშენდა. სამცხეც ერთიანად სომხებს დაუსაკუთრა. ამბობს – ახალციხე დიდი სასომხეთის საქართველოს საზღვარზეა. ამ მოჭორებულის სრულიად გასამტყუნებლად საკმარი გრაცხო სომხებს წარვუდგინოთ ისევ ის ავტორი, რომელიც

სომხებმა ჩვენ წინააღმდეგ წარმოადგინეს. იგია თვით ფრედერიკო მონპერე, რომელიც სამცხესას მოგვითხრობს: „ახალციხის საფაშო მუდამ ქართველ ტომს ჰქონდა, ვითარცა თავისი მამული... რაისა გამო ქართველები თავიანთ ქრონიკებში ამტკიცებენ, რომ იგი თავდაპირველად მათი ყოფილა და თითქმის ყველა იქაური ქალაქები მათ აუგიათ. ამ საისტორიო ფაქტის საბუთი თვით ადგილობრივი რასსაა ნამდვილი, რომელიც ათასწლეულობით, ყოვლის გარემოების ზედ-გავლენის წინააღმდეგ, დარჩა მარადის ისევ ქართველ ტომად“ (F. Dubois de Montpereux, *Voyage autour du Caucase*, tom 1, p. 274, Paris 1839).

საქართველოს ისტორია, პირიქით, მოგვითხრობს, რომ 1022 წ. ქართველები ყოფილან სომხეთში გადასახლებული და ჰყოლიათ ეპისკოპოსი. ამასვე ადასტურებს სომხების მწერალი არისტაკესი (Historie d'Armenie per Arisdaques de Lasdiver: traduire de l'armenien par M. Evariste Prud'homme, p. 21. Paris, 1864). ამასვე ამტკიცებს ვახტანგ მეფის სჯულდების ოცდამეტუთ მუხლი, რომელშიც მოხსენებულია საქართველოს კათალიკოსის ბრძანების ქვეშ მყოფი პროვინციები, მათ შორის: ანი, ყარსი და არზრუები. „არაბი მწერლები მოწმობენ, როდესაც ქართველები შევიდნენ სომხების არჯიჩის ქალაქში (ville d'Ardjick), იქაური მცხოვრებნი იძულებულნი გახდნენ და ქართველებს აუშენეს ციხეში ეკლესია, სადაც დაიწყეს ზარების ცხადად რეკა. ეს მოხდა 1121 წლებში“ (Journal Asiatique, an. 1849, tom, 2, p. 490, Paris). არ დავივიწყოთ ისიც, რომ მისიონერმა ლაშტორტიმ, 1631 წელს არზრუები რომ გამოიარა, ნახა არზრუები და მის გარშემო ქართველების სოფელი, რომლებსაც კიდევ ჰყავდათ თავიანთი ეპისკოპოსი, აზრუელად წოდებული» [4].

2. სომხეთა საქართველოში გადმოსახლების ისტორიული წანამდლვრები

სომხურ-ქართული ურთიერთობა საუკუნეებს გახდევს. მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში სომხეთა გადმოსახლების ისტორია. გამოყოფთ ამ პროცესის ძირითადი მომენტები:

«სომხების შემოსევები საქართველოში 22 საუკუნის წინ დაიწყო და დღემდე გრძელდება. ეს შემოსევები ზოგჯერ იყო აშკარა,

ზოგჯერ – ფარული... ცნობილი ძველი ბერძენი სწავლული – სტრაბონი გვაუწყებს, რომ ქრისტეს შობამდე II საუკუნის დამდეგს სომეხთა მეფეებს, მათ ჯარს საქართველოსთვის წაურთმევია ტაო, სპერი, ბასიანი არზრუებით, კოლა-არტაანი, ქვემო ქართლის ნაწილი. სტრაბონი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ სომხეთი, არმენია, მანამდე პატარა ქვეყანას წარმოადგენდა და სწორედ ქრისტეს შობამდე II საუკუნის დასაწყისში, არტაშეს და ზარეპ მეფეების უამს გაფართოვდა. ამიერიდან ჩნდება გამოთქმა „დიდი სომხეთიც“. თავდაპირველად ამ ტერმინით აღნიშნავდნენ სომხეთის ერთ ნაწილს, რათა განესხვავებინათ ის სომხეთის მეორე ნაწილისაგან, მცირე სომხეთისაგან. შემდგომში, რაკი სომხებს გაუჩნდათ პრეტეზია მთელი კავკასიის გაერთიანებაზე, დაპყრობაზე, სომხური იმპერიის შექმნაზე, ტერმინ „დიდ სომხეთში“ ხშირად იმპერიული აზრიც იყო ჩადებული.

დიდი საქართველოს შექმნამდე ქართულ-სომხურმა ურთიერთობებმა არტაშესიდან და ტიგრანიდან, დაახლოებით, 1200 წელი გამოიარა. ამ წნის მანძილზე სომხეთი ხშირად ცდილობდა ქართული მხარეების მიტაცებას, გასომხურებას, ასახლებდა დაპყრობილ ქართულ მიწებზე სომხებს, სახელებს უცვლიდა ქართულ სოფლებს. სომხეთსა და იბერიას შორის სადაც გადაქცეული ქართული მხარეები ხელიდან ხელში გადადიოდა საუკუნეების მანძილზე. სომხეთი ახერხებდა მათ მიტაცებას, მაგრამ იბერია თავდაუზოგავი ბრძოლების შედეგად უკანვე იბრუნებდა ქართულ მიწა-წყალს. სომხეთ-საქართველოს დაპირისპირებაში ხშირად ერეოდნენ დიდი დიდი სახელმწიფოები, იმპერიები.

სპარსეთი ხშირად ამჯობინებდა, კავკასიაში გაბატონების მიზნით, საყრდენად გაეხადა სომხეთი, მიეღწია გარიგებისათვის სომხეთის მმართველ წრეებთან. ამის თაობაზე თვით სომეხი მემატიანეები იუწყებიან. ასე, მაგალითად V–VI საუკუნეთა სომეხი უამთააღმერელი ლაზარ ფარპეცი გვამცნობს: სპარსეთის შაჰინშას წერილი გაუგზავნია სომხების თავკაცებისათვის: „რადგანაც თქვენ სასარგებლო და ჩვენთვის საყვარელი ქვეყანა ხართ, ჩვენ გვნებავს, რომ ჩვენი მართალი და ჭეშმარიტი რჯული ისწავლოთ და მიიღოთ.... ხოლო, როდესაც თქვენც ჩვენსავთ სცნობი ჩვენს ჭეშმარიტ რჯულს, იბერია და ალბანეთი ჩვენი და თქვენი ნების იქით გადასვლას ვერ გაბედავენ“.

IV საუკუნის მეორე ნახევარში ე.წ. „დიდი სომხეთის“ სამეფო დასუსტდა, ხოლო 428 წელს სპარსეთმა გააუქმა მეფობა „დიდ სომხეთში“. ამიერიდან ძალზე გაიზარდა სომხური ეკლესიის როლი სომხეთა, სომხეთის ცხოვრებაში.

სპარსეთის ხელისუფალნი დარწმუნდნენ, რომ ვერც ქართველებისა და ვერც სომხებს ვერ გაამაზდიანებდნენ. მაშინ სპარსელებმა მოითხოვეს ქართველებისა და სომხებისაგან, რომ მიეღოთ ქრისტიანობის ისეთი მიმდინარეობა, რომელიც დაუპირისპირდებოდა ბიზანტიის იმპერიაში გავრცელებულ ქრისტიანულ მიმართულებას – დიოფიზიტობას (მართლმადიდებლობას). სომხური ეკლესია დაპყვა სპარსელების ნებას და მიიღო მონოფიზიტობა. ქართული ეკლესია არ დაპყვა მრისხანე სპარსეთის ნებას. განხეთქილება ქართულ-სომხურ ეკლესიებს შორის მოხდა VII საუკუნის დასაწყისში, მაშინ, როდესაც ქართველთა კათოლიკოსი კირიონი იყო.

სომხებმა კავკასიის მასშტაბით თავიანთ მეტოქედ მიჩნეული ქართველების დასაკინძობლად შექმნეს იმგვარი იდეოლოგია, რომ, თითქოს, ქართველები არასრულფასოვანი ხალხია, ისინი, თითქოს თვითონვე არიან სომხების საპატრიონო და მთელ კავკასიას როგორლა უპატრიონებენ. გაჩნდა უამრავი სომხური ლეგენდა, რომლებიც სომხებმა სხვა, უცხო ქვეყნებშიც გავრცელეს. ასეთია, კერძოდ, ლეგენდები სომხების მიერ საქართველოში ქრისტიანობის გავრცელების, სომხები მესროპ-მაშტოცის მიერ ქართული დამწერლობის გამოვრცების, ბაგრატიონების, თვით შოთა რუსთაველის სომხური წარმოშობის შესახებ და ა.შ.

უცხო ქვეყნებში სომხური ლეგენდების გავრცელების დასტურად შეიძლება მოვიხმოთ ცნობა მიხეილ სირიელის „ქრონიკიდან“: სომხები მოგვითხრობენოთ თავიანთი ძელი მეფის, არშაკის შესახებ, რომ მან დაიქვემდებარა სირია და იერუსალიმი, პალესტინა, ასირია და ბაბილონი; მერმე გაემართა დასავლეთისკენ, დაარბია იტალია და მბრძანებლობდა რომში. არშაკია გააუდაბურა იბერთა „კუნძული“ (იგულისხმება ესპანეთი), გამოიყვანა და გადმოიყვანა იქაური მცხოვრები ჩრდილოეთის მთებში, რათა სომხეთა ქვეშევრდომებად ექცია ისინი. ეს სწორედ ის ხალხია, რომელთაც ამჟამად იბერებს (ნაგულისხმევია ქართველები) ეძახიანო. ქართველებიო „აჯანყდნენ სომხეთა მონობაში ყოფნისა და მათთან თანამორწმუნეობის წინააღმდეგ“: სომხები მწიგნობრებიც ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ ქართველები

ბი გამოეყვნენ სომხებს მას შემდეგ, რაც სომხების წყალობით, თითქოს, მიაღწიეს ბევრ რამეს.

სომხები მემატიანის, სებეოსის, ცნობით, VII საუკუნის 10-იან წლებში სპარსეთის იმპერიისა და დამორჩილებული ქვეყნების ეკლესიათა წარმომადგენლების ე.წ. „სპარსულ კრებაზე“, „ბრძანება გამოსცა მეფე ხოსროვმა (სპარსეთის შაჰი ხოსრო II-მ), რომ ყოველმა ქრისტიანმა, რომლებიც ჩემი ხელისუფლების ქვეშ არიან, სომხეთა რწმენა აიღონ“-ო. ამ ბრძანების მიხედვით, ქართველებსაც სომხეთა რწმენა, სარწმუნოება, რჯული უნდა მიეღოთ.

სპარსელები VII საუკუნის 30-იან წლებიდან აღმოსავლეთის ქვეყნებში და ამიერკავკასიაშიც არაბებმა შეცვალეს. არაბი დამპყრობლებისათვისაც ბიზანტიის იმპერიასთან გაუთავებელ ომებში უფრო მისაღები იყვნენ მონოფიზიტი სომხები, ვიდრე დიოფიზიტი, ბიზანტიიელთა ერთმორწმუნედ მიჩნეული ქართველები. რა თქმა უნდა, შეხლა-შემოხლა, ბრძოლა სპარსელებს და არაბებს სომხებთანაც ჰქონდათ, მაგრამ მათთან, კერძოდ, სომხურ ეკლესიასთან მორიგებას უფრო მიიჩნევდნენ შესაძლებლად, ვიდრე ქართველებთან და ქართულ ეკლესიასთან.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ, ერთი სომხური თქმულების მიხედვით, ვითომც, თვით ისლამის ფუძემდებელს, წინასწარმეტყველ მუჰამედს დაუდვია ხელშეკრულება სომხებთან, რომლითაც რწმენის თავისუფლება მიუნიჭებია მათთვის, ამასთანავე, მღვდლები, აზნაურები და მხედრებიც გაუთავისუფლებია გადასახადებისაგან. არაბებთან ზავის დასამყარებლად წასულ სომხეთა ზემოხსენებულ კათოლიკოსს საპაკ III-ს ხელთ ჰქონია ეს ხელშეკრულება.

IX საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში სომხეთში კვლავ გაცხოველდა დიდი სომხური სახელმწიფოს, ე.წ. „დიდი სომხეთის“ შექმნის გეგმები. ამ გეგმების მიხედვით სომხეთის შემადგენლობაში უნდა მოქცეულიყო მთელი კავკასია, კერძოდ, საქართველო, ჩვენი ქვეყნის როგორც დასავლეთი, ისე აღმოსავლეთი და სამხრეთი ნაწილები. ქართული ეკლესიაც სომხურს უნდა დაქვემდებარებოდა. ამგვარი იდეები ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება IX-X საუკუნეთა ცნობილი მემატიანის, სომხეთის კათოლიკოსის, ოვანეს დრასახანაკერტცის „სომხეთის ისტორიაში“ და სხვა სომხურ თხზულებებშიც.

ერთიანმა სომხეთმა, მართლაც, შეძლო დაქვეცმაცებული საქართველოს, ქართული სამეფო-სამთავროების შინაურ საქმეებში ჩარევა

და ამის შედეგად, IX საუკუნის ბოლოს ქვემო ქართლი მიიტაცა. აქედან მოყოლებული 1065 წლამდე ქვემო ქართლში სომეხი ზელისუფალნი ბატონობდნენ. X საუკუნის 70-იან წლებში ქვემო ქართლში შეიქმნა ცალკე სამეფო, სომხური დინასტიით სათავეში. ამ სომეხი მეფეების რეზიდენციას, სატახტო ქალაქს, სამშვილდე წარმოადგენდა.

ცხადია, ქართველები სომხებს ვერ დაუთმობდნენ ქვემო ქართლს, სამშვილდეს და, მართლაც, 1065 წელს სომეხი მეფე გაძევებულ იქნა სამშვილდიდან. ამის შემდეგ ქვემო ქართლის სამხრეთ ნაწილი, ლორე-ტაშირი, ერთხანს კვლავ სომეხი მეფის ხელთ იყო, ვიდრე თურქ-სელჩუქებმა არ მიიტაცეს XII საუკუნის დამდეგს. 1118 წელს დავით აღმაშენებლის ჯარმა გააძევა თურქ-სელჩუქები ლორე-ტაშირიდან და ეს მხარე კვლავ საქართველოს დაუბრუნდა.

ქვემო ქართლი სომხებმა რომ მიიტაცეს, იქ საქმიანობა გააჩაღა სომხურმა ეკლესიამაც – ამ ქართული მხარის ათვისებას, გასომხურებას შეუდგა. რა თქმა უნდა, ქართული ეკლესიისათვის ეს მიუღებელი იყო და X საუკუნიდან ქართულ-სომხური ეკლესიების ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა.

ქართველები, ჩვენი ქვეყნის ჯარი დავით აღმაშენებლამდეც, ასეა თუ ისე, ახერხებდნენ თურქ-სელჩუქთა ურდოების წინააღმდეგ ბრძოლას, სომხებმა კი ეს ვერ შეძლეს. სომხური სახელმწიფოებრიობა სომხეთში თითქმის მთლიანად დასამარდა XI საუკუნეში, სომეხთა დიდი ნაწილიც, მეტადრე, ზედაფეხები, სხვა ქვეყნებში გადაიხვეწნენ. სომხური სახელმწიფოებრიობა სომხეთში XI საუკუნეში დაუცა და XX საუკუნემდე, დაშნაკთა ხანამდე, ვერ მოხერხდა მისი აღდგენა. მართალია, სომხებმა სომხეთს გარეთ, კილიკიაში, შეძლეს XI საუკუნის ბოლოს სომხური სამთავროს შექმნა, რომელიც XII საუკუნის დასასრულს სამეფოდ აქციეს, მაგრამ 1375 წელს ისიც დაეცა.

დავით აღმაშენებლის მეთურობით ქართველი ერის წარმატებებმა თურქ-სელჩუქთა ურდოებთან ბრძოლაში იმედი ჩაუნერგა სომხებსაც. ქართველთა ჯარმა თურქ-სელჩუქთა მძლავრობისაგან გაათავისულა, კერძოდ, სომეხთა დედაქალაქი ანისი. ანისის სომეხმა თავკაცებმა თვითონ სომხეთს დახმარება დავით აღმაშენებელს. დავითმა მიზნად დაისახა, თურქ-სელჩუქთა ურდოებისაგან გაეწინდა მთელი ამიერკავკასია.

შეიძლება ითქვას, რომ სომხეთი ფეხზე წამოდგა XII საუკუნის დასაწყისში საქართველოს წყალობით. ქართული სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული სომხეთი მოშენდა, სომხური მოსახლეობა კვლავ მომრავლდა, გამდიდრდა და სომხური კულტურის განვითარებაც შესაძლებელი შეიქმნა სომხურ მიწაზე. მაგრამ დაპირისპირება სომხებსა და ქართველებს შორის არც ამ ეპოქაში აღმოფხვრილა.

საქართველო გაძლიერდა და თავისი დროშის ირგვლივ მთელი კავკასიაც შემოიკრიბა, ხოლო სომხეთში სომხური სახელმწიფოებრიობა გაქრა, მოისპო. სომეხთა დიდი ნაწილი ამ გარემოებას ვერ შეეგუა: ისინი კვლავ ოცნებობდნენ კავკასიაში პარგელობის მოპოვებაზე და ამ მიზნით ქართველთა გასომხებაზე.

სომეხი მწერალი და მოღვაწე მხითარ ოში XII საუკუნეში ლორეს სომხური სამეფოს აღდგენას ითხოვდა.

XII-XIII საუკუნეთა სომხური თხზულების ე. წ. „ხელშეკრულების წიგნის“ მიხედვით, თავის დროზე, თითქოს, რომაელ და სომეხ საერო და სასულიერო ხელისუფალთა შორის გაფორმებულა შეთანხმება, რომლითაც რომაელებს დასკლეთი, კითომც, თავისთვის დაუტოვებით, ხოლო აღმოსავლეთის ქვეყნები, მათ რიცხვში საქართველოც, სომხებისთვის გადაუციათ საპატრონოდ.

XIII საუკუნის სომეხი მოღვაწე, ვართაპეტი, წერს: „მესროპმა მისცა მათ (ქართველებს – გ.კ.) ანბანი და მესროპმავე უკურთხა ვარძის ჯვარი“. თურმე, ნუ იტყვით, ქართველთა ერთ-ერთი ყველაზე დიდი საოცრება, ვარძა, სომეხთა წყალობით შექმნილა. დღესაც, როცა სომეხი კალმოსნები ხშირ-ხშირად იმეორებენ მსგავს ლეგენდებს, შეიძლება ზოგჯერ ხუმრობის ხასიათზეც დავდგეთ და ვთქვათ – სომხებს რომ ყური ვუკვდოთ, იმასაც იტყვიან, რომ სათაფლიაში დინოზავრები სომხეთიდან მოსულან. მაგრამ ეს საქმე სახუმარო არაა. XII-XIII საუკუნეებშიც და შემდგომშიც, დღესაც, სომეხთა გარევული წრეები შთააგონებები თანამებამულებებს და უცხოელებსაც, რომ ქართველები არასრულფასოვანი ხალხია, არაფრის გამკეთებელია და საქართველოში თუ ოდესმე რამე კეთდებოდა ან კეთდება, სომხების, ნასომხების ღვაწლია ეს. ამჟამდაც ასეთი სულისკვეთებით ასწავლიან სომხეთის ისტორიას V-VI კლასის მოსწავლებსაც კი» [21].

სომეხი მოსახლეობის საქართველოში გადმოსახლების საკ-

თიხი რამდენიმე თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ: როგორც ბუნებრივი მიგრაცია, როგორც დროებითი მიგრაცია და როგორც არაბუნებრივი მიგრაცია.

ბუნებრივი მიგრაცია, ცხადია, უძველესი დროიდან მიმდინარეობდა. ასეთი პროცესი დამახასიათებელია ნებისმიერი ორი მეზობელი ქვეყნისთვის. ის არ ატარებს მასობრივ ხასიათს, და, რაც მთავარია, არ ქმნის მოზრდილ კომპაქტურ დასახლებებს. ასეთი ბუნებრივი მიგრაციები ზოგჯერ ერთი სახელმწიფოს შიგნით მიმდინარეობდა, ანუ, იმ პერიოდებში, როდესაც სომხეთის დიდი თუ ძირი ნაწილები სხვადასხვა დროს საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შედიოდა.

დროებით მიგრაციას იმ შემთხვევაში პქნენდა ადგილი, როდესაც მტრისაგან ოტებული სომხეთი მოსახლეობა საქართველოს აფარებდა თავს და შემდგომ კვლავ სომხეთში ბრუნდებოდა. საქართველო ყოველთვის კეთილმეზობლურად ექცევდა დევნილებს და სულგრძელად იფარებდა მათ. ასე არაერთხელ გადაირჩინეს თავი სომხებმა და საქართველოს არასდროს დაუმადლებია მათ-თვის თავისი ეს სამსახური.

არაბუნებრივ მიგრაციას ადგილი პქნენდა იმ შემთხვევაში, როდესაც სომხეთი ცდილობდა მიტაცებულ მიწებზე კომპაქტური სომხური დასახლებები შეექმნა. აღსანიშნავია, რომ საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე სომხეთმა საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში კერ შეძლო ამის განხორციელება. მაგრამ რუსეთთან შეერთების შემდეგ სომხეთთან მოსაზღვრე ტერიტორიების გასომხურება რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ნაწილი გახდა და სწორედ ამ პერიოდიდან იწყება საქართველოს სამხრეთ რეგიონებში სომხეთი მასობრივი შემოსვლა, ქართველთა გენოციდი და სომხეთი კომპაქტური დასახლებების წარმოშობა. მოგვიანებით, ბოლშევიკებმა სომხეთს, და არა მარტო სომხეთს, საქართველოს კუთვნილი ტერიტორიებიც გადასცეს, რის შეძლევაც იქ ქართული მოსახლეობა, პრაქტიკულად, მოისპო.

«საქართველოში სომხების გადმოსახლება X, XI, XII საუკუნეებში და უფრო ადრე ისტორიული მასალების მიხედვით არ მტკიცდება და, ამდენად, ხელოვნურად გამოგონილი ვერსიების გაზიარება არ შეიძლება.

კერ კიდევ აგათონის „ხილვისა“ და სხვა სომხური

წინასწარმეტყველებების მიხედვით, სომხეთის განმათავისუფლებელი „რომაელების“ ჯარი წარმოშობით „არმენქის“ (ე.ი. სომებთა) ტომისა ყოფილა. როგორც ცნობილია, აღმოსავლეთის ქრისტიანების, მათ შორის, კილიკიის სომხური სამეფოს „მხსნელად“ მიჩნეულ ჯვაროსნულ ლაშქრობებში გერმანელები დიდ როლს ასრულებდნენ. ეტყობა, ამის საფუძველზე წარმოქმნილა სომხური თქმულება, რომ გერმანელები წარმოიშვნენ იმ სამასკაციანი სომხური რაზმის წევრებისაგან, რომელნიც IV საუკუნეში რომის (ბიზანტიის) იმპერიატორ კონსტანტინეს დაუსახლებდა „ქვემო გერმანიაში“.

ბუნებრივია, სხვადასხვა ქვეყნებში, უცხო ქალაქებში მცხოვრებ სომებთა შორის ჩნდებოდა ლეგენდები, რომ მათი წინაპრები აქ უძველესი დროიდან მკვიდრობდნენ, რომ ესა თუ ის ქალაქი სომებთა აგებულია. ამგვარი თქმულებები ხელს უწყობდა იმას, რომ უამთა სიავის შედეგად თავის სამშობლოში გაუხარელ, უცხო ქვეყნებში გადახვეწილ სომხურ მოსახლეობას გაადვილებოდა ახალი სამკვიდრებლის მეორე სამშობლოდ მიჩნევა. აღნიშნული ლეგენდებიდან ალექსანდრე აბდალაძე მხოლოდ რამდენიმეს ასახელებს. კერძოდ: ფავსტოს ბუზანდის ცნობით, თითქოს, ჯერ კიდევ IV საუკუნეში სომხეთის მეფეს პრეტრზია განუცხადებია ბერძენთა 10 ქალაქზე, მათ შორის, კესარიაზე, ისინი ადრე ჩევნი იყოო. იქვე ნათქვამია, რომ ქალაქი ურკა სომებთა წინაპრებს აუშენებიათ. XII ს-ის სომხეთი მემატიანის, მათეოს ურკაცის თანახმად, ურკა (იგივე ედესა) აუგია ძვ.წ.აღ. I ს-ის სომხეთის სახელგანთქმულ მეფეს, ტიგრან II-ს, დიდად წოდებულს. ურკას დაარსების შესახებ სხვადასხვა თქმულება არსებობს. ერთი მათგანის მიხედვით, ეს ქალაქი, თითქოს, ლეგენდარული ნებროთის აგებულიც კია. სინამდვილეში ურკა აუშენებიათ სელევკი I ნიკატორის ბრძანებით ძვ.წ.აღ. 302 წლისათვის, ე.ი. ტიგრან II-ის დაბადებამდე დაახლოებით ორი საუკუნით ადრე. სომხური გადმოცემის მიხედვით, ასევე ქალაქი თავრიზი აუგია სომხეთის გამაქრისტიანებელ მეფე თრდატს. ნამდვილად კი ეს ქალაქი VIII ს-ის ბოლოსაა აშენებული. სხვათა შორის, 1629 წლის ერთი სომხური ხელნაწერის ანდერძში თბილისსაც სომებთა ქალაქი ეწოდება.

ისტორიაში არის ცნობილი, რომ პირველი სომხური ოჯახები საქართველოში ჩამოყავანილი იქნა წმინდა დავით აღმაშენებლის თაოსნობით. დავით აღმაშენებელმა ქართლში სომხური ოჯახების

100 კომლი გადმოასახლა – მაშინ ისინი დასახლდნენ კორში, ახალქალაქში, ახალგორსა და ცხინვალში – თითო სოფელში 20-25 კომლის ოდენობით. ამას დავით მეფის მხრიდან პქნონდა თავისებური გამართლება. მტრისაგან დაცემულ და პირისაგან მიწისა აღგვილ მეზობელ ქვეყანას მეფემ მეზობლური ხელი გაუწოდა და შეიფარა ისინი. უდავოა, რომ წინდახედულ მეფეს ერჩივნა, თურქეთისა და სპარსეთის ნაცვლად, მეზობლად სომხები ჰყოლოდა. როგორც მემატიანე გვაუწყებს, სომხები მიკედლებიან დავით IV-ს და მის სამსახურში შესულან» [22].

«სომები ისტორიკოსის, მათეოს ურჰაელის (XII ს.) ცნობით, დავით აღმაშენებელი „იყო შემწენარებელი და მოყვარული სომები ხალხისა» [23]. კაცთმოყვარული შემწენარებლობა რჯულოთ შემწენარებლობაში არ უნდა აგვერიოს: კაცთმოყვარე წმინდა მეფე, დავით აღმაშენებელი, მკაცრად ამხელდა სომებთა მწვალებლურ სარწმუნოებას, რისი მაგალითიც რუის-ურბნისის ძეგლისწერაა და რაზეც VI თავში გვიქნება საუბარი.

«როგორც ვ. ნალბანდიანი აღნიშნავს, თემურ ლენგის შემოსევების დროს მოძმე ქართველი ხალხი, მიუხედავად თავისი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობისა, შეღწეობის ხელს უწვდიდა უფრო მძიმე პირობებში მყოფ სომებს ხალხს, რომელიც მოკლებული იყო სახელმწიფოებრიობას. ამ თვალსაზრისით საინტერესოა იმ პერიოდის ცნობილი ისტორიკოსის, თოვმა მეწოფეცის (1376-1446) გადმოცემა: როდესაც ქართველთა მეფემ, გიორგიმ, შეიტყო თემურ-ლენგის ჯარების ახალი თავდასხმის შესახებ, ქართველ ხალხთან ერთად სომხებსაც მიუჩინა თავშესაფარი მიუდგომელ ციხეებში და თვით ითავა მოსული ურდოებისათვის წინააღმდეგობის გაწევა... ამ პირობებში სომხებისთვის საიმედო თავშესაფარს, ბუნებრივია, წარმოადგენდა საქართველო, სადაც მოძმე ქართველი ხალხის სტუმართმოვარე კედლებში, მის ჭერ-ჭეშ შეიძლებოდა უზრუნველი ცხოვრება ეპოვა კაცს². უმჯობესია ამ საშინელი გაჭირვების ჟამს სომებთა მდგომარეობისა და საქართველოში გადმოსახლების შესახებ თოვმა მეწოფეცს მოვუსმინოთ: 1432 წელს „სასტიკი შიმშილი დაიწყო ჩვენს ქვეყნაში, როგორც მორწმუნეთა, ისე ურწმუნოთა შორის, ისე, რომ შეჭამეს ძალები და კატები, გვამები, ცხენები,

² ვ. ნალბანდიანი. თბილისი ძეგლ სომხურ მწერლობაში. თარგმანი სომხურიდან, თბ., 1959, გვ. 118, 122.

ვირები, ჯორები და აქლემები. აღარაფერი რომ არ დარჩათ, მაშინ თავიანთ ვაჟებსა და ასულებს მიმართეს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ... ფარულად და აშკარად ათასი კაცი შეჭამეს... მორწმუნები ზამთრის უამს არარატის გავარიდან აიყარნენ და საქართველოსკენ გასწიეს^{“3”}] [23].

«მონღოლთა ბატონობის პერიოდში სომხეთის დიდი ნაწილი (ძირითადად აღმოსავლეთი სომხეთი) ჯერ ისევ საქართველოს სამეფოს შემადგენლობაში შემოდიოდა და ამ რაიონებიდან სომებს ლტოლვილთა გადანაცვლებას აღმოსავლეთ თუ დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე, ფაქტობრივად, შიდამიგრაციული პროცესის სახე ჰქონდა. ამის გამო, სამხრეთისა თუ დასავლეთ სომხეთის მოსახლეობის ერთ მნიშვნელოვან ნაწილს ჩვენი ქვეყანა, არამარტო საიმედო თავშესაფრად, არამედ თავისი საქმიანობის სამოღვაწეო ასპარეზადაც მიაჩნდა, მით უფრო, რომ სომხური კაბიჭალის საქართველოში მიზიდვითა და მისთვის პრივილეგიების მინიჭებით მონღოლთა მმართველი ფენა ცდილობდა აქ თავისი ბატონობის საყრდენი ბაზის შექმნასა და გაფართოებას. ბევრმა სომებმა დიდ-ვაჭარმა და მედროვე-ბედისმაბიექლმა სწორედ მონღოლების დროინდელ საქართველოში ჰპოვა ფართო ასპარეზი საქმოსნური მოღვაწეობისათვის. მონღოლთა მიერ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ატმოსფეროს ნაშობი იყვნენ შადინის, ენუქ არქუნის, სადუნისა და სხვათა ოდიოზური სახელები.

დამორჩილებულ ქვეყნებში მოხლოლთა პოლიტიკის უმთავრესი შინაარსი ადგილობრივი ცენტრალური ხელისუფლების შესუსტება და მთლიანი ქვეყნის დაშლა-დანაწილება იყო. ამ მიზანს ემსახურებოდა როგორც საქართველოს დიდებულთა ფეოდალური სპარატიზმისათვის მხარდაჭერა, ისე უცხო ეთნიკური ელემენტის დაწინაურება საქართველოს პოლიტიკურ ასპარეზზე. განვითარებული ნეგატიური პროცესის შედეგად ქართული სამეფოს ცალკეული ნაწილები თანდათანობით გამოდიოდნენ ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან და მონლოლ უფლისწულ-დედოფლებისა და სხვა დიდებულების მფარველობაში გადადიოდნენ (ხასინჯუს წესის თანახმად). სულ მალე აღმოსავლეთი სომხეთი, ფაქტობრივად, ყავნის პირველი კეზირის სამფლობელოდ იქცა, რითაც, შეიძლება ითქვას, საქართველოს-

³ თოვება მუწოდებული. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შოაძობავლობისა. თბ., 1987. გვ. 62.

აგან სომხეთის ჩამოცილების ტენდენციას უკვე ამ ხანაშივე ჩაეყარა საფუძველი. XV ს. დამდევისათვის თურქმანებმა საქართველოს საბოლოოდ მოვლიჯეს სომხეთი და იქ პირშეუქცევლად აღმოსავლური ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობანი გააბატონეს. მომთაბარული ცხოვრების წესისათვის დამახასიათებელი უფლებრივი ნორმების დანერგვამ და სომხური ფეოდალური გვარების სისტემატურმა დევნამ და განადგურებამ ქვეყნა ეროვნული კატასტროფის წინაშე დააყენა. დაიქცა და გავერანდა ქართული სახელმწიფოებრიობის პირობებში აყვავებული სომხური ქალაქები. წყაროების მოწმობით, XIV ს. ბოლოსათვის მდიდარი ტრადიციების ქალაქი ანისი უღიძლამო სოფელს დამსგავსებოდა, ხოლო დვინი საერთოდ გამქრალიყო. უცატრონოდ დარჩენილი შეჭირვებული ხალხი აიყარა და დიდი მასებით გადაიხვეწა მეზობელ თუ შორეულ ქვეყნებში. განსაკუთრებით ფართო ხასიათი ამ პროცესმა XV ს. მიიღო – რაღაც საუკუნე, საუკუნენახევარში თითქმის მთელი მსოფლიო მცირე სომხური კოლონიებით მოიფინა. არარატის ველისა და არაქსის მიმდგომი რაიონები დაიცალა ადგილობრივი მოსახლეობისაგან და მისი ადგილი უცხო ეთნოკურმა მასებმა დაიკავეს.

მკეთრად იცვლება პოლიტიკური ვითარება ამიერკავკასიაში თემურ-ლენგის ოვაგზისი შემოსევის შემდეგ. სომხეთი მთლიანად მოწყდა საქართველოს. უფრო მეტიც, თვით ისეთი უშინაგანესი ოლქი, როგორიც ლორე იყო, ძირითადად, მტრის ხელში აღმოჩნდა. ერთობ ნიშანდობლივია სომხეთი გადამწერის ცნობა უფლისციხის მიდამოებში სუქმატისა და ბეშქენის მთავრობის შესახებ. სივნიეთიდან მათი გამოდევნის შემდეგაც, აშკარაა, ისინი საქართველოს მთავრებად ითვლებოდნენ ისევე, როგორც სომხეთი საქართველოს ნაწილად განიხილებოდა. მხოლოდ ასეთი შეგნებისა და იურიდიული გააზრების პირობებში შეიძლებოდა დევნილი სივნიეთის მთავრების ფეოდალური უფლებები ამჯერად უფლისციხის მიდამოებზე გაევრცელებონათ.

ალექსანდრე I-მა 1431 წ. ლორე დაიბრუნა, რასაც სივნიეთის შემოერთებაც მოჰყვა, თ. მეწოფეცის ცნობით, 6 ათასი კომლი სომხური მოსახლეობით. 1435-1436 წწ. შაპროპმა დაარბია სივნიეთი. ასე რომ, 1435-1438 წწ. სივნიეთიდან საქართველოში 6000 კომლი სომხური მოსახლეობა უნდა შემოსულიყო, რაც თავისთავადაც საკმაოდ დიდი ციფრია.

მაგრამ ამ ფაქტის გადაჭარბებით შეფასებაც, ვფიქრობ, არ უნდა იყოს გამართლებული, რამდენადაც მათი გაჩენა ყოველთვის არ იყო განპირობებული მაინცდამაინც კრცელი და კომპაქტური მოსახლეობის სულიერი მოთხოვნილებებით. არც თუ იშვიათად, სომხურ ეკლესია-სალოცავებსა და ხაჩქარებს სულის მოსახლენებლად ცალკეული მდიდარი ვაჭრები ან შეძლებულ ენთუზიასტთა მცირე ჯგუფები აგებდნენ, რაც არაფრით არ იყო დაკავშირებული რომელიდაც თემის საჭიროებასთან.

როცა საისტორიო წყაროებში არა გვაქვს კონკრეტული მითითებები ქართლსა და კახეთში სომხური თემების არსებობის შესახებ (ლაპარაკია XIV-XV სს-ზე) და არ არის მინიშნებები თემებად სომხეთა გადმოსახლებაზე, ყოველ შემთხვევაში, მოტანილ ლაპიდარულ ძეგლებში, ნაადრევია მსჯელობა მათ რეალობაზე. მოგვიანებით კი, როცა XIX ს. მართლაც შეიქმნა საქართველოში აქა-იქ კომპაქტური სომხური დასახლებები, ეს მოვლენა მაშინვე აისახა წერილობით წყაროებში და ლაპიდარულ წარწერებშიც. მოვიტანთ თვით მურადიანისავე (ზემოთ უკვე ხსენებული სომხი მეცნიერია-უ.) გამოქვეწნებული წარწერებიდან რამდენიმეს: ნიჩის-ში-, 1867 წ. ეკლესია ავაგეთ ჩვენა სომხისა საზოგადოებამა ჩვენი საკუთარი შრომითა“. მუხრანში — „1843 წ. შემწერიბითა და ღვაწლითა სომხეთა გუართა, რომელიც იმყოფებიან სოფელსა შინა მუხრანს, დადგა ეკლესია ეს სომხისა“. ანდა „1839 წ. აღვაშენეთ ეკლესია ესე (წმინდა) გიორგისა ჩვენ ზერტში მცხოვრებელთ ერთობით ქართველთა და სომხეთა სასაფლაოდ ჩვენის მუშაკობითა“ (ამ წარწერაზე ჩვენ კიდევ გვექნება მსჯელობა).

XIV-XV სს-ში სომხეთი ლტოლვილები თუკი მართლაც მთელი სოფლებით მოემართებოდნენ და ესახლებოდნენ საქართველოში, როგორც ამას პ. მურადიანი ამტკიცებს, არ შეიძლებოდა ამ მოვლენის კვალი არა თუ წყაროებში, არამედ ტოპონიმიკაში მაინც არ ასახულიყო. სამეცნიერო ლიტერატურაში კარგადაა ცნობილი, რომ გადასახლებულ მოსახლეობას ახალ საცხოვრისში ხშირად თან მიჰკინდა თავისი ადრინდელი საცხოვრისის სახელწოდება, განსაკუთრებით მაშინ, როცა ის თემებად ესახლებოდა. აქედან გამომდინარე, მეცნიერები (უმეტესწილად ეთნოგრაფები) პარალელური, სეხნია ტოპონიმების დაქცნით ახერხებენ მსგავსი მიგრაციული პროცესების სურათის აღდგენას.

იქ, სადაც დიდ კოლექტივებად მოხდა სომეხთა გადასახლება, ეს მოვლენა კიდეც სათანადოდ აისახა ტოპონიმიკაში. მაგალითად, სომხეთის ჯულფიდან ირანში გადასახლებულებმა თავის ახალ დასახლებას „ნორ ჯულფა“ ე.ი. ახალი ჯულფა უწოდეს, რუსეთის სომხურმა კოლონიამ „ახალი ნახვევანი“ და სხვა» [26].

«შუასაუკუნების თითქმის ყველა მწერლისა და ისტორიკოსის გამოკვლევის შედეგად, არც ერთი მათგანი არ ადასტურებს სომხების შეთხულ ცნობას, გადმოცემულს ბ-ნ სარუხანის მიერ გაზ. „მშაკის“ ფურცლებზე, თითქოს „ქველი დროიდგანვე საქართველოს ქალაქების და საკუთრივ ტფილისის ქალაქის ერთა-მცხოვრებთა მეტი ნაწილი სომხები ყოფილიყვნენ“. ხოლო მეფე ალექსანდრე პირველი თავის ერთ გუჯარში იხსენიებს ათ კომლ სომხებს, თრიალეთის მხარეს. ეს იმნაირი სომხებია, რომლებსაც ვახუშტი ბორჩალოს აღწერაში ასე ასახელებს: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხნი და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა, არამედ ქცევა-ზნით ქართულითა“ (ვახუშტის ღეოლ-რაფია, აღწერა საქართველოისა, გვ. 145; ასევე იხ. „ივერია“ 1901 წ. № 119, 1902 წ. №№ 149, 154, 170 დეა 175). „ესენი უეჭველად ქართველნი არიან, ვინაიდან სომხები, ძირითადად, არსად ზნეს არ იცვლიან. სხვათა შორის, მოგზაური გამბაც ჰმოწმობს, რომ საქართველოში სომხები არასფრით ემსგავსებიან ქართველებს და მათში ირჩევიან თავიანთი ზნე-ჩვეულებითო“ (Voyage de Gamba, t. 2, p. 188. Paris, 1826. aseve ix. „Mission scientifique en Perse“ par J. de Morgan, vol. 1, p. 58. Paris, 1894). ამ და მრავალ სხვა საბუთზე დაყრდნობით შეგვიძლია ცალსახად ვთქვათ, რომ ქართველთა ტომის-ად შეირაცხება ყოველი, რომლებსაც სომხებისა მარტო სარწმუნოება აქვთ და არა ზნე-ჩვეულება (იხ. მაგ. ბ. კლდია, „ივერია“ 1902 წ.; პროფ. ა. ხახანაშვილი, რუს. გაზეთი „კავკაზი“; ბ. ლასი, „ივერია“, 17 იანვარი, 1904 წ. და ა.შ.).

ჩვენ, რა თქმა უნდა, არ უარყოფთ, რომ სომხები საქართველოში იყვნენ უძველესი დროიდან – ეს მეზობელი ქვეყნებისთვის დამახასიათებელია. ასევე, დიდი ხნის განმავლობაში, ვიდრე ზღვაზე და ოკიანით მეზავრობა განვითარდებოდა, თბილისი იყო ხიდი და საწყობი ევროპასა და აზიას შორის. ამიტომ, რა თქმა უნდა, სხვა ტომებს შორის სომხებს უკანასკნელი კია არა, პირველი ადგილი უნდა სჭეროდათ იქ მყოფთა შორის და არც ის არის გამორიცხ-

ული, რომ იმ ხანად საქართველოში მყოფ სომებს ვაჭრებს თავიანთი ეკლესიაც ჰქონდათ თბილისში. მაგრამ ყოველივე ეს არ იყო იმ რაოდენობით და იმ მასშტაბის, როგორსაც სომები მწერლები წერენ და იჩემებენ. ძველ დროს მათი გავლენაც არ იყო დიდი საზოგადოებაზე, მათ ის ადგილი და მნიშვნელობა ჰქონიათ, როგორიც შეეფერებოდა არა მკიდრ კაცსა და მოსახლეობას.

ასევე აღვნიშნოთ, რომ სომხებმა ვაჭრობის ნიჭი გამოავლინეს მეტად მე-17 საუკუნიდან, როდესაც შაპ-აბასმა სომხები სპარსეთში გადაასახლა და მისცა მათ აურაცხელი სიმდიდრე, რათა ევროპასა და სხვა ადგილებში ევაჭრათ. ამასვე ამტკიცებენ ევროპელი მწერლები. ტურნეფორდი, სხვათა შორის, მოგვითხოობს: „ერთი სიტყვით, შაპ-აბასმა სომხის გლეხები ვაჭრებად გახადა; ეს ვაჭრები აღებ-მიცემის საქმეში განთქმულნი შეიქმნენ მთელს ქვეყანაზედო“ (Turnefort, Relation d'un voyage, tom. 2, p. 158).

უნდა გავითვალისწინოთ ერთი გარემოებაც: მნელად თუ მოიძებნება მეორე ისეთი ქვეყანა, რომელსაც ამდენი გაუთავებელი ომი და ბრძოლა ჰქონიდეს თავისი სარწმუნოებისა და უფლებების დაცვისათვის, როგორც საქართველოს. ასეთ ქვეყანაში მხოლოდ მას შეეძლო ცხოვრება, ვისაც ძირულად უყვარდა თავისი ქვეყანა, სარწმუნოება, ადათ-წესები და ჩვეულებანი, ყოველივე ის, რისთვისაც მას ეომებოდნენ, ხოცავინენ და ავიწროვებდნენ. სომხებსაც მრავალი მტერი ჰყავდათ, მაგრამ მათგან თავის დასაღწევად საქართველოში გაქცევას აზრი არა ჰქონდა, ვინაიდან სომხეთის მომახრებელი უეჭველად საქართველოსაც ესხმოდა თავს. ეს არ გამორიცხავს დროებით შემთხიზვნებს, უფრო ძლიერი ქვეყნისათვის დროებით თავის შეფარებას. სომხები ისტორიკოსები მოგვითხოობენ, მაგალითად, რომ სუმბატი, სომხების მთავარი კუროპალატი, რამდენიმე სომხის თავადითა და ჯარით, 704 წ. შეხიზვნია ფოთს, სადაც ექვს წელიწადს დარჩენილა. ამის შემდეგ, შეხიზვნულ სომხებს ერთიან ქალაქი და ეკლესიები გაუქურდათ და ისევ დაბრუნებულან თავიანთ ქვეყნებში (იხ. ვართანის ისტორია, გვ. 59; ასევე ახოლიკის ისტორია, წიგნი II, თავი 4). ასევე სომხის ერთი პატრიარქი, იოანე VI, შეხიზვნია საქართველოს მეფეს 920 წელს (S. Martin, t. 1, p. 361).

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს ის მოვლენა, რომ VI საუკუნეში, როდესაც სომხეთის ეკლესია მწვალებლობაში შთავარდა და გაე-

ყარა საქართველოს ეკლესიას, დიდი უთანხმოება ჩამოვარდა მათ შორის; მას აქეთ დაიწყო ერთმანეთის შეჩერება. მაგალითად, როდესაც დავით აღმაშენებელმა კრება მოაწევენია სომხების შესავონებლად და ჭეშმარიტებაზე მოსაქევევად, სომხები ასე არიან მოხსენიებულნი: „ხოლო შეიკრიბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულ-არძნილი, ყოვლად ბოროტთა სომხეთა ეპისკოპოსებისათ“ (ქართლის ცხოვრება, ნაწილი I, გვ. 258). სარწმუნოებრივ საკითხებზე დავისას დავით მეფემ სირცხვილეულ-ყო სომხი ეპისკოპოსები, რომლებმაც თავი დამარცხებულად აღიარეს, მაგრამ ჭეშმარიტებას მაინც არ დაუბრუნდნენ.

ქართველთა შეურიგებლობას სომხის სარწმუნოებისადმი გვიჩვენებს ერთი მაგალითი: ზაქარია მხარგრძელმა მოინდომა ქართულ წირვაზე წმინდა ზიარების მიღება, მაგრამ ქართლის კათალიკოსმა, მიუხედავად დიდი საერო დამსახურებისა, საშინლად უძრახა ზაქარიას და წინა რიგებიდან გააძევა. ამ შემთხვევის გამო ზაქარიამ მოუწოდა სომხის ეპისკოპოსებს ქართველებთან სარწმუნოებრივი შერიგებისაკენ, მაგრამ ორმა კრებამ ვერ შეძლო შერიგება და განხეთქილება კიდევ უფრო გადრომავდა. მისიონერ გალანო კლემენტეს გაეგონა ასეთი ანდაზა: „უკეთუ ვინმე ჩვენგანს ფეხში ეკალი შეესოს და გავლა მოუხდეს სომხის ეკლესიის წინ, უნდა მოითმინოს და არ დაიდრიკოს მის გამოსაღებად, რათა მით არავის ეგონოს, რომ იგი თაყვანს სცემს სომხების ეკლესიას, რომელიც გასაკიცხა ყველა ქრისტიანისაგან“ (Clemens Galanus, Conci. Eccl. Arm. cum Romana, tom. 3, c. 12, p. 120. Romae, 1661). შარდენი აღნიშნავს: „სომხებს და ქართველებს ერთმანეთი ძრიელ სტულსთ; ერთმანერთში არას დროს შეუღლდებიან. კერძოდ, ქართველებს განსაკუთრებული ზიზღი აქვსთ სომხებისა და მათ ისე რაცხავენ, როგორც ჩვენ ევროპაში ურიებს“, „ამ სოფლებში (სპარსეთში, თავრიზის ახლოს – ა.უ.) მომეტებულად ცხოვრობენ ქრისტიანები, ქართველები და სომხები, მაგრამ არა ერთმანეთიან შერევით: ამ ორ ტომს ისეთი მტრობა და სიმბულვარე აქვს ერთმანეთისა, რომ არ შეუძლიათ ერთად დაგდნენ და ერთსა და იმავე სოფელში იცხოვრონ“ (Voyage de Chardin, tom. 1, p. 123; p. 149).

ეს გარემოება ვერ იქნებოდა სომხების გადმოსახლების ხელშემწყობი და, თუ მოგვიანებით მაინც მოხდა ასეთი გადმოსახლება, ეს განპირობებული იყო უფრო დიდი უბედურებითა და უფრო

დიდი განსაცდელით, რაც სომებს ხალხს დაატყდა, განსაკუთრებით თურქეთში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ გადმოსახლების შემდეგ ქართულ რეგიონებში დასახლებული სომხები ეწევიან გასომხების აგრესიულ პოლიტიკას, რომელიც შეეხება არა მარტო მონოფიზიტ (გასომხებულ) ქართველებს, არამედ გაფრანგებულებსაც, რომელთაც აკარგვინებენ ენას, ზნე-ჩვეულებებსა და ადათ-წესებს. ამის შესახებ უფრო დაწვრილებით შემდეგ თავში ვისაუბრებოთ. ასევე „გასომხება“ მიმართული იყო ქართული მექვიდრეობისადმი, კულტურის ძეგლებისადმი და ქმნილებებისადმი, განსაკუთრებით – ქართული ტაძრებისადმი, რაზეც წინა თავში გვქონდა საუბარი.

სხვადასხვა ქვეყნის ისტორია იმას მოვითხოობს, რომ წინადა შეუასენებშიც დაწიოკებული და ოტებული სომხებისათვის შესახიზნი და უშიშარი ადგილი საქართველო არ იყო, არამედ – უმეტესად რომის საბრძანებელი. როდესაც მეოთხე საუკუნეში საპორ (შაბურ-ა.უ.) მეორემ ერთიან მოაოხრა სომხეთი და დაატყვევა არშაკ მეფე, მაშინ, ამბობს სენ-მარტენი, ყოველმა დინასტიამ, შიშით თავზარდაცემულმა, მიუტოვა სპარსელებს თავისი ცოლშვილი, ქონება და გაეშურა რომის საბრძანებელში თავის შესაფარადო (S. Martin, Journal Asiatique, an. 1830, tom. 1, p. 206, Paris). VI საუკუნეში, როდესაც ხოსრო პირველმა სარწმუნოების გამო დაუწყო დევნა სომხებს, ისინი კეისარ იუსტინიანე მეორეს შეეხიზნებ და შემწეობა და მფარველობა სთხოვეს (Evagrius, Ecclesiae). სირიელი ბარჟებრეუსი თავის ქრონიკებში მოვითხოობს სომხების ორ გზის გადასახლებას რომის საბრძანებელში. პირველი მომხდარა 961-964 წლებში, არაბებისაგან ოტებულნი, მეორედ 993 წელს, როდესაც რომაელებს დაუცყრიათ მანძაგრდა (მანასკერტი-ა.უ.) და არხისკი. ამ დროს იყო, რომ სომხებმა დატოვეს თავიანთი ქვეყნა, დაიწყეს გადასახლება და გაავსეს კაბადოკია, კილიკია და სირია (Bar-Hebraeus, Suriacum Chronikon, p. 200, 213. Roma, 1789). ამან ხელი შეუწყო სომხების შედგომ გადასახლებას. კეისრებმა დიდი სასომხეთის მთავრები მიიზიდეს, ჩამოართვეს მამულები და მის ნაცვლად მისცეს სხვა და სხვა ქალაქები თავიანთ საბრძანებელში. მაგალითად, 1042 წელს კონსტანტინე მონომაქოსმა მიიზიდა მეფე ზაკიგი, ჩამოართვა ანი და მის ნაცვლად მისცა კესარიაში ორი ქალაქი – გალანბელადი და ბიძუ. მისმა ნათესავმა, ყარსის მთავარმა, 1064 წელს კონსტანტინე დუკას დაუთმო ყარსი და მის ნაცვ-

ლად მიიღო ძამენტავას ქალაქი კაპადოკიაში. ამასვე ამბობს მექანი დადიანი: სომხებმა X, XI საუკუნეებში დაიწყეს გადასახლება ბერძნის საბრძანებელში, რათა იქ თავშესაფარი ადგილი ეშოვათო. ასევე უმატებს, რომ 1169 წ., ანის აღების დროს, 7000 მეტი სომხი სომხეთი თავიანთი მთავრებით შეიხიზნენ კონსტანტინებოლში (Mek.-B. Dadian, Societe Armenienne contemporaine, p. 1, 10. Paris, 1867).

ერთმა სომხების მიერ ცამდე ამაღლებულმა სომხის მწერალმა, შაპნაზარიანმა, პარიზში 1856 წ. ფრანგულად გამოსცა სასომხეთის შემოკლებული ისტორია. ამ ისტორიაში დაწვრილებით აღნიშნავს თითქმის ყველა დროის გადასახლებას სომხებისას სხვა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ სრულებით არაფერს ამბობს საქართველოში სომხების გადმოსახლებაზე. იგი მოუთითებს შემდეგ გადასახლებებზე: 450 წლიდან 550 წლამდე გადასახლდნენ მიზანდარანსა, ხოროსანსა, ნეიზჰაპურსა და კუზჰისტანში (კუზისტანში-ა.უ.); არაბებმა მარტო დაინიდან გაიყვანეს 35000 სომხი! ბერძენი კეისრების ძალდატანებით სომხებმა დატოვეს სასომხეთი და გადასახლდნენ ბერძენის სამფლობელოებში. მრავალი სომხი, 452 წელს, იძულებული გახდა, მიეღო ბერძენული ტიპიკონი. მათ „ჰაი-ჰორი“ (Hai-Horim) დაერქვათ. ბიზანტიის სამეფო ბევრს ეცადა და გადასახლა ისინი კონსტანტინოპოლიში, მაკედონიაში, ეპირში, ბულგარეთში და მთელს აწინდელ ოსმალეთში. მავრა (მავრიკიოს-ა.უ.) კეისარმა 582 წელს გაავსო თრაქია სომხებით და მათგან შეადგინა თავისი საუკეთესო რაზმები. კონსტანტინე კოპრონიმოს მეხუთემ, VIII საუკუნეში აიღო არზრუმი და იქიდან გადასახლა სომხები თავის საბრძანებლის სხვადასხვა ადგილებში. შაპუს ამუნელი გაექცა არაბებს და გადასახლდა საბერძნეთში, წაიყოლა 12000 სომხი თავიანთი ცოლ-შვილით. რუბენიანების დინასტიის დაცემის შემდეგ, 30000 კომლი სომხებისა გადასახლდა კვიპროსზე, როდოსზე და კანდიის კუნძულებზე. სომხები საბერძნეთში სახლდებოდნენ ვიღრე იუსტინე მეორის მეფობამდე. ემირბულამ 850 წ. მთლიანად მოაოხრა სომხეთი, რომელიც თითქმის მთლიანად აიყარა და გადასახლდა ეგვიპტეში, არაბეთში, პალესტინაში, სიტრიაში, ბაბილონსა და სხვ. ადგილებში. მარტო ეგვიპტეში 30000 სულზე მეტი გადასახლდა. სომხები სახლდებოდნენ თუ მათ ასახლდებოდნენ პოლონეთში, საფრანგეთში, რომში, რუსეთში, ყირიმში და ა.შ. მარტო კაფიაში, ანუ თეოდოსიაში 100 000 სომხი იყო. ეს

გადასახლებები საუკუნეები გრძელდებოდა და, თუ კიდევ დარჩენენ სომხები დიდ სასომხეთში, მათ იქ ყოფნას ბოლო მოუღო თემურლენგის შემოსევამ. თემურლენგმა, ვინც მის ხმალს გადაურჩა, გადაასახლა სკიტაში. სხვა დიდი ჯგუფი, 200 000 სული, გადასახლდა პოლონეთში. სომხების პოლონეთში დასახლებას 1604 წელს გვამცნობს იეზუიტი იაკობ ვილოტე.

ასეთივე დიდი უბედურება დაატყდათ თავს მცირე სომხეთის სომხებსაც, როდესაც 1375 წელს ეგვიპტელებმა აიღეს კილიკია და დაატყვევეს სომხების უკანასკნელი მეფე ლეონ VI, ლუზინიანი. ერთი სომხის მიერ ფრანგულად დაწვრილი ისტორია მოგვითხრობს: „მეფობის დაცემის შემდგომ განყრილი სომხების დასასჯელად ღმერთმა მათი უმეცართა ხროვა გაპფანტა სხვადასხვა უცხო ქვეყნებში: პოლონეთსა, მალდავისა, ვლახეთსა, უნგრეთსა, ყირიმსა, რუსეთსა, სპარსეთსა და საბერძნეთში, სადაც იძულებულნი გახდნენ, შეეთვისებინათ ზე-ჩვეულება, ენა და კანონები ამ უცხო ტომთა, რომელიც მათ განსაკუთრებით სძულდათ“ (Rome et l'Arménie depuis le commencement du IV-e siècle jusqu'en 1830, par X... p.62).

ყოველივე ზემოთქმულში ჩვენთვის საგულისხმო ის არის, რომ, IV საუკუნიდან ვიღრე XVI საუკუნემდე, სომხების გადასახლებას სხვადასხვა ქვეყნებში დაწვრილებით აღგვიწერენ ისტორიები და ერთ სიტყვასაც არ ამბობენ, სომხები როდესმე საქართველოში გადმოსახლებულიყვნენ. ეს ბუნებრივიც იყო, ვინაიდან სომხების გადასახლება, ერთი მხრივ, ხდებოდა სომხების დამპყრობელთა მიერ, ძირითადად, თავიანთ საბრძანებლებში; მეორე მხრივ, თავად სომხები გარბოდნენ შედარებით უშიშარ ადგილებში, ხოლო საქართველო ასეთს არ წარმოადგენდა, ვინაიდან სომხეთის მოოხრების შემდეგ იმავე დამპყრობლის მიერ, როგორც წესი, ხდებოდა საქართველოს მოოხრებაც და პირიქით. სომხების გადმოსახლება საქართველოში მოგვიანებით დაიწყო, როდესაც იგი გახდა ამ რეგიონში იმდროინდელი ძლიერი ქვეყნების პოლიტიკის ნაწილი» [4].

ამ პოლიტიკის ძირითადი მიზანი იყო ურჩი და მებრძოლი საქართველოს დამორჩილება, მისი ხერხემლის – მართლმადიდებლობის შესუსტება, ასევე, ეროვნული თვითშევნების – მართლმადიდებლობასთან შენივთებული კულტურის, ადათ-წესებისა და ზე-ჩვეულებების დაქვეითება და მოსპობა. სომხებს ამ თვალსაზრისით ევალებოდათ ადგილობრივი მოსახლეობის გასომხება, რაც მთავარ

ია, მონოფიზიტურ სარწმუნოებაზე იძულებით თუ სხვადასხვა პრო-ზელიტური საშუალებით გადაყვანა, ასევე გაფრანგებული ქართველებ-ის გასომხება. ეს პროცესი XVII საუკუნიდან ხორციელდებოდა.

«სპარსეთი და თურქეთი, XVI-XVIII ს. შექმნილი განსაკუთრე-ბული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ებრძოდნენ არა ყველა ქრისტიანულ კონფესიას, არამედ მხოლოდ მართლმადიდე-ბლობას საქართველოში. სპარსეთსა და ოსმალეთს საქართველო ერთმანეთს შორის ჰქონდათ გაყოფილი, დასავლეთი და სამხრეთი საქართველო – ოსმალეთს, ხოლო აღმოსავლეთი – ირანის გავლე-ნის სფეროს წარმოადგენდა.

XVII ს. დასაწყისში მკვეთრად შეიცვალა საერთაშორისო ვი-თარება – ჩრდილოეთში სწრაფად ვითარდებოდა და ფართოვდე-ბოდა მართლმადიდებლური რუსეთი, რომელიც სამხრეთისაკენ მოიწევდა და კავკასიონის ქედს უახლოვდებოდა. რუსეთმა სპარ-სეთსა და ოსმალეთს წართვა მათი გავლენის სფეროები: ყირიმი, ჩრდილო შავი ზღვისპირეთი, ჩრდილო კავკასია, დუნაისპირეთი, მოადგა კასპიის ზღვისპირეთს. იგი აპირებდა კონსტანტინეპოლის აღებას, ბოსფორის სრუტის გაკონტროლებასა და ხმელთაშუა ზღვაზე გასვლას, ასევე, ირანის გავლით ინდოეთის ოკეანზე გასვ-ლას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძნდა კავკასია, კერძოდ კი – საქართველო, რომელიც ირანისა და თურქე-თის მიერ ერთმორწმუნე რუსეთის პოტენციურ მოკავშირედ ითვ-ლებოდა, რომლის დახმარებითაც რუსეთი შეძლებდა კავკასიის აღებას. ეს პროგნოზი მომავალში გამართდა. ამიტომ სპარსეთ-ოსმალეთის მთელი პოლიტიკა კავკასიაში იქითკენ წარიმართა, რომ როგორმე ხელი შეეშალათ საქართველოსა და რუსეთს შორის მოკავშირობისთვის და აქედან გამომდინარე – მოესპოო საქართველოში მართლმადიდებლობა.

ამ მიზნის მისაღწევად სპარსეთ-ოსმალეთი ფიქრობდა სომხების გამოყენებასაც, ვინაზღაურ ქრისტიანობის სახელით შესაძლებელი იქნე-ბოდა მრავალი მართლმადიდებლის ცდუნება, მართლმადიდებლო-ბიდან სომხის რჯულზე გადაყვანა და შემდეგ გასომხება» [6].

«საგულისხმო წყაროების ზედმიწევნით შექმნილის საფუძ-ველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სომხებს გადმოსახლება და საქართველოში დამკიდრება დაუწყიათ XVII საუკუნის დამდეგს (შეიძლება, XVI საუკუნის ბოლოსაც, მაგრამ არა უფრო ადრე).

მისიონერი კლემენტე გალანო, რომელიც საქართველოში 1632 წ. ჩამოვიდა, ამბობს, რომ „აწინდელ დროებში მათ (ქართველებს-ა.უ.) შორის ბევრი სომები ცხოვრობს“ (Clemens Galanus, Conci. Eccl. Arm. cum Romana, tom. 1, p. 120. Romoe, 1650), „აწინდელ დროებ-შით“ და არა ძველთაგანო. კაპუცინების არქივში არის 1675 წელს დაწერილი ცნობაც: „გარნა უკანას ქნელ ხანებში სპარსელებმა გაა-დიდეს ტფილისი, უმთავრესი ქალაქი, და აღავსეს იგი ერთიან სომხებითა, რის გამო ვაჭრობამ იწყო წარმატებაო“.

სომხების გადმოსახლება მოხდა შაპ-აბას პირველის მიერ საქართველოს მოოხრებისა და ქართველთა სპარსეთში გადასახ-ლების შემდეგ. „შაპ-აბასმა 50000 მეტი ოჯახობა წაიყვანა და დაასახლა შირვანსა, მაზანდერანსა და სასომხეთში; ხოლო მათ ადგილს გადმოასახლა სპარსელები და სომხები“ (Histoire de Kemiski, p. 24, Paris, 1687). შარლენი ასახელებს წარტყმევნილ ქართველ-თა 80000 კომლს. ნადირ შაპის მეფობის დროს (1687-1747 წ.) ოტებული სომხების დიდი ნაწილი ჩამოსახლებულა საქართველო-ში» [4].

3. „მეფე ერეკლეს დროშია...”

როდესაც სომხების პრეტეზზებს ისმენ, რომლებმაც, ლამისაა, მტკვრის მთელი მარჯვენა სანაპირო სომხეთად გამოაცხადონ, გაკვირვებას იწვევს – როგორ ივიწყებენ სომები მოღვაწეები იმ ფაქტს, რომ, სულ მცირე, ბოლო ათასწლეულის მანძილზე სომხეთი ან საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა, ან მისი მოხარკე იყო და მის გავლენის სფეროს განეკუთვნებოდა; მაგრამ, მიუხედავად ამისა, ჩვენ, ქართველებს, სომხეთისათვის არაფერი მოვათხოვა და არაფერი გვითქვამს, სომხეთი ისტორიულ საქართველოდ არ გა-მოგვიცხადებია. თავი რომ დავანებოთ დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის ეპოქას, სულ რაღაც ორნახევარი საუკუნის წინ, თეიმურაზ II-ის მეფობის შედეგად და ერეკლე II-ს მეფობის დროს, სომხეთი საქართველოს მოხარკე იყო და, ფაქტობრივად, საქართვე-ლოს შემადგენლობაში შესავლელად იყო გამზადებული.

«1747 წ. ნადირ შაპმა ირანს აუტანელი გადასახადები შეაწერა, რამაც მთელ ქვეყანაში მანამადე არნახული უკანასყოფილება გამოი-წვია. პირველი ქართლ-კახეთი აჯანყდა. მას მხარი აუბა ერევანმა,

განჯა-ყარაბაღში, აზერბაიჯანში. აჯანყება შეიგნით ირანსაც მოედო. მალე ნადირ შაჰი შეთქმულებმა მოკლეს, ირანში საშინელი ანარქია გამეფდა, ტახტის პრეტენდენტებმა ერთმანეთს დარიეს ხელი. ამასობაში კი ერეკლე მეორემ აღმოსავლეთი საქართველო ყიზილ-ბაშებისაგან გაწმინდა. აღარც „ოსმალობა“ იყო და აღარც „ყიზილბაშობა“, „ქართველობა შეიქნა“. ეს იყო უდიდესი საამიერკავკა-სიო მნიშვნელობის მოვლენა. ამ ხალხების განმათავისუფლებელ მოძრაობას მკვიდრი საფუძველი ექმნებოდა. სავსებით მართალია აკად. ც. აღაიანი, როცა წერს: „ქართველობის აღდგენაშ საყოველთაო ზეიმი გამოიწვია და განმათავისუფლებელი ბრძოლის ახალი აღ-მავლობის საფუძველი შეიქნა... საქართველოს გაძლიერება საუკუ-ნოვანი უცხო უდლისაგან მთელი ამიერკავკასიის განთავისუფლებ-ის იმედს სახავდა“. ამიერიდან სომქეთა მთელი გულისფური მიჰყ-რობილი იყო თემურაზ-ერეკლესაკენ და მათ დახმარებაზე აგებდ-ნენ სომხეთის განთავისუფლების გეგმებს. ქართველთა გამარჯვება სომხებსაც უკეთესი მომავლის იმედს უწერგავდა» [11].

«ერეკლე მეფემ 1780 წ. ერევნიდან სომხები გადმოასახლა თბილისში და სხვა ადგილებში. ამას მოგვითხრობს ერთი სომხის მღვდელი ოპანეს უოსკერდჯანი, რომლის ნათქვამიც კლაპორტმა პარიზში 1818 წ. დაბეჭდა. ეს წყარო ასევე გვიჩვენებს, რომ 1804 წელს, როდესაც ყარსში ციციშვილმა ერთიან დამარცხა სპარსელები, მაშინ ყოფილმა სომხის არქიეპისკოპოსმა საქართველოში წამოიყ-ვანა ყველა იქაური სომები თბილისის ახლოს, ტაფა-ტაღლები, ზოგიც თბილისს მოიყვანა და დააყენა ავლაბარში, სადაც აუშენა ერთი ეკლესია (Klaporth, Memories relatifs a l'Asie, tom. 1, p. 226. Paris, 1926-28). ამ სომხებს 1820 წელს დაემატა დიდი ჯგუფი, რომ-ლებმაც გააშენეს ქარვასლა (Gamba, Voyage dans la Russie, tom. 2, p.160)» [4].

«ერეკლე ქვეწის ფეხზე დაყენებას სომხური კაპიტალის მეშ-ვეობით აპირებდა. გარკვეულწილად ეს მოახერხა კიდეც (ალავრ-დის ვერცხლის საბადოები და თბილისის მრეწველობა), ამიტომაც სომხეთან ერთხანს გარკვეულ დათმობაზეც კი მიდიოდა, რადგან იგი აღმაშენებლის დროინდელი სახელმწიფოს შექმნას აპირებდა (სომხური მიწები ძლიერი სახელმწიფოს ფარგლებში) და ეტყობა, არა იცოდა რა რუსეთ-ეჩმიაძინის კავშირის შესახებ (რაც 1769 წ. ოფიციალურად გაფორმდა).

მოგვიანებით ერეკლეც მიხვდა რუსთა და სომხეთა გარკვეულ „ხრიკებს“, რომ ცარიზმს „ძლიერი“ საქართველო არაფერში ჭირდ-ებოდა და მოკავშირის ძებნა ისევ დასავლეთის სახელმწიფოებში დაიწყო. ასეთად მან გერმანიის იმპერატორი მიიჩნია და მიმოწერა ისევ პატრების მეშვეობით სცადა, თუმცა, მისი არც ერთი ეპის-ტოლე აღრესატამდე არ მისულა. ასე იყო, თუ ისე, კათოლიკე მისიონერებს ხელისუფლებამ თავისუფალი მოქმედების საშუალე-ბა მისცა, მაგრამ არც ეს იყო ხანგრძლივი, სულ მალე ცარისტულმა ხელისუფლებამ (ქართლ-კახეთი საკუთარ გუბერნიებად რომ აქ-ცია) მათ ფრთხი შეაკვეცა» [14].

«ო. ხერხეულიძის ცნობით, ერევნის „მოხარკეობა და სამსახ-ური“ საქართველოსადმი 1749 წლიდან დაწყებულა, როცა ქართულ ლაშქარს მაკმად-ხანის რბევისაგან დაუხსნია სახანო. „მოხარკეო-ბის“ ხასიათსა და შინაარსში გარკვევის საშუალებას გვაძლევენ ერევნის ხანის წერილები ერეკლე II-ისადმი, რომელთა ერთი ნაწ-ილი ჯერ კიდევ 1961 წ. გამოსცა ვლ. ფუთურიძემ. ამ საბუთების მოწმობით, ერევნის სახანოს ურთიერთობა ქართლ-კახეთის სამე-ფოსთან უბრალო მოხარკეობაზე კი არ ყოფილა აგებული, არამედ იგი პოლიტიკურად ექვემდებარებოდა მეზობელ ქართულ სამეფოს: 1. ხანის დამტკიცება ერეკლე II-ის უფლებას შეადგენდა და მისი დასტურის გარეშე იგი მმართველობას ვერ შეუდგებოდა. იყო შემთხ-ვევები, როცა ერევნის ხანის ტახტზე ქართული სამეფოსათვის არასასურველი პირი აღმოჩნდებოდა ხოლმე, მაგრამ ასეთი ხანის გადაყენებასა და უფრო სასურველი პირით შეცვლას ერეკლე თითქმის ყოველთვის ახერხებდა. 2. სახანოში ერეკლეს თავისი ოფიციალ-ური მუდმივი წარმომადგენელი ჰყავდა, რომელიც თვალყურს ადევნებ-და ხანის საქმიანობას (ამას ქართული წყაროებიც აღნიშნავენ). 3. ერეკლე II სახანოს საშინაო საქმეებშიც ერეოდა. XVIII ს. 80-იან წლებში მას ერევნის საბაჟოს იჯარა შეუმცირებია, რასაც ხანის დიდი გაჭირვება და წუხილი გამოუწვევია. და ბოლოს 4. გადა-კვეთილი ყოველწლიური ხარკიც ჩამოთვლილ პირობებში პოლი-ტიკური დაქვემდებარების დამადასტურებელი იყო. ქართლ-კახე-თის სამეფოს სასარგებლოდ დადგენილი ხარკის ოდენობა თუკი 1749 წ. შეთანხმებით ხუთი ათას თუმანს შეადგენდა, შემდეგში ეს თანდათან 40 ათას თუმანძე გადიდებულა. ო. ხერხეულიძის მიხედ-ვით, ეს დამოკიდებულება აღა-მაკმად-ხანის შემოსევამდე გაგრძელე-

ბულა, თუმცა, არც ამის შემდეგ მოშლილა ერთხელ დადგენილი ურთიერთობა. საგულისხმოა, რომ საქართველოს რუსეთთან შეთანხმების შემდეგაც ერევნის ხანი თავის სამმართველო ქვეყანას საქართველოს შემდგენლ ნაწილად მიიჩნევდა (І. აბაშიშვილი – აბაშიშვილი, „აბაშიშვილი აბაშიშვილი“ ბ. II, ტერ, 1868, გვ. 9-52.)

ამრიგად, ერევნის შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს პოლიტიკური დაქვემდებარების ქვეშ ნახევანის სახანოც მოექცა და აქ მდგომი ქართული გარნიზონი უკვე განჯა-ყარაბაღის სომხურ მოსახლეობას აღუძრავდა მფარველობის იმედს. ეროვნებით ქართველი ბამან-ხანი ადგილობრივი სომეხი ქრისტიანების მხარდაჭერით სარგებლობდა, რომელთაგან სპეციალური ჯარიც კი ჩამოუყალიბებიათ. ლეო მას კაცთმოვარე მმართველს უწოდებდა და ალნიშნავდა, რომ მის დროს სომხებმა შეძლეს სული მოეტქათ. ერევან-ნახევანის შემოერთება ქართლ-კახეთის გაძლიერების მორიგი აქტი იყო და, თავის მხრივ, ხელს უწყობდა ამიერკავკასიის ქრისტიანი ხალხების საქართველოს გარშემო დარაზმას» [11].

ასევე გიგვირს ადამიანს: თეიმურაზ მეფისა და ერეკლე მეფის მიერ სომხეთისთვის გაწეული სიკეთის წილ, მაღლიერების სანაცვლოდ, ღალატსა და სიმუხლეს როგორ ოტევენ სომეხნი გულსა და კონებაში. «XVIII ს-ის მეორე ნახევარში წარმოიშვა მახლობელი აღმოსავლეთის ხალხების „ქართული ორიენტაცია“, რაც ნათლად გამოიხატა ქართლ-კახეთის სამეფოსთან შეერთების მათ დაუცხრომელ მისწრაფებაში. ერთი სიტყვით, ქართლ-კახეთის სამეფო კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ქრისტიანი ხალხების განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური გამზღარიყო. მაგრამ ამ დიდი მისის შესრულება, რაც საკუთარი სახელმწიფოებრივი ამოცანების გადაჭრასაც გულისხმობდა, რუსეთის მხარდაჭერის გარეშე არ შეეძლო.

ამჯერად ელჩობას თვით თეიმურაზ II ჩაუდგა სათავეში. ქართველ პოლიტიკოსთა ამ ნაბიჯმა სომეხთა განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრო. უმაღლეს დონეზე გათვალისწინებული მოღაპარაკება იმდედის მეტ შესაძლებლობას იძლეოდა. ამიტომ სომეხთა განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწენი უფრო აქტიურად ამოძრავდნენ და შეეცადნენ მოღაპარაკებისათვის ყოველნაირად ხელი შეეწყოთ. ერევანში, მატენადარანის ხელნაწერთა ფონდებში დაცულია სრულიად სომეხთა კათოლიკოსის ჰაკობ შემახეცის წერილი, დათარიღებუ-

ლი 1760 წ. 26 ივნისით. კათოლიკოსი თხოვნით მიმართავს რუსეთის იმპერატორსა და მთავრობას, მხარი დაუჭიროს თეიმურაზ მეფეს და მფარველობა გაუწიოს ქართველ და სომეხ ხალხებს. წერილში ყურადღება აქცენტირებულია ლეკთა გაუთავებელი შემოსევების გამანადგურებელ შედეგებზე და ქართველი მეფების შეუპოვარ ბრძოლაზე მათ წინააღმდეგ. აღწერს რა ლეკთა საციიელს, სომეხთა კათალიკოსი წერს: „ასეთ აუწერელ უბედურებათა და გამოუთქმელ სიმწარეთა გამო გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქართველთა კურთხეული მეფე თეიმურაზი წამოვიდა თაგისი ქვეწიდან, საგზაო სიძნელენი და სხვადასხვა საზრუნავი თავს იდგა, ქრისტიანული რწმენით მოვიდა თქვენი კეთილმსახურების წინაშე, იმედი აქვს რა ყოვლისშემდლე ღმერთისა და მოელის რა თქვენი უწმინდესობის წყალობას, რათა დანარჩენ ქრისტიანთა ხსნის დახმარება და საშუალება გთხოვოთ, რომელნიც დიდი ლოცვითა და იმედით მოუთმენლად ელიან შველას. ამისთვის ჩვენც გეხვეწებით... მისი და ჩვენი თხოვნის შესასრულებლად იზრუნოთ... და ნუ დატოვებთ უყურადღებოდ და უიმედოდ ნუ ჰყოფთ დიდად მორწმუნე მეფესა მაგას, და ჩვენც, აქედან შემომავიდობელთ, არამედ, ვითარცა ზრუნავთ თქვენს კურთხეულ და გაფურჩქულ ერზე, გთხოვთ, ესევე ჩვენს საბრალო ერზე და ქართველთა ერზე იზრუნოთ...“.

განხილულ დოკუმენტში ყურადღებას იქცევს მეორე მნიშვნელოვანი მომენტიც: თეიმურაზი აქ დახასიათებულია არა მხოლოდ ქართველ, არამედ საერთო კავკასიელ ქრისტიანთა მოღვაწედ. კათალიკოსის განმარტებით, თეიმურაზი ასე შორს გაემზახვრა არა მარტო საქართველოს გამოსახსნელად, არამედ იმისათვისაც, რომ „დანარჩენ ქრისტიანთა ხსნის დახმარება“ ითავოთ. ამიტომ მოღაპარაკების შედეგებით ქართველებთან ერთად „დანარჩენი“ ანუ კავკასიის სხვა ქრისტიანებიც ისევე დაინტერესებული არიან.

თეიმურაზის ელჩობამ სომხური ბურჟუაზიის საზღვარგარეთული წრების დიდი დაინტერესება გამოიწვია. ისინი სომხური სახელმწიფოს აღდგენას ქართველ-სომეხთა კავშირის იდეასთან ერთად განიხილავდნენ და ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს შექმნის სხვადასხვა პროექტებს ამუშავებდნენ, ამიტომ ქართველი მეფის სათხოვარი პერსპექტივაში მათ ინტერესებს უშეაღლოდ უკავშირდებოდა. ამ მოღვაწეთა შორის სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის რუსეთის ცენტრის სათავეში იდგა

სომხური სავაჭრო კაპიტალის ერთ-ერთი უმსხვილესი წარმომადგენელი, რუსთის მრეწველი-მემამულე, „მისი უმაღლესობის იქპერატორის კარის გოფიუვილერი“ ივანე ლაზარევი. თეიმურაზ II-ის მოსკოვში ჩასვლისთანავე მან ახლო ურთიერთობა დაამყარა ქართველ მეფესთან და მნიშვნელოვანი სამსახურიც გაუწია. ამის გამო 1765 წ. 12 სექტემბრის წერილში ერეკლე II მადლობას უხდიდა ი. ლაზარევს (წერილის რუსული ასლი ინახება ლაზარიანთა არქივში).

თეიმურაზის პეტერბურგში ყოფნისას მასთან ურთიერთობა დაამყარა, აგრეთვე, ინდოეთის სომხური ბურუუზის წარმომადგენელმა, სომხეთის გათავისუფლებისა და სახელმწიფოებრივი ცხოვრების აღდგენისათვის ბრძოლის დიდმა ენთუზიასტმა იოსებ ემინმა.

...1762 წლიდან ერეკლე ქართლ-კახეთის ერთპიროვნული ხელმწიფე შეიქანა და უფრო უნერგოულად განაგრძო ამიერკავკასიაში ჰეგემონობის თავისი ტრადიციული პოლიტიკა.

კიდევ უფრო განმტკიცდა ერეკლეს მბრძანებლობა სომხეთში. იშვიათი ოსტატობით მოაგვარა ურთიერთობა მეზობლებთან. ერეკლესგან დაგალებულმა ქერიმ-ხანმა ოფიციალურად აღიარა ქართველი მეფის უპირატესობა ამიერკავკასიაში. ი. ხერხეულიძის მოწმობით, ირანის მმართველმა ერეკლეს „დაუმტკიცა ერევანი და მიუწერა ხანსა ერევნისასა: „შენ რაიცა ხარკი სახელმწიფო გედვას, ყოველსავე მეფეს ირაკლის მისცემდე და პმორჩილებდე, ვითარცა არს წესი მორჩილებისა მეფის ირაკლისა“. ირანსა და საქართველოს შორის პოლიტიკური საზღვარი კვლავ მდ. არეზზე გადიოდა“.

... 1765 წ. ივნისში ერეკლე II-მ ახალი ლაშქრობა მოაწყო ერენის სახანოზე. ეს ლაშქრობა საქაოდ დაწვრილებით აქვს აღწერილი სიმეონ ერევნელს თავის „მემუარებში“. კათალიკოსის თხრობიდან გამოვყოფთ რამდენიმე მნიშვნელოვან მომენტს. 12 ათასიანი ლაშქრით ერეკლე სახანოს ტერიტორიაზე შევიდა. ხანი წინააღმდეგობისათვის სამზადისს შეუდგა და მოსახლეობა ციხეში შეხიზნა, კათალიკოსის კი მისწერა: „ჩვენ ვიცით, რომ ის (ე.ი. ერეკლე II) თქვენი მეგობარია. ამის გამო არ მოგიყვანეთ ციხეში, რადგანაც მისგან არ მოგელოდათ თქვენ რაიმე ზიანიო“. კათალიკოსის მოწმობით, ხანა „წარეკა ქვეყანა“, რამაც მეფე ძალზე განარისხა. ერეკლე მეფე „ქრისტიანულად“ იქცევა: აწესებს კონტროლს თავისი ლაშქრის

მოქმედებაზე, რათა სომეხთა ნათესები არ დააზიანონ. კათალიკოსის თქმით, „მეფე მეტად სწუხს და ოხრავს ჩვენი ქვეყნის ხალხის უბედურების გამო“. თავისი მოქმედებით ქართველი მეფე ხაზს უსვამს, რომ ამ ქვეყანაში მოვიდა უცხო ძალის წინააღმდეგ და სომეხთა დასაცავად. ასევე ესმის ხანსაც: მისი დაცვა კათოლიკოსს არ სჭირდა. ქართველი მეფე სომეხთა მეცნიერია.

... საკუთარ სახელმწიფოებრიობას მოკლებული (სომხეთ-ა.უ.) ხალხის ერთადერთ დამაკავშირებელ და გამაერთიანებელ ძალად XVIII ს. სომხური ეკლესია გამოდიოდა, რომლის ხელი დედამიწაზე ყველგან სწვდებოდა, სადაც კი სომეხი ცხოვრობდა და სომხური სალოცავი იდგა. ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობის გამო დამპყორბლები ხელს უწყობდნენ მის ეკონომიკურ გაძლიერებას, სხვადასხვა შეღავათებსა და პრივილეგიებს ანიჭებდნენ, რათა შემდეგ სომეხივე ხალხის დამორჩილების მძლავრ იარაღად ექციათ თავის ხელში. თუნდაც უკვე ამ გარემოების გამო სომხურ ეკლესიას არ შეეძლო თავისი ერის მხსნელის სიმბიმე ეტვირთა. იგი მხოლოდ ეროვნული არსებობის შენარჩუნებისათვის იბრძოდა, რაც მისივე არსებობის მთავარი პირობა იყო, ხოლო თავისი მდგომარეობის განმტკიცების გარანტიას სარწმუნოებრივი ექსპანსიონ მრევლის გაზრდაში ხედავდა, რის გამოც იგი ქართულ ეკლესიასაც უპირისიპირდებოდა (ისევე, როგორც კათოლიკურს და ყველა სხვას, რომელთაც ამ მისწრაფებისათვის ხელის შეშლა შეეძლოთ), მიუხედავად იმისა, რომ ქართული სახელმწიფოს კეთილგანწყობილებას ამ ხანაშიც ეჩიმიაძინისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა.

ამიტომაც იყო, რომ სომხური განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეთა პროექტებში რუსეთის შესაძლებელი რეალური დახმარება-მფარველობის გეერდით მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა საქართველოსთან კავშირს. ამისავე მოწმობაა სომხური ფეოდალური გვარების მთელი რიგი წარმომადგენლების გადაწყვეტილება, რომლებიც, იძულებით მასტოვეს რა სამშობლო, დასახლდნენ საქართველოში, ქართული სახელმწიფოს სამსახურში ჩადგნენ და აქტიური მშენებელ-მოღვაწენი შეიქმნენ. საქართველოს გაძლიერება მათ სამშობლოს გამოხსნის შესაძლებლობის იმედს უსახავდა.

ამიტომაც იყო, რომ კავკასიის სომხური სავაჭრო წრეები თუმცა მხარს უჭერდნენ ერეკლე II-ის აბსოლუტისტურ მისწრაფებებს და ძლიერი კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ერეკლესულ

გეგმას იზიარებდნენ, მაგრამ, იმავ დროს, არც უცხო, დიდი სახელმწიფოს ფარგლებში (ირანი, რუსეთი) გაერთიანების წინააღმდეგნი იყვნენ, თუნდაც ამას ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება მოჰკოლოდა შედეგად.

... ბუნებრივია, რომ ქართველი მეფე (ერეკლე II –ა.უ.) დიდი ენთუზიაზმით შეხვდა სომები კაპიტალისტების ამ ინიციატივას და სომხური კაპიტალის ადგილიდან დასაძღვრელად პირველი პრაქტიკული ნაბიჯები გადადგა. შაამირ შაამირიანს ერეკლე II-მ თავადის ტიტული მიანიჭა და მფლობელობაში ლორე გადასცა, რითაც საშუალება მისცა, ამ ოლქში სომხური მოსახლეობა შემოკრიბა და მომავალი სახელმწიფოს ბირთვი შეექმნა. შორეული ინდოეთის სომხურ კოლონიასა და საქართველოს შორის მჭიდრო ურთიერთობა გაიბა. მადრასიდან ხშირად ჩამოდიოდნენ შ. შაამირიანის კაცები, რომელთაც, მდიდარ საჩუქრებთან ერთად, მომავალი ქართულ-სომხური ფედერაციული სახელმწიფოს პროექტები მოჰკონდათ. ინდოელ სომხებზე განსაკუთრებით დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია 1783 წ. ტრაქტატს. აღმოსავლეთ საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლა, ეტყობა, მათ თავისი გეგმების განხორციელების გარანტიად ესახებოდათ.

ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ, გიორგი XII-მ კიდევ ერთხელ სცადა მაღრასთან დაკავშირება, რისთვისაც 1799 წ. სექტემბერში თავისი წარმომადგენელი რაფიელ დანიბეგაშვილი გაგზავნა შაამირ შაამირიანის ვაჟთან. მეფე დიდხანს ელოდა შაამირიანის მექვიდრეებს და საგულდაგულოდ უნახავდა მათ ნაწყალობევ მამულს. საყურადღებოა, როცა იგი რუსეთის იმპერატორის შუამდგომლობით ლორეს ოლქში მელიქ ჯიმშიძს ასახლებდა, ამ უკანასკნელს პირობად დაუდო, რომ ლორეს მფლობელობა დროებით, შაამირიანის მექვიდრეების ჩამოსვლამდე, ეძლეოდა.

1783 წ. ტრაქტატის დადების შემდეგ ქართლ-კახეთის სამეფოს საგარეო მდგომარეობა ძალზე გართულდა, რის გამოც ქართველ-სომებთა ურთიერთობის შემდგომი განვითარების პერსპექტივები მნიშვნელოვნად შეიზღუდა. რუსთა დახმარებით ერეკლე II აღმ. ამიერკავკასიაზე თავისი ბატონობის შემდგომ განმტკიცებას და გაფართოებას ვარაუდობდა, სინამდვილეში კი საწინააღმდეგო შედეგი მიიღო. ოსმალეთმა სწრაფად აამოძრავა ერეკლეს წინააღმდეგ სამხრეთ აზერბაიჯანისა და ამიერკავკასიის ხანები,

დაღესტნის მთავრები. უფრო მეტიც, მეფეს გადაუდგნენ და ხარკი შეუწყვიტეს განჯამ და ერევანმა. ყაზახ-შამშადილუს თათრებიც კი მეფეს აღარ ემორჩილებოდნენ ამიტომ მას აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში აქტიურ პოლიტიკაზე კი არა, მდგომარეობის შენარჩუნებაზე უნდა ეზრუნა. მალე გაირკვა, რომ არც მისი მფარველი-მოკავშირე დიდი რუსეთი იყო ერეკლეს განსაკუთრებული გაძლიერების მომხრე. იგი საკუთარი ბატონობის გავრცელებისათვის იბრძოდა და თანაბრად აბამდა კავშირს როგორც ერეკლესთან, ისე სომხეთ-აზერბაიჯანის სახანოებთან. 80-იანი წლებისათვის რუსეთის მთავრობა სომხეთ-ალბანეთის სახელმწიფოს აღდგნას გეგმავდა თავისი პროტექტორატით და, გასაგებია, „სომებთა მეფის“ ტიტულისათვის მებძოლი ერეკლე ამ საქმეში მისთვის გამოუსადეგარი იყო. „მოვლენათა მთელი მსვლელობა უკვე აშკარად მოწმობდა, რომ ამიერკავკასიის არაქართველ ქრისტიანებზე ერეკლეს ბატონობა რუსეთს აღარ აწყობდა და ამიერიდან იგი ქართლ-კახეთის გაძლიერებასაც აღარ ისურვებდა.“

ერეკლეს გარდაცვალების შემდეგ აღმ. საქართველო კიდევ უფრო დამოკიდებული გახდა რუსეთზე. მაგრამ გიორგი XII ქართლ-კახეთის მეფის ძველ უფლებებზე ხელს მაინც არ იღებდა და ცდილობდა, უწინდელი გავლენა განჯისა და ერევნის სახანოებზე კვლავაც შეენარჩუნებინა. ისევ კრიტიკული იყო ფარაბალელი სომხების მდგომარეობა. ლეონ დახასიათებით, პოლიტიკურმა ვითარებამ ხამსას მელიქები საქართველოში მოიყვანა. შიმშილმა და აგადმყოფობამ სხვებიც აიძულა ქართულ მიწაზე გადასულიყვნენ და იქ მოქცეულიყვნენ თავიანთ ძველ ბატონთა ძალაუფლების ქვეშ. სომებთა საკითხმა, ჩაქრა რა ყარაბაღში, თავისი უკანასკნელი ნაპერწკლები მეზობელ ქაფანაში გადაიტანა. ყარაბაღში სამარისებური სიჩუმე სუფევდა, ხოლო საქართველოში ახალი ცდები ტარდებოდა ამ საკითხის გასაცოცხლებლად.

საკითხის გამოცოცხლება იმაში გამოიხატა, რომ რუსეთის იმპერატორის შუამდგომლობით, ქართლ-კახეთის უკანასკნელმა მეფემ ყარაბაღელი სომხები ლორე-ყაზახში დაასახლა. სომებთა გარკვეული პოლიტიკური წრები იცნებოდნენ, საქართველოს ტერიტორიაზე ხამსას ახალი ავტონომიური ქვეყანა შეექმნათ, მაგრამ მას ახდენა არ ეწერა. თვით საქართველოს საკითხიც უკვე გადაწყვეტილი იყო რუსეთის იმპერიის სასარგებლოდ» [11].

4. რუსეთის პოლიტიკა საქართველოში. პასკევიჩები, ბებუთოვები – ქართველთა გენოციდის შემოქმედნი.

რუსის ჯარის შემოსვლის შეძლევ დამყარებული მშეიდობა ძალიან ძვირად დაუჯდა საქართველოს. «რუსეთის ხელისუფლებამ საქართველოში ქართველების წინააღმდეგ სომხები გაიხადა საყრდენად, ძალზედ მოამრავლა სომხური მოსახლეობაც ჩვენს ქვეყანაში, XIX საუკუნეში სომხები შემოესივნენ საქართველოს. 1812 წლის კახეთის აჯანყების დროს რუსეთის ხელისუფლებისათვის დიდი სამსახური გაუწევია საქართველოს სომხურ მოსახლეობას ქართველთა ამბოხების ჩატობის მიზნით. ამის გამო რუსეთის იმპერატორმა, ალექსანდრე I-მა სამადლობელი სიგელი გამოუგზავნა საქართველოში მცხოვრებ სომხებს, რომელშიც ეს სომხები რუსეთის ბურჯად მიიჩნია ქართველთა „ურჩობის“ ალაგმების საქმეში» [21].

«სამხრეთისკენ რუსეთის სწრაფვის ზრდამ კი თურქეთს ახალციხის საფაშოს ნაწილი გამოგლივა (8 სანჯაყი, 8 ისევ მათ დარჩათ). თითქოს იქ მცხოვრებ ქართველობას უნდა ამოესუნთქა, დაბრუნებოდნენ მშობლის კალთას და რელიგიას, მაგრამ ეს რუსეთის ხელისუფლებას ხელს არ აძლევდა, მას სახაზინოდ ცარიელი მიწები სჭირდებოდა, ამიტომაც ყველა ლონე იხმარა მაპმადიან ქართველთა (თავს „იერლი“-სა და „ბანალი“-ს – აქაურობის ბინადარს რომ უწოდებდნენ) თურქეთში მასობრივი გადასახლებისათვის» [14].

«ამგვარი ვითარება ხელსაყრელი იყო სომხებისათვის და მათ იწყეს დენა საქართველოში. 1828 და 1829 წლებში, როდესაც რუსეთი ომს აწარმოებდა სპარსეთთან და ოსმალეთთან, ერთი უმთავრესი პირობა მშვიდობისა ამ ორთავ დამარცხებული მთავრობის მიმართ ის იყო, რომ სომხებს, ვისაც კი უნდოდა, თავისუფლება ჰქონდათ საქართველოში გადმოსახლებისა. ამ ამბავს ყველა სომხი დიდის სიხარულით შეხვდა და მათ დაუყოვნებლივ დაიწყეს გადმოსახლება. სპარსეთიდან, მიუხედავად სპარსეთის ხელისუფლების წინააღმდეგობისა, პოლკოვნიკ ლაზარევის დახმარებით, რომელსაც რუსეთის მთავრობისაგან დავალებული ჰქონდა ამ გადმოსახლების

ხელშეწყობა, 40000 სულზე მეტი - თითქმის მთლიანად, გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში. ასევე ოსმალეთიდან: თითქმის მთლიანად დაიცალა სამი საფაშო პროვინცია ბაიაზეთის, არზრუმის და ყარსისა. გადმოსახლებულთა რიცხვი 70000 აღმატებოდა (Revue des Deux Mondes, 1854, t. 6, p. 217; Journal Asiatique, 1834, tom. 1, p. 322 და ა.შ.). აქვე დავამატოთ 1895 წლის შეძლევ ისმალეთიდან გამოქცეული სომხებიც, რომლებიც ათასობით შემოეხიზნენ საქართველოს» [4].

«საომარ მოქმედებებს პასკევიჩი აწარმოებდა. ის იყო საფაშოს სრული ბატონ-პატრონი და, რაც მოესურვებოდა, იმას სჩადიოდა. ადგილობრივი მოსახლეობა მან თურქებად მონათლა, თუმცალა, 1832 წლის აღწერით, თვით ევიცპი აღიარებდა, რომ ესენი ომარის სუქტის აღმსარებელი ახლად მოქცეული ქართველები იყვნენ („ბაბაების ბაბაები აბაბაები აბაბაები აბაბაები“) – „ბევრმა მათგანმა დღემდე შეინახა თავისი ქართული გვარი, ახლა კი ზოგი მათგანი ისევ ქრისტიანობას დაუბრუნდა“ („ბაბაების ბაბაები აბაბაები აბაბაები აბაბაები აბაბაები“). (გვ. 137).

ბევრმა მაპმადიანმა ქართველმა კვლავ ითხოვა, ისინი მართლმადიდებლობისათვის დაებრუნებინათ, მაგრამ... „1840 წ. სტატსკი სოვეტნიკ ბულგაკოვთან გამოცხადდნენ ქვაბლიანის, ფოცხოვის, აბასთუმნის სანჯაყ-ბეგები, ძველ ქართველ თავადთა შთამომავალინი და განაცხადეს – ჩვენი სურვილია, დავუბრუნდეთ ჩვენი წინაპრების ძველ ქართველ, ქრისტიანულ სარწმუნოებას მთელი ჩვენი მხარის მცხოვრებლებთან ერთად, თუ მთავრობა ისეთივე პირობებს შეგვიქმნის, როგორც ქართველ თავადაზნაურობას აქვსო. პეტრბურგიდან ბულგაკოვი დაამშვიდეს და განუმარტეს, რომ შემოერთებულ მხარეში მთავარ ამოცანას წარმოადგენდა სახაზინო მიწების გაზრდა. ყველაფერი გასაგები იყო. ჩვენგან ამგვარად „ზურგშეკცეულმა“ ქართველმა მაპმადიანებმა თავადაც ზურგი შეგვაციეს და თურქთა მფლობელობაში დარჩენილი სანჯაყების მოსახლეობას დაუკავშირდნენ“ (შ. ლომსაძე).

„ეს რუსული პოლიტიკა იყო. მთავრობა სამცხე-ჯავახეთში კაზაკთა დაბების მოწყობას აპირებდა, რომ სამხრეთის საზღვარი ჩაკეტილი ჰქონდა, სწორედ ამისთვის სჭირდებოდა აქაურობა სახაზინო მიწებად. ცოტა უფრო ადრე, 1810 წ. იმერეთის ოლქის დროებითი მმართველობის მიერ შემუშავდა პროექტი, რომლის

მიხედვითაც იმერეთის სახაზინო გლეხთა ერთი ნაწილი ახალციხის შემოერთების შემთხვევაში იქ უნდა დასახლებულიყო. მაგრამ იმდროინდელი საქართველოს მთავარმმართველობამ ეს პროექტი ვითომც დაივიწყა და იმერელთა მოთხოვნა ყურად არ იღო“ (შ. ლომსაძე).

უფრო მეტიც, პასკევიჩს ოფიციალურად მიმართა ქართლისა და იმერეთის თავადაზნაურობამ, რომ ქართველ მეფეთაგან სიგელ-გუჯარით ბოძებული მამულები მათთვის დაებრუნებინათ. სარდალმა ეს ნაწყალობები მიწები მათ არ დაუბრუნა, ცნობად არ ჩათვალა სიგელ-გუჯარები, რადგან დიდი ხნის დაკარგული ჰქონდათ მიწები და არც ჩამოსახლების ნება დართო მათ. პირიქით, გაწყრა და განრისხდა იმის გამო, რომ მათ გაბეჭდეს ასეთი საკითხის წამოჭრა. ამით კიდევ ერთხელ გამოიკვეთა ცარისტული რეუიმის მიზნები – მათ სამცხეში ქართველები არ სჭირდებოდათ და არც უფლებას აძლევდნენ, საკუთარ წინაპართა მიწებზე დასახლებულიყვნენ.

და აი, სწორედ პასკევიჩმა შეიმუშავა ახალი პროექტი: არზრუმელი და ბაიაზეთელი სომხები უნდა დაესახლებინათ იქ, ერთი ნაწილი ახალციხის საფაშოში, მეორე – თრიალეთსა და ქვემო ქართლის დაუსახლებელ მიდამოებში, აგრეთვე, ყარსის საფაშოს შემოერთებულ ნაწილში და სომხეთის ოლქის ზემო მხარეში. ეს პროექტი მთავრობამ ყველა სხვა დანარჩენს ამჯობინა! თუ რუკაზე ამ ტერიტორიებს მოვნიშნავთ, აღმოჩნდება, რომ ეს არის მთელი ისტორიული ქართლის ნახევარი – თრიალეთ-ტაშირიდან მოყოლებული მტკვრის მთლიანი მარჯვენა სანაპიროს ჩათვლით. ეს იყო „სომეხ მეცნიერთა“ მიერ ნანატრი „დიდი არმენია“ (სომხეთის ოლქიც ხომ რუსებმა შექმნეს)! დღეს ძნელია იმის თქმა, როგორ და ვისი კარნახით შექმნა პასკევიჩმა ეს პროექტი, „ზემოდან“ უკარნახეს, თუ ისიც ქრთამს დახარბდა, მაგრამ ფაქტი კი ერთია – რუსეთი რაღაც ახალ სახელმწიფოს ქმნიდა საქართველოს ხარჯზე, რომ სამხრეთის საზღვართან „ერთგული“ ხალხი ჰყოლოდა „დაბმული“.

„რუსის სექტანტების ჩამოსახლებით მთავრობა ფიქრობდა, რომ ცენტრალურ გუბერნიებს გაათავისუფლებდა ერეტიკოსებისაგან, კავკასიაში მათი ჩამოსახლებით მოჰკვებდა პოლიტიკურ სიმტკიცეს; ხელს შეუწყობდა აღგილობრივი მოსახლეობის გარუსებას და წინ წასწევდა მრეწველობის განვითარების საქმეს“ (შ. ლომსაძე).

ახალციხის აღებისთანავე გენერალ-ფელდმარშალმა პასკევიჩმა 1828 წ. აგვისტოს შექმნა ახალციხის საფაშოს დაპყრობილი მხარის ახალი საოლქო დროებითი მთავრობა, რომლის უფროსად დანიშნა გენერალი თავადი ვასილ ბებუთოვი, რომელიც გრიგორიანული სარწმუნოების ქართველ თავადაზნაურობას განეკუთვნებოდა. ფაქტობრივად, ყველაფერს ვასილ ბებუთოვი განაგებდა რამოდენიმე ერთგული პირის მეშვეობით, ამოქმედა თავისი მოხელენი და შეეცადნენ, რაც შეიძლება მეტი აღგილობრივი მოსახლეობა აეყარათ, მიმართავლნენ პროპაგანდას, შანტაჟს, დაშინებას, მუქარას. ეს მუქარა ისე დიდი იყო, რომ თვით ქრისტიანი ქართველებიც შეშინდნენ. 18 თვეში უნდა დასრულებულიყო გადასახლება-გადმოსახლების საკითხი. მაპმადიანები ჩქარობდნენ, რომ დადგენილ დროში მოესწროთ მამულების გაყიდვა. დროებითი მთავრობა ჩალის ფასად აყიდინებდა მათ რუსთათვის სასურველ პირებზე (რაღა თქმა უნდა, არაქართველებზე). სწორედ ამ დროს მნიშვნელოვანი მამულები შეიძინა გრიგორიანულმა ეკლესიამ. „კარაპეტ არქიეპისკოპოსების მიერ შეძენილი მამულების შემოსავალი შემდეგ სომხური სკოლის გახსნასა და სხვა სომხურ ეროვნულ საქმეს ხმარდებოდა“ (შ. ლომსაძე).

1828 წლის ბოლოდანვე დაიწყეს სომხების ჩამოსახლება გრაფ ჩერნიშევსკის პროექტით. სომხებს უნდა შექმნათ ნახევრად სამხედრო დასახლებები და გაეიოლებინათ სამხრეთ საზღვრების დაცვა.

გადმოსახლების მთავარი მიზანი ის იყო, რომ კოლონისტებს ახალ საცხოვრებელზე განევითარებინათ ვაჭრობა-მრეწველობა და შექმნათ პირობები მთელი მხარის ეკონომიკური დაწინაურებისათვის. უკვე 1839 წ. მაისში არზრუმელმა სომხებმა დაიწყეს ჩამოსახლება. სამზადისი 3000 ოჯახზე იყო გათვლილი, ჩამოვიდა – 5000. „ამან გამოიწვია ის, რომ კოლონისტები წინასწარ გამოყოფილ სახაზინო მიწებზე ვერ დაეტივნენ და თვითნებურად დაიკავეს საეკლესიო და საბატონო მიწებიც. ამის შესხებ დრეშერმა (პოლკოვნიკი, ბებუთოვის გუნდის წევრი, ქალაქის მთავარი პოლიცმაისტერი – ა.უ.) კომიტეტს დროზე არც კი შეატყობინა“ (პეტერი, ბ. VII, წ. 844).

„იყო შემთხვევა, როცა გადმოსული უბინაო კოლონისტები დაერივნენ ქალაქის ძველ მცხოვრებლებს, მოხუცებს, ქვრივ-ობლებს და ძალით უსახლდებოდნენ სახლებში, ართმევლნენ საკუთარ საცხ-

ოვრებლებს, დაზარალებულები კი ამაოდ წერდნენ საჩივრის არ-ზებს, უნდოდათ მიტაცებული სახლ-კარის დაბრუნება, დავობდნენ დიდხანს და ბოლოს ყველაფერი იმით თავდებოდა, რომ ან იყრე-ბოდნენ და მიდიოდნენ ახალციხიდან, ან ურიგდებოდნენ მდგომარ-ეობას. იყო შემთხვევები, როცა კოლონისტები თვითნებურად იტა-ცებდნენ სხვა სოფლის მიწის ნაკვეთებს“¹. მთავრობა ადგილობრივ მოსახლეობას კი თურქს უწოდებდა; მოუწოდებდა, წასულიყო თავის „ისტორიულ“ თურქეთში და რაღატომ დაიცავდა?

ახალციხის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდ-ში ივანე გვარამაძის მოგონებები ინახება, სადაც ჩანს კოლონისტთა თავზეხელალებული თვითნებობა და უკიდურესი სითავხედე, რომელიც „მარად სამახსოვრო ნაშებს, ციხე-კოშპოთ, ეკლესიებს გვირდვევნ და გვიქცევნ, მონასტრებს გვაცლიან ხელთაგან, ხატებს გვიძარცვავნ, ძვირფას ნივთებს აფორიაქებენ და სასახელო და სასარგებლო რამებს აღარ გვარჩენენ“². ახალმა მშენებლობებმა მოსპო ჯავახე-თის ტყე, დაიღუპა ძველი, დიდებული ქართული ძეგლები. დილ-ისკის, ხულგუმოს, სულდის, თამარაშენისა და სხვა სოფლის ეკ-ლესიების მასალა მათ ახალმშენებლობებზე გამოიყენეს. ამას ის-ტორიის მოსპობა და წარსულის ამოძირკვა ჰქონია, რომ მერე ცოტა სხვა რამ ამტკიცო – ამ მიწაზე შენი ავტოქტონობა. რაც მთავარია, მთავრობა ამაზე თვალებს ხუჭავდა, ვერ ამჩნევდა ახალმოსულთა თვითნებობას და ისევ ადგილობრივებს თრგუნავდა, რომ სომხები-სათვის „სასათბურე“ პირობები შეექმნა. ამას ისიც დაერთო, რომ თანდათან იმ ადგილებიდან მთლიანად გაასახლეს არასომები მო-სახლეობა.

„ჩამოსახლდნენ სომხები თურქეთის მხრიდან, – შენიშნავდა ვერ-მიშვი, – ახალქალაქის მაზრა თითქმის დაფარუს მჭიდრო მოსახლე-ობით, რომელთა შორის ოაზისებად დარჩნენ ქართული სოფლები. მათში ყოველმხრივ იყო გაღვივებული ნაციონალური შეგნება. ქვეყანა ისეთ სახეს იღებდა, – წერდა ზაგურსკი, – თითქოს იგი თავიდანვე სომხებით ყოფილიყოს დასახლებული“ (შ. ლომსაძე)» [14].

«ახალქალაქის მაზრაში მთავრობამ შექმნა ეკონომიკური უთა-ნასწორობა გადმოსახლებულ და ადგილობრივ ქართველ გლეხთა შორის. სოფელ ხერთვისში, მაგალითად, სადაც ქართველები ცხ-ოვრობენ, თითოეულ კომლს აქვს 2.89 დეს. მიწა; საიჯარო მიწაც რომ მოუმატო, თითოეული კომლის ხელში 3.52 დეს. მიწაა.

სომხებს ამ მხარეში უჭირავთ 40.50.100 დეს. კომლზე. ზემოხ-სენებულ მაზრაში ქართველები დაუძლებურდნენ და ჩამორჩნენ. ამ პროვინციებში ძველად ყვაოდა კულტურა» [18].

«სომებს ხალხს კავკასიის რუსული ადმინისტრაცია, ქართველ ხალხთან შედარებით, ყოველთვის მეტ უპირატესობას აძლევდა. ამის წყალობით მთელი საქართველო თითქმის სომხებს ჩაუვარდ-ათ ხელში. თურქეთიდან გადმოსახლებული 200.000-ზე მეტი სომები დასახლდა საქართველოში. მათ დაიკავეს სამცხეს, ბორჩალოს, ახ-ალქალაქის, ახალციხის მაზრები. ისინი საშინლად აგირობდნენ ქართველებს. რუსულმა ბიუროკრატიამ, ნაცვლად იმისა, სიყვარუ-ლით და სიმდაბლით ჰქონოდა გული ავსებული იმიტომ, რომ ქართველებმა რუსული არწივის ფრთხებს შეაფარეს თავი, მათ ხარ-ბი ექსპლოატატორები – სომხები შეუსია. ამ საქმეში წინასწარ ჩაფიქრებული მიზანი ამოძრავებდათ – ხელოვნურად დაემსხვრიათ ქართველთა და თურქულ-თაორული წარმოშობის ხალხთა კო-მპაქტური მასა და ამგვარად შეექმნათ, თითქოსდა, საჭირო უპი-რატესობა ადგილობრივ აბორიგენებზე.

ახალციხის და ახალქალაქის მაზრები, რომლებიც ამჟამად ქართ-ლის გულს წარმოადგენენ, სომხების დასახლების შემდეგ ქართველებ-ისათვის დაკარგული აღმოჩნდა. ასეულობით გადარჩენილი ტაძარი და მონასტრები, ქართველი ხალხის საუკუნეობრივი სიმდიდრე, ათა-სობით ნახევრად იავარყოფილი სოფელი წილად ხვდა ვიღაც უცხო მოსულებს. მათ ხელთ იგდეს ქართველი ხალხის ეროვნული პოე-ტის, შოთა რუსთაველის სამშობლოს საუკუნეობრივი ავლადიდება. ქართველი მართლმადიდებლების „უპატიოსნესი“ და უანგარო მოამაგე რუსიფიკატორები ამრავლებდნენ სომხურ სკოლებს და მეგობრობდნენ სომებს მაგნატებობა და მღვდელობრივი ურთისესობანის შედეგის შედიოდა! ამი-ტომაც დაამკვიდრა უკანონობა და მთელი ძალაუფლება პასკევის უწყველობა, მან კი ვასილ ბებუთოვი გაიხადა მარჯვენა ხელად, ის ვასილ ბებუთოვი, გრიგორიანული ეკლესიის მრევლი რომ იყო. მას ისე სძულდა მაპმადიანი ქართველები, რომ მათი ამ მიწიდან საერ-თოდ ამიძირება გადაწყვეტა. სამწუხაროდ, ვასილ ბებუთოვს (ქართვ-ელ თავადს) მაპმადიანი ქართველები კი არა, საერთოდ ქართველე-ბი სძულდა და არავის იმდენი ზიანი არ მოუტანია ჩვენთვის, როგორც მას. სწორედ მისი მეშვეობით მესხეთში ისეთი მდგომარ-

«ეს კი სწორედაც რომ რუსეთის პოლიტიკაში შედიოდა! ამი-ტომაც დაამკვიდრა უკანონობა და მთელი ძალაუფლება პასკევის უწყველობა, მან კი ვასილ ბებუთოვი გაიხადა მარჯვენა ხელად, ის ვასილ ბებუთოვი, გრიგორიანული ეკლესიის მრევლი რომ იყო. მას ისე სძულდა მაპმადიანი ქართველები, რომ მათი ამ მიწიდან საერ-თოდ ამიძირება გადაწყვეტა. სამწუხაროდ, ვასილ ბებუთოვს (ქართვ-ელ თავადს) მაპმადიანი ქართველები კი არა, საერთოდ ქართველე-ბი სძულდა და არავის იმდენი ზიანი არ მოუტანია ჩვენთვის, როგორც მას. სწორედ მისი მეშვეობით მესხეთში ისეთი მდგომარ-

ეობა შეიქმნა, რომ ადგილობრივი რუსული მმართველობაც კი შეშფოთდა. მთავარმმართებელმა ბარონმა გიორგი როზენმა სპეციალური კომისიაც კი მოიწვია. ფილიპოვისა და სნაქსაროვის რევიზის შედეგად მან 1834 წ. ჩათვალა, რომ მამულების ყიდვა-გაყიდვაში ჩადენილი ყველა დანაშაული მხოლოდ საფაშოს დროებით მმართველობას მიეწერებოდა და დამნაშავეთა პასუხისმგებაში მიცემა მოითხოვა.

მაინც რა ბრალი მიუძღვოდა დროებით მმართველობას?

მას მამულების გაყიდვის უფლება მხოლოდ თურქეთში წამსვლელთათვის უნდა მიეცა. სინამდვილეში ამ დადგენილებით ისარგებლეს და ყველა მკვიდრ ბეგსა და აღას დართეს ნება, მათ, ვინც თურქეთში არ მიღიოდა, თუ, რა თქმა უნდა, მათ მამულს იყიდდა ბებუთოვის შეხედულებისათვის სარგო პირი (ÖÄÈÄË, ტ. 1268, რ. 1, ს. 149, რ. 75).

„ამასთან, იყო შემთხვევები, როცა საადგილმამულო (ყიდვა-გაყიდვის) აქტები ხდებოდა უკვე გარდაცვლილი, უგზოუკვლოდ დაკარგული, ან თურქეთში გაქცეული სიფაპის მამულზე; აქტზე არც მოწმე, არც გამყიდველი არ აწერდა ხელს, მთელი აქტი დაწერილი იყო მარტო მდიგნის ხელით და შემოწმებული ბებუთოვის ხელმოწერითა და ბეჭდით. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი მნიშვნელობა საფაშოს უფროსის რეზოლუციას ენიჭებოდა“ (შ. ლომსაძე).

ერთი სიტყვით, თვით რუსებმა აღმოაჩინეს მრავალი სიყალბე. აქვე ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ თვით გამყიდველის მიერ ხელმოწერილ ღოკუმენტებშიც იყო სიყალბები და ამას სულ უბრალოდ ახერხებდა დროებითი მმართველობა. „ადგილობრივი ბეგები თავიანთ თხოვნებს მამულის გაყიდვის შესახებ წერდნენ ქართულად, ნასყიდობის აქტები მაინც დაებოდა თურქულ ენაზე, რომელიც ორივე მხარისთვის გაუგებარი იყო. ეს გზა უფრო საიმედო ჩანდა სიყალბის ჩასადგნად. ნიშანდობლივია ისიც, რომ ე. ბებუთოვს ამ საქმეების მოგვარება დაგალებული ჰქონდა მდივან-თარჯიმან აკოფა დავარანოვისათვის, რომელიც, როგორც 30-იანი წლების ღოკუმენტებშია აღნიშნული, ბებუთოვის ყველა სიყალბის მონაწილე იყო. დაგარანოვი იძლენად ცრულდა, რომ მის მიერ თურქულიდან თარგმნილი წერილების ტექსტებსაც კი სხვას ამოწმებინებდნენ“ (შ. ლომსაძე). ყველაფერი იმისთვის კეთდებოდა, რომ მოესპორ ადგილობრივ ფეოდალთა კლასი, რაც, თავის მხრივ, სოციალურ-

ეკონომიკური წყობის მოშლისა და მჭიდროდ ჩამოყალიბებული მეურნეობის რღვევის, ხოლო შემდგომ მოსპობის საშუალება იყო. ერთი სიტყვით, ქართველისა და ქართველობის ამობირკვა სულ რამდენიმე საშუალებით შეიძლებოდა: 1) ფეოდალთა კლასის განადგურებით; 2) სოციალურ-ეკონომიკური წყობის მოშლით; 3) ადგილობრივი მოსახლეობის აყრით; 4) მართლმადიდებლური და ლათინური რიტის (კათოლიკური) ეკლესიების მოსპობით.

საქმე იქამდე მივიდა, რომ მესხეთმა თავისი მოსახლეობის 80% დაპყარობა. ნაწილი ძალითაც კი აპყარეს და გადაასახლეს. ეს ძალით გადასახლება ჯერ კიდევ 1810 წ. ტორმასოვმა დაიწყო, თურქებთან ომი რომ წააგო. მაშინ 1500 ქართული ოჯახი აპყარეს და ლორესა და შიდა ქართლის ტერიტორიაზე ჩასახლეს. ნაწილი მაკმადიანი მესხებისა პროპაგანდის შედეგად თვითონ გადასახლდა თურქეთში, ნაწილი – თურქებად მონათლეს და ძალით აპყარეს. ხოლო ის, ვინც არ აპირებდა მაბა-პაპის მიწიდან აყრას, ან გაწყვიტეს, ან კოლონისტები ჩაუსახლეს და ყველა პირობა შეუქმნეს ასიმილირებისათვის.

ბებუთოვმა ერთი ხერხიც იხმარა: 1829 წ. 20 თებერვალს აჭარელი ახმედ-ფაშას ნაწილები რომ შეიჭრნენ ახალციხეში, მან ციხის კარი ჩარაზა და ქალაქის ძლივს გადარჩენილი მოსახლეობა (რუსების მიერ ახალციხის აღების შემდეგ) ბედის ანაბარა დატოვა. მათი უმრავლესობა მომმის ხელმა იმსხვერპლა, ბებუთოვმა კი თავისი საქციელი სამხედრო აუცილებლობით ახსნა.

შედეგი კი ის იყო, რომ მთელი ისტორიული მესხეთი დაიცალა ქართველობისაგან. ამით ისარგებლეს ვაჭარ-მარკიტანტებმა და ღიღძალი მამულები შეიძინეს, რითაც ფეოდალთა რანგში აღზევდნენ (ესეც ბებუთოვის ერთ-ერთი დანაშაულთაგანი იყო), ხოლო შემდეგ ქართულ თავადაზნაურობასთან ერთად მიეცათ ყველა პრივილეგია, ყველაზე ღიღძი მიწის მფლობელი კი სომხური ეკლესია გახდა.

სწორედ ეს ბრალდებები წაუყენა როზენმა საფაშოს მაშინდელ დროებით მთავრობას, მაგრამ „ყველა გზა“ იმპერატორის უსაყვარლეს სარდლამდე – პასკევიჩიამდე მიდიოდა და ისევ მან ითავაყველივეს „ჩაფარცხავა“ და ეს მშვენიერად მოახერხა. ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ 1840 წ. ივლისში მბრძანებელმა სპეციალური რესერიპტი გამოსცა, რითაც ყველას ყველაფერი ეპატია და ამით კი არსებული დემოგრაფიული სიტუაცია დაკანონდა მესხეთში» [14].

5. ამგვარად ...

«ყველას, ვისაც ჭეშმარიტება უყვარს, აქ მოყვანილი ისტორიული საბუთებიდან შეუძლია ცხადად დაინახოს, თუ რაოდენ სტყუიან სომხის მწერლები, როდესაც საქართველოში თავიანთ გადმოსახლებას აწერენ XII, XI, X და უფრო აღრეულ პერიოდებს» [4].

«XII-XIII საუკუნეებამდე სომეხი არ ეცდებოდა საქართველოში ჩამოსვლას და აქ საცხოვრებლად დარჩენას. ამისთანა მდგომარეობაში მხოლოდ სამშობლოს სიყვარულს შეუძლო დაუკავებინა თავისი შვილები და არა უცხოელნი, რომელთაც მამულისა არაფერი ცხოთ.

ისტორიული მასალებით დადგენილია, რომ სომხების გადმოსახლება – დამკიდრება საქართველოში XVII საუკუნიდან იწყება. საქართველოს რუსეთის მფარველობის ქვეშ შესვლის დროს (1783 წ.) კახეთისა და ქართლის სამეფოებში, კავკასიის ქალაქებში და ქართველთა მეფე ერეკლე II დაქვემდებარებაში მყოფ სომხეთისა და აზერბაიჯანის ქალაქებში, – ერევანისა და განჯის მიწებიანად, ქართველები, სომხები, ბერძნები, მუსულმანები (მაჰმადიანები), მთის სხვადასხვა ხალხი და ქურთები სულ შეადგენდნენ 42 000 კომლს.

სომხებმა ერთდროულად ორ სკამზე იწყეს ჯდომა, ორმაგი კავშირის შეკვრის ეშმაკური გზა აირჩიეს. ერთის მხრივ, მეფე ერეკლე II ან გიორგი მეფესთან თვალთმაქცობდნენ, საქართველოში შემოიხიზნებოდნენ ხოლმე, ვითარცა დევნილნი და აქ შედარებით მყედრო თავშესაფარს პოულობდნენ; იმავე დროს, მეორე მხრივ, იღუმალ რუსეთის მფარველობას ამოეფარებოდნენ ხოლმე და საქართველოში რუსეთის მთავრობის დახმარებით თავიანთ საქმეს იკოთხდნენ.

ქვემო ქართლში, ე.წ. სომხითში და ლორეში – წერს ივანე ჯავახიშვილი, – მელიქ აბოს გარდა არავინ დასახლებულა. ის მაშინაც, როცა საქართველო რუსეთს შეუერთდა თითქმის უკაცრიელი იყო და მხოლოდ 1827-29 წლებში, როდესაც ოსმალეთითან 106000 სული მცხოვრები, ხოლო სპარსეთითან 30000 სული შემოიხიზნა და ნაწილი მათგანი ბორჩალოსა და ახალციხის მაზრაში, ნაწილი კიდევ ერევნის გუბერნიაში დაეშნა, მხოლოდ ამ დროითგან მოყოლებული ჩნდება ქვემო ქართლში მჭიდრო და შედარებით

მრავალრიცხოვანი სომეხთა მოსახლეობა (ივანენკო, ბენდიშეც აშშაშა). იქ დ. ე ზაბაზაბიშვილი სომხები თეთრიწყაროს რაიონის ტერიტორიაზე იმ ქართულ ნასოფლარებზე დასახლდნენ, რომლებიც შეტანილია ვახუშტი ბატონიშვილის რუკაზე და აღწერის აქტებში. გადმოსახლებულთა ყველა ოჯახი, მცირე გამონაკლისის გარდა, დასახლებული იქნა დღევანდველი ახალციხის, ახალქალაქის, ბოგდანოვკის, მარნეულის, ბოლნისის, წალკის რაიონების ტერიტორიაზე და თბილისში. მარტო ახალციხის მაზრის ტერიტორიაზე დასახლებული იქნა 24752 სული სომეხი. თეთრი წყაროს ტერიტორიაზე მოსული სომხები, როგორც უკვე ითქვა, დასახლდნენ სოფლებში: სამღერეთი, სამშვილდე, დაღეთ-ხაჩინი, პატარა დაღეთი, დიდი დურნუკი, პატარა დურნუკი. 1828-1829 წ. წ. ზავის შემდეგ ახალციხეში 106000 სომხი შემოვდა (იხ. ა. ე. აბაშე-ები, ნ-ა, 1904, წბ. 15-19).

სომეხ ხალხს ქართველი ხალხი ძმურად იღებდა და თავშესაფარს აძლევდა. გადმოხვეწილმა სომხობამ საქართველოში ჰპოვა თავისი მეორე სამშობლო. გაზეთ „მშაკის“ (გამოდიოდა 1882 წლიდან) ერთ ფელეტონში ამ გაზეთის დამაარსებელმა, გრიქურ არწრუნმა აღნიშნა, რომ სომხები ყოველთვის ქართველებს უფრო ეწყობოდნენ, ვინემ სხვა ტომისა და ერის ხალხს» [22].

სომეხთა საქართველოში მომძლავრების შემხედვარე ზოგიერთი ქართველი მამულიშვილი საღად აფასებდა ვითარებას. «სახელმწიფოს ინტერესი ითხოვდა, რომ ქართველებს ხელი მოეკიდათ ვაჭრობისთვისაც. ამიტომაც წერს იოანე ბაგრატიონი თავის „სჯულდებაში“: „პირველი საქმე არს, რითაც შეიძლებოდეს ვაჭრობა დავაგვაროთ ქართველთა კაცთა შორის. ამისთვის, რომელ რისაც სარწმუნოება არის მეფე და ერნი, ვაჭარნიცა მისივე სარწმუნოებისა არის მეფე და ერნი, ვაჭარნიცა მისივე სარწმუნოებისანი უმჯობეს იქმნებან. ჩენ თითქმის სომხების და თათრების ვაჭრების ხელის შემხედველნი ვართ და ეს ძლიერება იქმნება ჩვენი, როდესაც ვაჭარნიც ჩვენი იქმნებიან, და ამისათვის გამოვარჩიოთ ქართლიდამ, კახეთიდამ, რაოდენიმე კაცნი, ისევ ვაჭრებთან ნამყოფნი და შევაჩვით ვაჭრობას. ამათ ხელი განემართოს საქვეყნოს შემოსავლიდამ, რათა ისწავლონ ვაჭრობა“.

რუსეთის ხელისუფლებისათვის რაკი მიუღებელი იყო ქართვე-

ლი ერის გაძლიერება, მას ისიც ეწადა, რომ ქართველები ღარიბ-დატაკნი ყოფილიყვნენ. ამიტომ საქართველოს მთელი ვაჭრობა რუსეთმა უცხოელებს, მათ შორის სომხებს ჩაუგდო ხელში» [21].

საქართველოსა და მთელს კავკასიაში სომხების გაბატონებითა და ქართველთა დაბეჩავებით შეწუხებული დიდი ქართველი მამულიშვილები: ილია, აკაკი, იაკობ გოგებაშვილი – შეუდგნენ აქტიურ პულიცისტურ, საგანმანათლებლო, საბანკო და სხვა საქმიანობას. ურნალ – გაზეთებში მათ იწყეს სომებ მწერალთა მხილება და ქართველთა შეგონება – გამოფხიზლება.



თავი IV

ქართველ გრიგორიანთა პრობლემა

1. შესავალი

ქართველთა გასომხების მოვლენა ჩვენი ერის ისტორიის ტრაგიკულ ფურცელთაგანია და უკავშირდება მისი ისტორიის უმძიმეს და ულმობელ პერიოდებს, განსაკუთრებით – XVIII- XIX სს. და XX ს. პირველ მეოთხედს. მოვლენის არსის გამოსავლენად აუცილებელია ისტორიულ ჰრილში შესწავლა მრავალსაუკუნოვანი ქართულ-სომხური ურთიერთობებისა, რასაც მუდამ თან სდევდა დაპირისპირება. ეს კი ისტორიულად, ხშირად სომებთა მხრიდან, უკავშირდებოდა არსებობისათვის ბრძოლას, რომელიც ქართველთა წინააღმდევ იყო მიმართული და, არც თუ იშვიათად, ფარულ და მოღალატურ სასიათსაც ატარებდა.

სომხურ-ქართული ურთიერთობების შესწავლა და ღრმა ანალ-



იზი, მუჟედავად ამ საკითხით მკვლევართა დაინტერესებისა, ვფიქრობთ, ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ეს ფრიად საინტერესო პრობლემა, მიზანშეწონილია, განხილულ იქნეს მრავალმხრივი, სახელმომართო, გეოპოლიტიკური, სარწმუნოებრივი, ეთნიკური, კულტურული, კონფიდენციალური და სხვა თვალსაზრისით. სომხურ-ქართული ურთიერთობის საკითხის მხოლოდ პოლიტიკური შეფასება ვერ მოგვცინს სრულყოფილ სურათს. აუცილებელია, ასევე, კონფლიქტის მოტივების დანახვა და გამოვლენა რელიგიური დაპირპირების ფონზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტერმინი „ვრიგორიანი“ არ გამოხატავს სომხური სარწმუნოების არსეს და მხოლოდ პირობითად უნდა გამოვიყენოთ. არა იმიტომ, რომ ეს ტერმინი გვიანდელი, რუსების მიერ მოვონილი და მხოლოდ XIX ს.-ის 30-იან წლებში დაგვიდრებული ტერმინია, არამედ იმიტომ, რომ სომხური სარწმუნოება არ ეფუძნება გრიგოლ განმანათლებლის მოძღვრებას, რომელიც მართლმადიდებლური იყო. პირიქით, სომხებმა სწორედ ამ სწავლებას უდალატეს და მწვალებლური მონოფიზიტობა მიღეს. ამიტომ ტერმინ „ვრიგორიანის“ ან „ვრიგორიანელს“ სომხური სარწმუნოების მიმდევრის მნიშვნელობით გამოვიყენებთ.

2. ქართველთა გათათრება და გაფრანგება, როგორც გასომხების ხელშემწყობი პროცესი

გასომხებას ხელს უწყობდა ქართველთა მიერ ისლამის ან კათოლიკობის (ლათინთა სარწმუნოების – პაპიზმის) მიღება. მეტების ხიდზე ძომწყდარ 100000 წამებულ ქართველთა შთამომავლებმა, სარწმუნოებაში შესუსტებულებმა, ქრისტეს ჯვარი ვეღარ ზიდეს, სასტიკი და ულმობელი ზეწოლის ქვეშ სულიერად ვატყდნენ, სარწმუნოებრივი ღალატის გზას დაადგნენ – სიცოცხლე ვადაირჩინეს, სული კი – წარიწყმიდეს. მრავლისმეტყველია ის ისტორიული ფაქტი, რომ გამაპმადიანებული, გაკათოლიკებული და გასომხებული ქართველი ქართველებად აღარ იწოდებოდნენ და მათ „თათრებს“, „ფრანგებს“ და „სომხებს“ ეძახდნენ. ამთ ისარგებლეს სომხებმა – გასომხებული ეთნიკური ქართველები ეთნიკურ სომხებად გამოაცხადეს. ეს არის, მოკლედ, ქართველ გრიგორიანთა პრობლემის არსი.

«ქართველმა მიღლო მართლმადიდებლობა და მის მეოხებით იგი

ძველადგანვე გვაროვნობითაც დაუკავშირდა მას. ქართველი ყველგან სარწმუნოების მეოხებით ჰყარგავს თავის გვარს, ენას და მამა-პაპათა ხსოვნას და მის სიყვარულს... ქართველმა მიღლო მუსულმანობა, დაუკავშირდა თათრის ტომის სარწმუნოებას და მის საშუალებით და ზეგავლენით მან დაკარგა თავისი ყოველივე გვაროვნების და ენის და მის მაგიერ შეიკავშირა თათრის წესი, ზნე, ჩვეულება, ენა და თვისებაც კი, თავის მამა-პაპათ მტრათ აღმოუჩნდა და მით ოთხი წილი ქართველობის დღეს გათათრებულია ყველაფრით. ესეთია ქართველი კაცის თვისება, ასე დუნენა მისი ბუნება და იგი დაკარგვის გარეშე სხვაგან ვერსად იჩენს ძალას. ქართველმა მიღლო კათოლიკობა და მითაც არ დარჩა იგი ქართველათ, ერთმა ნაწილმა კათოლიკობის მეოხებით ჰაოსიანური ენა შეითვისა, მეორე ნაწილმა თათრული და მესამემ ქალდეური. ქართველი დაუკავშირდა გრიგორიანობას და, უნდა ითქვას, რომ არც ამით იქნა იგი განჩინებული და მორჩინილი გვაროვნულის გადაყლაპეისაგნ» [29].

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ გასომხებასა და გაფრანგებას შორის მნიშვნელოვანი სხვაობაც იყო. გაფრანგებულები ინარჩუნებდნენ ქართულ ენას, ცნობიერებას, კულტურასა და მამულიშვილურ კრძობებს, მაშინ, როდესაც გასომხებულთავან მრავალმა უარყო ქართველობა და სომხურ ცნობიერებაზე მოექცა. ესეც სომხეთა აგრესიული პოლიტიკის ნაწილი იყო: გასომხებას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეშალა ქართული ცნობიერება.

«ქართულ-სომხური დაპირისპირება ძვ. წ. II საუკუნეში იმით დაგვირგვინდა, რომ ფრიგიდან დაძრულმა სომხურმა ტომებმა ასურებთან და ბაბილონულებთან მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით შესუსტებული ქართველური ტომები შეავიწროვეს და აიძულეს თავისი სამფლობელოებიდან, კერძოდ, შუა აზიის მაღლობებიდან, ისტორიული არმენიიდან, ჩრდილოეთისაკენ დაწეულიყვნენ და იმ აღილებში დამკვიდრებულიყვნენ, რომელსაც „ივერია“ ეწოდებოდა».

ცნობილი ბერძენი გეოგრაფის, სტრაბონის ცნობით, II საუკუნეში ქრისტეს დაბადებამდე გაძლიერებულმა სომხებმა მეფეებმა საქართველოს რამდენიმე ოლქი წაართვეს. შემდგომში საუკუნეების მანძილზე ამ ოლქების დაბრუნებისათვის იბრძოდნენ ქართველი ხელისუფალნი. ამ სადაოდ ქცეულ სასაზღვრო ოლქებში ხდებოდა ქართული თუ ქართველური მოსახლეობის გასომხებაც. VII საუკუ-

ნის დამდეგს მომხდარი ქართველ-სომხთა სარწმუნოებრივი განხეთქილების შემდეგ სომხური ეკლესიის საჭეთმყრობელი იმ ქართულ ოლქებში, რომლებიც, გარკვეული მიზეზების გამო, სომხეთის შემადგენლობაში მოექცენ, „სომხური რჯულის“ – მონოფიზიტობის გავრცელებას ცდილობდნენ. ამ საქმეში სომხები, ზოგჯერ, უცხოელ დამპყრობთა თანადგომისა და მხარდაჭერის მოპოვებასაც ახერხებდნენ. ასე მაგ. VII ს.-ის 10-იან წლებში, სასანიდთა იმპერიაში არსებულ ეკლესიათა წარმომადგენლების, ე.წ. „სპარსულ კრებაზე“, სომხი ისტორიკოსის, სეპეონის ცნობით, „ბრძანება გამოსცა მეფე ხოსროვმა“ (სპარსეთის შაპი ხოსრო II), რომ ყოველმა ქრისტიანმა, რომელიც ჩემი ხელისუფლების ქვეშ არის, სომხეთა რწმენა აიღოს“¹⁰. სომხური ეკლესიის თავაცები ზოგჯერ არაბთა ხალიფების მხარდაჭერის მოპოვებასაც ახერხებდნენ, ასევე, შემდეგდროინდელი დამპყრობლებისაც, მათ შორის, რუსეთის იმპერიის მმართველობის. ეს არც თუ იშვიათად საქართველოს ინტერესების ხელყოფის ხარჯზე ხდებოდა, კერძოდ, საუბარია ქართველთა გასომხებაზე თვით XIX ს.-ში და XX ს.-ის პირველ მეოთხედშიც კი» [12].

IX ს. ძოლოს არაბთა მონობისგან თავდაღწეული საქართველო სამეფო-სამთავროებად დანაწევრებული და მინაომებით დასუსტებულია. იმ დროს არაბთა უღელქვეშ გაერთიანებულმა სომხეთის სამეფომ გარკვეული დროის (დაახლოებით 30 წლის) მანძილზე შეძლო აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ, ქართლის საქმეებში ჩარევა და ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილის მითვისება. «ძირითადად ამ ქართულ მიწაწყალზე ჩამოყალიბდა X ს.-ის 70-იან წლებში ე.წ. ტაშირ-ძოგარეტის სომხური სამეფო, რომლის სატახტო ქალაქს ერთ ხანს სამშვილდეც კი წარმოადგენდა, სანამ XI ს.-ის 60-ან წლებში ბაგრატ IV-ის ჯარმა არ განდევნა კვირიკიანი (ბაგრატუნი) სომხი მეფეები სამშვილდებოდან. ამის შემდეგ მათ რეზიდენციად ლორე იქცა, მაგრამ დიდხანს ვერც იქ გაძლეს და XII ს.-ის დასაწყისში ტაშირ-ძოგარეტის სამეფომ არსებობა შეწყვიტა. სულ მალე, 1118 წ. დავით აღმაშენებელმა გარეგა თურქ-სელჩუკები და ეს მხარე საქართველოს შემოუერთა. რაოდენ უცნაურადაც არ უნდა ჟღერდეს, ტაშირ-ძოგარეტის სომხური სამეფო ძირითადად ქართულ მიწაწყალზე იყო გადაჭიმული და მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილსაც ქართველები შეადგენდნენ. როცა ამ მხარეში ქართული სახელმწი-

ფოებრიობა აღდგა, „გასომხებული“ ქართველების ერთი ნაწილი კვლავ მართლმადიდებლურ სარწმუნოებას დაუბრუნდა» [12].

როგორც ცნობილია, XV ს. მეორე ნახევარში საქართველო ცალკეულ სამთავროებად დაიშალა. სომხეთში კი XI საუკუნიდან სომხური სახელმწიფო საერთოდ აღარ არსებობდა. სომხებმა საქართველოში დაიწყეს დასახლება, განსაკუთრებით, აღმოსავლეთ საქართველოში, კერძოდ, სომხეთის მოსაზღვრე ქვემო ქართლში. ეს პროცესი განსაკუთრებული ინტენსიურობით, და ძირითადად, XVII საუკუნიდან იწყება.

წინა თავებში ვნახეთ, თუ როგორ დაიწყეს ქართველების მიერ შევრდომილმა და საქართველოში დასახლებულმა სომხებმა საუკუთხსო მიწების დაკავება, უღლესიების მიტაცება და გასომხურება, რაც აღიღობრივი მოსახლეობის გასომხების ხელსაყრელ წინაპირობას წარმოადგენდა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველო – დანაწევრებული და დასუსტებული უღლმობელი და სისხლისძღვრელი ომებით-გატანჯული იყო სპარსთა და ოსმალთა შემოსევებით: სწორედ ასეთი მძიმე პილიტიკური და ეკონომიკურ-სოციალური მდგომარეობა ქმნიდა გასომხებისთვის ხელსაყრელ პირობებს.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, გასომხებისთვის ხელსაყრელი იყო, მოსახლეობის გათათრებისა და გაფრანგების, ანუ, ღათინთა სარწმუნოებაზე (ე.წ. კათოლიკობაზე-ა.უ.) მოქავეის პროცესი, რასაც, არსებითად, ვერაფერს შეველოდა სარწმუნოებრივად და ეკონომიკურად დასუსტებული საქართველოს მართლმადიდებელი უკლესია. კათოლიკე მისიონერთა ცნობებიდან ვიგებთ, რომ ამ პერიოდში მთელ რიგ რეგიონებში მართლმადიდებლური ღვთისმსახურება, პრაქტიკულად, აღარ სრულდებოდა, ხოლო დაუმოძღვრავ და უმწეობესოდ დარჩენილ ერს მწვალებლები და ურჯულოები ეპატრონებოდნენ.

მას მერე, რაც დასავლეთ საქართველო ისმალებმა დაიკავეს და ხალხი დაიმონეს, რამდენიმე ხნის შემდეგ ქართველებს გათათრებაც დაუწყებს. «აი, ასეთ დროს, დასავლეთ საქართველოში გამნდნენ რომის კათოლიკეთა მოძღვარნი, რომლებმაც კარგად შეისწავლეს საქართველოს მდგომარეობა, ოსმალთაგან დამოწმებული ქართველები, მათი ბრძოლა და ტანჯვა-წამება სჯულისთვის. ღათინთა მოძღვართაგან მრავალმა შეისწავლა ქართული ენა, უმწეობესოდ დარჩენილ მრევლს უქადაგებდნენ, ეხმარებოდნენ, იკოდნენ ექიმობა, რაც დიდად

უწყობდა მათ მისიონერულ საქმიანობას ზელს. ეს ცალკე საუბრის თემაა და მას დეტალურად არ შევეხებით, თუმცა მასზე ორიოდ სიტყვის თქმას საჭიროდ მივიჩნევთ.

მალე მოძღვართ რომში პაპასთან მიწერ-მოწერა გამართეს და ასე შეუთვალეს, რომ ოსმალთაგან დაჩქმებულს საქართველოში ქართველებს სულ ათათრებენ, ბერძნის სამღვდელოებას არაფერი ძალა არა აქვს, ჩვენ კი ერთი დიდი პატივი მოვიხვეჭთ, ჩვენ ხალხი დიდად გვაფასებს, ჩვენ რომ მოვინდომოთ, მაშინ მთლად ამ გათათრებულ ქართველებს და იმათაც, ვისაც მომავალში გათათრება მოელით, ყველას გადმოვიყვანთ ლათინთ წესზე, საქმე ახლა რომის ტახტზეა დამოკიდებულიო.

პაპამ და მისმა კარდინალებმა ამ საქმეს დიდი ყურადღება მიაპყრეს და მალე ოსმალის მთავრობასთან მიწერ-მოწერა გამართეს და უკანასკნელთ პირობა შეკრეს და დააბოლოვეს მით, რომ ოსმალებს ნება არ ჰქონდესთ, რომ თავიანთ საბრძანებელში ვინმე კათოლიკეთა აგანნი შეავიწროონ, ან გათათრება დაუწყონ. ოსმალის სახელმწიფოში კათოლიკეც ისევე უნდა სარგებლობდეს თავისუფლებით, როგორც თვით ოსმალი. ამ ხელშეკრულობის ძალით ოსმალეთში კათოლიკების საქმე წარმატების გზაზედ დადგა. რომის ტახტმა ოსმალოსთან ასეთ ხელ-შეკრულობის პირობები ყველა სახელმწიფოებს აცნობა და აგრეთვე მოსწერეს ყველა ამ მოძღვრებს და ცნობები აუწყეს, რომლებიც კი ოსმალეთში სცხოვრობდნენ და იქ მღვდელთ-მოქმედებას ასრულებდნენ. ყველაზე წინეთ ეს ამბავი დასავლეთ საქართველოში მყოფთ მოძღვრებს მოესმათ, ესენი მალე დაიმედინენ საქმის სინამდვილეზე. ამიტომ ამათ დაიწყეს ქართველებში კათოლიკის სარწმუნოების გავრცელება და გათათრებულთ თუ ქრისტიან ქართველებს აქა-იქ აგროვებდნენ და ასე ესაუბრებოდნენ დევნულ ქართველებს:

— ძმებო და შვილებო! თქვენ ყველანი ქრისტიანები ხართ, ეს ადგილებიც, სადაც თქვენ ცხოვრობთ, მთლად საქართველოა, ხოლო ოსმალთაგან ძალით დაჭერილი და დღეს ოსმალი თქვენ მოსვენებას აღარ გაძლევსთ, სჯულით გათათრებენ; თქვენ თუ გინდათ, შვილებო, რომ გათათრებას ასცდეთ და როგორმე თავი შეიკავოთ, მაშინ თქვენ შეუერთდით რომის წმინდა ტახტს, ეამბორეთ პაპას, მიიღეთ კათოლიკობა და მაშინ ფიქრი ნუ გაქვსთ, თქვენ ხმას არვინ გაგცემთ, პაპამ და სულთანმა ამის შესახებ პირობა შეკრეს და ოსმალთ

უფლება არა აქვთ, რომ ვინმე კათოლიკი შეავიწროვონ და ან გაათათრონ. ეს ბევრს სახელმწიფოებში იციან.

პატრიებმა დარიგება მისცეს მათ, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ. ახლად გათათრებულებს ურჩევდნენ ერთის მხრიდამ მეორეში გარდასახლებას, სამუდამოდ თუ არა, დროებით მაინც, და იქ თავისთავის კათოლიკედ აღიარებას. ქრისტიანებს ურჩევდნენ, რომ, როცა თათრებმა ძალა დაგატანისთ-გათათრდითო — მაშინ ნუდა ეტყვით, რომ ქართველები ხართ, თქვენ უთხარით, რომ კათოლიკები ვართ, პაპის მფარველობის ქვეშ შესულნი და ისინი მაშინათვე თავს დაგანებენ, ხმას არ გაგცემენ და თქვენ კი კათოლიკებს შეუერთდებით. ასე არიგებდნენ მოძღვარნი ქართველთ, ქართველნიც ისევე მოქმედებდნენ, როგორც მოძღვარნი არიგებდნენ. ქართველნი მალე დარწმუნდენ საქმის სინამდვილეში და მიტომ იწყეს გაფრანგება და კათოლიკობასთან შეერთება. სულ მცირე ხნის განმავლობაში კარის და ოლოთისის მიდამოებში ახალ გათათრებულ ქართველთაგან 1000 კომლამდე იქმნა გაფრანგებული; შემდეგ წლებში ლათინთ მოძღვრებმა გაფრანგება შემოიტანეს არტანუჯის მიდამოებში, ართვინში მთლად ლიკნაში, აქ საქმე ისე კარგად წაუკიდათ, რომ ლივანიდამ ესენი ლაზისტანშიაც კი გადვიდნენ, სოფ. ჩხალას. ჩხალელ ლაზების გაფრანგება ამ დროს შეეხება. რომელთა რიცხვი შემდეგ აქედამ გაფანტულა, გასულ იქმნა მცირე აზიის ქალაქებისაკენ. ართვინის დღევანდელი კათოლიკე აშტრაკიანცები იქაურნი ყოფილან და გაფრანგების გამო შემდეგ დროებში გასომხებულან, გვარიც გარდეკეთებიათ სომხურათ.

პატრიები ისე კარგად ადევნებდნენ თვალ-ყურს ქართველებს, რომ, სადაც კი ოსმალის მთავრობა ქართველებს გათათრებას უწყებდნენ, ესენი იქ მალე ჩნდებოდენ და ქართველებს გათათრებისაგან იხსნიდნენ. ამათის მოქმედებით და დახმარებით გაფრანგდნენ ჯავახეთის ახალგათათრებული ქართველნი...» [5].

აი, რომის ასეთი მზაკვრული გეგმითა და პოლიტიკით ხდებოდა ქართველების გაფრანგება. მგელთა საჯიჯვნად მიგდებულ ცხვარს ტურები იტაცებდნენ. ამ პროცესს ხელს უწყობდა ჩვენი ერთის ისტორიის ერთ-ერთი ყველაზე სამარცხობო ფურცელი — ტყვეთა სყიდვა. ამ გზით ხდებოდა ქართველი მოსახლეობის, მნიშვნელოვანი ნაწილის, ძირითადად ყმაწილების, გათათრება თუ გაფრანგება. მა-

გალითისათვის, ცნობილია, რომ ერთ წელს 2000-შედე ტყევე გაიყიდა. უკეთესი ძღვომარეობა არც აღმოსავლეთ საქართველოში იყო, მასზე სპარსელთა გავლენა ვრცელდებოდა. ამგვარად ირანელებმა და ოსმალებმა დაიწყეს დადი რელიგიური საუკუნოები რმა ქართველთა ეროვნული სარწმუნოების ანუ ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის წინააღმდეგ. უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭა ქართველების გამაპატარებას, ასევე, სხვა სარწმუნოებაზე გადასცლას, გაფრანგებას და გასომხებას. ეს ისტორიული ფაქტორი თვალისწილივ გვიჩვენებს, რომ ქართველობა შესისხლხორცებული იყო მართლმადიდებლობასთან და, ფაქტობრივად, მასთან იგივდებოდა. ამიტომ ქართველთა დამარცხება მხოლოდ მართლმადიდებლობის მოშლით იყო შესაძლებელი (ასე დღესაც!).

გაფრანგებულ ქართველთა გასომხება ხდებოდა ეტაპობრივად: ჯერ ისინი გადაბიოდნენ სომებს კათოლიკეთა ტიპიკონზე. «რომის ტახტისაგან ოსმალეთის სომხების კათოლიკეთა უფროს სასულიერო პირს წერილი მოუვიდა და ეუწყათ მათ, რომ ოსმალეთის საქართველოს კათოლიკებიც თქვენ ჩაიბარეთ და დღეის შემდეგ თქვენ უნდა უპატრონოთ მათაო. სომებს-კათოლიკეთა სასულიერო წოდებამ მიიღო და შეიწყნარა პაპის თხოვნა და ბრძანება, ამათ მაშინათვე მოაქციეს ყურადღება ოსმალეთის ქართველთ რომის კათოლიკებსა და ამათში დაიწყეს მღვდელ-მოქმედება და ქართველი ერის პატრონობა. ამ დროს ოსმალი არც სომებს-გრიგორიანებს სდევნიდნენ, და მიტომ მრავალ ალაგას ქართველთა თავიანთი თავები სომხათაც აღიარეს და მით გადარჩნენ გათათრებას, შემდეგ ესენი შეუერთდნენ გრიგორიანობას და, უკანასკნელ, გრიგორიანობის მეობებით, დაკარგეს ქართული გვარ-ტომობა და შთამომავლობის სხვანა. ასეთ გასომხებულ ქართველებით სავსეა თბილისი და სხვა ადგილები; ამათ თავიანთი ვინაობისა აღარაფერი ახსოვთ, ამაზე სხვაგან წაიკითხავთ» [5].

„გაოსმალება გლეხს ბატონყმური მოვალეობიდან ათავისუფლებდა. შენიშნულია, რომ ყველაზე დიდხანს ქრისტიანად რჩებოდა სახელმწიფო და საეკლესიო სოფლები, რომლებიც ფეოდალს არ ეჭუთვნოდა“ (შ. ლომისაძე). თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სამცხე“ მცხეთის საკათედრო ტაძრის სამფლობელო მიწებს ნიშნავდა, გამოდის, მისი ერთადერთი მფლობელი უდიდესი მემამულე ეკლესია

გახლდათ, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო წმინდა ქართული სამეურნეო ყოფა; ხოლო იმისთვის, რომ ოსმალურ (აღმოსავლურ) სოციალურ-ეკონომიკურ წყობას საბოლოოდ გაემარჯვა, ქართული სამეურნეო ყოფის ეკლესია უნდა მოესპო. ამიტომ ებრძოდა პორტა მართლმადიდებლობას, სომხურ ეკლესიას კი მფარველობდა, რადგანაც იგი სწორედ თურქულ-სპარსული სტარტული სტილის მეურნეობის ქონე ფეოდალი იყო. დიმიტრი ბაქრაძის დაკვირვებით კი, ისლამის მიღებიდან მესამე თაობა ენის სიწმინდეს ინახავდა, მეოთხე თაობა მერყეობდა და მშობლიური ენის ქსოვილში უხვად უშვებდა უცხო ლექსიკის ნაკადს, მეხუთე თაობა უკვე ფიქრობდა და აზროვნებდა ძალით თავს მოხვეულ ენაზე და მშობლიურ ენას მხოლოდ შინაურობაშიდა ხმარობდა“ (შ. ლომისაძე).

აი, ასეთი შედეგები გამოიღო თურქთა პოლიტიკამ, თუმცა, მესხეთის ქართველობას ქრისტიანად დარჩენის ერთ შანსს კიდევ უზოვებდა – ოღონდ გრიგორიანელობა უნდა მიეღო! საშიშროება კი აქცი იყო – ორი-სამი თაობის შემდეგ გასომხება ელოდათ, რადგან სომხური ეკლესია თავის მრევლად მხოლოდ „ეთნიკურ სომხებს“ აღიარებდა და სხვათაც ამ თარგზე ჭრიდა. რჩებოდა დასავლური ორიენტაციის გზა – გაფრანგება-გაკათოლიკება. „კათოლიკურ სექტებს შორის თურქი მოხელენი უპირატესობას ანიჭებდნენ მხოლოდ სომეს კათოლიკეთა ტიპიკონს და ამ ტიპიკონის აღმასრულებელთ გარკვეულ პრივილეგიებსაც ანიჭებდნენ. თურქთა აზრით, თუ ქართველი არ გამაპატარიანდებოდა ან უნდა გასომხებულიყო, ან სომხურ კათოლიკურ რიტზე უნდა გადასულიყო“ (შ. ლომისაძე). ორივე შემთხვევაში ისპობოდა „ეთნიკური ქართველი“ და ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე სომხური ეთნოსი მრავლდებოდა.

რესეთამდე ახალციხის საფაშოში თურქი ბატონობდა და სომებიც ყველა ღონეს ხმარობდა, რომ მისი მეშვეობით ლათინურ წესს ამოფარებული საკუთარი მეობის შემნარჩუნებელი ქართველის სახსენებელი ამოებირკვა და იგი „ეთნიკურ სომებად“ ჩაეწერა. ამისთვის კი არანაირ სახსარსა და საშუალებას არ იშურებდნენ. „1769 წ. (სომხებმა) ახალციხის ფაშა მოქრთამეს, ჯერ გამარცხეს და დალუქეს ეკლესიები, შემდეგ დაატყვევეს კაპუცინები, ადგილობრივი მღვდლები და ზოგი ეჩმიაძინს წაიყვანეს, ზოგი – ბარდუსში, სადაც კარგა ხანს საშინალად ტანჯავდნენ“ (მ.თამარაშვილი. ისტორია...). მათ იგივე გაიმეორეს 1827 წ. აგვისტოშიც. „სომებს კათოლიკეთ დიდმალი

თანხით მოუსყიდიათ სულთანი მაჰმუდი, რათა მას დაეპატიმრებინა და გადაესახლებინა ახალციხიდან კათოლიკე მოძღვარნი“ (მ. დი-ასამიძე)» [14].

საინტერესოა სომხური კათოლიკობის ისტორიაც. «კათოლიკის სარწმუნოება სომხეთში ძველადვე აღორძინდა. XII საუკუნეში სომეხ-კათოლიკი ისე გამრავლდნენ, რომ ლათინთ ეკლესიის წიგნები მათ მალე სთარგმნეს სომხურს ენაზე და ეკლესიებში ქველა ლოცვების წარმოთქმა და შესრულება თავიანთ ენაზე დაიწყეს. მის მოწინააღმდეგ მათ არავინ უწნედებოდა, და, ნაცვლად ამისა, რომის ტახტს უხაროდა კიდეც, რომ კათოლიკის ეკლესიის წეს-რიგის წიგნები სხვა ენაზედაც იდგამდა ფეხს. ნელ-ნელა ისე წაუკიდათ სომხებს საქმე, რომ კათოლიკის ეკლესიის ყველა საჭირო წიგნები სომხურ ენაზე სთარგმნეს და ამ ოსტატობით კათოლიკის ეკლესიის სულში სომხური ენა ჩადგეს; ეს დიალ კანონიერიც არის და ასეც უნდა მომზდარიყოს. ღროთა და გარემოებათა მეოქებით დიდსა და მცირე სომხეთში ისე სომეხ-გრიგორიანთა სჯულის მექონი სომხები ვერ მიდიოდნენ წინ, როგორც კათოლიკე-სომხები, გარემოება უფრო ამათ უწყობდა ხელს, რადგანაც ესენი ევროპის კათოლიკეთა სახელმწიფოებმაც გაიცნეს, ამათ ყურადღებას აპყრობდნენ. რაც კი დრო მიდიოდა, მით სომხებში კათოლიკობაც მაგრდებოდა, მტკიცე ნიადაგზე მკვიდრდებოდა და ის წარმომადგენელ სომეხთაგანი მოძღვარნიც რომის ტახტის ერთგულ-მორჩილად ჩნდებოდნენ. ამათ თავიანთის ერთგულობით დიდი პატივი მოიპოვეს პაპის წინაშე და ამას გარდა მათ გაიცნეს დასავლეთის სამღვდელოების შნო, ხალხთა ცხოვრება, ოსტატობა და განვითარებითაც წინ წავიდნენ...»

სომხის კათოლიკეთა შნო იყო, რომ ოსმალეთში სომხებს ოსმალი ისე არა სდევნიდნენ, როგორც ქართველებს, და ნამეტურ სომეხ-კათოლიკებს ხომ ყველაზე უპირატესობას აძლევდნენ და შევიწროების გარდა მთარგველობასაც უწევდნენ, რომ ამათ თავიანთი სარწმუნოება მტკიცედ შეენახათ და ევრცელებინათ კიდეც იქ, სადაცა საჭიროდ დაინახავდნენ... ამათ თავიანთის მოქმედებით საქმე გაიტანეს და იგინი გახდნენ საყვარელი სულთნის, საყვარელი რომის ტახტის, სომხის კათოლიკების და თვით სომეხ-გრიგორიანებისაც. ამათ საქმე ისე მოაწყვეს, რომ მალე თავები იხსნეს რომის პაპის და კარდინალების უფლებისაგან და მალე, თვით რომის ტახტის თანხ-

მობით, ამათ თავიანთ სასულიერო პირად სომეხთაგანი ამოირჩიეს და ეს პირი დაამტკიცებინეს პაპას სომეხ-კათოლიკეთა უმაღლეს სასულიერო პირად. აი, ამ სასულიერო პირის თანამდებობამ აღმოსცენდა სომეხ-კათოლიკეთა პატრიარქის თანამდებობა, რომელ პატრიარქი დღესაც უზით სტამბოლში. რაკი სომხის კათოლიკებმა თავიანთი უმაღლესი პირის არჩევის ნებართვა მიიღეს პაპისაგან და ეს ამოირჩიეს კიდევაცა, ესენი მის შემდეგ უფრო გაძალუანდნენ, რადგანაც ამ უმაღლეს პირს ირჩევდნენ პაპის თანხმობით და ოსმალის მთავრობის დამტკიცებით, ამიტომ ამ პირებსაც საკმარისი ხმა და ძალა ჰქონდათ რომის ტახტის წინაშე და ოსმალეთის მთავრობისა და მიტომ იგინი სომხის გვარის სასარგებლოდ ყველგან თავ-გამოდებით მოქმედებდნენ. სომეხ-კათოლიკეთა ძლვდელმთავარს ჩაბარდა მთელის ოსმალეთის სომეხ-კათოლიკეთა საქმები, რომის ტახტმა ამათვე მიანდო ქადაგების საქმე, რადგანაც მათ სიშორე ერთობ უძნელებდა საქმეს» [5].

«სომეხ კათოლიკეთა მესვეურებმა თურქეთის სულთნისაგან ხელშეკრულების ფირმანი მიიღეს. ფრედერიკ დიუბუა წერს – „საოცარი ისაა, რომ მარტო ქართველებს სდევნიდნენ ოსმალობი და არა სომხებს. მათ სულთნისაგან ნაშოვნი ჰქონდათ სარწმუნოების თავისუფლებაო“» [2].

«სომხი კათოლიკინი, ისე, როგორც სომეხ-გრიგორიანნი, თურქებსა და ირანელებსაც XV-XVIII საუკუნეში „მიუმხრობელი“ და „უწინარი“ რელიგიის წარმომადგენლებად მიაჩნდათ. ამიტომ, თავიანთ ქვეყანაში მათ გარკვეულ პრივილეგიასაც ანიჭებდნენ» [7].

კონსტანტინოპოლის აღების შეძლევ თურქებმა გააუქმეს ბერძნული პოლიტიკური ხელისუფლება. «ამიერიდან რჩებოდა მხოლოდ ბერძნული მართლმადიდებლური ეკლესია, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო, რომელიც ქვეყნაში ჯერ კიდევ დიდი გავლენით სარგებლობდა. მოსალოდნელი ექსკუსების თავიდან ასაკილებლად, როგორც ოსმალები ფიქრობდნენ, საჭირო იყო, გამონახულიყო მესამე ძალა, რომელიც დაუკირისპირდებოდა კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს, ბზარს შეიტანდა მართლმადიდებლების უფლებებში და მის რეალურ კონკურენტად გადაიქცევოდა. სულთანის მთავრობამ ასეთ მესამე ძალად მიიჩნია თურქეთის იმპერიაში მცხოვრები სომხები და მათი სომხურ-გრიგორიანული ეკლესია... სულთან მეპმედ II-ს კონ-

სტანტინოპოლელი სომხები მიაჩნდა თავისი ინტერესების ერთგულ დამცველად. საერთოდ, ქრისტიანულ-რელიგიურ მიმდინარეობაში სომხეთა თავისებური სექტა, რომელსაც მოვიანებით (1836 წ.) გრიგორიანობა შეერქვა, სომხებს განსაკუთრებულ და შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებდა, როგორც თურქეთში, ისე ირანში. ასე შეიქმნა მეორე სომხური საპატრიარქო კონსტანტინოპოლიში. ამრიგად, სომხები ხალხი სომხური სახელმწიფოს არარსებობის პირობებში უცბად ორი საპატრიარქოს (ეჩმიაძინი-კონსტანტინოპოლი) და ორი საკათალიკოსოს (სისის და აღთამარის) პატრონი გახდა» [7].

«მაკმადიანები ცდილობდნენ, ის ქართველები, რომელთა გამაკმადიანებასაც ვერ ახერხებდნენ, სომხური ეკლესიის მრევლად გადაექციათ. სომხური ეკლესიისადმი კეთილგანწყობა იმდენად დიდი იყო, რომ კონსტანტინოპოლის აღების შემდეგ სულთანმა მეპმედ II-მ (1451-81) კონსტანტინოპოლიში დაარსა ახალი ქრისტიანული ცენტრი – სომხური საპატრიარქო, რომელიც კონსტანტინოპოლის ბერძნული საპატრიარქოს თანასწორი უფლებებით აღიჭურვა» [6].

კეთილგანწყობა სომხებისადმი ირანშიც სუფევდა. შაპი პირადად ეხმარებოდა სომხებს ეკლესიების მშენებლობაში, «დადიოდა მათ ქრისტიანულ დღესასწაულებზე, ესწრებოდა ქრისტიანულ ცერემონიალებს. მისი განსაკუთრებული ბრძანებით სჯიდნენ ყველას, ვინც სომებს ქრისტიანს შეურაცხოფას მიაყენებდა. . . აბრამ ერევანცი სულთან აპმად III-ს სომხების კეთილდღეობაზე მზრუნველა და „სომხები ხალხის მეურვეს“ უწოდებდა, უფრო მეტიც, ნადირ შაპის მიერ სომხებისადმი გამოცემული რაყამებიდან მეოთხე რაყამში ვკითხულობთ: „თუ რომელიმე სომხები ქრისტიანი მიიღებს მაკმადიანურ სარწმუნოებას, მაშინ მას ჩამოერთვას მთელი თავისი მემკვიდრეობა“... „ერთი მხრივ, თურქეთისა და მეორეს მხრივ, სპარსეთის მესვეურთა პოლიტიკის წყალობით, XVII-XVIII საუკუნეებში სომხური სავაჭრო კაპიტალი საერთაშორისო არენაზე გავიდა“ (შ. ლომსაძე – „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“. 1979 წ; ასევე, ა. ანინსკი, სომხური... გვ. 264, 38). მაშასადამე, თუ ქართველს გამაკმადიანება არ უნდოდა, ის უნდა გასომხებულიყო, რადგან სომხების გამაკმადიანება იმ პერიოდში კანონით ისჯებოდა.

იმ დროს, როცა საქართველოს კათალიკოსი ევდემოზ დიასამიძე

სპარსები ხელისუფალმა კლდიდან გადააგდებინა, ხოლო კათალიკოსი დომენტი სტამბოლის ციხეში იყო გამოკეტილი, ირანის დედაქალაქში სპარსელი შაპების ხელშეწყობით აგებდნენ სომხურ ეკლესიებს ბრწყინვალე არქიტექტურული გადაწყვეტით, მოოქროვილი ჭერითა და გუმბათებით, დახვეწილი გემოვნებით შესრულებული მხატვრობით (1605-1663 წწ.), ამავე დროს კი, თბილისში სიონი ლამის მაკმადიანურ მეჩეთად გადააკეთეს.

1578 წელს ოსმალებმა სამცხე-საათაბაგო დაიპყრეს, ქართული სოციალურ-პოლიტიკური წყობილება გააუქმეს, მის აღიიღზე შექმნეს ჩილდირის (ახალციხის) საფაშო. განსაკუთრებით ტრაგიკული იყო მესხეთის ქართველთა ბედი: აյ ოსმალებმა მართლმადიდებლობა აკრძალეს. ქართველები, რომელებმაც მაკმადიანობა არ მიიღეს, სომხური ეკლესიის მრევლად აქციეს. სამცხე-საათაბაგოს, ანუ მესხეთის ქართული ეკლესია თურქებმა სომხურ ეკლესიას, კერძოდ, კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოს დაუქვემდებარეს... ხდებოდა ქართველების მასიური გასომხება იმიერ ტაოსა და არზრუმის სასაზღვრო პროვინციებში» [6].

«როგორც საფიქრებელია, ყრსისა და არზრუმის მართლმადიდებლური სამწევო XVII ს. ბოლოს გაუქმდა და მრევლი შეერწყა თურქელ-მუსულმანურ და სომხურ-გრიგორიანულ ეკლესიებს» [7].

«ქართველთა გასომხების ფაქტი დადასტურებული აქვს, აგრეთვე, მკვლევარ იგნატი ფაფაზიანს თავის „ეკლესიის ცხოვრებაში“. ასეთივე ვითარება შეიქმნა არტაანის თემებში, ჩილდირის ტბის მიდამოებში. გასომხების იგივე პროცესი მიმდინარეობდა ირანელების მიერ დაპყრობილ ქართლ-კახეთში XVII-XVIII საუკუნეებში» [6]. «XVII ს.-ის 30 წლებში ერთი ქართველი ყმაწვილის, ნასყიდას გაკათოლიკების გამო დიდი აუზაური ამტყდარა. ამასთან დაკავშირებით სასამართლოზე ნიკიფორე ირბახს უთქვამს: „ყოველდღიურ ჩვენის თვალით ვხედავთ, რომ მრავალნი ქართველი სომხებიან, და უფრო მომეტებული მათგანი მაკმადიანურ სარწმუნოებასაც ღებულობს“» [12].

3. ქართველთა გასომხება

ჩვენი ერის ისტორიაში ერთ-ერთი ტრაგიკული ფურცელი ჩაწერა ერთს იმ ნაწილმა, რომელსაც, დიდი ხოცუა-ულეტის და შევი-

წროების შედეგად, ვერ გაუძლო ზეწოლას, დასთმო სარწმუნოება – მართლმადიდებლობა – აღიარა კათოლიკობა, ხოლო შეძვომ, ქრისტეს წილ პაპის თავისი მცხვრებლმა, პაპის მუჟვე გაყვარელმა, მიიღო სომხობა და ამ გზით დაკარგა ეროვნული ცნობიერება, ენა, კულტურა, ხოლო მრავალმა მათვანმა - სამშობლოც.

«სომხის კათოლიკებმა მალე მოაქციეს ყურადღება დასავლეთ საქართველოს ქართველ-კათოლიკებს და მათში მალე გამოამწესეს სომებ-კათოლიკეთა მღვდელნი, რომლებიც სომხურებრ იყვნენ აღზრდილნი. მღვდლებმა ქართული ენა არ იცოდნენ. ამათ დაიწყეს მღვდელ-მოქმედების შესრულება სომხურს ენაზე, ხალხს ესენი საყოველთაოდ შინა და გარეთ სომხურს ენაზე ესაუბრებოდენ; ეკლესიაში ქადაგებაც სომხურს ენაზე ჰქონდათ. ასე და ამგვარად, ქართველ კათოლიკეთათვის საჭირო ენად სომხური ენა გახსადეს. ქადაგებაში წარმოსთქვამდნენ ასე: ნამდვილი კათოლიკენი თუ ხართ, ნამდვილი ქრისტიანები, მაშინ თქვენ თქვენი საეკლესიო სომხური ენა უნდა აუცილებლად შეისწავლოთ, უამისობა არ შეიძლება, თქვენი სჯულის ლოცვები უნდა ზეპირად იცოდეთ, თუ ესენი არ გეცოდინებათ, მაშინ თქვენ კათოლიკები არ იქნებით.

იმ დროს ქართველნი იყვნენ უეშმაკონი, როგორც სჯულისა და ეკლესიაში სახმარებელი ენის, დაიწყეს სომხური ენის შესწავლა. ამ დროს სომებთ მოძღვრებმა აქა-იქ გახსენეს სასწავლებლები და ქართველთა შვილებს სომხურს ენაზე დააწყებინეს წერა-კითხვა და სწავლება. საქმე ისე მოაწყეს და მოემართა, რომ შემდეგ დროებში ამ მოძღვართა მეოხებით ქართველ კათოლიკებმა თავიანთ სამშობლო ენად სომხური ენა იცვნეს და ამ ენის შეთვისებისათვისაც იწყეს მეცადინება. სომებთ კათოლიკეთა მოძღვართაც ეს უნდოდათ. ესენი ამის მეტს სხვას არას ნდომობდნენ, ესენი იმას ფიქრობდნენ, რომ ვინემც ჩვენ შევისწავლოთ ჩვენი მრევლის ენა, მათ შეისწავლონ სომხური ენაო. ასეც აუხდათ. ქართველები არამც თუ შესწავლას დაადგნენ, არამედ თავიანთ დედა-ენად სომხური ენა ცნეს და შემდეგ დროებში ამ ენისათვის მათ დავა და მფარველობაც დაიწყეს; სომხის კათოლიკეთა მოძღვრები ქართველებში მარტო სომხურს ენას არ ავრცელებდნენ, ენასთან ერთად მათ მათში შეპქონდათ სომხეთის სიყვარულიც და ამათ აქეზებდნენ, რომ საქართველოს მიდამოებიდან

ოსმალეთის სომხებისკენ გარდასახლებულიყვნენ, სადაც მათი მერჯულე კათოლიკეთ რიცხვი დიდი იყო, ეს პაზრები ნელ-ნელა განავრცეს ერში, ამ საქმისათვის მათ ხელს უწყობდა იმ დროის კათოლიკეთა უმაღლეს სასულიერო პირის და პაპის მოქმედება. ამ პირების სახელის ხსენებისათვის ქართველნი მზად იყვნენ, რომ თუნდ ზღვაშიც ჩაცვივნულიყვნენ.

ქართველთა გადასახლების საქმეს ისიც უწყობდა ხელს, რომ საქართველოს მოუკალს ხეობის ადგილებში კათოლიკების ცხოვრების საქმე უჭირდებოდათ, და მეორე-ქართველ მუსლიმანთა და ოსმალთაგანაც იდევნებოდნენ, აქ ოსმალოს გმგეობა და კანონი ყურთა გლეჯაზე იყო დამოკიდებული. ამიტომ ქართველ კათოლიკებმა იწყეს სომხეთში გადასახლება და დასახლება იქ, სადაც უფრო კათოლიკები სცხოვრობდნენ. მეტად დიდი რიცხვი გადასახლდა კონსტანტინეპოლიში. ქართველნი დასახლდნენ აქა-იქ სომხებში, რიცხვით, სულ რომ მცირე ვსოდეთ, ათი ათასზე ნაკლებს ვერ ვიტყვით. ეს რიცხვი მანამდის თუ თავის საეკლესიო ენათ სომხურს ენას სთვლიდა, მის შემდეგ მათ თავიანთ სამშობლო ენათ სომხური ენა ჩათვალეს და ამ ენაზე იწყეს მეცადინეობა. 100 წლის განმავლობაში საქმე ისე მოხერხდა, რომ ნამდვილ ქართველთა შთამომავალ კათოლიკებმა დაკარგეს თავიანთი დედა ქართული ენა, დაივიწყეს გვარტომობის მომდინარეობა, სამშობლო ქვეყანა, იწყეს სომხობა, სომხური ენა იცნეს სამშობლო ენათ და ნამდვილ სომხებად იქცნენ, სომხის გვარის შთამომავლათ.

მხნე და მეცადინე კათოლიკეთა მოძღვართა მეოხებით საქმე მარტო ქართველების გადაგვარებით არ გათავდა. ქართველთა რომ უფრო მკაცრად დავიწყებოდათ თავიანთი ვინაობა და ამისთვის მათ რამე ეჭვიც არ ჰქონდათ, ამიტომ ქართველთ კათოლიკეთა გვარებსაც კი უწყეს გადაკეთება და გარდასხვაფერება, უფრო სომხურს კილოზე. ქართველთა გვარები ისე გადაკეთებს, ისე გარდასხვაფერებს, რომ დღეს კაცი სულ ველარ იუიქრებს და წარმოიდგენს მას, რომ დღევანდელ რომელიმე სომებ-კათოლიკეთა ძველი გვარი სხვა ყოფილიყოს, რომელსაც აწინდელს მათ გვართან არაუერი კავშირი არ ჰქონდეს. ესეთი გაცალევება, განსხვავება და გადაგვარება თვით კათოლიკებისთვის უფრო არის საეჭვო და საკვირველი, ასეთ საქმეთა წინმსვლელობა ქართველ კათოლიკებში უფრო ოსმალეთის

სომხეთში მიეცა, კონსტანტინეპოლის, არზრუშს, ოსმალოს საქართველოს განაპირ მიდამოებში; ასევე სენი ნელ-ნელა ფეხს იდგამდა ჯავახეთშიაც. სომები კათოლიკე მხნე მოძღვართა ჯავახეთში სადგომათ და საქალაგებლათ ახალციხე ამოირჩიეს, ახალციხეში დამკვიდრდნენ იგინი და იქიდან მოქმედებდნენ ხალხში. იქიდან ჰქადაგებდნენ ქრისტიანობას და სომხობას. მალე მიაღწიეს წადილს და მათ მრავალ ქართველთა სოფლები გადაიბირეს და გაასომხეს, რომ მალე მათ ქართველობის შეჯავრებაც კი დაუწყეს, მაგრამ ამათ არც ეს იკმარეს! უსენი უფრო შორს აპირებდნენ წასვლას, მათ სურდათ საქართველოს სამეფოის საბრძანებელშიაც შემოსვლა, რომის ლათინთ მოძღვართ თავიდამ მოშორება და ქართველთ კათოლიკეთა პატრიობა და ამაშიაც შემოტანა და განმტკიცება იმა აზრებისა, რომ ვითომც ისინი სომხის გვარის კათოლიკენი არიან და არა ქართველის, მაგრამ ეს ვერ მოუხერხდათ, თუმცა წადილი კი დიდი ჰქონდათ. ამათმა წადილმა მარტო ოსმალეთის სამფლობელოში გაიდგა ფესვი, მარტო იქ მოიკიდა ნიადაგი და იქ ჩაჰყლაპეს მათ მრავალნი ქართველნი. ამავე სენის გავრცელებას ჯავახეთშიაც დაადგნენ და სურდათ, რომ ჯავახეთის ქართველებშიაც აელორძნებინათ ეს პაზრები, მაგრამ, სხვა და სხვა დამაბრკოლებელ საქმეებთა მეოხებით, ჯავახეთში ეს ისე კარგად ვერ მოუხდათ, ვერა გააწყეს რა და უკანასკნელ ხომ 1829 წ., როცა ჯავახეთი ოსმალოს მოსცილდა და აღმოსავლეთის საქართველოს შეუკავშირდა, მას შემდეგ ხომ მათს აზრებს ძირი მოეთხარა და დაიმარხა სამუდამოთ.

მაშინ ახალციხის სკოლებში მხოლოდ სომხურის ენას ასწავლიდნენ... ეს სასწავლებელი სომები კათოლიკეთა მოძღვართ აღმზრდელათ იყო, აქვე იზრდებოდნენ ქართველ კათოლიკთა შვილებიც, რომელნიც კი სასულიერო წოდებაში ემზადებოდნენ. მთელის აზიის კათოლიკეთა მოძღვრებს აქ ზრდიდნენ, სომები კათოლიკების ტიბიკონით ამზადებდნენ. აქვე ასწავლიდნენ აღმოსავლურ ენებს, გარდა ქართულისა და ევროპიულის. ამ სასწავლებლის მეოხებით უფრო იფინებოდა ქართველ კათოლიკებში ქართული ენის და გვარტომობის ვრდომა, აქედამ გამოსულთ მოძღვართა მეოხებით გადაბირდნენ ქართველი კათოლიკენი. მათი უმეტესი ნაწილი შემდეგში ოსმალეთში იქმნა გადასახლებული» [5].

«კონსტანტინოპოლის სომხურ საპატრიარქოსადმი დამორჩილე-

ბული ქართველები სომხედებოდნენ არა მარტო იმიტომ, რომ მათ ეკლესიებში ინერგებოდა სომხური ენა და ისინი გრიგორიანდებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათ სამოქალაქო-სასამართლო საქმეებსაც კი წყვეტდა კონსტანტინოპოლის სომებთა საპატრიარქო» [7].

«სომხებმა იწყეს ქადაგება და იმ აზრის დამკვიდრება, რომ „საქართველო მტკვრის გამოღმა არ არსებობს. მტკვრის აქეთა მხრის ხალხი გვარტომობით სომები არიანო, გარდა ამისა თვით საქართველო რა არის! მას მომავალი არა აქვს. მისი გვარტომობა მის თანამორწმუნე ძლიერის გვარისაგან მალე აღიგვება და მოისპობა. ამიტომ უმჯობესი იქმნება, რომ ქართველ კათოლიკებმა ეს ენა მალე დაივიწყონ, თორებ ბოლოს სამწუხაროთ გაუხდებათ საქმე და მაშინ გვიან იქნება» [5].

არმენისტმა სენ მარტენმა (ფრანგი ორიენტალისტი) სომები კათოლიკეთა მხითარისტებს წინადადება მისცა, რომ რამე ისტორიული წერილები ეწერათ საქართველოს – განსაკუთრებით, ოსმალეთის საქართველოს შესახებ, სადაც ერთ დროს მოგზურობდა. მხითარისტებმა საკმარისად აღწერეს დასავლეთ საქართველო, მეტადრე – ლიკანა, აჭარა, არტაანი, ტაოს-კარი, კლარჯეთი, კოლა, ერუშეთი, შავშეთი და სხვა ადგილები, როგორც ისტორიულად, ისე სხვა მხრივაც. ამ წერილებს ისინი ვენციაში სომხურ ენაზე ბეჭდადნენ, რითაც სარგებლობდა მრავალი ორიენტალისტი, მათ შორის, შევიცარიელი სწავლული დუუზა დე მონპერე.

«მხითარისტებმა აწერეს აქამდისაც ოსმალის ხელში დაშთენილი იშხნის ტაძარი, ხახულის ტაძარი, პარხლის და სხვ. ამ დიდებულ ნაშთებს გარდა მათ ბევრი კიდევ სხვა ნაშთი აწერეს, რომელნიც სენ მარტენის წინაშე თავისს დროსვე იქმნა ცნობილი. ამათგანვე ისარგებლა სომები კათოლიკეთა მხითარისტ მსწავლულ აბატ ალიშანმა, რომელმაც აღწერა ნაშთების სურათები და ჩაურთა თავისგან დაწერილს კილიკის ვრცელ ისტორიაში. ამ მხითარისტებისგან მთლად დახატულია დიდებული იშხნის ტაძარი, ხახულის, პარხლის, ტბეთის; მაგრამ ამათი არა მოსაწონი ის იყო, რომ ესენი მთელ დასავლეთ საქართველოს ძველ სომხეთის ნაწილად აღიარებდნენ, ხოლო ქართველობისგან ბაგრატოვანების გაძლიერების შემდეგ მითვისებულათ» [5]. სენ მარტენის გარდა, ბროსემაც საკმარისად ისარგებლა ამ ცდარი ნაწერებით, რაც მის ნაშრომებშიც აისახა.

ოსმალეთის საქართველოში არის ის ადგილები, სადაც ძველადევ დაიწყო ქართველების გადაგვარება. «მაგ. ართვინში, სადაც XVIII საუკუნეში ათასი კომლი იქმნებოდა გადაგვარებულ ქართველთა, არდანუჯისკენ, არტაანისკენ და სხვაგანაც მრავალი, ბევრი ამათგანი ძველითგანვე გარდასახლებულ იქმნენ სომებს კათოლიკეთა რჩევით არზრუში, სტამბოლში და სხვა ადგილებში. მათი გადასახლება სამშობლოდამ მით უფრო ხდებოდა, რადგანაც დასავლეთ საქართველოის ადგილებში კათოლიკებს ხშირათ გაჭირებაც ადგებოდათ, სამღვდელოებას მკაცრათ პატრონობა უჭირდებოდა, გარდა ამის, სამღვდელოებას ცოტა გვარტომობის აზროვნებაც ქონდათ და რაკი ქართველ კათოლიკენ სომხებათ იწოდებოდნენ, დიდათ სურდათ, რომ მათში ქართული ენაც მოსპობილიყო. ბევრს სასულიერო პირს ისიც კი ჩაენერგა გულში, რომ ქართველი კათოლიკები სომხები არიან, ამიტომაც იწოდებიან სომხებათო, მხოლოდ დროის მეოხებით გაქართველებულანო. მაგრამ ეს ასე არ არის.

XVIII საუკ. ნახევარს, კონსტანტინეპოლიში, ქართველ კათოლიკეთა მცხოვრებთ რიცხვი 1500 კომლზე მეტი ყოფილა, ყველა ესენი დასვლეთ საქართველოდგან იქმნენ მოკრებილნი. ყველა ესენი იწოდებოდნენ სომებს კათოლიკეთ და მათს ეკლესიებშიაც ყოვლისფერი სომხურ ენაზე სრულდებოდა. ორი საუკუნის განმავლობაში მათ დაკარგეს თავიანთი ენა, გვარტომობა და ზენ-ჩერეულებანი, უკანასკნელ ბევრმა მათგანმა გვარებიც კი გადაიკეთეს; მაგ.: ზაქარიანცები-ზაქარიაძები, მაჭახლის პირში მთელი სოფელია; აზარიანცები-აზარაშვილები, სავსეა ივერის ხეობა; აჭარიანცები; ზურაბიანცები-ზურაბიშვილები; მაისურიანცი-მაისურაძები; ფაფაზიანცი-მოცოშვილი; აშტრაკიანცები, მერაბიანცი-მერაბიშვილი; პარმაქსისიანცი-ვანაძე; ლაზარიანცი-ლაზარეშვილი; მღებარიანცი-მღებრიშვილი; გალატოზიანცი-ცინარაძე; წამალიანცი-წამალაშვილი.

(ქართველთა – ა.უ.) მოწინააღმდეგეთ დასში პირველი ადგილი ეკავათ ჯავახეთის სომებს კათოლიკეთა მოძღვრებს, რომელთაც დიდს მფარველობას უწევდა მაშინდელი კათოლიკების სემინარიის რექტორად ნამყოფი ეპისკოპოზი არარატიანცი. ამ პირის მეოხებით ჯავახეთის ქართველ კათოლიკებს ისე უცქერდნენ სომებს კათოლიკეთა მოძღვარნი, როგორც ოდესმე განძვინვარებული ოსმალ – სპარსები. ამათ მეოხებით 1830 წ. ჯავახეთში სიტყვა ქართველიც კი

იქმნა მოსპობილი და დიდი საყვედურით შეიჩვენებოდა ის ქართველი კათოლიკე, რომელიც თავის თავს ქართველად აღიარებდა, ამის შესახებ ქადაგებაც იქმნა წინ წაწეული» [5].

გასომხებული ქართველები ასე ამბობდნენ: «არა, არ იქნება, როგორც ჩვენს მამებს მიუღიათ, ჩვენც ისე უნდა ვიქმნეთ. შეგვიჩვენებია ის ქართველი კათოლიკე და არა სომხი, რომელიც თავის თავს ქართველად აღიარებს. ქართველად რუსის მთავრობა მხოლოდ მართლმადიდებლებს სცნავს. ამის მეოხებით ჩვენ სჯულსაც დავკარგავთ» [5].

მათ რომის პაპს «ხელ ახლათ დაუწყეს ამბების გზავნა, რომ საქართველოში ქართველ კათოლიკებს რუსის მთავრობა არ ცნობს. თუ თქვენ ნებას მისცემთ კათოლიკებს ქართველად წოდებისას, მაშინ ძალიან ადვილად მოხერხდება, რომ ერთს დღეს მთავრობის ბრძანებით ბერძნის ეკლესიას შეუერთდნენ, რომის ეკლესიას საკარისი რიცხვი მოსცილდება და დაეკარგებაო, რომ ლათინთ მოძღვართ საქართველოში ფეხის გამაგრება მიტომ უნდათ, რომ ესენი ცდილობენ ქართველთა გაფრანგებასაო.

ოსმალეთის საქართველოს ქართველ კათოლიკენ კი, როგორც ზემოთაც ვახსენეთ, ოსმალის სომხის გვარის კათოლიკეთ იწოდებოდნენ, რადგანაც ამათ ადრიდგანვე დაატოვებინეს ქართველობა. ზოგთა თქმით, ამათი გადაგვარება გაკათოლიკების შემდეგ ხანას მიეწერება და, ზოგთა თქმით, იმ დროებს, როცა დასავლეთ საქართველო ოსმალეთმა აიღო და ქართველებს გათათრება დაუწყო. ამ დროს სომხები უკვე შეჩვეულ იყვნენ ოსმალოს ქვეშევრდომობას, მონებას და ამიტომ ოსმალნი სომხებს არ სდევნიდნენ, ამათი შიში არ ჰქონდათ. ქართველებს კი არ სტოვებდნენ ქართველათ, ან სიკვდილი, ან გათათრება, ორში ერთი შთებოდა. ქართველთა ასეთის მდგომარეობით ისარგებლეს მრავალთა და ესენი არიგებდნენ ქართველთა, რომ თქვენ თქვენი თავები სომხათ გამოაცხადეთ და მას მერე თქვენ არავინ რას გიზავთო, ქრისტიანებათ მაინც დაშორებითო. ქართველთაც იწყეს ასე მოქმედება და, როცა მათ ოსმალნი ვინაობას ჰკითხავდნენ, იგინი თავიანთ თავებს სომხათ აღიარებდნენ და ოსმალნიც ათავისუფლებდნენ მათ. შემდეგ დროებში ქართველი სრულად ეთვისტომებოდნენ სომხებს. ასეთის მანქანებით ქართველთა გადაგვარება 1820 წლებისადმისაც კი წინ მიდიოდა და არა მარტო დასავლეთ საქართვე-

ლოს შორეულს ადგილებში, არამედ თვით ჯავახეთშიაც» [5].

ქართველობის დამცველთა წინააღმდეგ დაირაზმა სომებ-კათოლიკეთა სამღვდელოება: «ამათგან ახალციხეში კრება მოხდა. კრებამ გადასწყვიტა, რომ ახალციხეში სომებ-კათოლიკეთა სემინარია გახსნილიყო და ან აღექსანდრეპოლის სასულიერო სასწავლებელი აქ გადოტანილიყო... ესენი იმედოვნებდნენ, რომ იქ უფრო ადვილად შეიყვანდნენ შვილებს, ამის მეოხებით ადვილათ მოიფინებოდა სომხური წერა-კითხვა...»

ეპისკოპოზი ყველგან აწესებდა სომებ-კათოლიკეთა მღვდლებს, რომელიც ეკლესიებში სომხურათ სწირავდნენ და უქადაგებდნენ ხალხს.

— შეჩერებულ იქმნას ის პირი, ვინც თავის თავს ქართველი უწოდოს. ამ დრომდის თითო-ოროლა ლოცვებს კიდევ ამბობდნენ ქართულად და მის შემდეგ კი ამის უფლებაც მოესპოთ. თავის აზრის საფუძვლათ ის ჰქონდათ, რომ, თუ ახალციხის კათოლიკები სომხები არ არიან, მაში მეფეების დროს რათ მიიღეს მათ სომხური ტიბიკონი. იმას კი არ ფიქრობდნენ, თუ ქართველ მეფეები ამას რათ დაუშლიდნენ, ან რა შიში ჰქონდათ მისი... ეს კი არა და კათოლიკე მღებრიშვილიც კი სომებ კათოლიკეთ აღიარეს. იმას კი არ დაუკირდნენ, თუ მღებრი ან მღებარი რა ენის სიტყვა არის.. ჩვენ კარგად ვიცით, რომ პავლე შაჟულიანი ტომობით ქართველი იყო, ეს მანაც კარგათ იციდა. იგი თავის პირველის დღეებიდამ ქართველობდა კიდევცა და ქართულს ენაზე ძალიანაც შრომობდა, ბევრი რამ სთარგმნა იტალიური ენიდამ, ლათინურის და სომხურიდამა. მას რომ ქართველობის სიყვარული არა ჰქონიყო, მაშინ იგი ამდენ ვრცელ ქართულს შრომასა ხელს არ მოჰკიდებდა, მაგრამ მან იცოდა კარგათ, რომ ის ქართველი იყო და, მასთანავე, მთელი დასავლეთის კათოლიკობაცა, და ამიტომაც სთარგმნიდა და სწერდა ქართულ ენაზე. უწყიან, რომ ესევე მშენივრათ ქადაგებდა ქართულს ენაზეო და ერთ დროს ქართველ პროპაგანდისტათ იქნა ხმობილი, მაგრამ უკანასკნელ დროებში სხვაფერ შეიცვალა ეს მოძღვარი, პაზრიც გამოიცვალა და რასაც გუშინ ამბობდა ქართველ კათოლიკეთა შესახებ, იმას დღეს დარღვევა დაუწყოვო. მის საიდუმლოება მას თან გააჭირდა...

„ისტორია გინა მოთხოვობა ძველისა და ახლისი აღთქმისა“ -

ქმნილი სომებ მხითარისტი იოანე არქიმანდრიტ ზურაბიანის მიერ. თარგმნილი სომხურის ენიდგან და დაბეჭდილი 1858წ. ვენეტიკში, წიგნთა საბეჭდავთა შინა წმ. ლაზარეს მონასტრისა. 875 გვერდი. წიგნის დამწერი მხითარისტ ზურაბიანი ტომობით ქართველი ყოფილა, ძველათ გაფრანგებული და კონსტანტინეპოლში გადასახლებული, სადაც შემდეგ დროებში საომებ კათოლიკეთ იქმნენ წოდებულნი და უკანასკნელ დაკარგეს ენა და გვარტომობაც ქართული.

„წმინდანების ცხოვრება“, ქმნილი სომხურის ენაზე არქიმანდრიტის ლუკა ინჯიჯიანის მიერ, თარგმნილი და გამოცემული ქართულსა ენასა ზედა, ვენეტიკს, 1859წ. წმინდა ლაზარეს მონასტრის სტამბაში; ორ ტომათ, დამწერი ამ წიგნისა მხითარისტ ინჯიჯიანი არის ქართველ ტომის ჩამომავლი, ლივანაში ძევლათ გაფრანგებული, შემდეგ სტამბოლში გადასული, იქ სომხის კათოლიკეთ წოდებული. შემდეგ ამათ სრულიად დაკარგეს გვარტომობა. არქიმანდრიტ ინჯიჯიანს უმოგზაურნია დასავლეთ საქართველოში, აღუწერია დაწვრილებით და ვენეტიკში ხმირათ უბეჭდავს თვისი წერილები. მისმა წერილებმა დიდი ყურადღება მიიპყრეს ევროპის ორიენტალისტთა შორის და, სენ მარტენის თხოვნით, ზოგი ამის წერილები საქართველოს და სომხეთის შესახებ ფრანგულს ენაზედაც იქმნენ გადათარგმნილნი» [5].

სომხებმა «ათასგვარი ხრიკებით და უკადრისი ხერხებით მიაღწიეს ლათინურ და ქართულ ენებზე წირვა-ლოცვის აკრძალვას. ღვთისმსახურება მარტო სომხურ ენაზე დარჩა. ამით გათამამებულებმა გააჩაღეს ანტიქართული პროპაგანდა. მათმა თავხედობამ კულმინაციას მიაღწია, როცა დაიწყეს მტკიცება, თითქოს არ არსებობს ქართველი კათოლიკე და ყველა ისინი სომხები ან სომხის ჩამომავლები არიანო. ეს გასაოცარი სიცრუე გამოქვეყნდა გაზ. „მშაკის“ ფურცლებზე (1897 წ. №№110, 137, 138, 148, 149 და 1898 წ. №190, აგრეთვე გაზ. „ს. პეტერბურგსკი ვედომოსტი“, 1900 წ. №156 და 1901 წ. №98).

„ივერიის“ ცნობის ავტორი გულისტკივილს გამოთქვამს სამცხე-ჯავახეთის ქართული კათოლიკური ეკლესიების სომხურ ტიპიკონზე გადასვლის გამო. ამ არასაკადრის საქციელს და მოქმედებას გამოუწვევია ქართული მოსახლეობის „გასომხება“. ვიდაც უჯიშმ ქართველ კოპაბეს კაციანად გადაუკეთებია გვარი, ხოლო ქართველ

ბავშვებს სომეხი მღვდლები „ჰაირიკს“ ამღერებდნენ და ისინიც თავს უკვე სომხებად თვლიანო – შენიშნავს ცნობის ავტორი გულისტ-კივილით» [2].

იმ დროის ზოგიერთი ფრანგული გაზეთი კი, სომეხთა მეცადინეობის შედევად, ასეთ ამბებს ამტკიცებდა თითქოს: «საქართველო არაფერია, მტკორის დასავლით და სამხრეთი მხარე სომხეთია, ქართველებს არაფერი აქვთ, ისტორია, მწერლობა, ენა, მოქალაქეობა. იგინი კავკასიაში არაფერ ძალას შეაღენენ, მათზე ბევრათ მაღლა სომხები სდგანან. ესენი მათზე ბევრათ ჭკვიანნი არიან და მოხერხებული ხალხია, მათ ყველაფერი აქვთ: ენა, მწერლობა, მდიდარი ისტორია; ხალხიც მეტია, კაპიტალი, ვაჭრობაც ამათ ხელშია, მოქალაქეობაც ამათია, ქალაქებიც მათ განაშენენ. ყველა დიდი მამულები მათ ეკუთვნისთ. ევროპის სახელმწიფოებმა კავკასიაში მთავარ ერათ ეს ერი უნდა იცნას და არა ქართველნიო» [5].

ქართველი მამულიშვილები ცდილობდნენ, როგორმე წინ აღდგომიდნენ გასომხების პროცესს. «განსვენებულს ივანე კერესელიძეს 1860წ. ამის შესახებ თვით პ. ხარისჭირაშვილისაგან წერილებიც მოსვლია ხოლმე „ცისკარში“ დასაბეჭდათ, მაგრამ ივანე კერესელიძე სთქვა: „მე როგორ დავბეჭდდავდიო, მთელი თავად-აზნაურობა ამიჯანყდებოდა“. პეტრე ხარისჭირაშვილი დიდათ აყველრიდა ხოლმე თავად-აზნაურობას საქართველოს დალატს, ყმების გაყიდვას და სხვა ასეთ საქმეებს, ნამეტურ მას სძაგდა გურიის თავად-აზნაურობა, რომელიც თავიანთ ყმებს ოსმალებზე ცხვრებზე უფრო იაფათ ყიდანენ. მის დროს მთელი სტამბოლი სავსე იყო გურულის გოგობიჭებით» [5].

საქართველოს აღმოსავლეთში, დასავლეთ საქართველოსა და სამცხე-ჯავახეთისაგან განსხვავებით, გასომხება პირდაპირ – სომხური სარწმუნოების, მონოფიზიტობის – მიღების შედევად ხდებოდა. «მაპმადიანთა მპყრობელობის გამო ქვემო ქართლის ქართველობა, რომლებიც ლეკებსა და თათრებს გადაურჩნენ, იძულებული გახდნენ, მიეღოთ სომხური სარწმუნოება. ამით ისინი გადაურჩნენ ფიზიკურ განადგურებას მაპმადიანთა მიერ. ვახუშტი მათ შესახებ წერს: „ამ ადგილთა შინა მოსახლენი არიან სარწმუნოებით სომეხი (და მცირედად ქართლის სარწმუნოებისა), არამედ ქცევა-ზნითა ქართულითა“ (ქ.ც. გვ 312).

ვახუშტის დროს თბილისის გარდა „სარწმუნოებით სომეხნი“ (მაგრამ ეთნიკურად ქარველები) ცხოვრიბდნენ ასევე ტაშირსა და აბოცში (იქვე, გვ. 312-313), მაგრამ ქვემო ქართლში ჯერ კიდევ მრავლად იყვნენ ქართული ეკლესია-მონასტრები, თუმცა „ხუცის ამარა“ დარჩენილნი. მალე მრავალი მათგანი გადავიდა სომეხთა ხელში. ეს კატასტროფა შემდგომაც გაგრძელდა» [6].

ცალკე საუბრის თემა თბილისი და თბილისის სომხობა. «XVII საუკუნის შუიდან თბილისის ეკონომიკური აღმავლობა ვაჭრობის განვითარებასთან იყო დაკავშირებული, ხოლო ეს სფერო სომეხთა და სომხური ეკლესის ხელში იმყოფებოდა, რაც კარგად გამოიყენებოდა ქართველთა სომხურ სარწმუნოებაზე გადაყვანისათვის. ამ მზეზის გამო ქვემო ქართლსა და თბილისში გაიზარდა სომხური სარწმუნოების მქონეთა რაოდენობა, მოსახლეობის ერთი ნაწილი თანდაოან სომხური ეკლესის მრევლად იქცა სპარსელთა ნებით. „წარმოვიდა ყიზილბაშის ჯარი და მოცეკვეს საბარათაშვილო და სომხითი მოითარებულეს და იყვნენ. . . ხოლო ყორჩიბაშმან გაამაგრა ციხე ტფილისისა და დაგდო მუნ სვიმონ-მევე 1628...“ (ქ.ც. II, გვ 415)» [6].

სვიმონის მოკვლის შემდეგ (1631 წ.) განრისხებულმა შაპმა ქართლში გამოგზავნა გათათრებული როსტომ-ხანი. ამის შემდეგ, კიდევ ასი წლის განმავლობაში ქართლ-კახეთს გათათრებული მმართველები მართავდნენ. «XVI საუკუნიდანვე ქვემო ქართლი და თბილისი სპარსელი პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვემდებარების ქვეშ მყოფ ქვეყანას წარმოადგენდა და აქ სომხურ ეკლესიას შეღავთები და უპირატესობა ჰქონდა. ამის გამო მრევლი აკლდებოდა მაპმადიანთა მიერ სასტიკად დევნილ ქართულ ეკლესიას და ემატებოდა სომხურ ეკლესიას. შედეგმაც არ დაყოვნა. და, თუკი XVII საუკუნის დასაწყისში კახეთში ყოფილა 20 საეპისკოპოსო, ქართლში - 21, ხოლო მესხეთში - 14-მდე, თეიმურაზ II-ის ქრისტიანული წესით კურთხევისას, XVIII საუკუნის 40-ან წლებისათვის, ქართლ-კახეთში სულ რამოდენიმედა მოქმედი საეპისკოპოსო არსებობდა, ხოლო მესხეთში - არცერთი. XVIII ს. ბოლოსა და XIX ს. დასაწყისისათვის ქართლში ყოფილა სულ ექვსი საეპისკოპოსო, კახეთში - ოთხი, სამცხეში კი, ვახუშტის სიტყვებით: „გარნა თვინიერ ადგილ-ადგილ იპოვებიან მღვდელნი და შეიქმნა სრულიად მაპმადიანობა წესითა და რჯულითა მათითა და აღშენდებიან მეჩეთი. არამედ

დაშონენ გლეხნი და იგინიცა უმწევესელნი, ვითარცა პირუტყვინი“.
მცირდებოდა ეკლესია-მონასტრების რიცხვი. ვინც დარჩა „ქრის-
ტიანი, იგინიცა უმწესელნი არიან, ვინაიდან არღარა რას მორჩილებენ
ქართლის კათალიკოზსა და ბერძენთა არა სცალის მათვის. ამისთვის
უეპისკოპოსნი და უხუცონი არიან“ (ქ.ც. IV ტ., გვ. 660). საარსებო
პირობებისა და უუფლებო მდგომარეობის სიმბიმე აიძულებდა მათ,
თანდათან გადასულიყვნენ უცხო სჯულზე და ამით მოეპოვებინათ
ზოგიერთი შეღავათი არსებობის შესანარჩუნებლად“ (ლ. დავლიან-
იძე, „ჰაკობ კენეცის...“, გვ. 250-254).

სულ სხვა ვითარებაა აღნიშნულ პერიოდში სომხურ ეკლესიაში. მას შემდეგ, რაც კილიკიიდან საკათალიკოსო ტახტი ეჩმიაძინში იქნა გადატანილი 1441 წელს, ის იქცა სომხურ უძლიერეს სასული-
ერო ცენტრად. 1540 წელს არზრუმის „კანუნ ნამეში“ სპეციალური
მითითებაა სომხური მონასტრების მიწათმფლობელობის შესახებ
და სომხური სასულიერო წოდების გათავისუფლების თაობაზე სახ-
ელმწიფო გადასახდებისაგან (მ.კ. ალელიანი – „À ÊTÉ À L'ÉTÉ 1540 შე-
სტე 1540 XVI ს. 1971, წ. 26). ასევე გარკვეული შეღავათ-
ბით სარგებლობდა სომხური სასულიერო წოდება აღმოსავლეთ
საქართველოშიც.

მთელ საქართველოში, სადაც კი ფეხი მოიკიდეს მაპმადიანმა
მმართველებმა, აქტიურად მიმდინარეობდა ქართველთა დენაციონალ-
იზაციის პროცესი. ქართველებს მაპმადიანური სახელმწიფოები არა
მარტო ასახლებდნენ თავიანთი მიწა-წყლიდან, ყიდინენ და ყიდუ-
ლობდნენ ტყვებად, არამედ ყოველნაირად უწყობდნენ ხელს ქართველებ-
ის სხვა ერებში გათქვეფა-ასიმილაციას, რაც იმ დროს მხოლოდ
ერთი ხერხით მიიღწეოდა – სარწმუნოებრივი გადაგვარებით. ქართული
ეკლესის სამწესოდან გასული მრევლი ქართული ქრისტიანობის
დაკარგვასთან ერთად ეროვნებასაც კარგავდა.

თბილისსა და ქვემო ქართლში ქართული მოსახლეობა, ძირი-
თადად, სომხურ ეკლესის ეკედლებოდა. . . სომხურ ეკლესის
შეეძლო ტყვეთა დახსნა. ასე დაუხსნია ქართლის ტყვეთაგან 300
ოჯახი ნადირშაპის შემოსევისას სომხურ ეკლესის. „იმის გამო,
რომ ქართველთა შორის ასეთი სახსრები ძნელად საშოვარი იყო,
ჩანს, ქვეყანას დიდძალი ხალხი ეკარგებოდა. ეს ვითარება სომხურ
სარწმუნოებას საქართველოში პოპულარულსა და მიზიდველს ხდიდა“

(შ. ლომსაძე, „გვიანი...“. 1979 წ.). სომეხთათვის მინიჭებული შეღა-
ვათების გამო ,თვით ევროპელი ვაჭრებიც კი, რომელთაც ოტომანის
იმპერიაში თავიანთი ინტერესები ჰქონდათ, ჩუმად, სომეხთა სახელით
და ტანსაცმლით შემოდიოდნენ და ისე საქმიანობდნენ“ (შ. ლომსაძე,
დასახ. წიგნი). ხელსაყრელი პირობების დადგომის შემდეგ სომხ-
ური ეკლესია ადვილად ზრდიდა მრევლსა და სამწესოს. ქართველე-
ბი ირანშიც მას ეკედლებოდნენ. ირანში, სომხური ეკლესის ეზოებ-
ში (მაგ. ისპაჰანის ერთ-ერთ უბანში), შემორჩენილია ქართულწარწ-
ერიანი საფლავის ქვები. ესენი იყვნენ გასომხებული ქართველები.
იმდენად დიდი იყო გრიგორიანულ სარწმუნოებაზე გადასულ ქართველ-
თა რიცხვი XVII-XVIII საუკუნეებში, რომ თავისი ახალი სამწესო-
სათვის სომხური ეკლესია ლოცვანა და საკლესო წიგნებს ქართული
ასოებით აწერინებდა სომხურ ენაზე. XIX ს. დასაწყისისათვის ყვე-
ლა ქართველი ვაჭარი უკვე სომხებად ითვლებოდა.

„XVII-XVIII საუკუნეების დოკუმენტებში ყველგან, როგორც წესი,
სომხური წარმოშობის ქალაქის მოხელეების, ვაჭრების, ხელოსნების
და მათი სახლის კაცების ვინაობა გვარის აღმიაშვნელი ქართული
ფორმითაა დასახელებული. იშვიათი არ იყო მათში წმინდა ქართუ-
ლი სახელებიც“ (ვ. გაბაშვილი, გვ. 335-336).

6. ბერძნიშვილი წერს, რომ შეუსწავლელია და შეუფასებელია
XVII-XVIII საუკუნეებში საქართველოში მიმდინარე ეთნიკური
პროცესი – ქართველთა „გათათოება“, „გალევება“, „გაოსება“, „დაკარგ-
ვა“ (ჩვენ დავამატებთ – „გაფრანგება“-ა. უ.).

ეჩმიაძინს მნიშვნელოვანი მამულები ჰქონდა თავრიზსა და თბი-
ლისში. მამულებთან ერთად ისინი ყიდულობდნენ, აგრეთვე, ყმა გლეხ-
ებს, რომლებიც ამუშავებდნენ ნაყიდ მიწებს. მაგ., 1715 წელს კათა-
ლიკოს ასტვაცატურ ამანდელმა თბილისში იყიდა ყმებად ხახუტაშ-
ვილების რამოდენიმე ოჯახი, რის შემდეგ ისინი დიდხანს ეჩმიაძინის
ნაყიდ ყმებად ითვლებოდნენ“ (შ. ლომსაძე, გვიანი...). ცნობილია, რომ
ის ქართველი ყმა-გლეხები, რომელთაც ეჩმიაძინი და, საერთოდ, სომხ-
ური ეკლესია ყიდულობდა, იღებდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას
და სომხდებოდნენ.

ქართველი გლეხების გასომხების ფაქტი აღწერილი აქვს მის-
იონერ ამბროზის. მას შეუმჩნევია, რომ სომხდებოდნენ არა მარტო
სომხური ეკლესის მიერ ნაყიდი გლეხები, არამედ სომხდებოდა იმ

ქართული სოფლის მოსახლეობა, რომლებსაც იძენდნენ მდიდარი სომხები. ადამიანის გასომზება იმით გამოიხატებოდა, რომ ის აღი-არებდა თავის თავს სომხთის ეკლესიის წევრად.

შაპ-აბასმა კახეთის ქართველი მოსახლეობა დაატყვევა და სპარსეთში გადაასახლა (ზოგიერთი მონაცემით, 300000 სული). ამავე დროს, შაპ-აბასის პირადი მეთვალყურეობით შენდებოდა ისპაპანჯულფის ბრწყინვალე სომხური ეკლესიები... სპარსეთი და თურქეთი, XVI-XVIII სს. შექმნილი განსაკუთრებული პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, ებრძოდნენ არა ყველა ქრისტიანულ კონფესიას, არამედ მხოლოდ მართლმაციდებლობას საქართველოში.

XVII ს. დასაწყისში მკეთრად შეიცვალა საერთაშორისო ვითარება – ჩრდილოეთში სწრაფად ვითარდებოდა და ფართოვდებოდა მართლმადიდებლური რუსეთი, რომელიც სამხრეთისაკენ მოიწევდა და და კავკასიონის ქედს უახლოვდებოდა. რუსეთმა სპარსეთსა და ოსმალეთს წაართვა მათი გავლენის სფეროები: ყირიმი, ჩრდილო შავი ზღვისპირეთი, ჩრდილო კავკასია, დუნაისპირეთი, მოადგა კასპიის ზღვისპირეთს. იგი აპირებდა კონსტანტინეპოლის აღებას, ბოსფორის სრუტის გაკონტროლებასა და ხმელთაშუა ზღვაზე გასვლას, ასევე, ირანის გავლით ინდოეთის ოკეანეზე გასვლას. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძებდა კავკასია, კერძოდ კი საქართველო, რომელიც ირანისა და თურქეთის მიერ ერთმორწმუნე რუსეთის პოტენციურ მოკავშირედ ითვლებოდა, რომლის დაზმარებითაც რუსეთი შეძლებდა კავკასიის აღებას. ეს პროგნოზი მომავალში გამართლდა. ამიტომ სპარსეთ-ოსმალეთის მთელი პოლიტიკა კავკასიაში იქითქვნ წარიმართა, რომ როგორმე ხელი შეშლოდა საქართველოსა და რუსეთს შორის მოკავშირებას და, აქედან გამომდინარე, ცდილობდნენ საქართველოში მართლმადიდებლობის მოსპობას.

ამ მიზნის მისაღწევად სპარსეთ-ოსმალეთი ფიქრობდა სომხების გამოყენებასაც, ვინაიდან ქრისტიანობის სახელით შესაძლებელი იქნებოდა მრავალი მართლმადიდებლის ცდუნება, მართლმადიდებლობიდან სომხის რჯულზე გადაეყვნა და შემდეგ გასომხება» [6].

თუმცა ამ დროს სომხური ფაქტორის გამოყენებას რუსეთიც ცდილობდა. «„ქრისტიანობა ამ შემთხვევაში მხოლოდ საფარველი იყო. აქ მთავარ როლს თამაშობდა სომებთა შესამჩნევი ადგილი

აქვე აღვნიშნოთ, რომ მოგვიანებით, როდესაც მეფის რუსეთმა საქართველოსა და კავკასიაზე თავისი გავლენა გაავრცელა, ისიც იყენებდა სომხებს დაუმორჩილებელი ქართველების წინააღმდეგ თავისი პოლიტიკის გასატარებლად. სომხეთი ასევე ერთ-ერთ მოკავშირედ მოგვევლინა უკვე ბოლშევიკური რუსეთისა: საქართველოს ანგელის განხორციელებისას რუსეთმა ჩვენს ქავყანაში ის ნაღმები ჩადო, რომელთა აფეთქება საქართველოზე რუსეთის ზემოქმედების ერთ-ერთ ფაქტორს წარმოადგენდა და რასაც რუსეთი თავისი გეოპოლიტიკური მაზრების მისაღწევად დღემდე იყენებს. არ არის გამორიცხული, რომ სომებთა ამჟამინდელი მოთხოვნა 600-ზე მეტი კლავ-

სია-ნაგებობების მათთვის გადაცემის შესახებ ამ პოლიტიკის გამოვლინება იყოს.

დაფუძრუნდეთ თემას. «თურქეთმა სამხრეთ საქართველოში ერთ-მანეთის მიყოლებით გააუქმა ქართული საეპისკოპოსოები, 1763-1764 წლებისათვის ამ მხარეში დარჩენილი იყო ერთადერთი ქართველი ეპისკოპოსი, ვინმე გიორგი. თურქთა იძულებით „1764წ. დასაწყისში ამ მხარის ქართველი ეპისკოპოსი, გიორგი, იძულებული გამხდარა, დაეტოვებინა მართლმადიდებლობა. მართლმადიდებლურ ქრისტიანობაში ოსმალეთი ხედავდა რუსეთ-საქართველოს კავშირს და არავითარ შემთხვევაში არ მიიჩნევდა ახალციხის საფაშოს ტერიტორიაზე მის რამენაირ შეწყნარებას. ამიტომაც იყო, რომ ქართველმა ეპისკოპოსმა გიორგის მართლმადიდებლობის ნაცვლად მიიღო კათოლიკური სარწმუნოება, რაც საქმარისი საბაბი გახდა იმისათვის, რომ თურქ მოხელეებს შეეწყიტა საეპისკოპოსოს დევნა“ (შ. ლომსაძე – „სამცხე-ჯავახეთი“).

მაგრამ საქმე ამით არ დამთავრებულა. „გაკათოლიკებულ ეპისკოპოსს დევნა დაუწყო ეჩმიაძინის პატრიარქმა“ (შ. ლომსაძე – „სამცხე-ჯავახეთი“). სომხებმა ფაშას მოსთხოვეს მისი დაპატიმრება იმ მოტივით, რომ ქართველი ეპისკოპოსი კი არ უნდა გაკათოლიკებულიყო, არამედ უნდა გაგრიგორიანქებულიყო, რადგან ყველა ქრისტიანი, ვინც უნდა იყოს ის, ჩვენ უნდა გვემორჩილებოდესო. მისიონერი ლეონი წერს: „ეჩმიაძინის პატრიარქი პორტას მიერაა დამტკიცებული და კარგადაა დაცული თვით სულთნის მიერ, ამიტომ მბრძანებლობს მთელ ერზე... და თურქების ფირმანის ძალით ყველა სხვა ქრისტიანი მორჩილებაში მოჰყავს“ (შ. ლომსაძე – „სამცხე-ჯავახეთი“). განსაკუთრებით ის ქართველები იდევნებოდნენ, რომლებიც ამ წესს დაარღვევდნენ და სომხური სარწმუნოების ნაცვლად კათოლიკას მიიღებდნენ. „გაკათოლიკებულ ქართველ ეპისკოპოსს ფაშასათვის ქრთამი 1000 პიასრტი მიუცია და ფაშას ის სომეხი ეპისკოპოსისათვის დაუმალავს. სომეხთა ეპისკოპოსს ფაშასათვის დოკუმენტურად დაუსაბუთებია, რომ „ხვანთქარის ფირმანის ძალით ახალციხელები უნდა ემორჩილებოდნენ ჩვენს პატრიარქსო. ახლა კი გაფრანგებულან და მისი მორჩილები არ არიანო“... „ეს დავა ჩვენ იმასაც გვაფიქრებინებს, რომ ახალციხის ბევრი მართლმადიდებელი ამ გზით, ალბათ, გრიგორიანულ სარწმუნოებას იღებდა“ (შ. ლომსაძე

– „სამცხე-ჯავახეთი“). არსებობს დამამტკიცებელი საბუთი „საქართველოში სომხური სარწმუნოების ქართველთა საკმაოდ მრავალრიცხვანი კოლექტივის არსებობისა“ (გ. მაისურაძე – ქართველ... გვ.315).

ევსევი ნიკოლაძე, ქართული ეკლესიის ისტორიკოსი, წერს, რომ საქართველოში ქართველებმა თავიდან კარგად მიიღეს თანამორწმუნე (ქრისტიანი) სომხები. „მაგრამ სომხებმა ქართველებს ეს ღვაწლი მით მიუზღეს, რომ დაივიწყეს მათი ამავი და დაიწყეს ქართველ ხალხში მწვალებლობის (ე.ი. გრიგორიანობის) გავრცელება. ქართველების იმ ერთ ნაწილს, რომელიც აღიარებდა სომეხთა სარწმუნოებას, შესწავლეს სომხური ენა და ამ გზით ეს ხალხი ქართველობას ჩამოაშორეს... ასეთი წარმატებით გამხნევებული სომეხთა მისიონერები მოეფინნენ აღმოსავლეთ საქართველოს და დაიწყეს ქართველებში მწვალებლობის გავრცელება. მათ წინააღმდეგ გამოვიდნენ საქართველოს განათლებული კათალიკოსები: ნიკოლოზ ამილახვარი (1675-1688), ღომენტი (1705-1724) და, განსაკუთრებით, ბესარიონი (1724-1739). საქართველოში ძველი დროიდან მოიპოვებოდნენ თარგმანში ის ნაწერები, რომლებიც იყვნენ მიმართული სომხური ეკლესიის მწვალებლობის წინააღმდეგ... სომეხთა მწვალებლობა წარმატებით ვრცელდებოდა ქართველთა შორის იმიტომ, რომ საქართველოში გამტკადებული იყო სარწმუნოებრივი თავისუფლება...“ (ევ. ნიკოლაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918 წ, გვ. 145-146).

საქართველოს კათალიკოსი ნიკოლოზ VII 1742 წელს ერთ წერილში წერდა: „ჩემი დიდი ხნის წარილის შესრულება სომხებმა არ დამაცალეს, რადგან ახლა ჩვენ აღარ გვიჯერებენ და ამ ქვეყანაში თავიანთ ნებისაებრ ბატონობებენ“.

სომხებისადმი კეთილად იყო განწყობილი და მათ კარგ პირობებს უქმნიდნენ როსტომ მეფე, მარიამ დედოფალი (მარიამს წილკანში სომხებისათვის ეკლესია აუგია), ვახტანგ VI... მეფე სიმონ I (სომეხი მემატიანის სიტყვებით) „...სომეხთა დიდი მოსიყვარულე და ვარდაპეტების დიდი პატივისმცემელი იყო“... „გრიგორიანებისათვის როსტომ მეფეს და მარიამ დედოფალს აუგიათ ქალაქი (ქართლის ახალქალაქი) გრიგორიანული საყდრებითა და მონასტრებით“ (გ. მაისურაძე – „ქართველ და სომეხ ხალხების ურთიერთობა“). როს-

ტომი... მართლმადიდებელთა ეკლესიას დევნიდა. ქართველი კათალიკოსი ევდემონი მან დაახრჩობინა და ციხიდან გადმოაგდებინა... ეჩმიაძინის გავლენა ისეთი დიდი იყო, რომ მას თვით მართლმადიდებელი ქართველი მეფეებიც კი ყმბესა და სოფლებს ჩუქნიდნენ. ქართველი გლეხები ამ გზით სომხდებოდნენ. „კახეთის ბატონს თეიმურაზს და მის შვილიშვილს ერევლეს ეჩმიაძინისათვის შეუწირავთ სოფელი თასმალური თავისი მცხოვრებლებით, ვენახებითა და წყლებით“ (გ. მაისურაძე...) (ეს სოფელი კაზრეთსა და ქიზიყს შორის ყოფილა). „1657 წ. უკვე როსტომ მეფეს შეუწირავს ეჩმიაძინისთვის სოფელი ნახიდური“ (გ. მაისურაძე...)» [6].

სომხური გამოცდილების გადაღებას კათოლიკე მისიონერებიც ცდილობდნენ. ამის მაგალითია «პატრი ამბროზის მოხსენება, რომში 1640 წელს გაგზავნილი: „ქრისტიანების ქვეყანაში კვალად შეიძლება ბევრი კეთილის ქმა რამდენიმე მამულ-სოფლების ყიდვით, როგორც შვრებიან სომხები, რომლებისაც, თუმცა, დიდი სიმულვარე აქვსთ ქართველებს სარწმუნოების საქმეში, მაგრამ, რაკი მათი ხელქეთები გახდებიან, ბევრი მათგანი გადადის სომხის წესზე, ამაზედ უარესიც ვნახეთ: ზოგიერთმა საქართველოში მცხოვრებმა მდიდარმა ურიებმა გააურიავს რამდენიმე თავიანთი ყმა და მოსამსახურე. ამისათვის თვინიერ რაიმე ეჭვისა, ბევრი ქართველი სიამოვნებით მიიღებს ლათინისს წესსა, უკუეთუ შეიქმნებიან ჩვენი ხელქეთინი“ (მ. თამარაშვილი – „პასუხად სომხის მწერლებს“).

ქართველთა მასიურ გაგრიგორიანებას ხელს ისიც უწყობდა, რომ, მაშინ დამკიდრებული წესის თანახმად, ვაჭარი, მეღუქნე, ხელოსანი, ამქარი, მოქალაქე გრიგორიანული სარწმუნოებისა უნდა ყოფილიყო. უფრო მეტიც, სხვადასხვა ხელობის მოსაქმენი ქმნიდნენ გაერთიანებებს, რომელშიც შესვლისათვის აუცილებლად საჭირო იყო გაგრიგორიანება.

ქართველ გრიგორიანებს მხოლოდ სარწმუნოებრივად მიაჩნდათ თავითი თავი „სომხებად“, ეთნიკურად კი – „საქართველოს შვილებად“. მხოლოდ XIX საუკუნის დასაწყისიდან აღრიცხეს რუსებმა ქართველი გრიგორიანები ეროვნებით სომხებად, ასეთივე სომხებად აღრიცხეს სომხური ტიპიკონის მქონე ქართველი კათოლიკეები» [6].

ქართველთა გასომხების პროცესს ხელს სოციალურ-კონომიკური ფაქტორებიც უწყობდა: «... უნდა ვიფიქროთ, რომ გრიგორიანობის

მიღება – ეს იყო სოციალური კატეგორიის შეცვლა. ეს იყო რაღაც მსგავსი სოციალური რევოლუციისა.. შინაომებით, ლეკიძნობით, მაჰმადიანური აგრესით გატანჯულ, დაზარალებულ გლეხებსა და ხელოსნებს ომი აღარ სურდათ. ჩანს, გადასახადებით და ომებით გაღატაკებული ხალხის მასები ისე ხვდებოდნენ გრიგორიანულ სარწმუნოებას, როგორც განმათავისუფლებელს სიღატაკისა და ომებისაგან. მართლაც, ეს სარწმუნოება ათავისუფლებდა გლეხს და ხელოსანს ომის ბეგარისაგან და, ჩანს, საბატონო გადასახადისაგან. მათი მფარველი ხდებოდა ძლიერი და მდიდარი სომხური ეკლესია, რომელიც სიღატაკისაგან დახსნისა და უშიშროების გარანტიას აძლევდა მათ, სამაგიეროდ, არაფერს არ ითხოვდა გლეხობისა და ხელოსნებისაგან, გარდა ეჩმიაძინის რელიგიური უპირატესობის აღიარებისა. მართლაც, კონომიურად დაუძლურებულ და ამით ავტორიტეტ-შელასულ მცხეთასთან (ქართულ ეკლესიასთან) შედარებით, მდიდარ ეჩმიაძინს დიდი გარენული ბრწყინვალება ჰქონდა.

გრიგორიანობის მიღებით გლეხი, როგორც „სომეხი“ ანუ ვაჭარი თავისუფლდებოდა ომის ბეგარისაგან, ეს იმ დროს, როცა ყოველ თავადს თავისი მამული პატარა სახელმწიფოდ მიაჩნდა და გამეტებით იბრძოდა ამ „სახელმწიფო“ საზღვრების გაფართოებისათვის. ამას გარდა, გრიგორიანებს შექმნილი ჰქონდათ ერთგვარი კორპორაციები, ურთიერთდახმარების სალაროები თავიანთ ეკლესიებთან. ეკლესია ეხმარებოდა დატაკს, აძლევდა ბავშვებს განათლებას, ასწავლიდა ვაჭრობას და, რაც მთავარია, ტყვედ წაყვანილ ოჯახებსაც კი იხსნიდნენ ფულით და აბრუნებდნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილზე. ეს დიდად მიზნიდველს ხდიდა გრიგორიანობას. საქართველოში იმ დროს „სომხობა“ აღნიშნავდა არა ეროვნებას, არამედ სოციალურ ფენას, სოციალურ კატეგორიას. ქეყნაში არსებობდა ყმა, ანუ გლეხი, მებატონე და „სომეხი“, ანუ ვაჭარ-ხელოსანი. „სომხობა“ – ეს იყო ვაჭარ-ხელოსანთა ფენა და არა ეროვნება და ისინი არ იდენტიფიცირდნენ სპარს-ოსმალთა მიერ. სომხობა როგორც ირანის, ისე თურქეთის ეკონომიკური წარმატების საყრდენი იყო. სომხებს სწორედ ვაჭრობა-ხელოსნობა ევალებოდათ. სომხობა რელიგიურ-ეკონომიკური ორგანიზაცია იყო. ამან გამოიწვია ის, რომ ერთ პერიოდში, შიდა ქართლის ბარში, მიუხედავად მოსახლეობის სიჭარბისა, გაუქმდა ყველა ქართული საეპისკოპოსო, რადგან მოსახლეობა გაგრიგორიან-

და და ეჩმიაძინს შეემატა. ამიტომ ერეკლე II დღოისათვის მცხ-ეთიდან ვიდრე ლიხის ქედამდე თითქმის აღარც ერთი ქართული საეპისკოპოსო აღარ არსებობდა, მხოლოდ მცხეთა-თბილისში და კახეთში ისხდნენ ქართველი ეპისკოპოსები!» [6].

«სარწმუნოებრივად გასომხებულ ქართველთა სომხურ ცნობიერებაზე გადასვლა აღმოსავლეთ საქართველოში უფრო ნელა მიმდინარეობდა. აյ გასომხებულების უდიდესი ნაწილი ქართულენოვანი იყო და მათ „უყვარდათ საქართველო, ქართული კულტურა, ქართული ადათ-წესები და ყოველივე მამაპაპური, საქართველოს ისტორია და წინაპრები. ასეთი „სომხები“ განსხვავდებიან ნამდვილი სომხებისა-გან და ნამდვილ სომხად არც მიაჩნდათ თავიანთი თავი, ხოლო სომხეთში მათ სომხად არ მიიჩნევდნენ.... სომხური ეკლესიის მოლ-ვაწე არტემ არარატელი აღნიშნავს ქართული ენის საყოველთაო ხმარების შესახებ გრიგორიანთა მიერ: „აქაური სომხების უმრავლე-სობამ სრულებით არ იცის სომხური და ქართულად ლაპარაკობს. . . ამ ადგილების გავლა მით უფრო მნელი იყო, რომ სომხებმა არ იცოდნენ სომხური ენა და ქართულად ლაპარაკობდნენ“ (გ. მაი-სურამე). ამის გამო გახდა საჭირო, რომ მათვის ქართული ასოებით დაწერათ სომხური ლოცვანი, წიგნები და სახარებაც კი» [6].

4. „რუსეთს თავისი სამხრეთის საზღვართან „ერთგული ძალის“ დაბმა სჭირდებოდა“

სომხები ყველა დროში ცდილობდნენ, ესარგებლათ ახლადშექმნილი პოლიტიკური გარემოებებით და მცირე შესაძლებლობასაც არ უშვებდნენ, თავიანთი ინტერესები რომ დაუკვათ საქართველოსა და ქართველთა ხარჯზე. მათვის განსაკუთრებით ხელსაყრელი ვითარება შეიქმნა რუსეთის მიერ საქართველოს შეერთების შემდეგ. კავკასიაში თავიანთი იმპერიული მიზნების მისაღწევად და ერთმორწმუნე ქართველების საწინააღმდეგო პოლიტიკის გასატარებლად რუსებმა მოკავშირედ სომხები გაიხადეს.

«სომხეთა პირველობის მაღა მთელ წინა აზიასა და ამიერკავკა-სიაში არახალი ხილი გახლდათ. პატკანოვმა 1883 წელს რუს გამოსცა, სადაც მტკვრის მარჯვნა სანაპირო არმენიის კუთვნილებაა, მარცხნა – აღანისა, ქართველების ხსენება კი არსადაა... სწორედ

ეს კაცი გახლდათ ნიკო მარის აღმზრდელი. არადა, ერთი ათასწლეულის მანძილზე მაინც სომეხთა პირველობის საკითხი ამიერკავკასიაში არასოდეს დამდგარა (რომაელთა მიერ სომხური სახელმწიფოს IV ს-ში გაუქმების შემდეგ მაინც). ეს მხოლოდ რუსეთს თავისი სამხრეთის საზღვართან „ერთგული ძალის“ დაბმა სჭირდებოდა (სწორედ ასე წერდა მის უმაღლესობას სტატსკი სოვეტნიკი ბულგაკოვი (ÖÄEÄTÉÖ. 1268, ტ 11, პ 233, პ. 422) და, ვინაზღა საქართველოში ასეთ „ერთგულებას“ ვერ ჰპოვებდა და ვერც ჰპოვა, მის სამხრეთელ მეზობელს – სომხებას მიმართა, რომელსაც იმხანად სახელმწიფო საერთოდ არ ჰქონდა და „დიდი არმენის“ შექმნის პირობითა და სომხური კაპიტალის გამოყენებით აპირებდა სამხრეთისაკენ (თურქეთის იმპერიის ხარჯზე) თავისი სამთლობელოების გაზრდას (ისევ იქ მცხოვრებ სომეხთა იმედით, შემდგომში, ომის დროს, დიდი დახმარება რომ გაუწიეს თურქთა ზურგში). ისიც საკითხავაა, რატომ არ ენდო-ბლონენ რუსები ქართველებს და არ მიიჩნევდნენ „ერთგულ ძალებად“? საქმე ის იყო, რომ საუკუნეების მანძილზე საქართველო (ისტორიული ქართლი) თავისი განვითილობითა და იდეოლოგით ყოველთვის იყო მთელი ამიერკავკასიის გამაერთიანებელი ყველა ჯერის დამპრობის წინააღმდეგ (საპარსეთის, რომის, არაბების, თურქებისა და თვით მონღოლებისაც კი). ერთი სიტყვით, მოქმედებდა ფენომენი, რომელიც წინა საუკუნის ბოლო ათწლეულში „კავკასი-ური სახლის“ იდეით აღორძინდა, მაგრამ, სამუშაოროდ, მან ჩვენ უფრო დიდი ზიანი მოგვიტანა (მხედველობაში აფხაზეთი გვაქვს), „კავკასიური სახლი“ კი ისევ რუსეთის მიერ ფაქტობრივად პან-თურქული იდეით შეიკრა. ცარისტული მმართველობისა და პოლი-ტიკური კურსის განმსაზღვრელთათვის, ეტყობა, კარგად იყო ცნობილი ქართველის თავისუფლებისმოყვარე სული და, თავის საწინააღმდეგო კოალიცია რომ მოესპო, ან მისი შექმნის შესაძლებლობა სულაც რომ აღმოფხვრა, სწორედ ის სჭირდებოდა – ამიტომაც აღარ უნდა ყოფილიყო ქართველისა და საქართველოს სახსენებელი! ამისთვის კი, აქტიურ პოლიტიკასთან ერთად, როგორც დღეს უწოდებენ, „ინფორმაციული ომის“ მოგებაც იყო საჭირო, და ამოქმედდა მთელი იმპერიული მანქანა – და, რაღა თქმა უნდა, „ერთგუ-ლი ძალებიც“ აუშვეს» [14].

მანამდე კი „„ალექსანდრე პირველმა მთავარმმართებელ ტორმა-

სოვს დაავალა საქართველოს საეკლესიო საკითხების გამოკვლევა. რევიზიაშიც ცხადი გახადა, რომ საქართველოს ეკლესია უმსხვილესი და ყმა-მამულებით მდიდარი ფეოდალიც იყო“ (შ. ლომისაძე). და 1811 წ. იმპერატორმა გააუქმა მისი ავტოკეფალია, რითაც, ფაქტობრივად, ერთი გასროლით რამოდენიმე კურდღლი მოკლა: 1. თავიდან მოიშორა ერთ-ერთი უმსხვილესი ფეოდალი, რითაც საშუალება ებლეოდა, მისი მიწა-მამულები სახაზინოდ გამოეყენებინა და, როგორც მოესურვებოდა, ისე ემართა ისინი; 2. აშკარა კონკურენტს უსპობდა რუსულ მართლმადიდებლურ ეკლესიას და მას ყოველგვარ გასაქანს აძლევდა (თუმცა, როგორც შემდეგ გაირკვა, სრულიად სხვა ეკლესიამ მიითვალა მოსავალი); 3. კოლონიური პოლიტიკის გამოყენებითა და რუსული ენის ძალით დანერგვით დაჩქარდა გარუსების საკითხი, რადგან ეკლესიიდანაც ქართულის ამოგდებით, ფაქტობრივად, ენის სრული იგნორირება ხდებოდა (სახელმწიფო და სასამართლო ენად უგვე რუსული ფუნქციონირებდა) (შ. თამარაშვილი).

ჯერ კიდევ XX ს-ის დასაწყისში გაზითმა „ისარმა“ (1907 წ. №110) ქართული საზოგადოების წინაშე გამოამზეურა ყველა ის „სიკეთე“, რაც სინოდმა ჩვენს ეკლესიას მოუტანა: 1) სინოდის მოხელეებმა მტკვარში გადაყარეს ყველა ადრინდელი კანონი და დადგენილება, დაწვეს აურაცხელი საეკლესიო დოკუმენტი. რაც დარჩა, პეტერბურგში წაიღეს (ანუ მოლიანად მოსპეს ქართული ეკლესის საარქივო მასალა). 2) მოსპეს 25 ეპარქია, რომელთა შორის ზოგი 15 საუკუნის განმავლობაში არსებოდა. 3) ეგზარხოსმა ევსევი ილინსკიმ გაყიდა ქართველ კათალიკოსთა უძვირფასესი სამოსელი, ხატებსა და სამოსლებს ძვირფასი თვლები ჩამოხსნა. მონაწილეობდა გელათის მონასტრის სამოსლების მიტაცებაში, რადგან სწორედ მან დართო ნება გრაფ პანინსა და ლევაშოვს (1870), ვითომცდა, სარესტავრაციოდ გაეტანათ ისინი. იმერეთის კათალიკოსთა საპატრიარქო სამოსლიდან (სტამბოლის აღებამდე იყო ისინი შექმნილი) 8 გირვნება ოქრო გადააღნეს, ხოლო მარგალიტებიდან და ფირუზებიდან ქალებს სამკაულები გაუკეთეს. 4) სწორედ ამ ეგზარხოსის დროს დაიკარგა სიონის ტაძრიდან აურაცხელი სიმდიდრე, ოქრო, რამდენიმე ფუთი მარგალიტი, ფირუზი და სხვა ძერფასი ქვა. ასევე გაიძარცვა ალავერდის, ნინოწმინდის და სხვა დიდ ტაძართა საგანძურები.

ქართული სამღვდელოების ფენის მოსპობის შემდეგ „თავისუფალ“ ადგილებზე სინოდი რუს და სომებს ღვთისმსახურებს მიავლენდა ხოლმე. ნათლობის აქტის ჩატარების შემდგომ ქართულ გვართა დაბოლოება „შვილი“ შესაბამისი რუსული „ოგ“ დაბოლოებით იცვლებოდა... იმ მრევლში კი, რომელსაც ტერტერა ჰყავდა, მონათვლისას არქეპიფრენ სომები ეპისკოპოსის მიერ რეკომენდირებულ სახელებს და ასე თანდათან იცვლებოდა მათი ვინაობა. ხშირად ახალ სახელს ახალი გვარის ხელოვნურად შექმნა და გადაკეთებაც მოსდევდა. მაგ. თუ ნათლობისას აკოპს დაარქევიფრენ, მისი შვილი უკვე აკოპოვად იწერებოდა. მეორე-მესამე თაობის ეთნიკურ სომხად ჩაწერას კი წინ უკვე აღარაფერი დაუდგებოდა... ეს საქართველოში ხდებოდა მასიურად ყველგან და, განსაკუთრებით, იმ პროვინციებში, შემდგომში „ერევნის გუბერნიას“ რომ ესაზღვრებოდა, ანუ ლორეში, ქვემო ქართლსა და სამცხე-ჯავახეთში.

„1840 წ. 10 აპრილის დაღგწილების საფუძველზე ადმინისტრაციული ცვლილებების შედეგად გაუქმდა ახალციხის საფაშო დროებითი მმართველობა და მის ნაცვლად შეიქმნა ერთი ახალციხის მაზრა, რომელიც საქართველო-იმერეთის გუბერნიაში შევიდა. ახლად შექმნილი მაზრა სამ უბანად დაჲყებული ახალქალაქის, ხერთვისას და ახალციხის“ (Â. Էშტარბაში, Ածառաջան 1846 წ.). ახალი ადმინისტრაციული გადანაწილების დროს, როდესაც ამიერკავკასიაში შეიქმნა 4 გუბერნია, ერზრუმიდან ჩამოსახლებული კოლონისტებისა და ზოგიერთი დიდვაჭარ-მარკიტანტების გავლენით, მთავრობამ ახალციხის მაზრას ჩამოაცილა ახალქალაქის უბანი და ეს ერთი ადმინისტრაციული უბანი ორად გაყო. ორად გაყოფილი პროვინციის ერთი დიდი ნაწილი, როგორც ახალციხის მაზრა, შევიდა ქუთაისის გუბერნიაში, ხოლო მეორე ნაწილი – ახალქალაქის უბანი – თბილისის გუბერნიაში, მაგრამ არა, როგორც დამოუკიდებელი ახალქალაქის მაზრა, არამედ როგორც ალექსანდროპოლის მაზრის ერთი უბანი. ასე ხელოვნურად და დაუსაბუთებლად მოიწადინეს ვითომც ეთნიკური სომხური მაზრის შექმნა საქართველოს ისტორიულ მიწა-წყალზე... 1849 წ. ალექსანდროპოლის მაზრა შეუერთეს ახლად შექმნილ ერევნის გუბერნიას, ახალქალაქის უბანი კი დაუბრუნდა ახალციხის მაზრას. შემდეგში ახალქალაქის უბანი მაზრად აქციეს,

1868 წლიდან ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები შეუერთოს ტფილისის გუბერნიის. ამის შემდეგ რამდენჯერმე კიდევ იყო ცდა საქართველოსაგან ახალქალაქის მაზრის ჩამოცილებისა, მაგრამ ნაციონალისტთა ეს ზრახვა მარცხით მთავრდებოდა“ (შ. ლომსაძე).

რუსეთის მთავრობა კი უცხო სასულიერო პირთა საკუთარი იმპერიის ფარგლებიდან გაძევებას ცდილობდა (იგი ამას სომები სასულიერო პირების ხელით აკეთებდა-ა.უ.). ყველაფერი კი ახალციხეში დაიწყო: სომხური კათოლიკური წესის ერთ-ერთმა მღვდელმა შაჰელიანთ პავლემ (პროპაგანდის აღზრდილი გახლდათ) ომი აუტეხა მისიონს, ყველა საშუალებას მიმართა, რათა ისინი სამუდამოდ გაეძევებინა სქართველოდან.

„შაჰელიანთ პავლემ მთელ საქართველოში დაგზავნა თავისი მღვდლები, კაპუცინების მიერ დატოვებული ეკლესიები რომ დაეკავებინათ. მოსახლეობამ მათ კარები დაუკეტა და არჩიეს, სულ უმღვდლოდ დარჩენილიყნენ, ვიდრე სომხის მღვდლები პყოლოდათ. მთავრობა კი იმულებული გახდა, ამის შემდეგ პოლონელი სამღვდლოება მოწევია. სამწუხაროდ, შეტევა ამით არ დასრულებულა. პაპმა პიუს IX-მ 1848 წ. 3 ივლისს საქართველოს ყველა კათოლიკე, როგორც ლათინური, ასევე სომხური წესისა ტირასპოლის ახალი ეპარქის გამგებლობას დაუკემდებარა“ (მ. თამარაშვილი)

სომხებმა ამით კვლავ ისარგებლეს და საკუთარი წესები შემოიდეს, თუმცა ლათინური ეკლესიები და მათი ქონება ხელში ვერ ჩაიგდეს. „ამიტომ ერთ ძალზე საკვირველ საშუალებას მიმართეს: ყველანაირად შეეცანენ, ხალხი დაეკერებინათ, თითქოს არასოდეს არსებობდნენ ქართველი კათოლიკები და საქართველოში მცხოვრები ყველა კათოლიკე სომები იყო. ამ ახალ გამოგონებას რუსეთის მთავრობა კეთილგანწყობით შეხვდა, რადგან ხელს უწყობდა მის ზრახვებს. ამიტომ იმპერატორმა აღექსანდრე III-მ 1886 წ. 16 იანვარს გამოაქვეყნა ბრძანებულება, რომელიც, გარდა იმ მრავალი წყალობისა, სომხებს რომ უბოძეს, შეიცავდა ასეთ მუხლს: „მისი იმპერატორის უდიდებულესობა ბრძანებს, კავკასიაში მორწმუნე კათოლიკებს, სულერთია, სომხურ წესს ეპუთვნიან თუ ლათინურს, აღარა აქვთ უფლება ქართული ენით ისარგებლონ ეკლესის ღვთისმსახურებაში, რომ აღარ იყოს დაყოფა ქართველ და სომხ კათოლიკებად“ (მ. თამარაშვილი)

ეს იყო ეთნიკური ქართველების მოსპობის კიდევ ერთი ცდა, რადგან სომხური წესის ეკლესის მრევლის მეორე თაობა არა გასომხებულ ქართველად, უკვე სომებად იწერებოდა! რუსეთის მთავრობამ ცოტა უფრო ადრე იზრუნა სომხური კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიების გაერთიანებაზე. „ამ მიზნით (რომისგან რომ გამოეყო) დიდი სარფა და უხვი საზღაური შესთავაზა ყველას, ვინც ისურვებდა რუსულ ეკლესის შეერთებოდა. ამავე დროს, სწყალობდა მას, ვინც აღარ ამჟღავნებდა დამოკიდებულებას რომის ეკლესისადმი, ან ვინც ამ ეკლესის მთლიანად განუდგებოდა, რათა გამოყოფილ სომხურ ეკლესიაში გადასულიყო. რუსეთის მთავრობამ რომის ეკლესიდან სომხურ ეკლესიაში გადასვლის გასაადვილებლად სახე შეუცვალა თავის კანონმდებლობას, რასაც ამტკიცებს საბუთი, რომელიც რუსეთის მინისტრმა პეროვსკიმ გამოყოფილ სომებთა კათალიკოსს ნერსესს 1852 წ. 30 იანვარს გაუგზავნა“.

ეს იყო სომხური კათოლიკური და გრიგორიანული ეკლესიების ფაქტობრივი გაერთიანება და დღესდღეობით მხოლოდ სომხური გრიგორიანული ეკლესია არსებობს. საერთოდ, ზემოთ მოხსენიებული ყველა ეს ფაქტი გახდა მიზეზი იმის, რომ ისტორიული მესხეთის ტერიტორიაზე ქართული ეთნოსი გარკვეულ ეპოქამდე ძალზე მცირე იყო. სწორედ იგივე საკითხები გამოიყოფა საქართველოს კიდევ ერთი პროვინციის (თუმცა უკვე ყოფილის), ლორეს ისტორიაშიც» [14].

5. სომხეთა უმრავლესობას ქართველი გრიგორიანული ეკლესიები შეადგენდნენ

გასომხების, ისევე, როგორც გაფრანგების, პროცესს ხელს უწყობდა ქართველთა სარწმუნოებრივი დაქვეითება, გაუთვითცნობიერებლობა. ერთ ერკვეოდა სარწმუნოებრივ საკითხებში, ვერ ასხვავებდა ჭეშმარიტ სწავლებას მწვალებლობისაგან. „ქრისტიანის“ სახელით მას აცდუნებდნენ და იგი მწვალებელთა მსხვერპლი ხდებოდა. ერთადერთი, რაც ქართველ ერს გამოარჩევდა, ტრადიცია და წესჩვეულებანი იყო.

მართლმადიდებელი ეკლესია სათანადოდ ვეღარ პატრონობდა თავის სამწყსოს. ბევრგან მოიშალა და მრავალი ათეული წლის

განმავლობაში აღარ აღესრულებოდა წირვა-ლოცვა. დაუმოძღვრავი და, რიგ შემთხვევაში, მწყემსის გარეშე დარჩენილი მართლმადიდებელი ერის წარმომადგენლები სომებთა თუ ლათინთა აქტიური, ხან დათაფლული, უმთავრესად კი – აგრესიული პროზელიტიზმის მსხვერპლი ხდებოდნენ.

გაზეთი „ივერიას“ (1893 წ., №225) წერილში „ძდომარებობა მართლ-მადიდებლობისა საქართველოს საექსარხოსში“, მოჰყავს ცნობა უწმინდესი სინოდის ობერპროკურორის 1892 და 1893 წლების ანგარიშიდან. ივი დაიბეჭდა უურნალში „ტარტის აქტები არა მართლმადიდებელთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივად მაღანიან უკან არიან ჩამორჩენილი იმ აქტების გამოყენებისას და მათ გარეთ განვითარება არ არის“. ის დაიბეჭდა უურნალში „ტარტის აქტები არა მართლმადიდებელთა სარწმუნოებრივ-ზნეობრივად მაღანიან უკან არიან ჩამორჩენილი იმ აქტების გამოყენებისას და მათ გარეთ განვითარება არ არის“. ამ ცნობის მოყვანის შემდეგ წერილში ნათქვამა: «ყოველივე ზემო-აღწერილიდგან სჩანს, რომ სარწმუნოების მხრივ საქართველოს საექსარხოსო მართლმადიდებელი სამწყმო არა სანატრელს და სასიამოვნო ყოფაშია; ამას უშველის მხოლოდ სამრევლო-საეკლესიო სკოლები; მაგრამ, როგორც მოწმობს უსამღვდელოები ექსარხოსი, სამწუხაოდ, სამღვდელოება, სასულიერო წოდება ამ საქმისთვის ნაკლებად არის მომზადებული; მიზეზი ამისა არის, რომ: 1) სასულიერო წოდებაში ნაკლებად არიან განათლებული და 2) ნივთიერის მხრივ არ არის იგი უზრუნველყოფილი. ერთი მესამედი საქართველოს ეპარქიის სამღვდელოებისა სრულიად მოკლებულია განათლებას, ანუ მიუღია იგი ორი-სამი წლის განმავლობაში დაბალს სასწავლებელში და შემდეგ მომზადებულა მონასტრებში, ან თვით სამრევლოებში, სადაც უმსახურნია ეკკლესიის დარაჯობიდგან მოკიდებული მღვდლის ხარისხამდე; ამისთვის სამღვდელოებას არ ძალუშს მოძღვრება, სწავლება ხალხისა, მათი სარწმუნოებრივი განვითარება და მავნე ზნე-ჩვეულებათა აღმოფხვრა მათ შორის».

ამ სავალალო მდგომარეობის ფონზე სომები მღვდლები – ტერტერები – დიდ გულმოდგინებასა და მოხერხებას იჩენდნენ. ზაქარია ჭიჭინაძე წერდა:

«სომხის სამღვდელოება ყოველთვის უფრო თავისუფლად მოქმედდა, ყოველთვის უფრო აყვარებდა მრვლს თავს, ვინეც ქართველთა. სომხის სამღვდელოების დევიზს ეს შეადგენდა: მათა სიყვარული, ქართველთა და სომებთა შორის სრული მშენდობა და პატივის ცემა, ერთმანერთის მფარველობა და გატანა. ეს ასეც უნდა ყოფილიყოს მათგან, იგინი ნებას აძლევდნენ სომხებს, რომ ამათ ქართველთ ეკლესიებში ევლოთ – იქ, სადაც სომხის ეკლესიები არ იყო, თითქმის საზარებლადაც კი მომზადებულიყვნენ, სეფისკვერიც აელოთ, ხოლო ზიარებით კი სომხის მღვდლისაგან უნდა ზიარებულიყო.

იყო ხოლმე ისეთი შემთხვევებიც, რომ ქართველი შეუთქამდა, რომ ჩემი შვილი ამა და ამ სომხის ეკლესიას, ანუ ხატის დღეობას უნდა მოვნათლოვო, მართლაც, დანიშნულ დღესასწაულ დღეს რომელიმე სოფლიდამ წაიყვანდნენ იქ ქართველთ ყმაწვილს და სომხის მღვდელი მონათლავდა სომხურად. ამაზედ წინააღმდეგი არავინა სოქვას, მარტოდ თვითის მახლობლივ თელეთში წმინდა გიორგში, კრწანისის ეკლესიაში და შავ-ნაბადას რამდენიმე ასი ქართველია მონათლული. თელეთის წყალობა არის, რომ მის გარშემო მთელი ქართველთ გრიგორიანები დღეს თავიანთ თავებს ნამდვილ სომხათ აღიარებენ. ასეთმა გარემოებამ საქართველოში 1830 წლამდე გასტანა. ამ საყდრის საშუალებით დიდი ძალი ქართველობა მოესხლითა თავის ვინაობას, ასეთ გათვისებულთ ქართველთა რიცხვით სავსეა თვით თვითილისი. მერე ისიც უნდა ითქვას, რომ ერთ დროს, თელეთის წმიდა გიორგი, შავ-ნაბადა და კრწანისიც ქართველთა საყდრები იყო, მის გარშემო ქართველნი სცხოვრობდნენ, ხოლო უამთა ვითარების მეოქებით აქეთ ქართველთ სამღვდელოება უძლურ იქმნა, მათ მრევლის მოვლა აღარ შაეძლოთ. მრევლი კი არა და, თვით ტაძრებსაც კი სტოვებდნენ უპატრონოდ, ოხრად, აღარც მოვლის თავი ჰქონდათ, აღარც სახსარი სარწმუნოების ვითარებისა, მათს გამუდმებულს ვითარებასა მხოლოდ მუსულმანთა მტრობა შეადგენდა, მათთან ომი და სისხლის ღვრა, საყდრის მოვლის და ქართველის სჯულით შემოფარგველისთვის აღარავის სცხელოდა.

ამით სარგებლობდნენ სომებთა სამღვდელონი და იგინი მოგზაურობდნენ სოფლიდან სოფელს, თვით მოუვალს, მიყრუებულს ქართველთ სოფლებში და იქ ქართველებს ხშირად სომხურად უნათლავდნენ ყმაწვილებს, აქორწინებდნენ, ამის მოდავე მათ წინაშე აღარავინ იყო,

რადგანაც ქართველთ მის შენების ძალა აღარ შესწევდათ — მათ-თვის სულ ერთი იყო, ოღონდ ქართველი მოუნათლავი არ დარჩე-ნილიყო, დაუსაფლავებელი.

სომხის სამღვდელოებას რომ უფრო მძლავრად ემოქმედნა ქართველებზედ, ამიტომ იგინი ახლა გადაბირებულ ქართველთ არ უშლიდნენ თვით ქართველთ საყდრებში სიარულს, ლოცვის მოსმე-ნას და ზიარებასაც კი. მნე მოძღვართ მკლავები არამც თუ მარ-ტოდ ქართველ ერს ეფინებოდა გარს და ეთვისებოდა, არამედ ესენი ეპატრონებოდნენ თვით ქართველთა დიდორონ ტაძრებსაც კი, ისეთ ტაძრებს, როგორიც ახატია, სანაინი, ბეთლემის ღვთისმშობელი, ბოლ-ნისის სიონი, მიხაელის საყდარი, თელეთის დიდი ტაძარი. მარტოდ თვილისში ქართველების ოთხი საყდარი აქვსთ დაჩემებული და გასომხებული. ესენი არიან ფეთხიანი, წმ. მიხეილის საყდარი, დიდი მედნის თავზედ წმ. გიორგისა და მეტეხის აღმართზედ პატარა საყდარი.

თუმცა სომხის სამღვდელოება თანასწორი იყო სჯულის საქმის შეხედულებაში, ხოლო უპირატესობის განმათვისებლობით კი მო-ქმედებდა ხალხში და სულ მისი წყალობა იყო, რომ შიგ შუა გულს ქართლის სოფლებში ასე მრავლად დანერგეს სომხის მცნება, სომხ-ური დედა ჰაზრების ჰატივისცემა. საქმე ისე მოწყო, რომ დღეს მთელს ქართლში ვეღარც ერთს ვერ ათქმევინებ, რომ იგი ქართველი გრიგორიანია, რომ მას მარტოდ სჯული აქვს სომხისა და ენა და მოდგმა კი ქართველის, ამის ცნებაც კი არ არსებობს მათს თავში. თუმცა უმეტეს ნაწილს გვარი და სახელებიც ნამდვილი ქართული აქვსთ, მაგრამ მაინც ისე არიან გადაბირებულნი, რომ იგინი არც ამ გარემოებას აკვირდებიან.

ვინც კი ქართველთაგანი ძელადგანვე დაშთენ გრიგორიანთა ეპ-ლების წინაშე, ყველა მათ სახელათა და გვარათაც იმ სახით და გზით ერქმეოდათ სახელები, როგორც გრიგორიანთ ეკლესია ითხოვ-და, მაგალითებრ, ურთიერთის გასარჩევად ივანეს – ოპანეზი, გიორგის – გევურქს, მათეს – მათეოს და სხვაც ასე. ერთის სიტყვით, სამღვდე-ლობა მონათვლის სჯულის საშუალებით ქართველებში იცავდა ნამ-დვილ ძირეულს სომხურს სახელებს და სულ ამის წყალობა გახ-ლავსთ, რომ უამთა ვითარების წყალობით ქართველთ სომხის სახ-ელები ეწოდა.

აი, ეს სოფლებიც: ნათლუხი, აქ არის მრავალნი ქართველ გვარისანი გასომხებულნი, სოღანლუხის, კრწანისს, შინდისს, ტაბახელას, ხატის თელეთს, წალაპყურს, თელეთს, კუმისს, ვაშლოვანს, ერტის, ლოუბანს, ბორბალოს, მუხათს, კოდას, მარაბდას, მარნეულს, ჭოლაგაურს, პატარა შულავერს, დიდს შულავერს, ახტალას, მადანს, სპილენძის მადანს, დარ-ბაზს, გოგრაშენს, ახბულახს, ვანამურს, კოლახს, ბორნას, ლალკანათს, კარანდუხარს, ბაიტალოგლას სოფელს, ზემო სარალს, ქვემო სარალს, ბაგანოს, ბოლნისს და სხვაგანაც. ამ სოფლებს გარდა — შამშადილს, ყაზახს, ბორჩალოს, ყარაბახის საზღვრად, შულავერისკენ და ბამბაკ-ისკენ ქართველთა იყო 240 სოფელი. XVII საუკუნის შემდეგიდამ ეს სოფლები შემცირდა ქართველთ მცხოვრებთა რიცხვით, ყველა იგინი სპარსეთს იქმნებ გადასახლებულნი, მათ მოადგილეთ აქ გამრავლდნენ თაორები და სომხები. უამთა ვითარების წყალობით ამ სოფლებს ყველას საერთოდ შეეცვალათ ქართული სახელები და მათ მაგირ თაორული ეწოდათ. ამ სოფლებს ისე აქვსთ სახელები შეცვლილი, რომ ძნელათ მათ ქართულის რამედა შეეტყოს, ზოგის ქართულ სახ-ელებს ვახუშტიც მოიხსენებს და ზოგსაც აქ დაშთენილ ქართველთ ძველ შთენი ღაღადებენ. ასე და ამგვარად მოისაო აქ ქართველთ სენება. ვინც კი შავს ბედს გადარჩა, არ გადასახლდა და აქ დაშთა, მათი ნაწილი ქართლის სამღვდელოებისაგან მიტოვებულ იქმნებ და ამიტომ უმეტეს ნაწილი მათი ზოგი სომხებს შეუერთდა და ზოგიც თაორებს: ზოგი ძალით, ზოგი ნებით, დროის წყალობით მათ ქართული ენაც დაივიწყეს და, ასე და ამგვარად, ამ ვრცელს კუთხეში სადღეისოდ ამოვარდა ძირიან-ფესვიანად ქართული ენა.

მოკლედ უნდა ითქას, რომ მთელს ქართლს სომხეთ შთამომავალნი მხოლოდ გორს, ახალგორს, დუშეთს, ახალ ქალაქს და მცირეც ორ-სამ სოფლებში სცხოვრობენ, დანარჩენ ადგილებში ვინც კი სცხოვრობენ, ისინი ქართველის ტომისანი გახლავან და უამთა ვითარების მეოხე-ბით გასომხებულნი, ამას გადაწყვეტით ვამბობთ. -ასეთ გასომხებულთ რიცხვი მეტად დიდია თბილისში, თითქმის სომხეთა ნახევარი ქალაქ-ში ასეთ ქართველთაგან შესდგება, მაგრამ ყველა მათ დავიწყებული აქვსთ თავიანთ ვინაობა და მის ისტორია. იგინი დღეს ნამდვილი „ჰაზრი“ არიან, თუმცა ჰაზრიან არაფერი იციან. მთელ ქართვლის ქართველ სომხობას დღეს თავის თავი ნამდვილ სომხათ მიაჩნიათ, სომხეთიდგან მოსულებათ სოვლიან თავებს, თუმცა მათ ამისი არა

ეტყობათ რა და გარეგან და შინაგან ნამდვილს ქართველს წარმოადგენენ. მათ ვერავინ რას შეამჩნევს, რომ იგინი სომხები, ან მათი შთამომავალნი იყენენ. საქართველოში 2600 წლის განმავლობაში თვით ქართველ ურიებმა შეინახეს თავიანთი სულის ძალა და სახე, თვით მათ ეტყობათ დღესაც კარგად, რომ იგინი ებრაელთა შთამომავალნი არიან და, ნუთუ სომხებს, რომელთა მოსკოვაც საქართველოში XVII საუკუნის იქით არ მისწვდება, ამათ კი არ უნდა შერჩენოდეს თავიანთი ნიშანწყალი? ეს შეუძლებელია.

სამცხე-საათაბაგოს დაცემამდე, მთელს კუთხესა და, ნამეტურ – ახალციხეში ნამდვილ სომეხთა რიცხვი სულ არ იყო. ახალციხეში სომხები გაჩნდნენ ქართველთაგან. ოსმალეთის სამფლობელო საქართველოში ოსმალებმა ძრიელ გაუჭირეს საქმე ქართველთა. ყველას ათათრებდნენ, გაუთათრებდნივ არავის სტოვებდნენ, ქართველს ან სხვა სჯული უნდა მიეღო, ან უნდა გათათრებულიყო, ორში ერთი ელოდა. ამ დროს ქართველთ იქნეს გაფრანგება და გასომხება, ქალაქის ზემო ნაწილის ქართველობა გაფრანგდა და ქვემო ნაწილის, ანუ სადაც ქართველთ ებრაელი სახლობენ, იმათ მახლობლათ მცხოვრებ ქართველნი კი გასომხდნენ. მაშინ ამ გასომხებულთ რიცხვი 300 კომლზედ მეტი იქნებოდა, მათ ორი საყდარი აქვნდათ. ქართველებს როგორც გაფრანგებას არ უშლიდნენ, ისევე გასომხებას – როგორც აფრანგებდნენ, ისე ასომხებდნენ. ამას ნურავინ იუცხოვებს.

კახეთში სომხების მისვლა ეკუთვნის სამ ხანას: XII საუკ. XVI საუკ. და XVII საუკ. მხოლოდ მცირე რიცხვი კი, ასე რომ მათი აღნიშვნა 100 კომლზედ იქით არ წავა, იგინიც დასახლებულ იქმნენ თელავს, სიღნახს და საგარევოს. დანარჩენ ადგილებში შემდეგ გაჩნდნენ. დღეს კახეთში, გარეთ თუ შიგნით კახეთს – სომხები სცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: თელავს, სადაც დაჩემებული აქვთ ქართველთ ჰყალესაც, ქისტაურს, რჩეულეთს, ხორხელს, აღავრდს, ჯინანს, ოუინს, არტოზანს, არტოზანს მეორეს (აქ სომეხთ რიცხვი ძველად დასახლებულა რამდენიმე კომლი), რუის-პირს (აქაც ძველად დასახლებულა რამდენიმე კომლი). ახატელს, ვარდის უბანს, გულგულას, კურდღლელაურს, ტომიანს, წინანდაღს, ჩობაკურს, ქვემო ხოდაშენს, კალაურს, შაშიანს, ურიათუბანს, მუკუზანს, ველისციხეს, ჩუმლაეს, კუჭატანს, სანავარდეს, პირისყანას, ფაშანს, ირაკლის ციხეს, ნაფარეულს, სანკორეს, არტაკას, ლალისყურს, ტახტის სოფელს, ახატელს, ფიჩე-

ოვანს, ბახტრიანს, მატანს, ყანდაურს, გავაზს, კუჭატანს, სანავარდეს, პირისყანას, ბაკურციხეს ქალაქს, კარდანახს, ჯუგანს, ტბიანს, პასანს, ოზანას და სხვანი. ივრის ხეობაზე სცხოვრობენ შემდეგ სოფლებში: კაკაბეთს, მანავს, გიორგი წმინდას, საგარევოს, ნინო წმინდას, პატარძეულს, კარბულახს, უჯარმას, ვეჯინს, ნორიოს, მარტოფოს, ახალ სოფელს, სართიჭალას, ნავთლუხს და სხვაგანაც აქა-იქ თითო-ოროლა კომლი. ქიზიყისკენ სცხოვრებენ შემდეგ აღგილებს: ქ. სიღნახს, გურჯანს, ჩალაუბანს, მელანს, ქოდალოს, ფხოვლეს, ზიარას, აგრამას, ჯიმითს, ანაგას, ვაქირს, საქაბოს, მაშნარს, მირზანს, მაჩხანს, ფანიანს, მაღაროს, ნუკრიანს, ჭოტორს, ბოდბეს, ბოლბის ხევს, კოდალს, ასნაურს, ახალ სიღნახს ანუ ნასომხარს, და სხვა სოფლებშიაც თითო-ოროლა კომლი.

კახეთში უწინ სომეხთა რიცხვს ფეხი გამაგრებული ჰქონდა თელავს, სიღნახს, საგარევოს და ორს თუ სამს სოფლებში. დანარჩენში მათი რიცხვის ხსენებაც არ იყო, იქ მათსას კაცი ვერევის ნახავდა, ხოლო შეიძლებოდა ვაჭრობის მხრით თითო-ოროლა კაცი აქა-იქ დროებით მისული გენახათ. დანარჩენს ვერავის ნახავდით. ყველა ზემოხსენებულს სოფლებში, სადაც კი დღემდე სომხები სცხოვრებენ, ყველა იგინი ქართველები არიან შთამომავლობით – მათი ვინაობა ქართველია, დედაენაც ქართული, იგინი უმთა ვითარების მეოხებით და სომეხთა სამღვდელოების წყალობით არიან გრიგორიანობაზედ გადაყვნილი და მით გასომხებული. როგორც თფილის სომხის სამღვდელოება ქართლის ქართველებში ავრცელებდა სომხის სჯულს, იმასვე კახეთში თელავისა და სიღნაღის სომეხთა სასულიერო წოდება ჩადიოდა და უპატრონოთ შთენილთ კახეთის გლეხკაცებს ასომხებდა. კახეთში რაც კი ქართველი გრიგორიანები არიან, ყველა იგინი სომხობასთან დაკავშირებული არიან XVII და XVIII საუკუნის დამდეგს. ამას ეჭვი არ უნდა. ტყეუილუბრალოდ შეიძლება, რომ სომხის აზგასერები გაგულისძნენ ამაზედ, გაგულისებიდამ არაფერი გამოვა – რაც მართალია, ის უნდა სიმართლით იქმნეს აღიარებული, და რაც ტყეუილი – ის კიდევ ისევე ვგონებ, ამ დასკვნაზედ დავას არ დაგვიწყებენ. მაინც აქ სადაცო არაფერია, ეს ისტორიული მიმოხილვა არის.

სომხის ეპკლესია და მისი წესები არის ისე მოქარეულ-მოწყობილი, რაისა გამო იგი გვართა ჭამიად უნდა ჩაითვალოს – როგორც ისლამი სჭამს გვარს და ყველას ათათრებს, ისევე გრიგორიანობა

სჩადის. აი, თუნდ დღეს, რომ მე მივიღო ეს სჯული, იმ დღიდგან მე უნდა ნამდვილი სომხი გავხდე ენით და ზნით, ქართული უნდა ყოველივე დავივიწყო, ვგმო ცხარედ და მის მაგიერ სომხური უნდა შევითვისო, ნამდვილ სომხობა უნდა დავიწყო. ასე გახლავსთ მთელი ქართლის და კახეთის გასომხებულ ქართველთ ვითარება. რაც აქ საზოგადოთ მიმოხილვა შევადგინეთ ქართველ სომხებზეთ, ვგონებ, ჩვენთვის საქმარისი უნდა იქმნეს. ჩენ საკვირველად გვრჩება ის გარემოება, რომ ან კი სომხის მხნე სამღვდელოებას როგორ გადაურჩათ და მთელი საქართველოც კი ვერ გაასომხეს. ხომ ვიცით ისიც, რომ ჩვენი სამღვდელოება, საუბედუროდ, უკანასკნელ დროს ისე დაკინდა და დაუცა, რომ სომხის მხნე სამღვდელოება, არამც თუ მარტოდ ქართველთ მდაბიოთა სიცოცხლეს შეისყიდდა, რომელთაც ცხოვრება ჰქონდათ გამწარებული, არამედ იგინი შეისყიდდნენ თვით ქართველ მღვდლებს და მღვდელ მთავრებსაც და, თუ საქმე გაჭირდებოდა, მაშინ თვით კათოლიკოსსაც კი. ეს ნურავის ეწყინება, ჩვენში ყველამ კარგად ვიცოდით ქართველი სამღვდელოების უძლურება და უმატებისშვილობა. ქართველი სამღვდელო ოღონდ გააძლე, აჭამე, ასვი, ფული მიეცი და იგი არამც თუ თავის მრევლს დაგითმობს გადასარჯულებლად, არამედ თვითაც გამოგყება უკან.

დღესაც ქართველი თავის უხეირობით და ბედასლობით მარტოდ კუჭის გზას და, როგორც უძლებს, ერთი ლუკმა პურისთვის დავიწყებული აქვს გვარიც, ენაც, ტომიც და ქვეყანაც. ქართველი ასეა გაფუჭებული და გაწუწებული, რომ იგი ფულზედ გაპყიდის თვით თავის პირვენებასაც, ცოლს, შვილებს, დედას და მამასაც. ასე ვიყავთ ძველდაგანვე და, აბა, რაღა ფიქრი უნდა მას, რომ სომხებს ჩვენი შესყიდვა და გასომხებაც, ვგონებთ არ გაუჭირდებოდათ, ამას იგინი ყოველთვის ადვილად მოახერხებდნენ» [29].

მნელია, შეაფასო, რაძენად სამართლიანია ზაქარია ჭიჭინაძის ბოლო სიტყვები იძროონდელი საქართველოსთვის. შესაძლოა, გადა-ჭარბებულიც იყოს, მაგრამ უნდა გვახსოვდეს ისინი.

6. ქართული ენის დევნა და ქართველთა „განთვისება“

ქართველთა მამულებისა და სალოცავების დასაკუთრებისა და მათში სომხური სარწმუნოების გავრცელების პირველ ეტაპზე

სომხები ქართველობის ერთ-ერთ მძღავრ ნიშანს – ქართულ ენას – არა სდევნიდნენ. პირიქით, ქართული ენით იზიდავდნენ ქართველებს სალოცავებში, სადაც მსახურებასა და ქადაგებას ამ ენაზე აღასრულებდნენ. სომხურ ლოცვებსაც ქართული ასოებით უწერდნენ მრევლს, რათა სომხურის უცოდინარ ქართველებს ნელ-ნელა სომხური წესი შეეთვისებინათ.

მაგრამ სომხური სარწმუნოების გავრცელებისა და ქართველთა ადგილ-მამულების წარმატებით დაპატრონების კვალღაკვალ სომხებმა ქართველ გრიგორიანთა თემებში ქართული ენის უმოწყალოდ დევნა დაიწყეს. ამას უნდა დაუსრულებინა სალოცავწაგვრილი ქართველის სრული გასომხება.

«ქართლსა და კახეთში მცხოვრებ სომხებთ შორის რომ დიდი ნაწილი უნდა იყოს ქართველ გრიგორიანებისა, ეს იქიდამაც კარგად სჩანს, რომ ქართველთა და სომხებთ შორის დიდი ერთობის ქსელია გაბმული. იგინი ერთმანეთისაგან არაფრით განირჩევიან – ლხინი, ჭირი და სხვა ამგვარები ერთად იციან, ჭამა, სმა და წესწყობილებაც ერთნაირი აქვსთ, ლაპარაკი, მიხვრა-მოხვრა და წესებიც ერთია, რასაკვირველა, ქართული. ნათესავობა, მისვლა-მოსვლა, ქალის გათხოვება, დანათესავება და ნათლობაც ხშირად იციან. ამხანაგბა ყველანაირს საქმებშიც განურჩევლად სწარმოებს, მათში რამე გვაროვნული განხეთქილება სულ არ არსებობს ისე, ეს როგორც სხვა წრის ხალხში გახლავსთ. ამათ დანათესავებას და კაცთა შორის სიყვარულს ის გარემოებაც უფრო აფართოვებდა და ამტკიცებდა, რომ ქართველთ მეფეების დროს შვილი ყოველთვის მამის სჯულზედ ინათლებოდა, ამიტომ სომხეთაგან ქართველი ქალების შერთვა ერთობ ხშირი იყო, ეს გარემოება კიდევ მათში მტკიცე კავშირს პატარავდა, სომხის სჯულის მქონე ქართველთა რიცხვი საქართველოში თავისუფლად მრავლდებოდა. მათ ჩვენს დრომდე კარგად მოაღწიეს, თუმცა XIX საუკუნის დამდევიდამ მათს ასეთს ცხოვრებას კი სახე შაეცვალა, დაირღვა ის, რაც კარგა ხანს მათში არსებოდა, თითქმის ნათესავობა კი არა და, მეგობრობაც მოისპო, თვინიერ ქართულის ენისა. ჯერ-ჯერობით მათს ერთს ტომობის ნიშნად მათში მხოლოდ-და ქართული ენა არსებობს. თუმცა, ისიც კი უნდა ითქვას, რომ ამ ბოლოს დროს ამასაც ევლინება მათებური მახვილი, ქართული ენის დავარდნის

და ამოფხვრის ნატერა მათში ხშირად სწარმოებს, შეიძლება მომავალში ესეც ამოვარდეს მათში. ენის გარდა სადღეისოთ ქართველ გრიგორიანებს თავიანთ ძველს ქართულს გვარსა და სახელებსაც უსხვაფერებენ, ახალ რაღაცა სომხურ გვარებს არქმევენ და მით არწმუნებენ, რომ თქვენი ძველი გვარი სომხური არის და დღეინდელი, ქართული კი ახალი მოგონილიო.

ასეთი ოსტატობა და მანქანებანი მათგან ხშირად მომზღდარა ჩვენში და სულ ამის წყალობა გახლდათ, რომ ამ გარემოებას ჩვენ ადრევე მივაქციეთ ყურადღება. ამის შესახებ ცნობებიც ვსწერეთ, მერე ამ გარემოებამ კამათიც გამოიწვია, სომხურ მწერლობაში საუბარი ასტეხეს და უარ ჰყენს ჩვენი მოსაზრება, დაასკვნეს და დააღარადეს, რომ ქართველებთაგან სომები არც ყოფილა ვინმე და არც იქნებაო. ვისაც კი სომებს ქართული გვარი აქვს, ის ქართველებთაგან არის მოგონილი და დარქმეულიო. მერე კლდიას (ერთ-ერთი ასეთი წერილის ავტორი-ა.უ.) მისცეს პასუხი „მშაგში“ და ერთ ჩემს წერილს „მურჭში“. აქ თამამათ უარჲყეს ქართულ გრიგორიანთ არსებობა. ქართულ გრიგორიანები ჩვენ სახსენებლათაც არ ვიციოთ. დაბეჭდეს ასეთი ცნობაც, რომ სულ სიცრუე არისო.

გვაროვნობის განვითარების ტრფიალებით ამათ იქამდის მიაღწიეს, რომ უკანასკნელ ქართული ენა აშკარად ჰგმეს და ამ ენის დევნა თვით ეკლესიებიდან და სკოლიდამაც დაიწყეს. იქნება მკითხველმა ეს არც კი დაიჯეროს, რომ, როგორ თუ საქართველოში, ქართველთ შორის, ქართული ენა იგონბაო – აქ დაუჯერებელი არაფერია, ყოვლის ფერი მართალია და ჰყებმარიტი.

სიღნაღს – სომხები რამდენადაც სომხის შთამომავალი სცხოვრობენ, იმაზედ მეტი ქართველ გვარისანიც არიან, ე. ი. გრიგორიანები. ორივეს ძრიელ კარგად ესმისთ ქართული ენა, სახალხო სახარებელ დედა ენათ ქართული ენა ითვლება. წერა-კითხვაც ამ ენაზედ ემარჯვებათ და ძველდაგანვე მათში ქართული წიგნების წერა და კითხვა იყო გავრცელებული. ყველა საქმის ქაღალდები ქართულად იწერებოდა, ეკლესიებში ქადაგობა და თვით სახარების კითხვაც ქართულად იცოდნენ. საფლავის ქვებზედაც ქართულად აწერდნენ და, ამას გარდა, თვით ეკკლესიის ქვებზედაც. მათგან ქართული მწერლობის ასპარეზზედ მეღებსენი და მწერლებიც გამოდიოდნენ, ხშირად სწერდნენ კიდევაც. სწერდნენ და

სწერებ თვით ქართულ გაზეთებშიაც.

მაგრამ დღეს სიღნაღის სკოლებში, ქართველ გრიგორიანებს შორის, სასტიკათ არის ქართული ენა აღკრძალული და პატარა სომხის ვაჟებსა და ქალებს პირველ დაწყებიდგანვე სომხურის ენით აწყებინებენ სწავლას, რაც ბავშვებისთვის გაუგებარია. სკოლაში ბავშვი სასტიკათ დაისჯება, თუ მან ქართულს ენაზედ ხმა ამოიღო. ასწავლიან სომხურს და რუსულს, როგორც სახელმწიფო ენას, ორივე ენა კი საქართველოს ქართველ გრიგორიანთა ბავშვთათვის უცხოა და მიუხვედრი, რაც მათ სწავლის საქმესაც უძნელებს და ეს რეალური პედაგოგიის წინააღმდეგიც არის.

თელავს – აქვს ქალების და ვაჟების სკოლა. აქ არიან ქართველ გაგრის გრიგორიანებიც, მაგრამ აქ არც ვაჟებს და არც ქალებს ქართულ ენას არ ასწავლიან.

ცხინვალს – აქვს სკოლები, მაგრამ განდევნილი აქვსთ ქართული ენა, ბავშვები ჩუმად სწავლობენ. სომებთა ძველი მღვდელი ასეთის ზომების არ იყნენ.

გორს – აქვს სკოლები, მაგრამ სასტიკათ განდევნილი აქვსთ ქართული ენა. არ ასწავლიან. ბავშვები ჩუმად სწავლობენ.

დუშეთს – აქვსთ სკოლები, მაგრამ განდევნილი აქვსთ ქართული ენა, არ ასწავლიან. აქაც ბავშვები ჩუმად სწავლობენ.

ახალგორს – აქვს სკოლა და განდევნილი აქვსთ ქართული ენა.

ახალქალაქს – აქვსთ სკოლა და განდევნილი აქვსთ ქართული ენა.

სურამს – აქვსთ სკოლა და განდევნილი აქვსთ ქართული ენა. ასე და ამგვარად, ქართლის სხვადასხვა სოფლებშიაც აქვსთ სამრევლო სკოლები დახსნილი, მაგრამ ყველგან ქართული ანბანის სწავლება მოსპობილი აქვსთ, ქართული ენის ხმარებაც მკაცრათ არის დამხობილი.

კავთისხევს – აქვსთ სკოლა ვაჟების და ქალების, სკოლიდან განდევნილი აქვსთ ქართული ენა. ასე რომ, აქ ხალხს ხმას, კრინტს არ აღებინებენ ქართულს ენაზედ. ნამდვილი დესპოტიზმი არსებობს ამ გვარს ქართლის სომებთა სკოლებში მათ მეთაურ მასწავლებელთაგან.

მერე ვინ არიან ეს ქართლის სომხები? – უმეტესი ნაწილი

ქართველის გვარისანი, ქართველთ გრიგორიანები, რომელთა დედა ენას ქართული ენა შეადგენს, რადგანაც თვითაც ქართველ ტომის შთამომავალნი არიან, მათი გარჩევა ქართველისაგან შეუძლებელია. მათი სახალხო ენა ქართულია, ყოველივე მათში ამ ენით სწარმოებს და სრულდება, ტირილი, სიმღერა, ლხინი და ყოველივე საოჯახო, შინაური თუ გარეული სულ ქართული ენით სწარმოებს. ძნელათ, რომ მთელ ქართლში მოიძებნოს ერთი ისეთი სომეხი, რომ მას ამ ენის რიგიანად გაგება ჰქონდესთ. თვით თავადის შვილებიც კი უცოდინარნი არიან ამისი, რადგანაც იგინი ამ ენას მხოლოდ საყდრის ენათ სთვლიან, მათს დედა ენას ქართული ენა შეადგენს.

თფილისში – აქვთ სასულიერო სემინარია, სხვადასხვა სავაურ და საქალო სასწავლებლები, მაგრამ ყველგან დამხობილი აქვთ ქართული ენა და წერა-კითხვა. თფილისში ძველადგანვე ქართველ გრიგორიანები ქართულად სწერდნენ და კითხულობდნენ სხვადასხვა ბარათებს, წიგნებს, საფლავის ქვებზე სულ ქართულად აწერდნენ, ეკკლესიებშიც მღვდელი ხშირად იტყოდნენ ქართულს ენაზედ ქადაგებას, რომ მის საშუალებით მრევლს გაეგო ქადაგების დედა-პაზრი. ხშირად სომხის თავადის შვილები და აზნაურებიც იყვნენ სამეფო სამსახურში, მეფის მდივნები და მწერალნი, მთარგმნელნი და მხატვარნი, როგორც ტერ ფილიპე ყაითმაზვილი, თფილისის გეგმის დამხატი ტერ შმოვანი და მრავალნიც სხვანი ენით დაუთვლელნი, ყველას მოთვლა აქ ძნელია. ხოლო იმას კი ვიტყვით, რომ ძველადგანვე თფილისის ქართველ გრიგორიანების თუ სომხის შთამომავალთათვის სახალხო ენას ქართული ენა შეადგენდა. ამ ენით სულდგმულობდენ იგინი, ამ ენით იძენდნენ ქართველთაგან მამულებს, ამ ენით სტკებოდნენ, ამ ენით სცოცხლობდნენ.

ძველთაგანვე თფილისის ნამდვილ სომხის შთამომავალი მოქალაქენი თავისუფლად ყიდულობდნენ ქართველთ ყმა გლეხებს, მათ ჰყლობდნენ, როგორც უნდოდათ, და თან თავიანთ სჯულზედ მოაქცევდნენ. თვით ქართველთ ყმათა მდგომარეობაც ისეთი იყო, რომ მრავალნი დევნილნი ყმანი ეთვისებოდნენ სომეხთა, დევნილნი სომხურს გვარსა და სახელებს ირქმევდნენ, სომხურად ინათლებოდნენ და მით გადირჩნდნენ ხოლმე თავებს.

ჩვენ აქ მოვიყვანეთ და დავასახელეთ მარტოდ ზოგიერთი დიდრო-

ნი დაბანი და ქალაქები, სხვებს არ ვახსენებთ, მაგალითებრ, ქართლისა და კახეთის დიდრონ ისეთ სოფლებს, სადაც სომეხთა ეკალესიებიც აქვთ, იქვე სამრევლო სკოლებიც, მაგრამ სკოლებში ბავშვებს სიტყვასაც არ ასწავლიან ქართულად. ერთის სიტყვით, ყველა ამ სოფლებში მოსპობილია ქართული ენა. ამ ენის საჭიროებას ადგილობრივ მცხოვრებიც კი კარგად გრძნობენ და საჭიროებენ, მაგრამ მათ ნდომას გზა და კვალი არა აქვსთ, რადგანაც სომეხთ გამგეობა ასეთის წესით არის შეპყრობილი. ესენი მოქმედებენ თავიანთ წესდების თანახმად, ეს მათი წესდება კი წინააღმდეგია ერის მოთხოვნილების – ერი ითხოვს ქართული ენის შესწავლას, ნამეტურ ქართული წერა-კითხვის გამო.

ჩვენს სკოლებში ქართული ენის სწავლება არ შეიძლება – ქართული ენა ხომ თქვენი ენა არ არის, რომ გასწავლოთ, თქვენი დედა-ენა სომხური ენა არის და მიტომაც ჩვენ სომხური უნდა გასწავლოთ. ვისაც ქართული ენის სწავლა უნდა, იმას ამ ენის სწავლება შინაც ეყოფა. ჩვენს სკოლებში ქართულ ენას ვერ შევიტანთ, რადგანაც იგი იქაც მეტია, სადაც კი ეს სომეხთა ოჯახებში არსებობს, ჩვენ მოვალენი ვართ, რომ თქვენ მარტოდ თქვენი სჯულის დედა-ენა – სომხური გასწავლოთო.

ერთ სოფელში, აი, რა მითხრეს:

სწორედ ამბობთ, ბატონო, ეს ჩვენი მღვდლებისაგან (ტერტერებისაგან-ა.უ.) ველარ გაგვიწყვია რა: საქმეს ისე გვიჭირებენ, რომ ლამის ქართულად დავინათლნეთ, ჩვენი ეკალესია კანცელარიად გადახდა, იქ გვარებს და ათასნაირ სამტრო ლაპარაკით მოსვენებას არ გვაძლევს. აბა, თქვენა ბრძანეთ, ახლა ჩვენ რომ ქართველებისაგან ერთობ შორს ვიაროთ, რა უნდა გამოვიდეს მით, არაფერი. სომხური ისწავლეოთ, ეს კარგი, ახლა სულ რომ სომხური ენა და წერა-კითხვა ვისწავლოთ და სხვა არაფერი მის მეტი, ვსტკევათ, ჩვენ შინათ და გარეთ სულ ამ ენით ვილაპარაკოთ, მერე ჩვენ მეზობლობა არ გვინდა, ან მეგობარი, ამხანაგი და მოკეთე?

მეორე ასეთმა გლეხმა სთქვა ახალქალაქში:

ჩვენ, შენი ჭირიმე, ქართველებთან მოყვრობა გვაქვს, ნათესაობა, ნათელ-მირონი. ყველამ ქართული ენა ვიცით, ამ ენით ვლაპარაკობთ, ამით ვასრულებთ ჩვენ ჭირს, ლხინს, წვეულებას, ქართულად ვმღერით, ვსტირით, ამ ენით ვადიდებთ ღმერთს, ვგონებთ, ღმერთმა თავის

დიდება ყველა ენაზედ უწყინრად უნდა მიიღოს. ვინც მას ადიდებს, ის მისთვის ყველა ერთი უნდა იყოს. მაგრამ არა, ეს ჩვენი მღვდლები კი ამას არ ისტენებ და იმას ჩაგვიჩინებენ, რაც მათ ენატრებათ – აი, ბატონო, ჩვენმა მღვდლებმა გადაჰქიდა ჩვენი გლეხობა ჩვენს მებატონებსაც. ლამის სისხლი აგვალებინონ ერთმანეთში. შორს იარეთ ქართველებისაგან და მათთან ყოველნაირი ნათესაობა და მეჯობრობა მოსპეთ და გაწყვიტეთო. მოჰყვიბიან, ბატონო, და სჯულის სახელით, ვინ იცის, რა სამტრო საქმეებს არა სთესენ.

მესამეტ მითხრა იქვე: ახლა, ე დალოცვილები იმას კი აღარ კითხულობენ, რომ ჩვენც გვეპიტნავება მათი ქადაგება და მტრობის ვრცელება თუ არა. ამას არ ფიქრობენ, აგვტებიან, რომ სომხური ენა დაისწავლეთო, შვილებსაც ეს ასწავლეთ, სომქი ხალხი მდიდარი ხალხია, ვაჭარი და ამ ენის ცოდნით თქვენი შვილებიც გამდიდრდებიანო. მერე სად, რომელ ხალხში და კუთხეში გავმდიდრდებით, ამაზე არას ამბობენ. ჩვენ, ბატონო, ქართველებში ვცხოვროვთ, მათში დავდოვართ, ტყეში ვართ თუ ბარში, ყანაში, ბოსტანში და, ვინ იცის, სად გვინდა არა, რაც კი სოფლის საქმეები მოგეხსენებათ, ყველაფერში; ჩვენ ქართველებთან გვაქვს საქმე და მეჯობრობა, ყოველი ჩვენი ავი და კარგი ქართულის ლაპარაკით სწარმოებს, ამ ენით ვსაზრდოებთ, ამ ენაში დაბადებულან ჩვენი მამა-პაპანი, ამ ენით აღვზრდილვართ ჩვენც და ამ ენითვე აღიზრდებიან ჩვენი შვილები და შვილის შვილებიც, უამენოო ჩვენ საქართველოში ერთ დღესაც ვერ გავძლებთ და ვერ ვიცოცხლებთ და ვერ ვიცხოვრებთ. უამისოთ, აბა, რა ვიქნებით და რა მნიშვნელობა გვექნება?!

ჩვენს საჭირო ენას ეს ენა შეადგენს, ამ ენით გვიცხოვრია და ამითვე უნდა ვიცხოვროთ, ამას ვერვინ წაგვართმევს, გინდ, რომ წაგვართვან, ამის სანაცვლო ენის სწავლებას გადავყვებით. ეხლა ეს ახალგაზრდა სომხები და ტერ-ტერები აგვტებიან, რომ თქვენ შვილებს სომხური ენა ასწავლეთ და თქებენც სომხურად ილაპარაკეთ და ქართულ ენას თავი გაანებეთო. ჩვენი ბალლი ჩვენი საყდრის სკოლაში სამ წელიწადს დადიოდა, იქ სულ სომხურს და რუსულს ასწავლიდნ, ამ ხნის განმავლობაში მან ვერც სომხური ისწავლა და ვერც რუსული. ეხლა გამოვიდა სკოლიდამა და ქართული უბრალო მოკითხვის დაწერა კი არა, ანბანიც არ იცის. ეხლა ჩემი ბავშვი მიკიტანს მივაბარე ერთი წლით, მუქთად, ეგები, მხოლოდ ქართული

წერა-კითხვა ასწავლოს, რო შინაურებში მოკითხვის წერის წაკითხვა და დაწერა მაინც შაეძლოს.

ძველთაგანვე ყველამ კარგად ვიცით, რომ საქართველოში სომხის შთამომავალ სომხები თუ ამათ თანა მერჯულე ქართველ გრიგორიანები სავაჭრო დავთრებს სულ ქართულად სწერდნენ, ანგარიშიც ასე იყო, ქართულ ძველს ქორონიკონს მათში ჰქონდა ადგილი. ამათში, ერთის სიტყვით, ყველაფერი ქართულად სწარმოებდა.

ბევრს ალაგას მათ საწადელს მიაღწიეს და ქართველ გრიგორიანებს თავიანთ ოჯახებში მოასპობინეს ქართული ძველი სავაჭრო დავთრები, დავთრები თვით XVII საუკ. ნაწერი, ძველი გარიგების წერილები, სიგელ-გუჯრები და თვით ქართული წიგნებიც კი. ბევრს ოჯახში შეირყა ქართული ენა. ბევრს ალაგას უნდოდათ ამ ენის ამოგდება და ამის სასარგებლოდ ცდაც დაიწყეს, მაგრამ საქმით კი ვერა გააწყეს რა. თუმცა უნაყოფობას ხედვენ, მაგრამ ცდას მაინც თავს არ ანებებენ. დავთრების, სიგელ-გუჯრების და წიგნების მოსპობის მიზეზი ის იყო, რათა მის საშუალებით ძირიან-ფესვიანად ამოეგდოთ ქართული ენის ნიშან-წყალი ქართველ გრიგორიანთა ოჯახებში.

ძველად არამც თუ საქართველოს გრიგორიანები მისდევდნენ ქართულს ენაზედ წერა-კითხვას, არამედ მათ სამღვდელო პირიც კი სწერდნენ ქართულს ენაზედ, რადგანაც მათ ქართული ენაც კარგად იცოდნენ, ვინაიდან ქართლსა და კახეთში იყვნენ დაბადებულ-აღზრდილნი, შთამომავლობითაც ქართველნი. ძველი მღვდელი თავიანთის ქართულით უფრო იზიდავდნენ ქართველების გულსა და უკანასკნელ ასომხებდონენ კიდეც. სომხის ძველმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა, რომ უქართულ-ენოდ იგინი ვერას გააწყობდნენ, თვით სომხის ეპკლესიასაც ვერას შესძენდნენ და ამიტომ იგინი თვითონაც ზედ მიწევნით სწავლობდნენ ამ ენას და მრევლსაც არ უშლიდნენ ამის სწავლას და დახმარებას. იგინი ამით ორივეს ტომში სიყვარულს და გაურჩევლობას ნერგავდნენ და დღეინდელი სამღვდელოება კი წინააღმდეგ იქცევა ძველის სამღვდელოების. ეს მოძღვარნი ისეთი ოსტატები იყვნენ, რომ იგინი სომხებში სომხურ ენას თვით ქართულ ასოების საშუალებითაც კი ავრცელებდნენ, მაგალითუბრ, საქართველოში სომხთათვის 1825 წლიდან ლოცვის წიგნები ქართულ ასოებით იბეჭდებოდა და ისე ვრცელდებოდა მათში.

ახალგაზრდა (სომები-ა.უ.) სამღვდელოება გატაცებულია განუსაზღვრელის ოცნებით და მათ აღარ იციან, რა ქმნან, რა ღონის ძიება იხმარონ, რომ ქართველი ენა ამოაგდონ მათში და მის მაგიერ სომხური დაამკვიდრონ, იგი განაძეონ თფილისის სკოლებიდამ. იგინი ამისთვის დიდათ მეცადინეობენ და ქართველთ გრიგორიანთა შვილებში სასტიკად აქვს ქართული ენა აღკრძალული. ამ ენაზედ, როგორც გაუქმს, ისევე ქალებს სიტყვის თქმაც არ შაუქლიათ, თორებ სასტიკათ დასჯიან.

გარდა ასეთი ოსტატობისა, ეს ხსენებული წოდება თავის მიზნის მისაღწევათ და განსახორციელებლად სხვა ღონის ძიებასა და ოსტატობასაც ხმარობენ: მათ იმცადინებ და არამც თუ მარტოდ ენის და მწიგნობრობის შხრივ დარღვეული ქართული ქრთობა და კავშირი, არამედ მათის ცოდნით დაირღვა თვით ნამსახური და მეცნიერული ძალაც. ნათესავობა სჯულის გამო ქართველებს და ქართველ გრიგორიანებს შორის მკაცრათ ისპობა, ნამეტურ სდევნიან სომქთაგნ ქართველთ ქალის შერთვას, ამას სასტიკათ უკრძალავენ. ვინც კი სომხეთაგანი ამ მცნებას და აღკრძალვას დაარღვევს, ვაი, მისი ბრალი.

ქართველთა განთვისებას ქართველ გვაროვნობისაგან ხელს უწყობდა ის გარემოებაც, რომ ქართველი სამღვდელოება უძლური ანუ გაუგებარი იყო გვაროვნულ საქმეში. იგი გულგრილი იყო და მას ამის ძიების დროც არ აქვნდა. მეფენიც ისეთის შეხედულების იყვნენ, რომ საქართველოში მცხოვრები ოღონდ ქრისტიანები ყოფილიყვნენ, თორემ დანარჩენთან მათ საქმე არ აქვნდათ. ქართველთ მებატონეთაგან თავისუფლად ისყიდებოდნენ მათი ყმანი, რომელთაც ყიდულობდნენ სომებთ შეძლებულნი ვაჭარნი და მერე ამ ნაყიდს თავიანთ სჯულზედ მიაქცევდნენ და ამის მოდავე მათი არავინ იყო. კანონი იყო ისე, რომ ყყიდველი ბატონი თავის ნაყიდს ყმას არამც თუ მარტოდ თავის სჯულზედ გადაიყვანდა, არამედ შეეძლო გაეთათრებინა კიდეც. ამ გარემოებამ დიდი მარცხი დაარტყა საქართველოს და ამან მოვლო ბოლო ჩვენს ძალას. ვიტყვით იმასაც, რომ ქართველთ არამც თუ ყმობიდან ასხვაფერებდნენ, არამედ სომებთა მხნე ხუცები ფულით ყიდულობდნენ მთელს სოფლის ხალხს და თვის სარწმუნოებაზედ გადაპყვავდათ. ამის მაგალითია შემდეგი: ცხინვალისკნ ერთს სოფელში სცხოვრობენ გლეხნი გიგაურები, ყველა იგინი XVIII საუკუნეში გადაკავშირებულ იქმნენ სომხის საყდარზედ. დღეს გი-

გაურები სომხათ ითვლებიან, სარწმუნოების წყალობით გვარითაც სხვა-ფერდებიან. დღეს რომ მათთან მივიდეს ვინმე და პკითხოს თვისი ვინაობა, იგინი მაშინათვე ეტყიან, „რომ სომხები ვართო.“!

ამის სასარგებლობდ ღწვა სომხის სამღვდელოებამ აღრიდგანვე მორთეს, მარტოდ ერთს დიდს შრომათ ღირს ამათ მიერ გვარების გადაკეთება. მაგალითებრ, მეტეხლ გლეხ მირზაშვილუს გვარი მირზა-იანცად გადაუკეთეს.

ამ გარემოებას სომხის სასულიერო წოდებამ ყურადღება მიაქცია და ამ 40 წლის წინეთ ქართველ გრიგორიანებს ნამდვილ ქართული გვარების სომხურად გადაკეთება უწყეს და ყველას გვარი – ტერით და იანცით გადასხვაფერეს» [29].

7. სომებთა მამხილებელი პუბლიკაციები

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სომხებმა, რუსეთის ადგილობრივ ხელისუფალთა დახმარებით, მოსახლეობის აღრიცხვისას მოახერხეს სარწმუნოებრივად გასომხებულ ქართველთა აღრიცხვა და ჩაწერა ეროვნებით სომხებად. ისინი ამტკიცებდნენ, რომ გასომხებული ქართველი არ არსებობს, რომ ყველა გრიგორიანი ეთნიკური სომებია. ამას ხელს უწყობდა ზოგიერთი გადაგვარებული ქართველის დასტურიც მათი სომხური წარმომავლობის შესახებ. ქართველ გრიგორიანთა წინააღმდეგ მიმართული ეს სომხური „ეთნოაგრესია“ დღემდე გრძელდება.

«სომებ მკვლევართა (მაგ. პ. მურადიანის) აზრით, ქართველ გრიგორიანთა რაოდენობა მხოლოდ და მხოლოდ თითებზე ჩამოსათვლელი თუ შეიძლება იყოს. ქართველის გავრიგორიანება, „სომხურად მონათვლა“ (და, მაშასდამე, გასომხება) მხოლოდ ყოფით ნადაგზე ხდებოდაო საუკუნეში ერთხელ; მაგალითად, თუ რომელიმე ობოლ ბავშვის სომხური ოჯახი იშვილებდა. ამგვარი ტენდენციური პოზიციაა წარმოდგენილი, კერძოდ, 1988 წ. 26 აგვისტოს ერევანში გამომავალ გაზეთ „გრაკან თერთ“-ში („ლიტერატურული გაზეთი“) დაბეჭდილ პ. მურადიანის წერილში: „ტენდენციური ისტორიული თვალსაზრისი“, ანუ, „სანამ მახათს სხვას უჩხვლეულე, ნემსი შენ თვითონ იჩხვლიტე“» [12].

სწორედ ამ უსამართლობას ებრძოდნენ XIX საუკუნის ბოლოს

ქართველი მამულიშვილნი, რომელთა წერილები აღსავსეა წუხილით ხსენებული მოვლენის გამო. მათ მიერ მრავალი კონკრეტული ფაქტია მოხმობილი სომებთა სამხილებლად. ამ მხრივ ფასდაუდებელია დიდი მამულიშვილების: ილიასა და აკაკის ღვაწლი, რომლებსაც სომხის მწერლები „სომხიჭამიებს“ უწოდებდნენ.

მოვიყვანთ იმ პერიოდის დამახასიათებელ ზოგიერთ პუბლიკაციას, რომლებიც ფარდას ხდიან განსახილველ მოვლენას, წარმოაჩენენ სომებთა მზაკვრობას, ასევე, ქართველთა ქარაფშუტულ დაუდევრობასა თუ მოღალატურ საქმიანობას, მათ შორის – მცდარად გაგებულ კოსმოპოლიტიზმსა და ლიბერალიზმს.

„ივერია“ 1901 წ., №119

ქართველი გრიგორიანები

„ქრისტეს სარწმუნოება ქართველებმა და სომხებმა მეოთხე საუკუნეში მიიღეს, ის ეპლესია-კი, რომელმაც გაავრცელა ჩვენსა და მათ შორის ქრისტიანობა, ბერძნისა იყო და დიდებულის ბიზანტიის კეისართა დაბრძანებული და საპატრონო... სარწმუნოებრივი განხეთქილება მეექსე საუკუნეში უარესად გამწვავდა და ბოლოს სომხის ეკლესია დოგმატითაც დაშორდა ბერძნის ეკლესიას... მეცხრამეტე საუკუნის დამდეგს იხილა საქართველოს სომებთ ეკლესიამ ნაყოფი აბრამ კათალიკოსის მოქმედებისა, იმ აბრამისა, რომელმაც შეაჩვენა ყოველი სომები, ვინც ქართველ-ბერძნის სარწმუნოებას კოდევ აღიარებდა. აბრამ კათალიკოსის მემკვიდრეებმა მიჰყვეს ხელი ქართველ გრიგორიანთა შორისა, განურჩევლად, სომხობის, როგორც სხვა ერის აზრის ჩათესვას, თუმცა სომხობი ისე როგორც ფრანგობა საქართველოში სარწმუნოებრივ სიტყვას წარმოადგენს და სხვა არაფერს. თამამად შეიძლება ითქვას, რომ იმ სომხებში, რომლებიც ჩვენს ქვეყნაში სცხოვრობენ, ერთი მესამედი ძლივს თუ იქნება ისეთი, სომხის ნიშანწყალი კიდე ეტყობოდეს, დანარჩენი ორი მესამედი ზნით, ჩვეულებრივი ენით და ტანისამოსით პირ წმინდად დაქმსგავსა ნამდვილ ქართველებს, რომლებსაც ნათესაობა და ნათელ-მირონობითაც კი უკავშირდება აგრეთვე.

მეცხრამეტე საუკუნის თითქმის მეორე ნახევრამდე მათ ეკლესიებში ქართული ლოცვანები ხმარებაში იყო და ვნების კვირაში ჯვარცმის სახარება იკითხებოდა ქრისტეს გამოტირილის საგალობელი

ითქმოდა... ქართული ქადაგება ხომ დღესაც ფერხმაგრობს საქართველოს გრიგორიანთა ეპკლესიებში, მეტს ვიტყვი, წირვაც-კი არის სომებთა ეპკლესისა ქართულად ნათარგმნი. სომხის სამღვდელოებამ თავისი განსხვავებული რჯული განკურმოების საშუალებად დასახა, განსაკუთრებით მას აქეთ, რაც ეჩმიაძინის საპატრიარქო საყდარმა ამ ოციოდე წლის წინ ბრძანება გამოსცა – ჩვენის სამწყსოს შემავალი მღვდელი ამიერიდან მოკლედ იკრეჭდეს თმასაო. იმ დღიდან უფრო მარჯვედ შეუდგნენ ქართულის ენის გამოძევებას თავიანთ სკოლებიდგინ, როგორც იგი გამოაძევეს წინად ეპკლესიდან».

„ივერია“ 1902 წ. №136

«მარშან, „ანაპიტ“-სომხურ უურნალში, რომელიც პარიზში გამოდის, კავკასიის ქრონიკის განყოფილებაში მისმა ტფილელმა თანამშრომელმა, ბ-ნმა გ. მელიქ-ყარაგეოზიანმა გამოაქვეყნა წერილი სახელად „პაი-ვრაცაკან პარც“, ვითომ-და სომხე-ქართველთა საქმეო. წერილს სიტყვა-სიტყვად თარგმნილს მოვიყვანთ აქ და „ივერიის“ მკითხველმა შეიტყოს, თუ საქართველოს სომხის ინტელიგენცია და, კერძოდ, „ანაპიტის“ რედაქცია და მისი რედაქტორი ბ-ნი ჩობანიანი რა თვალით გვიყურებენ. აი, თვით ეს წერილიც:

„აგერ, ათი წელიწადი იქნება, რაც კავკასიაში არსებობა აქვს ერთ საქმესა. რომელსაც ეწოდება „სომხე-ქართველთა საქმე“. ეს საქმე ასტეხეს თვითონ ქართველებმა, რომელნიც ჩივიან, სომხები დაეპატრონნენ სრულიად კავკასიის სიმდიდრეს და იმ სიმდიდრის წყალიბით არა თუ მარტო სომხის, არამედ ქართველთა გუბერნიებში-აც ებატონებიან სრულიად ხალხსა, მაშასადამე, საქართველოსაცაო. შორს რომ არ წავიდნენ, უთითებენ ტფილისა, რომელიც ნამყოში საქართველოს დედა-ქალაქი ყოფილა და დღესაც უმთავრესი ქალაქია ერთის გუბერნიისა, რომლის მკვიდრთაც უმთავრესად შეადგენენ ქართველები. მაგრამ იმ ტფილის ქალაქში სომხებს არა თუ ყოვლად ძლიერი ელემენტი შეუქმნიათ, არამედ რიცხვითაც ქალაქის ყოვლად დიდი ნაწილი უჭირავთ. ამას გარდა, ნუ დავივიწყებთ, რომ ტფილისი კავკასიის დედა-ქალაქია, მთავრობისა და სამწერლო-საკულტურო ცენტრი. აი, ამ ამბისა გამო დაფიქრებული ქართველთა მწერლები, როგორც ილია ჭავჭავაძე და აკაკი წერეთელი, ცდილობენ, დაარწმუნონ თანამემამულენი, რომ „ერთობილის“ (პავაქაკან) ძალით

დაუზოგველად ებრძოლონ სომხებსა, როგორმე მათ ბატონობას კვეთუბა მისცენ, რადგანაც იმ ბატონობას შეუძლია ბოლოს-და-ბოლოს სრულიად გადაყდაპოს ქართველთა ერთობა და მოუსპოს ცხოვრების ღონისძიება, — ერთობილის ძალით, რადგანაც ინდივიდუალი ბრძოლა უძლურია ისეთ ხალხთან, როგორც სომხები არიანო.

ნამდვილი ამბავია, რომ სომხები კაონომიურად ყოვლად ძლიერი ხალხია კავკასიაში და ამ ნივთიერის სიმდიდრის წყალობით ყოვლად მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ადგილობრივ საზოგადო საქმეებში... გამგებითის თვალით თუ შევხედავთ, სიტყვაც არ ითქმის სომეხთა მიერ ქართველებს რამე გასაჭირო ადგესთ, სანამ ქართველთა რიცხვი მთავრობის სამსახურში ათვერ უმეტესია, ვიდრე სომხებისა... დაგვრჩენია ეკონომიური ბრძოლა... როცა ვინმე აზნაური, ვალებში ჩავარდნილი, მოისურვებს ბოლოს და ბოლოს თავისი ადგილ-მატულის დაგირავებას, იმ დროს, იცით, რას შვრება? იგი ექნებს სომხებს, რადგანაც იგინი არიან ფულის პატრონები და შეუძლიათ უფრო მეტი შეაძლიონ...

ქართველთა გულდაკლებულობის მესამე მუხლი ის არის დაახლოებთ, რომ სომხები, რაკი, ვითომ, თავისთ საქმეებში პირწმინდა არ არიან და ღონისძიებაშიაც გაურჩეველი არიან, სისწრაფით იხ-ვეჭენ ფულსა და ამნაირად ქართველები განზე რჩებან. გარდა ამისა, თუ ქართველი სომეხთან ერთად არის რამე საქმეში, მას, ვითომც, თავისი გულუბრყვილობისა და პირწმინდაბის წყალობით, არ შეუძლია თანამოშურნეობა გასწიოს თავის ამხანაგთან, სომეხთან, რომელიც ცოტ-ცოტად ერთად-ერთი პატრონი ჩდება.

ეს მუხლი, ჩვენის ფიქრით, ერთად-ერთი მუხლია, რომელიც, შესაძლოა, საცილობელი იქნეს. მართალია, შეუძლებელი როდია, ერთი ხალხი უფრო გაურჩეველი იყვეს ღონისძიებაში არსებობისათვის საბრძოლველად, ვიდრე მეორე, მაგრამ მარტო ამით შეუძლებელია გავამართლოთ ქართველთა წარმატების ნელად მსვლელობა. საქმეც ის არის, რომ ქართველთა გაუმარჯვებლობის უმთავრესი მიზეზი უნდა ეძიოს კაცმა მათსავე ზარმაცობასა, გულის ამყოლობასა და შედარებით გონებრივ სუსტ ნიჭიერებაში.

ფულით მოცილეობაში იგივე სულია გაბატონებული, რაც პოლიტიკაში. ყოველი ძალა ისწრაფის თავის გამოჩენას. ძალთა მოცილეობაში, კინც უფრო ძლიერია, ის წინ მიდის, ხოლო კინც უკან რჩება, ჩივილს

“
“

უწყებს ძლიერსა და ყოველ ბრალსა სდებს მისი მოცილეობის უწყებლო საშუალებას... აյ „ბრალიანობა“ საჭიროა მივიღოთ არა ზნეობრივის აზრით, არამედ მარტო ცხოვრებისათვის ბრძოლის კვეთების თვალით. ერთი ბრალიანია, რადგანაც მხნეობა და სერიოზულობა არა აქვს, მეორე, რადგანაც სამია შესაფერი ნიჭისა, ხოლო მესამე, რადგანაც არ გაეგება, თავისი სიმართლე როგორ დაიცვას, არ ესმის, რომ ეკონომიურ ბრძოლამი არას დროს ძლიერი არ ეფარდება სუსტსა... ჯერ საკოთხავა, თუ ქართველები როგორნი იქნებოდნენ, რომ სომხის სავაჭრო ნიჭითა და მხნეობით დაკილდობებულნი იმ ზომამდე შესდგომოდნენ აღებ-მიცემობას, ან მრეწველობას. კაცს თავი ხშირად სუფთა ჰგონა, რადგანაც არაუგრძნის საქმობს, და ამისთანების რიცხვი ქართველთა შორის ძლიერ დიდია. ერთს კი ვიტყვი, რომ რასაც ადგილად შორულობს ხელი, ადგილადვე ფლანგავს. ქართველთ თავად-აზნაურობა მცირე გარჯით სარგებლობს თავისს ნახევრად აოხრებულის ადგილ-მატულისაგან. თუ ადგილ-მატულს აგირავებს, იმავე დროს გულუბელებად ფლანგავს აღებულ ფულს. მაგრამ იმს ჯერ კოხება უნდა, რისთვის ფლანგავს. რა საკორევლია, პირადისა და მეორებარისხოვნის საჭიროებისათვის—ტანისამოსისა, ფაიტონისა, გართობისათვის და სხვა. ხოლო ცხოვრების სერიოზულ მოთხოვნილებას — პირადს, საერთოს თუ საზოგადოებრივს, ნუ თუ ეძლევა კმაყოფილება ისე, როგორც სომეხთა შორის? აღარას ვიტყვით ქველმიქმედებისას, სადაც ქართველთა ადგილი ნულია. ამას თვით ქართველებიც აღარებენ“.

წერილში ბევრი რამეა, რასაც ქართველმა პუბლიცისტებმა ყერი უნდა ათხოვონ, იმედიც არი, ხმა ამოიღონ. მხოლოდ მსურს, მკითხველი შევაყენო ერთ აზრზე: სომხის ავტორი რომ ბრძანებს, ათი წელიწადია, რაც კავკაზიაში არსებობა აქვს სომეხ-ქართველთა საქმეს და ეს საქმე თვითონ ქართველებმა ასტეხესო. ეს საქმე, თუ დავეკითხეთ ჩვენს ისტორიას და პაიასტანის მეისტორიებსაც, მაშინდელია, რაც სომხებმა უარ-ჰყვეს ბერძნის მართლმადიდებელი სარწმუნოება და მეორე, რაც მათი სახელმწიფო მოისპონ. მოგეხსენებათ, პირველი ამბავი VI საუკუნის დასასრულს, ხოლო მეორე ამბავი XI საუკუნის დამდევის დროინდელია. ამ სომეხ-ქართველთა საქმის სიძველეს ცხადად მოწმობს აგრძელება ქართული მწერლობა X საუკუნემდე (იხ. მ. გ. ჯანაშვილის წიგნი იმავე სათაურით, ტფილისი 1900 წ.) და მაშინდელის საერთო მწერლობის დრტვინვა მოვახშეთა

წინააღმდეგ, რომელიც ძლიერის კალმით არის გამოხატული „მოსესშისა და მოვალის“ თხზულებაში. ის მოვახშენი, ვინც უნდა ყოფილიყვნენ, სულ ერთია, თუმცა სომხებს ვგონებ, რადგანაც მაშინდელი ჩვენი მოქალაქობრივი ცხოვრებისა და კულტურის ცენტრი იყო ზემო-ქართლი, ანუ მესხეთი, მოსაზღვრე სომხეთისა და აღებ-მიცემობაში სომხებს არც მაშინ ეძინებოდათ, ხოლო შედეგ საუკუნეებში რაც მოხდა და რაც ეხლა ხდება, ყოველის ნაკითხის და შეგნებულის ქართველისათვის ცხადია. **კლდია**. (ავტორის ფსევდონიმი-ა.უ.)

„ივერია“ 1902 წ. 170 ტფილისი, 11 აგვისტო

«გრიგორიანთ ეკლესია საქართველოში, როგორც რუსობამდე, ისე მას შეძეგ, პატივისცემით ეპიფონობდა ქართველ გრიგორიანთ ენას და ზნე-ჩვეულებას. წირვა-ლოცვის გასაგებად მიჰმართავდა სახარების ქართულად კითხვას, ქართულად გალობას და ქადაგების ქართულად თქმას. გრიგორიანთ ლოცვანი, როგორც „დილის ნათელო“ და სხვა, ისე წირვის წესი, ქართულად ნათარგმნი, ამას ყოველ-საეს ცხადად ჰქონდას. ქართული ენა პატივ-დებაში იყო, აგრეთვე, გრიგორიანთ სამრევლო სკოლებში და სომხურს ასწავლიდნენ დედაენის საშუალებით.

ამ ასის წლის წინად, როცა საქართველო თავისს ბედს განაგებდა, საქართველოს გრიგორიანთ სასულიერო მთავრობა დამოკიდებული იყო ქართველთ საერო მთავრობის ნებასა და სურვილზედ და ქართული ენა ცხოვრების სახსრად ჰქონდა მიჩნეული. გრიგორიანთ სამღვდელოება ქართულს მწიგნობრობას ეტანებოდა და არა ერთი წიგნი მოვაკოვება მისგან ქართულად შეთხზული, სომხურიდან ნათარგმნი და გადაწერილი.

ასეთი მიმართულება გამოპყვათ გრიგორიან მღვდლებს მეცხრამეტე საუკუნეშიაც, როცა საქართველოს მართვა რუსის ხელში გადაკიდა. მაგრამ რუსთა მთავრობას საქართველოში გაუჩნდა ახალი საზრუნავი, რომლის გაძლილა შეიძლებოდა მხოლოდ სახელმწიფო საერთო ინტერესებთან შეთანხმებით. ქართველი გრიგორიანობა ბედის ანაბარა დარჩა და, პნახეს თუ არა ტერტერებმა, რომ დამშლელი და დამწერებული აღარიავინ იყო, ზეგადმო ბრძანებით, ნიადაგი მოუშენდეს აღორძინებისთვის ლუკას და ოსებ (არღუთაშვილთა) კათალიკოს-

თა მისწრაფებას, — რომ საქართველოს დაჭირვება პაიასტანის დაღხმინება ყოფილიყო. ამ მისწრაფებამ, როგორც ვიცით, ფრთხები შეისხა კათალიკოსის გევორქ მეოთხის დროიდან იმ ზომამდე, რომ ქართულს ენას, როგორც ქართველთ გრიგორიანთ ეკლესიაში, ისე სამრევლო სკოლებშიაც სული ამოპხადეს, ექსორიად განდევნეს და მასწავლებლები დაითხოვეს, რადგანაც ქართულის ენით ასწავლიდნენ სკოლებში (მოგონეთ გორელის მასწავლებლის სააკოვის საქმე).

ასეთმა განკარგულებამ დაჰგმო, როგორც ქართველ გრიგორიანთ მრევლის სიმართლე, ისე სახარება-სამოციქულოს ზნეობა, რა აღიარა პავლე მოციქულის სიტყვები უჯუღმართად-სულისათვის დიდი სარგბლობაა გაუგებარის ენით ლოცვაო. დევნა და უგუღლებელ ყოფა ქართულის ენისა წარმატებით მიზის წინ დღეს და ამის მოთავედ შექმნილია ტფილისის ქართლ-კახეთ-იმერეთის ქართველ გრიგორიანთა სასულიერო კონსისტორია, რომელსაც ამას წინად კიდეც უკადრებია და მიუწერა ქართველ მართლმადიდებელთ სასულიერო გამგებისათვის: დაუძალეთ დეკანზ სოლომონ შომიაშვილს ქადაგება, თორეშ გრიგორიანები დადიან უერის საგდებელადო. ეს მაგალითი საკმაო საბუთია იმისა, რომ ქართველ გრიგორიანებისთვის სომხურად წირვა-ლოცვასა და ქადაგებას ნიადაგი არა აქვს და მხოლოდ ძალადმაცხოვნეობა გამოიდის.

ქართველი გრიგორიანი დანატრებულია დედანაზედ წირვა-ლოცვის მოსმენას და მის სამართლიან ნატვრას-კი აწინდელი ტერტერა არად აგდებს. . . რად არ ათხოვებს უერს იმ ზნეობრივ სულიერ სატანჯველ-სა, რომელიც ადგათ ქართველ გრიგორიანებს თავიანთ წირვა-ლოცვის მოსმენისაგან უცხო, გაუგებარის ენით, რომელიც ნამდვილ სომხებსაც-კი არ ესმით.

არა, ქართველ გრიგორიანთ სამრევლო სკოლები ხალხის ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს... ამიტომ ქართული ენა სავალდებულო საგნად უნდა იყოს გადაქცეული ქართველ გრიგორიანთ სამრევლო სკოლებში, ხოლო ნერსესის სემინარიაში, რომელიც ტფილისშია, ქართულს გარდა უნდა ისწავლებოდეს ქართულად ქადაგების თქმაც».

„ივერია“, 1902., №175 ნარკვევი

«ჩვენმა გაზეოთმა რამოდენიმე წერილი დაბეჭდა იმის შესახებ, რომ საქართველოში მცხოვრებ გრიგორიანთა შორის ქართველი

გრიგორიანობაც არის. გრიგორიანთ სამღვდელოებას რამოდენიმე ეკლესია აქვს დასაკუთრებული ისეთი, რომ ძველად მართლმა- დიდებლის ყოფილა... ქართველ გრიგორიანთ სიმართლე მოითხ- ოვს-ქართული ენა, როგორც მათ ეპკლესიაში, ისე მათ სამრევლო სკოლებში პატივცემული იყვესო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ეს ამბავი არ იამა სომხის მოტერტერე გაზეთს „ნორდარს“. ამა აგვისტოს 17 დღის მოწინავე წერილში ბრძანებს, სხვათა შორის, რომ „ივერიის“ პუბლიცისტებმა გამოიგონეს ეს ამბავი მხოლოდ იმისთვის, რომ: „ქართველების რიცხვი გაადიდონ, ქართული ენა გაავრ- ცელონ, რითაც ფიქრობენ, ქართველთა ელემენტი გაძლიერდე- ბაო“.

შემდეგ გაზეთი განმარტავს: სხვა ქვეყნებში სომხები კიდევ ლაპარაკობენ სომხურს და საქართველოში-კი ვეღარაო, მა- გრამ ეს იმით აიხსნება, რომ: „ქართულს ძლიერ მალე სწავ- ლობენ სომხები, ადვილი ენაა იმდენად, რომ შუადღემდე შეი- ძლება ისწავლოს კაცმა და საღამომდე ისევე ადვილად დაივი- წყოსო“.

მოვახსენებთ „ნორდარის“ რედაქციას, რომ ქართველ გრიგო- რიანთ საქმე ჩვენ კი არ გამოვიგონეთ, არამედ ყურადღება მივაქციეთ მას, როგორც სინამდვილეს და ზნეობრივადაც ვალდე- ბულნი ვართ, დავიცვათ მისი სიმართლე, რომელიც შელახულია და გათელილი. ქართველობა იმდენად ღონიერია ბუნებრივ, რომ ერთი საუკუნის განმავლობაში თითქმის ერთი ექვსად იქცა, რაიც იშვიათია სტატისტიკის ისტორიაში. მას წინედ, როგორც ისტორია მოწმობს, ქართველ მეფეთა პოლიტიკამ არ იცოდა პან-ივერიზმი (სრულიად ქართველობა) და პრინციპი: ცუჯუს რეგიონ, ეჯუს რელიგიო (ვისიც ქვეყანა, მისივე სარწმუნოება), თორემ, შესაძლებელია, დავაც აღარ ატეხილიყო. ასე რომ, თუ ვინმე შეგვითვისტომდა, ის ღვაწლია ქართველის პირადის ღირსე- ბისა, მისი ბუნებაზიარობისა, რომელიც, სამწუხაროდ მოიკოს- მოპოლიტიკებს ხოლმე ჩვენდა სავნებელადაც. რაც შეეხება იმას, ქართული ადვილად შესასწავლია და ადვილადვე დასავი- წყებელიო, ოცნებიანის იმედით უთქვამს „ნორდარს“, ეგებ ქართვ- ელ გრიგორიანის გასომხებაში ხელი არავინ შეგვიშალოსო და

ისე გავასომხოთ, რომ სომხურთან არა თუ ქართულიც იცოდ- ნენ, არამედ ისე დავავიწყოთ, ღონისძიება აღარ ექმნეს კარის მეზობელს ქართულად გამოელაპარაკოსო».

„ივერია“, 1902 წ., №178

„სომეხთა და ქართველთა ურთიერთობა“

„ივერიის“ წერილს ქართველთა და სომეხთა ერთობის შესახებ ბ-ნმა ლიურმა ამა აგვისტოს 11 დღის „მშაკში“, აი, რა პასუხი გასცა:

„ქართულ „ივერია“ გაზეთსა „მშაკის“ 152 ნომერში დაბეჭდილი ჩემი საუბარი სრულიად გადმოუთარებულია. ქართველთა ეს ყოვლად ძველი გაზეთი მჟავე პატრიოტობის, საერო ბაქიაობის, შოვინიზმის ორგანო იყო თავადის ილია ჭავჭავაძის დროს. როცა სომხიჭამიობა მოდად შემოვიდა, თავადის ილია ჭავჭავაძის ორგანო თავისის მბვინ- ვარებით დაიგდო ისეთმა სნულებამ, რომ ადამიანს თავზე თმა აეშლე- ბოდა. ყოვლის ზომისა და საზღვრის დავიწყებით მიაღწია იმ ხარისხსა, რომ სომეხთა ულეტის დროს ოსმალებს იცავდა და შხამიანის ენით ოხუნჯობდა ბერლინის კონგრესის 61 მუხლის ასაგდებად.

უპირველეს ყოვლისა, ღრმა მწუხარებით უნდა შევნიშნო, რომ ქართული გაზეთი ჩემდა მომართ დიდ შეცდომილებაში ჩავარდნილა. იმას მოსჩვენებია, რომ ქართველთა ერთობის მიმართ წინასწარ ვაზრი- ანობდე, რომ კაცის მოძულეობით დამჟავებული მწერალი ვიყვე. ჩემს მოვალეობად ვთვლი, წინააღმდეგე ასეთ ცდომილებას.

თუ გახსოვთ, ჩემს საუბარში ვახსენე ის გარემოება, რომ ქართველ- სა და ოსმალოს თითქმის ერთნაირის სიტყვებით ჰსურს, სომხის ერი არ იყოსო. როგორც მოგეხსენებათ, მე-კი არ ვყოფილვარ ქართვლის და ოსმალოს ასეთის მოწმობის ფურის მგლებელი, არამედ ერთი რუსის მწერალი, რომელსაც დაუბეჭდია მთელი ტომი... ოსმალო ამბობს, თუ უნდათ სომეხთაგან აღარ ივნებოდნენ, ეჩმიაძინი უნდა დააქციონ, კათალიკოსობა ან გააუქმონ, ან გადაიტანონ პეტერბურგ- საო. თითქმის ერთსა და იმავე სიტყვებს იმეორებს ქართველიც. ამას უკვირს, როცა სჯიან, სომხებს ეკვლესია აქვთო. არა, ეკკლესია კი არა, სამოქალაქო დაწესებულება არისო, ამბობს ივი. პეტებს თუ არა, არ ვიცი, რამდენად სიმართლით ჩაუწერია რუსის ავტორს ქართველის და ოსმალოს ნათქვამი. არც ის ვიცი, ნამდვილად არსებობა პქნდათ იმ მოწმეებს, თუ აგტორს აზრად მოსვლია ის მოწმობა.

„ივერია“ სიტყვასაც არ ამბობს მის გასასწორებლად, პირ-იქით, თვითონაც თითქმის იმეორებს იმავ სიტყვებს. ესრეთ ამბობს, სომხებს უნდათ გასომხება ქართველებისაო. როგორც მოგეხსენებათ, ქართველთა შესანიშნავმა კაცთ-მოძულე მეცნიერმა ხახანაშვილმა კიდევ გადასწყვიტა, საქართველოს ქართულად მოლაპარაკე სომხები სომხები-კი არა, ქართველები არიან, მხოლოდ ლუსავორჩაკანობის აღმსარებელიო. „ივერია“, ამ საშინელ გადაწყვეტილებაზე დაფუძნებული, ამ-ბობს: თუ საქართველოში სომხები არიან, ისინი მევახშეები არიან, აღმოსავლეთ საქართველოში რომ ცხოვრობენ, მარტო ისინი არიან სომხებიო...

ნახეთ, „ივერია“ მეკითხება, რა გიყვეს ქართველებმაო! ნუ თუ ქართველებს დაუგდიათ თავიანთი სამშობლო და წასულან საცხოვრებლად ჰაიასტანში, მევახშეობას დადგომიან, სომეხთა ეკკლესიები დაუტაცნიათ, დაუსაკუთრებიათ სომხის სიძველენიო...უნდა სოქვას, თუ სომხებმაც ეგრე ჩაიდინეს საქართველოშიო.

გაკვირვებითა და მწუხარებით ვხედავ, რომ განახლებული „ივერია“ ჯერ კიდევ განაგრძობს ცხოვრებას ილია ჭავჭავაძეებისა და აკაკი წერეთლების ბავშვურის ბოდვითა. საპასუხოდ არც მოცალება მაქს, არც გუნებაზე ვარ. ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ მეც მოსული ვარ და მოვსულვარ საქართველოში იმ მიზეზით, რომ არავის დაუშლია ჩემთვის. რკინის გზის სადგურზე ბილეთი მომცეს ტფილისამდე, ტფილისში სახლი დავიქირავე და, როცა მივდივარ პურის საყიდლად, არავინა მთხოვს „ივერიის“ რედაქციის მოწმობას, რომ ზელი მაქს ამ ქალაქში ვიცხოვოთ და პური ვჭრო. აგრეთვე ვისწრაფვი გამოვაცხდო საჯაროდ, – სრულიად წინააღმდეგი არ ვიქნები, უკეთუ უმაღლ მეორე დღესვე „ივერია“ ჩვენ ყველა სომხეს გაგვირის მშვენიერის ქართლიდგან და გაგვგზავნის ჩვენს ნამდვილ სამშობლოში».

„ივერია“, 1902 წ., №179

ტფილისი, 23 აგვისტოს

«ჩვენი გაზეთის მდგომარეობა იმ თავიდანვე მეტად გამორკვეული იყო: ემსახურებოდა მხოლოდ ჭეშმარიტ მამულიშვილობას, პქად-აგებდა თავის პატივისცემას, რომ სხვათაგანაც პატივისცემა პქონდა და მათაც პატივს სცემდა აგრეთვე. ეს პატივისცემა, ჩვენის თავის იქნებოდა თუ სხვის, ყოველთვის შეიცავდა მხოლოდ ისეთ საერო

ღირსებას, რომელიც გამაუპატიურებელს მედგრად ებრძოდა და არც თავის თავს აკადრებდა, რომ იგი ვინმესთვისმე ავად ეხსენებინა. ასე ეჭირა თავი სომხებთანაც – თუ დაუგმია სომხის ცუდი რამ ზნე-ჩვეულება, დაუგმია კერძოობითად, რამდენადაც ჩვენს ქვეყნაში გამოუჩნდა ზოგიერთ მათგანს, თორემ სომხის ერს პატივისცემა და კეთილად სესენება ქართველთაგან არა ჰქონებია. ამას გვიმზეკიცებს თვით „სომხი-ჭამია“ მწერლების ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობა და ის გარემოებაც, რომ სომხობა, ისე, როგორც ფრანგობა, ჩვენს ერს რვეულის გამოსახატავად მიუღია, გრიგორიანობისა და კათოლიკობის მაგიერ. ასე რომ „მუავე პატრიოტობას, საერო ბაქიობას და შოვინისტობას“ ილია ჭავჭავაძის „ივერიას“ ვერავინ დასწავლებს, თუ არ ჩვენი მწერლობის ხამი და სხვისი დამჯერე. არ გვახსოვს, რომ იმავე ჭავჭავაძის ხელში ან მერმე „ივერიას“ სომეხთა ულეტისთვის გულგრილად ეცქიროს და ბერლინის კონგრესის 61 მუხლი აეგდოს, ისიც შხამიანის ოზუნჯობით.

თუ საქართველოს სომხობას ჰაიკიანთ ერს ვერ უწოდებთ, ამისი სრული სიმართლე გვაქვს... ჰაიკიანთ საქმე ჩვენთვის გარე საქმეა და სრულის თანაგრძობის ღირსი, მაგრამ, როგორც ვნახავთ, ჰაიკიანთ აზგასერთა მცირეოდენი მისწრაფების მიმართული კი, რომ საშინაო საქმედ გაგვიხდონ, ბრძოლას არ მოვიშლით, თუ გინდ ძვირადაც დაგვიჯდეს... ჩვენი ურთიერთობა გამწვავებული იყო და საგანი გამწვავებისა, რაც ეხლაა, მაშინაც ის იყო.

ქართველთ გრიგორიანთა საქმე, რომელსაც „მშაკმა“ „ნორ-დარისებურის“ თვალით შეხედა და არ უნდა დაიჯეროს მათი ქართველობა, პირველად აღძრა ჩვენმა თანამშრომელმა კლდიამ... ტერტერას ანაფორას ძალი და მადლი მხოლოდ „ნორ-დარის“ თვალში აქვს და რად ეცილებიან მას ასეთ სასოებას?.. განა საწყენად უნდა მიეღო „მშაკს“, რომ ჩვენ მოვითხოვთ ძევლებურად ქართველ გრიგორიანთ ეკკლესიებსა და სამრევლო სკოლებში ქართული ენა ჯეროვნად პატივცემული იყვესო. ამით ხომ განსაცდელში არ ჩავარდებოდა ჰაიკიანთ ერობა საქართველოში, სადაც მკვიდრობს ქართველთა ერი, სჯული-ერის სიმართლის მქონებელი, ორი-ათასის წლის მოსახლე თაგის მიწა-წყალზე...

გულწრფელად მოვახსენებთ „მშაკის“ რედაქციას, რომ ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერეთლის სამწერლო მოღვაწეობა და აზრი

სომხის მევახშეებისა და აზგასერ-შოვინისტების შესახებ „პატურ ბოდვად“ არ მიგვაჩინია და, თუ მეტის არა, ნაკლების მხნეობით არ განვაგრძობთ ჩვენ, ახალი პატრონები „ივერიისა“, სომხის მევახშეებისა და აზგასერ-შოვინისტების უწყალო დევნას. მედვრად შევებრძით მათ მიერ საქართველოს მოქალაქობრივადაც დაპატრონების მისწრაფებას. ჩვენ არავის გაფყრით „შვენიერის ქალაქიდან“, მით უმეტეს, არც სომხებსა, რადგანაც ჩვენ, ქართველები, სტუმართ-მოყვარე ვართ. მაგრამ ისიც ვიცით, რომ სტუმარს თუ ხანი გადაუვიდა, სპილენძად იქცევა, ხოლო თუ ღამის გათევასაც არ დასჯერდა და მძიმედ მოკალათებული მოჰყვა: სტუმრობა მეყოფა, ამიერიდგან მასპინძელი მე თვითონ უნდა ვიყოვო, ასეთ სტუმარს ყოველი მასპინძელი მოახსენებს: როგორიც მოხვალ სვინაო, ისეთი წახვალ შინაო.

„ვულსავსედ მოსურნენი ვართ, რაც შეიძლება მალე მოესწრონ ისინი, – ვითომ-და ქართველი პატრიოტები, – იმ სანატრელ დღეს, როცა ჩვენ ჰაისტანში დავბრუნდებით; მაგრამ სად წავიდეთ, ჰაისტანიცა და მრთლად მცირე აზიაც საქართველო ყოფილა, ურარტები და ხეთელები ქართველები ყოფილან, როგორც ქართველმა მეცნიერებმა გადავიწყვიტესო“, – დაცინვით გვეუძნება ბ. ლ-იუნი. შესაძლოა ასეც იყოს, მაგრამ, ღვთის მადლით, ჯერ საქმე ისე არ გაგვჭირვბა, მაგისთანა დაძელებულ თამასუქებს გამოვეკიდოთ მიწის მფლობელობის საქმეში, იმ მიწა-წყლისათვის, რომელიც ეხლა ჩვენი სამკვიდრო აღარ არის. ურარტებისა და ხეთელების ქართველობა ქართველ მეცნიერთ არ გადაუწყვეტიათ. თვითონ თქვენის პირით ბრძანებთ ჩვენს ურარტობას, როცა ჩვენს ქვეყანას გრასტანს, ურასტანს, ესე იგი ურის სამკვიდროს, ხოლო ჩვენს ხალხს ვირ (ახალი ფორმით ვრაც) უწოდებთ, საიდგანაც წარმოდგა ბერძნულ-რომაული ივერია. მოგეხსენებათ ეს ურ იყო თემი ქალდისა, საიდგანაც გამოვიდა აბრაამ, ანუ კარდუხი (ბერძნთა კარდუ-ხი, ესე იგი კარდუ-ული; ხი ქართ. მევრ. = შვილსა) და იმ ადგილს დღესაც ეწოდება ქურთისტანი, ესე იგი ქურთის სამკვიდრო... ხეთელებისვე ესევე ითქმის. ჩვენ თვითონ ამოგვიკითხავს წლევანდელის „მშაკის“ ერთ-ერთ წერილში, რომელიც გერმანიდან იყო გამოგზავნილი, რომ ხეთური ლურსმული წარწერები ამოიკითხება ქართულის ენის შემწეობითო. ასეთი აზრი შეუდგენიათ გერმანელ მეცნიერებს ხეთელთა ვინაობის შესახებ და ქართველთა მეცნიერები აქ რა შეუში არიან.

ჩვენს სიმართლეს რომ „ქვათა ღალადი“ არ ამტკიცებდეს, რა გვეშველება, ხომ პირს დაგვიცობენ თუ თქვენი შოვინისტები არა, სხვები მაინც: არ ვიცით, ვინ ყრიხართ, საიდგან მოთრეულხართ, ნადირ ხალხთან საქმე არა გვაქვსო. არა, არქეოლოგია ძლიერ საჭიროა ჩვენის ისტორიისათვის, ხოლო ეს უკანასკნელი კიდევ ჩვენი სამოქალაქო საკითხების გამოსარკვევად. ამიტომ „ჩვენთვის დღის სიავედ და გარამად“ ყველაფერი შეიძლება იქნეს, რასაც ჩვენს ცხოვრებასთან ასე თუ ისე კავშირი აქვს. ვიცავთ ყოველს კარგსა და ძველსა, ვითვისებთ ყოველ კარგს ახალსა და არც არავის წინაშე არ მოგვაქვს თავი, ვიცით-რა ფასი თავის ქებისა და ზნედაც არა გვჭირს „კაციჭამიობა“, რადგანაც კაციჭამია უფრო მიმხრომია და ჩვენ-კი, როგორც დამხდომი, იძულებული ვართ, თავი არ შევჭმევინოთ შეძოსულსა და ვიბრძოდეთ მის მოსაგერიებლად». („ივერია“, 1902 წ., №179)

„ივერია“, 1902 წ. №181

«... უნდა გამოვტყდეთ, რომ იმ ფრიად საყურადღებო საგნის გამოკვლევაში, არიან და იყვნენ თუ არა ქართველთა შორის გრიგორიანები, სომხურმა გაზეთებმა მეცნიერულ სიმშვიდეს მოკლებული მსჯელობა გამოიჩინეს. ჩვენის აზრით, ეს გარემოება ნათლად ამტკიცებს, რომ თვითონ სომხები დარწმუნებულნი არიან და თავიანთ ისტორიულ წყაროებიდან კარგად იციან, რომ დიდ-ძალმა ქართველობამ ოდესმე გრიგორიანობა მიიღო.

... ხუციანცი ამბობს, დედ-მამა ჰაიასტენები მყვანდნენო, ხოლო საქართველოში ჩვენ სომხებმა სომხური ენა არ ვიცოდით და ქართულად ვლაპარაკობდითო. მაშ, სჩანს, მისი მშობლები ქართველ მართლ-მადიდებლებისაგან იმით განირჩეოდნენ მხოლოდ, რომ სომხური რჯული სწამდათ. მერე ის ქართველნი, რომელთაც ოდესმე გრიგორიანობა მიიღეს, ვინ იყვნენ – სომებნი თუ ქართველნი? მამა ხუციანცისა დაიბადა საქართველოში, ლაპარაკობდა მხოლოდ ქართულად, – ცხოვრებით, ყოფა-ქცევით, ჩვეულებებით არაფრით განირჩეოდა ქართველისაგან, ხოლო გრიგორიანი იყო სარწმუნოებით; განა, ამით არ მტკიცდება, რომ ის ქართველი იყო და არა ჰაიასტანები?!

ჩვენის მხრივ, დავარწმუნებთ ჰაიასტანებს, რომ ქართველ გრიგორიანი ძალიან წმინდა შემნახველია სომხურის ნაციონალურისა და რჯულის განსაკუთრებულ თვისებათა. ეს მტკიცდება ათიათასჯერ.

ქართველი მაპმადიანებისთანა თავიანთ რჯულის შემნახავი ნაკლებად მოიპოვება მთელ მაპმადიანობაში. კიდევ იმიტომა ვართ ჩვენ ქართველი გულნატკენი, რომ ძალა და ნიჭი იმათი, ვინც ჩვენს სარწმუნოებას განშორდა, გამოადგა სხვა ერთა პროგრესს და არა ჩვენის ერისას. სწორედ ამიტომა გვაქვს საინტერესოდ, რომ ქართველი გრიგორიანები დარჩენ ქართველებად და თავისი ენა კარგად დაიცვან და არ წაალეკინონ თავი იმ ტალღას, რომელიც, როგორც „ნორ-დარის“ რედაქცია ამჟღავნებს, ქართველ მართლ-მადიდებლებსაც კი გვიქადის გასომზებას».

„ივერია“, 1902 წ., №185

«როგორც „ივერიის“ მკითხველებს მოქსენებათ, ქართველ გრიგორიანთა ჩქარა გასომზების სურვილით „ნორ-დარმა“ ვითომ იოხენ-ჯა – „ქართული ისეთი ენაა, რომ ადვილად შეიძლება შუადღემდე დაისწავლოს კაცმა და ისევე ადვილად დაივიწყოს საღამომდევ“. პასუხად ამ ოხუჯობისა, რომელიც სომხის ნიჭს სახელს უტეხს, ჩვენ მოვახსენეთ, სხვათა შორის, „ნორ-დარსა“: ეგ რომ მართალი იყოს, სპარსეთში მყოფი ქართველობა დღევანდლამდე არ შეირჩება დედა-ენასო. „ნორ-დარმა“ სიხარულით შენიშნა: „სპარსეთში მყოფი ქართველობა გასპარსებულა და ქართულად აღარ ლაპარაკობსო“.

... გაზეთი ჩვენგან თხოულობს ფაქტებს ქართველთა გრიგორიანობისას, თითქო აბაშიძეების, გველესიანების, ღუჩაიძეების, ლომიძეების, მუხაიძეების, ქავთარაძეების, ჩხეიძეების, წერეთლების და სხვა მრავალ ქართველთა გრიგორიანობა ამბავი და საბუთი არ იყოს, სხვა რომ არა იყოს-რა, და თვითონ კი არ ერიდება სიცრუეც პენტოს, როცა უჯობს. განსვენებული ათამ ონიკაშვილი, რომელიც სპარსეთიდან იყო გადმოსახლებული და ბ-ნ აღნიაშვილის წიგნი „სპარსეთი და იქაური ქართველები“ დღისგან უცხადესად ამტკიცებს, რომ სპარსეთში მყოფი ქართველობა დღესაც ქართულს ლაპარაკობს.

ეხლაც, აგვისტოს 29 რიცხვის „ნორ-დარში“, ბ-ნი სპანდარიანცი კიდევ მოპყოლია წუწუნს-ქართველ პატრიოტებს ჰსურთ ქართველ გრიგორიანების გამოჩერეკით ქართველთა რიცხვი გამრავლონო, და დაიცინება, ქართველი პატრიოტები სომხობასა და ეკლესიებს ისე შემოგვეცილენ, „თითქოს სომხის საზოგადოება და მისი ეკლესიები ტყის პანტა იყოს, კრიფონ და ჭამონო“.

კიდევ უნდა მოვახსენოთ „ნორ-დარის“ რედაქციას, რომ საქართველოში გრიგორიანები ერთი წილი წმინდა ქართველობაა, მეორე – გაქართველებული სომხობა და მესამე – წმინდა სისხლის სომხობა. სომხეთა გაქართველება და მით ქართველთ გამრავლება მოხდა ყოველის პოლიტიკის გარეშე და დიდი ხნის ამბავიც არის. მაშასადამე, ჩვენ კი არა, სომხის აზგასერებს ჰსურთ, ჩვენთან შესისხლხორცებული და შეთვისტომებული გრიგორიანობა ათასნაირის ღვარძლის თესვით მოგვაშორონ და აზგასერობა გაავრცელონ მათში. ჩვენ-კი არა, პირიქით, სომხის აზგასერები ფიქრობენ, რომ ქართველობა და მისი ეკლესიები პანტა იყოს, რომ კრიფონ და ჭამონ. აკი კრიფეს და ჭამეს კიდეც!. ის დრო, როცა ტფილისის მოედნებზე ბატონებს ყმები და მონები გამოჰყავდათ გასაყიდად და ეს საწყლები იძულებული იყვნენ, ახალი ბატონების ხელში გადასვლის შედეგ მათ ნებასა და რჯულზე ევლოთ, სამუდამოდ დაინთქა საუკუნეთა წყვდიადში. ერთი გვარის მეტიც რომ არ იყოს გრიგორიანი ქართველობა, მაშინაც ვერ დავთმობთ მათ სულიერ ტყვეობას და მოვითხოვთ მათი სიმართლე აღდგენილ იქმნას».

„ივერია“, 1902 წ., №201

აკაკი – „გამოწვეული პასუხი“

„ზოგჯერ სინიდისიც კარგი საქონელია“, ამბობს ვაჟრული ანდაზა და სჩანს, რომ ეს მცნება აღარ მოჰკონებიათ „მშაკელებს“, როცა ცილსა სწამებდნენ ქართველებს, რომ ისინი, კაცის-ჭამია იღიასა და აკაკის შეგონებით, მტრობენ და სდევნიან სომხებსო... აბა ერთი მიგვითითონ და გვითხრან: სად და როდის უთქვამს რომელიმე ქართველს სომხების სამტრო-საზარალო რამ? და თუ მათი უკულმართობის საწინააღმდევო სიტყვა მტრობა ჰეონიათ, ეგ სხვა არის! რომელიმე ერის მტრობა და დევნა ქართველის ბუნების საზოგადოდ შეუფერებელია. პირიქით – ქართველი ისტორიულად გულკეთილია, ბუნება-თანაზიარი, ბევრის ამტანი და უფრო მეტის კიდევ მიმტევებულ-შემნდობი. ამას მე ისტორიული სიმართლე მაღაპარაკებს და არა ეროვნული ფანატიზმი. „შეიყვარე მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“ და „მოუტევე, რათა მოგეტვოსო“, ეს არის ქა-კუთხედი ქრისტეს მოძღვრებისა და ქართველებიც ამაზე ამყარებენ თავისს ეროვნებას; მათ გარეთ ონავრობა და შიგნით წურბელობა არ შემჩნევიათ. ქართვე-

ლის ხმალი მტრის მოსაგერიებლად, ფარგვარად, ამოდიოდა ქარქაშით და, დასცხრებოდა ხოლმე მტერი თუ არა, ქართველის გულის-წყრომასაც მიზეზი აღარ ჰქონდა. მტრობას მოყვრობით უხდიდნენ. საუკუნეების განმავლობაში მაპმადიანთაგან ნაწვალებ ქართველობას კარგი გული აღარ უნდა შერჩენოდა მათ შესახებ, მაგრამ, მიუხდავად ყოველიფრისა, საქართველოში მყოფ მაპმადიანებს მაინც კიდევ ლმობიერად ეპყრობოდნენ...

ადრე, იმ თავითვე, იწყო ცარვა სომხების ბედმან და, თუ მათგან, ჩვეულებრივად გაზიადებულ კილიკის მეფიობას არ მივიღებთ მხედველობაში, მეხუთე საუკუნეშივე დაპკარგეს მათ ეროვნული დამოუკიდებლობა და იმ გაჭირვებაში მყოფს, ვინ უწვდიდა ძმურად და მეგობრულად ხელს, თუ არა საქართველო? განა ცოტა ლვაწლი დასდგა დავით აღმაშენებელმა სასომხეთს? მეფე გიორგი მესამე არ იყო, რომ რამდენიმე ათი-ათასი ქართველი მეომარი უმსხვერპლა სომხების კეთილდღეობას და ქართველების სისხლით მორწყო ანის მიდამო? თამარ მეფის ლმობიერად მათი მოპყრობა და ქართველებთან გათანასწორება უმაგალითო არ იყო, იმ დროის მიხედვით, ისტორიულად? და ეს არაჩვეულებრივი სიმართლის მოყვარეობა და სულგრძელობა განა დასავიწყარია? რომელი ერთი გავიხსენოთ?...

ქართველებს სანამდი-კი შეეძლოთ საგარეოთაც ფრთხის გაშლა, საზღვარ-გარეთაც ესარჩილებოდნენ სომხობას და ბოლოს, როცა გარემოებამ მათაც ფრთხი შეაკვეცა და მარტოდა, მხოლოდ, სამშობლოს საზღვარზე იდგნენ გარშემორტყმულ მტრების მოსაგერიებლად და მეტი რომ აღარა შეეძლოთ-რა, მტრისგან აოხრებულ და უსახლკაროდ დარჩენილ სომხობას სამშობლოს კარს უდებდნენ, რომ მამაშვილურად შეეხიზნათ. წყლულზე მაღამოს ადებდნენ და ანუგეშებდნენ..., მოდით, შვილები და, აი, რაც მოუცია ღმერთს, გაძლევთ სარჩო-საბადებლად და მასთანაც კიდევ ჩვენთან ერთად ეროვნულ თანასწორობასაცო... მოისვენეთ და ჩვენ-კი, მაღლობა ღმერთს, იმდენი ძალ-ღონე კიდევ შეგვრჩნა, საზღვარზე დავდგეთ მტრების მოპირდაპირედ, რომ მოვიგერიოთ და, როგორც ჩვენი საკუთარი ცოლ-შვილი, ისე თქვენიც მათთან თანასწორად განსაცდელს გადაგარჩინოთ. თქვენ-კი მხოლოდ შინ დარჩით, ვაჭრობას მიჰყავით ხელი, რადგან ვაჭრობაც ეროვნულ არსებობის ერთი დარგთაგანიათ.

და, მართლაც, როდესაც საქართველოს მაღალი წოდება საზღ-

ვარზე სისხლს ანთხევდა და დაბალი წოდებაც იმ სამსხვერპლო სისხლს ზედ ოფლსაც აწურავდა, შემოხიზნულთა გადასარჩენად და გამოსაკვებად, ისინი (სომხები) მაშინ ადლითა და სასწორით ხელში სოფლებად დაფარფაშობდნენ უშიშრად და ქონებას იძენდნენ და თანაც მასპინძლებს აჯერებდნენ: თქვენი და ჩვენი ვის გაუყვია? ჩვენც თქვენივე ვართ და ჩვენი შენაძენიც ამავე ქვეყნის არისო. სწორდათ ეს სიტყვა გულ-უბრყვილო ქართველებს და შემოხიზნულების გულში ნადებს ვერა ჰქონდავდნენ. არც ერთი იჭვი არ შეუტანიათ მათ ნათქვამზე, თუმცა ენა-ტკბილ თავ-მოკატუნებულ „ვითომდა მოძმებს“ თავისი სიტყვა არც ერთხელ არ განუხორციელებიათ და ქართველებთან ერთად ქვეყნის სასამახუროდ უღელი არ გაუწევიათ. პირ-იქით, არც ერთხელ არ დასვლომიათ ქართველებს შავი ღლე, რომ აქ სომხის თითს არ ეჩინიკინოს. შორს რომ არ წავიდეთ, აქვე გადავხედოთ ტაბახმებას და ის გვეტყვის, თუ რა მოულოდნელის და უღმერთო დალატით დაიღვარა ქართველების სისხლი აქ, როდესაც სვიმონ მეფე ტყვედ ჩაუვარდათ ხელში თათრებს. და ვინ იყო ის იუდა, ქართველებისაგან ძმად ნაგულები, სანდოდ არჩეული და ამაღლებული? სომეხი კარაპეტა ყორდანაშვილი. ვინ აქეზებდა და აგულიანებდა ირაკლი მეფისა და მთლად საქართველოს სამტროდ განჯის მფლობელს ჯევათ-ხანს, თუ არა სომეხი არზუმანა? ვინ მოიწვია ხოჯა-ხანი და ააკლებია და ააოხრებია ქალაქი. ვინ მიუგზავნა წინამდლოლად არტემა არარაცი სპარსელებს? ვინ გაუდო მათ ციხის კარები და შემოიყვანა ტფილისის ასაოხრებლად, თუ არ მაშინდელმა მელიქებმა. თვით სომხის კათოლიკოსებიც-კი, მაგალითად, ღუკასი და იოსები, მის ნაცვლად, რომ ლოცვა-კურთხევით მოეხსენებიათ ის ერი, რომელმაც ძმობა და ერთობა გაუწია და იმდენათ შეიტყო და პატივი სცა მათ ქრისტიანობას, რომ მზა-მზარეულად საყდრებიც-კი დაუთმო და მამა-პაპათა წვა-დაგვით ანაგებ ტაძრებში მესაკუთრებად შეიყვანა, ლოცვა-კურთხევის მინიჭების ნაცვლად, საიდუმლო შეჩვენებას უგზავნიდნენ და თან სცდილობდნენ საშვილიშვილო ხაფანგის დაგებას. ამას, განა, არა ჰქონდნენ ჩვენი ძველები, მაგრამ მაინც ვერ იმეტებდნენ გულით სომხებს და თავს ატყუებდნენ უკერო მოსაზრებით: ამას კერძო პირები სჩადიანო!... არ უკერათ, რომ ის თითო-ოროლა საერთო, საერთო მცნებისა და მისწრაფების წამონაშობები იყვნენ. საკვირველია, რითი აიხსნება ეს, ერთი მზრივ

გულწრფელი ნდობა და სიყვარული, და მეორით – მტრობა და გაუტანლობა? „წყალ-წალებულმა თუ ხელი ჩავლო მიმშველ-მცურავს, ჩაითრევს და დააღრჩოს“, ამბობებ და სომხებიც ასე ეჭიდებოდნენ ქართველებს: უნდოდათ, რომ ახალი სამშობლო, დანაკარგ სამშობლოს სამაგიერო ეშოვნათ და აღთქმით მიაჩნდათ საქართველო – ქართველის სიკვდილით ჰსურდათ სომხის მკვდრეთით აღდგინება. ეს შეცდომა იყო მათის მხრივ, მაგრამ ჩვენც მაინც კიდევ ამას ყოველიფერს დავივიწყებდით, რომ დღევანდელი სომხობა მამა-პაპის ძველ ანდერძს არ იმეორებდეს კიდევ ამ ჩვენს დროში.

...რასაც დღეს „მშაკელები“ ამბობენ „ძმობისა და ერთობის“ შესახებ, ეს ადრეც, იმ თავითგანვე გაგვიგონია სომხების მეთაურებისაგან, მაგრამ ...მხოლოდ გაგვიგონია, ჩვენივე თვალების ასახვევად, და საქმით-კი არა გვინახავს რა! მაშინ, როდესაც, ჩვენ, ქართველები, ყოველთვის ვყოფილვართ და ვართ ამის მოწადინე. მესამოცე წლებშივე ჩვენი საერთაშორისო მცნება ძმობა და სიყვარული იყო. განსვენებულმა გიორგი წერეთელმა ეს საძმო სამოყვრო სურვილი საფლავში თან ჩაიტანა, აგრეთვე, სერგი მესხმაც. თვით იღია ჭავჭავაძე იძულებული გახდა „ქვათა დადადი“ დაწერა, ამავე სურვილით იყო გამსჭვალული და დიდხანს ულოლიავებდა სომხის ახალგაზრდობას, რომ, ეგებ, როგორმე დავიყოლიო და შევაგონო მათ ის, რაც ჩვენ ორივესთვის სასარგებლო და საკეთილდღეო არისო.

თვით მე, მათი უმორჩილესი მონა, მოსურნე არ ვყოფილვარ ყოველთვის „ძმობისა და ერთობისა“? გადაათვალიერონ „დროების“ ფურცლები, გადაიკითხონ ჩემი სტატია: „ლუქმა გავარდეს, ჯამში ჩავარდეს“ და მაშინ მიხვდებიან ჩემს განზრახვას. და, თუ დღეს იმედი გადაგვიწყდა, აღარა გვჯერა-რა მათი, ეს მათივე ბრალია! განადო არ არის, ჩვენც მივხვდეთ, რომ: „სიტყვა სხვაა, საქმე სხვაა, შუა უზის დიდი ზღვარი?“

ჩვენ გვეგონა, რომ დღევანდელი სომხობა მაინც გამოისყიდიდა მამა-პაპათა შეცდომას, არ გაიმეორებდა მათგან გადანახვევ გზას და ქართველების შესახებ საჭირ-ბოროტო მცნებას სამოყვროდ გადააკეთებდა, მაგრამ მოგვიცდა ლოდინი- აგერ, ორმოც წელზე მეტია, სამტრო ნიშნების მეტს ვერასა ვხედავთ მათის მხრივ. განსხვავება ის არის, რომ ძველები უფრო ფრთხილად მოქმედებენ და ესენი-კი თავს აღარ იმაღავენ. აღბათ, იმიტომ, რომ გარემოება შეიცვალა:

ძეველად, როდესაც ხმალი სჭრიდა, ძალა ქართველების ხელში იყო და, რასაკვირველია, რომ ჩვენი გული მოეგოთ მოტყუებით, და ახლა-კი: როდესაც მისი ადგილი ქონებამ დაიჭირა და ფული სჭრის, ფოცხვერივით გამოდიან და მუქარით ვეიწვევენ: მადლობა ღმერთს, თქვენი შესახვეწარი და თქვენთან საბოდიშო აღარა გვაქვს-რაო... მობრძანდით და ვიბრძოლოთო!...ა, ბურთი და ა, მოედანიო.

აბა, სამაგიეროს გადახდაც ამას ჰქიან! ადრინდელი ჩვენი ძახმარება და ლმობიერად შეწყნარება, ჩვენი მამა-პაპების უჭეულისა და პოლიტიკური დაბრძავების ნაყოფი ჰგონიათ და დღევანდელი მათი მედიდურობა და უსამართლოდ მოპყრობა და სამტრო იერიში-კი – სიბრძნისა და შორსმჭვრეტელობის ნიშანი. რაღა გვეთქმის?... მჭედელმა უთხრა მოპირდაპირე მტერს: მე ის კი არა მწყინის, რომ მოკვლას მიპირებო, ის უფრო მაწუხებს, რომ იარაღათ ხელში ჩემივე გაჭედილი ხანჯალი გიჭირავსო. სომხებს ჩვენსა, გარდა ტიტველა ტანისა და შშიერი მუცლისა, სხვა არა მოუტანიათ რა და ის იარაღი, რომელიც დღეს ხელთ უჭირავთ, საქართველოშივე აქვთ მონაგარი, მაგრამ არა შრომით და კეთილ-მოღვაწეობით. ეჭ, ასეა, თუ ისე, ახლა გვიანდა არის ამაზე ლაპარაკი. კიდევ მაღლობა უფალს, რომ დღეს ჩვენთვისაც აღარა არის-რა დაფარული. სააშკარაოზე სდგას დღევანდელი სომხობა... ახლები წარსულსაც ეპოტინებიან, რომ...დააჯერონ უცხოელები, რომ ქართველები არც არიან და არც ყოფილან ოდესმეო... მხოლოდ ჩვენ-კი ვყოფილვართ, ვართ და კიდეც უნდა ვიყოთო. ისტორიული სიმართლეც ხელში გვიჭირავსო!... ამ სათვალომაქცე მოსაზრებით ფეხითა სთელავენ ჩვენს ისტორიას, რომ წამოაყენონ მათგანვე გადახვეული და გადაყალბებული ვითომდა მატიანებით...

ტყუილის თქმას და სათაღლითო სიტყვას უტიფარი გულთქმაც თანვე ახლავს. ერთის მქნელი მეორესაც ჩაიდენს და, ამიტომაც, ჩვენ აღარ გავიმეორებთ იმას, რასაც ისინი ჩვენ შესახებ სიტყვით ავრცელებენ, და მარტო მხოლოდ იმ ფაქტებზე მიუჰთითებთ, ძეგლებად რომ გამოუქვეყნებიათ და რისაც გადათქმა და გადაფურებება აღარ შეუძლიათ: 1) უკეთესი მათი ისტორიკოსები, მაგალითად, პროფესორი პატკანოვი, წარბ-შეუხრელად სცდილობენ დაამტკიცონ: საისტორიო როდის რა ჰქონიათ ქართველებს, რომ ისტორია ჰქონდეთო? მათი ქართლის ცხოვრება ტერტიკურებისაგან სასაცილოდ გამოგონი-

ლი ზღაპრებიაო და გახტანგ მეფებ და სხვებმა-კი ნამდვილად მი-იღესო. 2) მათი ნაქები მოღვაწეები, მაგალითად, ეზოვი, საოცარის ზიზღითა და მტულვარებით ცილსა სწამებს ქართველობას და მის მიერ სამტროდ გამოგონილ წერილებს არა ეზოვზე ნაკლებად ცნო-ბილი სომხებისავე პუბლიცისტი უ. ჯანშიევი სიამოვნებით პბეჭ-დავს, იმ საზიზღარ ცილის წამებას თავის გამოცემულ „კრებულში“ და ამაყად უმახარობლებს ქვეყანას: აი, ან რანი ყოფილან და ან დღეს რა შვილები ბრძანდებიან ქართველებიო? 3) ესევე პუბლიცისტი ჯანშიევი თავისს ცალკე გამოცემულ წიგნში, რომელსაც სახელად „კავკასიის მარგალიტს“ უწოდებს, როგორც, ვითომ და, სიმართლის მქონე იურისტი, ბორჯომს შუაგულ სომხეთად აღიარებს და თანვე დასტენს, რომ სანიძები, მუხაიძეები და სხვა ძეგბიცა და შეიღლებიც სულ სომხის ჩამომავლობისა არიანო, თორემ იანცებს წინ რაღა დაუდგებაო? ყოველი გვარი მოხელეობა სომხების ხელშიაო, ასე გასინჯეთ, რომ ხამაზებათა და მეუტლებათაც სომხები არიან, თორემ ზარმაცი ქართველი და მისი ჭკუა ან ერთსა და ან მეორეს როგორ მოახერხებსო? სულ ამ გვარი ტენდენციით არის გატენილი და ახატულ-ჩასატული ეს ცალკე წიგნი. 4) უპირველესი სომხების მგოსანი „ქამარ-ქათიბა“ (რაფაელ პატკანოვი) ერთს თავისს ლექს-ში დამღერის: წყეული იყოს ის სომხი, რომელმაც ქართველი ძიძა სახლში შემოიყანოსო და შეჩვენება იმ სომხს, რომელიც ქართვე-ლის ძუძუთი იზრდებოდესო. 5) დღევანდელი სომხების ახალგაზრ-დობა უცხოეთის სხვა-და-სხვა ქალაქებში რეფერატებს კითხულობენ, რომ სომხები აღმაღლონ და ქართველები-კი დაამდაბლონ ქვეყნის თვალში. „ქართველებს ანბანიც-კი ჩვენმა მესროფმა უწყალობაო, და რჯულიც ნინომ მისცა, რომელიც სომხის ქალი იყოო“ და სხვანი... 7) სომხის სემინარიიდან გამოსული დიაკვნები სამრეკლოებისა და ბეჭედ-დარბაზ-ტაძრების სათავმდინაც-კი მიცოცავენ ნამალევად, რომ იქ ზედ წარწერილი ქართული გადაფხიკონ და ნაცვლად სომხური „ჩაუპოდლოლონ“, ვითომ და აქც სასომხეთი ყოფილაო და ქვეყანა მოატყუონ. აკი, კიდევაც შეაცდინეს გრაფინია უგაროვისა, რომელმაც დასწერა, რომ, როგორც ზედ-წარწერიდან ჩანს, მეტების სიონი სომხების აგებული ყოფილაო. რას მოიფიქრებდა მეცნიერი, რომ აქც სიყალბე იქნებოდა?

რომელი ერთი ჩამოვთვალო? ამ ცხოველ ფაქტებზე რომ მივუ-

თითებთ ხოლმე ჩვენ სომხების მეთაურებს და მათაც რომ უარის ყოფა აღარ უხერხდებათ, ვითომ-და გულ-მტკივნეულად უბოდიშებენ ხოლმე თანამომმებს: მართალია, შემცდარნი არიან, მაგრამ მაგათ შეც-დომას ხალხის გრძნობა-მოქმედებასთან საერთო არა აქცს-რაო. ეგენი სულ სხვა არიან და ნამდვილი ხალხი-კი სულ სხვაო. საკვირველია ჭეშმარიტად! მეცნიერები, ისტორიკოსები, პუბლიცისტები, პროფესიონელები, პოეტები, მღვდლები, დაკავნები, ნასწავლი და უსწავლელი, დიდი და პატარა – ყველა ერთად საოცარის შეთანხმებით მოდიან იერიშს ჩვენზე და ეს, თურმე, უმანკო შეცდომა ყოფილა, რომელსაც ხალხთან საერთო არა აქცს-რა... კი მაგრამ, სადღაა ის სომხობა, რომელსაც ჩვენ გერა ვხედავთ და რომელიც ჩვენზე ცუდს არ განიზრახავს? ის ხალხი ხომ არის, რომლის მუჯადინებამ იძულებული ჰყო, რომ ბათომის ოლქიდან ქართველი მაჰმადიანები აყრილიყვნენ, სათათრეთში გადახ-ვეწილიყვნენ და მათი მიწა-წყალი-კი სომხებისათვის დაეტოვებინათ? ან ისინი, დღეს რომ საქმეს უჭირვებენ ახალციხის მკვიდრო და ან კიდევ... მაგრამ კმარა, ამაზედ მეტი რაღა ვსთქათ-რა! რაცა ვსთქვით, ესაც იმიტომ, რომ ვაგრძნობინოთ ჩვენ მოკამათებს და დავანახოთ, რომ ჩვენცა ვხედავთ და, თუ ჩუმადა ვართ, სულ სხვა მოსაზრებით.

ჩვენ სასიკვდილოთა და გასანადგურებდლად მოტანილ იერიშს ბა-ტონი მეთაურები უბრალო, უმნიშვნელო შეცდომათა თვლიან? კეთილი და პატიოსანი. მაშ, რატომ სომხების უურნალ-გაზეთები არ აღნიშ-ვნენ ხოლმე ამ შეცდომებს, თუ ისინიც მათთან ერთად არ არიან და პირ-იქით კვერსაც სცემენ სადასტუროს. აბა, ამასა ჰქვიან: „ფიცი მწამს და ბოლო მაკვირვებსო“. ინტელიგენციის განზრახვასა და მოქმედებას რომ უბრალო შეცდომითა ხსნიან, ახლა ვნახოთ დაბალი ხალხის ონავრობას რაღას ეძახიან? ესო, ამბობენ, მსოფლიო კანონ-იაო! თქვენ, ქართველებს, არ გესმით, თორემ ამაზე ხმასაც არ ამოი-ლებთო. ეს ჩვეულებრივი ეკონომიური მოვლენაა და უბრალო ბრძო-ლა არსებობისათვისო! საკვირველია, რომ ამ ვაჟაბატონებს მარქსის-ტური თეორიებიცა და დარვინისტური მოძღვრებაც ცალ-გვერდად ესმით. თითქო ამ მეცნიერებს მათი თხზულება საკუთრად სომხები-სთვის დაეწეროთ: რაც იმათ გამოადგება, ის თეორიაც არის და ჭეშმარიტებაც ქვეყნისათვის, და, რაც არ ეჭაშნიერებათ, ის-კი უბრალო, უმნიშვნელო ტიტინი!

არა, რა ეკონომიური ბრძოლაა ის ბრძოლა, რომელსაც მხოლოდ

საფანტაზიო პოლიტიკური სარჩევლი უძევს და სხვა არაფერი? ეკონომიკურ ბრძოლასაც თავისი საკუთარი პატივსადები კანონები აქვს და მას საერთო არა აქვს რა უსამართლო ცარცვა-გლუჯასთან, რომელსაც, საზოგადოდ, არსად და არასოდეს კანონი არ იწყნარებს... ერთი მეორეს რომ უჯეროთ და უსამართლოდ რამეს წარომევს და წაგლეჯს, ესე იგი, იმას წაიღებს, რაც არ ერგება, ესეც, ფილოსოფიურის შეხედულებით, კანონიერი მოვლინებაა, მაგრამ, აბა, ერთი სინჯოს რომელიმე ქართველმა, მოსამსახურემ, ან მზარეულმა ან სხვამ, და ცოტა რამე გამორჩეს მის ხაზენ-სომეხსა, თუ იმ ბატონმა ქვეყანა არ შეძრას და სასამართლოს კარგბზედაც ტალახი არ აყენოს?! მაშინ ეკონომიკური პრინციპებიცა და ფილოსოფიური შეხედულებებიც დავიწყებულია!..

ჩვენ თქვენ თვალ წინ მაღაყებს გადავალთ და თქვენ-კი თვალი დახუჭეთო!.. ამაზე მეტი შეუპოვარი, უსამართლო თავ-გასულობა, განა, შეიძლება? ქარს რომ წინილა მიაქვს, „პაუ! ჰაუ!“ შესძახებნ; ნადირი რომ შინურ ოთხ-ფეხს მოიტაცებს, იმას შეუქანებენ ხოლმე! კანონი მოითხოვს. და, როცა შენი წარსული, აწყო და მომავალი უნდათ წარიტაცონ, მაშინ-კი დაჩუძით, ხმას ნუ ამოიღებთ, თორებ ჩვენებურად შეგამობთო: ესე იგი, უგუნურს, გამოყრუებულს, დამყაყებულს, სომხის-ჭამია აკაკიებს დაგიძისხებთო!.. რუსული ანდაზაა: „ვისაც მგელის ეშინა, ის ტყეში ვეღარ ივლისო!“ ჩვენ რომ ამისთანებისა გვშინებოდა, დღეს ხსნებაც აღარ იქნებოდა ჩვენი. ყველას თავისი სინდისი ატარებს. იმ თქვენი მოწონებული სომხის მომღერალ-ქართველები, როგორც ნებავდესთ, ისე მოიქცნენ და ჩვენ-კი, დღეს თქვენგან სომხის-ჭამიებად მონათლულები, ჩვენსას ვერ მოვიშლით, ჩვენს რწმენას ვერ ვუღალატებთ და ყოველთვის იმას ვურჩევთ ჩვენს თანამომებს, რაც დღემდისაც გვირჩევია: მმობას, სიყვარულსა და ერთობას არა თუ მეზობელ ერებთან, შორეულებთანაც-კი. დმ-ერთმა ისე ნუ დასცეს ზნეობითად ქართველი, რომ იმან სხვისი უბედურებით მოიწადინოს თავისი საკუთარი ბედნიერება და ონავარ-წურბელაობა დაიწყოს. ნუ დაავიწყოს მამა-პაპური ანდაზა: „რაც არ მერგებაო, არ შემერგებაო!“ მაგრამ, ნურც ისე დაამდაბლოს და დასცეს, რომ ავისა და კარგის გარჩევა აღარ შეეძლოს, მტერსა და მოყვარეს ვერ სცნობდეს და მტრის მოსაგერიებლად ფარი ვეღარ დაიჭიროს ხელში!..

„ივერია“, 1902 წ. № 201 ნარკევეი

„ნორ-დარი“ დაგვპირდა, მე გავარჩევ ვინ არის ქართველი, ან ვინ არის სომეხიო და მოდგა წერას. მაგრამ იმის საბუთად, რომ ქართველი გრიგორიანები ვითომ სომხები იყვნენ, აი, რა მოიყვანა ამ ენკენისთვის 135 ნომერში: „ჩხარელ და ონელ ქართულად მოლაპარაკე სომხებს რომ უთხრა: ქართველები ხართო, ისინი გეტყვიან: სომხები ვართ, სომხური არ ვიცით, არ ვლაპარაკობთო. ამ პუბლიცისტებმა უნდა დაინახონ, რომ ქართული და ქართულად ლაპარაკე ჯერ კიდევ არ მოასწავებს, ქართლ-კახეთსა, ან იმერეთში მცხოვრები სომეხი ქართველი იყოს“.

მაგრამ ასეთ საბუთს ბ-ნი სპანდარიანცი მარტო ჩვენდა მიმართ ხმარობს, თორებ თვითონაც კარგად ესმის უსაფუძვლობა მისი, როცა განაგრძობს იმავე ნომერში: „ალექსანდრეპოლელ სომხის ყმაწვილს რომ ჰეითხოთ, ხართ თუ არა სომეხიო, სომხურად გიპასუხებთ: „არა, არა, სომხი არა ვარ, მე ფრანგი ვარო“.

„ივერია“, 1904 წ.

ლასი – „ქართველთა გასომხება“

«ჩვეულებისამებრ, 1904 წლისათვის დაიბეჭდა, მთავარ-მართებლის განკარგულებით, კავკასიის კალენდარი. ამ წიგნიდგანა სჩანს, რომ სომხე-გრიგორიანთა სასულიერო უწყებას ჰქონია 1904 წლის იანვრისათვის ამიერკავკასიაში ერთი სასულიერო აკადემია და ოთხი სასულიერო სემინარია. ამ სასწავლებელთა გარდა თითქმის თითოეულ მრევლსაც თავისი სამრევლო სკოლა მოეპოვება. აკადემიასა და ოთხ სამრევლო სკოლაში ირიცხებოდა 1904 წ. პირველ იანვარს 1858 მოსწავლე, რომელიც ასე განიყოფებიან: ექმიაძინის აკადემიაში – 40, ექმიაძინის სემინარიაში – 195, ერევნისაში – 415, ფარაბალისაში – 575, ტფილისისაში – 633.

ამიერ-კავკასიის სომეხ-გრიგორიანთა რიცხვი აღნიშნულია ამავე კალენდრით სულ 1,100,138 სული.

ამავე დროს, მართლ-მაღიდებელ სასულიერო უწყებას, რომელსაც ექვემდებარება ამიერ-კავკასიაში 1,683,658 სული, ჰქონია სულ ორი სასულიერო სემინარია: ტფილისისა და ქუთაისისა, უკანასკნელი დაარსებულია რამდენიმე წლის წინად. მართალია, კალენდარში

მოყვანილი არ არის, რამდენი მოწაფეა ამ ორ სემინარიაში, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ სამჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე სომეხ-გრიგორიანთა აკადემია-სემინარიაში.

ტფილისისა და ქუთაისის გუბერნიაში ითვლება 242,180 სომეხ-გრიგორიანი. ამათში ორ მესამედზე მეტი ჩამომავლობით წმინდა ქართველები არიან. ცოტა არ მოი პოვება მათში წმინდა ქართული გვარები, მაგალითად: აბაშიძე, გველესიანი, ლურიძე, ქავთარაძე, ლომიძე, ჩხეიძე, მუხაძე, წერეთელი და სხვა.

ცხადია, რომ ისეთი მცირე მრევლისათვის, როგორიცაა 242,180, დიდად მოჭარბებულად უნდა ჩაითვალოს ხუთი სასწავლებელი, სა-დაც იზრდება 1858 მოწაფე. აქედან ის აზრი უნდა დავასკვნათ, რომ, რაკი სომეხ-გრიგორიანთა სასულიერო უწყებას არ ეჭირვება ასე რიცხვმრავალი საეკლესიო მოღვაწენი, იგი მისდევს საერთოდ ხალხის განათლებას და ამასთანავე დიდის წარმატებით ქართველების გასომქებას, რაიცა მტკიცდება იმით, რომ ქართული წეს განდევნა როგორც ეკლესიდგან (წინად სახარება ქართულად იკითხებოდა, ქადაგებაც წარმოითქმებოდა ხოლმე ქართულადგვე), ეგრედვე სკოლიდგან.

სჯაბასი ქართველ გრიგორიანთა შესახებ პირველად ჩამოაგდო გაზეთ „ივერიაში“ ბ-ნმა კლდიამ, შემდეგ ამავე საგანგებო ლაპარაკი გამართა ლაზარევის ინსტიტუტის პროფესორმა ბ. ხახანაშვილმა გაზეთ „კავკაზში“. მთავრობას ოფიციალურად რომ შეიწყნაროს ქართველ გრიგორიანი, დიდად ხელსაყრელი საქმე იქნება, რადგან, ჯერ ერთი, ისინი გადარჩებიან გასომხებას, რომელსაც ასე ერთგულად მისდევს სომხის სასულიერო უწყება, და მეორეც ისა, რომ მართლმადიდებელ სამღვდელოებას საშუალება მიეცემოდა, დაბრუნებინა იგინი მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისათვის. თუ კი ერევნის გუბერნიის რამდენ-იმე სოფლის ღვიძლი სომეხი შეუერთდნენ მართლმადიდებელ ეკლე-სიას, უნდა ვიფიქროთ, რომ ქართველ გრიგორიანი, მოკლებული სარწმუნოებრივ ფანატიკოსობას, უფრო დიდის ხალისით დაუბრუნ-დებიან მართლ-მადიდებლობას, რადგანაც სომხთა ეკლესის მოძღვრება-სწავლება, რომლის დამფუძნებელი წმ. გრიგორ განმანათლებელი მარ-თლ-მადიდებელი იყო და თვით სომეხთა ეკლესის თავი, პატრიარქი ატარებს ტიტულს „უგაპარ“, რაიცა ითარგმნება „მართლ მადიდებე-ლი“, უფრო უახლოვდება მართლ-მადიდებლობას, ვიდრე წავლა-მოძღვრება დანარჩენ არა მართლ-მადიდებელ აღმოსავლეთის ეკლესიათა.

ქართველ გრიგორიანთა შემოურთება მართლ-მადიდებელ ეკლე-სიასთან ისეთ საადვილო და სარწმუნო საქმედ გვეჩვენება, რომ საჭიროდ არც-კი მიგვაჩნია მისიონერთა მოღვაწეობა-ქადაგება».

„ივერია“, 1904 წ., №216

აკაკი

«სამას წელიწადზე მეტია, რაც საქართველოში ბრძანდებით და უარს რათ ამბობთ ქართველობაზე-მეთქი?... დაფიქრდა და მითხრა: ეგ სულ სხვა არისო.დიალ, ეს რაღაც „სხვაობა“ უცნაურ უპი-რატესობას აძლევს სომხებს!... ვისაც ისინი წაეხახუნებიან, ცდი-ლობები, მაშინათვე სომხობა დაკისრონ, და თვითონ კი, სადაც უნდა იყონ, სადაც თითო-ორთოლად შეკინკილდებიან მათის არშინ-არახ-ჩინით და ფეხს მოიკიდებენ, არათუ იცვლებიან, პირიქით, ცდილობენ, რომ ყველას „წიწერნაკი“ ამღერონ.

გადაჭარბებული პატრიოტული ნდომა-სურვილი წმირად ნამეტ-ანს მოაფიქრებინებს კაცს, თორემ, განა, სომხებმა კი არ იცან, სტყუან? სიტყვითაც და დამწერლობითაც ჩვენს წარსულს უარს ჰყოფენ და უნდათ სხვები დააჯერონ, რომ საქართველო ქუთაისის აქეთ არა-სოდეს ყოფილა! — აქ მხოლოდ სასომხეთი იყოო, და, მაშასადამე, ჩვენც, სომხებმა, დღეს ჩვენსავე ნასაკუთრებზედ მოვიკალათეთო!...

...სიმართლის მოყვარე პუბლიცისტი ჯანმრივი თავისს „ბორჯო-მის აღწერაში“ კი ამტკიცებს, რომ „ძეები“ და „შვილები“ ძველის-ძველთაგანვე ჩამომავლობით სომხები არიან!

...ახალციხის და ახალქალაქის მაზრის მცხოვრებლებს და, მათთან ერთად, თითქმის მთელ სამესხეთოსაც, ვინც კი არ გამაპმადიანებულა, სომხობა დააკისრეს... სომხების პროპაგანდა ისეთი მოხერხებულია, რომ ართვინებრივი, ნამდვილი ქართველები, დღეს სომხურსაც ახერხე-ბენ და ეს სულ ამ ნახევარი საუკუნის განმავლობაში მოხდა...

სომხობამ დღეს გაიდგა ჩვენში ფესვი და გაიმართა წელში, თვარა, ადრე, არათუ ქართველი გრიგორიანი, მართლად და დროე-ბით სასომხეთიდან მოსულებიც ვერ ბედავდნენ, რომ გაემხილათ თვისი სომხობა!..

ეს ყოველივე კარგად ესმით იმ ქართველებს, რომელნიც, ზოგი კუდაბზიკობით, და ზოგიც საპირადო ანგარიშით სომხობას კუდ-უქიცინებები! »

„შრომა“, 1883 წ, №9

პ. პ.

«... მათი (სომხების – ა. უ.) ვაჭრები მაინც არ იშლიან, თავიანთი ცდიერებისა და ყალბის მეგობრულის განწყობილებით რამე სარფა არ ნახონ ქართველთან საქმის დაჭერით. საქმე ბევრნაირია: ან მისესქებს ფულებს უღმერთო სარგებლით, ან დაიგირავებს აღვილ-ძამულს და მის ავეჯეულობას და სხვა ამგვარი საექსპლოატაციო საქმეები, მაგრამ მათი ჩარჩებისა და ვაჭრებისაგან დღეს ყველაზე გაჭირვებულია ჩვენი გლეხი, თუმც არც თავადაზნაურობას დაყრია კეთილი მათგან ფულის სესხებით. დღეს იქამდის არის დასული ეს ექსპლოატაცია, რომლისთვისაც ასე მჭიდროდ უკიდნიათ ხელი მიკირტუმ გასპარიჩებს, რომ მათი უსინდისო საქციელის გამო გლეხებმა იყრმეს მათი ფარულის შემჭირვებლობის მავნებელი თვისება და თალისაჩინოდ უცხადებენ უკამაყოფილებას, თუ დეპონის გახსნით და თუ მამა-პაპურის მუშტით. ამ მოვლენის ცხადად გამომეტყველია დღეს ჩვენი ლიტერატურა. სომხები დღეს პარაზიტები გაგიხდნენ იმ მფარველობის სამაგიეროდ, რომელიც აღმოუჩინა მათ ჩვენმა ხალხმა, მისცა რა დატაკ-შიშვლებს თავის მაულში თავ-შესაფარი და საცხოვრებელი.

სომხის ინტელიგენცია მოვალეა, დატუქსოს მათი ვაჭრების და ჩარჩების სისხლისმწოვრობა. ვეჭვობ, რომ მათი ინტელიგენცია ამ მოვალეობას ასრულებდეს, პირიქით, გავრცელებულია ხმა, როგორც ნაცავლ, ისე უმცეს სომხების საზოგადოებაში, თფილისი ჩვენი ქალაქია, და მომავალი ბედის გასკნასაც საქართველოში აპირებენ».

„დროება“, 1880წ, №250)

ლ. – „ეპისკ. ზახარიანის წირვა“

«ჩვენ ვიცით, რომ მ. ზახარიან ეპისკოპოსი (ართვინელი-ა. უ) არის შთამომავლობით ქართველი კათოლიკე, მაგრამ ისტორიულ გარემოებას და სომხის კათოლიკობის წესის წყალობას ამისათვის დაუვიწყებია სრულებით როგორც ქართველობა, ისე ქართული ენა; რადგანაც არაერთი ვიცით მაგალითი, რომ სარწმუნოების წოდება გვაროვნობის წოდებათ არის გადაქცეველი (ქართველ ლათინის რიგის კათოლიკეს რომ ჰყითხონ, გეტყვის, რომ მე „ფრანგი“ ვარო, და ქართველობას მართლ-მადიდებლის სარწმუნოებას ეძახის და ამითი ის უარყოფს ქართველობას)».

„დროება“, 1882 წ. №185)

ვინმე მესხი – „ხმა ხიზაბავრიდან“

«„ჯინჭველას რომ ფრთა გამოესხმის, ღმერთი მაშინ გაწყრებაო!“ ჩვენებური კრო სომებ-კათოლიკებიც სწორედ იმ ჭინჭველის გვარნი არიან. მის დროს არზრუმს არეულან, ატეხილან, გასჯიბრებიან ოსმალებსა და მის გამო, ბ. პასკვეიჩის საშუალებითა, გარდმოსახლებულან ჩვენს ქვეყნას. ჩვენის მიწა-წყლის წყალობით, ჩვენის გლეხების ნაჭირევის პურ-ულუფით წელ-ზურგი გაიმაგრეს და წამოგრძელეს ენგბი; სასომხეთში სომხობა არ გაუვიდათ და აქ, საქართველოში, არა მარტო წმიდა სომხობას ჩემულობენ, არამედ სხვების დასომხებასაც ლამიან....

ერთი ამბობს: „ჩვენი ბჭობის არსებითი მიზეზი ენა არის. გვაროვნობის ერთი ძლიერი კავშირი გვერდა-სარწმუნოება. საუბედუროდ, ჩვენ სარწმუნოებაში რომ წვალება (მონოვიზიტობა – ა.უ) შემოგვპარა, მაინც ენა დავიცავით, თუ ენის დაცვას არ მივაქციოთ ყურადღება, სადღა დაგვშოთება გვაროვნებამ?“... მეორე ამბობს: „თუ დღეს ჩვენ მივსცეთ ნება ქართული ენის ხმარებისა ჩვენს ეკლესიაში, ხვალ ლათინებიც მოვგოთხოვენ იმ გვარ სიმართლესა...“.

რვა-ასში და ცხრა-ასში (VIII, IX სს. -ა.უ). იმ მხარეს იმდენი ქართველების სიმრავლე ყოფილა, რომ ერთი ეპისკოპოსი თვით ქ. ანში მჯდარა, მეორე ყარსში და მესამე ვალაშკერტში. ეს სამივე ეპისკოპოსები აწყვერის მთავარებისკობოსის (მაწყვერელის) ხელდებულნი ყოფილან. თვით ყარსსაც კარი (პალატე) ეწოდება ქართულად. საზღვრის შესავალ და იგივე ყარსის სოღანლუს მთები სამესხეთის მთებად თქმულ არიან; მაგრამ ეს ჩემს მოწინააღმდეგე სომხებს აზრადაც არ გაუვონიათ! თვითონ მე მინახია ყირიდის ეკლესიაზედ ხუცური ასოები, რომელიც 30-40 ვერსს შორავს ქ. ალექსანდროპოლიდგან: თქმა არის - პირველნი მცხოვრებნი იქაურობისა ქართველები ყოფილან!

ახალციხის ძელად მცხოვრებთა ქართველობას ამტკიცებთ აგრეთვე:

ა) ფიზიონომია და წმიდა ქართული ენის ცოდნა ყოფა-ქცევითურთ, რომელიც საქართველოს სომხობას მის დღეშიც არ ჰქონია და ვერც ექნება.

ბ) ჩვენი ნაოესაობა და განყოფა სრულ მესხი ქართველები არიან;

გ) საეკლესიო ძეგლს ჯავთაგებში ნათლისლებისა თუ შესაწირავ-

თა სრულ ქართული გვარები და სახელები არიან, როგორც: ოტიათი, ლთისიათი, მახარობლიათი, გლახათი, ოქროპირათი, ბატონათი, ბეჭუათი, მამაცათი, ნადირათი, ყანდინანთი, ეთერათი და სხვა.. ისეთი ძველის-ძველი ისტორიული ზღაპარ-ანდაზებია ჩვენში, სუფრული, მობანები და სიმღერები... აგრეთვე, ჩვენი ბებერა დედებისაგანნი უმრავლესი ქართველებთან მარხვებს იჭერდნენ და იჭერენ დღესაც მრავალნი...

ჩემს მოპასუხეს კი ვურჩევ, თავისი დარიგება მაგრა შეინახოს თავიანთვის, ჯერ გამიცნოს და მერე ზრდილობიანად ილაპარაკოს: მე სომხის მღვდელი არა ვარ!....».

„დროება“, 1877 წ. № 110

«სომხები და „სომხის საქმე“, მკითხველო, ამ უამად „მოდნათ“ შემოვიდა ქალაქში. ყველა სომხებზე და სომხების რაღაც ფაცა-ფუცაზე ლაპარაკობს.

დღეს ჩამივარდა ხელში სრულიად რუსეთის სატახტო ქალაქის ერთი გაზეთი, „ბირჟის უწყებები“, რომლიდამაც სომხებზე ზოგიერთი არა-სანუგეშო ცნობები უნდა ამოვკრიფო. ეს ცნობები ეხლა ჩანან ასე არა-სანუგეშოთ, როდესაც ჩვენ სომხებს უ. კუტულის სიტყვებით ვიცნობთ, თორემ წინეთ რომ ყოფილიყო, ბევრათ არ შევწუხდებოდით.

ზემოხსენებული გაზეთის 16 ივლისის მე-170 ნომერში დაბეჭდილია სტატია, რომლის სათაურიც ქართულად, დაახლოებით, ასე უნდა გადმოიცეს: „ხალხთა გროვა“ („**ҲԾԹԻԱԱԷԻԵԷՍ ՇԱԹԻԱԱԾ**“).

ეს მეორე სტატია და ის მარტო სომხებისთვის უძლვნია უცნობს ავტორს... ამოვიღოთ სტატიიდან ის ადგილი, რომელიც, საზოგადოდ, სომხების ხასიათს და ეხლანდელს მათს მდგომარეობას შეეხება: „განმარტოებული სარწმუნოებით, განცალკევებული პოლიტიკურად, ცხოვრების მხრივ, და მოშორებულნი მთელს დანარჩენ კაცობრიობას, თავის ყოველ დღიურს ინტერესებში – სომხები ძრიელ მაგრად და მჭიდროდ ეკიდებიან რუსეთს, როგორც ძრიელს პირადით და ქონებითი ხელშეუხებლობით. ამ გვარად ქმიაბინი და ამის სიმღიდოე – რუსეთშია, აგრეთვე, მონასტრებიც, რომლიდამაც მონაზონების ოთხია, მაშინ როდესაც ერთი საპარსეთშია და ოსმალეთში ხომ სულ მოსპობილია“.

თუ ასე დიდს იმედს ამყარებენ რუსეთზე სომხები, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ უნდათ, თავიანთი არსებობა უშიშრად გაატარონ; სომხების თანხების ასპარეზი კი ოსმალეთია.

რუსეთში სომხები იმ ხალხებს ეკუთვნიან, რომელნიც „დროთა ვითარებითა“ ჯერ-ჯერობით კიდევ სარგებლობებს სხვადასხვა წარჩინებებით: მაგ. საყოველთაო სამხედრო სამსახურს ისინი (გარდა ჩრდილოეთ კავკაზის სომხებისა) არ ექვემდებარებიან, ყოველგვარ სახელმწიფო გადასახადს, შედარებით სხვებთან, ძრიელ ცოტას იხდიან და სამოქალაქო ცხოვრების დაწყობილობაზე მათი გავლენა ბევრის მხრით უფრო მავნებელია, ვიდრე მარგებელი: ყალბი მანეთები (ასიგნაციები) თუ ვისმეს შემოჰქონდა და შემოაქვს რუსეთში, ეს მხოლოდ სომხებს ინგლისის საბეჭდავებიდამ (ეს ნამეტათა!).

უნივერსიტეტის და, საზოგადოდ, განათლების მისაღები საშუალებების უქონლობამ ოსმალეთის იმპერიაში სრულებით ვერ გამოიწვია სომხები და მათი შეძლება ამ განათლების სახსარის დასაარსებლათ. მთელს ხალხზე, ერთად, შეიძლება კაცმა სოქვას – წერა-კითხვის მცოდნე არ არისო, და სასულიერო წოდება ხომ სრულიად უსწავლელი და გაუხსნელი ჰყავსთ.

საზოგადოდ რომ ვსოქვათ, მთელს ევროპაში არ არის ისეთი ფანატიკური და დახშული ხალხი, როგორც დღევანდელი სომხები არიან.... მათ შინაურულს, ყოველ დღიურს ცხოვრებაში კაცი ვერ შენიშნავს რამე ისეთს ნიშანს, რომ სოქვას – ამ ხალხს კარგი მომავლისა და ზნეობითი განახლების იმედი უნდა ჰქონდესო».

„დროება“, 1880 წ. №2

„ურიათუბნელთ მეზობელი
„ურიათუბნის სკოლის გახსნა და ორიოდე მოსაზრება
კახეთის სომხე-გრიგორიანების შესახებ“.

«....ეხლა ეღირსა სოფ. ურიათუბანს თავის საკუთარი სკოლა. თაოსნობა და დაგვირგვინება ამ საქმისა ეკუთვნოდა ორს გვამსა, სახელდობრ: თელავის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველს ნ. მ. მთვარელოვსა და ადგილობრივს მღვდელს ნ. ირ. ჩეკეროვსა. სოფელს წინადაც და ეხლა სწავლის სურვილი ეტყობა და, თუ

აქამდის აბრკოლებდა რამე ამ საქმესა, ეს ზოგიერთი, ვითომ, ხალხ-ის თანამგრძნობი, აზნაურები, რომელთაც სხვა ნუგეში აღარა დარჩომიათ-რა, სოფლის სასამართლოს მწერლობისა და ლაქუც-მოურაობის მეტი.... ამგვარ გვამებს ძლიერ ეწყინათ სკოლის გახსნა, რადგანაც სხვის თვალის ახილება ამათ ჯიბეს ავნებს....

ამ სოფელში უერადღების ღირსია ის გარემოება, რომ აქ სომხობა ბლომად არის. ისინი ასს კომლზედ მეტს შეადგენენ (სულ 300 კომლი იყო - ა. უ.) ზოგიერთმა სომხმა, განსაკუთრებით, მამასახლისმა, რომელიც თვით სომხია, ისურვა გაცალკევებით და საკუთარი სკოლის გახსნა.... უბედური გაუგებრობა ეხლანდელ ნასწავლ და უსწავლელ სომხებშიაც ის არის, რომ ესენი სარწმუნოებასა და ენას ერთმნეთისაგან ვერ არჩევენ. თუ უამთა - ვითარების გამო, შენ მიიღე გრიგორიანების სარწმუნოება, მაშინ მთელი სომხეთი იერიშს მოიტანს შენზედ, დაგეცემა თავზედ და, თუ ნებით ვერა, ძალით დაგაწყებინებენ სომხური ენის საცოლდავად მტკრევასა, შენს ვინაობაზედ და გვარტომობაზედ ის აღარა ფიქრობს, რადგან შენ სომხურად იწერ პირ-ჯვარსა.

ურიათუანში და კახეთის სხვა სოფლებშიაც (თვით თელავშიაც) მცხოვრები გრიგორიანები არიან, მაგრამ ამათ სომხებად (თუ კანონიერად გვინდა ვიხმაროთ ეს სიტყვა), ვერ უწოდებთ.... მათ სრულებით არ ესმით სომხური ენა არც საერო, და საეკლესიო ხომ - არა და არა....

ავიღოთ, თუნდაც, თელავის სომხები - აქაური სომხენი სულ ქართულად ლაპარაკობენ. თელაველ ყმაწვილებისთვის პირველ-დაწყებითი სწავლა ქართულ ენაზედ უნდა მიღიოდეს. მაგრამ ეგრე არ გახლავთ: ვიწრო პატრიოტობისა გამო აქ საცოლდავ ბავშვებს მათ გაუგებარს სომხურს ენაზედ ასწავლიან და ამით ამახინჯებენ მათს ნორჩ გონებას და ტვინსა. ქართულს ხომ საგნადაც არ ასწავლიან. ამისათვის აქაურის სომხის სკოლიდამ გამოსულს სომხური ავიწყდება და შემდეგ სკოლის დასრულებისა პსწავლობს ქართულსა, როგორც უსაჭიროეს ენას. ჯერ თვით სომხებშიაც ქართულს წიგნებს უფრო ელტვიან თელავში, ვიდრე სომხურს, რომელიც იციან აქ ათიოდე გვამმა, ისიც გაცილებით ქართულზედ უხეიროთ.... წელანაც ვსოთქვი: ეს არის მხოლოდ სომხთა მოწინავე ხალხის დაჟინება და გაუგებრობა».

8. ხანდახან სომხებს რუსებიც უბრაზდებოდნენ

უნდა აღინიშნოს, რომ, მართალია, რუსეთი სომხეთს საქართველოს წინააღმდეგ თავისი პოლიტიკის გასატარებლად იყენებდა, მაგრამ იყო პერიოდები, როდესაც რუსივიკატორული პოლიტიკა ეწინააღმდეგბოდა სომხურ ფენომენს, რომელიც ყოველთვის მეტად თვითმყოფადი და მკაცრად ნაციონალისტურ-შოვინისტური იყო. «მოხდა ისე, რომ რუსეთის ხელისუფლება XIX საუკუნის ბოლოს, რამდენიმე წლის განმავლობაში სომხებსაც გაუწყრა. ამის თაობაზე ზემოთ უკვე ნახსენები არაქელ ბაბახანიანი (ლეო) თავის წიგნში – „წარსულიდან“, რომელიც 1925 წელსა თბილისში დაისტამბა სომხურ ენაზე, წერს: 1896 წელს კავკასიის მთავარმმართებლად დანიშნულმა თავადმა გოლიცინმა მიზნად დაისახა ‘დაეჩქარებინა კავკასიის გარუსება. ამის გამო მან, საზოგადოდ, შეიძულა ის ერები, რომლებსაც საკმაოდ მოეპოვებინათ ეროვნული ღირებულებები მასთან დასაპირისპირებლად» [21].

სომებთა მზარდი ინტერესების შესაზღუდავად დაარსდა გაზეთი „კავკაზი“, რომლის რედაქტორობა გოლიცინმა მიანდო პოეტ ვასილი ველიიჩკოს. ბუნებრივია, გაპარპაშებულმა სომხებმა იგი შეიძულება. ბაბახანიანი ზემოთ დასახელებულ წიგნში წერდა: «ველიიჩკოს სომხეთ მოძელე ბოდვას სიამოვნებით შეუწყო ხმა ქართულმა „კნიაზურმა“ პრესამაც. ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ნიკოლაძე და სხვაც მრავალი მათი შეგავსნი „კავკაზის“ პოეტი რედაქტორების აღიურანტები იყენენ» [21].

ეს, რა თქმა უნდა, მორიგი ცილისწამება იყო ჩვენი დიდი მამულიშვილების მიმართ. «ილიას, აკაკის და სხვა ქართველ მოღვაწეებს ველიიჩკო რომ არ უყვარდათ, ამის შესახებ მასალები საქმაოდ მოიპოვება. მათ არც სომხები ჩაუწიხლავთ, მხოლოდ და მხოლოდ თავიანთ მრავალტანჯულ სამშობლოს იცავდნენ. ლეოს და მის თანამოაზრებს კი არ ეჭამნიკებოდათ, რომ საქართველოს ჰყავდა ისეთი დიდი მამულიშვილები, როგორებიც არიან ილია, აკაკი და სხვები. ქართველი მოღვაწეები ხომ მათ ანტიქართულ პარპაშს საქართველოში არ ითმენდნენ. ილია, აკაკი და მათი თანამებრძოლები მოქმედებნენ პრინციპით: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“ –ქართველებს სამშობლოს ართმევდნენ რუსებიც, სომხ-

ებიც და ჩვენს მოღვაწეებს, ბუნებრივია, არ ექნებოდათ დიდი სურვილი რუს-სომეხთა დროებით დაპირისპირებაში, გაეშველებინათ ისინი» [21].

ვფიქრობთ, ზოგიერთი სომხის საქმეთა წარმოსაჩენად საინტერესოა რუსების შეხვდულებებიც. ამიტომ გადავწყვიტეთ, ჩვენს წიგნში მრავალ ავტორთაგან სწორედ ვასილი ველიჩკოს მოსაზრებები შევვეტანა. გთავაზობთ ამონარიდს მისი ერთი წერილიდან (ქართული თარგმანი მოგვყავს ნაშრომიდან [15]). ველიჩკოს წერილი, ძირითადად, საქართველოს რუსეთთან მიერთებამდე და მიერთების შემდგომ პერიოდსა და ვითარებას ეხება.

ვასილი ველიჩკო – „კავკასია“

„...საქართველოს თავად-აზნაურთა დიდმა ნაწილმა არ გაიზიარა მე-19 საუკუნის რადიკალური ზომები საქართველოს რუსეთის შემადგენლობაში შესვლის თაობაზე და მიიჩნია, რომ ეს საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო არა მანიფესტით, არამედ ორმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე.

... ვიდრე ჩვენთვის ძვირფასია ჩვენი სარწმუნოება, საქართველო ჩვენთვის სულიერად ახლობელი იქნება. ამასვე ადასტურებს ქართული სისხლის რაინდთა ის მოდგმა, რომელთაც რუსული დროშების ქვეშ შესაშური თავდადება გამოიჩინეს ბრძოლის ველზე და ჩვენთან ერთად აკეთეს „მესამე რომის“ სულიერების შენარჩუნების საქმე. ვიდრე ჩვენ გვწამს ამ საქმისა, ვიდრე ჩვენთვის სანუკარია რუსული დროშა, ჩვენ ქართველებში უნდა ვხედავდეთ მხოლოდ საკუთარ მძებს. მთელ წინა აზიაში ქართველ ერს ქრისტიანული სარწმუნოების ფორპოსტად და მძლავრ ბერკეტად უნდა მივიჩნევდეთ...

ქართველთა სოციალურ წყობას გააჩნდა ერთი დიდი ხინჯი, რაც, შეიძლება, ძვირად დაუჯდეს ქვეყანას – მათ არ ჰყავდათ საკუთარი ბურუუზია. მრეწველების, ვაჭრებისა და ხელოსანთა რიგები საქართველოში, ძირითადად, ივსებოდა სხვა რწმენისა და ქვეყნის მოქალაქე სომხებით, რომლებიც, ქართულ ხმლებს ამოფარებულნი, მუსულმანთაგან იცავდნენ თავს. ისინი აგროვებდნენ ქონებას იმ მშვიდობის წყალობით, რაც ქართულ ხმლებს მოჰქონდა მათთვის, ზოგჯერ კი ქვეყნის მმართველებს უზიარებდნენ ამ ქონების ნაწილს. გულმსურვალე სომხი პატრიოტი, აწ განსვენებული გენერალი ქიშმი-

შოვი თავის ბროშურაში გულისწყრომით მოიხსენიებდა იმ ქართველ ფეოდალებს, რომლებიც ფულის გამორთმევას ცდილობდნენ მდიდარი სომხებისათვის.

ისტორიამ დაუმტკიცა ქართველებს, რომ არ შეიძლება იმ ხალხის ნდობა, რომელთაც ჯაშუშობისა და ღალატის თანდაყოლილი თვისებები გააჩნიათ: მეფე ერეკლე მეორის მიერ აღზევებული სომხი მელიქები აბო და მეჯნუნი, რომელთაც იგი სპარსელთა დევნისაგან იცავდა, საბედისწერო უამს განუდგნენ ქართველ მეფეს და 1795 წელს აღა-მაჰმად ხანის ურდოებს შემოუძღვნენ საქართველოში, რომელთაც სისხლში ჩაახრჩეს თბილისის მოსახლეობა. ეს ფაქტი საურველია შევახსენოთ იმ სომებს პუბლიცისტებს, პირზე ღუჟ-მომდგარნი რომ ამტკიცებს თავიანთ ქრისტიანობას...

...ქართული მიწათმფლობელობა დაუჯერებელი სისწრაფით დნება; სხვადასხვა მანთაშოვები, არამიანცები, არაქელოვები, მაკარიანცები და სხვა სომხი ბობოლები ჩალის ფასად ყიდულობენ მიწებს და იქ თურქეთიდან გადმოსახლებულ სომხებს აფუძნებენ. სალოცავები და მთელი ეკლესიებიც კი სომხეთა საკუთრებაში გადადის...

სხვათა შორის, ქართველი თავდადებიც ხშირად ცოდავენ, რადგან ყოფილი სემინარისტებისა და არადიდგვაროვანთა მიმართ ქედმაღლური დამოკიდებულებით დიდ მტრებს იჩენენ ამ წრიდან გამოსული ჩინოვნიკების სახით.

სამსახურებრივი სიცრუითა და ქართული ნერვიულობით გაჯერებული კავკასიური ატმოსფერო საკმაოდ დიდ თავსატებს უჩენს ხოლმე რუს ჩინოვნიკებს, მაგრამ მდგომარეობის განშტეტვა კი ხშირად სევდიანი, მაგრამ მაინც ბრძნული ქართული იუმორით ხდება ხოლმე. მაგალითად, ერთმა ქართველმა თავადმა თავისი მდგომარეობა ამ სიტყვებით დაახასიათა: „ადგილ-მამული სომხებმა წამართვეს, სამსახური უფროსობაში დამაკარგვინა. დამრჩა მხოლოდ ერთგულების გრძნობა და კარგი მადა. არაფერია, ცხოვრება შეიძლება!“

სომხებზე დასაბამიდან ჩამოყალიბდა ცუდი აზრი – და ეს გახლავთ შეუმცდარი აზრი, საკმაოდ საფუძვლიანი, იგი არც შეიძლებოდა ყოფილიყო სხვაგვარი, რადგან აბსოლუტურად ერთნაირად ჩამოყალიბდა ყველა ერის შემცნებაში, თანაც – ისტორიულად სხვადასხვა დროს.

მაგრამ ისიც ნათელია, რომ ამგვარი აზრის კატეგორიულობა,

რომლის მაგალითებსაც მე ქვემოთ მოვიყვან, ხშირ შემთხვევაში უსაფუძვლო და უსამართლოა. ჯერ ერთი, აუცილებელია ერთმანეთი-საგან გაგმიჯნოთ სომეხი ხალხის ძირითადი მასა და ამ ერთს მტაცებელი პლუტოკრატია, პოლიტიკანიზმით გამსჭვალული სამ-ლვდელოება და ფსევდოინტელიგენცია. ე.ი. ის მმართველი სომხური საზოგადოებრივი ფენები, რომლებიც ჩაგრავენ არა მხოლოდ სხვა ტომის მეზობლებს, არამედ საკუთარ უბრალო თანამემამულებსაც.

ამ თავკაცებთან და მათ მიერ დაქირავებულებთან შეხებისას არ შეიძლება, რომ ნებისმიერ წესიერ ადამიანს არ აღეძრას სიძულვი-ლის გრძნობა სომხების მიმართ. ამ საიდუმლოებით აღსავსე ერთს ისტორიის გაცნობისას კი არ შეიძლება, მის მიმართ არ განიშვალო ერთგვარი თანაგრძნობით, რაღაც მას უამრავი კარგი თვისება გააჩნია.

მაგრამ, რამდენადაც დიდი იქნება ეს თანაგრძნობა, მით უფრო გაიზრდება ზიზნი და სიძულვილი მათი ჯილაგიდან გამოსული პოლიტიკანების, მჩაგვრელებისა და მეამბოხეების მიმართ.

მეორეც, ის სოციალურ-ეკონომიკური და ისტორიული პირობები, რომლებშიც ბედის უკუღმართობით აღმოჩნდებოდა ხოლმე სომეხი ხალხი, განაპირობებდა და დღესაც განაპირობებს იმ გარემოებას, რომ ერთს წიაღიდან ამოტივტივებს მხოლოდ სომეხი ერთს ყველაზე საძაგელი, მახინჯი და გაიძევრა წარმომადგენელი.

პროფესორი დ. ნ. ანუჩინი ამბობს, რომ სომხები არ განეკუთვნებიან არიულ ტომებს და ისინი არიანი ზირებულები (ენით) არიან. ზე-მოთქმულთან ერთად, ყველანი, ვინც საკუთარ თავს სომხობას მიაკუთვნებნ, აშკარად არ არიან ძირეული სომხური ტომის წარმომადგენლები.

კიდევ უფრო საინტერესო დასკვნა მნიშვნელოვანი სომხური ჯგუფების თაობაზე გააკეთა კავკასიის ანთროპოლოგმა, დოქტორმა ი. ი. პატივუხოვმა. პატივცემულმა მეცნიერმა გამოიყენა ის პერიოდი, როცა თბილისი გადაჭედილი იყო ნახევრადველური ლტოლვილებით თურქეთიდან და ბევრ თურქეთიდან გამოქცეულ სომეხს ჩაუტარა ანთროპოლოგიური კვლევა. გაირკვა, რომ ამ დაუპატიუებელ სტუ-მართა მეტი წილი თავიანთი ფიზიკური აგებულებით წმინდა წყლის ქურთები იყვნენ.

ამ გარემოებათა გამო ნათელია, რომ სომეხთა ძარღვებში ჩქიფს

ყოველნაირი სისხლი. ამით აიხსნება ის ამბავი, რომ წინა აზიაში საარაკოდ ქცეული სიმხდალის მქონე სომეხი ხალხი დროდადრო იძლევა ტალანტურ და უშიშარ მხედართმთავრებს. სწორედ ეს ადასტურებს სომეხთა ჯილაგზე სხვა, მეომარი და მამაცი ხალხის, სისხლის გავლენას. ნორმალურ, წმინდა სისხლის სომეხს კი საერ-თო-კავკასიური ანდაზის თანახმად, „კურდოლისაც კი ეშინა“ კი აშკარად მიუთითებს ამ ერთს სემიტურ ხასიათზე. საერთოდ, სემიტური ხასიათის მრავალი თვისება გააჩნია სომეხ ხალხს. ეს არის ისტორიულად მყარი სახელმწიფოებრიობის არქონა, ავტორიტეტული საგვარეულო არისტოკრატიის თანდათანობითი გაქრობა, დიდი ხნის წინ დემოკრატიული წყობის იატაკებება პოლიტიკაზე გადას-ვლა, სარწყავი მიწების კოლექტიურად გამოყენების სისტემა, რასო-ბრივი ლტოლვა ვაჭრობისა და მევახშეობისაკენ და მომხვეჭელო-ბის დაუკებელი სურვილი. ქედაბლობა უქონელებთან და ძლიერ-თა მიმართ მონური დამოკიდებულება, თვითრეკლამა და განდიდების მანია ხომ ებრაული დამახასიათებელი ნიშნებია, მაგრამ სომხებში იგი უფრო ინტენსიურად და უხეში სახით გვხვდება.

სომხებს ძალიან არ უყვართ, როცა მათ ებრაულებს ადარებენ და ავალებენ თავიანთ დამცველებს, რომ, რაც შეიძლება, ენერგიულად ამტკიცონ ჰაიკელი ხალხის არიული წარმომავლობა... სამწუხ-აროა, რომ ამგვარი ოქროს კერპის წინაშე დაყუდებული მოხები დღეს ხშირად გვხვდებიან მოსამსახურებს, პუბლიცისტებსა და მწერლებს შორისაც კი...

1. „მურჩი“, 1897 წელი, სტატია სათაურით ‘ბოშებისაგან წამო-სული სომხები“.

„...აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ სომეხი ნავთობმრეწვე-ლი მეცნიატები გაძლიერებულად ზრუნავენ სომხეთის განსაკუთრე-ბული ისტორიის შექმნაზე, ამ პატარა ერისა და მისი „გმირების“ განდიდებაზე, იქნებიან ისინი პატივისცემის ღირსი შემთხვევით გენ-ერლები, თუ ასევე პატივისცემის ღირსი (ოღონდ სხვა კუთხიდან) არაშემთხვევითი კონტრაბანდისტები. კერძოდ, ისინი ხელიდან არ უშვებენ შემთხვევას, პარაზიტული ხერხებით განადიდონ თავიანთი ისტორიული „დამსახურებები“, თუ ამჟამინდელი ღირსებები; გზა-დაგზა ცდილობენ, დაჩრდილონ ის მეზობელი ხალხები, რომელთაც ბევრად ნათელი ისტორია და ღირსება გააჩნიათ, ვიდრე საკუთრივ

სომხებს. ისტორიულ-არქეოლოგიურად სომხები ქართველებს უსინდისოდ ძარცვავენ – ისტორიული ძეგლებიდან ამოკაწვრით შლიან ქართულ წარწერებს; იტაცებენ უძველეს მართლმადიდებლურ სამრეკლოებს და დაცარიელებულ უკლესიებს*; თხზავენ ისტორიულ სისულელებს და ძველ სომხურ სამფლობელოებად წარმოგვიდგენენ იმ სანახებს, სადაც ყოველი ქვა ქართული სამეფოს წარსულზე მიანიშნებს.

სომხების მიერ რუსულ ლიტერატურაში პირველი დაქირავებული მწერალი გახლდათ „ბარონ ბრამბეუსის“ ფსევდონიმს ამოფარებული სენკოვსკი, რომელიც სომხებისათვის ხელსაყრელ ნაწარმოებებს ქმნიდა. შემდეგ, სომხი „ისტორიკოსები“ ემინი („მოსე ხორქენლის ისტორია“), ხუდობაშვი („სომხეთის მიმოხილვა“), გვერდს უვლიდნენ რა ისტორიული ძეგლების დამაჯერებელ დაღადისს, ყველანაირად ცდილობდნენ, მოქარათ ქართველებისათვის ისტორიული ქართული ოლქის – საათაბაგოს მნიშვნელოვანი წარსული, რომელიც ათაბაგი ჯაჭვლების სამმართველო ტერიტორია გახლდათ და რომელიც ამჟამად ახალციხის მაზრაში შედის. არადა, ნებისმიერმა კავკასიელმა კარგად იცის, რომ აქ დღემდე შემორჩენილია თამარ მეფის ხელმწიფობის კვალი, რომ მაზრის მუსეულმანური მოსახლეობა მხოლოდ გათურქებული ქართველებია, რომლებიც ქართულ ენაზე მეტყველებენ, რომ სომხთა უმეტესი წილი მე-19 საუკუნეში თურქეთიდან ლტოლვილებია და არა მკვიდრი მოსახლეობა.

* ამის დასტურად მოვიყანო წინა თვის მანძილზე მოშხდარ ორ ფაქტს: დუშეთის მაზრის წმინდა ნიკოლოზის ეკლესიის მრევლმა შეადგინა არზა და თავისი წრის ირ წარმომადგენელს სოხოვა ეშუამდგომლა კავკასიის მაღალი ჩინების წინაშე მკაცრი ზომების მისაღებად სომხის სამღვდელოების იმ წარმომადგენლებისადმი, რომელთაც უსინძისოდ მიიტაცეს სამრეკლო „ბოდავის წმინდა გიორგის ნიში“ და მისი მიმდებარე ტერიტორია. ამ სამრეკლოს მთავარი ხატები მათვე მოიპარეს და დუშეთის სომხურ უკლესიას გადასცეს. სამრეკლოს დაარქვეს „სურპ-ვეურქი“ და იქ მართლმადიდებელ მღვდლებს წირვის საშუალება აღუპეთეს (ჟურნალი „კავკაზი“, 1897 წლის ივნისი).

ახალციხის ახლოს, ძრინარე ფიცხოვთან არის სამგურნალო წყარო, რომელიც თავის ტკივილის უებარი საშუალებაა. აქ დიდი ხანა დგას ქართული სამრეკლო და სალოცავი ნაშა წყაროთ ხალხი უფასოდ სარგებლობდა, სამრეკლოს კი საქმაოდ დიდი შესაწირი თანხა შედიოდა. მიმდინარე წლის მარტში კი ვიღაცამ სამრეკლოში გამოფინა სომხური ხატები, კარქებს დიდი კლიტე შეაბა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო (გაზეთი „ივერია“, 1897 წლის აპრილი).

არმენოლოგი პროფესორი პატკანოვიც ნაკლები მოკრძალებით იყენებდა ფაქტებს და, ძირითადად, ეყრდნობოდა საეჭვო რეპუტაციის მქონე მეცნიერებს – სენკევიჩს, მოგზაურ ბოტანიკოს კოხს და სხვებს. პატკანოვი დროულად ამხილა ქართველმა მწერალმა დიმიტრი ბაქრაძემ, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ პოლემიკს რუსული საზოგადოების დიდი ნაწილი ვერ გაეცნო. პატკანოვის მოწაფე მარი (ნიკო მარი – ა.უ.) ხელიდან არ უშვებს შემთხვევას, რომ სომხების სასარგებლოდ რაიმე წაგლიჯოს ქართველებს, თანაც სულ იმის დამტკიცებას ცდილობს და გვპირდება, რომ უძველესი ქართული პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ნასესხები ნაწარმოებია.

ეს ხელს აძლევთ სომხებ პოლიტიკანებს იმდენად, რამდენადაც სომხებს თავისი არსებობის მანძილზე არ ჰქონიათ რამდენადმე ძლიერი პოეტური ნაწარმოები, როგორც ერის სულიერი აღმავლობის თვალსაჩინო ნიმუში.

როგორც არ უნდა ეცადონ, იური ვესელოვსკის მსგავსად მოწადინებული ლიტერატურული ბარტყები მდიდარი სომხური ლიტერატურის არსებობის მტკიცებას, მთელი ეს კამპანია საცოდავი ლულლულის დონეზე დარჩება, რადგან ამგვარი რამ ბუნებაში არ არსებობს.

ვიღაც გ. ეზოვი თავის ფენომენალურად უცერემონიო წიგნში „პეტრე დიდის კავშირი სომხებ ხალხთან“, ყოველგვარი საღი აზრის საწინააღმდეგოდ, ვიღაც ვიგინდარა სომხებ ისრაელ ორუს თუ ორიუსს მიაწერს განსაკუთრებულ დიპლომატიურ მნიშვნელობას. ვითომ, ორუ ცდილობდა, პეტრე პირველი ჩაეთრია სპარსეთთან ომში მაშინ, როდესაც იგი უკვე ეომებოდა შვედეთს. ეზოვი ყველა წყაროებიდან მოიხმობს მხოლოდ ქართველებისათვის არახელსაყრელ ციტატებს. ამგვარ ციტატებს ტენდენციურად „ატენიან“ მკითხველებს ფილანტროპიულ კრებულში „მმური დახმარება თურქეთში დაზარალებულ სომხებს“, რომელსაც გლადსტონის ეპიტაფია ამშვენებს: „სიკეთე, სიკეთე და ... სიკეთე!“, მაგრამ, უნდა ვაღიაროთ, რომ საკმაოდ შხამიანი სიკეთე გამოვიდა, ისიც ჩვეულ სომხურ სტილში.

მეტად საინტერესო ბროშურა („ქათა დაღადი“) უძლვნა სომხთა მთელ ამ სიცრუესა და ბინძურ ისტორიულ-არქეოლოგიურ მტაცებლობას ცნობილმა ქართველმა პოეტმა და პუბლიცისტმა, თავადმდმა

ილია ჭავჭავაძემ. ეს ბროშურა მდიდარია სახასიათო ფაქტებით და იგი თარგმნილია რუსულ ენაზე.

როცა თბილისში სომხებისა და ქართველების ტომთა შორის ურთიერთობაზე საუბრობენ, იხსენებენ „იესა“-ის კორესპოდენტს, ვიღაც კუტულის. ჩამოვიდა თუ არა თბილისში, იგი წამსვე ხელთ იგდო გაქნილმა, ეშმაკმა, მაგრამ ჭკვიანმა პოლიტიკურმა აგიტატორმა, კუზიანმა არწრუნმა, რომელიც გამოსცემდა გაზეთ „მშაკს“. სომეხმა ბობოლებმა პატივისცემით თავბრუ დაახვიეს კუტულის – აჭმევდნენ, ასმევდნენ, წამით არ შორდებოდნენ გვერდიდან. მას სრულიად დაჰკარგვოდა გარემოს აღქმის უნარი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ყველა შემხვედრ ლამაზ ქალს კუტულის სომხად წარუდგენდნენ, მახინჯს კი – ქართველად. კომიური სიტუაცია შეიქმნა, რადგან ქართველებიც კი, რომელთაც გამძაფრებული აქვთ ისტორიული თავმოყვარეობა, ღიმილს ვერ იკავებდნენ მიმნდობი თუ მოსყიდული ფრანგის ჩანაწერების წაკითხვისას.

სულ ახლახანს კი ჭეშმარიტად სასეირო სანახაობად იქცა სომეხი პოლიტიკანების და „ისტორიის მთხველების“ მცდელობა, – თავბრუ დაეხვიათ ფრანგი სწავლულის, ბატონ დე ბაისათვის, რომელიც ბევრს სწერდა რუსებზე, მაგრამ სომხებს კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ. დე ბაიმ მოინახულა სომეხთა კათოლიკოსის რეზიდენცია – ეჩმიაძინი, სადაც მას წარუდგინეს „წარმოუდგენლად“ ძველი ნივთები, რაღაც გვირგვინები, ფიალები, მოქარული გადასაფარებლები და სხვა. გამოცდილმა არქეოლოგმა წამსვე შეამჩნია, რომ ნივთების რეალური ასაკი არ ემთხვეოდა მათ „სომხურ დათარიღებას“ და ამის თაობაზე საკმაო ირონით დაწერა პრესაში. სხვათაშორის, აღმოჩნდა, რომ ფრიად საეჭვო ნაქარგთა მაქმანები გვიანდელ როკოკოს სტილს განეკუთვნებოდა. ბარონ დე ბაის ირონის გამო რუსული ასოებით ნაბეჭდი აღგილობრივი გაზეთების გააფთრებული ტონი ყოველგვარი ზრდილობის ფარგლებს გასცდა.

სომეხთა მტკივნეული თავმოყვარეობის, განდიდების მანიისა და თვითრეკლამირების სურვილის გამართლება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ამ ხალხის რეპუტაცია საუკუნეთა მანძილზე სამუდამოდ შეილახა და ისინი ყველანაირად ცდილობენ თავის მართლებას.

აი, რას სწერს სომხებზე მიუკერძოებელი, ჰუმანური და მაღალზეობრივი ტაციტუსი, რომელსაც შეეძლო რომის მტრების-გერმანების ქებაც კი, თავისი მეორე წიგნის „Ad accessu augisti“-ის 53-ე პარაგრაფში: „ეს არის დასაბამიდან ორსახოვანი ხალხი, როგორც ხასიათით, ასევე გეოგრაფიული მდებარეობით“. ხოლო მე-12 წიგნის 46-ე პარაგრაფში იგი აშკარად მიუთითებს სომეხთა მზაკვრულ ბუნებაზე.

„შენ ხარ მშიშარა, შენ ხარ მონა, შენ ხარ სომეხი!“- ამბობს პუშკინი მოხუცი მპირით; ქართველები ამბობენ – „მოვიდა სომეხი, მოიტანა სხვა მეხი“. სომხები მევახშების მიერ ქართველი თავადების მშობლიური მიწებიდან განდევნამ მთელი რიგი ქართული ანდაზები შვა: – „ჯიშიანი ცხენები გაწყდნენ, დოლი ვირგს დარჩაო“, „გარეულმა ქათამმა შინაური ქათამი გააგდო“ და სხვა. ამიერკავკასიელი თათრები ამბობენ: – „ათივე თითი სანთლად რომ აქციო და სომეხს გზა გაუნათო, მისგან მაღლობას ვერ ეღირსები“. რუსი ხალხი საკმაოდ დამამცირებელი ეპითეტებით მოიხსენიებს სომხებს – ხან ზიზლით, ხან კიდევ დამცინავად. ნეკრასოვი ამბობს:

დაწუნა სოლიდური სასიძო,

ვიღაც სომეხს კისრისტებვით გაჰყვა.

არანაკლებ ჰუმანური უემჩუუნიკოვი („კოზმა პრუტკოვში“) ამ სიტყვებს ამღერებს:

ვწევარ ვიწრო ლოგინზე,

მეზობელ პალატაში კი

ყვირის სომეხი...

სიტყვა „ყვირის“ ძალზე ტიპიურია. სომხები მართლაც გამუდმებით ყვირიან – არ შეუშვებ შენს სახლში, დროზე გაუგებ მზაკვრულ ჩანაფიქრს, თუ წვრილმა ქურდობაზე დაიჭერენ მათი წრის წარმომადგენელს – ისინი თავადაც ყვირიან და სხვა ერის სულელ თუ მოსყიდულ ადამიანებსაც აყვირებენ.

ჩვენი მიუკერძოებელი ბელეტრისტიკაც საკმაოდ მკვანედ მოიხსენებს სომხებს. ლესკოვს თავის ნაწარმოებში „სობორიანები“ ერთ-ერთ გმირად ჰყავს შეყვანილი სქელგავიანი სომეხი შანტაჟისტი თერმოსესოვი.

საფრანგეთსა და გერმანიაში, სადაც მოქმედებენ სომხური რევოლუციური წრეები, სადაც ბაქოელ ნავთობმრეწველთა ფულებით

მიმდინარეობს სომხების სასარგებლო ავიტაცია, საქმეში ჩახედული და მთუკერძოებელი ადამიანები უდიდესი რისკის ფასადაც კი აღარ ერიდებიან სომხებთა წინააღმდეგ ხმის ამაღლებას. ცნობილი ფრანგი მოგზაური, გრაფი დე შოლე სომხეთის, ქურთისტანისა და მესოპოტამიის მოხილვის შემდეგ მუსულმანების სომხებისადმი დამოკიდებულების ფონზე სწერდა: „მიუხედავად დიდი თანაგრძობისა, რომელსაც ბადებს სომხების სილარიბე და ტანჯვა-ვაება, მე ვერასოდეს მოვახერხე მათთან დაახლოება, რადგან ვერ შევევუე მათ ზიზღის-მომგვრელ ცბიერებას, სულმდაბლობას და გულისამრევ სიმუხთლეს!“

იმპერატრიცა ეკატერინე მეორის მეფობის დროს სომხებს ყოველმხრივ შესანიშნავი პიროვნება გამოუწნდათ, დაუოკებელი ენერგიის მქონე, პილიტიკურად ფხნიანი, არცუ იშვიათად – მომაბეზრებელი. იგი არქიეპისკოპოსი იოსები გახლდათ, წარმოშობით გაქართველებული კულტურული სომხური ოჯახიდან, რომელსაც ქართველ მეფეთაგან თავადის წოდება ჰქონდა მინიჭებული. მისი გვარი – არღუთაშვილი-მხარგრძელი რუსულ ყოველდღიურობაში, რუსული ფანტაზიის ცენტრით, როგორც „არღუთინსკი-დოლგორუკი“ შევიდა. რიურიკების დოლგორუკებთან მათ, რა თქმა უნდა, არაფერი აკავშირებთ. ხსენებულმა არქიეპისკოპოსმა იოსებმა 1779 წელს (სამხრეთ რუსეთში) სომხური ქალაქი „დონის ნახიჭევანი“ დაარსა. ყირიმიდან და თურქეთიდან გადმოხვეწილი 15000 სომხის ბაზაზე ჩამოსახლებულებს, საკმაოდ კარგი შეღავათები დაუწესდათ: ხაზინის ხარჯზე ყირიმიდან მთელი ქონების გადაზიდვა, 12000 დესეტინა საძოვარი იალაღი, საგუშავოებისა და რეკრუტისაგან გათავისუფლება, 10 წლით ყოველი სახის ბეგარის მოხსნა; ყოველ მოსახლეს 30 დესეტინა მიწა გამოეყო; ტყე და სახლის ასაშენებელი მასალა უსასყიდლოდ გადაეცათ, სათესლე მასალა, საქონელი და ინვენტარი კი 10 წლის შემდეგ ანაზღაურების პირობით. ყოველივე ეს კანონთა სრულ კრებულში დაწვრილებითაა ასახული.

საქართველოში ერეკლე მეორის მეფობის უამს, იგივე არღუთინსკის მცდელობით, ვიღაც ყარაბაღელი მელიქები დაასახლეს თავი-ანთი ყმა გლეხებით, რომელთაც შულავერის დასახლება შექმნეს. ორმა მელიქმა, მეჯნუნმა და აბომ, თვალის დახამხამებაში უდალატეს თავის ახალ მფარველს – მეფე ერეკლეს და 1795 წელს აღ-

მაპმად-ზანს თბილისში შემოუძღვნენ, რომელმაც ქალაქი მიწასთან გაასწორა. ეს ფაქტი ეროვნებით სომებმა გენერალ-ლეიტენანტმა ს. ო. ქიშმიშოვმა აღიარა... ნ. ფ. დურნოვის ნაშრომში აღნიშნულია, რომ 1796 წელს სომები არქიეპისკოპოსი იოსები უბოლიშოდ ჩაერია დაპყრობილი დერბენტის საქმებში და მუსულმანებთან შედავების არცერთ შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან; მათ სომხების წინაშე ამცირებდა; დერბენტში ხანძოკლე ყოფნის პერიოდში მთელი მოსახლეობა აიმხედრა. გრაფმა ზუბოვმა იოსები მთავარ ბინაში გამოიძახა, მაგრამ აქაც საჭირო გახდა ზომების მიღება, რათა არქიეპისკოპოსის პოლიტიკანური მისწრაფები შეზღუდულიყო. დაუახლოებდა რა ეჩმიაძინის პატრიარქეს ისე, რომ ნებართვა არავისგან აუღია, მათ ერთობლივად შეადგინეს – „კოლექტიური მიმართვა ყარაბაღში და კავკასიის სხვა ადგილებში მცხოვრებ სომხებს“. ამ მანიფესტში ეწერა, რომ რუსეთის ჯარი სპარსეთში მხოლოდ ერთი განზრახვით შევიდა – „გაათავისუფლოს სომხები მუსულმანთა უდლისაგან და მოუპოვოს მათ დამოუკიდებლობა“. ამას დიდი ძლევარება მოჰყვა მთელ ამიერკავკასიაში. სომხები დადი სომხეთის სამეფოს აღდგენაზე ოცნებობდნენ... ხსენებული არქიეპისკოპოსის თანამედროვე პ. გ. ბუტკოვი ადასტურებს იოსების გადამეტებულ პატივმოყვარეობას.

სომხური ეკლესიის პოლიტიკურობის კლასიკურ ნიმუშს წარმოგვიდგენს სომებთა დიდი აპოლოგეტის ეზოვის ბროშურა „ეჩმიაძინის საპატრიარქოს რუსეთის ხელისუფლებასთან ურთიერთობის დასაწყისი“.

საქართველოს შემოერთებისთანავე სომხური სამდვდელოება მუდმივად ცდილობდა, დაემტკიცებინა, რომ სომხები აქ რაღაც განსაკუთრებულ როლს თამაშობენ და, რომ, ლამის ყველაფერი მათზეა დამოკიდებული. იმდენად, რამდენადაც საქმეში ჩახედულმა რუსულმა სამღვდელოებამ კარგად იცოდა სომხური მონოფიზიტიში და ისიც, რომ ქართველები რუსეთს „ერთმორწმუნობის“ უგიდით შეუერთდნენ, არქიეპისკოპოსმა იოსებმა სომხურ-გრიგორიანულ სარწმუნოებასთან დაკავშირებით კეთილშობილური ინფორმაციის გავრცელებაზე იზრუნა. „1799 წელს ს/პეტერგბურგში რუსეთში დამკვიდრებული სომები ხალხის არქიეპისკოპოს იოსების წიგნი სომხური ეკლესიის ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებლობა“ გამოვიდა.

მე-14 გვერდზე იგი ქრისტეს თაობაზე წერს: „ერთი სახე, ერთი იერი, შენივთებულია ერთ ბუნებრიობასთან“; 50-ე გვერდზე იოსები განმარტავს, რომ „ბუნებრიობაში“ იგულისხმება „სახე“. მაშინ რა საჭირო იყო ორი ერთმნიშვნელოვანი მცნების მოყვანა? გასავებია, რომ იგი ეცადა სომხების მონოფიზიტობის მიჩქმალვას. მან, ასევე, მიჩქმალა კათოლიკოს იოანე მეოთხეს სახელიც, რომელიც სომხურ ეკლესიას წმინდანად ჰყავს შერაცხული, რომელმაც არაბი მუსულმანების საამებლად ქალკედონიის ეკლესია ანათემას გადასცა და შემდეგი გადაწყვეტილება გამოაქვეყნა: „ანათემა მას, ვინც იტყვის, რომ ქრისტე ადამიანი იყო თავისი ბუნებით, რომ იგი იყო ხორცშესხმული და გადაიტანა ხორციელი წამება, ეზიარა სიკვდილს ადამიანის მსგავსად, ანათემა მას! ვინც არ აღიარებს ქრისტეს ერთსახოვან უკვდავ ბუნებრიობად, ანათემა მას!“

ხედავდნენ რა, რომ ყოველივე ეს მართლმადიდებელთა თვალში სომხურ ეკლესიას შეურაცხყოფს, მე-13 საუკუნის სომხები ისტორიკოსი კირაკოსი, მოგვიანებით კი ხსენებული იოსები და კათოლიკოსი ნერსესი სომხური მონოფიზიტობის მიჩქმალვას ცდილობდნენ.

ამ მაქინაციებს ნათელს პფენენ ციმბირის სასულიერო აკადემიის პროფესორი ტროიცკი 1877 წელს გამოცემულ „სომხური ეკლესიის რწმენის შინაარსში“ და ანისკინ „სომხური ეკლესიის ისტორიაში“ (გამოიცა 1900 წელს კიშინოვში).

ტყუილად კი არ წუხდა არქიეპისკოპოსი იოსები, რადგან იმ პერიოდის რუსულ ბიუროკრატიას სრულიადაც არ ანალვლებდა მართლმადიდებლური პრინციპები. სომხური საქმე რუსულ საზღვრებში მაშინ გიგანტური ტემპებით ვითარდებოდა და ახალი სიმაღლებისაკენ განუხრებდა მიიწვედა. თურქმენჩათის ტრაქტატით ეჩმიაძინი რუსეთის შემადგენლობაში შევიდა, კათოლიკოსი კი მთელი მსოფლიოს სომხთა პატრიარქად დარჩა. ქართული მართლმადიდებლური ავტოკეფალია ჩვენ დროულად გავაუქმეთ, მიწები ჩამოვართვით და ხაზინას გადავეცით, რის გამოც რუსეთის სახელმწიფოში შეიქმნა თეოკრატიული სახელმწიფო სახელმწიფოში, რომელიც მიუწვდომელი იყო კონტროლისათვის და პოლიტიკური სამწეოს თვალში ვეებერთელა ავტორიტეტი გააჩნდა. პასკევიჩის დროს სპარსეთში სომხების გადმოსაყვანად პოლკოვნიკი ლაზარე-

ვი გაიგზავნა, რომელსაც თან, დაახლოებით, 40000 სული ჩამოჰყვა. ეჩმიაძინის პატრიარქიც მონაწილეობდა ამ კომბინაციაში: სპარსეთიდან სომები მღვდლები ბრძანებით გამოიხმო, რომელთაც თავიანთი სამწეოები გამოჰყვნენ. ანდრიანოპოლისის ზავის შედეგად ჩვენ მივიღეთ 100000 თურქეთის სომები, მხოლოდ ერზრუმის არქიეპისკოპოსმა კარაპეტმა 70000 სომები გამოიყვანა. ამის შემდეგ მუსულმანური სამყაროდან სომხების გაღმოსახლებამ მასობრივი, სისტემატური სახე მიიღო – ხალხის ნაკადი ზოგჯერ მცირდებოდა, ხშირად კი დიდ მდინარედ მოედინებოდა. მიგრაციის ამგვარი მასშტაბების შედეგების გათვალისწინებით, სასურველია, გავიხსენოთ ძველი მაღლოროსიული ანდაზა: „საკუთარი ფულით უძედურება იყიდა“.

რა თქმა უნდა, როგორც იოსებ არღუთინსკი, ასევე 1843 წლიდან 1857 წლამდე ეჩმიაძინის კათოლიკოსის ტახტის მფლობელი ნერსესი სომხური იღების კოლონიები იყვნენ. თბილისა და კიშინოვში არქიეპისკოპოსად ნერსესის მოღვაწეობამ სომხეთს, მართლაც, დიდი საქმე გაუკეთა.

უზენაესი ნებით გამოცემულ წიგნში „კავკასიისმიღმა მდებარე რუსული სამფლობელოების მიმოხილვა“ (1836 წლის გამოცემა) 197-199 გვერდებზე ნათელად, რომ – „სომხები, მოსეს ხალხის მსგავსად, მთელი დღისაწის ზურგზე გაიფანტნენ, რათა დაეგროვებინათ სიმდიდრე, რომლის გამოყენების ბედნიერებას ისინი საკუთარი მმართველების უდელქვეშ, საკუთარ მიწაზე ვერ ეღირსებოდნენ“. სწორედ ეს გახლავთ სომხური ხასიათის წარხოცვის მიზეზი და იგი კოსმოპოლიტად იქცა. მის სამშობლოდ იქცა ის ქვეყნა, სადაც იგი ყოველგვარი საფრთხის გარეშე არსებობდა და საკუთარი მოხერხებისა და ეშმაკური გონების წყალობით ქონებას იხვეჭდა... ეშმაკობა, ცბიერება, გაუნათლებელი, მით უმეტეს მოვაჭრე სომხების, ძირითადი ნიშან-თვისება გახლავთ: მათთვის ყიდვა-გაყიდვისას სიცრუის ნებისმიერი ფორმა მისაღებია, ოღონდ კანონის ფარგლებში. მათ თბილისი და მთელი ამიერკავკასია სწორედ გაჭრობით დაიპყრეს... ერთი სიტყვით, ყველგან, სადაც კი შეიძლება მოგების მიღება, მხოლოდ სომხებს ნახავ. ანგარება – აი, რა გახლავთ ამ ხალხის მამოძრავებელი ძალა და ზრუნვის უპირველესი საგანი.

როგორც უკვე აღვნიშნე, ერთ-ერთი უძველესი მართლმადიდებლური სიწმინდის განმაქიქებელი სტატია ცენზურამ დაუბრკოლებლივ გატარა, მე კი არ მომცა საშუალება, ამგარ ბინძურ გამოხდომაზე პასუხი გამეცა. ამ და სხვა წერილების აკრძალვის მიზეზად რასობრივი უთანხმოების საშიშროება მოიყვანეს, თუმცა მასში **სომხებზე** არაფერი იყო თქმული. მაგრამ **რასობრივმა თანხმობამ** სრულიად არ შეუშალა ხელი ცენზურას, რომ ტფილისის „ცნობის ფურცელში“ მუჰამედიანობაზე პასევილის გამოქვეყნებისათვის მწვანე შუქი აენთო. ეს არ იყო გასართობად დაწერილი სტატია, მას მასობრივი აურზაური უნდა გამოეწვია. „ცნობის ფურცლის“ გამოსვლის დღეს, სომხები წვრილფეხობა, როგორიც საეჭვოდ სწრაფად იყო გაცნობილი აქ გამოქვეყნებულ წერილს, ადგილობრივი მუსულმანების გასაღიზიანებლად გაზეთს გამომწვევად აფრიალებდა. ამ უკანასკნელთა აღმფოთებას საზღვარი არ ჰქონდა, ვიღაცეუბმა კი ხანჯალზე გაივლეს ხელი. მუსულმანთა სულიერმა წინამდოლებმა განაცხადდეს, რომ პასუხს არ აგებდნენ მათი სამწყსოს საქციელზე. მხოლოდ ამ უკანასკნელმა გარემოებამ მომცა წერილის ავტორისადმი საკადრისი პასუხის გაცემის საშუალება, როგორიც, როგორც შემდეგ გაირკვა, სომხების მიერ მოსყიდული სხვა ეროვნების წარმომადგენელი აღმოჩნდა.

საერთოდ, ამ კატეგორიის „მწერლების“ განათლების დონეზე ერთი ნიშანდობლივი ფაქტი მეტყველებს: შობის წინა დღეებში მასწავლებლთა ჯგუფმა გადაწყვიტა ხელმოკლე ოჯახის შვილებისათვის ნაძვის ხის ზეიმი მოეწყო. ერთ-ერთმა სომხებმა სოვდა-გარმა შემოწირულობის გაღებაზე უარი განაცხადა, მისმა მხარდამჭერმა ერთ-ერთმა „მწერალმა“ ასეთი შინაარსის წერილი გამოაქვეყნა: „დარიბებისთვის ნაძვის ხის ზეიმი კეთილი ქრისტიანული განზრახვითა ნაკარნახები, მაგრამ ეს ხომ ფულის უაზრო ფანტვაა. ამას ჯობდა, რომ ნაძვის ხე გაგვეყიდა და ფული დარიბებისთვის დაგვერიგებინა. ქრისტეც ხომ ამას ქადაგებდა“.

სომხეური გაზეთის ამ ფელეტონისტმა ქრისტეს მიაწერა იუდას სიტყვები. ამის შემდეგ გაჩნდა თბილისში გამოთქმა – „იუდას მორალი“.

სომხეურ პრესაში საერთოდ გაუგებარი რამ ხდებოდა. მაგალითად, გაზეთში „არძაგანქი“ სისტემატურად იხეჭდებოდა რუსების

სალანძავი წერილები, რომლის თაობაზეც მე ცალკეული წერილები მომეწოდებოდა. თბილისში წესიერი თარჯიმნის გამონახვა ოქროს ფასადაც კი შეუძლებელი იყო. ბოლოს და ბოლოს, მე ასეთი პიროვნება გამოვძებნე – ისიც შემთხვევით და ისიც არასომეხი ეროვნების. მან მომიტანა მისი უწმინდესობის, კათოლიკოს მიკირტიჩ პირველის ფრიად საეჭვო ქადაგება და სომხური „პატრიოტიზმის“ არათავმდაბლური ნიმუშები. როგორც კი მე ეს მასალები გამოვაქვეყნე, სომხური პრესა და რუსული ცენზურაც წამსვე აიზღარბა. მე მოღალატება დამწამეს. ცენზურა კი, თითქოსდა, ჩემ მიერ დაშვებულ უზუსტობებს თითზე იხვევდა და გაზეთ „არძაგანქს“ ღიად იცავდა.

თითქოს უცნაურია, მაგრამ რასაც ახლა მოგახსენებთ, სრული სიმართლე გახლავთ – მსხვილი თანამდებობის პირს, ავად თუ კარგად, ძალუბს რუსული ინტერესების სომეხთა თავდასხმებისაგან დაცგა. შედარებით დაბალი დონის ჩინოვნიგისთვის კი უსაფრთხო არ გახლავთ არათუ სომხური ინტრიგების წინააღმდეგ აქტიური მოქმედება, არამედ სომხები ბობოლების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებისადმი პრინციპული დამოკიდებულებაც კი. თუ გავლენიანი პატრონი არ ჰყავს – მას აუცილებლად გასვრიან, პირად საქმეს გაუფუჭებენ, სამსახურს დაატოვებინებენ. მის ცოლსა და შვილებზე ზემოქმედებას მოახდენდნენ, შეისყიდიან მის ვექსილებს, თუ კი ამგვარი მას გააჩნია, უარს განუცხადებენ კრედიტზე, თუ მას ეს სჭირდება.

არაფერს ვამბობ პირდაპირ ბოროტმოქმედებაზე. დატაცებულია ათიათასობით დესეტინა სახელმწიფო მიწები, მიქემალულია ასობით აღმაშფოთებელი დანაშაული, რამაც მოელი მხარე ააღაპარაკა. კონტრაბანდისტებმა, ხაზინის ქურდებმა, ყალბისქმნელებმა და სხვა ჯურის დამნაშავეებმა მიღიონები დააგროვეს და მაღალი საზოგადოებისაკენ გზა ბინძური მეთოდებით გაიკაფეს – უმეცრები და გარეუნილები სასწავლო დაწესებულებების მფარველებად იქცნენ, ქურდები და ეჭვმიტანილები სომხურ ეკლესიებში მოკალათდნენ, ზოგი ბანკს შემოუსკუპდა, ზოგი – საქველმოქმედო საზოგადოებას.

ტფილისის საქალაქო მეურნეობის საშინელ მდგომარეობაზე ზედმეტი საუბარი ხომ საჭირო არ არის. მიუხედავად იმისა, რომ სომხები ქალაქის მოსახლეობის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს,

ქალაქის დუმა (მერია) მთლიანად მათ ხელშია — ქართველები, რუსები, მუსულმანები შენობაშიც კი ვერ შედიან; ვერსად ნახავთ ნორმალურ ქაფენილს, კარგ განათებას, კეთილმოწყობილ წყალსადენს.

ნიშანდობლივია ერთი აღმაშფოთებელი ფაქტიც — თბილისის გუბერნიის ექიმმა, უალრესად წესიერმა და შეუპოვარმა პიროვნებამ, ბ-მა ქიქოძემ ქალაქის საქონლის სასაკლაოს ექიმი ისპანდერიანი ამხილა, რომელიც, ნაცვლად იმისა, რომ დიდი რაოდენობის ტრიქინოზით დაავადებული დაკლული ღორის ხორცი ცეცხლში გაენედგურებინა, მას მოსახლეობაზე ჰყიდდა. როგორ არ ემუქრებოდნენ ქიქოძეს, მაგრამ მან ეს ამაზრზენი დანაშაული მაინც გაახმაურა, რის შემდეგაც ისპანდერიანმა თავი მოიკლა. ქალაქის დუმაში მოკალათებული სომხები ამ ამბის გამო შეწუხდნენ და აფორიაქებულები საკითხის განხილვის გადადებას ცდილობდნენ. ამასობაში კი კახეთის ტყეებში რამდენიმე ტყის მჭრელმა ტანჯვა-წამებით დალია სული, მათი სიკვდილის მიზეზიც ტრიქინოზი იყო. ქალაქის დუმამ აღნიშნული საკითხი ერთი წლის დაგვიანებით განიხილა, მაგრამ იმ მოტივით, რომ მთავარი დამნაშავე ცოცხალი აღარ იყო, საქმე მალე მიივიწყეს.

სომხური საკითხის სირთულეს განაპირობებს ის, რომ პარაზიტიზმი და პოლიტიკანობა მჭიდროდ არის ურთიერთშერწყმული და ერთმანეთთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან... ეს განსაკუთრებით თბილისის მმართველობის არჩევნებისას იჩენს ხოლმე თავს. ქართველები და რუსები, როგორც წესი, მათ წინააღმდეგ მოწყობილი ინტრიგების მიზეზით, ამ არჩევნებში მონაწილეობის მიღებას ვერ ახერხებენ.

ოოლი წარმოსადგენია, თუ როგორი ცინიზმით ეპყრობიან სომეხი პოლიტიკანები სხვა ერების წარმომადგენლებს. რამდენიმე წლის წინ კახეთის ქალაქ სიღნაღმი მართლმადიდებლები დღესასწაულობდნენ. მართლმადიდებლობა რომ დაემცირებინათ, სომხებმა დამკვრელების დასტა დაიქირავს და ზურნის ჭყვიტინში ხალხმა ქადაგების მოსმენა ვერ შეძლო. პოლიციას თავხედებისათვის ხელი არ შეუშლია, რადგან მაზრის პოლიციის უფროსიც სომეხი იყო. სკანდალისტები შეძლებ უმნიშვნელო ფულადი თანხოთ დააჯარიმეს, მაგრამ არა შემკვეთები, არამედ საწყალი დაქირავებული მუსიკოსები.

ქართველები და ყარაბაღელი მუსულმანები ზოგჯერ არც მთ-

ლად გულმოწყალე ღიმილით ამბობენ: „საკმარისია, რუსეთის მთავრობამ კავკასიიდან ჯარი გაიყვანოს და სომხებისგან არაფერი დარჩება“. უკვე ოცდათი წელია, რაც ეს ფრაზა ჰქომარიტებისაგან შორს დადგა, რადგან ამ ხნის მანძილზე სომხებმა არამხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური საკვანძო აღგილების ხელში ჩაგდება მოახერხეს, არამედ მათ ახლა საკუთარი „ჯარიც“ კი გააჩნიათ — თურქეთიდან ჩამოსახლებული ბრბო, რამაც უკანასკნელი პერიოდის თბილისის ეთნოგრაფიული რუკა მნიშვნელოვნად შეცვალა. ახლა თბილისში მნელია შეხვდე რაჭიდან ჩამოსულ მუშას, რომელიც შავი მუშის სიმპათიურ ტიპად იყო აღიარებული; ახლა გვხვდებან არაჩეულებრივი ყაჩაღური სიფათები თურქული ფესკებით, ტურბანებითა და ჩალმისებრი თავსაბურავებით. ქართველი და რუსი მშრომელების შევიწროვება ქალაქის თვითმმართველობისა და პლუტოკრატიის უშაულო მხარდაჭერით კვლავაც გრძელდება.

გაზეთი „ივერია“ 1897 წელს იუწყებოდა, რომ ქალაქ თბილისისა და სხვა ქალაქების შავი მუშების რიცხოვნება სოფლებიდან მიგრირებული მცირემიწიანი და ხელმოკლე გლეხების ხარჯზე ივსებოდა, ახლა კი მათ ერევნის გუბერნიიდან გადმოსული და თურქეთიდან ლტოლვილი სომხები სდევნიან და ავიწროებენ. უკვე გამოქვეყნებულია ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თბილისში საშუალოდ ყოველდღიურად შავ სამუშაოზე 300-400 ადამიანია დაკავებული, რომელთა 93% სომხები შედგენენ. მათი ხელაფები მუშათა შეთქმულების ხარჯზე მნიშვნელოვნად გაიზარდა. სომხები, ძირითადად, დამგველები და ქართველები არიან, ავჭალის წყალსადენის ყარაულებიც, რომელთა რიცხვი 200 კაცს შეადგენს, ისინი ყველანი სომხები არიან. რამდენიმე წლის წინ ამ აღგილებზე ჩინებული ფხიზელი მუშაკები იყვნენ დასაქმებული — რაჭველები და აისორები (ასირიელები), რომლებსაც ახლა ზარმაცი, ცულლუტი და უზრდელი ადამიანები ენაცვლებიან თურქეთიდან. ისინი კი შედარებით მაღალ ანაზღაურებას იღებენ. ამ სავალალო, არანორმალური პირობების ნაღვლიანი შედეგის შესახებ 1897 წელს გაზეთმა „ცნობის ფურცელმა“ წერილი გამოაქვეყნა, რომელიც ბაზრის მუშის ტრაგედიას მიეძღვნა.

12 დეკემბერს თანეთის საფოსტო ტრაქტზე, სოფელ საბადურის მახლობლად, მეტლებ ნახევრად შიშველი, ქანცგაცლილი

მგზავრი შეამჩნია, რომელიც სოფელ საყდრიანის მკვიდრი სიმონ სისაური აღმოჩნდა. უბედური ადამიანი სოფელ საბადურაში მიიყვანეს, მაგრამ იგი გადატანილი შიმშილისა და სისუსტისაგან გარდაიცვალა. როგორც შემდეგ გაირკვა, გამრჯვე გლეხი დიდ გასაჭირს განიცდიდა და საშოვრისთვის თბილისში წასვლა გადაწყვიტა. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ექვებდა სამუშაოს, მაგრამ ვერაფერს გახდა. იგი ზამთრის ცივ ლამეუბს ლია ცის ქვეშ ათენებდა, შიმშილობდა, უკანასკნელი გროშებიც რომ შემოქარჯა, სოფელში დაბრუნება გადაწყვიტა, სადაც მისვლა მას აღარ დასცალდა.

ამგვარი დახასიათება, კოსმოპოლიტიზმზე მინიშნების გარდა, დღესაც ძალაში რჩება. XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან ბევრმა წყალმა ჩაიარა და სომეხთა ტომობრივი განცალკევების პროცესი, საერო და სასულიერო პატრიოტთა ხელშეწყობით, სწრაფად გამდიდრების და სიმდიდრის დაუბრკოლებლად გამოყენების წყალობით, დიდი სისწრაფით განვითარდა. ამას ხელს უწყობდა არა-შორისმჭვრეტელობა რუსეთის მთელი რიგი მმართველებისა, რომელთაც სომეხთა თავკაცები სხავდასხვა არგუმენტების (მათ შორის, მატერიალური) მოშველიებით არწმუნებდნენ რუსეთისადმი თავიანთ ერთგულებაში. ეს უკანასკნელი, თითქოსდა, მართლაც მტკიცდებოდა თითქმის ყოველ ოშეი, რომლებშიც სომხები თურქებისა და სპარსელების წინააღმდეგ მონაწილეობდნენ, როგორც ჯაშუშები. მტკიცებულება არც თუ საიმედოა, რადგან თვით ჯაშუშის ხელობაში უკვე დევს უნდობლობის ფაქტორი.

თვით მრეწველობის სფეროშიც კი სომეხთა სულიერი სიმხდალის თაობაზე ფრიად ნიშანდობლივია „ობოზრენიეს“ ავტორის დასკვნა. თავადი ვორონცოვი ლამის ძალით აძლევდა მათ მოგებიან საწარმოებს, რომელთაც მათვის შემდეგ ზღაპრული მოგება მოჰქმნდა. მათი გამდიდრების ძირითად მამოძრავებელ ძალას პარაზიტიზმი და არა შემოქმედებითობა წარმოადგენს. გერმანულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ამას ცონჯუცტურგეწინ (კონიუქტურა – მთარგმნ.), ე.ი. სარფი ეწოდება, რომელიც პირობათა განსაკუთრებული, შემთხვევითი თუ ხელოვნური, გადაჯაჭვით მიიღება. XIX საუკუნის პირველი ნახევრის ძირითადი დრო სომხურმა ბურუჟიამ ეკონომიკის დიდ ქვაბზე ქაფის მოხდას და უცხოტომელების ხელისუფალთა მოსყიდვას მოახმარა.

იმისთვის, რასაც „ობოზრენიეს“ ავტორი სომეხთა დამახასიათებელი ნიშანთვისებების არქონას უწოდებს, უპრიანი იქნებოდა გარეგანი ასიმილირების, სხვა ურის გგარსახელების მიკუთვნების, ტანსაცმლის ტარების და წეს-ჩვეულებათა მითვისების უნარი გვეწოდებინა. საქართველოში სომხებმა მიითვისეს გვარები „შვილის“ დაბოლოებით, მუსულმანურ პროვინციებში გაჩნდნენ იუსუფ-ბეგები, ყარა-ბეგები, იბრაჰიმ-ხანები და სხვა გვარებს ამოფარებული სომხები. რუსეთში აგრეთვე გაჩნდნენ არა მხოლოდ სომხური ძირისა და რუსული დაბოლოების მქონე გვარის მატარებელი სომხები, არამედ მათი ჯიშის კრასილნიკოვები, საპოზნიკოვები, ლისიცინები, სერგეევები, პოპოვები. ასტრახანში კი „წითელ ქამრად“ წოდებულმა პირწაგარდნილმა სომეხმა მევახშემ „ძალზე“ რუსული გვარი მიითვისა. მისი მემკვიდრეები თავადაზნაურობაშიც გაძვრნენ, სადაც მათ ნამდვილად არ მოელოდნენ.

როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს ასიმილაცია უალრესად ზედაპირული და ფრიად დროული იყო. სომხობას ზურგს უკან განცალკევებულობის ქვა ეჭირა, რომელიც თანდათან დიდდებოდა და განსაკუთრებით თავბრუდამხვევი და თვალში საცემი XIX საუკუნის მეორე ნახევარში გახდა.

განცალკევებულობის იდეას სომხებს ინგლისელები კარნახობდნენ, რომლებიც ჩვენი კავკასიური ომის დაწყების დღიდან ცდილობდნენ, რუსეთის წინააღმდეგ აემზედრებინათ ადგილობრივი მოსახლეობა, XIX საუკუნის 30-იან და 60-იან წლებში – პოლონელები, მოგვიანებით გერმანულები და თვით საზღვარგარეთის ქვეყნებიდან ჩამოსული სომხები. ამგვარ სომხებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია ორი განსაკუთრებით „შხამიანი“ ოჯახი. პირველი გამოიჩინა კლერიკალურ-სეპარატისტული მიმართულებით, მეორემ კი სეპარატიზმი ზოგჯერ რადიკალური ნიშნით გამორჩეულ ბურჟუაზიულ-ლიბერალურ საფუძველზე შეაყენა...

ჯერ კიდევ პოვოდინი, რომელმაც კავკასია თავად ბარიატინ-სკის დროს მოინახულა, აღნიშნავდა საარსებო სიძვირეს, რაც, უეჭველია, ხელოვნურად იყო გამოწვეული.

ასევე დიდი სამსახური გაუწია სომეხთა ეკონომიკური აღმავლობისა და ტომობრივი განცალკევებულობის საქმეს მეფისნაცვლის ინსტიტუტმა. დღეისათვის კავკასიაში ეს გახლავთ მმართ-

კელობის დრომოჭმული ფორმა, რომელსაც თავის დროზე ეჯექტური მხარეები, ასევე, საკმაო სიბნელეც აშკარად გააჩნდა. მაგალითად, თავადმა კორონცოვმა მიზნად დაისახა კავკასიის მოსახლეობის „ევროპეიზაცია“ და მიზნის მისაღწევად ნერგავდა მოხმარების ზრდას, ფუფუნებისაკენ ლტოლვას, ხმაურიან საზოგადოებრიობას. ეკონომიკურად მოუმზადებელი ელემენტები კოტრდებოდნენ, მტაცებლური, ე.ი. სომხური ბურჟუაზია კი ძლიერ მდიდრდებოდა იმ სახელის მაძიებელი დიდგვაროვნების ხარჯზე, ახალახალი სატყუარების გამო ცეცხლში რომ მიძრებოდნენ. პირველივე მეფისნაცვლის დროს შეიქმნა რაღაც სამეფო კარისმაგვარი და, მოუხედავად იმისა, რომ ამ კარის წევრები, ძირთადად დიდგვაროვანთა წარმომადგენლები იყვნენ, მათი ფინანსური დამოკიდებულება სომეხი მდიდრებისადმი ამ უკანასკნელთა დიდ ფაქტობრივ გავლენას ხშირად სწორედ მეფისნაცვალთა ხელდასხმით განსაზღვრავდა...

ამიერკავკასიის რეინიგზა სომხური ბურჟუაზიის ხელში იქცა ქვეყნის მთელი მოსახლეობის მტაცებლური ექსპლუატაციის იარაღად, ისევე, როგორც ბანკები და სხვა მრავალი.

ყოველივე ამან კი ოცნება გაუდვივა ერს, რომელმაც ოფლისმდღვრელი შრომის გარეშე დააგროვა დიდაბალი ქონება, რომლისთვისაც ბოლო ათწლეულის განმავლობაში ნებადართულია ყველაფერი, რასაც კი მოისურვებენ. როცა მის ხელშია ადგილობრივი თუ დედაქალაქის გაზეთი – უცნაურიც კი იქნება, რომ არ იოცნებო!

დაპყობილ ოლქებში მცხოვრები მუსულმანები საკმაოდ მწარეობონით კითხულობენ – „სად არიან რუსები, რისთვის დაგვიპყრეს ჩვენ? ყოველ შემთხვევაში არა ჩვენთვის. ჩვენ ვიხილეთ მამაცი ძლიერი რუსი ჯარისკაცი, ახლა კი ვხედავთ დაჩაჩანაკებულ ანგარებიან რუსს, ხშირ შემთხვევაში კი არარუს ჩინოვნიკებს. არც თქვენი ვაჭრები, არც თქვენი მიწათმოქმედები აქ არ ჩანან. მხოლოდ სომხები არიან, ჩვენი გუშინდელი მონები. ვერაფერს ვიტყვით! ღირდა კი ბრძოლა საიმისოდ, რომ გაგვებატონებინა ასეთი ადამიანები?“

ამიერკავკასიელი სომხებისთვის ორმა ფაქტმა იქნია გადამწყვეტი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა და გაარღვია ის ჯებირი, რაც აკავებდა მათ შემტევ სვლას. ეს გახლდათ

XIX საუკუნის სამოციანი წლების რეფორმის (იგულისხმება ბატონიყმობის გადავარდნა – მთარგმნელი) ხარვეზები და ბაქოს ნავთობმრეწველობის განვითარება.

პირველმა ფაქტმა გამოიწვია თავადაზნაურობის გაკოტრება და მისი ავტორიტეტის დაცემა, ამიერკავკასიაში რუსული წყობისადმი მტრულად განწყობილი რუსების დიდი ნაკადის შემოსვლა, რომლებიც გამსჭვალული იყვნენ ახალი იდეებით – ბურჟუაზიული ლიბერალიზმიდან, ანარქიის ჩათვლით. ასეთ ხალხს არც რუსული საქმის კეთების უნარი გააჩნდა და არც იმის სურვილი, რომ წინ აღსდგომოდა უცხოტომელთა განცალკევებულობას. სამართლებრივი წესრიგი, სადაც მოსახლეობის ყველა ფენასა და კატეგორიაში ძლიერ არის განვითარებული მოქალაქეობრიობა და თვითშემოქმედების უნარი, აბსოლუტურ უაზრობად იქცა ამიერკავკასიაში, სადაც ყველაფერი სომეხთა ხელში აღმოჩნდა, რადგან მხოლოდ მათ, ერთადერთს მთელ ამიერკავკასიაში, გააჩნდათ ბურჟუაზიულ-სამართლებრივ წყობაში გამარჯვების უნარი. გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ ეს თვისება მათ სიმახინჯემდე აქვთ განვითარებული. არალეგალური ცხოვრების წესმა მათ შესძინა იმის უნარი, რომ წინასწარი მოლაპარაკების გარეშე შეიკრან ერთ მუშტად, გაერთიანდნენ წრეებში, იყვნენ დისციპლინირებულები, ყველა სხვა დანარჩენი ობივატელის წინააღმდეგ გაფიცვები და მცირე ეკონომიკური შეთქმულებები მოაწყონ. ამ თვისებებით ისინი აჭარბებენ ებრაელებსაც კი, რომელთაც შემოქმედებითი ფანტაზია სომხებზე მეტად აქვთ განვითარებული.

ამ მხარეში თავიდან ნავთობმრეწველობის პიონერები რუსები იყვნენ, მაგრამ აქაურობა მაღვე დატოვეს, რადგან მათ არ შეეძლოთ სომხური მეთოდებით გამდიდრება და სომხების მეთოდებით კონკურენტებთან ბრძოლა დამნაშავეთა დახმარებით, გაფიცვებით და სხვა ბინძური ინტრიგებით. ათეულ მილიონობით სახსრების შოვნა თვალის დახამსხამებაში შეიძლებოდა. გუშინდელი ჰამბალები, მზიდავები, მტვირთავები, წვრილი მოხელეები ან, სულაც, კონტრაბანდისტები, „საკუთარი ხალხისაგან“ მიღებული ხაზინდან ნაქურდალი მიწის მცირე ნაკვეთის წყალობით რამდენიმე თვეში ათეულობით იმ ჩინოვნიკის მოსყიდვას ახერხებდნენ, რომელთაც სიღარიბე და სიხარბე გონებას ურევდა, მათ არ

გააჩნდათ მატერიალური მხარდაჭერა და ზეობრივი სიმტკიცე; დაიწყო უთავბოლო ბაკქანალია, რომელიც მზარდი ძალით დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს.

იქაური რუსი ეროვნების მოშსახურება დიდი ხანია დამოკიდებულია სომებს მდიდრებზე. არ არსებობს არც ერთი დაწესებულება, რომლის გეგმები უცნობია სომხებისთვის. დიდგვაროვნები დაკაბალებულები არიან სომხების ვექსელებით, ბანკები კი (სახელმწიფო ბანკების ჩათვლით) მთლიანად მათ ხელშია – დაწყებული წვრილი მოხელეებიდან, მმართველთა ჩათვლით დამთავრებული. მათ ხელშია გაზეთებიც.

ებრაულ გაზეთებთან ერთად, რომლებიც, თითქოს, ჩვენდამი სოლიდარობას ამჟღავნებენ, სომხურ გაზეთებს საერთო ისა აქვთ, რომ ორივენი რუსული შრიფტით იბეჭდება და ორივენი მთლიანად არიან გამსჭვალული რუსული შემოქმედებითი საწყისების მიმართ ზიზღით.

ცენზურაც კი, რომელიც მოვალეა, ობიექტური პოზიცია ეკავოს, სომხებს აშკარად ელოლიავება...

აუცილებელია, აღვნიშნოთ, რომ უკანასკნელი ოცდაათი წლის განმავლობაში გერმანია სისტემატიურად მუშაობს ამიერკავკასიაში სომხური სეპარატიზმის გასაღვივებლად; უამრავი სომხური წრე სწორედ გერმანიაშია თავმოყრილი. ტფილის, ბერლინ-სა და მიუნცენს შორის ჩვენი ბალტიისპირელი პანგერმანისტები ხელს უწყობენ გაცხოველებულ მოძრაობას, რაშიც აქტიურად მონაწილეობენ ფინელი დემაგოგებიც. გერმანიის გენერალური შტაბის ოფიციები, არქეოლოგების ნადირობის მოყვარულთა და ტურისტების ეგიდით, მნიშვნელოვანი ჯგუფებით ჩამოდიან ამიერკავკასიაში. ნიშანდობლივია ისიც, რომ გერმანული უნივერსიტეტების კურსდამთავრებული ინტელიგენტი სომხები მუდმივად მტრობენ რუსეთს და თვლიან, რომ კავკასიაში დასაქმებული გერმანელი მოსამსახურები განსაკუთრებით მფარველობენ სომხებს.

ზემოთ აღნიშნულის გამო ბერლინის ტრაქტატის შემდეგ სომხები ავტონომიის მიღების პოლიტიკურ ოცნებაში ჩაიძირნენ, მაგრამ არა პარაზიტული, არამედ რამდენიმე მყარი ავტონომიისათვის აუცილებელია ბევრად თუ ნაკლებად ერთიანი ტერიტორია. როგორც 1897 წელს გამოქვეყნებული საფრანგეთის საგარ-

ეო საქმეთა სამინისტროს დოკუმენტიდან ირკვევა, თურქეთში ამ ავტონომიის შექმნის საფუძველი არ ყოფილა და არც იქნება. მე-2 გვერდზე აღნიშნულია: „სხვადასხვა ტომთა განთავსების ღრმა ანალიზით დადგენილია, რომ თურქეთის არცერთ ვიღლაიეთში სომხები არ წარმოადგენენ მოსახლეობის უმრავლესობას. ამასვე ადასტურებენ კავკასიაში მოძიებული სტატისტიკური მასალების საფუძველზე გენერალური შტაბის ოფიცრები გენერალი ზელენი და პოლკოვნიკი კარცევი“. მითითებული დოკუმენტის მე-12 გვერდზე თურქეთის სულთნის კარზე საფრანგეთის ელჩის, ბატონ კამბონის წერილში მინისტრ განოტოსადმი ნათქვამია, რომ დამოუკიდებელ სომხეთზე საუბარიც კი ზედმეტია და, თუ დაუჯერებელი პირობებითაც კი ევროპა შემოგვთავაზებს სომხეთის შექმნას, პრაქტიკულად, შეუძლებელია ამ ახალი სახელმწიფოს ფარგლების განსაზღვრა.

იგივე ბატონი კამბონი იუწყება, რომ თურქეთში მიმდინარეობს აქტიური პროპაგანდა სომხური ჯანყისათვის, რომელსაც ამზადებს ინგლისი. დიარბექირის ფრანგი ვიცე-კონსული კი 1894 წლის 5 ოქტომბრის შეტყობინებაში აღნიშნავს, რომ ამ საქმეში აქტიურადაა ჩართული ტფილისი. აი, რას წერს ვიცე-კონსული ბატონი მერიე თავის უფროსს: „ამბობენ, რომ მოძრაობა დიდი წნის წინ მოამზადა საზოგადოებამ „პნჩაკი“, რომლის მმართველობა ამჟამად ტფილისში იმყოფება, ადრე კი ლონდონში და აინახში (იგულისხმება მიუნხენი – მთარგმნელი). ინსტრუქციები კი, თითქოს, ამ საზოგადოების ბრძანებებს ემორჩილებიან“.

შეიძლება ნათქვამს დავუმატოთ, რომ სომებს რევოლუციონერთა მეორე ჯგუფი, სახელწოდებით „დროშაქი“, ე.ი. „დროშა“ გაერთიანებულია იმავე სახელწოდების გაზეთის ირგვლივ, რომელიც დღესაც არსებობს. იგი ქვეყნის მიღმა გამოიცემა, მაგრამ „დროშაქისტები“ კავკასიაში საკმაოდ მრავლად არიან.

საფრანგეთის ელჩის რიგ შეტყობინებებში, რომლებიც გამსჭვალულია სომხებისადმი სიმპათიით, ბატონი კამბონი მიუთითებს სისასტიკით გამორჩეულ პოლიტიკურ მკვლელობებზე, რომლებიც სომხური რევოლუციური კომიტეტის წევრებმა და მათმა დაქირავებულებმა ჩაიდინეს. მე გადავამოწმე ფაქტები და დავრწმუნდი, რომ სომებთა მეტი არ თანაუგრძნობს რევოლუციას და

მხოლოდ თურქეთის სომებთა მცირე ნაწილი თანხმდება მასში მონაწილეობაზე, ისიც – თავიანთი თავკაცების შიშით. თურქეთიდან ლტოლვილი ბევრი სომები აღიარებდა, რომ ისინი რუსეთში გამოიქცნენ არა თურქების, არამედ თავიანთი ტერორისტების შიშით.

მითითებულ წიგნში აღნიშნულია, რომ უამრავი არეულობა ორგანიზებული იყო თვით სომხების მიერ. ზოგჯერ ისინი თავად ესხმოდნენ თავს თურქებსა და ქურთებს, რათა გამოეწვიათ სომებთა მასობრივი ხოცვა-ულეტა. ამ არეულობათა დაწყების წინ, რომელიც განსაკუთრებული სისასტეკით გამოიჩინა კონსტანტინეპოლის „ოტომანთა ბანაკში“ დინამიტებითა და ბომბებით შევარდნილმა სომხური რევოლუციური კომიტეტის წევრებმა ოფიციალური ნოტის სახით განუცხადეს ბატონ კამბონს, რომ სომხებმა გადაწყვიტეს „მსოფლიო დემონსტრაციის“ მოწყობა და კომიტეტი პასუხისმგებლობას მოიხსნის თავიდან, თუ მათ საქმეში პოლიცია ჩაერცეა. შემდგომი მანიფესტაციისას უპირველესად სომხები ხოცვალნენ პოლიციელებს და უანდარმერის ოფიციელებაც კი. სწორედ ეს აღმოჩნდა სომებთა საშინელი ხოცვა-ულეტისათვის მთავარი ბიძგი, რომლის გახსნებამაც კი არ შეიძლება ადამიანს ურუანტელი არ მოჰვაროს (იგულისხმება თურქეთში 1902 წელს მოწყობილი სომებთა პირველი გენოციდი). მეორე გენოციდი 12 წლის შემდეგ მოწყო – მთარგმნელი). მითითებული წიგნიდან ჩანს, რომ სომებთა ხოცვა-ულეტის საბაბი თავიანთი ქმედებებით სწორედ სომებმა რევოლუციონერებმა წარმოქმნეს, რომ ინგლისის ელჩი და კონსული ყველანაირად ცდილობდნენ ამ ფაქტის გაზვიადებას, რუსეთისა და საფრანგეთის ელჩები კი დიდ პოლიტიკურ ტაქტს იჩენდენ პოლიტიკური ინტრიგების მსხვერპლთა და გამხეცებული თურქების მიმართ.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ჩვენი საგარეო საქმეთა მინისტრის, გენერალური და დაუვიწყარი თავადის ლობანოვ-როსტოვსკის დამსახურება, რომლის შორს მჭკვრეტელობისა და უდრევი ნების წყალობით რუსეთი არ აღმოჩნდა ჩართული უაზრო ომში. ეს სწორედ მან შეარყია, მაგრამ ვერ ამოძირევა რუსული დიპლომატიის უსაფუძვლო შეხედულება სომხობაზე, როგორც ჩვენს მეგობრულ და საიმედო დასაყრდენ ძალაზე სპარსეთსა და, განსაკუთრებით, თურქეთში. მას კარგად ესმოდა, რომ საჭიროა რუსეთ-

თურქეთის ურთიერთობის ახალ ფაზაში გადაყვანა. კერძოდ, ჩვენ უნდა დავიფაროთ თურქები უცხოელთა ექსპლუატაციისა და მათ საქმეში ჩარევისაგან, სამაგიეროდ კი მივაღწიოთ ქრისტიანთა ხვედრის შემსუბუქებას აღმოსავლეთში, და, რაც მთავარია, გავამყაროთ ჩვენი მდგომარეობა სრუტეებზე. განსხვავებული აზრის მქონე მხარეები ეკოპწიავებოდნენ თურქეთის სომხებს, მხარს უჭერდნენ ილიოზ-კიოსკის გაბოროტებას ჩვენს და, საერთოდ, სლავიანების მიმართ და, ამასთან ერთად, ირიბად მხარს უჭერდნენ სომხური ტომის ჰეგემონიას კავკასიაში.

კავკასიაში რუსებიცა და სომხებიც აღშფოთებას გამოთქვამდნენ ათასობით ადამიანის დაღუპვის გამო (გენოციდის დროს თურქეთში – ა.უ.), თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ძალზე აგდებულად მოიხსენიებოდა „მუსულმანური რელიგიური ფანატიზმი“. ყველაზე ნაკლებად დაზარალდნენ თურქეთში მცხოვრები ბერძნები, კათოლიკები და სომები კათოლიკებიც კი, ბევრად კი – სომები გრიგორიანელები. საფრანგეთის კონსული 1896 წლის 25 იანვარს ტრაპიზონის ვილაიეთში მოწყობილი გენოციდის თაობაზე წერდა: „ვიდრე ხალხის მასობრივ ხოცვას დაიწყებდნენ, სოფელ გიუმიუშ-ხანეში მუსულმანები შეგროვდნენ სოფლის მოედანზე. მათ სომხები გამოაცალკევეს სხვა ქრისტიანებისაგან და ეს უკანასკნელები გერლზე გაიყვანეს, რათა არ არეოდათ წინასწარ განსაზღვრულ მსხვერპლში. მხოლოდ შემდეგ დაიწყეს სომხების ხოცვა.“ გასაგებია, რომ ამ შემთხვევაში თურქი ფანატიკოსები დაუნდობლად ებრძოდნენ სომხურ-გრიგორიანულ და სომხურ-რევოლუციურ ორგანიზაციებს, რომლებიც საფრთხის ქვეშ აყენებდნენ არა მხოლოდ ვილაიეთების მოსახლეობას, არამედ მთლიანად თურქეთის სახელმწიფოებრიობასც კი. მაგრამ ყველაზე თვალშისაცემი ამ ისტორიაში გახლავთ ის ფაქტი, რომ თურქეთში მცხოვრები სომხების სიცოცხლეს საფრთხე შეუქმნეს თვით სომებმა ბობოლებმა და მათმა დამქაშმა პოლიტიკანებმა» [20].

9. „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების“.

ქართველთა გასომხების პროცესი XIX ს. ბოლოსა და XX ს. პირველ მეოთხედშიც გრძელდებოდა. ამის დასტურად მოგვავს

ცონილი ქართველი მოღვაწის, ი. ვართაგავას მონათხოვი: «1916-1917 სასწავლო წელს თბილისში კომერციული სასწავლებელი დაარსდა. ერთ წელიწადს სასწავლებელში შემოვიდა ვინმე ნორაკიძე, იმერეთიდან. დოკუმენტების გადასინჯვის დროს აღმოჩნდა, რომ მას დაბადების მოწმობაში ეწერა-გრიგორიანი არისო. ამან ად-მინისტრაცია დააინტერესა. დაიბარეს და კითხეს ნორაკიძეს – ქართველია თუ სომეხი. მან განაცხადა, რომ ქართველია. „მაშ, რად გიწერია დაბადების მოწმობაში, რომ გრიგორიანი ხარო?“, – ეკითხებოდა ისიდორე (ისიდორე კოსტავა – სასწავლებლის ერთ-ერთი ხელმძღვანელი). მოწაფემ ჯერ ვერც კი გაიგო, თუ რაში იყო საქმე, შემკრთალი ღიმილით იმეორებდა: „ქართველი ვარ, იმერელი, მე არც კი გამიგონია, რა არის გრიგორიანიო“. ყმაწვილი დედ-მამით ობოლი აღმოჩნდა. „ქართულ ეკლესიაში დადინხარ თუ სომხურშიო?“ – განაგრძობდა ისიდორე დაკითხვას. „ქართულ-შიო, ჩვენში სად არის სომხური ეკლესია?“, – უპასუხა ყმაწვილ-მა. ეს საკითხი ადმინისტრაციისთვის ბეჭედი და გაუგებარი დარჩა... ნორაკიძემ დაიწყო წასწავლა, საღვთო რჯული პირველ საგნად ითვლებოდა. ამ საგანს ნორაკიძე, სანამ კომერციულ სასწავლებელში შემოვიდოდა, რუსულად სწავლობდა დაბალ კლასებში (მართლმა-დიდებლურად). აქ კი „მამამ“ (ნაგულისხმევია სასწავლებლის ხაზინადარი სომეხი დეკანოზი – ა.უ.) მოითხოვა, რომ ნორაკიძეს საღვთო სჯული სომხურ ენაზე ესწავლა, როგორც „გრიგორი-ანს“. მოწაფემ კი ერთი სიტყვაც არ იცოდა სომხურად. მიშინ ადმინისტრაცია კომპრომისზე წავიდა: სანამ საქმის ვითარება დანამდვილებით გამოირკვეოდეს, ნორაკიძე გაეთავისუფლებინათ საღვთო რჯულის სწავლებიდან. ამაზე არავითარ შემთხვევაში არ დათანხმდა „მამა“. ის მოითხოვდა, რომ ნორაკიძე დასწრებოდა მის გაკვეთილებს. ადმინისტრაციამ დაავალა ნორაკიძეს „მამის“ გაკვეთილებზე დასწრება. ის ჯერ ვერ გარკვეულიყო, რაში იყო საქმე: დავალებას ასრულებდა, მაგრამ „ინჩი-ბინჩი“ არ გაეგებოდა, გაკვეთილებზე რა კეთდებოდა. ბოლოს ეს ტრაგი-კომედია იმით დამთავრდა, რომ ნორაკიძემ თავი დაანება სასწავლებელს, – მის-თვის და ყველა ჩვენთვისაც გაურკვეველი იყო, თუ როგორ და ვინ ჩაუწერა ქართველ ბავშვს დაბადების მოწმობაში სიტყვა „გრიგორიანი?!“ (ი. ვართაგავა, მოგონებები, II, 1962, გვ. 343-344).

იმერეთში XX ს. დამდევს სომხური მოსახლეობა იმის მეასედიც არ იყო, რაც აღმოსავლეთ საქართველოში. რაღა იქნებოდა აღმო-სავლეთ საქართველოში...

ზაქარია ჭიჭინაძე, იმოწმებს რა გამოჩენილი სომეხი მწერლის რაფის, იგივე აკოფ მელიქ-აკოფიანის (1835-1888) სიტყვებს, შე-მაძრწუნებელ ამბავს გვაუწყებს: „ერთ ქართველს თავადს ქაღალ-დის თამაშობაში 150 კომლი ქართველი წაუგია, ეს მოუგია ერთ მდიდარ სომეხს“ (ზ.ჭ. „ქართველები კონსტანტინოპოლში და სპარსეთში“, 1990, გვ. 62). რა თქმა უნდა, მსგავსი ხვედრის ქართველებს გრიგორიანობაზე მოქცევა და გასომხება არ ასცდე-ბოდათ» [12].

ილიასა და აკაკის დროინდელი ქართულ-სომხური პატრიობა-კამათის ამსახველია შემდევი ამონარიდი: «ქართველთა და საქართვე-ლოს სახელგამტებთა შორის „საპატიო“ ადგილი უკავია გრიგორ ერემიას ძე არწრუნს, რომელმაც თბილისში უმასპნძლა საფრანგე-თის გაზეთ „Temps“-ის კორესპონდენტს, ბატონ კუტულის. ამ უკანასკნელმა არწრუნისაგან მიღებული ქართველთა მაკომპრომე-ტირებელი ცრუ ინფორმაცია მოელ ევროპას მოჰფინა. არწრუნის ინფორმაციით აღჭურვილმა კორესპონდენტმა კუტულიმ მთელი ევროპის გასაგონად იყვირა: „წარსული ქართველებისა სრულიად უნუგეშმ სურათს წარმოადგენს; მომავალი კავკასიაში სომხებს ეკუთვნის და მის მეზობელ, სულიერად და ხორციელად ღონე-მიხდილ ქართველებს სხვა არა დარჩენიათ რა – ან უნდა გას-ომხდნენ, ან სომხებს ყმად ემონონო“. არწრუნის ზღაპრებით მოხ-იბლული კუტულის ფანტაზიამ სომხებს 30 მილიონამდე გაზრდა უწინასწარმეტყველა ამიერკავკასიაში კასპიიდან შავ ზღვამდე ქართველების, აზერბაიჯანელების და რუსების შემცირების ხარ-ჯზე.

გაზეთ „ქართულ წიგნში“ გამოქვეყნებულ „არწრუნის აღსას-რულში“, კამათის საგნის და მიზეზის გარეშე, ცალმხრივად, ტენ-დენციურად, აკაკის უტაქტობაზე უსაფუძვლო მითითებით არის გაშუქებული აკაკი წერეთელსა და გრიგორ არწრუნს შორის კამათის ფინალი. კამათის მიზეზი იყო ის, რომ არწრუნმა გამოს-ცა სომხეთის რუკა, სადაც ქართული ტერიტორიებიც იყო შეტ-ანილი გორის მაზრის ჩათვლით. ამის შესახებ მკაცრი საყვე-

დურის შედეგად გაფიცხებულმა არწრუნმა აკაკის მიახალა: „შენ რა გესმის, მთელი სომხეთის სვე-ბედი ამ კისერზე მაწევსო“, რაზეც ენამოსწრებულმა აკაკიმ მისთვის ჩევეული ოხუნჯობით უპასუხა: -„მჯერა ბატონო, სომხეთი კისერზე და არარატი ზურგზე გადგია, მეტი რაღა გინდა, ბედნიერი ყოფილხარო“, რაც არწრუნმა თავის კუზზე დაცინვად მიიღო და განაწყენდა.

როგორც დიდი ილია ბრძანებს, ჩვენ სომხების არავითარი ღირსება, არავითარი სიკეთე არ გვშურს, პირიქით, თუ სიკეთე და რაიმე ღირსება აქვთ, ის ჩვენთვის სანატრელია და არა შურის საგანი, ამიტომ სომხების არწრუნისეული ქება-დიდების ჩხრეკა არ არის საჭირო, მაგრამ არც ის შეიძლება, რომ შევნიღბოთ და დაგმალოთ მისი ოინბაზობა, ორპირობა და ცალგულობა ზედ ლიბერალიზმის წმინდა კალთის გადაფარებით, რადგან „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდების“.

ლიბერალობა და მამულიშვილობა ვისამე წყენის შიშით ტყუილის, ოინბაზობის, თაღლითობის, თვალთმაქცობის და ყოველგვარი ნამუსახდილობის მაღვა, ხელის წაფარება და შელამაზება კი არ არის, არამედ ყოველივე ამის შეიღება. არა საქართველოს ისტორიის, აწმყოსა და მომავლის მღვანძლველის პატივისცემა, არამედ მისი სახის შეუნიღბავად და შეულამაზებლად წარმოდგენა. ვისამე მაამებლობის მიზნით ქართველი ერის მძაგებელი პიროვნების დადებითად წარმოდგენა, სულმათი ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, ფარისევლობაა, მელატურობაა, ქვემდრომობაა, სოროში თავის შეძვრენაა, კუდისა კი – გარეთ დარჩენა. ასეთი რამ არ ეკადრება ი. ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკის გაზეთ „ქართულ წიგნს“, მის რედაქციას, რედაქტორს, ამ გაზეთის ხსენებული მასალის ავტორებს, რომლებთანაც გარკვეული პირადი სიმპათია და პატივისცემა მაკავშირებს. სწორედ ეს მაიმულებს, პირუთენელად მივუთითო დაშვებულ შეცდომაზე იმის გათვალისწინებით, რომ ეს შეცდომა იმ ფრიად საშიში ტენდენციის შემადგენელი ნაწილია, რომლის ნაყოფიც მოვიმკეთ დაკარგული აფხაზეთისა და სამაჩაბლოს სეპარატიზმის პოზიციაზე მყოფი სხვა რევიონების, სულიერად და პოლიტიკურად დაქვეითებული და დამცირებული საქართველოს რწმენის შერყევის საფრთხის ქვეშ მყოფი ქართველების სახით... » 15].

ამგვარად, დიდი სომხობა საქართველოში ორი საუკუნის წინ დაიწყო, «როცა რუსეთის იმპერიაში შეგნებულ ქართველ კაცს ხმალი წაართვეს და ყანწი დააკავებინეს ხელში. მაშინ არავის გახსენებია დავით აღმაშენებლის შთავონება იმის თაობაზე, რომ ქვეყნის გაძლიერება უნდა მოხდეს „არა მწვანილობითა ზედა“..... საქართველოს მოქეიფე თავადთა რიხიანი სიმღერები აზანზარებდა.

ამ ბოლო დროს კი ჩვენი სამხრეთელი სომეხი მეზობლები გაძლიერებით სწავლობდნენ რუსულ ენას; რუსეთის უკიდევანო იმპერიაში თანდათან ეპოტინებოდნენ სარფიან თანამდებობებს და მომგებიან ბიზნესს; აგროგებდნენ ფულს, რათა შემდეგ ორთაჭალის ბალგში აეშენებინათ საროსკი პოები და რესტორნები. ეს გახლდათ საქართველოს დაშლა-დაცემის „გენიალური“ გეგმა, რადგან სწორედ ამ საროსკი პოებსა და რესტორნებში ხარჯავდნენ ქართველი თავადაზნაურები საკუთარი მიწების ყიდვა-გაყიდვითა და დაგირავებით მიღებულ ფულს. სწორედ მაშინ იყიდეს ჩალის ფასად ფულით მოდარაჯებულმა სომხებმა თითქმის მთელი გორის მაზრა, ღუშეთის მოსავლიანი მიწები, თვით აჯამეთის ტყეც კი, რომელიც ვიღაც „ოვების“ საკუთრებად იქცა. ამ ტყის უნიკალური ნაწილი – ურთხმელის კორომი, რომელიც რამდენიმე ათეულ ჰექტარზე იყო გადაჭიმული, ახალმა პატრონებმა გაჩეხეს და მერქანი წონით გაყიდეს საფრანგეთში, რადგან ამ ხეს ვერაფერს აკლებს ზღვის იოდი და იგი შეუცვლელია გემების ფურნიტურაში. ურთხმელის ნაღომზე სხვა ხე არ ამოდის და მაღლე ზესტაფონის მიმდებარე ტერიტორიაზე გაჩნდა კიდევ ერთი ჭაობი – ქართული გულარხეინობის სიმბოლო.

პირველად სულმათმა ილიამ დაარისხა ზარები, როცა „ქვათა ღაღადით“ დაანახა ქართველ ერს საკუთარ სხეულში აღმოცენებული სიმსივნე. მის მიერ შექმნილმა ქართულმა საადგილმამულო ბანკმა შეაჩერა ქართული მიწების გაფლანგვის პროცესი და გააკოტრა უამრავი არაქართველი მიწაჭამია და ბელტიყლაპია. გაკოტრებულთა შორის იყო გაზეთ „მშაკის“ გამომცემელი, ყოველივე ქართულისა და საქართველოს დიდი მოძულე, გრიგოლ არწრუნი. იგი ხელს უწყობდა საქართველოს ნგრევის პროცესს.

სამწუხაროა, რომ დღეს საქართველოში ჩვენს გვერდით ცხ-

ოვრობენ ქართული მიწების ყლაპვის მსურველი სხვა ერისა და სხვა რელიგიური აღმსარებლობის წარმომადგენლები. ჩვენ ისინი მათოვის ისტორიული ძნელბედობის ჟამს მივიღეთ, ვუმასპინძლეთ, დავაპურეთ, ჩავაცვით, დავსახლეთ, ამის სანაცვლოდ კი მივიღეთ სომხური დიასპორის მიერ მდიდრულად გაფორმებული წიგნი ფრიად უხამსი სათაურით „ჩემი ჯავახეთი“. ფრთხილად, ქართველებო, ფრთხილად!» [15].



თავი V

დაშნაკები და ნეოდაშნაკები

1. დაშნაკების მემკვიდრე ნეოდაშნაკების ძირითადი სამიზნე ჯავახეთია

დიდი შეშფოთებით ვაღებებთ თვალს, თუ როგორ მიმდინარეობს ამჟამად დაშნაკური იდეოლოგიის აღორძინება, რომლის ძირითადი მიზანია ტერიტორიული მითვისება. დაშნაკების მტაცებლური მზერის ქვეშ საქართველოს საკმაოდ დიდი მიწები იყო მოქცეული, ნეოდაშნაკების ინტერესთა არეალი კი, ძირითადად, სამცხე-ჯავახეთით შემოიზღუდა.

დაშნაკური იდეოლოგიის აღორძინების „მეცნიერულ“ საფუძვ-



ლებს ქმნიან მუცნიერებად წოდებული ის სომეხი მოღვაწეები, რომლებიც მემკვიდრეობით აგრძელებენ ჩვენი ქვეყნის ტერიტორიისა თუ კულტურის ხელყოფას, მისი ისტორიის გაყალბებას, – თუ პრაქტიკულად, თუ თეორიულად, – სხვადასხვა წიგნებსა და ნაშრომებში. ქართველთა მიმართ სომეხთა უძადურობისა გამო ვვინდა შევახსენოთ და კითხოთ სომხებს: «როდის იყო ქართველი ხალხი სხვის ტერიტორიას, სხვათა მიწის ნაყოფს ეპოტინებოდა ზოგიერთი მეზობელივით. ამ მხრივ არც ქართველი მუცნიერები და მწერლები შეამავენ შოვინიზმით თავიანთი ერის სულსა და გონებას დაშნაკი მეცნიერებივით. ისინი სომხებ ხალხში აღვივებენ „დიდი სომხეთის“ აღდგენის ავადმყოფურად აკვიატებულ იდეას. თავიანთი მუცნიერული შრომებით ხელს უწყობენ, აგრეთვე, აგრესიულ სეპარატიზმს ჯავახეთში. ვეკითხები მათ: რა აუცილებელი მიზეზის გამო გახდა საჭირო ძირდებითი ქართული მიწის – ჯავახეთის – რუკის გამოცემა სომხურ ენაზე და მისი უფასოდ, პროკლამაციის სახით დარიგება ჯავახეთის სომხურ მოსახლეობაში? პასუხი ნათელია: ამ რუკით ჯავახეთის სომხური მოსახლეობის ცნობიერებაში სეპარატიზმის დამკაიდრებას უწყობთ ხელს და მის პროპაგანდას ეწევით. აღარას ვამბობთ ჯავახეთის ე.წ. ავტონომიის უკანონო მოთხოვნის შესახებ. ბ-ნი მურადიანი (ზემოთ უკვე მოხსენიებული დაშნაკ მუცნიერთაგანი-აუ.) წერს: „ქართველმა ისტორიკოსმა უნდა გააცნობიეროს ჯავახეთის სომხების უმნიშვნელოვანესი მისია – კედლის აღმართვა საქართველოსაკენ წამოსული მტრის წინაშე, როგორც აღგილი ჰქონდა, მაგალითად, 1918-1920 წლებში“.

ეტყობა, ბატონი მურადიანი არ იცნობს პროფესორ შოთა ლომ-საძის ვრცელ მონოგრაფიას – „მესხები“ (1997 წ.). მასში დოკუ-მენტურ მასალებზე დაყრდნობით ნაჩვენებია, თუ რა „კედელი“ აღმართეს სომხებმა საქართველოზე წამოსული თურქების შესაჩ-ერებლად. 1918 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუ-ბლიკის მძიმე მდგომარეობით ისარგებლეს ახალქალაქის სამაზრო კომიტეტში მოკალათებულმა დაშნაკებმა, გამოიტანეს დადგენილება და ახალქალაქის მაზრა ერევნის გუბერნიას შეუერთეს. მართალია, გენერალ-გუბერნატორმა შალვა მალლაკელიძემ ეს უსამართლო და უნამუსო დადგენილება გაუქმა და სამართალი აღადგინა, მაგრამ დალატის ფაქტი ხომ სამუდამოდ დარჩა. აი, როგორი სომხური

„კედელი“ აღიმართა მაშინ მნელბედობაში ჩავარდნილ ქართველთა დასაცავად. კარგი, ეს იყო ათეული წლის წინათ. ხოლო აფხაზე-თის ომში ბაგრამიანის ბატალიონმა, სომეხმა ბოევიკებმა ლომის წილი რომ დაიდეს ქართველთა გენოციდში, ყველას კარგად მოეხ-სენება. პრესის საშუალებით მივმართე ერევნელ მწერლებს და მეცნიერებს, უფრო ზუსტად, სომხეთის მწერალთა კავშირს, ხმა აემაღლებინათ და დაეგმოთ სომხებ ბოევიკთა ვანდალიზმი აფხ-აზეთში, მაგრამ ამ მიმართვას არავინ გამოხმაურებია სომხეთიდან.

მოუსმინეთ აფხაზეთიდან ლტოლვილ, საქართველოს სახალხო არტისტს, პარლამენტარ დიმიტრი ჯაიანს – „რაც სომხებმა აფხ-აზეთის ომის დროს ჩაიდინეს, გაუგონარი ისისასტიკე იყო. აქამდე გაჩუმებულები ვიყავით, გვინდოდა მეზობლური ურთიერთობა არ გაგვეფუჭებინა. ალბათ, დადგა დრო, ყველაფერი ითქვას“ [25].

როგორც აღვნიშნეთ, ნეოდაშნაკების მზერა, ძირითადად, ჯავახ-ეთისკნაა მიმართული. ამიტომაცაა აქცენტი გადატანილი ამ ძირ-ველი ქართული მიწის ისტორიის გაყალბებაზე, რაც დღესაც დიდი მონდომებით მიმდინარეობს. წინა თავებში ჩვენ საკმაოდ ვისაუბრეთ ჯავახეთში სომხური მოსახლეობის გადმოსახლების, ეთნიკურ ქართველთა შევიწროება-განდევნის (შეიძლება ითქვას – გენოცი-დის), მიწების, კულტურულ ნაშთთა, ტაძრებისა და საეკლესიო ქონების დატაცებისა და გასომხურების, ქართველთა გასომხების შესახებ. მიუხედავად ამისა, გვსურს, კიდევ ერთხელ შევეხოთ ამ საკითხს და აღვნიშნოთ, რომ დღესაც სომეხთა მიერ ჯავახეთი ხელაღებით სომხურ ტერიტორიებად ცხადდება, ხოლო მასზე არ-სებული ხუროთმოძღვრების ნიმუშები – სომხურად.

ნეოდაშნაკი მუცნიერები მონდომებით იღწვიან და ისტორიის არნახული გაყალბებით ცდილობენ, შექმნან თეორიული და პოლი-ტიკური საფუძლები, ასევე, მოამზადონ სომეხი მოსახლეობის ცნო-ბიერება იმისათვის, რომ მოხდეს ჯავახეთის საქართველოდან მოწ-ყვეტა და იქ პროსომხური ავტონომიის შექმნა, რაც, ფაქტობრივად, ამ ძირმედი ქართული მიწის სომხეთთან მიერთებას ნიშნავს.

«აღიარებს რა ს. კარაპეტიანი (წინა თავებში ხსენებული რუკა-ცნობარის ავტორი-აუ.) ქართლ-კახეთსა და იმერეთში სომხებს მო-სულებად, სამაგიეროდ, სამხრეთ საქართველოში, ე. ი. ჯავახეთში მათ ძირითად, მკიდრ მოსახლეობად თვლის. ამგვარი მუცნიერები აქეზებენ

ერევნიდან ორგანიზაცია „ჯავახქს“ და მის ექსტრემისტულ წევრებს ავტონომის მოსათხოვნად იმ მოტივით, ვითომ ისინი ძირძველი ქართული მიწის – ჯავახეთის აბორიგენები არიან და ა. შ.

ჯავახეთში ახლად ჩამოსახლებული ვითომ მკვიდრი სომხები ცარიზმის მიერ განდევნილ აბორიგენ ქართველთა აშენებულ ძველ ეკლესიებს უცერემონიოდ დაეპატრონენ და მისაკუთრეს, რასაკვირველია, მათი ქართულობის კვალის განადგურების შემდეგ. ამ ამაზრზენი საქციელის შესახებ აუარებელი მასალაა გამოქვეყნებული გასული საუკუნის ქართულ პრესაში.

მოვიხმობ რუს სასულიერო მოღვაწეს: „სომებს ხალხს კავკასიის ადმინისტრაცია (ცარიზმი–ბ.ა.) ყოველთვის მეტ უპირატესობას აძლევდა ქართველ ხალხთან შედარებით. ამის წყალობით თითქმის მთელი საქართველო სომხებს ჩაუვარდათ ხელში. თურქეთიდან საქართველოში ჩამოსახლებულმა სომხებმა დაიკავეს სამცხეს, ბორჩალოს, ახალქალაქის, ახალციხის მაზრები. ისინი საშინლად ავიწროებდნენ ქართველებს. რუსულმა ბიუროკრატიამ, ნაცვლად იმისა, სიყვარულით და სიმართლით ჰქონდათ გული ავსებული, იმიტომ, რომ ქართველებმა რუსული არწივის ფრთხის ქვეშ ნებაყოფილობით შეაფარეს თავი, მათ ხარბი ექსპლუატატორები – სომხები შეუსია. ამ საქმეში წინასწარ ჩაფიქრებული მიზანი ამოძრავებდათ – ხელოვნურად დაეშესხრიათ ქართველთა და თურქულ–თათრული წარმოშობის ხალხთა კომპაქტური მასა და ამგვარად შეექმნათ თითქოსდა საჭირო უბირატესობა ადგილობრივ აბორიგენებზე.“

ახალციხისა და ახალქალაქის მაზრები, რომლებიც იმუამად ზემო ქართლის გულს წარმოადგენდნენ, სომხების დასახლების შემდეგ ქართველებისათვის დაკარგული აღმოჩნდა. ასეულობით გადარჩენილი ტაბარი და მონასტერი – ქართველი ხალხის საუკუნოვანი სიმდიდრე, ათასობით ნახევრად იავარყოფილი სოფელი წილად ხვდა ვიღაც უცხო მოსულებს (სომხებს–ბ.ა.), მათ ხელთ იგდეს ქართველი ხალხის ეროვნული პოეტის შოთა რუსთაველის სამშობლოს საუკუნეობრივი ავლა–დიდება. ქართველი მართლმადიდებლების რუსიფიკატორები ამრავლებდენ სომხურ სკოლებს და მეგობრობდნენ სომხეს მაგნატებთან და მღვდელთმთავრებთან“ (ნ. დურნოვი, ქართული ეკლესიის ბედი, გაზ. „ქართული მახვილი“, 1988, 4-10 აპრილი).

ამ ბოლო ხანებში სომებმა მეცნიერებმა ძალიან თვითდაჯერებით დაიწყეს მტკიცება სომებთა „აბორიგენობის“ შესახებ ჯავახეთში. თუმცა ისინი ძირითადად 1829-1830 წლებში არიან მოსულები ამ ძირძველ ქართულ მიწაზე! აი, სათ უმიზნებს კარაპეტიანი, საზოგადოება „ჯავახქს“ და მის ზურგს უკან მდვომი დაშნაკური პარტია! სომხურ და უცხოურ ენებზე გამოდის გამოცემები, აბსურდული რუკები, რომლებშიც აღმოსავლეთ საქართველო, სამცხე–ჯავახეთი და ბათუმი სომხეთის საზღვრებშია მოთავსებული. ერთი სიტყვით, მანიაკალურად აკვიატებული „დიდი სომხეთის“ აღდგენის იდეას უნერგავენ თავიანთ ხალხს ს. კარაპეტიანი და მისი მსგავსი მეცნიერები. არ იქნება ურიგო, გავიჩხენოთ დაშნაკური პარტიის ბეცი პოლიტიკის შედეგად 1915 წ. მიღიონნახევარი სომხის გაულეტა თურქეთში. ისტორიის მწარე გაკვეთილების გათვალისწინება ზედმეტი არ იქნება, კარაპეტიანი... „სომხური ცივილიზაციის“ დამანგრეველი ქართველი ხალხის გულმოწყალებით იქნება კიდევ მოგიხდეთ სარგებლობა... თქვენი ყალბი მეცნიერული პროცესის შედეგი თვალწინაა, დაშნაკურმა ორგანიზაცია „ჯავახქმა“ ამავე სახელწოდების გაზეთის 1998 წლის 20 აგვისტოს ნომერში გამოაქვეყნა „ჯავახქის“ ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუცია-პროექტი“ [25].

სამველ კარაპეტიანს არც მისი თანამემამულე, სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, პოლიტოლოგი ალექსანდრე ქანანიანი ჩამორჩება თავისი სტატიით -- „ჯავახქ: შეუცნობელია გზანი ისტორიისა“, რომელიც ერევნის რუსულენოვან გაზ. „ნოვოე ვრემიაში“ (2002, 5 ნოემბერი) გამოქვეყნდა.

«ალ. ქანანიანი აცხადებს: „სომხეთისგან განსხვავებით, ქართული ისტორიოგრაფია „მდიდარია“ ჯავახეთის თემისადმი მიძღვნილი ნაშრომებით“. ეს დაბოლმილი კაცის ნათქვამი უფროა, ვიდრე გონებადამჯდარი მეცნიერის აზრი. ესეც არაუგრია იმასთან შედარებით, რასაც შემდეგ წერს – „იმის აუცილებლობამ, რომ ჯავახქი ნებისმიერი ხერხებით მიეკუთვნებინათ ქართული ეთნოკულტურისათვის, ქართველი მეცნიერები აიძულა, საბჭოთა პერიოდში ათეულობით ტომი გამოეცათ ისტორიის, არქიტექტურის დარგში. მათში შეგნებულად არის უგულვებელყოფილი სომხური ნი-

შატი ჯავახქის ტერიტორიაზე. ეს მხოლოდ უარყოფა როდია მრავალრიცხოვანი სომხური ჯილაგის ამ მიწაზე მოსახლეობისა, არამედ ამ კუთხეში შუა საუკუნეების სომხური კულტურის ძეგლების აღმაშვოთებელი იგნორირება გახდავთ“.

აღ. ქანანიანი ჯავახეთში მარტო სომხურ ტოპონიმიკას ხედავს, ვითომ, ქართული არ იყოს. თუ მაინც არის აქა-იქ, უმნიშვნელო რაოდენობისას „იმეტებს“ სომხი ავტორი. არადა, ფაქტიურად, არის პირიქით და ეს ბუნებრივიცაა – ქართულ მხარეში, პირველ რიგში, ქართული ტოპონიმი იქნება და შემდეგ უცხო. აქ ტოპონიმთა 90 პროცენტი ქართულია, დანარჩენი კი არის სომხური, ბერძნული, თურქული და სხვა. ენათმეცნიერები ჯავახურ ტოპონიმიაში მიუთითებენ ზანური ენის ნაკალევს. ისინი ფიქრობენ, სოფლებში: ჭობარეთი, ტოლოში, ორხოფია, მირაშხანი, კორუშეთი, კვარშა, ბურნაშეთი, ხალოშეთი, არესატი, ბარალეთი, ჯანჯაღა, ორჯაღა, ჩუნჩხა, ოლდანი, ოლოდა, ეშტო და სხვა, შემონახულია კვალი უძველესი ზანური სახელწოდებებისა. ჯავახეთის გათხრების შედეგად აღმოჩენილ არქეოლოგიურ მასალაში ნათლად ჩანს კოლხური ბრინჯაოს კვალი. ჯავახეთში დადასტურებულია როგორც დას. ქართული, ისე აღმ. ქართული კულტურის დამახასიათებელი ბრინჯაოს ნივთები. ერთი სიტყვით, ჯავახეთის ბრინჯაოს ხანის არქეოლოგიურ მასალას, პირველ რიგში, ნათესაური პარალელი ეძებნება მხოლოდ და მხოლოდ ქართულთან.

აღ. ქანანიანის ტენდენციური მიდგომა ჯავახეთის ისტორიის საკითხებისადმი იმდენად აშკარა და თვალშესაცემია, რომ, უბრალოდ, სურვილიც კი გეკარგება მასთან მეცნიერული კამათისა. იგი, უბრალოდ, ჯავახეთთან თითქმის ყველა პრობლემას ყოველგვარი მოტივაციის გარეშე, საკუთარი სურვილისამებრ წყვეტს. ე. ი. გამოდის – რახან ქანანიანს ასე სურს, ამიტომაც – „ისტორიული წყაროები (?)“ (რომელი წყაროები? – ბ.ა.) მოწმობენ, რომ ჯავახქი სომხი ერთი გენეზისის არეალში შედიოდა. ქართული ეთნიკური ელემენტების შეჭრა ჯავახეთში უძველეს დროში ხდებოდა, უმთავრესად, ქართველი მესაქონლეების სახით“.

აქვე ვიტყვით: ქანანიანი არ არის პირველი, ვინც ჯავახეთის მიწის სომხურობას ამტკიცებს. აი, მაგალითად, 1829-1839 წლებში მეფის რუსეთის ნებით, გენერალმა პასკევიჩმა ერზრუმის სომხობა

გადმოასახლა ჯავახეთში (40 ათასი ოჯახი). მათ წინ მოუძღვდა ეპისკოპოსი კარაპეტი (ბაგრატუნი). როცა მოახალშენეთა პირველმა ნაკადმა ჯავახეთის ქართულ მიწას ფეხი დაადგა, კარაპეტ ეპისკოპოსმა სამჯერ მიწას ჯოხი დაპკრა და სთქვა – „ჩემი ხალხი სომხური მიწიდან მშობლიურ მიწაზე მოვიდაო“. ამ ეპისკოპოსმა ძალიან ბევრი გააკეთა ჯავახეთის მიწაზე სომხების დასამკიდრებლად და ყოველგვარი ძირძველის ამოსაძირკვად. დღეს კი ჯავახეთის სომხობამ ისარგებლა ქართველთა რბილი რაინდიზმით და ქართველთა მტრის, ეპისკოპოს კარაპეტის ძეგლით „დამშვენა“ ახალქალაქი!..

აკად. ნ. ბერძენიშვილმა 1933 წელს სამეცნიერო მიზნით მოაწყო ექსპედიცია სამცხე-ჯავახეთში. ექსპედიციის დროს იგი ყოველ-დღე წერდა დღიურებს. სადაც აღნიშნავს, ჯავახეთის სომხური მოსახლეობის უდიერ, უფრო სწორად, მტრულ დამოკიდებულებას ამ მხარეში არსებულ ქართული ისტორიული ძეგლებისადმი. მოაქვს არაერთი ფაქტი, თუ როგორ ანგრევს ზოგიერთი სომხი ქართულ ეკლესიებს, სპობს ქართულ ეპიგრაფიკას და ა. შ. „ცილისწამებით“ აღშფოთებული აღ. ქანანიანი წერს – „მთავარი ის არის, რომ ნიკო ბერძენიშვილი ყოვლად უსაფუძვლოდ სდებს ბრალს ადგილობრივ სომხურ მოსახლეობას ქართული წარწერების შენებულად დაზიანებაში. თუმცა ეპიგრაფიკაში ოდნავ ჩახდული ადამიანი, რომ არაფერი ვთქვათ მეცნიერზე, უნდა მიხვდეს, რომ უმრავლეს შემთხვევაში ასეთი ფაქტები ძეგლების „დაზიანებისა“ განპირობებულია დროით და ბუნების სტიქით; და იმ რამდენიმე შემთხვევის გამო, როცა ადამიანი „შეურაცხყოფს“ ძეგლს, უსაფუძვლოდ უნდა დააბრალო ყველაფერი სომხებს?!“. აქედან გამოდის, რომ არა მარტო ნიკო ბერძენიშვილი ვერ არჩევდა, ესა თუ ის ქართული ძეგლი ადამიანის ხელითაა დაზიანებული თუ ბუნების სტიქითს ძალით, არამედ ამ საქმეში ვერ ერკვეოდნენ ექვთიმე თაყაიშვილი, ივ. როსტომაშვილი, ივ. გვარამაძე, გ. ბოჭორიძე და სხვნი.

ამ „უვიცობის“ მიზნით, თურმე, აკად. ნ. ბერძენიშვილი ჯავახეთის ქართული ძეგლების თავს დამტყვდარ მთელ უბედურებას სომხებს მიაწერს. ასეთ აბსურდადე მივიდა აღ. ქანანიანი საკვლევი თემისადმი სუბიექტური დამოკიდებულების გამო. მესმის, ქანანიანი თავის ჯიშსა და ჯილაგს იცავს სამარცხვინო საქციელის-

აგან, მაგრამ დაცვაც არის და დაცვაც – იგი უსუსური არგუმენტებით ცდილობს, ნამუსი მოწმინდოს ჯავახეთში მცხოვრებ სომხებს.

აქ არ ჩერდება ქანანიანი და ცდილობს, კანში გაძვრეს, რათა ზოგიერთი ჯავახელი სომხის დანაშაული გააქარწყლოს. ამიტომ გადაწვდა ჯავახეთში მცხოვრებ მუსულმანებს და ქართული ძეგლების განადგურება მათ გადააბრალა. ამასთან დაკავშირებით არ იქნება ზედმეტი, იცოდეს ქანანიანმა, სამცხე-ჯავახეთში მცხოვრები მუსულმანები ქართულ ისტორიულ ძეგლებს, მისი თანამემამულებისაგან განსხვავებით, შედარებით მორიდებით ეპყრობოდნენ.

მივყვეთ ალ. ქანანიანს, რომლის „ბრალდება“ აკად. ნ. ბერძენიშვილისადმი აღნიშნულით არ ამოიწურება. აი, ისიც, „ნიკო ბერძენიშვილი მხოლოდ ქართული სიძველეების განადგურებას როდი გვაბრალებს. 1933 წელს ჯავახეთში ყოფნისას მას ხან ანტიქართული განწყობა ელანდება (არ ეკადრება ახალგაზრდა ქანანიანს განსევნებული ქართველი მეცნიერის ასე უდიერად მოხსენიება – ბ.ა.), ხან ანტისაბჭოთა შეთქმულება. მისი ექსპედიციის დღიურები მშენიერი სახელმძღვანელო იყო ტერა-სათვის (გასული საუკუნის 30-იან წლებში ასე ეწოდებოდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტს – ბ.ა.). პატრიოტულად განწყობილი განათლებული ჯავახელების ფიზიკურად გასანადგურებლად ავტორი სოფლებს და ოჯახებსაც კი ასახელებს, სადაც მას (მხოლოდ იმიტომ, რომ ის ქართველია?) ლუკმაპური და წყალი დაუკავეს, და ატარებს აზრს, რომ ასეთი ადამიანების მიმართ აუცილებელია ზომების მიღება“.

გაწიწმატებული ალ. ქანანიანი ტყავში ძვრება, თვისტომს ნამუსი მოწმინდოს, მაგრამ ალ. ქანანიანმა თუ იცის, რომ უფროსმა თანამემამულემ აკად. ი. ორბელმა საციმბიროდ გაწირა აკად. გ. ჩუბინაშვილი. მან ქართველი მეცნიერი საქართველოს ცეკაში დააბეჭდა (ეს ხომ იგივე ჩეკაში „ჩაშვება“ იყო) და მოითხოვა კონსტიტუციის შესაბამისი მუხლით მისი დასჯა. ეს აკად ი. ორბელმა გააკეთა იმიტომ, რომ არ გამოსულიყო აკად. გ. ჩუბინიშვილის ცნობილი წიგნი – „ჯვრის ტიპის ძეგლები“.

ბ-ნ ივანეს (ივ. ჯავახიშვილს – ა.უ.) „ბრალს“ სდებს ქანანიანი იმაში, რომ 1918-1919 წლებში საქართველო-სომხეთის სასაზღვრო

დავის დროს, თითქოს, არაობიერტურობა გამოიჩინა. მივყვეთ ოპონენტის მოხმობილ ფაქტებს და არგუმენტებს. მან „აბსურდული“ უწოდა ივ. ჯავახიშვილის და ქართველი მეცნიერების შემდეგ შესეღულებას – „სომხები პრეტენზიას აცხადებდნენ საქართველოს დიდ ნაწილზე, მათ შორის, თბილისის, გორის, კახეთის მიმართ“. ქანანიანი ირწმუნება: „არ არსებობს არც ერთი პოლიტიკური, თუნდაც პროგრამული დოკუმენტი სომხური მხარის, სადაც გამოთქმული იქნებოდა მსგავსი პრეტენზია“. მე მინდა შევახსენო ერთი დოკუმენტი: გერმანიის დამარცხების შემდეგ უმწეო დღეში ჩავარდნილი ოსმალეთი საფრანგეთსა და ინგლისს დაემორჩილა (1918 წ). სტამბულსა და ამიერკავკასიის რესპუბლიკებში ინგლისელების და მისი მოკავშირების საოცენაციო ჯარი შემოვიდა. სომხეთის რესპუბლიკის დაშნაური მთავრობას და პოლიტიკურ წრეებს დიდი სომხეთის აღდგენის იმედი გაუჩნდათ: „დამასასიათებელია, რომ სწორედ ამ დროს, 1918 წელს, სტამბოლში დაიბეჭდა სომხეთის (ვითომც ისტორიული) ფანტასტიური (გამოგონილია-უ.) რუკა, რომელიც შავი ზღვისგან კასპიის ზღვამდევ გადაჭიმული და სამსუნის ოდნავ აღმოსავლეთით მდებარე აღგილთაგან ხმელთაშუა ზღვამდე აღწევს, და სელევკის ჩრდილოეთით მდებარე აღგილთაგან ქ. არდვეკილის ოდნავ ჩრდილოეთით მიმავალი ხაზით ამ სრულიად სომხეთის საზღვარი კასპიის ზღვასთან მთავრდება; ბათუმი, ახალციხე, თვით მცხეთა და ტფილისც კი ამ რუკაზე სომხეთშია მოცულებული და საქართველოს პატარა ვიწრო ზოლი-და აქვს მიეუთვნებული“ (ხაზგასმა ყველობან ჩვენია) („საქართველოს საზღვრები“ 1919). კარგი, ამას წერს ქანანიანის მიერ შერისხული ივ. ჯავახიშვილი. მაგრამ დოკუმენტს, სომხურ რუკას, სადაც წაუხვალთ. იგი ინახება სომხეთის ისტორიის ინსტიტუტში, ერევნში. მიპრაბანდით და ნახეთ მასზე სომხეთის დაშნაური მთავრობის მიერ განახევრებული საქართველო. ეს არის „აბსურდი“?...

ერევნის გაზეთ „ერკირ ნაირის“ (ნაირის ქვეყანა) 1994 წლის 9 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა ვრცელი ინტერვიუ სომხეთის ბეჭდვითი სიტყვის და ინფორმაციის მუდმივი კომიტეტის თავმჯდომარებისან, მერუჟან ტერ-გულანიანთან. კორესპონდენტის კოტხგაზე – თქვენი სანუკარი ოცნებაა ნაირის ქვეყანა და რას უსურვებდით გაზეთ „ერკირ ნაირის“ მკითხველებსო, ბატონი მერუჟანი პასუხობს: „გულახდილად რომ ვთქვა, „ნაირის ქვეყანა“ ჩემში ვპან ტერიანმა

დამკიდრა და დიდხანს მის მიერ შექმნილ სამყაროს თავი ვერ დავაღწიე. ასე რომ, „ნაირის ქვეყანა შორეული ოცნება“ (ვაპამ ტერი-ანის ლექსის სტრიქონია – ბ.ა.) და ამ ოცნებას წმინდად ვინახავდი გულში. მაგრამ შემდეგ უკვე „ნაირის ქვეყანას“ რეალურად (პრაქტიკულად) შევხედე. ახლა კი მესმის, ჩარენცის – „ნაირის ქვეყანა“ არის ის, რაც ამჟამად გვაქვს, ჩვენ გვეკუთვნის. ეს მიწა არის 30 ათასი კვ. კმ. მას უნდა მიემატოს ჯავახეთის არმენიზებული ფორმა ჯავახე. – ბ. ა.) და დასავლეთ სომხეთი (თურქეთის სომხეთი – ბ. ა.). „ნაირის ქვეყანა“, „შორეული ოცნება“ იყო და იქნება, მაგრამ ოცნება ოცნებად არ უნდა დარჩეს, რადგან ვითარება შეიძლება ისე შეტრიალდეს, რომ ჩვენი კუთვნილი ნაირის ქვეყნის დაცვა დაგვჭირდეს. ამიტომ ყველანი ერთად უნდა ვიყოთ – ოცნება რომ (ახდეს) აღსრულდეს“ (ხაზგასმა ჩვენია – ბ.ა.)

ელიშე ჩარენც ამოფარებულ ბატონ მწერალს და მინისტრს, კარგა გვარიანი მადა გაღვიძებია. თუმცა ორიგინალობას ვერ დაიკვეხნის, რადგან 1919 წელს სტამბოლში, დაშნაკებმა დაბეჭდეს რუკები, რომლებზეაც თბილის, მცხეთა, გორი და ბათუმი სომხეთის სახელმწიფოს საზღვრებშია მოქცეული.

ახლა მსურს ვკითხო ბატონ მწერალს და მინისტრს, რით აპირებს მეზობელთა მიწების მიერთებას? ის ხომ დღესავით ნათელია, რომ არც ერთი მეზობელი ნებით გოვა მიწას არ დათმობს. ძირძველ ქართულ მიწას – ჯავახეთს – ვისი ან რისი იმედით გვართმევს? ჯავახეთი, მესხეთი, ტაო, კლარჯეთი, შავშეთი – ეს ხომ ერთი ქართული რეგიონია და მათი მკვიდრი ათადან-ბაბადან ქართველები იყვნენ და არიან. მაგრამ ერევანში, და არამარტო იქ, ტ. მარუთიანის, ს. კარაპეტიანის და პ. მურადიანის მსგავსი „მეცნიერები მოღვაწეობები“ და მათ მიერ შეთითხნილ ალიმათიას ჯავახეთის, ტაოს, შავშეთის არაქართულობის შესახებ მერუჟან ტერ-გულანიანისნაირი სომხები უდავო ჭეშმარიტებად მიიჩნევთ. ამგვარ „ვაიმეცნიერთა“ დამსახურებაა, რომ სომეხი მწერალი ასე უცერემონიოდ აცხადებს პრეტენზიას და მოითხოვს სომხეთის საზღვრების გადაწევას და გაფართოებას მეზობელ, კერძოდ, ქართული მიწების ხარჯზე. ამ აზრს ასეული წლების მანძილზე უჩიჩინებდნენ სომეხი მეცნიერები თავიანთ ხალხს, მოსწავლე ახალგაზრდობას და მათაც ყალბი აზრი ძვალ-რბილში

აქვთ გამჯდარი. ამდენ ხანს ჯავახეთის ხელში ჩავდებაზე თუ ჩურჩულებდნენ, ახლა სამყაროაოზე გამოვიდნენ, რადგან ფიქრობენ, ამ კრიზისულ მომენტში საქართველოს იქნება რამტე წავგლიჯოთო. ამ გააქტიურების შედეგია ის, რომ ახალქალაქში დაიხურა ერთადერთი ქართული საბავშვო ბალი და გაიხსნა ერევნის უნივერსიტეტის ფილიალი (?!). ანალოგიური ფაქტების მოტანა კიდევ ბევრი შეიძლება» [25].

2. დაშნაკების ომი საქართველოს წინააღმდეგ

«1918 წელს საქართველომ და სომხეთმა დამოუკიდებლობა რომ მოიპოვეს, ქართველ-სომეხთა ურთიერთობა კიდევ უფრო გამწვავდა. აღსანიშნავია, რომ სომხეთის სათავეში მოქცა ეროვნული ხელისუფლება – დაშნაკუთიუნის პარტია, ხოლო საქართველოს ხელისუფლებას შეადგენდნენ მეზევიკები, ინტერნაციონალისტები, მარქსისტ-პლეხანოველები და მათ ეროვნული თითქმის არაფერი ეცხოთ. ამის მიზეზი ისიც იყო, რომ რუსეთმა 1811 წელს გააუქმა ქართული ეკლესის ავტოკეფალია, ხოლო სომხეურს ავტოკეფალია შეუწარჩუნა. ამის შედეგად სკოლებში ქართულ ენას თითქმის აღარ ასწავლიდნენ, სომხეური ეკლესია კი სომხეური ენის, სომხეთის ისტორიის, კულტურის სწავლებას ახერხებდა. ასეთ პირობებში, მოუხედავად თურქეთში 1915 წელს მომხდარი სომეხთა გენოციდისა, დაშნაკებმა შეძლეს სომეხთა საომრად მომზადება ქართველებისა და საქართველოს წინააღმდეგ. ნოე ჟორდანიას და ძმათა მისთა კი სამშობლოს სიყვარული არც თავად ემჩნეოდათ და არც აწყობდათ პატრიოტული სული ქართველ ხალხში გაძლიერებულიყო, რამეთუ ასეთ შემთხვევაში მათ არაეროვნულ ხელისუფლებას ერი აღარ მოითმენდა» [21].

«1918 წ. სტაბოლში „ვითომ ისტორიული“ გამოგონილი სომხეური რუსი მიხედვით გამოვიდა სრულიად სომხეთის სახელმწიფოს ახალი რუსი. ყურადღება მიაქციეთ – მასზე სომხეთი თითქმის იმავე ისტორიული რუსის საზღვრებშია წარმოდგენილი. ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ სომხეთის სახელმწიფო ამ სიდიდის არასდროს ყოფილა. XI საუკუნიდან იგი პოლიტიკურადაც აღარ არსებობდა. ეს რეკები, განსაკუთრებით მეორე, ნუუჯ არ არის დოკუმენტი სომხეთის დაშნაკური მთავრობის საქართველოსადმი უსაზღვრო და უსამართ-

ლო ტერიტორიული პრეტენზიებისა? აქვე მინდა ვთქვა – ზოგი დოკუმენტი ქადალდზე რჩება და მის აღსრულებაზე არავინ ფიქრობს. აქ გმონაკლისთან გვაქს საჭმე, რადგან სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავი გამოიჩინა და სომხურ სახელმწიფო რუკაზე მოხაზული საქართველოს ტერიტორიის დაპყრობას პრაქტიკულად და ოპერატიულად შეუდგა» [25].

«სომხეთ–საქართველოს საზღვარზე გართულებები 1918 წ. ოქტომბრიდან შეიმჩნეოდა, ამავე წლის დეკემბერში კი სომეხთა ჯარი ომის გამოუცხადებლად შემოესია საქართველოს. ჩვენი ქვეწის მენშევიკური მთავრობა ამ ბრძოლისთვის არ მომზადებულა. სომხეთის მესვეურებმა შეძლეს საქართველოს სომხური მოსახლეობის აჯანყებაც, მიმზრობაც; ჩვენს ქვეყნაში მათ მეხუთე კოლონია შექმნეს და ომის პირველ დღეებშივე შემოუტიეს საქართველოს. სომეხთა ჯარმა მოახერხა წინ წამოწევა ქართულ მიწა-წყალზე. სომხებს მიზნად პქონდათ დასახული ნახევარი საქართველოს, კერძოდ, თბილისის დაპყრობაც. იმდროინდელ სომხურ რუკებზე სწორედ ნახევარი საქართველოა მოცეკვული სომხეთის საზღვრებში» [21].

სომეხთა დაშნაკური მთავრობის ჯარის ვერაგული შემოსევა «მოხდა ინგლისის საოკუპაციო ჯარის უფროს, გენერალ უოფესთან ჩემი შეთანხმებით. ინგლისის მხარდაჭერით გათამამქბულმა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ თავისი საგარეო საქმეთა მინისტრის პირით საქართველოს ულტიმატუმი წაუყენა და მოსთხოვა, ქართლის საზღვრამდის უკან დაეხიათ. სომხები ქართლად გორის მაზრას სთვლიდნენ. ამდენად, ეს ულტიმატუმები გულისხმობდა თბილისის დაცლას. აქ ისევ დავიმოწმოთ ქანანიანისაგან „დაწუნებული“ ივ. ჯავახიშვილი: „ეს მოთხოვნა ზემოაღნიშნული სომხეთის ორ რუკათაგნ ყველაზე უფრო ფართასტიური, ვითომ ისტორიული რუკის საზღვრების აღდენას ლამობდა (სტამბოლის კონფერენციაზე თურქეთის წარმომადგენელმა ერთ წუთში ამხილა სომხური რუკების სიყალბე). ეს იმდენად აშკარა იყო, რომ ინგლისის, საფრანგეთის წარმომადგენლობამ, მიუხედავად მათი სურვილისა, სომხებს მხარი ვერ დაუჭირა), სომებ პოლიტიკისთა მადა საქართველოს წასართმევად და დასაკუთრებისათვის არამც თუ არ დაუკარგვინებია, პირიქით, გაზარდა კიდეც – ძველი სომხეთის ვითომც ისტორიული საზღვრების აღდენა საქართველოს და ქართველი ხალხის ხარჯზე უნდოდათ, ეხლა რომ მოხერხ-

ებულიყო“ (ივანე ჯავახიშვილის არქივიდან, გაზ. „ლიტ. საქართველო“, 1988, №34).

დაშნაკურმა მთავრობამ გამოუცხადებლად ომი რომ დაიწყო საქართველოს წინააღმდეგ (1919), ოვანეს თუმანიანის რამდენიმე შვილი ერევანში ჩარჩა; დიდმა პოეტმა შვილებს შეუთვალა – თუ მონაწილეობას მიიღებთ ქართველთა წინააღმდეგ ომში, როგორც მშობელი, დაგწყვლით და შეგაჩერებოთს!» [25].

ჰემმარიტი სომეხისა და ქართველთა მეგობრის ეს სიტყვები გვიჩვენებს იმდროინდებლი მოვლენების დრამატულობასა და ტრაგიზმს. სამწუხაროდ, ოვანეს თუმანიანისაგან განსხვავებით, თბილისსა და საქართველოში მაცხოველებლ სომეხთაგან მრავალი დალატის გზას დაადგა და მეხუთე კოლონა შექმნა.

ამ მოვლენების შესახებ მოგვითხრობს ქართველი მოღვაწის, 1918 წ. მოვლენების შეუგულში მყოფი ოსებ იმდაშვილის თხზულება – „განახლებული სიცოცხლე“, – რომელიც 1919-1920 წლებში დაიმუშავდა. 〈მასში, კერძოდ, საუბარია თბილისში სომეხთა ერთ-ერთი თავშეყრის შესახებ, რომელსაც სომხურის მცოდნე ერთი ქართველი მწერალიც ესწრებოდა (იქ მყოფმა ყველა სომეხმა არ იცოდა, მათ შორის ქართველიც თუ იმყოფებოდა). სომხებმა პრეტენზია განაცხადეს თბილისზე.

„–განა ისტორიულად ქალაქი თბილისი ქართველების არ არის? – იკითხა ქართველმა მწერალმა.

–რომელი ისტორიით? – ჰკითხა ტიგრანმა.

–ქართველების სისხლითა და ოფლით რომ დაიწურა, –მოუგოქართველმა მწერალმა.

– დღეს კი ისტორია ოქრო-ვერცხლად იწერება...

შეხეთ, ჩვენი (სომხებისო-გ. კ.) თბილისი როგორ ივსება ქართველებით.

სომხებმა უნდა მოვსპოთ ქართველები, რადგან საქართველოში სომებთა წინსვლას ეღობებიან, ხელს უშლიან!

– საქართველო უნდა მოკვდეს და მოკვდება კიდეც! – სოქვა ტიგრანმა“.

აღნიშნულ კრებაზე კახეთში მცხოვრებ ერთ სომებს განუცხადებია; „სიღნაღისა და თელავის მაზრებში მოფანტული სომხები საუკეთესოდ არიან მოწყობილნი, მთელი ხალხი ხელში ჰყავთ და, საითაც

უნდათ, იქით მოულრეცენ კისერს.... იქაც კი, საცა ვითომ ქართველები გამგებლობენ, ჩვენი კაცები გვყავს შეჩენილი და ჩვენს უნებლიერ ერთი ნაბიჯიც ვერ გადაიდგმება. სწორედ ამას უნდა მივაწეროთ, რომ საქართველოს ჯარის შეკრება სავსებით ვერ მოხერხდა....ჩვენის ამხანაგების ჩაგონებით ქართველი გლეხის შვილები ან არ შედიან სამხედრო სამსახურში, და თუ როგორმე ჩაიყვანეს, ტანისამოსს ჩაიცვამზე, ფეხსამოსს მიიღებენ, იარაღს ჩაიბარებენ და უკანვე ბრუნდებიან....

ჩვენი აგნტებიც მუშაობენ და ხალხში ავრცელებენ მთავრობისად-მი ზიზღს“.

ქართლში მცხოვრებ სომეხთა წარმომადგენელს უთქამს: „სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პროპაგანდისტთა ჩაგონებით და ჩვენი მცდელობითაც ხალხს ამორცებილი აქვს სამშობლოს სიყარული და საქართველოს სახელი. ხალხი ორ ბანაკად გავყავით და ერთი მეორეს ესისინება.“

ტერტერას მოუხსენებია კრებისთვის: „კარგა ხანია, თითქმის ოცდაათი წელიწადი, რაც მთელ საქართველოში ჩვენი სჯულის და გვარ-ტომის გამავრცელებელი სულის მამანი დავგზავნეთ... ჩვენის ტერტერების სასახლოდ უნდა ითქვას, რომ საქმეც კარგად მი-დის. ბევრ ადგილას შეგხვდებათ დედ-მამა ნამდვილი ქართველი ტეტიები, სომხერი ენის არც ერთი სიტყვის მცოდნე, მაგრამ შვილები კი სომხურ წეს-რიგზე აღზრდილი.... რა წუთსაც მიბრძანებთ, მაშინვე თავს დავესხმით თბილისს და ქართველებს მძინარეებს ამოწყვეტ! – დააბოლოვა რიხიანად, აღტაცებით ტერტერამ.“

თბილისის საბჭოს ხმოსანს, დეპუტატს, პარონ ხაჩოს განუცხადებია: „დგება მომენტი, როცა სომხის ერმა ფრთები მძლავრად უნდა გაშალოს თავის ფართე მიზნების მისაღწევად, უკეთეს დროს ვეღარ ნახავთ, საქართველოს დამოუკიდებლობის შექმნა ვერ კიდევ ჩანასახშია, თუ მოვსპობთ ახლა, თუ არადა, მერე გაძნელდება“. ი. იმდაშვილი განაგრძობს: „ბრძოლის ველზე ქართველთა რაზმის უფროსმა ოფიცერმა უცაბედად წამოიძახა:

– ჩვენმა მთავრობამ გაგვიდა, უეჭველად გაგვიდა! თორემ სად გაგონილა ასე უპატრონოდ მიტოვება ხალხისა, გხოცავდნენ, შენ კი არ შეგძლოს პასუხის გაცემა. სად არის მაშულის ღირსების დაცვა? ფური, ამისთანა ნაძრახ სიცოცხლეს!“.

პორუჩიკმა „კორძაიმ დახედა და ნახა – დამით სომხებს და-

ეტიტვლებინათ და შეებილწათ მუხანათურ თავდასხმაში დახოცილი ქართველი ოფიცერ-ჯარისკაცები. აგერა, ტიტლიკანა მეომარი, რომელ-საც სასირცხვილო ასო მოჭრილი აქვს და პირში სჩრია... აგერ, ცხვირმოჭრილები მთლად გატიტვლებულებული, აგერ შებით თვალებჩათხრილი, აგერ, ასო-ასო აკუწულნი...“

ღვთის მადლით, მამულიშვილები, ერისკაცები იმ დროსაც საქმაოდ მოიძენებოდნენ ქართველთა შორის. ხალხიც, რიგითი ქართველებიც აღაშტოთა სომეხთა ვერაგობამ და მალე ქართველთა ჯარი მაზნიაშვილის მეთაურობით შეტევაზე გადავიდა, სომხებს უკან დაახვინეს (ქართულმა ჯარმა გამანადგურებელი შეტევა განავითარა და მიუახლოვდა ერევანს – ა.უ.). ამ დროს საქმეში ჩაერია ინგლისი და ომი შეწყდა. ინგლისის მოთხოვნით ლორე-ტაშირი ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. ამით საფუძველი ჩაეყარა ლორე-ტაშირის ჩამოშორებას საქართველოსაგან. 1921 წელს ბოლშევკურმა რუსეთმა მოგლივა ლორე-ტაშირი საქართველოს და სომხეთს გადასცა ისევე, როგორც საინგილო – აზერბაიჯანს.

რუსეთის ხელისუფლების ანტიქართული პოზიცია გასაგებია, მაგრამ ინგლისი რაღას გვერჩოდა? საქმე ისაა, რომ დიდი სახელმწიფოები, კერძოდ, ინგლისიც, ცდილობდნენ ჩარულიყვნენ თურქეთის იმპერიის საქმებში, თურქეთში მცხოვრები სომხების საკითხის გადაწყვეტაში. ამას შედეგად მოჰყვა სომეხთა გენოციდი თურქეთში, სომხეთს დიდმა სახელმწიფოებმა ვერ უშველეს. მაშისადამე, ბრალი სომეხთა გროციდში ინგლისსაც დღებოდა. ამასთანავე, ინგლისი კვლავ ფიქრობდა სომეხთა საკითხის გამოყენებას თურქეთის იმპერიის გადანაწილების, ამ სივრცეში თავისი გავლენის მოპოვების მიზნით. ამიტომაც საქართველოს ხარჯზე ინგლისმა მოიწადინა სომხების გულის მოგება.

სომხები დღემდე წერენ, რომ 1818 წლის ომში ჩვენ გავიმარჯვეთ, ქართველებს ჭკუა ვასწავლეთ, სომხების შიში ჩავუნერგეთო. ამით ისტორიას აშკარად აყალბებენ, ისევ და ისევ ჩაგონებენ თავიანთ თანამემამულებს, რომ ქართველები არასრულფასოვანი ხალხია. ფაქტობრივად, ერსაც არ წარმოადგენენ, გადაშენების პირას დგანან და სომხებმა კვლავ უნდა ვიფიქროთ საქართველოში ჩვენი წილის მიღებაზეო“ [21].

«დაშნაკების მიერ წამოწყებულმა ამ ძმათა სისხლისღვრამ სომხ-

ეთს წარმატება ვერ მოუტანა. ინგლისის საოკუპაციო ჯარის სარდლობამ შეაჩერა ქართული ჯარის ძლევამოსილი სვლა და შუაში ჩადგა. ისიც ვიცით, ახლა გამოჩნდნენ სომები ვაი ისტორიკოსები და „ამტკიცებენ“, ვითომ, სომებთა ჯარმა თბილისიც კი აიღო და ა. შ. ამგვარი ყალბი ისტორიებით ფონს ვერ გახვალთ, ხალხს თვალში ნაცარს ნუ აყრით, სიმართლეს ვერ დამალავთ... ხსენებული სომხური დაშმაკური ე. წ. ისტორიული და სახელმწიფო რუკა არის ერთ-ერთი სამარცხვინო ღოკუმენტი ქართველი და სომები ხალხის ურთიერთობის ისტორიაში.

ახლა ვნახოთ, პარიზსა და სან-რემოს კონფერენციაზე რა პრეტენზიებით გამოვიდნენ სომები დაშნაკი პოლიტიკოსები – 1919 წელს სომხეთის დელევაცია პარიზში დაუინებით ითხოვდა სომხეთის საკუთრებაში სამხრეთ საქართველოს ტერიტორიას და იმასაც, რომ მიეცათ მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა პარიზში სომხეთის სახელმწიფო რუკა, სადაც მის საზღვრებში მოქცეული იყო მტკვრის მთელი მარცხნა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით.

„ამიერკავკასიის საკითხი იდგა კონფერენციაზე, რომელიც 1920 წლის აპრილში შეიკრიბა სან-რემოში. თავისი ძველი პრეტენზიებით კვლავ გამოვიდა დაშნაკური სომხეთის დელევაცია, რომელმაც მოითხოვა ბათუმის ოლქის ნაწილი, სახელმობრ, ჭოროხის მხარე, რათა რკინიგზით შავ ზღვაზე გასასვლელი ჰქონდა. საქართველოს დელეგაცია წინ აღუდგა ამ უკანონო მოთხოვნებს, გააქარწყლა მათი საბუთიანობა“ (ა. და პ. სურგულაძეები – საქართველოს ისტორია (1783–1990 წწ., გვ.222. 223.). როგორც ვხედავთ, დაშნაკებს გვარიანი მადა ჰქონიათ ქართული ტერიტორიების მისატაცებლად. მათზე ნაკლები მადა არ აღმოჩნდათ სომებს ბოლშევიკ ხელმძღვანელებს, რომელნიც საბჭოთა პერიოდში ანალოგიურ დაშნაკურ მოთხოვნას უყრებდნენ საქართველოს მთავრობას. პრეტენზის თბიექტი კვლავ ჯავახეთი იყო.

სიმართლე არ აინტერესებს აღექსანდრე ქანანიანს, რადგან მისი „ნაშრომის“ მიზანია არა სიმართლე ჯავახეთის ისტორიის შესახებ, არამედ ამ სიმართლის გაყალბება და, რაც მთავარია, ამ მხარის სომხურად გამოცხადება. მაგრამ ამით არ ამოიწურება აღ. ქანანიანის – ამ XXI საუკუნის ხანჯიანის – დაშნაკური აგრესიული ზრახვანი

საქართველოსადმი. ასე, ხელის ერთი დაკვრით, ჯავახეთი მიისაკუთრა თავისი ჭკუთ, ახლა ქვემო ქართლს მიადგა და ორიოდე სტრიქონით ეს პრობლემა „გადაჭრა“, რა თქმა უნდა, სომხეთის სასარგებლოდ – „ჩრდილო აღმოსავლეთი გუგარქი, ბოლნოფორი, ქვიშაფორი, წობოფორი, კოღმოფორი, მანგლიაცფორი (ანუ დღევანდელი საქართველოს ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს რაიონები), პრაქტიკულად, თურქეთი ეთნიკური ელემენტებით არის დასახლებული. თუმცა ასობით სომხური ეკლესია, მრავალი ასეული სომხური წარწერა (რომელთა უმრავლესობა უკალოდ გაქრა XX საუკუნის 30-იან წლებში ქართველ მეცნიერთა „კვლევის“ შედეგად) ნათლად მეტყველებს ამ ტერიტორიაზე მცხოვრებ ძირითად ეთნიკურ ელემენტებზე. ყოველ ათ შუასაუკუნოვან სომხურ ეკლესიაზე (რომლებიც, ფაქტობრივად, უბრალო ნაგებობებია, უბრალო ხალხის ნაშენი) ერთი ქართული ეკლესია მოდის – დიდი და ძიდიდრული. ეს კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იმ გარემოებას, რომ ქართულ ეკლესიებს სახელმწიფო აშენებდა, ამგიდრებდა რა სომხურ ტერიტორიებზე ბიზანტიურ მართლმადიდებლობას. მიუხედავად ყოველივე ამისა, დაშნაკები მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახეთისა და ლორეს მიერთებას მოითხოვდნენ სომხეთისათვის“

ჯერ ერთი, ქართული და სომხური ეკლესიების ასეთი რიცხობრივი შეფარდება ქვემო ქართლში საიდან აიღო, წყაროს არ ასახელებს; მეორეც, ამ ამონარიდის მიხედვით კიდევ ერთხელ ვარდება წინააღმდეგობაში. და, აი, რატომ – სომხური ეკლესიების სადა და სოფლური ნაგებობანი მათ სიძველეს კი არ მოწმობს, არამედ სიახლეს. ისინი შეა საუკუნეებში (ამას ქანანიანიც არ უარყოფს) ქვემო ქართლში სომხეთა მასიური მიგრაციის შემდეგ ააშენეს. ამ დიდი მიგრაციის მიზეზი ცნობილია: თუნდაც ის, რომ ბოლნისის სიონი აშენებულია V ს-ში. მრავლისმეტყველი ფაქტია წესიერი ისტორიკოსისათვის. ამ დროსაა შესრულებული ბოლნისის უძველესი ქართული წარწერები (480-493/494წწ.) სხვას რომ თავი დავანებოთ, მარტო ეს ფაქტი მოწმობს ამ მიწის ძირძველ ქართულობასა და იქ ქართული ზუროთ მოძღვრული ძეგლების ოდითგანვე არსებობას.

„მიუხედავად ყოველივე ამისა, დაშნაკები მხოლოდ სომხებით დასახლებულ ჯავახეთსა და ლორეს მიერთებას მოითხოვდნენ სომხეთისათვის“. აღ. ქანანიანის „მიუხედავად ყოველივე ამისა“, ნიშავს – მართალია, ქვემო ქართლი, ტაო-კლარჯეთი და ა.შ. წმინდა სომხური

მიწებია, მაგრამ დაშნაკებმა ვერ გამოიჩინეს პრინციპულობა და მარტო ჯავახეთი და ლორე-ტაშირის ტერიტორიები „მოსთხოვეს“ საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას.

რამდენად სამართლიანი იყო ეს „მოთხოვა“?

ქართული მიწის – ლორეს – სომხეთისათვის გადაცემის ისტორია ასეთია: როცა სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ განიცადა მარცხი საქართველოსთან ბრძოლაში, მაშინ გაფორმდა საქართველოსა და სომხეთს შორის საგანგებო შეთანხმება. ამ შეთანხმების ძალით, ბორჩალოს მაზრის ლორეს ტერიტორია ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. მის ჩრდილოეთ ნაწილში უნდა ყოფილიყო ქართული ჯარის შენაერთი, სამხრეთში კი – სომხური.

ეს შეთანხმება, მართალია, დაიდო, მაგრამ ადგილობრივი მოსახლეობა მოითხოვდა საქართველოსთან შეერთებას. ამის საბუთია 1919 წელს საქართველოს დამფუძნებელი კრების სახელზე შედგენილი ლორეს მოსახლეობის ოფიციალური მიმართვა: „უხსოვარ დროის მართლმორწმუნეთა ტაძრები, ძეგლები და სასაფლაოები, რომლებიც ჩვენში აქადე უცნებდადა დაცული, უეჭვოდ ამტკიცებს, რომ ლორეს სამუსლიმანო რაიონი მუდამ განუყრელი ნაწილი იყო საქართველოსი და ამ რაიონის მოსახლენი ბურჯად იდგნენ საქართველოს საზღვრების სიმტკიცისათვის. საქართველოს მთავრობა ლორეს რაიონს, რატომ-დაც, ვითომდა, სადაო ტერიტორიად თვლის საქართველოსა და სომხეთის შორის, რაც ძლიერ დამღებულება მდგომარეობაში გვაყენებს. ჩვენ ტფილისთან ვართ დაკავშირებულნი ეკონომიკურად, პოლიტიკურად, სულიერად და ყოველმხრივ. ამიტომ მისგან ჩამოშორება არ შეგვიძლიან. ვთხოვთ საქართველოს მთავრობას, ყოველგვარი ზომები მიიღოს ჩვენს დაუყოვნებლივ საქართველოს ტერიტორიისათვის მისაერთებლად“ (ჯაბა სამუშა – „სტალინმა ოლქი დაუთმო“ გაზ. „კორჯიან ტაიმსი“, 2003, №5).

ამგვარი დოკუმენტის არსებობის შემთხვევაში ნებისმიერი გონიერი მთავრობა დაიკავებდა ლორეს ტერიტორიას. ეს არ გაკეთა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ და აღებულ ვალდებულებებს პუნქტუალურად ასრულებდა. მან ლორეს სადაო ტერიტორია მხოლოდ სომხეთის დაშნაკური მთავრობის თხოვნით დაიკავა 1920 წელს. მაგრამ ბოლშევიკური რუსეთის მე-11 არმიის მიერ საქართველოს რესპუბლიკის ოკუპაციის დროს – 1921 წელს,

ისარგებლეს არეულობით და სომხეთი ბოლშევიკები უცერემონიოდ დაეპატრონნენ ლორეს. ამით მათ მადა გაეხსნათ და ლორეს მისაკუთრების შემდეგ ჯავახეთს წაეპოტინნენ, მაგრამ, მადლობა ღმერთს, ეს არ გამოუვიდათ. სამაგიეროდ, ამჟამად ცდილობები დაშნაკები „შეცდომის გამოსწორებას“ და ჯავახეთს კვლავ მიუბრუნდნენ.

აյ ბუნებრივად ჩნდება კითხვა – დღეს ვის სჭირდება საკითხის ხელახლა წამოჭრა? – ასე დაიწყეს აფსუა და ოსმა სეპარატისტმა ვაიმეუნიერებმა მტკიცება, იმისა, რომ ისინი მოსულები კი არ არიან ქართულ მიწაზე, არამედ აბორივენები „ბრძანდებიან“. შეთხზეს ვითომ მეცნიერული ისტორიები და სხვა» [25].

დამნაკური ომის გაგრძელებად უნდა მივიჩნიოთ სომები ბოლევიკთა მონაწილეობა აფხაზეთის ოში. «პარუორ მურადინი აფხაზეთში ბაგრაძიანის ბატალიონის სომები ბოლევიკების ქართველთა გენოციდში მონაწილეობის გამართლებას ცდილობს საქართველოს ისტორიიდან მოტანილი შემდეგი ფაქტები – კახელები და ქართლელები, იმერლები და გურულები და სხვანი ერთმანეთს ხომ ებრძოდნენ.

XIX საუკუნეში თურქეთიდან აფხაზეთის ძირდველ ქართულ მიწაზე გადმოსახლებული (თუ ვინ და როგორ მოახდინა მოტყუებით მათი გადმოსახლება ქართულ მიწაზე, ამაზე სხვა დროს) პამენელ – სომხების მიერ მასპინძელ, მშვიდობიან ქართველთა სადისტური წამების, ხოცვა-ულეტის და გენოციდის გამართლება უზნეობა და უსინდისობაა. კიდევ უფრო შორის მიდის მურადინის თანამემამულე ვიღაც პაიკაზუნ აღვრციანი, რომელიც თავმოწონებით და სიამაყით წერს – ამ ოში ასეულობით სომები დაჯილდოვდა ორდენით და მედლით; ხოლო 20 სომებს მებრძოლს მიენიჭა აფხაზეთის გმირის წოდება (იხ. კრებ. „მშობლიური ჯავახეთი“ 2002; გვ. 383. ბეირუთი, სომხურ ენაზე). კარგი, სომებმა ბოლო კერძობის გენერალი ბრძოლის დროს, მაგრამ ომის შემდგომ პერიოდშიც გალის რაიონში მშვიდობიანი ქართული მოსახლეობის მიმართ იგივე სიმხეცე და დაუნდობლობა გამოიჩინეს – დანაშაულს დანაშაული დაუმატეს...

აფხაზეთი საქართველოსთვის იგივეა, რაც სომხეთისთვის ყარაბალი, – წერს პარუორ მურადიანი. ყარაბალი რუსის ხიშტის წყალობით სომხეთმა წაართვა აზერბაიჯანს და თვითმარჯვია რესპუბლიკად გამოაცხადა. თანაც ყარაბალი არის უძველესი ალბანური მიწა. აფხაზეთის ანექსია რუსეთმა უცერემონიოდ მოახდინა, ძირძველი ქართუ-

ლი მიწა ჩამოაჭრა საქართველოს და გამოაცხადა თვითმარქებია აფხ-
აზეთის რესპუბლიკად. ასე, რომ ეს შედარება ზუსტი არ არის.
მურადიანს „დაავიწყდა“ მისი მეგობრის თუ მოწაფის სამველ კარაპე-
ტიანის ნაშრომი – „**ჰინდაბადის ასაკის 1988-1998 წლების ებრძობის**“
ესახელით 1998 წელს გამოიცა. ამ მოწაფის მიერ და მისი მეგობრი
არ არის არა მურადიანი ასაკის 1988-1998 წლების ებრძობის მიერ და მისი მეგობრი.

2002 წელს ბეირუთში გამოცემულ კრებულში – „მშობლიური ჯავახეთი“ (ჰაირნი ჯავახქ) მოთავსებულია ერევნის სახელმწიფო სამსახურო აკადემიის დოკტორ ჰაიკაზუნ ალვრციანის შრომა – „აფხ-აზეთის სომხური თემი“. მას მეცნიერული გამოკვლევის პრეტჩნზია აქვს და, ბუნებრივია, საკმაოდ ვრცლად განიხილავს აფხაზეთის სომხური თემის ისტორიას, რაც, სამწუხაროდ, არაობიექტურად არის წარმოდგენილი. თუნდაც ის ფაქტი, რომ ჰ. ალვრციანი არ განიხილავს და თითქმის დუმილით გვერდს უვლის XIX საუკუნეში სომხების აფხაზეთში ჩასახლების ისტორიას, მეტყველებს მის ტენდენციურობაზე.

თუ როგორ დასახლდნენ ჰამშენელი სომხები აფხაზეთში, ამის შესახებ მოგვითხრობს ივ. ჯავახიშვილი: „XIX საუკუნის სამოციანი წლებიდან მოყოლებული, რუსეთის პოლიტიკური წრეები ყოველ ღონეს ხმარობდნენ, ამიერკავკასიაში მოსახლეობა გაერუსებინათ. ამავე დროს, რუსეთი პოლონეთის გარუსებას ცდილობდა, მაგრამ რუსი პოლიტიკოსები დარწმუნდნენ, რომ არ ჰყავდათ იძღვნი ხალხი, გასწვდომოდნენ. სწორედ ამ დროს სომებმა მოღვაწემ ქანანოვმა საკოლონიზაციოდ, შავი ზღვის დასასახლებლად, სომხების გადმოსახლების პროექტი წამოაყენა. მ. კატეკოვმა ამ აზრს, რუსი კოლონისტების სიმცირის გამო, მხარი დაუჭირა და პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნით მიზანშეწონილად მიიჩნია: „სომხები ჩვენი ერთგული მომხრეები იქნებიან და, ვითარცა ვაჭარი ხალხი, თან უულსაც მოვეოტანენ“, - ამბობდა მ. კატეკოვი. ამ აზრს, ისეთი გავლენიანი რუსი შავრაზმელის დასტურის შემდგომ, როგორიც კატეკოვი იყო, მთავრობის ადგილობრივი უძალე-სი წარმომადგენლობა მიემსრო და დასახლებას შეუდგა. სომხებთან

ქრთად გერმანელების და ესტონელების ჩამოსახლებასაც მიჰყევს ხელი...
 ქართველმა მწერლებმა და საზოგადო მოღვაწეებმა საბჭოთა პე-
 რიოდში (50-60-იანი წლები) განგაში ატექს სომებთა ფარულ მი-
 გრაციაზე აფხაზეთში, რასაც ფარულად ხელს უწყობდა საბჭოთა
 სომხეთის მთავრობა. ასე ხდებოდა აფხაზეთის ძირმელი ქართული
 მიწის უკანონოდ ათვისება. მართალია, გამოქვეყნდა მამზილებელი
 წერილები, მაგრამ საბჭოთა საქართველო კრემლის შიშით ჯერ დუმ-
 და, შეძლევ სულაც უარყო ეს ფაქტი. ახლა პ. ალვრციანის ნაშრომით
 გაირკვა, რომ მაშინდელმა საბჭოთა საქართველომ შეკრებულად დამა-
 ლა სომებთა მალული მიგრაცია აფხაზეთში. აი, რას წერს თვითონ პ.
 ალვრციანი: „აღსანიშნავია, რომ ამ დროს (50-60-იან წლებში) სომხ-
 ეთიდან და ჯავახეთიდან უამრავი სომები გადასახლდა აფხაზეთში“.
 როგორც ჩანს, საბჭოთა საქართველოს მაშინდელმა მთავრობამ ან-
 გარების ან სკამების დაკარგვის შიშით მიაჩუმათ ეს საქმე, კიდევ
 ერთხელ გამოამუშავნა ანტიეროვნული სულისკვეთება, სამაგიეროდ,
 საბჭოთა ხალხების მეგობრობა ქართული მიწების გაცემის ხარჯზე
 „განამტკიცა“.

3. ალგორითმის ნაშრომის ერთ-ერთი ქვეთავია – „არცახის (ყარა-ბაღის) მოძრაობის შემდეგ“. აი, რას წერს სომხეთი ავტორი: „ყარა-ბახის გათავისუფლებისათვის ბრძოლამ ახალი სუნთქვა და ახალი სული ჩაბერა აფხაზეთის სომხურ თემს, ყარაბაღელი ძმების დასახ-მარებლად შეიქმნა სხვადასხვა კავშირი. მათ თავი მოიყარეს და გაერთიანდნენ კულტურულ-საქვემდოქმედო ორგანიზაცია „კრუნკ-ის“ გარშემო. გამოგიდა გაზეთი „კრუნკ“ (წერო), რომელმაც განამტ-კიცა კავშირი სომხეთთან“. აქვე შევნიშნავთ, რომ „ყარაბაღელმა ძმებმა“ ამ დახმარებისათვის აფხაზეთის თემის სომხებს სამაგიერო მადლობა იმით გადაუხდეს, რომ აფხაზეთში იბრძოდნენ ქართველების წინააღმდეგ და აქტიური მონაწილეობა მიიღეს მშვიდობიანი ქართველი მოსახლეობის გენოციდში. ამავე დროს, ასეულობით ყარაბაღელი სომხეთი „მებრძოლი“ ჩაასახლეს თურმე ქართველ ლტოლვილთა სახლებში, გაგრაში.

ყოველივე რა საბედისწეროდ დამთავრდა ქართველთათვის, დღეს ყველა ვხედავთ. ამიტომ დასაწყისშივე უნდა გამზილოთ მეცნიერ-პროფესიულობები - ს. კარაპეტიანი, აღ. ქანანიანი და მათი შვაგაუსნი. სააშკარაოზე უნდა გამოვიტანოთ და ამოვშანოთ მათი ავი ზრახვები

და არ მივცეთ საშუალება, ბოროტების ფესვმა იხაროს და წელი წამოიძაგროს. საქართველოს შეცდომის უფლება აღარ აქვს!» [25].

3. ნეოდაშნაკები, ანუ – ჩვენი დროის დაშნაკები

ამჟამად მიმდინარეობს დაშნაკური დეფექტისა და პოლიტიკის აღორმინება ჯავახეთში. ამ მოვლენასთან კავშირში უნდა განვიხილოთ პირველ თავში აღნიშნული გასული წლის ნოემბრის ბოლოს თბილისის საერთაშორისო სიმბოზიუმზე გაკეთებული ისახანის მოხსენება, სახალხო დამცველის, ბ-ზ სუბარის გამოსკელა საქართველოს პარლამენტში, ამ წლის დასაწყისში ახალქალაქში განვითარებული მოვლენები და სხვა. აშკარაა, სომხეთა წარმომადგენლები „ნეოდაშნაკიზმის“ ასაღორძინებლად იღწვიან.

«ამ რამდენიმე წელის წინ გამოცემლობამ „საარქივო მასალები“ გამოსცა ბუკლეტი ინგლისურ ენაზე სახელწოდებით „სომხეთის პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრები 1878-1948“. მას ერთვის რუკა №9, რომელიც გადმობეჭდილია 1919 წლის ფრანგულ ენაზე გამოცემული წიგნიდან „სომხეთის რესუბლიკა“... ეს დოკუმენტები არის სომხური ეროვნული იმედის მემორიალური დაფა.

სომხეთის პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრების (1878-1948 წწ.) აღნიშნულ რუკაზე ახალქალაქის და ბორჩალოს რეგიონები სომხეთის ფარგლებშია მოცემული და იქვე მითითებული მოსახლეობის ეთნიკური რაოდენობა. 1829-1830 წლებში ამ ძირძველ ქართულ მიწაზე მკვიდრ მცხოვრებთა უმრავლესობა, თითქმის 90%, ქართველები იყვნენ. ამ მხარეში დემოგრაფიული ბალანსი სომხეთის სასარგებლოდ რუსეთის მუფის მთავრობის ვერაგულმა პოლიტიკამ ხელოვნურად შეცვალა.

ას, რატომ აიღეს რუკის შემდგენლებმა და, მოგვიანებით, ბუკლეტის ავტორმა 1878 წელი და არა 1829-31 წწ. - ის წინა პერიოდი. ამით მათ ჯავახეთისა და მისი მიმდებარე რეგიონების ეთნიკური მონაცემები დაუმალეს მკითხველს. საქმეში ჩაუხედავი ინგლისურ და ფრანგულენოვანი საზოგადოება ირწმუნებს ამ ტენდენციურად წარმოდგენილ დემოგრაფიულ მონაცემებს, სადაც სომხები მკვიდრ მოსახლეობაზე მეტი არიან.

ნიშანდობლივი ფაქტია, ბუკლეტი, რუკა – „სომხეთი: პოლიტიკური და ეთნიკური საზღვრები 1878-1948 წწ.“ და მთელი მასალა მიუღია

საქართველოს რესუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროსაც. საგარეო საქმეთა მინისტრს, თავის მხრივ, მოუმართავს ბატონ ელეარდ შევარდნაძისათვის: „საქართველოს პრეზიდენტს, ბატონ ელეარდ შევარდნაძეს!

ბატონობრივი პრეზიდენტი:

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ მიიღო ინგლისის ერთ-ერთი გამომცემლობის („საარქივო გამოცემები“) სარეკლამო პროსპექტი.

წერილს, როგორც ნიმუში, თან ერთვის 1918 წლის რუკა. ამ რუკაზე უხეშადა დამსინჯებული სომხეთისა და საქართველოს შორის საზღვარი. როგორც ბუკლეტის ავტორი ცხადყოფს, საქართველოს ტერიტორიის მიმართ ავტორებს კადვა უფრო ფართო პრეტენზიები აქვთ.

მოგეხსენებათ, ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ამა თუ იმ გამოცემებში არასწორად არის ნაჩვენები საქართველოს საზღვრები და მისი ტერიტორია. პრინციპულ საკითხად მიგვაჩნია, რომ ასეთი შემთხვევები არ უნდა დარჩეს რეაგირების გარეშე.

დასასრულ, საჭიროდ მიგვაჩნია, მივაკითოთ ოქენი ყურადღება იმ გარემოებას, რომ ჯერ-ჯერობით ვერ მოხერხდა საქართველოსა და სომხეთს შორის სახელწიფო საზღვრის დელიმიტაცია და დემარკაცია. სომხეთის მხარე, სამწუხაროდ, მიუხედავად ჩვენი არაერთგზის სიტყვიერი და წერილობითი შეიახმებისა, აჭიანურებს ამ მეტად მიშენელოვანი სამუშაოების ჩატარებას.

დანართი: თანახმად ტექსტისა 3 ფურცლად.

ღრმა პატივისცემით ორაკლი მენაღარიშვილი“ (გაზ. „საქართველოს სამრეკლო“ 1998, 17-23).

ამ მიმართვაში საგულისხმო და მრავლისმთქმელი ერთი გარემოება იპყრობს ყურადღებას. მინისტრი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სიტყვიერად და წერილობით არაერთხელ მოუმართავს სომხეთის მთავრობისათვის, მაგრამ დღემდე დუმილით პასუხობენ, რაც აშკარად მეტყველებს, რომ სომხეთის რესპუბლიკის მთავრობას არ აკმაყოფილებს საქართველო-სომხეთის დღევანდველი საზღვარი და ელოდება შესაფერის მომენტს, ძირულად გადასინჯოს საზღვრები, რა თქმა უნდა, თავის სასარგებლოდ. არ აკმაყოფილებთ, ქართველმა ბოლშევკიებმა ძირძველი ქართული მიწა – ალავრდი, ლორე, ტაშირი – სომხეთს რომ მიართვეს. იკიან, ჯავახ-

ეთის გადაცემა არ მოხდება მოლაპარაკების გზით. ამიტომ დაშნაკთა ოცნების განხორციელებას ძალით ფიქრობენ, რისთვისაც მზად არიან რუსეთის წყალობით. აი, ეს არის მიზეზი, რომ დღესაც სომხეთის მთავრობა ფეხს თორევს და სასაზღვრო მოლაპარაკებაზე არ მოდის.

ახალი დამთავრებული მქონდა ნაშრომი, როცა ხელში ჩამივარდა ფრანგულ ენაზე შესრულებული საპროექტო ნახატების მთელი ტომი, რომელსაც ყდაზე აწერია: ტასისის – თანამშრომლობისა და კოორდინაციის პროგრამა: მელრი-ერევანი-გუმრი (ყოფილი ლენინაკანი, ბ.ა.) – ბათუმის საგზაო დერძის მშენებლობა.

პროექტში აღნიშნულია, რომ ამ გზის გაყვანას სომხეთის რესაუბლივისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. მასში გარკვევით არის მინიშნებული, რომ პროექტის განხორციელებით, აგრეთვე, დაზუტყრესებული არიან ირანი, შავი ზღვის აუზის ქვეყნები და დასავლეთ ევროპის ცალკეული სახელმწიფოები.

რამდენადაც ჩვენთვის ცნობილია, პროექტის შედეგნისას საქართველოს გზატკეცილების სამინისტრო საქმის კურსში არ ყოფილა და მას არავინ შეთანხმებია. მაგრამ, შეუძლებელია, არ ითქვას ერთი დაუზუსტებელი ცნობის შესახებ: 1980-იან წლებში გამოურნა ინფორმაციამ, თითქოს, მაღალიჩნოსან კომუნისტ ფუნქციონერს პროექტზე თანხმობის მისაღებად რამდენიმე მილიონ დოლარამდე შესთავაზეს. ეროვნულმა მოძრაობამ და შემდგომმა მოვლენებმა მის განხორციელებას ხელი შეუშალა. ამ პროექტზე კვლავ ხმაური ატყდა – რამდენიმე წლის წინ პრესაში გამოქვეყნდა წერილები, სადაც იგი უარყოფითად იქნა შეფასებული (რ. ბარამაძე).

უნდა ითქვას, პროექტის რეალიზაციის შემთხვევაში მოხდება არაქართული მოსახლეობის კიდევ უფრო მოზღვავება და დასახლება ამ საგზაო დერეფნის გასწვრივ – რასაკირველია, შესაბამისი დემოგრაფიული მატებით.... დღეს კი მხედველობაშია მისაღები, რომ რუსეთის მიერ კბილებამდე შეიარაღებული სომხეთი დამოკიდებულია საქართველოს სარკინიგზო გზაზე, რაც მას აკავებს და აიძულებს, არ გადაიჭრას სასიცოცხლო არტერია და გაუფრთხილდეს საქართველოსთან ურთიერთობას, ასე თუ ისე, მეზობლობა შეინარჩუნოს. თუ გავითვალისწინებთ სომხეთის რესპუბლიკის სათავეში საქართველოსადმი ისტორიულად აგრესიულად განწყობილი დაშნაკების პარტიის მოსვლის შესაძლებლობასაც, მაშინ უნდა ველოდოთ,

რომ ისინი გამოიყენებენ უახლოესი წარსულის გამოცდილებას და ყოველგვარ ძალადობაზე წავლენ საქართველოს მიმართ. მათ ამ ე.წ. დერეფნის წყალობით (მელრი-ერევანი-გუმრი-ნინოწმინდა-ახალქალა-ქი-ახალციხე-ადიგენი-ბათუმი) ხელ-ფეხი გახსნილი ექნებათ, ჩვენ კი გაგვიჭირდება ქმედითი საპირისპირო ფაქტორების ამუშავება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთმა ქართველემა (ბ-ნ ასლან აბაშიძემ) ამ პროექტს მხარი დაუჭირა, რაზეც ვერ დავთანხმებით. ეს პროექტი დაშნაკთა ძველი სურვილების აღორძინებაა, კერძოდ: „1919 წელს სომხეთის დელეგაცია პარიზში დაფინანსით ითხოვდა სომხეთის საკუთრებაში ეცნოთ საქართველოს ტერიტორია და მიეცათ მისთვის შავ ზღვაზე გასასვლელი. სწორედ ამ დროს დაიბეჭდა პარიზში სომხეთის სახელმწიფო რეუა, სადაც მის საზღვრებში მოქცეული იყო მტკვრის მარცხნა მხარე გორისა და თბილისის ჩათვლით“.

ის, რასაც ვერ მიაღწიეს დაშნაკებმა 80 წლის წინ, ცდილობენ, დღეს განახორციელონ. ამის დასტურია აღნიშნული საგზაო პროექტი – მულრი-ერევანი-გუმრი-ნინოწმინდა-ახალქალა-ქი-ახალციხე-ადიგენი-ბათუმი. ამ მიზანს ემსახურებიან ჯავახეთში მოქმედი პარტიები „ჯავახექ“ და „ვირქ“. ეს ორგანიზაციები სხვადასხვა ხერხით ცდილობენ ძველი მიზნის ასრულებას, რაც გამოიხატება ჯერ ჯავახეთის ავტონომიასა და მერე მის სომხეთთან მიერთებაში. საბოლოოდ, „მადა ჭამაში მოდის“ და „დიდი სომხეთის აღდგენაში“ (იხ. აკად. ლენდორუშ ხურმედიანის სტატია – „სომხეთის ეროვნული იდეოლოგია: არსი და შინაარსა“. მასში წარმოდგენილია „დიდი სომხეთის“ ეტაპობრივი აღდგენის გეგმა ძალის გამოიყენებით (გაზ. „კავკასიონი“ 1999, 17-23 თებერვალი).

1998 წლის 12 აგვისტოს ახალქალაში აბულის მთაზე სასწავლო მანევრირებისათვის მიმავალი ქართული ჯარის ნაწილები ორიოდე ათეულმა შეიარაღებულმა სომხება არ გაატარა და ისინიც იძულებული გახდნენ, უკან გამობრუნებულიყვნენ. როგორი საქმეა – ძირძველ ქართულ მიწაზე გუმინდელმა ჩამოსულმა ხიზანმა ქართული ეროვნული ჯარი არ გაატარა. საქართველოს ტელეგიზის ერთერთმა არხმა გადმოსცა დაშნაკური საზოგადოება „ჯავახექ“-ის ერთერთი ლიდერის, ვინმე ერვანდ შირიანის ინტერვიუ „ლიდერმა“ დაშნაკების მრავალწლიანი მიზანი, რის შესახებაც ივ. ჯავახიშვილის

ზემოხსენებულ სტატიაშია ლაპარაკი, დაუფარავად, პირდაპირ ამცნო საზოგადოებას. მან განაცხადა: „მოვითხოვთ ავტონომიას, სომხები მოსულები არ ვართ, ოდითგანვე ვცხოვრობდით ჯავახეთში(?!“. მან სომხური ენის რაღაც პრიორიტეტზე ილაპარაკა და განაცხადა: არავითარი ქართული ჯარი აქ არ იქნება. ისინი – ე. ი. „ჯავახქ“-ის წევრები და ჯავახეთის სომხობა ენდობა იქ მდგომ რუსის ჯარს!

„ჯავახეთის სომხობა მხარს გვიჭრსო, „ზარტია ცა ზარტ“ და ა. შ. კიდევ მეტი, გაზეთ „ჯავახქ“-ის ფურცლებზე გამოქვეყნდა ე. წ. ჯავახქის რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტი.

„კონსტიტუციის“ 31-ე პუნქტით – „არავის, არცერთ ორგანოს, არა აქვს უფლება, ავტონომიურ რესპუბლიკა „ჯავახქ“-ს დაუშალოს სომხეთის რესპუბლიკასთან ეკონომიკური, საგაჭრო, რელიგიური ურთიერთობა“. ე.ი. ფორმალურად არა, მაგრამ ფაქტიურად სომხეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა ქართველ წინაპართა სისხლით მორწყელი ძირიგველი მიწა და რუსთაველის სამშობლო. ქართველი პოეზიის დღე შემოდგომით სომხეთში უნდა ვიზეიმოთ, თუ ნებას დაგვრთავენ. ერთი სიტყვით, თუ ეს პროექტი განხორციელდა და შავ ზღვამდე მივიდა, ჩაიძირება, ნახევარი კი არა, მთელი საქართველო.

ამ დღეებში (2002 წლის მარტი) საინფორმაციო საშუალებებმა ასეთი ცნობა გადომსცეს – სომხურმა პოლიტიკურმა პარტია „კირქმა“ შეიცვალა სახელწოდება და მას ეწოდა „დაშნაკცუთიუნი“. ეს ფაქტი მოწმობს იმას, რომ დაშნაკებმა საქართველოში ნიღაბი ჩამოიხსნეს და აშკარა მოქმედებაზე გადავიდნენ.


ისე კი, ეტყობა, ისტორიის მწარე გაკვეთილებმა დაშნაკებს ჰქუავერ ასწავლა და „დიდი სომხეთის“ აღდგენას ყარაბალის თვითმარქვია რესპუბლიკით და ჯავახეთით ცდილობენ. ისინი ამ მანიაკურ იდეას თავს ახვევნე ჯავახეთის სომხურ მოსახლეობას, რომელთა უმეტესობა არ არის ავტონომიის მომხრე. მედია, სომეხი ერი გამოიჩინს ჩვეულ სიბრძნეს და არ აყვება დაშნაკთა და მის მსახურთა უსაზღვრო ამბიციებს. დაშნაკების პარტიის ბეცი პოლიტიკის შედეგი იყო სომეხთა ტრაგედია, გენოციდი 1915 წელს....» [25].



თავი VI

სომეხთა სარწმუნოებისათვის

1. შეაგონებდნენ სომეხთა



სომეხთა მწვალებლობაში შთავარდნის შემდეგ დაპირისპირება სომხურ და ქართულ ეკლესიებს შორის მრავალმხრივ განსაზღვრავდა ამ ორი ერის ურთიერთობებს. ჟეშმარიტების დაკარგვის კვალობაზე სომხეთმა სახელმწიფოებრიობაც დაკარგა. ასეთ პირობებში, თითქმის ათი საუკუნის მანილზე, სომეხთა პატრონისა და გამაერთიანებლის როლს სომხეთის ეკლესია ასრულებდა. ამიტომ სომხურ-ქართული ურთიერთობის ახსნა სარწმუნოებრივი დაპირისპირების ნიუანსების გააზრების გარეშე არასრულყოფილი იქნება.

ქართველთ უდაოდ ესმოდათ, რაოდენ საზიანო იყო ეს დაპირისპირება, და მრავალი საუკუნის განმავლობაში შეაგონებდნენ და მოუწოდებდნენ სომხებს, დაბრუნებოდნენ ჟეშმარიტებას – მართლმადიდებლობასა და დედა ეკლესიას. ამის ნათელი დასტურია ქართველთა (მართლმადიდებელთა) და სომეხთა (მონოფიზიტთა) საღვთისტებულო დავა, რომლის ინიციატივიც წმ. მეფე, დავით აღმაშენებელი იყო. ქართლის ცხოვრების მემატიანე ასე აღწერს ამ ამბავს: «ხოლო შემოკრბა ოდესმე წინაშე მეფისა ნათესავი გულარძნილი, ყოველთა ბოროტითა სომეხთა ეპისკოპოსები და მონასტერთა მათთა წინამდლუარნი, რომელი აზმობდნენ თავთა თვისთა მიწევნად ყოვ-

ლისა სწავლულებისა და მეცნიერებისა და მოახსენეს, რათამცა ყის ბრძანებითა მისითა კრება და ყვესცა სიტყვისგება და გამოძიება სჯულისა: უკეთუ იძლივნეს სომეხნი, თვისი სჯული შეაჩვენონ; ხოლო უკეთუ სბლონ სომეხთა, არღარა გვიწოდდეთო მწვალებლად და არცა შეგუაჩვენებდეთო. მაშინ მოუწოდა მეფემან იოანეს, კათალიკოსსა, და მის ქუეშეთა ეპისკოპოსთა და მეუდაბნოეთა და არსენი იყალთოელსა, მეცნიერსა ბერძნთა და ქართველთა ენათასა და განმანათლებელსა ყოველთა ეკლესიისათა. და ყვეს უკეთუ სიტყვის-გება ურთიერთას ცისკრიფან ვიდრე მეცხრე უამამდე და ვერას უძლეს დაბოლოებად. რამეთუ იყო ორკერძოვე ძლევის მოყვარება ოდენ და ცუდ სიტყუათა პაექრობა: რამეთუ შევიდიან შეუგალთა საქმეთა საფილოფოსოსთასა და ძნიად გამოსავალთა. შეეწყინა მეფესა და რქუა მათ: „მე შორს ვარ მეცნიერებასა, ვითარცა მშედრობათა შინა აღზრდილი და ყოვლად მსოფლიო, ამისთვისცა მარტივთა მიერ სიტყუათა ვეზრახო თქუენ“. ესე რა თქუა, იწყო მათდა მიმართ სიტყუათა თქმად, რომელსა ღმერთი მისცემდა უეჭველად პირსა მისსა, ესოდენთა იგავთა და სახეთა წინადაუდებდა, ახსნათა საკირველთა და უცილობელთა, რომლითა დაანთქა, ვითარცა მეგვიპტელნი, და დაუყო პირი მათი და უპასუხო ყვნა და ყოვლად უსიტყუელ, ვითარცა ოდესმე დიდმან ბასილი ათინას შინა.

ესე მწვალებელნი ესრეთ ყოვლად ულონონი ყვნა, რომელთა აღიარეს ცხადად ძლეულება თვისი ამისთა ოდენ მეტყუელთა, ვითარმედ: „შენ, მეფეო, მოწაფე გუეგონე ამათ მოძღუართა თქუენთა, გარნა, ვითარ ვხედავთ, შენ სამე ხარ მოძღუარი მოძღუართა, რომლისა ბრჭყალსა ვერ მიმწუთარ არიან ეგე მოძღუარ საგონებელნი თქუენნი“. და ესრეთ ფრიად მაბრალობელნი თავისისანი მიიქცეს სირცხვილეულნი, არღალა ოდეს მკადრებელნი ამისნი ოდესცა“.

2. პეტროსიანი და არა გრიგორიანი

სომხური სარწმუნოება განეკუთვნება მწვალებლური მონოფიზიტური სწავლების ერთ-ერთ სახეობას. მონოფიზიტებს სხვაგვარად ანტიქალკედონიტებსაც უწოდებენ, რაკი ეს მწვალებლური სწავლება უარყოფს ქალკედონის მეოთხე მსოფლიო კრების დოგმატს ქრისტეს ორი ბუნების შესახებ. მონოფიზიტები, მათ შორის, სომხები, თავიანთ თავს „აღმოსავლეთის მართლმადიდე-

ბლებსაც“ უწოდებენ, ხოლო თავიანთ მწვალებლურ ეკლესიას – მართლმადიდებლურს, სამოციქულოს. ეს არის თვითმარქიობა, ვინაიდან მონოფიზიტობა ეწინააღმდეგება მართლმადიდებლობას - წმინდა წერილს, წმინდა მსოფლიო კრებებსა და წმინდა მამათა სწავლებებს. ასევე, თვითმარქიობაა, როდესაც მოციქულთა სწავლების უარყოფელი მწვალებლური ეკლესია თავის თავს „სამოციქულოს“ უწოდებს.

ყოვლად გაუმართლებელია ისიც, რომ სომხები „გრიგორიანებად“ იწოდებიან. ნიშანდობლივა, რომ ეს სახელწოდება რუსებმა XIX საუკუნის 30-იან წლებში დამკვიდრეს. გრიგოლი იყო კაპადოკიის ეგვარიაში განსწავლული ქრისტიანი (დღევანდელი გაგებით – მართლმადიდებელი). მან თრდატის მმართველობის დროს (გამეფდა 232 წ.) სომხეთში ქრისტიანობა შემოიტანა, რის გამოც სომხეთის განმანათლებლის სახელი ეწოდა. მაგრამ ოთხიოდე საუკუნის შემდეგ სომხეთის ეკლესიამ უდალატა გრიგოლის სწავლებას და მწვალებელ პეტროს მკაწრველისაგან¹ მონოფიზიტური მწვალებლობა მიიღო. ამიტომ სამართლიანია, მათ არა გრიგორიანიანი, არამედ პეტროსიანი ეწოდოთ.

ამ „სამართლიანობის“ არს რომ ჩავწენეთ, გავიხსენოთ პეტოდი, როდესაც სომხეთმა, სპარსეთის ზეწოლითა და საკუთარი პოლიტიკური მოსაზრებებით – სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებისა და გაძლიერების იმედით – უარყო მოციქულებრივი სწავლება ქრისტიანობისა და მონოფიზიტური მწვალებლობა მიიღო. სპარსეთი კი სომხეთის დახმარებით ცდილობდა ქართველთა გადაყვანას მონოფიზიტობაზე და ამ გზით ბიზანტიასთან მისი მოკავშირეობის მოშლას.

ამ დროს საქართველოში მოღვაწეობდა ქართლის კათოლიკოსი, კირიონ I (591-615), ტომით ქართველი, ჯავახეთის სოფელ სკუტრიდან, ერისკაცობაში – სვიმეონი, რომელმაც დაწყებითი სწავლა-განათლება მშობლიურ მხარეში მიიღო, ხოლო ფართო და ღრმა განათლება – ბიზანტიაში. ვანსწავლის შემდეგ ხუთი წელი ქორეპისკოპოსად მჯდარა, შემდეგ კი ქართლის საკათალიკოსო ტახტი დაუკავებდა.

¹ პეტროს მკაწრველი – ანტიოქიის პატრიარქი პეტრე კნაფევსი (V ს.), მონოფიზიტი მწვალებელი.

მწვავე პოლიტიკური და რელიგიური ბრძოლის დროს კირინინმა არ უღალატა ქრისტეს სწავლებას, არ უღალატა ქალკედონის კრების დადგენილებას და მტკიცედ დაიცვა მოციქულებრივი სწავლება, რაც სომხურ ეკლესიას ძალიან არ მოწონებია. ამის შემდეგ ქართული და სომხური ეკლესის გზები საბოლოოდ გაიყარა, ხოლო სომხეთის კათოლიკოსმა აბრაამმა, მოუწოდა რა თავის ერს ქართველებთან ყოველგვარი ურთიერთობის შეწყვეტისკენ, ასე დამოძღვრა: „სოულიად არ ეზიაროთ მათ არც ლოცვაში, არც ჭამასა და სმაში, არც მეგობრობაში და არც დედამტებობაში, არც სალოცავად წახვალთ ჯვარში, რომელიც განთქმულია მცხეთის მიდამოში, არც მანგლისის ჯვარში და ნურც ეკლესიაში მიიღებთ ქართველებს, არამედ ქორწინებისაგანაც სრულიად განეშორეთ, მხოლოდ იყიდეთ და მიყიდეთ, ვითარცა ურიებს“.

ნიშანდობლივია, რომ სახელმწიფოებრიობის შენარჩუნების იმედით ჭეშმარიტების უარმყოფელმა სომხობამ VII საუკუნეში ჯერ დამოუკიდებლობა დაკარგა, ხოლო XI საუკუნიდან ვიდრე XX საუკუნის 20-იან წლებამდე – სახელმწიფოებრიობაც, და მთელი ამ ხნის განმავლობაში სხვათა ვასალ-მორჩილი იყო, მათ შორის სხვადასხვა დროს და საქმაო ხნის განმავლობაში – საქართველოისაც.

კაცობრიობის ისტორიის მიმწუხრზე კი, ანტიქრისტეს რელიგიის – ეკუმენიზმის (უკვე – პანეკუმენიზმის) – გავრცელების კვალობაზე, სხვადასხვა კომისიებში გაერთიანებული ეკუმენისტები, მათ შორის – მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები, ცდილობენ ანტიქალკედონიტებთან (და სხვებთანაც) უნიის (ერთობის) შესაძლებლობის აზრი დაამჯერდონ. ამ აღამიანების პოზიციიდან გამოდის, რომ უნიის უარმყოფელი ქრისტეს ეკლესია მთელი ამ ხნის განმავლობაში ცდებოდა, რომ მრავალი თაობა წმინდა მამებისა და ეკლესიის მასწავლებლებისა, რომლებიც ამხელდნენ მონოფიზიტებს, იაკობიტებს, სევერიანელებს და მის მსგავსთ, ასევე ცდებოდნენ.

განა ვინძეს ეჭვი ეპარქია, რომ წმინდა მამები არც გონითა და არც სიყვარულით თანამედროვე ეკუმენისტებზე ნაკლებნი არ იყვნენ? პირიქით, როგორც ჭეშმარიტი მწყემსები, ისინი ყველანაირად ცდილობდნენ, რომ შეცდომილნი მართალ გზაზე დაეყ-

ენებინათ. მწვალებელთა მხილება, თვით ანათემას გადაცემა, როგორც შეგონების უკიდურესი ფორმა, სწორედ რომ ამ ჭეშმარიტი სიყვარულის გამოხატულება იყო. ამის საპირისპიროდ, რელიგიური შემწყნარებლობა, ანუ განურჩევლობა, ტყუილზე აგებული ერთობაა, რომლის საფუძველი ღვთისგან განშორება და სიყვარულის მოქლებაა.

ზემოთქმულის სრულად გასაგებად უნდა გავიაზროთ და გავითვალისწინოთ, რომ საქმე გვაქვს არა ფილოსოფიურ თეორიებსა და რელიგიისტურ მოძღვრებებთან, არამედ მართლმადიდებლობასთან – ჭეშმარიტ, სულის მაცხონებელ მოძღვრებასთან; ვსაუბრობთ არა ფილოსოფიურ-სოფისტურ დისკუტებზე, არამედ სულის გადარჩენაზე. ჩვენ ვაცხადებთ, რომ წმინდა მამათა სწავლების მიზანი და არსი იყო ცხონების შესაძლებლობის უზრუნველყოფა და არა – ფილოსოფიური თუ სხვა სახის თეორიების შექმნა. ისინი იმისთვის კი არ იბრძოდნენ, რომ ვინძეს აზრს ეზეიმა, არამედ იმისთვის, რომ ადამიანებს ცხონება მოეპოვებინათ.

სწორედ ამ თვალსაზრისით უნდა შევხდოთ სომეხთა სწავლების მამხილებელ ტექსტს, რომელსაც გთავაზობთ. ჩვენ შეგნებულად ავარიდეთ თავი მონოფიზიტობის არსის წარმომჩენ და მამხილებელ რთულ, საღვთისმეტყველო მსჯელობას, რის მოსამენადაც, შესაძლოა, არ იყოს მზად მკითხველი. სანაცვლოდ, გადავწყვიტეთ, მოგვეწოდებინა უფრო ცოცხალი ტექსტი, რის შესაძლებლობასაც მიხეილ საბინაშვილის „საქართველოს სამოთხე“ და სხვა წყაროები გვაძლევს.

3. სომეხთა სწავლების მხილება

წერილები, რომლებსაც გთავაზობთ, მოამზადა, თარგმანა ან ახალქართულზე გადმოიტანა ქნაგამი მარგვაწოდა ისინი ჩვენი წიგნისთვის, რისთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. ვიმეოვნებთ, შეგნებული მკითხველი მიხვდება, რომ სომეხთა სარწმუნოების მხილება ჩვენგან არა მტრობისა და სიძულვილის გამოხატულებაა, არამედ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ჭეშმარიტი სიყვარულის მოყვასისადმი, რომლის სულის გადარჩენა ჩვენი სანუკვარი იცნებაა.

სიტყვისგება ბერისა ექვთიმე გრძელისა სოსთენის მიმართ – სომეხთ მოძღვრისა

X ს.-ში, ბაგრატ V-ის დროს, 1046 წ.
ღრტილას კრებაზე, არტანუჯში, მოხდა სომეხ
მონოფიზიტებსა და ქართველ მართლმადიდე-
ბლებს შორის სარწმუნოების საკითხებზე
სიტყვისგება, რომლის დროსაც ქართველმა
მოძღვარმა ექვთიმე გრძელმა (იერუსალიმელმა)
საკაროდ განაქიქა სომეხ მონოფიზიტთა
მოძღვარი სოსთენი. ამ პაექრობის ოქმებმა
ჩვენამდე მოაღწია. იგი გამოსცა მიხეილ სა-
ბინაშვილმა წიგნში „საქართველოს სამოთხე“.

ღვთისმსახური მეფის, ბაგრატის დროს, შედგა კრება ღრტილას, რომელიც ერისკაცთა კრება უფრო იყო, ვინემ სამღვდელო.

იყო ვინმე მონაზონი, ნათესავით სომეხი, მათი მოძღვარი და წინამძღვარი სჯულისა, სახელად – სოსთენი – კაცი ენამანქნა და მათი განდრეკილი სარწმუნოებისა და სწავლათა დიდადმცოდნე. ერთხელ იგი, ჩვეულებისამებრ, მივიდა ბაგრატ მეფესთან და ზვაო-
ბითა და ამპარტავნებით დაიწყო თავისი სჯულის ქება, ხოლო ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოების გმობა და ძაგება. იმხანად არავინ გამოჩნდა იქ ძლიერი სიტყვისმებელი მისი. და, თუმც კი მრავალმა სცადა მასთან პაექრობა, მაგრამ იმათი სწავლა–მოძღვრების უმეცრების გამო ვერ შეძლეს სოსთენის წინამდევობა. მაშინ მეფეს ურჩია მისმა ბიძაშვილმა დავითმა, რომ სხვა ვერავინ შე-
ძლებდა სოსთენის სიტყვისგებას, გარდა ექვთიმე გრძელისა, რომელიც იმჟამად იერუსალიმიდან ჩასულიყო და ანჩის მთავარეპისკოპოსთან იმყოფებოდა, და კარგს იზამდა მეფე, თუ მას მოიხმობდა. გახარე-
ბულმა მეფემ უმაღ მოუწოდა ანჩის მთავარეპისკოპოსს, რათა მათ-
თვის წარედგინა იერუსალიმიდან ჩამოსული ბერი ექვთიმე.

მწუხრისას მთავარეპისკოპოსი ანჩისა მამა ექვთიმესთან ერთად მოვიდა სასახლეში, ხოლო მეფესთან წარდგინებამდე ექვთიმე ბერ-
მა მთავარეპისკოპოსის მმისაგან შეიტყო, რომ სომხეთის სახელ-
განთქმული მოძღვარი სოსთენი, თავისი დისტულითა და მხლე-
ბლებითურთ, მეფესთან იმყოფებოდნენ და წინაშე მეფისა გამოიძიე-

ბდნენ რჯულსა ჩვენსა და მათსა; ხოლო წინააღმდეგომი მისი ვერავინ ჰქოვეს და აწ ექვთიმეს იმედი აქვთ, რომ ძლევს მას.

იერუსალიმელი ბერი შეძრწუნდა, ეს რომ გაიგო – პირველად უცხობისთვის და მერმედ განუშადებლობისათვის. და გამოისახა ჯვარის სახე პირსა თვისსა და გულსა და ემთხვია ეპისტოლეს უფლისას, რომელიც ხელითა თვისითა მიუწერა ავგაროზ მთავარს, და აღინილა ზეცად გონების თვალნი, სულთითქუნა სულითა და თქუა:

„უფალო იესო ქრისტე, ღმერთო ჩვენო, თანაარსო და თანასწორო მამისა და წმიდა სულისა შენისაო, რომელმან გამოუთქმელითა განგე-
ბულებითა შენითა ხორცებს ხმისა შენისათა განაგე ცხოვრება ჩუნი, რომელმან უბრძანე ქადაგთა შენთა წმიდათა მოციქულთა და მთავარ-
თა: სახელისა ჩემისათვის ნუ წინასწარ იწურთით, ვითარცა რა სოჭეათ,
ანუ რა სიტყვა მიუგოთ, რამეთუ მოგცე თქუენ პირი და სიბრძნე, რომელსა ვერ უძლონ წინააღმდეგომად და სიტყვისა-გებად ყოველთა წინააღმდეგომთა თქუნდა. და, აპა, მივყავ მე სიტყვის საგებლად სამ-
სჯავროსა ამას და არა უწყი, რა ვთქვა, ანუ რასა ვიტყოდე, არამედ შენ
მასწავლე, ჰო, სახიერო, აღთქმისა შენისაებრ უტყუელისა და ნუ
იყოთინ, ვითარცა უმეცრებისა ჩემისა მიერ შეურაცხ იქმნა სიმტკიცე
მართლისა აღსარებისა შენისა წინაშე უწმუნოთა“.

ასე ილოცა ბერმა მწვალებლებთან სიტყვისგების წინ და შევიდა და წარსდგა წინაშე მეფესა. მეფემ ჯერისამებრ მოიკითხა იგი და უბრძანა დაჯდომა წესისამებრ.

მაშინ ამაყად ჰქითხა სოსთენმა მეფეს:

–მაშ, ეს არის სიტყვისმებელი ჩემი, რომელიც მომიყვანე?!

–დიახ, ნამდვილად ეგ არის. – უპასუხა მეფემ.

და კვლავ ნაცვალი უგო სოსთენმა მეფეს:

–თუ არის ვინმე სჯულისმცოდნე, ყველას ერთად მოუწოდე, რათა ყველა ერთად, ვითარცა ცოცხითა, მოვგავო, და მაშინ გეუწყოს ძალა სარწმუნოებისა ჩვენისა და უძლურება თქვენი. და კიდევ ამას ვთხოვ თქვენს მეფობას, რათა ამგვარი ბრძანება გასცე: უკეთუ მე მძლიონ შენმა სჯულისმეცნიერებმა, მაშინ შიშველი გამიყვანონ შენი სასახლ-
იდან, ხოლო, უკეთუ მე ვძლიო მათ, მაშინ ისინი გაიყვანონ შენგან განარცვულნი და შიშველნი (იგულისხმება სასულიერო შესამოსელი – მ.).

ქართველთა მეფემ კი ყოვლითა სიმშვიდითა მიუგო სოსთენს:

–საღმრთო სჯულის და მართლის სარწმუნოების სიტყვისგებისას

ჯეროვნად არ მიმაჩნია საქმე ხუმარათა და მეზობელთა და მახლობელთა; არამედ ყოვლითა დაწყნარებითა ჯერ არს გამოძიება საღმრთო სჯულისა და მართლის სარწმუნოების განრჩევად ღუარძლისაგან წვალებისათა.

მაშინ სოსთენს ურჩია მეფის მწიგნობართუხუცესმა, რომელიც მათი ბოროტი მწვალებლობის თანაზიარი იყო, მართლმადიდებლობის შინაგანმცემი, რომ: წიგნთაგან სიტყვისგების დაწყებამდე, ბერი ექვთიმე ცუდი რამ სიტყვით, საერო და გარეწარი მეტყველებით შეაშინოს და განკიცხოს, რადგან ბერი უდაბნოთა შინა იყო აღზრდილი და იქ იყო მისი ცხოვრება, ხოლო კაცობრივი სიტყვისგება არა რა იცის; ამასვე ჩასჩურჩულებდა გვერდით მჯდომი მისი დასწული.

მაშინ ამგვარი სიტყვით მიმართა სოსთენმა იერუსალიმელ ბერს – ექვთიმეს:

— პირველად მსურს, მამაო, გვითხრა, თუ როგორ მოაღწიე აქამდე; ანუ რა გზით მოხველ; გზას შედგომილმა პირველ დღეს რა საზრდელი მიიღე და დღის რომელ უძმს ისერე, ან სად დაისვენე, სად დაიდე სავანე; ანუ რამდენ ხანს გებინა დამით, ან თუ იფხიზლებდი და რას ფიქრობდი გზადმომავალი?...

ბერმა ექვთიმემ მიუვო სოსთენს:

— პავლე მოციქული იტყვის: „ოდეს-იგი ვიყავ ყრმა, ვიტყოდე ვითარცა ყრმა და შერაცხილ ვიყავ, ვითარცა ყრმა, ხოლო ოდეს ვიქმნ მამაკაც, დაუტევე სიყრმისა იგი“. და რასაც ახლა შენ ამბობ, მაგნაირი მღერება სიყრმეშივე დაუტევე მე; ხოლო აწ შენ სრული ასაკისა ხარ, მაგრამ სიტყვით და გონებით ყრმებრი. მაგრამ მე შენ ცბიერი და განმრყვნელი სიტყვით კი არ ვიპასუხებ, არამედ ჭეშმარიტებით:

მე ჯერ პირველად მოვდივარ უფლის აღდგომის წმიდა ქალაქ იერუსალიმიდან, უფლის მმის – წმიდა იაკობ მოციქულის საყდრითგან, და ანტიოქიიდან და რომიდან – წმიდა პეტრე მოციქულთა თავის საყდრითან და, მერმე – აღექსანდრიიდან წმიდა მარკოზ მახარებლის საყდრითგან, და მერმედ – კონსტანტინეპოლით და საყდრით წმიდა იოანე მახარებლისა. ამ საპატრიარქოს საყდრითაგან მოვდივარ და მსოფლიო კრებათა მართალი აღსარება მისწავლია, მტკიცე და ჭეშმარიტი სარწმუნოება მისწავლია და აწ მოვსულვარ, რათა ვამხილო ბოროტად მადიდებლობა თქვენი; ხოლო შენ არ იცი, საიდან მოდიხარ. არგიანით და მარმაშნით მოხვალ და მოგაქვს წვალება ნესტორისა და სევი-

როზისა და პეტროზ მკაწრველისა, და იკადრებ ყველობად ერსა ღუთისასა და წინაგანწყობად წმიდისა მართლისა სარწმუნოებისა.

სოსთენი შეაშინა მამა ექვთიმეს ძლიერმა სიტყვამ და ცოტა დაუტება ბერს:

— შემინდე, მამაო, განცხომით თქმული სიტყვისათვის; ახლა კი აღსდევ, განემზადე და წამომიდექი. ამიერიდან მე შეგვითხები და შენ პასუხს გამცემ.

ექვთიმე იერუსალიმელმა მიუვო:

— არა ეგრეთ განაგო ჭეშმარიტებამან ღვთისამან, რათა მართლმადიდებლი წარვსდგებოდეთ მწვალებლობა წინაშე, არამედ შენ უფრო გმართებს წარმოსდგე, ვითარცა განსაკითხავი და დასასჯელი, და, რამეთუ ესრეთ არს წესი, რომ მეფენი თქვენნი წინაშე მეფეთა ჩვენთა და მღვდელთმოძღვარი მღვდელთმოძღვართა ჩვენთა წინაშე წარმოსდგებიან და შიშით და ძრწოლით თაყვანისცემებზე; ხოლო, თუ ესე არ გსურს, მაშინ ვისხდეთ აქ და მკითხე და მე მოგავო პასუხი. და იწყო ექვთიმე იერუსალიმელმა წარმოთქმა მართლაღსარების სარწმუნოებისა ერთარსისა და განუყოფელი სამებისათვის და წმიდა სამების მეორე პირის – ძე ლექტოს – განკაცებისათვის და მასში ორი ბუნების შეერთებისათვის: განუყოფელად, განუყრელად, შეურევნელად, უქცეველად, როგორც იქადაგა წინასწარმეტყველთაგან და მოციქულთაგან გვეუწყა განცხადებულად და რწმენა სოფელსა და წმიდათა მღვდელთმოძღვართა და დამტკიცდა კრებითა მსოფლიოთა.

და შეახსენა ექვთიმე გრძელმა სომეხთა მოძღვარს – სოსთენს, რომ ისინიც თანაუზიარებოდნენ მართლმადიდებელ მოძღვრებას, ვიდრე მეოთხე მსოფლიო კრებამდე, ხოლო მას მერე, რაც უღალატეს მათ საკუთარ მეფეს და სომხეთის განმნათლებელ წმიდა გრიგორს, აღერინ სპარსთა თანა და დვინის საეკლესიო კრებაზე „დასხისაბეს განდრეკილი სარწმუნოება მათი..... და ესრეთ აღასრულეს ნება ეშმაკისა“. შემდეგ მამა ექვთიმე ბრალს სდებს სომხებს: „და უღალატეთ მეფეს თქვენსას, განუდექით ბერძნებს და შეუერთდით სპარსთა და გამართეთ კრება დვინში და დასხისაბეთ განდრეკილი სარწმუნოება წვალებისა იაკობიტთა²... და გეტყვით კიდევ თქვენს წიგნებში მოხსენიებულ გრიგორ

² იაკობიტები – იგულისხმება სირიელ და მესოპოტამიელ მონოფიზიტთა სექტა, რომელიც ჩამოაყალიბა იაკობ ბარადემ (VI ს) (იხ. ბარებარება «ენდიტებ ბიბების წერილი 2000; სიტ. 176).

სომეხთა გამანათებლის შესახებ, რომელსაც ღმჟრომა წინასწარ გამოუკე-
ადა ცხოველსმყოფელი სარწმუნოებიდან თქვენი გარდაქცევის შესახ-
ებ, და, რომ ცხვრები მგლებად იქცევიან და სხვა ცხოვართ შეუ-
ტევენ“.

შემდგომ მამა ექვთიმე იმოწმებს სომეხ ქალკედონიზთა – მართლ-
მადიდებელთა პატიკრობას მონოფიზიტ სომხებთან, რომელსაც სომხები
პატმოთინს³ უწოდებდნენ.

სომეხთა მოძღვარი სოსთენი პატმოთინის ხსენებამ განარისხა და
შესძახა:

– წყეულ იყავნ, რომელმაც გასწავა შენ პატმოთინი და აღგჭურვა
მით ჩვენთან საბრძოლველად!

იერუსალიმელმა ბერმა კი წარსთევა შეჩუენება ყოველთა ერთ-
ბუნებიანთა და სამწმიდაოს გალობის შემრყენელთათვის.

– წყეულ იყავ პეტროზ მკაწრველი, რომელმან გასწავა ხაჩეცარი
და გაწმინდა გალობა სამწმიდაარსობისა.

– რატომ არის მწვალებლობა ჩვენეული წესი?!

ბერმა მოუგო:

– წერილთა ძალისა ვერ გულისხმაყოფთ და ფრიად სცდებით
უგულისხმოებით. მაგის შესახებ გეტყვით წმიდა წერილის სწავ-
ლებით და წმიდა კრებათა მიხედვით, რომლითაც მამებმა ფრიად
შეაჩვენეს სიტყვა ეგ თქვენი და გმობად შერაცხეს პეტროზ მკაწრვე-
ლის მიერ ხელყოფა სამწმიდაო გალობისა, რომელმაც ლოცვას:
წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ
ჩვენ – დაუმატა: „რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი“. და განყო და
ცალკე დაყყენა ძე ღმერთი – გვამოვანი იგი ძალი მამისა და ცალკე
– ჯვარცმული, თითქოსდა ძლიერთაგან კიდევ სხვა იყო ვინმე, ანუ
ვნებულად შერაცხა უკეთურმან მან მისა თანა მამა და სულიწმი-
და.... წარვედინ მგმობარი თქვენი მოძღვრება და შეჩვენებულ იყავნ.....

შემდგომ ექვთიმე იერუსალიმელი იმოწმებს წმიდა გრიგოლის,
წმიდა ღმერთშემოსილი ათანასი და ნეტარი ვასილის მოწმობებს
და განუმარტავს, რომ სამწმიდაობით ლოცვა მხოლოდ ძის მიმართ
არ არის გამოთქმული, არამედ წმიდისა ერთარსისა სამებისათვის
ითქმის და რომ წმიდა სერაბიმნი სამგზის „წმიდაოთი“ გვამც-

პატმოთინი – უწყება, ისტორია; „ავანდაგირი“ – „გაუწყებს განგებასა
სომხეთისასა წიგნი, რომელსაც ეწოდების ავანგადირი, რომელ არს პატმოთინი“.

ნობენ სამ ჰიპოტეზას – ყოვლად არსს ღმრთებისას, ხოლო
საერთო სიტყვით – უფალი – გვაძლევენ ყოვლადწმიდა სამების
ერთიანი არსისა და მეუფების გულისხმისყოფას.... ბერი შეახ-
სენებს სოსთენს საეკლესიო გარდამოცემას, რომლის მიხედვითაც
განსაცდელის უამს ზეცადაყვანილი ყრმა დამოძღვრეს ანგელოზებ-
მა სამწმიდაო გალობით ესრეთ: წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო,
წმიდაო უკვდაო, შეგვიწყალენ ჩვენ.

დასასრულ კი ასე დამოძღვრა ექვთიმე ბერმა სომეხთა მოძღვარი:

– საკირველია, როდესაც ვინმე ცვლის იმ გალობას, რომელსაც
სერაბიმები გალობენ და სასწაულითა სარწმუნო ქმნილა,
წინასწარმეტყველთაგან ქადაგებულა, მოციქულთაგან დამტკიცებუ-
ლა, წმიდა მღვდელთმოძღვართა და კრებულთაგან განცხადებულა.
და ახლა კი ვინ უნდა იყოს ესრეთ გონმიხდილი, რომელმაც ყოვე-
ლივე ეს წესი და მოძღვრება დატოვა და პეტროზ მკაწრველის
მოძღვრებას შეუდგა?! – დიდი სიცოფე და უგნურებაა ეს. და ვინც
წმიდაო ღმერთოსთან ჯვარცმას ამბობენ, ანუ სამებასა ოთხობა
შემატონ – ფრიად შევაჩვენებთ ჩვენ და ეშმაკთა თანა შევრაცხთ...

.... მაშინ სოსთენს მისმა დისწულმა იერემაშ უთხრა:

– ადექი, წავიდეთ, რამეთუ ვიძლიერით. მაგრამ სოსთენმა კვლავ
გააგრძელა მამა ექვთიმესთან კამათი და პეტროზის მოძღვრების ქება.

ექვთიმე ბერმა კვლავაც დაუყო ჰირი:

– სამართლიანად და ჯეროვნად განიდევნა და შეურაცხყოფილ
იქმნა და დაემხო უკეთური პეტროზ მკაწრველი მღვდელმთავრის
პატივისაგან და განიდევნა, რადგან, ზემოთქმულთან ერთად, ყოვლად-
წმიდა ქალწული მარიამი არ აღიარა ღვთისმშობლად, რაც უსჯუ-
ლო ნესტორისაგან ისწავლა, და შემდგომ მივიდა და შეაცდუნა ერი
ეგე თქვენი უსწავლელი, და რომლისა სახსენებული და მიმდევარ-
ნიც მისნი წარწყმიდა უკუნისამდე.

მაშინდა წარმოსდგა სოსთენი და წასვლა დააპირა.

ქართველთა მეფემ ჰკიოთხა:

– გაქვსლა-რა სიტყვად ჩვენდა ანუ სრულიად იძლიე?

სოსთენმა უპასუხა:

– მე არა თუ კაცთაგან ვიძლიე, არამედ ჭეშმარიტებისაგან.

ხოლო მეფემ კვლავაც ჰკიოთხა:

– რატომ არ მოიქცევი მართლმადიდებლობაზე?

- მარმაშენი⁴ როგორ დავტოვო? — მიუგო სოსთენმა.
 - მის ნაცვლად ჩვენ მოგცემთ სხვას, —შესთავაზა მეფემ.
 - ასე ადვილად ვერ დავტოვებ მე მარმაშენს! — სთქვა სოსთენმა და შერკვეულილმა დატოვა კრიბა.

... ხოლო უთაოთა სომქეთა ძარცხვენელისა და პირის დაყოფებულის – წმიდისა და ღმერთშემოსილი მამისა, ექვთიმე იერუსალიმელისა (გრძელის) მიერ ესრეთ იდიდა წმიდა მართლმადიდებელი სარწმუნოება ჩვენი, რომელ იქმნა ძეგლ მართლისა სარწმუნოებისა. და მეფე ბაგრატ და ყოველი საერონი და სასულიერონი ადიდებდნენ და აკურთხებდნენ ცხოვლისმყოფელსა დმტრისა მმასა და ძესა და სულ-სა წმიდასა, რომელსა შვენის დიდება და თაყვანისცემა უკუნისამდე. ამზ. [27].

ମନ୍ତ୍ରଜୀବିଶାସନ

საეკლესიო ისტორიით, მონოფიზიტური მწვალებლობა დამკიდრდა „აგაზაგური კრების” შედევად; მოგვიანებით (XII ს.) ამ მწვალებლობის მიძღვნებს ქართველი კათოლიკოსი ოთხე „მიმტაცებლებად” სახელს ძლიერდა: მიმტაცებელი ძალით თუ იქნების მხოლოდ — უთხრა მონოფიზიტ ზაქარია მხარეგრძელს კათოლიკოსმა, როდესაც მან მართლმადიდებელთა სეფისკვერი წარიტაცა თვითნებურად სამრეცლო სინიდან (იხ. „ქ.ც.”).

ამ ნიშნულ თვისებას ისტორიის მანძილზე მონოფილტი მწვალებლები მრავალგზის ავლენდნენ და რუის-ურბნისის ძეგლისწერაშიც, მათი ღვთისმეტობი მწვალებლობის ანათემირებაში, ვთარცა „მომხდერნი“ იწოდებიან: „რომელნიცა ღმრთის მაგნებლობისისა მის წვალებისაგან ხაჩეცართასა, რომელ არიან სომები, მართალსა და უზაკველსა სარწმუნოებასა მოუხდებოდინ და წმიდასა კათოლიკე ეკლესიასა შეერთობოდინ...“

უკანასკნელ ათწლეულში, ე. წ. შამბეზის დეკლარაციის სახით
მონოფიზიტები მართლმადიდებლობის სახელის მიტაცებასაც შეეც-
ადნენ, ხოლო 2002 წელს, აღდგომის დღესასწაულზე, საღვთო ცეკვე-
ლის გარდამოსვლისას, მონოფიზიტმა სომხებმა თანამედროვე სეკუ-
ლარული სამყაროსთვისაც საკვირველი მიმტაცებლობის საქმე აღას-

⁴ არგინი და მარშავენი – სომეთია მონასტერი, რომლის წინამძღვარი იყო სოსთენი (კ. კავლიძე, „სამოთხე“, გვ. 1).

რულეს: მათ ხელიდან წარსტაცეს იერუსალიმის პატრიარქეს საღმრთო ცეცხლი; ამასთანავე, სომებს მონოფიზიტთა წინამძღვარი წლების მანძილზე კუილება მართლმადიდებლებს მაცხოვრის საფლავის ტაძარში პირველობას და, საღმრთო ცეცხლის გარდამოსვლისას, ქრისტეს საფლავზე აგებულ ეკვტერში ყოფნის უფლებას, რისი ნებაც მხოლოდ მართლმადიდებელ წინამძღვარს აქვს ... ცხადია, ყოველივე ამას „მცირედად თუ“ მიეთვლება საქართველოს ისტორიულ ტერიტორიებზე მართლმადიდებელი, ქართული ტაძრების მიტაცების მცდელობა...

მონოფიზიტთა ხდომა მართლმადიდებლობაზე როგორც პრაქტიკულ, ასევე თეორიულ დონეზე აღსრულება, რასაც ანტიოქიის და რუმინეთის სრული და რუსეთის საპატრიარქოების ნაწილობრივი ეკუმენისტური „ლიაობა“ განალაღებს. მწვალებლებთან უნია-ტური მსახურება კი ისეთ „შეუვალთა შინა შესულ“ თეოლოგთა ხმოვნებით აღსრულება, რომელთაც, წმინდა მამები, ვითარცა ყრმები, უპასუხებენ, რომ შფოთი შემოაქვთ მათ, ვინც „მოციქულთა მიერ ქადაგებული მართლმადიდებლობისა იგი სარწმუნოება წმიდასა კათოლიკე ეკლესიისა განავდეს და მოძღვრებათა მიერ წმიდათა კრებათა ღვთივსულიერთა განწესებული კანონი საეკლესიო შეურაცხველს“ [28].

პეტროს მკაწველისათვის, ალაჯორის
მარხვისა და სუბსარქისისათვის

კონსტანტინოპოლელი არქიმანდრიტი პეტროს
მკაწრველი (χναφεսც)⁵, რომელიც V ს. II ნახ-
ევარში ანტიოქიის პატრიარქი გახდა, მაგრამ ამ
მონიფიზიტობისათვის გააძევეს ამ კათედრი-
დან, სომხეთში გადავიდა, სადაც ამავე მწვალე-
ბლობას დაუდო სათავე, რომელიც „ხაჩეცარის“
სახელით გავრცელდა სომხეთში და მას კერძო
— სომხური მრავალი წვალება დაემატა. მათ
შორის არის ალაჯორის, ანუ სუბსარქისის მარხ-

⁴ არგინი და მარშავენი – სომეთია მონასტერი, რომლის წინამძღვარი იყო სოსთენი (კ. კავლები, „სამოთხე“, გვ. 1).

⁵ ბრესბიტური (იხ. ეა დო ათ ია, ან ა ე ა ი ნ ე ე ა ნ ი ა ი ძ უ, ჩ ი ძ . 383)

ვა, რომლის „შესახებაც გადმოგვცექს „საქართველოს სამოთხე“ (გვ. 629-633) და რომელსაც სომხეთი მონოფიზიტები მართლმადიდებლური „მეზვერისა და ფარისევლის“ კვირაში ინახავენ

სომხეთის ქვეყნაში პეტროს მკაწრველი მონოფიზიტურ მწვალებლობას ქადაგებდა; ყოვლითურთ გმობდა ღმერთს და სჯულს – წმიდათა და დიდთა კრებათა და ღმერთშემოსილთა მამათაგან დამტკიცებულთა. პეტროს მკაწრველი ყოველგვარ საცდურს იქმნდა აშშაკის მიერ და წვალებაში განსწავლიდა სომეხ ერს.

პეტროს პყავდა გაწვრთნილი ძალლი ალაჯა, რომელიც გრძნებით რათმე ჰყავდა განსწავლილი და ეშმაკის თანადგომით ყოველგვარ საოცრებას იქმნდა. ერთხელ სამისნოდ წარგზავნილი ეს ძალლი ერთმა ხუცესმა და მისმა მოწაფეებმა მოკლეს, ხევში ჩააგდეს და ქვა მიაყარეს. პეტროსმა ახლო-ძახლო სოფლებში მძებნელი დააგზავნა და, რომ ვერსად იპოვა გრძნებით აღკაზმული თავისი ძალლი, იმ მხარის მოსახლეობას განუწესა, ემარხათ და ელოცათ, რათა „ღმერთს მისთვის გამოეცხადებინა“, რა შეემთხვა მის ძალლ ალაჯას. მაშინ ორშაბათიდან შაბათამდე იმარხა ყოველმა იქაურმა მკვიდრმა და პეტროს ეშმაკის მანქანებით ეჩვენა ალაჯა ძალლი, რომელიც მას უხმობდა: „ხევს შინა ვარ მე მკვდარიო“. პეტროსმა ხალხს აუწყა, რომ ეს „დიდი სასწაული“ იყო და რომ ამიერიდან სრულიად სასომხეთში ყოველი წლის იმდროისათვის მარხვა განაწესა. ეს მარხვა არის პეტროს მკაწრველის (მისნის) მიერ დადებული სჯული, რომელიც მოციქულთა მიერ არის შეჩვენებული და წმიდა მსოფლიო კრებათა მიერ განგდებული და „შემცა იჩვენების ყოველი მმარხველი ალაჯისათვის და სუბსარქისისათვის“ („აწინდელ სომეხთა სუბსარქისის მარხვა, ალაჯა ძალლის მარხვა არის“ – მიქაელ საბინინი – გვ. 631; „სუბსარქისის კვირა, რომელიც ფარისევლისა და მეზვერის კვირას ემთხვევა, მკვდარი ძალლის სახელზე მარხვა“ – „პიდალიონი“; ალაჯორის მარხვა სომხებმა დვინის საეკლესიო კრებაზე დააკანონეს – მ.ნ.)

მოგვიანებით, პეტროს მწვალებლის მიერ აგებულ გაიდას ტაძარში გადმოასვენეს სომეხი ბერის სუბალ სარქისის ძის ცხედარი, რომელიც მონაზვურ ცხოვრებას ეწეოდა და არაბებმა აწამეს. იგი მონოფიზიტებმა წმიდანად გამოაცხადეს და ალაჯორის მარხვას

მისი სახელი უწოდეს. მას შემდეგ სომხები სუბალ სარქისისათვის ლოცულობდნენ და ალაჯორის მარხვას ინახავდნენ. ხოლო პეტროს მკაწრველის ყოვლადმტვალებლობა და მის მიერ სომხეთის ქვეწნის რჯულგადახდომა მთელ მართლმადიდებელ სამყაროს განივრცო. იერუსალიმის, ანტიოქიის, ალექსანდრიის პატრიარქებმა და რომის პაპამა შეჩვენეს პეტროსი და ყოველი, ვინც ალაჯორის მარხვას ინახავდა, ვინც სუფსარქისისათვის ლოცულობდა და მონოფიზიტურ სჯულს მისდევდა, ან ვინც ისმენდა მათ სწავლას და არ შეაჩვენებდა მათ სჯულს – ანათემირებულყვეს და წართქვეს: „კრულ იყავნ საუკუნოდ, რამეთუ მან, ღმრთივმოძაგებულმა პეტროსმა სამწმიდა არსობის დიდებისმეტყველებას დაურთო „წმიდაო უკვდაო, რომელი ჩვენთვის ჯვარს ეცვი, შეგვიწყალენ ჩვენ“ და „საშუალ ჯუარისა სამსჭუალისა განწონა“ (ჩაარჭო – მ.ნ.) და მანვე, პეტროსმან დააკანონა მონათვლა ჯვრისა. განა ვინ უნდა იყოს ესოდენ გონებამა-ახვილი, რომ ზეციურ ძალთაგან მოცემული დიდებისმეტყველება წმიდა სამებისა დაუტეოს და უსჯულო პეტროსის სწავლას შეუდგეს?! იმ პეტროსის – რომელიც წვერს ოქროსფრად იღებავდა, რომელიც წმიდა მამათაგან შეიჩვენა და განიკვეთა ანტიოქიის საყდრიდან და მანვე წყეულმან არა თქვა წირვასა შინა „უმეტესად ყოვლადწმიდისა“ და არ აღიარა ღვთისმშობლად ყოვლადწმიდა ქალწული მარიამი, და დაგმო, როგორც ეს მან ბილწი ნესტორისაგან ისწავლა.

ხოლო ეს ღვთისმგმობელი პეტროსი შემაღლებულ რამ საყდარზე იჯდა ბრჭყვიალა სამოსლით და გრძელ სამკლავეს (სახელოს) მაპმადიანთა წესისამებრ მიუვდებდა ხოლმე თაყვანისცემად მისულებს და, ისინიც, როგორც ხალიფას, ემთხვეოლნენ მასზედ. მისი ამპარტავენება საქართველოსაც მოწვდა და შემოუთვალა ქართლის ეპისკოპოსს, ნეტარ მიქაელს, რათა მისი მწვალებლობის აღმსარებელი გამხდარიყო და ზიარებოდა მის სჯულს, ხოლო ურჩიბისათვის – საყდრიდან გადააყენებდა. ეს ყოველივე მიწერა ეპისკოპოსს ქართლისას და იხმო თავისთან.

ხოლო მიქაელ ეპისკოპოსი შეჭურვა სულმა წმიდამ, როგორც დავითი გოლიათის წინააღმდეგ, და მცხეთიდან გავიდა ეპისკოპოსთა, მღვდელთა და მორწმუნე ერის თანხლებით. გზად ნეტარ მიქაელს ეუწყა ანგელოზთაგან ჩვენებით, რომ მათზე ძალადობას აპირებდნენ

და რომ საზღვართან, სადაც პეტროსი ელოდათ, ხევში, მახვილით აღჭურვილი მტერი იდგა. ამისთვის მიქაელ ეპისკოპოსმა ყოველით ურთ განამზადა მხლებელნი. და როდესაც წარსდგა ღვთისსათნო მწყემსი პეტროს მკაწრველის წინაშე, ამ უკანასკნელმა ჩვეულებრისამებრ „შთაუგდო სახელო შესამოსელისა მის, რათა ემთხვიოს იგიც ჩვეულებისამებრ მისისა“, ხოლო ღმრთივგანბრძობილმა მიქაელმა „უპყრა მის სახელოს და შთამოზიდნა ძლიერად და შთამოითრია მიწაზე და დაანარცხა“. მაშინ მისმა მხლებელმა ერმა ქვა დაკრა და „მოკლეს მგელი იგი“. პეტროსის ყოველ მიმდევარს შიშის ზარი დაეცა და ვერც ხელის განძრევა და ვერც ბრალობის სიტყვა ვერავინ შეძლო, არამედ უკვირდათ, თუ როგორ მოკვდა ასე უბრალოდ და სამარცხინოდ მათი ესე „დღიდი მთავარი სჯულისა“ და წინამდღვარი ერისა.

პეტროს მწვალებლის სჯულის მიმდევარმა მისმა ერთგულმა მოსწავლეებმა გადაწყვიტეს, იმ ღამით შეკრებილიყვნენ და ლოცვით დამე ეთიათ „ამ წმიდა გვამის“ წინაშე და იმდოვნებდნენ, რომ იხილავდნენ რასაც ღმერთი გამოუცხადებდა. ჰყვეს ეგრეთ და, როცა შუაღამე ჩამოდგა, „იხილეს მგლების სახით შეკრებილი ეშმაკები, რომლებიც მის გვამს დაჰყვიროდნენ“. ხოლო ყველა იქ მყოფა მწვალებელმა შერაცხა, რომ ესე ანგელოსნი არიან, რომელიც უგალობენ მას (პეტროსს) და მას შემდეგ „ავაჯას“ „მომაღლო და გრძელი ხმით“ (მ. საბინინი) და თავადაც ამგვარად იწყეს შესრულება უამ-გალობისა.

(მ. საბინინი, „საქართველოს სამოთხე“). [28].

წმიდა მაქსიმე ბერძენი

სომხური ბოროტმორწმუნეობის წინააღმდეგ
(იესტან ქედასტან აბასტან, ბ. 32, ჩ. 234–243)

სომხური ბოროტმორწმუნეობა, რომელიც მრავალი მწვალებლობისაგან შედგება, სამ უმთავრეს, ყველაზე უფრო უწმინდეურ და საძაგელ მწვალებლობას შეიცავს. პირველი და უბოროტესი მათი ზრახვა ის არის, რომ ღმერთ—იგზეის მაცხოვნებელი წამგბისას, მათი აზრით, უგნებელი ღვთაებაც ისევე მოკვდა, როგორც კაცთა ნათესავი; მეორე მათი უმთავრესი მწვალებლობა ბრძობს, რომ განკაცებულმა სიტყვა ღვთისამ, ზუცად ამაღლების შემდგომ, განიძარცვა ყოვლადწმიდა ღვთისმ-

შობლის ყოვლადწმიდა სისხლით მიღებული სხეული; ხოლო მესამე მათი უმთავრესი მწვალებლობა ის არის, რომ არასწორად აღრევს ქრისტეში შეურევნელად შეერთებულ ორ ბუნებას – კაცობრივს და ღვთაებრივს, რომელიც, ვითომდაც, ერთ ბუნებად იქცა.

ასეთია უმთავრესი მათეული ღმრთივსაძაგელი მწვალებლობები და რა შეიძლება ვთქვათ მართლმადიდებლებმა წინააღმდეგ ამისა? ნუთუ ჩვენ ამას დავეთანხმებით, რომ ასეა? არავითარ შემთხვევაში! ნუ იყოფინ, რომ ღდესმე შევიწყნაროთ ესოდენ ღვთისმგობი და მკრეხელური აზრები გვამოვნებით ერთი, მარადმყოფი, უკვდავი და უვნებელი ღმერთის ბუნებასა და მის უკვდავებაზე. მათეული მკრეხელობის წარმოთქმა და მოსმენა არ შეუძლიათ თვით ღმრთის წინააღმდეგომ ეშმაკებსაც კი. ხოლო ეს ჩანს იმ ნათესამდნა, რომელიც დამღუპველმა და ბოროტის დასაბამმა გველმა პირვერულად ჩასრუჩულა დედაკაცთა წინაპარს: „არა სიკუდილით მოჰკუდეთ. რამეთუ უწყოდა ღმერთმან, ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგან, განგეხუნენ თქუენ თვალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა“ (დაბ. 3,4.–5), ანუ, უკვდავნი და უხრწნელნი იქნებით, ვითარცა თვით უფალი, რომელმან შეგქმნათ თქვენ.

მაგრამ ყოველთა შექმნელი ღმერთის უკვდავებაზე მრავლის მეტყველება არათუ ზედმეტია, არამედ ღიმილის მომგვრელიც, რამეთუ არა მარტო ღმრთივსულიერნი წერილნი არიან სავსე მარადმყოფი ყოველთა დამტევნელის უკვდავებაზე მოწმობით, არამედ უკველაზე უფრო გარეშე ფილოსოფოსები და რიტორნიც კი უგალობენ თავიანთ თხზულებებში მარადმყოფი ღვთის უკვდავების დიდებას. მაშ, წყეული სომხები, წყეულ დიოსკორესთან⁶ ერთად, როგორლა ამტკიცებენ, რომ ქრისტეს ღმრთაებრივი უკვდავი ბუნება მის წმიდა სხეულთან ერთად მოკვდა?

და, უკეთუ უგნებელი, უკვდავი და არაქმნული მისი ღვთაება, როგორც ისინი ამბობენ, სიკვდილს მიეცა, მაშინ ეს ნიშნავს, რომ მისი წმიდა სულიც, ვითარცა ხორციან ერთად შობილი, მის ღმრთაებასთან ერთად მოკვდა. და, უკეთუ გაღიარებთ, რომ ეს ასეა, მაშინ როგორლა ვიტყვით, რომ იგი შთახდა ჯოჯოხეთს და ბჭენი რვალისანი შემუსრნა და აღმოიყვანა საუკუნითგან იქ მყოფი მართალი სულები?

⁶ დიოსკორე I (444–451) – ალექსანდრიის პატრიარქი, მონოფიზიტი.

უკეთუ იგი მოკვდა, როგორც ხორცით, ასევე ღმრთაებით და სულით, მაშინ, როგორდა იქნება თავად ჯვარცმულისაგან ჭეშმარიტებით თქმული: „ამისთვის უყუარ მე მამასა, რამეთუ მე დავსდებ სულსა ჩემსა, რათა კუალად მოვიღო იგი“; და კუალად: „ხელმეწიფების დადებად მისა და ხელმეწიფების კუალად მოღებად მისა“ (იოანე, 10, 17-8) და, უკეთუ, მათებურად, იგი მოკვდა როგორც ხორცით, ასევე ღმრთაებით და სულით, მაშ, როგორდა შეძლო მისი მიღება სრულებით მკვდარმა, - მან, ვინც არის განუსაზღვრელად ძლიერი ძალა ყოვლისმპყრობელი ღმერთისა? უკეთუ ადამიანის სულს, რომელიც შექმნილია სიტყვიერად და უკვდავად, არ შეუძლია, რომ მოკვდეს, მაშ, ყოველთა ცხოვრება, „რომელსა მხოლოსა აქვს უკვდავება, და ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა“ (1 ტიბ. 6,16), როგორდა მოკვდა ჯვარზე თავისი უკვდავი ღმრთებით?

და ეს ერეტიკული ზრახვა რომ ღვთის გმობაა, ღმრთივსაძაგელია და სიცრუეა, ძალიან ბრძნულად აჩვენა ალამუნდარ ისმაიტელმა, რომელიც ქრისტიანულ მართლმორწმუნეობაზე მოქმედა და მოინათლა მთელი ოჯახითა და მოდგმით. ხოლო, როდესაც უწმიდურმა სევეროსმა⁷ შეიტყო ისმაიტელის მამულის სჯულისაგან მართლმადიდებელ სარწმუნოებაზე მოქცევა, მაშინ მასთან გავზავნა თანამზრახველი ორი ეპისკოპოსი და შეეცადა მის მიღრეკას ღმრთივსაძაგელ თავის მწვალებლობაზე. როდესაც მწვალებლები ალამუნდართან მიიღიდნენ და ხანგრძლივი საუბარი გაუტეს სევეროსის მოძღვრებაზე, ალამუნდარმა დაითხოვა ისინი და უთხრა: „ხვალ კიდევ ვისაუბრებთ ამაზე“, ხოლო მწვალებელთა წასვლის შემდგომ მან თავის ერთგულ მსახურს უთხრა: „სევეროსის მოგზავნილები კიდევ რომ მოვლენ ჩემთან და თავიანთ მწვალებლურ მოძღვრებაზე საუბარს დამიწყებნ, მაშინ მომიახლოვდი და ყურში ჩამჩურჩულე: მიქაელ მთავარანგელოზი უკვე გარდაიცვალა-თქო“.

როცა სევეროსის კაცნი კვლავ მოვიდნენ და ხანგრძლივად სიტყვაფლიდობდნენ წინაშე ახლად ნათელლებული ალამუნდარისა, მაშინ მივიდა მათთან მსახური და თავის ბატონს წასჩურჩულა, რაც დავალებული ჰქონდა. ალამუნდარი უმალ მოჩვენებით მწუხარებას და ნაღველს მიეცა, თავი ჩაქინდრა და იდაყვდაყრდნობილი მდუმარედ იჯდა, ეპისკოპოსების სიტყვებს ყურადღებას არ აქცევ-

⁷ სევეროსი (512–538) – ანტიოქიის პატრიარქი, მონოფიზიტი.

და და, როცა ჩააცივდნენ და მწუხარების მიზეზს გამოჰკითხავდნენ, ალამუნდარმა უპასუხა: „შევიტყვე, მთავარანგელოზი მიქაელი გარდაიცვალა და როგორ არ ვიდარდო, როდესაც ასეთ მცველს მოვაკლდი?“ რაზეც მათ შესძახეს: „არ დაიჯერო, პატივცემულო ბატონო, არაფრით მიაქციო ყურადღება ამგვარ ამბავს, ეს აშკარა ტყუილია, რამეთუ ანგელოზთა ბუნება სიკვდილს არ ექვემდებარება, რადგან ყოველთა შემოქმედმა შექმნა ისინი უკვდავად“.

მაშინ ალამუნდარმა უთხრა: „მაშ, მთხოვთ, უკეთუ ანგელოზთა ბუნებას, რომელიც ყოველთა შემოქმედმა შექმნა უკვდავად, არ შეუძლია, რომ მოკვდეს, მაშ, ყოველთა ცხოვრება, „რომელსა მხოლოსა აქვს უკვდავება, და ნათელსა მყოფ არს მიუწვდომელსა, – როგორ უნდა მომკვდარიყო თავის უკვდავი ღმრთებით, თავისი მაცხოვნებელი წამებისას? ძლიერ შემცდარხართ და დიდად შორს ხართ ჭეშმარიტებისაგან, თქვენს მოძღვართა ერთად“. ასეთი ბრძნული მოსაზრებებით დაუყო პირი მწვალებლებს და არცხვინა ახლად ნათელლებულმა ისმაიტელმა.

კიდევ სხვა საკვირველი სასწაულიც მოვისმინოთ – არა ამქეციური, არამედ ღვთის განგებულებით – ზეცითგან გამოცხადებული, ჭეშმარიტი კეთილმორწმუნეობის საუწყებლად და საძაგელი სომხერი მწვალებლობის სამხილებლად:

როდესაც უწეტარესი პატრიარქი პროკლე⁸ სასულიერო წოდებასთან და ერთად კონსტანტინეპოლის შემოგარენს მოივლიდა, ცრემლით ლოცვას აღასრულებდა და ევედრებოდა ხშირი და საშინელი მიწისძვრების შეჩერებისათვის, – იმ დროს, უცრად, ხალხიდან პატარა ბავშვი აღეტაცა ზეცად, ყველა მორწმუნის თვალწინ, რომლებიც დიდი შიშით ღაღადებდნენ: „უფალო, შეგვიწყალენ“. შემდგომ ბავშვი კვლავაც უვნებლად დადგა მიწაზე. როდესაც უნეტარესმა პროკლემ ბავშვს ჰკითხა, თუ რა იხილა და რა ისმინა იქ, ყრმამ უპასუხა, რომ წმიდა ანგელოზები იქ სამწმიდაოს საგალობელს გალობდნენ დანართის გარეშე, ისევე, როგორც ამქეცნად გალობს წმიდა კათოლიკე და სამოციქულო ეკლესია.

ამის თქმისთანავე, ღვთის მიუწვდომელი განგებით, ბავშვი გარდაიცვალა. ხოლო გამონათქვამი „დანართის გარეშე“ ნიშნავს შემდეგს: უსჯულო სევეროსმა, რომელიც ქრისტეს ღმრთაების შესახ-

⁸ პროკლე (434–446) – კონსტანტინეპოლის პატრიარქი

ებ ბრძნობდა, რომ იგი ვნებას ექვემდებარებოდა, და სურდა ამ მწვალებლობის დანერგვა, თავის მიმდევრებს ასწავლა, რომ სამწმიდაო დანართით ეგალობათ შემდეგნაირად: „წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო, ჩვენთვის ვნებულო, შეგვიწყალენ ჩვენ“. ამ დანამატით – „ჩვენთვის ვნებულო“, ყოვლადუწმიდურს სურდა ეჩვენებინა, რომ ქრისტეს ღმრთაება ივნო ანუ მოკვდა მის წმიდა სხეულთან ერთად. რა შეიძლება, რომ ამ გმობაზე უარესი და საძაგელი რამ იყოს წინაშე ღვთისა?

უკუთუ მხოლოდშობილის ღმრთაება ივნო, ანუ მის წმიდა სხეულთან ერთად მოკვდა, როგორც ის უწმიდურნი ამტკიცებენ, მაშინ ეს ნიშნავს, რომ სრულად წმიდა სამებაც ივნო, ანუ მოკვდა, რამეთუ ერთ არს ღმერთი, ერთ არს ბუნება და ერთ არს არსება სამებისა განუყოფელისა. რამეთუ წმიდა სამება განუყოფელად განიყოფება ჰიპოსტასებით, ხოლო არსებით შეერთებულია შეურევნელად, ე. ი. ერთ არს ღმერთი – ყოვლადწმიდა სამება ერთარსება, იგივ განიყოფება და განუყოფელია, განიყოფება ჰიპოსტასებით, ხოლო განუყოფელია არსებით, ბუნებით და ღმრთებით. ამიტომ, ცხადად შეიღებულნი არიან უწმიდური სომხები სევეროსთან ერთად, რამეთუ ისინი გმობენ წმიდა სამებას, როდესაც მის ვნებას აღიარებენ, ანუ სიკვდილს – მხოლოდშობილის მაცხოვნებელი წამების დროს.

ო, რა უწმიდურებაა და რა სატანური ნააზრევია? მარტო ამ ერთი მწვალებლობისათვის გვმართებს მათი მოძაგება სრულად და მათგან განშორება, თანახმად ღმრთის მოშურნის გამოთქმისა: „ანუ არა მოძულენი შენი, უფალო, მოვიძულენ და მტერთა შენთა ზედა განვკუდი? სიძულვილითა სრულითა მოვიძულენ, და იგინი მტერად შემექმნეს მე“ (ფს. 138, 21-22).

კიდევ ერთი საკვირველი ამბის შესახებ მონათხრობი მოვისმინოთ, რომელიც ღვთის განგებით მოხდა ჭეშმარიტების საჩვენებლად და სევეროსისეული ღმრთივსაძაგელი გმობის სამხილებლად.

როდესაც ქალკედონში შეიკრიბა 630 ღმრთივსულიერი მამა წმიდა შსოფლიო IV კრებაზე და მრავალი დღის მანძილზე ჭეშმარიტებისათვის გულმოდგინედ გამოარჩევდნენ, ამ დროს დემონური პაექრობით შეპყრობილი მწვალებლები ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ მართლმადიდებელთა მიერ საღმრთო წერილიდან მოვა-

ნილ მტკიცებებს. მაშინ ორივე მხარემ, განგებით, ამგვარი გადაწყვეტილება მიიღო: ჭეშმარიტებაზე მინაშება ღვთისათვის მიენდოთ და ყოვლადდიდებულ დიდმოწამე უფემიასათვის. ამისთვის ორივე მხარემ ცალ-ცალკე დაწერა თავისი სარწმუნოების სიმბოლო და დაბეჭდა; შემდეგ გახსნეს მოწამის წმიდა ნაწილების ჩასასვენებლი, დასდევეს ორივე წერილი მის წმიდა ნეშტზე და მართლმადიდებლებმა წარმოსთქვეს: „შენ, უფალო, გულთამშილავო, ლოცვითა ყოვლადდიდებულისა მოწამისა შენისათა, არწმუნე წინააღმდგომთა ჭეშმარიტებისა შენისათა!“ შემდგომ დახურეს წმიდა ლუსკუმა, კვლავ დაბეჭდეს და თავ-თავიანთ ადგილს მიაშერეს.

რამდენიმე დღის შემდეგ, ერთობლივი შეთანხმებისამებრ, შეიკრიბნენ და წმიდა საძგალე გახსნეს – ო, რა საოცარი და აღმატებულია ყოველ გონებაზე სასწაულნი შენი, ყოვლადნეტარო და კაცომოყვარეო მეუფეო! – ნახეს, რომ მართლმადიდებელთა წერილი მაგრად ეპყრა წმიდა მოწამეს ხელში, ხოლო მწვალებლების – შორს ეგდო, მის წმიდა ფერხთით, ვითარცა ღმრთივსაძაგელი და ყოვლითურთ ღმრთისმგმობელობით აღსავსე. სხვა კიდევ მეტი რაღაა საჭირო მათი მწვალებლების სარცხვენად? მაგრამ არ დასცხოებიან უსჯულოები! არის კიდევ საეკლესიო სიტყვა, რომელიც ამბობს, რომ მტრული მხარის მოწმობა უფრო უტყუარად ითვლება; და ვინ შეიძლება ჩვენი მართლმადიდებელი სარწმუნოების უფრო დიდი მტერი იყოს, ვინემ – ეშმაკი? ამიტომ, ზემოთ ნათქვამს დაუუმატებ კიდევ ერთ მოწმობას, რომელიც ეშმაკებმა თქვეს და ამით დავამთავრებ სიტყვას:

კერპთაყვანისმცემლობის წყვედიადის ბატონობის დროს ელადაში იყო ერთი ადგილი, თავისი ჯადოქრობით ყველაზე ცნობილი. ეწოდებოდა ჰითია⁹, სადაც ულამაზესი საკერპო ტაძარი იყო აგებული და მასში იდგა ცნობილი კერპი, რომელსაც ყველა წარმართი განსაკუთრებულ ჰატივს სცემდა და მათებურად „ღმერთი“ – აპოლონი ერქა. მასთან ყველა ხალხის კერპთაყვანისმცემელი მიემართებოდა ყოველი მხრიდან და თითოეული მათგანი თავის კითხვაზე პასუხს იღებდა აპოლონის ქურუმებისაგან დემონური მზაკვრებით. და ა, ამიტომაც ჰქონდათ ამ „ღვთისადმი“ დიდი რწმენა კერპთაყვანისმცემელ ხალხებს.

⁹ პთო (იხ. ბერძ. სახელია ოროფრუფ. ლუსკუმ); პთო – მსახი ქლი ამლონის ტაძრში.

უფალი ჩვენი იესო ქრისტეს მაცხოვნებელი წამების შემდეგ და შემდგომად მის ზეცად ამაღლებისა, როდესაც ჭეშმარიტი ღმერთის შემცნებით გაბრწყინდა მთელი მზისქვეშეთი, და ერთნი სიხარულით შეუდგნენ მოციქულთა ქადაგებას, ინათლებოდნენ, ხოლო მეორენი ძლიერ ეწინააღმდეგებოდნენ ყოველივე ამას და მთელ ქვეყანაზე ამის განსჯა და ურთიერთშორის ბრძოლა შეიქმნა, მაშინ აპოლონის ერთმა ქურუმმა, როდესაც დაინახა, რომ მთელი ქვეყანა ესოდენმა მღელვარებამ მოიცვა და მოკლე ხანში ყველა შეძრა, მოისურვა თავისი „ღმერთი“ აპოლონისაგან შეეტყო, თუ რა იყო ეს ახალი მოძღვრება, მთელ ქვეყანას რომ მოეფინა, და ვინ იყო იესო ქრისტე. გაბედა და ყოველივე ამის შესახებ ჰკითხა თავის კერძლერთ აპოლონს. ხოლო ეშმაკი, რომელიც იღუმალ მტრობდა ქრისტეს კეთილმორწმუნებს, შეკითხვისათვის განურისხდა თავის მსახურს, არ მოუწონა საქციელი და უთხრა: „უმჯობესი იყო, სულაც არ გეკითხა ჩემთვის ამაზე, წყეულო მსახურო ჩემთ“ მაგრამ, ღვთაებრივი ძალით იძულებულმა, მოკლედ განუმარტა თავის მსახურს განკაცებული ქრისტე ღმერთის საშინელი საიდუმლო, უამბო მისი მაცხოვნებელი წამების შესახებ და დასინა: „ჯვარცმული არის ღმერთი, მაგრამ ღმრთაება მისი არ ვნებულა“.

ამის შემდეგ რას იტყვის უღირსი სევეროსი თავის სამგზის წყეულ სომებს მიმდევრებთან ერთად? აი, სხვა ყოვლითურთ ცბიერ-მა აპოლონმა, ღვთის ძალით, თავისი საქუთარი ნების წინააღმდეგაც კი აღიარა ქრისტე მაცხოვარი, როგორც ვნებული და როგორც უვნებელი: ვნებული, როგორც ადამიანი, რამეთუ იყო სრული კაცი, და უვნებელი – ღმრთაებით. ხოლო დიოსკოროსს, სევეროსს და მათ მიმდევარ წყეულ სომხებს როგორ არ ეშინიათ იმის მტკიცება, რომ ივნო ქრისტეს უკვდავი ღმრთაება მისი მაცხოვნებელი წამების დროს?

ამიტომ, გირჩევ, როგორც ერთგულ მეგობარს და საყვარელ მმას, განეშორე მათ უწმიდურ საკრებულოს და მათთან პირმოთნე საუბრებს (ანუ მას, რასაც დღეს ეკუმენისტები დიალოგებს უწოდებენ-მ.), უკეთუ ნამდვილად გსურს ბოლომდე უგნებლად დაიცვა შენში წინაპართაგან გადმოცემული მართლად მაღიდებელი სარწმუნოება – რამეთუ განხრწნიან კეთილსაონო ჩვევებს ბოროტი საუბრები, როგორც იტყვის სამოციქულო სიტყვა. და კუაღლად: „მწვალებელ-სა კაცსა შემდგომად ერთისა და ორისა სწავლისა განეშორე“

(ტიტე 3,10). წყეული სომხები კი, არა თუ პირველი და მეორე, არამედ შვიდი კრების მოძღვრებას ეწინააღმდეგებიან. და როგორ-და ღირს-ვყოთ ისინი ჩვენთან ურთიერთობით და საუბრებით?

იცოდე, რომ ყველა მწვალებლობის მეთაური არის ეშმაკი, რამეთუ სახარებაში მოხსენიებული მტერი სწორედ ის ადამიანია, რომელ-მაც სუფთა და უმწიკვლო სახარებისეულ ღვთისშემეცნების ხორ-ბლის ყანაში ცბიერების ღვარძლი დათესა, ანუ ის ღმრთივსაძაგე-ლი სხვადასხვა მწვალებლობა, რომელშიც ჩვენს ჩათრევას ეს-წრაფის ყოვლადუწმიდური და სურს განგვაშოროს მართლმადიდებელ სარწმუნოებას, რომლის მოძღვრებითაც გვწამს მარადმყოფი და დაუსაბამო ღმრთაების – ყოვლისამპყრობელისა და ერთარსებისა და განუყოფელისა ყოვლადწმიდისა სამებისა და საშინელი, ყოველ-თა გონებასა და სიტყვაზე აღმატებული საიდუმლო – მხოლოდ-შობილი ძის განკაცებისა, რომელიც წმიდა სამების ერთი პირია და რომლისაგან და რომლისა მიერ სამუდამოდ შეიმუსრა ბორო-ტის ძლიერი ისრები; იარაღი მისი განქარდა და სამკვიდრებელი მისი შეიმუსრა და, ვითარცა უძლური ფრინველი, გმობისა და დათო-გუნვის საგნად იქცა ყოველთაგან, რომელთა ყოვლითა გულითა და ჟეშმარიტებით სწამთ ჯვარცმული იესო ქრისტესი, ვინც სძლია ეშმაკი.

ნუ ვიქნებით უზრუნველნი და უგრძნობელნი, როცა ჩვენი ცხ-ონებისა და ცხოვრების ესოდენ შეურიგებელი და ცბიერი მტერი გვყავს; არამედ მხნე ვიყოთ და ვითხიზლებდეთ მარადჟამს და რაოდენი იგი არ დაცხება და ყოველგვარი მზაკვრობით აღიჭურ-ვება წინააღმდგომად და მოსაკვდინებელად ჩვენდა, ეგრეთვე ჩვენც აღვიჭურვოთ კეთილმორწმუნების იარაღით, მისი ლეგიონისა და მისი დამცველი ღმრთივსაძაგელი მწვალებლების წინააღმდეგ და მოვიზღუდოთ ყოვლითა გონებითა და ღმრთივსულიერი წერილის ცოდნით, რათა ოდესმე ჩვენც განვიცადოთ უფრო ძლიერი საჭმელი და მთელი ცხოვრება ოდენ რძით არ ვიკვებებოდეთ.

მტკიცებად აღვიჭურვოთ დოგმატთა ყოვლადსაჭურველით, როგორიც არის იოანე დამასკელის საღვთისმეტყველო თავნი და მტკიცება დავისწავლოთ ისინი, რათა დავუყოთ დაუდებებელი პირი ჩვენს მტრებს და დავამხოთ ყოველი წინააღმდგომი ქრისტეს ნებისა, რამეთუ ქრისტემ მოგვცა ხელმწიფება დათრგუნვად გველთა და ღრიანკალთა და ყოველთა ბოროტა ძალთა, „რამეთუ არა არს

ბრძოლა ჩუენი სისხლთა მიმართ და ხორცია, არამედ მთავრობათა მიმართ და ხელმწიფებათა, სოფლის მპყრობელთა მიმართ ბნელისა ამის საწუთოისათა, სულთა მიმართ უკეთურებისათა, რომელნი არიან ცასა ქუეშე“ (ეფეს. 6,12) და რომელთა ნაირგვარი მანქანება და განსაცდელი დამხოს უფალმა და უვნებელად საუკუნოდ დაგვიცვას ჩვენ, ამინ! [28].

თარგმანება სომეხთა წუალებათათვის, თუ რომლითა შეიჩუენებიან სომეხნი

ვითარმედ, ვითარმცა ხრწნილებისა, რომელ არს შიმშილი, წყურვილი და სხუა კაცობრივი უხრწნელებისა არა მგონებელნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა ერთისა ბუნებისასა ქრისტესა შორის მგონებელნი, მგმობელნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა ერთისა მოქმედებასა ქრისტესა მგონებელნი, მგმობელნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა ერთისა ნებასა მის შორის ბოროტად მეჩქერენი. შეიჩუენებიან.

და ვითარცა ქრისტეს შობისა უარის მყოფელნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა ხარებასა ღუთის მშობლისასა არა მედღესასწაულენი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა ხატსა ქრისტესა და ღუთის მშობლისასა და ყოველთა წმიდათა საიდუმლოთა არა თაყენის მცემელნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა უცომოსა პურისა მსხუერპლად შემწირულნი, შეიჩუენებიან. და ვითარცა ღვინოსთანა ქრისტეს სისხლისასა წყლისა არა განმზავებელნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა სახარებისა გარდამცცეველნი, შეიჩუენებიან.

და ვითარცა ცრუ მღვდელობისა მათისა ცხადათ განმსყიდველნი და სამთვრალოთ მყოფელნი მათისა ეკლესისანი, წმიდათა და ღმერთშემოსილთა მამათა მიერ, ვითარცა სიმონიანი, შეიჩუენებიან და იუდას თანა დაიწესებიან.

რომელ თვინიერ მარილისა შეიქმნან უცომოსა და მკუდარსა მსხუერპლსა მოცემისაებრ ებრაელისა, შეიჩუენებიან.

რომელ იანვრის თვის ხუთისა ჰყოფენ ხარებასა უწესოებით არა პატივისათვის ღუთისმშობლისა, შეიჩუენებიან.

რომელ არა ექუსსა იანვარსა დღესასწაულობენ ნათლისძებასა, არამედ განვლენ მდინარედ მაჩუენებლობით, შეიჩუენებიან.

რომელ დღესასწაულობენ თორმეტსა თვის იანვრისასა ნათლისძებასა ქრისტესა, რომელ არს გარდაქცეულება დიდი, შეიჩუენებიან.

რომელ არ აქუსთ მირონი, არამედ ბალაზინისა ზეთსა იხმარებენ, შეიჩუენებიან.

რომელ ნათლისძებასა არა სცხებენ ზეთსა, არამედ უდებ ჰყოფენ, შეიჩუენებიან.

რომელ ნათლისძებასა შინა არა იქმნების მათ მიერ შებერვა ახალ ნათელლებულთა, შეიჩუენებიან.

რომელ არცა ერთისა რასამე ლოცუათა შინა მათთა დაუბრთ ჰსჯულად არა თქმად მამაო ჩუენოსა, არცა იტყვიან, შეიჩუენებიან.

რომელი დაუძსთ ჰსჯულად მამათა მათთა, ვინცა ვინ შაბათსა ანუ კვირიაკესა მარხუათა თანა აღირაცხვენ თვინიერ ხოლო განცხადებისანი ამისთვის, შეიჩუენებიან.

რომელ წმიდათა დიდთა მარხუათა შაბათ-კვირიაკეთა სჭამენ სძესა და კვერცხსა და ერბოსა, რომელნიმე ცხადად, რომელნიმე ფარულად, შეიჩუენებიან.

რომელ სახსენებელსა წმიდათასა არა აღასრულებენ ამისთვის, შეიჩუენებიან.

რომელ მიცუალებასა წმიდის ღუთისა მშობლისასა და ამაღლებასა ჯუარისასა არა დღესასწაულობენ, შეიჩუენებიან.

რომელ შემატეს ხმა განსმენილობით ქადაგებული მათ მიერ მარხუა ალაჯორისა, რომელი მიიღეს უღმერთოთა მანასკერტს ტარსუნ ქალაქესა დვინს შეკრებილთა წუალებელთა, შეჩუენებულიმცა არიან.

რომელ ყუელიერი, რომელი პირველად ეზოდ წმიდისა მარხუისა განაწესეს წმიდათა ღმერთშემოსილთა მამათა, ამათ შეაგინეს ხორცთა ჭამათა, შეიჩუენებიან.

შეურაცხყოფენ უამისა წირვასა საღმრთოსა და არცა იმოსებიან თვინიერ სტიხრისა, ოლარის და ფილონისა, და არა ჰსწირავენ, რომელი კანონითა დაუწესა დიდმან სილივისტროს, შეიჩუენებიან.

რომელ უამის წირვის უამისა რამდენი პირნი იქმნებიან მწირველნი, ერთის მეტი ვერ მიიღებს საიდუმლოს, შეიჩუენებიან.

რომელ დიდსა ხუთშაბათსა სერობასა უფლისა ჩუენისა იესო

ქრისტესა, ოდეს ყოველი ქრისტეანებიან, ყოვლად არა აღასრულებენ, არამედ სრულიად უგულებელ ყოფენ, შეიჩუენებიან.

რომელ კნინდა დაურთავსვე და ზრახვენ იგინიცა, რაუამს გარდაიხდიან პასექსა აღვსებისასა წელიწდეულთა კრავთა და ჰუბენ სისხლითა მათთა წუერთილთა დასაცველად თავთა თვისთა შერაცხვენ, შეიჩუენებიან.

რომელ ჰსჯულისამებრ ურიათასა ამას ესე ვითარცა საძაგელსა მსხუერპლსა, რა მოიყუანებენ ხარსა და ვერძსა და შეამკობენ მათ დებილითა ძოწეულითა და მათ შორის რათა მათთა დამოპკიდებენ ხილისა თითო ფერსა და მოიყუანებენ მათ კართა თანა ეკლესიისათა და სახელ ჰსდებენ მსხვერპლად სამეუფოდ, ესე იგი არს მტლად, შეიჩუენებულმცა არს ხსენება მათთა.

რომელ უგულისხმა და უცნობელ არიან ურწმუნოებით ამისი, ვითარმედ სისხლი ქრისტეს დაითხია საცხოვრებლად სოფლისა და იტყვიან, ვითარმე უკუთუ არა იქმნას დაკულა და დათხევა სისხლისა ზროხისა ანუ ცხვრისა, რაუამს ყოფზენ უამის წირვასა მიცუალებულისა, არა იქმნების განსუენება სულისა მათისა, შეიჩუენებიან.

რომელ გარდამაქცეველთა წმიდისა სახარებისათა აღმოუხოციან, რამეთუ დაუდუმებლად ყოველი ქრისტეს განხორციელებისა საიდუმლონი განგებულებანი, ვითარ იგი მღოცველისა თფლი ქრისტესი და შეძრწუნებული არს სული ჩემი, დამისხენ მე უამისა ამისგან, შეიჩუენებიან.

რომელ არ იმარხვენ მარხვათა ქრისტეს შობისათა, რომელი წმიდათა მოციქულთა განაწესეს ორმეოცი დღე, არცა კუალად წმიდათა მოციქულთასა, არცა ღვთის მშობლისათა მიცუალებისათა, არამედ აქუნ მათ მარხუანი უცხონი ჰსჯულისაგან და წესისა ქრისტეანთასა, ვითარ იგი იმარხვენ იონნსას ზედ ქალაქისათვის ნინევისა და ელიასთვის და გრიგორისათვის, დიდისა სომხითის ეპისკოპოსისა და სუბსარქისისათვის, შეიჩუენებიან.

რომელ სახე წმიდისა იონე ნათლის მცემელისა შეაგინეს და ნიში პატიოსნისა სქემისა შეამწიკვლნეს, უსჯულოებითა მონაზონთა მათთა ერის კაცებრ ჭამითა, შეიჩუენებიან.

რომელ განაკლებენ საშუალ ჯუარისასა სამსჭუალისა რკინისა, ქვისა იყოს ჯუარი ანუ თუ ძელისა, და სცხებენ ზეთსა ქუნჯუთისასა, წესისამებრ ახალ ნათელდებულთასა და ეგრეთლა თაყუანსა სცემნ, შეიჩუენებიან.

რომელ განადგინეს ყოველი სომხითი ბერძენთა მთავრობისაგან და თანა შემწე ექმნეს სპარსთა და მომადლებისა მათისათვის მოიხვენეს ხალიფასაგან წესნი და ჰსჯულნი სრულიად ქრისტეანეთაგან, ანუ გარე კიდე განბნეულნი მათნი, ესე იგი არიან წინა დაცუეთა სამღვდელოვისა ნაწილისაგანთა უამსა კურთხევისასა და ღორის ხორცითა არა ჭამითა და ნაცვლად ფაყვითა მანდილთა და ბურვილობისა ქედთა მათთა ზედა ტვირთველობა მანდილთა და რათა შემდგომად ჩამოლოცვისა არა იტყვიან, ქრისტემან ჭეშმარიტმან ღმერთმან ჩვენმან, არამედ იგინი ჯუარის წერით ოდენ ერსა მოხვეველსა ხელთა მათთა.

და წირვასა შინა ორთავე ქედთა დაბურვენ და სახარებასა წარიკოთხავენ სამხრით კერძო და მუნით ილოცვენ წესისამებრ მუსლიმისათა.

და რასა მღუდელნი და მონაზონნი მათნი ზრახვიდნენ, ამის უკუე და ესე ვითართათუს, რომელი ითქმიან, დაიწერა არა ღირს არიან, განგდებასა მათ და განკიდგანებს წმიდა ეპკლესია და ესოდენ უკუე, ვითარცა ღუთის მბრძოლნი შეიჩუენებიან და ეშმაკისად მიცემულნი.

მთავართა თანა მათთა და მოძღვართა მრავლისა თანა მათისა ბოროტად მადიდებლობისათა.

და მერმეცა ყოველთა ქრისტიანეთა მიერ, შეიჩუენებიან.

ვითარ კუალად ქრისტიანეთა შესარაცხელ არიან და არა უფროსლა ვითარცა მბრძოლნი და ქრისტეს უარის მყოფელნი, გინა ვითარ ნათლისღება მათი, კეთილ შეწყნარებულ არს და ანუ სარწმუნოება მათი შეწყნარებულ იყვნენ.

არამედ დაიყავნ უგუნურთა მათ არა წმიდათა, არა წმიდანი პირნი მათნი, ჭეშმარიტა ქრისტიანეთა ამაოთ სახელისმდებელნი მათი და ნათლისღებაც მათსა კეთილ შემწყნარებელად მეტყველნი.

ხოლო უკეთუ მათნი წიგნნი წარიკითხეს, რომელნიმე განხორციელებისათუს ქრისტესისა და სახარებისა და წმიდათა მამათათუს აღუწერიათ, ვითარ ურიათა და მანქეცველთაგან.

(მიხეილ საბინაშვილი, „საქართველოს სამოთხე“, პეტერბურგი, 1882 წ., გვ. 633-635). [27].

4. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი

საქართველოში არასდროს პქნია ადგილი რელიგიურ თუ ეთნიკურ შეღლს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, მართლმადიდებელი ეკლესია, ქართველი მართლმადიდებლები კაცთმოყვარეობით, კაც-შემწყნარებლობით გამოიჩინდნენ, რასაც არაფერი აქვს საერთო რჯულო შემწყნარებლობასთან. რჯულის საკითხში ქართველი მართლმადიდებლები უკომპრომისობითა და მართლმკვეთრებლობით გამოიჩინდნენ. სწორედ ამის შედეგია ის, რომ საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ არ გაიკარა მწვალებლობანი და ქრისტეს ეკლესის დოგმატები მოციქულებრივი სიწმინდით დაიცვა.

კაცთმწყნარებლობისა და რჯულო შეუწყნარებლობის მაგალითს საქართველოს დიდი ხელისუფალნი იძლეოდნენ. მათ ასეთ მართლმკვეთრებლობას დმერთი გამოიჩინდნენ შემწეობით ადასტურებდა და ამიტომაც იყო, რომ ასეთ ხელისუფალთა მმართველობის დროს საქართველო სულიერად, ზნეობრივად, პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად ძლიერდებოდა. წმ. მეფე დავით აღმაშენებლის მართლმკვეთრებლობის მაგალითი ამ თავის დასაწყისში მოვიყვანეთ. თქმულის განსამტკიცებლად წმ. თამარ მეფის დროინდელი საქართველოს ცხოვრებიდან ერთ ეპიზოდს მოვიტანთ, რომელსაც მემატიანე მოგვითხრობს.

თამარის დროს სამეფო კარზე ორი ძმა – ზაქარია და ივანე მხარგრძელები იყვნენ დაწინაურებულები. ძმები ტომით ქურთები იყვნენ, სარწმუნოებით კი - მონოფიზიტი, ანუ სომხის სარწმუნოებისანი. ზაქარია ამირსპასალარი იყო, ივანე - მსახურთ-უხუცესი. ეს შემთხვევა ნათლად აჩვენებს, რომ თამარის დროინდელ საქართველოში საერო სამსახურში ადამიანებს პიროვნული ღირსებების მიხედვით აწინაურებდნენ და არა ეთნიკური თუ რელიგიური ნიშნით. ამავე დროს, ეს ღირსებები და თანამდებობები სარწმუნოებრივ საკითხებში არ იძლეოდა რაიმე შეღავათებსა და უპირეტესობებს. ამას ნათელყოფს ერთი ისტორიული ეპიზოდი სამეფო კარის ცხოვრებიდან: ივი მოგვითხრობს ერთი ღვთისძისახურების შესახებ, რომელსაც მეფე და სხვა დიდებულები ესწრებოდნენ (იხ. ქც. ტ. II, გვ. 81-91). უნდა აღინიშნოს, რომ წმ. თამარ მეფე მხურვალე მლოცველი იყო და მისი შემხედვარე

დიდებულებიც არ აკლდებოდნენ ღვთისძისახურებას.

«მოვიდეს მმანი ორი მეფეს წინაშე მსახურებად, ძენი სარგის ამირსპასალარისანი, რომელნი მას უამსა დიდად განდიდებული იყვნეს მეფისა მიერ: ზაქარია ამირსპასალარი და ივანე მსახურთ-უხუცესი. ყოველნი მეფის წინაშე იყვნეს: კათალიკოსი იოანე, სულმობერული, კაცი ანგელოზთა მოსაგრე, და მცირენი ეპისკოპოსი, და სხუანიცა საქართველოს წარჩინებული შეკრებულ იყვნეს. ვითარ კათალიკოსი იოანე უსისხლოსა მსხუერპლსა მღდელმოქმედებდა, მოილო და შესწირა მან უამი».

და, აი, მსახურების დასასრულს, როდესაც მღვდელი არიგებდა სეფისკურს, მის მისაღებად ზაქარიაც გაემართა, მაგრამ, მიუხედავად ზაქარიას წარჩინებულობისა, მღვდელმა არ მისცა მას სეფისკური, რის გამოც ზაქარია შეეცადა, ძალით აეღო იგი. ამის შემხედვარე აღშვოთებული იოანე კათალიკოსი, „ცეცხლებრ აღტყინებული“, ეპვეთა მწვალებელ ზაქარიას და ამხილა იგი: «აღსრულებისა ყოველი ღირსნი მოუხდებოდეს ჭამად სეფისკურისა. ხოლო მღდელთა არა მისცეს, რამეთუ იყო სარწმუნოებით სომეხი, შეჩუენებულთაგანი; და სირცხულითა იკადრა ზაქარია აღტყაცებად სეფისკურისა და შეჭმად. რომლისათვის კათალიკოსი, ცეცხლებრ აღტყინებული, ძლიერად ამხილებდა და ეტყოდა: „ნეფსით არავინ მართლმადიდებელთაგანი იკადრებს მღდელმოქმედებასა სეფისკურს თქენ, შედგზის წყეულთა სომეხთა, მოცემად, მომტაცებელი ძალიცა თუ იპოოს“. რომლისთვისცა სირცხვილეული წარვიდა ზაქარია კარვად თვისად».

იოანე კათალიკოსი უხსნიდა ზაქარიას მისი მწვალებლური სარწმუნოების მკადარობას, მაგრამ ზაქარია მიუგებდა: «„მე მელაშქრე, ვერ კეთილად მეცნიერ ვარ სიტყვის-გებად შენდა; არამედ მოუწიდო მოძღუართა სარწმუნოებისა ჩუენისათა, რომელთა ჩემ წილ სირცხულეულ გყონ“. კათალიკოსი იოანე მიუგებდა: „იყავნ ნება ქრისტესი და მარადის-ქალწულისა ღმრთისმშობელისა, რომელმან სირცხულეულ ყენეს უარისმყოფელი თჲსნი“. ამისმან მსმენელმან ზაქარია წარავლინა კაცი კათალიკოსისა მიმართ მათისა, თანა-და ეპისკოპოსთა, ყოველთა ვარდაპეტთა და მეცნიერთა».

ამგვარად, ზაქარიამ მოუწოდა სომეხთა რჯულის მცოდნებს, –

ვანის კათალიკოსს, ეპისკოპოსებს და ვართაპეტებს, — იმ განზრახვით, რომ ისინი დაიცავდნენ სომეხთა სარწმუნოებას და, პირიქით, სირცხვილეულ ყოფლენებს მართლაც, გაიმართა სარწმუნოებრივი განხილვა და კამათი.

«და მოვიდა კათალიკოსი ვანისა და ყოველნი ვარდაპეტნი. და დაიდგა სამსაჯავრო, და დაჯდა დედოფალი, დედოფლისა მოსავი, დავით მეფე და წარჩინებული საქართველოსი ერთ-კერძო, მ არგრძელნი ზაქარია და ივანე ერთ-კერძო. მოუწოდეს კათალიკოსსა ითანები. შევიდა და იტყოდა ფსალმუნსა ამას: „აღდეგ, ღმერთო, საჯე სჯა შენი, მოიხსენე ყუედრება შენი, რომელ არ ს უგუნურთა-გან“. ვითარ შევიდა, აღდგეს მეფენი და პატივით თანადაისუეს; ეგრეთვე მარლასთა და ვარდაპეტთა სომეხთა მათცა პატივი უქმეს წესისაებრ». აი, ზე ქართველთა: დაუფარავად ამხელენ მწვალებლებსა და შვიდგ ზის წყეულებს უწოდებენ მათ, მავრამ, როვორც კაცომუყარენი, „წესისაებრ“, კაცობრივ პატივს მავებენ მათ.

«ვითარ მოკითხვამან ჟამი მოიღო, დაღუმნეს ყოველნი და იწყეს სომეხთა სარწმუნოებისა მათისა თქმად სიტყუა-მჭევრად და ვრცელ-სიტყუად, ვინაცა კეთილად მოქსენებულ იყვნეს. კათალიკოსი, ზეგარდამოთა ნიჭითა აღსავსე, გონიერებით აღუქსნიდა და ბრძად მიუგებდა უკურღუევად თქმულთა მათთა, ხოლო თქვისა დამამტკიცებლად. და გარძელდა სიტყუის-გება მიმიწუხრამდე.

მოშიშმან ისტორიისა სივრძისამან კმა-ვიყო თქმად: ვითარ უწყით სომეხთა სიტყუა-მისვეობისა, ძლიერი დაღადი აღუტევეს, ცილობისა სწორი ძლევა იქმნებოდა. ამის მსმენელმან კათალიკოსმან ითანები, ლმრთის-მეტყუელისა მოსახელემან, ნუ უკუე ზენათ სულის წმიდის მიერ აღვსებულმან, ანუ თუ მართლისა სარწმუნოებისა მინდობილმან — არა უწყი, აღაღო პირი ბრძად მეტყუელი შეუვალთა სიტყუათა. ოდესმე დიდი ელია მსხუერპლსა ზედა მოხედვიდა ცეცხლითა ლმრთისა მიერ მლოცველი; იხილეთ, თუ ვითარ უაღრეს აღსაქდელ არს უსისხლო მსხუერპლი — ქორცი და სისხლი ლმრთისა კაც-ქმნულისა — მსხუერპლსა ზროხისასა, რომელი აჩრდილსა მწერებულად იყო, ეგოდენ უბრწყინვალეს და უზენაეს არს, რომელი აწ იქმნა და ითქუა, ვჰგონებ, სულისა მიერ წმიდისა, პირითა მსახურისა მისისა კათალიკოსისათა. რამეთუ თქუა:

„სახლით თარგამოსნო, რომელი შეკრებულ ხართ ძალა და

მტერად მართლისა სარწმუნოებისა! უწყითა, რომელ ნათესავსა კაცთასა ეუფლა ეშმაკი? დამყოფელმან თუალთა გონებისათამან შეასაკუთრნა ხრისტოსთა, და არამეცნიერნი და დამტევებელნი ლმრთისანი უზორვიდეს კერპთა, ხახუსა და ნიორსა და ჯინჭარსა. ხოლო ლმერთი, არა უგულებელს-მყოფელი დაბადებულთა თქვთა, ეზრახა აბრაკამს და მერმე ნათესავსა მისსა; კუალდ მოსეს მოსცა სჯული და მსჯავრი უკანასკნელ, უმეტესთა წყალობათა აღძრული, ზეცით გარდამოხდა ერთი სამებისაგანი, მე და სიტყუა, ქალწულისა მარიამისაგან ქორცი შეისხა და მსგავს კაცთა იქმნა, რამეთუ სისხლთაგან ქალწულისათა მიიხუნა ქორცი კაცობრივნი და სული სიტყიერი, იქცეოდა კაცთა თანა და ყოველნივე განგებული აღასრულნა. რაյმას შესაძრწუნებული იგი ნებისით ჯურცმა ეგულებოდა, ათორმეტთა მოწაფეთა თანა ისერა და სრულ-ყო პასექი. ვითარ სრულ იქმნა, იწყო ახალსა ამას ლმერთ-მყოფელსა საიდუმლოსა: მოიღო პური, განტეხა და მისცა მოწაფეთა და თქუა: „მიიღეთ და ჭამეთ, ესე ქორცი ჩემი არს მისატევებულად ცოდვათა“. ეგრეთვე სასმელიცა: „სუთ ამისგან, ესე სისხლი ჩემი არს“. და პირველ იტყოდა: „უკეთუ არა სჭამოთ ქორცი მისა კაცისასა, არა გაქუნდეს ნაწილი ჩემთან“. და კუალდად იტყოდავე: „ქორცი ჩემი ჭეშმარიტი საჭმელი არს და სისხლი ჩემი ჭეშმარიტი სასმელი არს, და მრავალსადმე არიან ესევითარნი სიტყუანი. აწ უკუე მომიგეთ: გრწმენა ესევითარნი ქმანი მახარობელთანი?“ ხოლო მათ მიუგეს: „უცილობელ არს ეგე, რამეთუ მოგუცა ქორცი და სისხლი მისი, რათა უკუდავებად ვჭამდეთ და ვსუმიდეთ; ესე არს ნიჭი დიდი ჩუენდა მომართ, რათა ქრისტეს დმერთად აღმსარებულნი ვჭამდეთ ქორცსა მისსა და ვსუმიდეთ სისხლსა მისსა“.

და კუალდად კათალიკოსმან ქმა ყო ბრწყინვალედ: „კეთილ, შვილნო, ვინათგან აღიარეთ, აწ უკუე ესეცა გრწამს, ვითარმედ ახალი სჯული და ახალი პასექი იყო სერობა იგი, და ყოველნი, ქრისტეს ლმრთად და კაცად აღმსარებულნი, მლდელ-ვმოქმედებთ ქრისტეს ვნებათა მოქსენებულნი; ვჭამო ქორცსა მისსა და ვსუამთ სისხლსა მისსა, იგი არს სჯული ჩუენი და მცნება ახალი“.

ხოლო სომეხთა მიუგეს: „აგრე, ამას არავინ უმეცარ არს“.

კათალიკოსმან თქუა: „აწ უწყოდეთ, უკეთუ სარწმუნოება თქუენი უმჯობეს-სადამე არს, თქვენ მიერ შეიცვალების პური ქორცად

უფლისად. თუ ჩუენი უმჯობეს არს, ჩუენ მიერ მღდელმოქმედებული შეიცვალების ქორცად უფლისად“.

მათ თქვეს: „ეგრეთ არს“.

კათალიკოსმან თქუა საშინელის სასმენელად სიტყუა: „საქმითა გამოვაჩინოთ, არა სიტყვითა“.

მათ თქვეს: „რომელსა ჰყოფ, ჰყავ“.

კათალიკოსი ეტყოდა: „მოგცემ ძალლისა ერთსა. დრო-გიყოფ სამთა დღეთა, რომე ღამე განათითო ლიტანითა და ღმრთისა ვედრებითა; სამ დღე ძალლი უჭმელად დამარხეთ. და ერთი ძალლი მე მომეცით, სამ დღე უჭმელად დავმარხო, ღამე განვათენო ლიტანითა და ღმრთისა ვედრებითა, და გამოჩნდეს მართალი სარწმუნოება. მესამესა დღესა აღვასრულებ უსისხლოსა მსხუერპლისა და მოვიღებ სეფისკუერსა ქელითა ჩემითა. დაღათუ არა საკადრებელ არს, დაუგებ ძალლსა წინა, რომელი თქუენ გყავს, და ეგრეთვე თქუენ სეფისკუერი მოიღეთ და დაუგებ ძალლსა მას, რომელი მე მყავს. რომლისაცა შეჭამოს მისი რწმუნება არა არს; თქუენი შეჭამოს, თქუენ გრცხუენეს; თუ ჩუენი შეჭამოს ჩუენ გურცხუენეს“».

ამგვარად, იოანე კათალიკოსის ვანმარტებით, ჭეშმარიტი სარწმუნოების მპყრობელთა მსახურებისას პური და ღვინო ჭეშმარიტად გარდაიქცევა ქრისტეს ხორცად და სისხლად და სამი დღის შშიერი ძალლიც ვერ გაეკარება მას. ამიტომ, მნ შესთავაზა მონოფიზიტებს, აღესრულებინათ მსახურება და თავ-თავიანთი ნაწილები დაედოთ წინაშე მშიერთა ძალლთა, რომლებიც გამოარჩევდნენ, თუ რომელი იყო ქრისტეს ხორცი და რომელი – გარდაუქცევებელი პური. ეს იყო საშინელი გამოცდა და იოანე კათალიკოსმა იცოდა, რომ მსვავსი გამოცდა აღრეც ჩაეტარებინათ მართლმადიდებლებს, V საუკუნეში, არიანელთა მწვალებლობის გამოსააშკარავებლად.

«ესმა ესე მეფეთა და ერსა, განკურდეს და უღონოებამან მოიცუნა. ვითარ გონებად მოვიდეს, რქუეს კათალიკოსსა: „რა ესე სთქუი, სასმენელადცა ზარია!“ კათალიკოსი უმეტეს დაამტკიცებდა. გარნა სომეხთა აღარა ენება, მისცნეს ძალლი ურთიერთსა, და წარვიდეს კარავთა მიმართ.

ხოლო მეფე, ძლიერად მბრძოლი, ეტყოდა კათალიკოსსა: „რა სთქუ, ვინ შემძლებელ არს ამისდა ქმნად, მოგონებად და სმენად, რამეთუ განსაკვირვებელ არს?“ კათალიკოსი წყნარითა გონებითა

მიუგებდა: „საქმე ესე არა მინდობითა თავისა ჩემისათა ვყავ, არამედ ვყოფ ამასა სასოებითა ქრისტეს ღმრთისათა, რათა აჩუენოს მორწმუნება, მართალი მორწმუნება თუ ვისი არს, და ვინ არიან მართალ-აღმსარებელნი, და ვისთა ხელთა მისცემს ტარივი ღმრთისა დაკლვად თავსა თუსსა, ანუ ვინ ვჭამთ ქორცსა მისსა და ვინ ვსუამთ სისხლსა მისსა; მინდობითა მართლმადიდებლობისათა ცხად ვყოფთ ჭეშმარიტებასა, მეფეო, შემეწიე შენ და ყოველი ქართველი, დიდი და მცირე“. განკურდა მეფე და ყოველი ერი, ისმინეს რა ბრძანება კათალიკოსისა, და წარვიდეს თუს-თუსად.

იყო დღე იგი პარასკევი. იწყეს ლიტანიობად: ერთკენ მეფემან და კათალიკოსმან, და ყოველმან საღმდელომან კრებულმან (მცირედი იყვნეს მუნ ეპისკოპოსი, რამეთუ არა კრება ეყო მეფესა), და ერთ-კერძო სომეხნი და მცარგრძელნი ზაქარია და ივანე. ღამე იგი ორთავე გაათენეს, შაბათსა კუალად იწყეს ლიტანიობად და მწუხრი ერთშებათი გაათენეს. და ამოვიდა მზე და ყოველი წარემართნეს ეკლესიად, ცრემლით მვეღრებელნი ღმრთისანი. განამზადეს წმიდა ტრაპეზი ორგნითვე, იყო ტირილი ორისავე კრებულისგან. და სრულყო რა უსისხლოსა მსხუერპლისა შეწირვა, აღიქუა კათალიკოსმან ფეშემითა შესაძრწუნებელი იგი ქორცი ჩუენთუს კაც-ქმნილისა ქრისტეს ღმრთისა. წარმოვიდა კრებულისა მიმართ მგაზვრ მეტყული: „წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სავსე არიან ცანი და ქუეყანა დიდებითა მისითა“.

მოუწოდა სომეხთა ეპისკოპოსთა და მცარგრძელთა და ყოველთავე სარწმუნოებისა მათისა ზიართა და ეტყოდა: „ისმინეთ აწ, სახლო თარგმაოსისო! უწყით, რამეთუ ღმერთმან, ჩუენთვის კაც-ქმნილმან, მოგუცა ქორცი თვისი საჭმელად მეტყუელმან: „უკეთუ არა სჭამოთ ქორცი ჩემი, არა გაქუნდეს ცხოვრება, ამას ჰყოფდით მოსახსენებელად ჩემდა“ და მოციქულიცა იტყვს; „პურსა ამას რომელსა განვტეხთ, არა-მე ზიარებად ქორცთა ქრისტესთა არს?“ აწ უკეთუ სარწმუნოება თქუენი ჭეშმარიტ არს, პური ესე წმიდა ქორცი ქრისტესი იქმნების; უკეთუ ჩუენი სარწმუნოება სთნავს, ჩუენ მიერ კურთხულ იქმნების ქორცად უფლისად ყოვლადვე. ნუ იყოფინ, რომელ იკადროს რომელმანცა (უარისყოფა). აწ მოიცარეთ ძალლი, რომელიც მე მოგეც; დაღაცათუ არა საკადრებელ არს, წინადაუგებ პურსა ამას წმიდასა. უკეთუ შეეხოს ძალლი და იკადროს მიახლებად, არა სა-

დამე არს სარწმუნოება ჩუქინი. მოყვანებად ვცეთ ძაღლი თქუნი, დაუდვათ პური თქვენ მიერ კურთხეული; იხილეთ რაძი იქმნას, და მას ზედა გამოჩნდეს, ვისი სარწმუნოება სთნავს ქრისტესა“.

ხოლო სომეხთა დაღაცათუ არა ენება, გარნა არა იყო პასუხი სამართლისა; ძლით ეტყოდეს კათალიკოსსა: „შენ მიერ განჩინებულსა ამას საქმესა შენ გიღირს ქმნად“. ხოლო იყო ერსა ზედა შემოსვლად ჯარი რაძი იქმნას. და ამისმან მსმენელმან კათალიკოსმან თქუა: „მე ვყო“. და ბრძანა ერისა შორად განყენება და მრგულივ გარემოდგომა, რათა ყოველთა მიერ სახილველ იქმნას დიდებულება ღმრთისა. და განდგა ერი შორადრე.

წარმოდგა კათალიკოსი იოანე შემოსილი, და ქლოთა ეტკრთა ზარის ასახდელი იგი საიდუმლო, ქორც-ქმნილი, მღდელ-მოქმედებული. მეფე და ყოველნი ერი ხედვიდეს განცუფრებულნი და შეძრწუნებულნი. და კათალიკოსი დგა, ვითარცა გოდოლი შეურყეველი, ტურფად აღშენებული, ესრე მტკაცედ დგა განშუენებულითა პირითა. მაშინ მოყვანება ბრძანა სამ-დღე უჭმელისა ძაღლისა; და მოიყვანეს ძაღლი იგი შიმშილითა განლიგებული. და წარდგა იოანე კათალიკოსი და აღმოუტევა ქმა ბრწყინვალე: „ქრისტე მეუფეო, ქსნისათქს კაცთასა განკაცებულო, ჯუარცმულო ჩუქნთვის, დაფლულო და ალდგომილო და ზეცად მამისა ამაღლებულო, რომელმან მოგუეც ქორცი შენი, რათა მოსაქსენებელად შენდა ვპყოფდეთ; შენ, მეუფეო, გთხავს სარწმუნოება ქართველთა, გთხავს სარწმუნოება ესე ჩუქნი, შეუხებელად და მიუახლებელად დაიცევ ზარისა ასაკდელი ქორცი ესე შენი, ჩუქნ მიერ ძღველ-მოქმედებული; შენ უკუე შეიწირე შეუძრველი ეგე და აჩუქნე ერსა ამას გზა ჭეშმარიტი, და მოხვდე მსხუერპლ-სა ამას და სირცხლეულ ყვენ წინააღმდეგომნი ჩუქნი“.

და რაჟამს ესე ითხოვა, დააგო შესაძრწუნებელი იგი უსისხლოსა მსხუერპლისა აღმონაკუეთი მომყმარისა მის ძაღლისა წინა. ხოლო მხილველი პურისა ვითარ მიეტევა, მიეახლა მიუახლებელსა მას; მყის ძლიერად იყრნა ძაღლმან და ვერ შეეხო წმიდასა მას წმიდათასა. და იხილეს განსაკრთომელი ესე სასწაული, განკრთეს მეფე და ყოველი ერი. მაღლითა ქმითა ქმა-ყო კათალიკოსმან და ყოველმან სიმრავლემან ერისამან: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკურველ არიან საქმენი შენნი!“ და აღუტევეს ქმა სიხარულისა მადიდებელად ღმრთისა ცრემლითა სიხარულისათა. ხოლო სომეხი, უღო-

ნოებასა მიცემულნი, განკურვებულნი დგეს და უკურდა.

მაშინ ევედრა კათალიკოსი მეფესა, რათა დააღუმოს ერი იგი. და ვითარ დაწყნარდეს ქმანი იგი, თქუა ნათელ მოფენილითა პირითა მარღასთა სომხითისათა და მპარგრძელთა: „ისმინეთ და უწყოდით: ღმერთი, უხილავი და მიუახლებელი და შეუხებელი ბოროტისა, რომლისგანვე უბოროტო არს და მან თავადმან ბრძანა პურისა ამის წმიდასა ქორც ქმნად. ნუ გიკვირს, რამეთუ მანვე თქუა: „იყავნ ნათელი და კუალად გამოჩნდა ნათელი, ქმელ – და გამოჩნდა“, მანვე სიტყვამან არა-რასაგან ქმნა ქმელი. არა თუ სახისმეტყუელება არს, არამედ ჭეშმარიტად ქორცი მისი. ამას რა შეეხებოდა? ქორცი მისი და პური ანუ ორივე ერთ არს, ანუ უმჯობეს რომელიმე“.

ხოლო სომეხთა არათუ ენება, უნებლიერთ თანაედვა ამისი ქმნად. ვითარ მღდელნი დგეს და მოიყვანეს ძაღლი, რომელი ჰყვა კათალიკოსსა, და მოუგდეს მსხუერპლი მათი. და მყის აღიტაცა. და ქართველთა იწყეს მადლობად ღმრთისა ქმითა სიხარულისათა, იქით და აქეთ ხლდომითა მასვე იტყოდეს: „დიდ ხარ შენ, უფალო, და საკურველ არიან საქმენი შენნი!“. და კათალიკოსი შემოსილი შესუეს ჰუნესა თუსა, და ქლოთა ეტვირთა ტაბაკითა სეფისკუერი და თანაჰყუებოდეს ყოველნი წარჩინებულნი და ლაშქართა შინა ვიდოდეს მეტყუელნი ესრეთ ფსალმუნსა ასოცდამერვესა:

„მრავალგზის მებრძოდეს მე მტერნი ჩემნი სიყრმით ჩემითგან და მე ვერ მერეოდეს.

ბეჭთა ჩემთა მცემდეს მე ცოდვილნი და განაგრძეს უშჯულოება მათი.

უფალმან შემუსრნა ქედნი ცოდვილთანი.

ჰრცხუენოდენ და მართალ უკუნ იქცენ ყოველნი მოძულენი სიონისანი.

უფალსა უგალობდით, რამეთუ დიდებით დიდებულ არს. უფალმან შემუსრა მბრძოლნი,

უფალ არს სახელი მისი“.

ესრეთ მხილვილითა პირითა მოვლეს ყოველი ბანაკი. სომეხნი, ვითარცა მყუარი უტბო, ეგრეთ დგეს უქმოდ, ქუეყნად მხედველნი, ვითარ ძუელ ოდესმე მღდელნი ასტარტესნი. ხოლო თუ ვითარი სიხარული, სასოება და მადლობა ღმრთისა მოიწია ქართველთა ზედა, თხრობა შეუძლებელ არს. და შე-რა-ვიდეს, დიდი სერი შემზადეს მეფემან და კათალიკოსმან.

ხოლო სომეხნი სირცხულელი წარვიდეს მწარგორძელთა კარგად. ივანე მსახურთ-უხუცესი ეტყოდა მმასა თუსსა, ამირსპასალარსა ზაქარიას, ვითარმება: „მე არა მენება ცილობა; ქართველთა მართალი სარწმუნოება უპყრიეს. რაღა არს მყენებელ ჩუქნდა, რომე მართალი სარწმუნოება არა შევიწყნაროთ და არა ნათელ-ვიღოთ ქართველისა კათალიკოსის მიერ?“ ხოლო იგი მოუკებდა: „უწყი, მმაო, რამეთუ მართალი რჯული არს ქართველთა, მაგრა რომელი განიკითხვის დღესა მას, ჰყითხონ; მე არა შევერთვი ქართველთა!“ და ესმა ივანეს და რქეა: „მიკურს სიბრძნისა შენისაგან, რომელ უმჯობესსა არა არჩევ, მე არა შევერთვი განზრახვასა შენისა, ნათელ-ვიღებ სარწმუნოებასა ზედა ქართველთასა“. რადღა საკმარ არს სიტყუა? მოვიდა და ნათელ-იღო სარწმუნოებასა ზედა ჩუქნსა იოანეს მიერ კათალიკოსისა. და მრავალი სიმრავლე სომეხთა მოვიდა ნათლისლებად და იქმნა სიხარული, და ზაქარია ეგრევე ურწმუნოებასა ზედა.

ესევითარი ნიჭი და პატივი მიმადლა მის მიერ შეყუარებულმან ღმერთმან თამარსა, გარნა არცა ის უდებ იქმნა მოქმედებად საქმეთა სათხოთა ღმრთისათა. ამისთვის ჭელ-ყო აღშენებად საყოფელსა გამმარჯუებელსა მისსა ზეშთა-კურთხეულსა ვარძისა ღმრთისმობელსა, ზემო ვარძის ქუემო ვარძითა მიცვალებითა, რომელი კლდისაგან გამოჰკუეთა, თვით პატიოსანი ეკლესია და მონაზონთა საყოფი სენაკები, რომელი მტერთაგანცა შეუვალ და უბრძოლველ ყო. ესე ვარძია პირველად დაეწყო სანატრელსა მამასა მისსა გიორგის, გარნა ვერ სრულ ექმნა და დაეტევა, რომელ დიდმან ამან აღასრულა და შეამკო ყოვლითურთ, და შესწირნა მრავალნი და დიდრონანი სოფლები, და შეჰკაზმნა ტრაპეზისა შემოსავალნი დიდნი, რომელი ყოვლისაგანცა მოთხოობა ძნელ არს. თუ ვისმე ნებავს ამისგანცა, იხილენ ვარძია და საქმენი მისნი ქმნულნი და ნაშენები ქუაბ-ქმნილი. ვინა მეფემან თამარ გულს-იდგინა მსახურებად უბიწოსა და განსაკრთომელისა სასწაულთა-მოქმედისა ვარძისა ღმრთისმშობელისა, ამისთვის უმეტეს პირველთა იდიდა მეფობა მისი».

5. ცეცხლთან თამაში

სომეხი ერის ისტორია აღსავხეა დრამატიზმითა და ტრაგიზმით. ძელია, ადამიანს არ გვიჩნდეს მათლამი თანაგრძნობისა და თანადგომის

სურვილი. ისტორიულად სწორედ ასეთი იყო ქართველი ერის მიმართება მრავალტანჯული სომეხი ხალხისადმი. ვკერდში ბევრჯერ დადგომა საქართველო სომხეთს, ხოლო ქართველებს სომეხი ხიზნებისთვის ლუქმა გაუყვიათ, საცხოვრებელი მუციათ, ხელი გაუმართავთ, ფეხზე წამოუყენებიათ, მტერი სიყვარულით დახმარებიან ჭრილობებისა და ტკიფილების მოშუშებაში.

სომეხი ხალხის ისტორიას თამამად შეიძლება ვუწოდოთ ცეცხლში გამოტარებული. მაგრამ ამ ერის ხანძრის აღმი გახვევა, ხანდახან, თავად მათივე წარმომადგენლების ავანტურისტული ქმედებების შედევრად ხდებოდა. უახლესი ისტორიიდან ამის მავალითია ოსმალეთში დაშნაკთა მიერ სომეხი ხალხის შეულიანება თურქთა წინააღმდეგ, შეძლევ მათი გამძევნარებულ ოსმალთა პირისპირ შეტოვება, რასაც მოჰყვა ათასობით მსხვერპლი. სომხური ავანტიურა, რა თქმა უნდა, არ ამართლებს ოსმალთა სისახტიკეს, მაგრამ პასუხისმგებლობა ხალხის წინაშე, უპირველეს ყოვლისა, სწორედ დაშნაკებს ეკისრებათ. ასეთი მაგალითი არა ერთია სომეხი ხალხის ისტორიაში. ამგვარი ცეცხლის დანთებას ნეოდაშნაკები, როგორცა ჩანს, ჯავახეთშიც აპირებენ, აღბათ, იმ მედით, რომ ამჯერად ხანძარი მხოლოდ საქართველოსა და ქართველ ხალხს შეეხება.

ამ ქვეთავში მოვითხრობთ ამბავს სომეხი სასულიერო პირების ცეცხლთან თამაშის შესახებ, პირდაპირი გაგებით. როგორც ცნობილია, მართლმადიდებლური კალენდრით აღდგომის წინა დღეს, დღი შაბათს, უხსოვარი დროიდან მაცხოვრის საფლავზე მართლმადიდებელი პატრიარქის მიერ ღვთისადმი აღვლენილი სავედროებელი ლოვის ჟამს ციდან გადმოდის ღვთაებრივი შეუწველი ცეცხლი, რომელიც კანდელს აღანთებს მართლმადიდებლი პატრიარქის ხელში. ხოლო შემდგომად ამისა ეს ცეცხლი მთელ კაცობრიობას განეფინება.

ღვთიური ცეცხლის გარდამოსვლა უტყუარი დასტურია მართლმადიდებლობის ჭეშმარიტებისა, მართლმადიდებელი ეკლესის უტყუარობისა, რომლის წევრებსაც იგი განამტკიცებს რწმენაში, ამავე დროს, შეავონებს მწვალებლებსა და ურჯულოებს, რათა გულისხმაყონ, შეინანონ, დაუტეონ ბოროტმადიდებლობა და ჭეშმარიტებაზე მოუქცნენ.

აღსანიშნავია, რომ ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალში სომებთა სასულიერო პირებს, განწევების თანახმად, თავიანთი გამორჩეული ადგილი აქვთ მიჩნილი, რაც იმით მოიპოვეს, რომ თავის დროზე ძალით მიიტაცეს იაკობ მოციქულის სახელობის ტაძარი, რომელიც მანამდე ქართველთა საკუთრება იყო. სწორედ სომებთა მზაკვრობისა და, უპირველესად, ჩვენი ცოდვების გამო დაკარგეთ მაცხოვრის საფლავის უშუალო სიახლოვეს მდებარე იაკობ მოციქულის სახელობის ტაძარი, ამით კი მოგვაკლდა უპირატესი უფლება, ახლოს ვძლიერიყვათ იურუსალიმის პატრიარქთან ცეცხლის გარდამოსვლის უამს.

როგორც აღვნიშნეთ, ეს მოვლენა საუკუნეების მანძილზე გრძელდება და არავის განუცხადებია პრეტენზია ცეცხლის მიღების პირველობაზე იმ დრომდე, ვიდრე სომებს სასულიერო პირებს არ შეუჩნდათ ბოროტი განზრახვა ამ სასწაულთან თამაშისა. ამის შესახებ მოგვითხრობს წერილი გაზეთ „მრევლიდან“, რომელსაც მცირეოდენი შემოკლებით გთავაზობთ:

« ... დიდ შაბათს (2002 წელს – ა.უ.) მაცხოვრის საფლავზე ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალზე საუკუნის ავანტიურამ იჩინა თავი: მონოფიზიტური (სომხური – ა.უ.) ეკლესიის წარმომადგენლები ყველასათვის მოულოდნელად თავს დაესხნენ ბერძენ მართლმადიდებელ პატრიარქს და ღვთაებრივი ცეცხლის მიტაცება დაუპირეს. ღვთის შეწევნით მონოფიზიტთა მზაკვრული გეგმები ჩაშალა მაცხოვრის საფლავთან მდგომა ჩვენმა თანამემამულებ, საქართველოს კონსულმა ისრაელში – ბატონმა ლაშა უვანიამ.... რედაქცია დაუკავშირდა ბატონ ლაშას იერუსალიმში და სთხოვა, ამ ამბების აშასხველი მასალა მოეწოდებინა მკითხველისათვის.

მოკლე ისტორია

ცეცხლის პირველად გარდამოსვლის კონკრეტული თარიღი ცნობილი არ არის, მაგრამ ფაქტი, რომ ეს არის უძველესი ტრადიცია და ეკლესიის არსებობის პირველ წლებს უკავშირდება – უდავოა. წმიდა ცეცხლის მიღების შესახებ პირველი წერილობითი წყარო 163 წლით არის დათარიღებული. ყოველწლიურად დიდ შაბათს ცეცხლი გარდამოდის მაცხოვრის საფლავზე.

იმის გამო, რომ მართლმადიდებელი მრევლის გარდა ცეცხლის

მიღების სურვილი სხვა არამართლმადიდებელ დენომინაციებსაც აქვთ – ცერემონიალის ყოველი დეტალი, თითოეული კონფესიის წარმომადგენლის ადგილი, ქცევის წესი და მაცხოვრის ტაძარში შესვლის დრო მტკიცება არის განსაზღვრული სპეციალური შეთანხმებით, რომელსაც „სტატუს ქვო“ ეწოდება.

ცეცხლის მიღების ცერემონიალი

დიდი შაბათი

საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ იერუსალიმის მართლმადიდებელი პატრიარქი (ან მისი მოსაყდრე) იღებს ცეცხლს, რადგან იგი საფლავში მხოლოდ მისი შესვლის დროს გადმოდის.

ცეცხლის მიღება–მითვისების ფაქტი მოხდა XVI საუკუნეში, 1549 წელს. როდესაც სომებმა მღვდელმსახურებმა მოისყიდეს ოტომანები (წმიდა მიწის იმჟამინდელი მმართველები) და ცეცხლის მიღების უფლება მოიპოვეს. მაშინ, ძალის გამოყენებით, მართლმადიდებელი პატრიარქი გარეთ დატოვეს თავის მრევლთან ერთად, ხოლო ცეცხლის მისაღებად საფლავში იერუსალიმის სომები პატრიარქი შევიდა. მართლმადიდებელი პატრიარქი ამ დროს ტაძრის შესასვლელთან იდგა თავის მრევლთან ერთად და გულშეურვალედ ტიროდა. იმ წელს ცეცხლი საფლავზე არ გაღმოვიდა... მაგრამ მოხდა ყველასათვის ხილული სასწაული – ტაძრის შესასვლელის ერთ-ერთი სეეტი, რომელთანაც მართლმადიდებელი პატრიარქი იდგა, გაიპო და ცეცხლი იქიდან გაღმოვიდა.

(ამ შემთხვევას სხვა წყარო ასე მოგვითხრობს: თურქი ჩინოვნიკების მოსყიდვის შემდეგ სომხები დიდ შაბათს ადრიანად მივიღნენ ქრისტეს საფლავზე, შევიდნენ ტაძარში და ჩარაზეს კარი. როდესაც მართლმადიდებლები – ეპისკოპოსები, სამღვდელოება და მათი თანმხლები მოვიდნენ, ვეღარ შევიდნენ ტაძარში, დადგნენ დაკეტილ კართან და მწარედ ატირდნენ. ახლოვდებოდა ღვთაებრივი ცეცხლის გარდამოსვლის დრო, მართლმადიდებლები იდგნენ გარეთ და მწუხარედ ლოცულობდნენ, სომხები კი ტაძარში გალობდნენ, თავისებურად ლოცულობდნენ და ელოდნენ მაღლმოსილი ცეცხლის გადმოსვლას, მაგრამ ამაოდ დაშვრნენ. უცბად ზეციურმა ცეცხლმა ივეთქა, გააპო ქვის უზარმაზარი სეეტი, რომლის სიახლოვესაც მართლმადიდებლები იდგნენ და მათ წელში აანთო კანდელები. ქვის სეეტის განაპაზარი დღესაც ღალადებს ჭეშმარიტებას და აფრთხილებს ცეცხლთან თამაშის მო-

სურნებს. მაგრამ მათ უგუნურებას დღესაც არ უჩანს ბოლო. კავრ-ძელებთ წერილს გაზეთ „მრევლიდან“).

...ამის (1549 წ.-ა.უ.) შემდეგ სომხები, კოპტები, ასირიელები და ლათინები ვერ ბედავენ მაცხოვრის საფლავში ცეცხლის მის-აღებად შესვლას. პირიქით, ამ ცეცხლის მიღების ცერემონიალზე დასასწრებად ისინი ტაძარში ელოდებიან მართლმადიდებელ პატრიარქს. შემდგომ, ტაძარში მისი შემოსვლის დროს, ეახლებიან მას, მოწიწებით თავს უხრიან და ხელზე ეამბორებიან, პატრიარქი კი, თავის მხრივ, მათ ნებას აძლევს, დაუსწრონ ცეცხლის გარდამოს-ვლის ცერემონიალს.

შემდგომ იწყება დალუქული (ლუქი საფლავს მასში ყველა კან-დელისა და სანთელის ჩაქრობის შეძლება ედება) საფლავის გარშემო სამჯერ შემოვლის პროცესია. მესამე წრის დასრულების შემდეგ მართლმადიდებელი პატრიარქი დგება მაცხოვრის საფლავის წინ, განიმოსება სადღესასწაულო სამოსისაგან და მხოლოდ თეთრ კა-ბაში შემოსილი რჩება (ამ წესსაც თავისი ისტორია აქვს: საეკლე-სიო გადმოცემის მიხედვით, ერთხელ სომხური ეკლესიის წარმო-მადგენელს მაცხოვრის საფლავში შესასვლელად გამზადებულ მარ-თლმადიდებელ პატრიარქზე უთქამს: „ცეცხლი დამალული აქვს შესამოსლის შიგნით“. ამის ჰასუხად მართლმადიდებელი პატრი-არქი განიმოსა შესამოსლისაგან, რათა ტაძარში მყოფ მორწმუნებს ეჭვი არ შეჰქარვოდათ და სომხის სამხილებლად იგი მხოლოდ თეთრ კაბაში შემოსილი შევიდა საფლავში).

ტრადიციისამებრ, მართლმადიდებელ პატრიარქს სომეხი ეპისკო-პოსი მიჰყება, რომელიც საფლავის პირველ ნაწილში რჩება (საფლა-ვის როტუნდა ორ ნაწილად არის გაყოფილი. პირველ ნახევარში ანუ შესასვლელში, მოთავსებულია იმ ლოდის ნაწილი, რომელიც მაცხოვრის საფლავს ფარავდა და რომელზეც ანგელოზი იჯდა, როდესაც მენელსაცხებლე დედები აღდგომის დღეს საფლავთან მივიღნენ), პატრიარქი კი ჩაქრალი სანთლებით თავად საფლავში შედის, იქ კითხულობს ცეცხლის მისაღებ საველრებელს, რომლის დროსაც ლოცულობს მთელი მსოფლიოსათვის. ცეცხლი სან რამ-დენიმე წუთში, სან კი ზანგრძლივი დროის შემდეგ (20-25 წუთი) გადოდის. ამჯერად (2002 წელს – ა.უ.) ცეცხლი მაცხოვრის საფლავზე 8 წუთში გარდამოვიდა.

როგორც წესი, ცეცხლის გარდამოსვლის დროს ყოველთვის ხდება უსიამოვნება მონოფიზიტებსა და მართლმადიდებლებს შორის. ძირითადად, ახალგაზრდა ქრისტიანები ერთმანეთს სიტყვიერად აღიზიანებენ, აქეზებენ, რაც შემდგომში ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზრდება ხოლმე. ამჯერად პროვოკაცია სომეხი მონოფიზიტი სასულიერო პირებისაგან წამოვიდა: როგორც ზემოთ აღნიშნეთ, „სტატუს ქვო“-ს მიხედვით ცეცხლის გარდამოსვლის პროცესის დროს ყოველი დეტალი დაწვრილებით არის დადგენილი. ისიც კი, თუ რომელი მიმღინარეობის მრევლს ტაძრის რომელ ნაწილში აქვს დგომის უფლება. შესაბამისად, რა თქმა უნდა, „სტატუს ქვო“ განსაზღვრავს, თუ რა დროს უნდა მივიღნენ საფლავთან კოპტური და ასირიული, ასევე, ფრანცისკანული ეკლესიების წარმომადგენ-ლები მართლმადიდებელი პატრიარქისაგან ცეცხლის მისაღებად და შემდგომ ხალხზე გადასაცემად.

კერძოდ, „სტატუს ქვო“ ადგენს, რომ მართლმადიდებელი პატრი-არქი საფლავიდან გამოსვლისთანავე ჯერ მაცხოვრის საფლავის წინა ნაწილში მდგომ სომეხ ეპისკოპოსს უნთებს სანთლებს, შემდგომ საფლავის მარცხენა სარკმლიდან აწვდის მრევლს. მხოლოდ ამის შემდეგ აქვს სომეხ ეპისკოპოსს უფლება, საფლავის მარჯვენა სარკ-მლიდან გადასცეს ცეცხლი მრევლს. ამის შემდეგ საფლავში შედი-ან კოპტური და ასირიული ეკლესიების წარმომადგენლები და იღებები ცეცხლს მართლმადიდებელი პატრიარქისაგან. წესისამებრ, პირველმა უნდა დატოვოს საფლავი მართლმადიდებელმა პატრი-არქმა, რომელსაც უკან უნდა მოჰყევებოდეს სომეხი ეპისკოპოსი, ხოლო კოპტს და ასირიელს უფლება არ აქვთ, გამოვიდნენ საფლა-ვიდან, სანამ მას მართლმადიდებელი პატრიარქი გარკვეული მან-ძილით არ დაშორდება.

ამჯერად სომხური ეკლესიის წარმომადგენელმა გადაწყვიტა, მართლმადიდებელ პატრიარქზე ადრე გამოსულიყო საფლავიდან, თუმცა გამოსვლამდეც მან სცადა, პირველს გადაეწოდებინა ცეცხ-ლი სარკმლიდან: ორივე შემთხვევაში მას მართლმადიდებელი პა-ტრიარქის კანონიერი წინააღმდეგობა შეხვდა. ასევე, ცეცხლის მარ-თლმადიდებლებზე ადრე გადაწოდების მიზნით, სომხური ეკლესი-ის წარმომადგენლის მიერ ადგილი ჰქონდა სხვა უხეშ, არაქრის-

ტიანულ ქმედებასაც, რაც, თავად პატრიარქის თხოვნით, არ შემიძლია საჯაროდ განვაცხადო, სანამ სომხური ეკლესიის ამ წარმომადგენელს არ მოეთხოვება საკადრისი პასუხი.

საბოლოოდ, მართლმადიდებელი პატრიარქი პირველი გამოვიდა საფლავიდან, თუმცა მას, პრაქტიკულად, აქაც თავს დაესხნენ მონოფიზიტური დენომინაციის წარმომადგენელები, მას კი, ხალხის სიმჭიდროვის გამო, არ ჰქონდა გადაადგილების საშუალება.

საბედნიეროდ, ცეცხლის გარდამოსვლის ცერემონიალზე მე მაცხოვრის საფლავის შესასვლელთან ვიდექ. „სტატუს ქვოს“ მიხედვით ესეც აკრძალულია, მაგრამ ჩემი იქნან მოშორება აზრადაც არავის მოსვლია, ვინაიდან ყოველმა იქ მდგომა იცოდა იერუსალიმის პატრიარქთან იმ პირადი და ახლო ურთიერთობების შესახებ, რაც ჩვენს შორის ჯერ კიდევ პატრიარქად მის არჩევამდე დამყარდა.

თავიდან ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, მაგრამ, როდესაც გავერკვიე, მარცხნა მხრიდან მარჯვინ, ძალის გამოყენებით, გავიკვლიე გზა, იერუსალიმის მართლმადიდებელ პატრიარქს გვერდით ამოვუდექი და ვცდილობდი, ძალისევ გამოყენებით ჩამომეშორებინა მოწოდილი მასა. ეს, ნაწილობრივ, მოვახერხე, პატრიარქს შევხედე და დავინახე, რომ მარჯვენა ხელში სანთელი აღარ ეჭირა. როგორც ჩანს, ან ვინმე წაართვა, ან, ისედაც, ამ ხილულ სასწაულთან პირისპირ პირველად შეხების (იგი პატრიარქად გასული წლის 13 აგვისტოს იქნა არჩეული) შედეგად ემოციურად და ფიზიკურად დაუძლურებულს, ნაწილობრივ დამტვრული სანთლები ხელიდან გაუვარდა. უმალ გავიაზრე, რომ საუბრის დრო არ იყო, ვერც სანთლებს მოვძებნიდით აღგზნებული მასის გარემოცვაში მყოფები, ამიტომ მის უნეტარესობას მარჯვენა ხელში ხელი ჩავავლე, მაღლა ავაწევინე და ჩემი – საფლავის კართან მისგანვე ანთებული, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან გამოსაგზავნი სანთლები ჩავუდე ხელში.

მივხვდი, რომ უამრავი ხალხით გარშემორტყმულ პატრიარქს ხელების მაღლა აწევის ძალაც გამოლეოდა და ამიტომ მისთვის ხელი არ გამიშვია, ასე მივყევი მართლმადიდებლური ტაძრის საქურთხევლამდე.

ასე რომ, წელს „სტატუს ქვო“-ს რამდენიმე ძირითადი პუნქტი დაირღვა სომხური ეკლესიის წარმომადგენლების მხრიდან, თუმცა

იერუსალიმის ახლად არჩეულმა მართლმადიდებელმა და კანონიერმა პატრიარქმა, მისმა უნეტარესობამ, ირინეოს პირველმა თავისი მტკიცე ნებით ადამიანური ცდომილებებისაგან დაიცვა წმიდა ადგილის ხელშეუხებლობა, რითაც კვლავ დაუმტკიცა, როგორც წმიდა მიწის მკვიდრთ, ასევე მსოფლიოს, რომ ის იერუსალიმის ეკლესიის პირველი მეთაურის, წმიდა იაკობის ლირსეული მემკვიდრეა და ასეთივე ლირსებებით დაიცავს ეკლესიის სიმართლეს და სიმტკიცეს. აღდგომის წინა დღეს საინფორმაციო საშუალებებისათვის მიცემულ ინტერვიუში იერუსალიმის მართლმადიდებელმა პატრიარქმა განაცხადა: „ჩვენ მოწოდებული ვართ, სიცოცხლე შევწიროთ მართლმადიდებელი ეკლესიის ინტერესებს წმიდა მიწაზე და დავიცვათ ქრისტიანობა“ – ქრისტე აღდგა!!!

ლაშა უვანია, საქართველოს კონსული ისრაელში „მრევლი“, 2002წ., №2 (62)»

არსებობს გადმოცემა, რომლის მიხედვითაც, დიდ შაბათს ციური ცეცხლის არგადმოსვლა მეორედ მოსვლის ნიშანი იქნება. სანამ ეს საყოველთაო განკითხვის უმთ დამდგარა, გვინდა, შევაგონოთ სომხი ერის ცეცხლთან მოთამაშე წარმომადგენლებს: შეჩერდით, ნუ აცდუნებთ სომებს ხალხს, ნუ ამხედრდებით ღვთისა და მისი მიმდევარი ქართველი ხალხის წინააღმდეგ. შეჩერდით! შეჩერდით!



თავი VII

რუკა-ცნობარი

1. შესავალი

ჩვენ მრავალი თვალსაზრისით მიზანშეწონილად მივიჩნიეთ, გამოგვექვეყნებინა წინა თავებში ნახსენები რუკა-ცნობარი, რომელიც დაიბეჭდა ციურიხში და 1995 წელს გამოიცა ერევანში მისი ავტორის, სამეცნ კარაპეტიანის და, საერთოდ, სომეხთა დიდი ნაწილის აზრით, საქართველოს ტერიტორიაზე 650-ზე მეტი სომხური საეკლესიო ნაგებობაა განთავსებული. სწორედ ამ ტაძრებზე აცხადებს პრეტენზიას სომხეთის ეკლესია.

რუკა-ცნობარის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მასში მრავლადაა შეტანილი სომხების მიერ სხვადასხვა დროს ამა თუ იმ ხერხით მიტაცებულ-მითვისებული ქართული მართლმადიდებლური ტაძრები. განსაკუთრებით ეს შეეხება იმ ტაძრების აბსოლუტურ უმრავლესობას, რომლებიც 1801 წლამდე პერიოდით თარიღდებიან, ანუ –



რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე იქნენ აგებულნი.

ჩვენს წიგნში არ ვიძლევით რუკა-ცნობარის ანალიზს და მეცნიერული შეფასებას. ეს საქმე მკვლევარებმა უნდა შეასრულონ, რა თქმა უნდა – ეკლესიასთან მჭიდრო კავშირში. ჩვენი წიგნი მიეძღვნა იმ მოვლენებსა და ტენდენციებს, რომლებმაც განაპირობეს რუკა-ცნობარის შექმნა და გამოცემა.

უწინარეს მოგვავს ამონარიდი ბ-ნ ბონდო არველაძის ერთი სტატიიდან (იხ. [24]), რომელიც დაგვეხმარება რუკა-ცნობარის ზოგად შეფასებასა და გაგებაში.

2. ქართული ეკლესიების მისაკუთრება გრძელდება...

«... უცხოელ დამპყრობლებს გამორიდებული სომხი ლტოლვილები საუკუნეების მანძილზე ტალღა-ტალღა შემოდიოდნენ საქართველოში და აქ მყუდრო თავშესაფარს ჰპოვებდნენ. ნივთიერად მომაგრდნენ თუ არა, მაშინვე თავიანთ მონოფიზიტურ აღმსარებლობაზე დაიწყეს ზრუნვა და ძნელბედობის უამს მიტოვებული ქართული ეკლესიების მისაკუთრებას მიჰყვეს ხელი. ასეულობით ქართული ეკლესია სომხურად აქციეს. ფალსიფიკაციის პროცესი საუკუნეების განმვლობაში გრძელდებოდა და ამ სათაკილო გზით მომრავლდა „სომხური“ ეკლესიები საქართველოში.

ამ ისტორიულ პროცესს ორ პერიოდად ვყოფთ. პირველია – უძველესი დროიდან 1801 წლამდე, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიამდე. მეორე პერიოდი მოიცავს XIX-XX საუკუნეებს. ეს პერიოდი გარკვეული ნიშნით განსხვავდებიან ერთმანეთისგან. პირველ პერიოდში, საქართველოს სამეფოს გაუქმებამდე, ქართველი მეფის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უნებართვოდ რაიმე საკულტო ნაგებობის აშენება არ შეიძლებოდა, მითუმეტეს, სომხური მონოფიზიტური ეკლესიისა, რომელიც ჯერ კიდევ VII საუკუნიდან მწვავედ იყო დაპირისპირებული ქართულთან.

ამ თვალსაზრისით საკმაო ხანი ვიმუშავე სახელმწიფო არქივში, ამავდროულად, გადავსინჯე საისტორიო წყაროები, მაგრამ ქართველ მეფეთა ან კათოლიკოს-პატრიარქთა რაიმე ნებართვას რომელიმე სომხური ეკლესიის აშენების თაობაზე ვერ მივაკლიე, დღემდე არ

შემზვედრია. არის რამდენიმე, მაგრამ ეს მოლიან სურათს არ ცვლის. ის კი არა, შევამოწმე მოარული აზრი, თითქოს ქართველი მეფეები შეჭირვების ჟამს ყიდდნენ ეკლესიებს მდიდარ სომხებზე, მაგრამ ყიდვა-გაყიდვის საბუთი ვერ ვნახე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ პ. ქეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტში ზ. ჭიჭინაძის ფონდში დაცულ ცნობას: „სომხებმა ქართველებისაგან მოტყუებით და ცდუნებით თვით ქართველების საყდრებიც კი შეიძინეს. ასე, მაგალითად, ფეთხაინის (იგულისხმება თბილისის ბეთლემის ეკლესია-ბ.ა.) საყდრის შეძნის საქმე. ეს საყდარი ქართველებმა VI საუკუნეში გააკეთეს. იგი გააკეთა ვახტანგ გორგასლის შვილმა, არჩილმა (ეს ეკლესია დაარსა ვახტანგ გორგასალმა V საუკუნეში. ასეა მიღებული ქართული ისტორიოგრაფიაში-ბ.ა.). ასევე შეისყიდეს სომხებმა ოქრომჭედლის ქუჩაზე ქართველების დიდი საყდარი – წმ. ნიკოლოზისა, რომელსაც დღეს სომხები სურბ-ნშანს უწოდებენ, ასევე შეისყიდეს სომხებმა წმ. გიორგის საყდარი ტფილისისად წოდებული. ამას გარდა, მაღნის თავზედ დღეს სომხები სურბ-გევორქის საყდარიც ქართველების იყო, სომხეთ დაიჩემეს, ასევე დაიჩემეს მეტეხის აღმართზედ ავლაბრის შეყოლებით პატარა საყდარი“.

მართალია, სომხური ეკლესიების არსებობა საქართველოში ფაქტია, მაგრამ საკითხავია, სამართლებრივად რამდენად იყო კანონიერი მათი აშენება თავის დროზე. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ – თუ არ არის ქართველი მეფის ან კათოლიკოს-პატრიარქის ბრძანება, სიგელი ან წერილობითი ნებართვა ამა თუ იმ სომხური ეკლესიის აშენების შესახებ, მაშინ 1801 წლამდე არსებული ყველა სომხური ეკლესია საქართველოში უკანონოა, კანონის დარღვევით არის აშენებული. ეს ერთი. მეორე – ქართველი მეფის ბრძანების ან კათოლიკოს-პატრიარქის ნების გარეშე მტრისაგან გავერანებული რომელიმე ქართული ეკლესიის გადაკეთება-გადმოკეთება, მასზე დაშენება, მიშენება ანდა დანგრევა და მის ადგილზე სომხურის აშენება და სომხურ ეკლესიად ქცევა არის არასამართლებრივი აქტი და მიიჩნევა ნაძალადევ ქმედებად, მიტაცებად. ამიტომ საქართველოს საპატრიარქო უფლებამოსილია, ამგვარი „სომხური“ ეკლესიები შეხედულებისამებრ განკარგოს, აღადგინოს მათზე თავისი კანონიერი, იურიდიული უფლება.

ამდენად, საფუძველი ეცლება ზოგიერთი სომხი მეცნიერის ენ-

ერგიულ მცდელობას, რამდენიმე ასეული „სომხური“ ეკლესია დააფიქ-სიროს საქართველოში. ამ რიგის შრომები არაერთია გამოქვეყნებული XIX-XX საუკუნეებში სომხურ ენაზე. სომხები ისტორიკოსის ალექსანდრე ერიციანის (1811-1902) მიხედვით სომხური ეკლესიები საქართველოში 1837 წელს ყოფილა 198 (იხ. „ყოველთა სომებთა საკათალიკოსო და კავკასიის სომხები XIX-ს.“ ნაწ. II, თბილისი, 1895, გვ. 256, სომხ. ენაზე). 1903 წლის სომხური კალენდარი ართვინისა და არტაანის რაიონებში 256 „სომხურ“ ეკლესიას ითვლის. ეს მონაცემები ზუსტი არ არის, გაცილებით მეტს ვარაუდობენ სომხები ავტორები.

აღნიშნული ნაშრომების შემდეგ ყველაზე „სრულია“ 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე გამოცემული რუკა-ცნობარი „სომხური ეკლესიები საქართველოში“. ავტორია პროფ. სამეცნ კარაპეტიანი. ეს ის კარაპეტიანია, საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ილია II-ისა და ქართველი ხალხის უშვერი ლანბლევით თავი რომ ისახელა (იხ. „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები (1988-1991)“, ერევანი 1998, სომხურ ენაზე). ამ ე.წ. ნაშრომის შესახებ 1998 წელს გაზეთ „ახალ საქართველოში“ (№№43-44) გამოვაქვეყნე კრიტიკული სტატია, სადაც ვამხილე კარაპეტიანის ანტიქართული გამოხდომები და ფაქტობრივ მასალაზე დაყრდნობით გამოვამყარავე ამ მონოგრაფიის ფსევდომეცნიერული შინაარსი.

ახლა ვნახოთ, რას ვამცნობს ხსნებული რუკა-ცნობარის შესავალი. სომხური ეკლესიები საქართველოს 40 რაიონში ყოფილა განთავსებული და მათი რიცხვი, თურმე, 650 აღწევს. თუმცა სის მიხედვით საქართველოში არის 638 „სომხური“ ეკლესია. ეს შეუსაბამობა, არ ვიცი, ს. კარაპეტიანის უნბლივ შეცდომაა, თუ მისი დაუოკებელი სურვილი, რაც შეიძლება, გაბეროს სომხური ეკლესიების რიცხვი საქართველოში. თუმცა, სჯობს სომხურად ქცეული რამდენიმე ქართული ეკლესიის ისტორიის მაგალითზე ვაჩვნიო კარაპეტიანის მიერ ასობით ქართული ეკლესიის მისაკუთრების გულ-სატკენი სურათი.» [24].

ახლა გთავაზობთ ხსნებულ რუკა-ცნობარს, რომლის ქართული თარგმანი ბ-ნბა ბონდო არველაძემ მოგვაწოდა, რთვისაც დიდ მადლობას ვუხდით. აღვნიშნავთ, რომ სხვა „სიკეთესთან“ ერთად, რუკა-ცნობარი მრავალ უზუსტობას შეიცავს. ასევე უნდა გავთვალისწი-

ნოთ, რომ საეკლესიო სახელებსა და ტერმინებს სომხები განსხვავებულად წარმოთქვამებ.

3. სამველ კარაპეტიანი – „სომხური ეკლესიები საქართველოში“

«თანამედროვე საქართველოს სახელმწიფო ტერიტორია, აფხაზეთთან, აჭარასა და სამხრეთ ოსეთთან ერთად, შეადგინს 69,7 ათას კვ.მ და იყოფა 65 რაიონად (აქედან აფხაზეთში-5, აჭარაში-5, სამხრეთ ოსეთში-4). საქართველოში სომხური ეკლესიები განთავსებულია 40 რაიონში. ძალიან ცოტაა რაიონი, სომხური ეკლესია რომ არ იყოს.

აღსანიშნავია, უკანასკნელ ხანებში განსაკუთრებით ინტენსიურად გამოდის ცნობარები, რომლებშიც საკმაოდ მწირად არის წარმოდგენილი ისტორიული სომხეთის – გუგარქის რეგიონის ჩრდილო რაიონები, როგორიც არიან წობოვორე, ბოლნოვორ, ქვემაფორ, კაგარქ, მანგლეაციორ, ტრელქი და ჯავახქი. მათ დღეს შეესაბამება: მარნეულის, ბოლნისის, დმანისის, ოთორიწყაროს, წალკას, ნინოწმინდის, ახალქალაქის და ასპინძის რაიონები.

საქართველოს ისტორიულ ქართლსა და კახეთში, სადაც ძველი სომხური დიასპორა ცხოვრობს, სომხური ეკლესიები მრავლადაა და თარიღდება XII-XIV საუკუნეებით. უფრო გვიანდელია დასავლეთ საქართველოში – იმერეთში, სამეგრელოსა და კოლხიდაში არსებული სომხური ეკლესიები, ხოლო აფხაზეთსა და აჭარაში ყველა მათგანი XIX ს-ის ბოლოს და XX ს-ის დასაწყისში არის აშენებული.

დღემდე არ არსებობდა საქართველოს სომხური ეკლესიების სრული ცნობარი. მართალია, იყო ცნობარები, რომლებშიც აღნუსხულია სომხური ეკლესიები, მაგრამ მათში შეტანილია მხოლოდ მოქმედი ეკლესიები და ვანქები. მაგალითად – ერთ სოფელში თუ იყო 2-3 ეკლესია, სიაში შეპქონდათ ერთი – მოქმედი, დანარჩენი ორ გაუქმებულ ეკლესიას არ აღნიშნავდნენ.

1837 წელს საერთოდ საქართველოში აღრიცხული იყო 198 სომხური ეკლესია, ვანქი და მატური – პატარა ეკლესია საფლავზე – (ის. აღ. ერიციანი, „ყოველთა სომხეთა საკათალიკოსო და კავკასიის სომხები XIX-ს.“ წიგნი II, თბილისი, 1895 წ., გვ. 256, სომხურ ქაზე). აგრეთვე – 1903 წლის კალენდრის მიხედვით ართვინ-არტანუჯის რაიონში აღნიშნულია 256 სომხური ეკლესია (1903 წლის სომხური კალენდრი, კონსტანტინეპოლი, გვ.363), მაგრამ ამ ცნობარს აქვს ერთი

არსებითი ნაკლი: მათში დაფიქსირებულია მარტო გრიგორიანული ეკლესიები, სომხური კათოლიკური კი არა.

საველე მუშაობისა და წერილობითი წყაროების მეცნიერული კვლევების შედეგად საქართველოში აღრიცხულია 650 სომხური ეკლესია (შესაძლოა, ზოგიერთი გამორჩა). ისინი საქართველოს დღევანდელი რაიონების მიხედვით არის წარმოდგენილი.

რუკა-ცნობარში პირველად მითითებულია ეკლესის, ვანქის, მატურის აშენების თარიღი, შემდეგ, აღდგენა-რესტავრაციის წელი და ბოლოს, ამჟამინდელი მდგომარეობა (დაყოფა ჩვენია ბ.ა.).

მთარგმნელის შენიშვნა:

1. ნ. მარმა ქართულ გეოგრაფიულ სახელწოდებებს ჩამოაცილა ეთ – სუფიქსი და რუსულად წერდა – მარტებე, მარტე, თამარტებე და ა.შ. ამ ხელოვნურმა ცდამ მეცნიერებაში დღემდე უეხი ვერ მოიკიდა, მაგრამ ახლა რუკა-ცნობარის ავტორმა სამველ კარაპეტიანმა გამოიჩინა „ინიციატივა“ და სომხურად წერს – აფხაზია, აჭარია, მესხია და ა.შ. ეს ფაქტი გარკვეულწილად ს. კარაპეტიანის ტენდენციურობას მოწმობს.

2. ს. კარაპეტიანის ვანცხადება, თითქოს, პირველადია სომხური ტოპონიმ-წომოფორი, ბოლოფორი და სხვა, ხოლო მეორადა ქართული - ბოლნისი, მანგლისი და ა.შ. მეცნიერულ საფუძველს არის მოქლებული. ეს ძირველი ქართული მხარე (ამას მოწმობს სომხური და უცხოური წყაროები) ერთხანს სომხეთს პქონდა დაპყრობილი და ამ პერიოდში ზოგიერთი ქართული ტოპონიმი შესაბამისი სომხური თარგმანით შეიცვალა. ამაში განსაკუთრებული არაფერია და ამგვარი ტოპონიმური ტრანსფორმაცია სხვა ქვეყნების ისტორიულ გეოგრაფიაშიც გვხვდება. აღვგა თუ არა ქართული სამეცნიერო სიტუაციაშიც ქვემო ქართლში, ბუნებრივია, მოხდა პირველადი ქართული ტოპონიმების აღდგენაც.

„ვრიად ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ გუგარქისა და ტაიქის შემადგენელი კანტონების სახელწოდებანი სომხურად „ფორ“ ტერმინით არის გაფორმებული, რომელიც ქართულად „ხევის“ შესატყვისად იხმარება. საკუთრივ სომხური პროვინციების კანტონები კი, როგორც წესი, „ძორ“ ტერმინით არიან გაფორმებული (თ.ს. პარმინი – „სომხ-

ური ისტორიული გეოგრაფია“, 1968, გვ.260 სქოლით-I, სომხურ ენაზე). ეს ძოწმობს, რომ ამ ისტორიულ-გეოგრაფიულ ერთეულთა ქართული ნომერითაც პირველადია, ხოლო სომხური მის თარგმანს წარმოადგენს. ეს ბუნებრივია, რადგან, როგორც ვიცით, „გოგარენე“-„გუგარენ“ და „ტაიქ“-„ტაიქ“ ძირძველი ქართული პროვინციებია (აკადემიკოს დ. მუსხელიშვილი — „საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები“, თბილისი 1980, გვ.51, სქოლით №171).

ს. კარაპეტიანმა კი ქვემო ქართლის ტოპონიმიკა შებრუნვით, უკურნალა, წარმოადგინა.

რუკა-ცნობარი

საქართველოს ის ადმინისტრაციული რაიონები, სადაც განთავსებული იყო და არის სომხური ეკლესიები:

- | | |
|------------------------------|-------------------------|
| 1. ადიგენის რაიონი | 20. წალკის რაიონი |
| 2. ახალციხის რაიონი | 21. წითელ-წყაროს რაიონი |
| 3. ახალქალაქის რაიონი | 22. კასპის რაიონი |
| 4. ახმეტის რაიონი | 23. ყვარელის რაიონი |
| 5. ასპინძის რაიონი | 24. მარნეულის რაიონი |
| 6. ბოლნისის რაიონი | 25. მცხეთის რაიონი |
| 7. ბორჯომის რაიონი | 26. ნინოწმინდის რაიონი |
| 8. გარდაბანის რაიონი | 27. საგარეჯოს რაიონი |
| 9. გორის რაიონი | 28. საჩხერის რაიონი |
| 10. გურჯაანის რაიონი | 29. სიღნაღის რაიონი |
| 11. დმანისის რაიონი | 30. ცაგერის რაიონი |
| 12. დუშეთის რაიონი | 31. ქარელის რაიონი |
| 13. ზუგდიდის რაიონი | 32. ფოთის რაიონი |
| 14. თბილისის (ტფილის) ქალაქი | 33. ქუთაისის რაიონი |
| 15. თეთრი-წყაროს რაიონი | 34. ონის რაიონი |
| 16. თელავის რაიონი | 35. აფხაზეთი |
| 17. თერჯოლის რაიონი | 36. აჭარა |
| 18. ლაგოდეხის რაიონი | 37. სამხრეთ ოსეთი |
| 19. საშურის რაიონი | |

ადიგენის რაიონი

- აბასთუმნის მარიამ ღვთისმშობლის, აგებულია 1866 წ., (სომხურ — კათოლიკური), რესტავრ. იქნა 1905 წ., დგას.
- აბასთუმნის წმ. გიორგის, აგებულია 1898 წ., დგას (გამოყენებულია პურის საცხობადი).
- არალის წმ. იოსების, აგებულია 1860 წ., (სომხურ — კათოლიკური), დგას.
- უდეს ღვთისმშობლის (სომხურ - კათოლიკური), აგებულია 1860 წ., რესტავრ. 1905წ.

ახალციხის რაიონი

- აბათხევის წმ. ჯვრის, აგებულია 1870 წ., (სომხურ — კათოლიკური), დგას.
- აზღორის წმ. პეტრე-პავლეს, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
- ახალციხის ღვთისმშობლის, აგებულია 1356 წ., რესტავრ. 1442 და 1833-34 წწ., ნახევრად დანგრეულია. არის რაბათის უბანში.
- ახალციხის ღვთისმშობლის, აგებულია 1831 წ.
- ახალციხის ყოველთა წმიდათა, აგებულია 1835-37 წწ., გადაკეთებულია ყაზარმად.
- ახალციხის წმ. გრიგორის, აგებულია 1837 წ., მოქმედია.
- ახალციხის ერევანის წმ. ჯვრის, აგებულია XII-XIII ს., რესტავრ. 1886 წ., (ადრე იყო გრიგორიანული, ახლა არის სომხურ — კათოლიკური), ნახევრად დანგრეულია.
- ახალციხის წმ. ჯვრის (მარდას უბანში), აგებულია 1861 წ., დგას.
- ახალციხის წმ. ჰოვჰანეს-მკრტიჩის აგებულია 1850 წ., (სომხურ — კათოლიკური), რესტავრ. 1910 წ., დანგრეულია.
- ახალციხის წმ. სტეფანოზის (რაბათში). აგებულია XVIII ს. 40-იანი წ., დგას.
- ივლიტას წმ. ჯვრის, აგებულია 1650 წ., (სომხურ — კათოლიკური), რესტავრ. 1691 წ., 1782 წ., დგას.
- წინუბნის ღვთისმშობლის, აგებულია 1879 წ., რესტავრ.

- 1900 წ., 1908 წ., (სომხურ - კათოლიკური), დგას.
17. წყალთბილას, აგებულია 1849 წ., (სომხურ - კათოლიკური), რესტავრ. 1888 წ., დგას.
18. წუღლრუთის წმ. სიონის, აგებულია XX ს. დასაწყისში, დგას, მაგრამ დაზიანებულია, ავარიულია.
19. წუღლრუთის მატური, პატარა ეკლესია საფლავზე, აგებულია XII-XIII სს., დგას.
20. წირას წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დგას.
21. დიდი პამაჭის წმ. ჯვრის- (წმ. სტეფანოზის), აგებულია 1900 წ., დგას.
22. ნაოხრების (სომხურ - კათოლიკური) ეკლესია, რესტავრ. 1863-65 წწ. და 1886 წ., დგას, დაზიანებულია.
23. საგელის წმ. ჯვრის, აგებულია XIX ს., დგას.
24. სუფლის ღვთისმშობლის, აგებულია 1843 წ., (სომხურ - კათოლიკური), რესტავრ. 1900 წ., დგას.
25. ვალეს ღვთისმშობლის, აგებულია 1879 წ., (სომხურ - კათოლიკური), დგას.
26. პატარა პამაჭის წმ. ჯვრის, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
27. არალის წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დგას.

ახალქალაქის რაიონი

28. აბულის წმ. პარუთიუნის (ღვთისმშობლის), აგებულია XIX ს. 30-იანი წლებში რესტავრ. 1884 წ., დანგრევის პირასაა.
29. აგანას თუ აზანას (არ ჩანს-ბ.ა.) მთავარანგელოზის, აგებულია XIX ს., დგას.
30. აზავრეთის წმ. მაშტოცის, აგებულია XX ს. დასაწყისში, დგას.
31. ალათუმანის წმ. კვირიკეს, აგებულია XIX ს. ბოლოს, დგას.
32. ალასტანის წმ. მარიამის, აგებულია 1856 წ., (სომხურ - კათოლიკური), დგას.
33. ალასტანის „ხარაბა“. აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
34. ახალქალაქის წმ. ჯვრის, აგებულია XIX ს. 30-იანი წლებში, რესტავრ. 1856 წ., დგას.

35. ახალქალაქის ჯვრის, გუმბათიანი ეკლესია, ნანგრევი, აგებულია X-XI სს.
36. ახალქალაქის ბერის (განდევილის), აგებულია XIII ს., დგას.
37. არაკოვას წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., რესტავრ. XX ს. დასაწყისში, დგას.
38. არაკოვას, აგებულია VII ს., დანგრეულია მთლიანად.
39. ბალხოს წმ. პარუთიუნის, აგებულია XIX ს., რესტავრ. 1868 წ., დგას.
40. ბავრას წმ. ჯვრის, აგებულია 1887 წ., (სომხურ - კათოლიკური), დგას.
41. ბარალეთის ღვთისმშობლის, აგებულია 1869 წ., დგას.
42. ბარალეთის წმ. ჰოვჰანნესის, აგებულია VI-VII სს., დგას.
43. ბეჟანოს წმ. მინასის, აგებულია XIX ს., დგას.
44. ბეჟანოს „კათინაბირ უამ“-ის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრდ დანგრეულია.
45. ბეჟანოს „განქი“, აგებულია XII-XIII სს., ნანგრევი.
46. ბზავეთის წმ. გრიგორი განმანათლებლის, აგებულია V-VII სს., დგას.
47. ბზავეთის ჯვრის სამლოცველო, აგებულია XII-XIII სს., ნანგრევი.
48. ბუღაშენის წმ. პარიუთინის, აგებულია XIX ს. ბოლოს, დგას.
49. ბურნაშეთის წმ. მათეოსის, აგებულია XX ს. დასაწყისში, დგას.
50. ბურნაშეთის „ზნრულ“-ის, აგებულია XII-XIII სს.,
51. „გიუმურდა“ წმ. პამბარძემის, აგებულია XIX ს., დგას.
52. „გიუმურდა“ „თახუნთა“, აგებულია VII ს., დგას.
53. გომანის წმ. განმანათლებლის, აგებულია 1847 წ., დგას.
54. დადეშის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
55. დადეშის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
56. დილისკის წმ. სარგისის, აგებულია XIX ს. 30-იანი წლებში, დგას.
57. ზაკის წმ. მინასის, აგებულია XIX ს., დგას.
58. იხტილას წმ. სტეფანოზის, აგებულია IX-X სს., დანგრევის პირას არის.

59. იხტილას „ვანქ“-ის, აგებულია X-XI. სს., ნახევრად დანგრეულია.
60. თახაჩას წმ. მინასის, აგებულია XIX ს. 70-იან წლებში, დგას.
61. ლომატურცხის, აგებულია XIX ს., დგას.
62. სანდოს წმ. გიორგის, აგებულია VII ს., დგას.
63. ხანდოს წმ. ჯვრის, აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
64. ხანდოს „კირირა“, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
65. ხავეთ მრაკოლის წმ. სარგისის, აგებულია XVI-XVII სს., რესტავრ. XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
66. ხოსპიას, აგებულია XIX ს., დგას.
67. ხორენიას ერევმანის წმ. ჯვრის, აგებულია XI-XII სს., დგას.
68. ხორენიას „ვერი ჟამ“-ის, აგებულია XIII ს., დგას.
69. ხორენიას „ძორი ჟამ“-ის ეკლესია, აგებულია XII-XIII ს., ნახევრად დანგრეულია.
70. ზუღამას ღვთისმშობლის, აგებულია 1856 წ., (სომხურ – კათოლიკური), რესტავრ. 1908 წ., დგას.
71. კაჭოს წმ. მინასის, აგებულია XIX ს., დგას.
72. კარზახის წმ. კარაპეტის, აგებულია 1894 წ., დგას.
73. კარწახის „ფლაწ ჟამ“, აგებულია XVI-XVII სს. დანგრეულია.
74. კარტიკამის ღვთისმშობლის, აგებულია 1843 წ., (სომხურ – კათოლიკური), რესტავრ. 1908 წ., დგას.
75. კულიკამის, აგებულია XIX ს., დგას.
76. კოკიას „შტაბი ჟამ“-ის, აგებულია XI-XII სს., დგას.
77. კოკიას „კალთუბანის“, აგებულია VI-VII სს., დანგრეულია.
78. კოკიას სასაფლაოს, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
79. კორხის წმ. სტეფანოზის, აგებულია XIX ს.
80. კორხის ძვ. სასაფლაოს ეკლესია, აგებულია VI-VII სს., დანგრეულია.
81. ოკამის, აგებულია X-XI სს., დანგრეულია.
82. ღადოს წმ. გრიგოლ ნარეკაცის, აგებულია XIX ს., დგას.

83. მაჯადიას წმ. განმანათლებლის, აგებულია 1867 წ., დგას.
84. მაჯადიას წმ. ჰოვჰანესის ვანქი, აგებულია XII-XIII სს.
85. მარტურის, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
86. ღიდი სამსარას ღვთისმშობლის, აგებულია 1902 წ., დგას.
87. ღიდი სამსარას კლდის, აგებულია XI-XII სს.
88. ღიდი სამსარას „ხაჩმალარა“ კლდის, აგებულია XI-XII სს., დგას.
89. ღიდი სამსარას კლდის, მატური, აგებულია XII-XIII სს., დგას.
90. ღიდი სამსარას კლდის, აგებულია XI-XIII სს., დგას.
91. მერენიას წმ. ღვთისმშობლის, აგებულია XIX სს., დგას.
92. მერენიას „კოტრაწ ჟამ“, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
93. მოღვაწმის, აგებულია XI-XII სს., დანგრეულია.
94. მურჯახეთის წმ. ჯვრის, XIX ს., დგას.
95. მურჯახეთის, აგებულია XV-XVI სს., დანგრეულია.
96. ჩამდებარას წმ. ჰარუტიუნის, XIX ს., დანგრეულია მთლიანად.
- 96.ა) ჩიფლიკას წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დანგრეულია მთლიანად.
97. სირკის წმ. გიორგის, აგებულია 1911 წ., დგას.
98. სულდას წმ. ჯვრის, აგებულია XIX ს., დგას.
99. სულდას პატარა ეკლესია საფლავზე (მატური), აგებულია X-XI სს., დგას.
100. ვაჩიანის წმ. სიონი, აგებულია XIX ს., დგას.
101. ვაჩიანის, აგებულია XI ს., დანგრეულია მთლიანად.
102. ვარევანის წმ. ქალწულ მარიამის, აგებულია 1842 წ., რესტავრ. 1856-1903 წწ., დგას.
103. ტრენას წმ. ჯვრის (ნშან), აგებულია 1891 წ., ნახევრად დანგრეულია.
104. ტურცხის ღვთისმშობლის, აგებულია 1888-92 წწ., (სომხურ – კათოლიკური), დგას.
105. ტურცხის, აგებულია XII-XIII სს., დაგრეულია.
106. პატარა სამსარას – წმ. ჰარუტიუნის, აგებულია 1891 წ., დგას.
107. პატარა სამსარას წმ. გიორგის, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.

108. ქარსეპის, აგებულია XII-XIII სს., გაბზარულია.
109. ქარსეპის, სოფელ აზმანაში, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
110. ქარსეპის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
111. ქარსეპის „ხართა“, სოფლის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
112. ოლავერის ღვთისმშობლის, აგებულია 1899 წ., დგას.
113. ორჯას ძელი, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
114. ორჯას წმ. თადეოსის და წმ. ბართლომეოსის, აგებულია 1900 წ., დგას.

ახმეტის რაიონი

115. ალავერდის ფაიტაშენის, მოხსენებულია 1818 წ., დაქცეულია.
116. მაღრანის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დაქცეულია.
117. მაჭნის ღვთისმშობლის, დანგრეულია.
118. სანადიროს, აგებულია XVIII ს. ბოლო.
119. ქისტაურის ღვთისმშობლის, აგებულია XVIII ს. ბოლო, რესტავრ. 1853 წ., დგას.

ასპინძის რაიონი

120. ბნელას სამლოცველო, მატური, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
121. თმოგვის კლდის, დგას (აშენების თარიღი არ უწერია – ბ.ა.).
122. თოქის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
123. ხიზაბავრა, აგებულია 1990 წ., (სომხურ-კათოლიკური), დგას.
124. ხიზაბავრას წმ. ჯვრის (ხაჩ), აგებულია XII-XIII სს., დგას.
125. ხროვიზის წმ. ჰოვჰაնნესის და წმ. კარაპეტის, აგებულია 1843 წ., დანგრეულია.
126. ტამალას წმ. ჯვრის (ხაჩ), აგებულია 1843-45 წწ., დგას.
127. ტამალას, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
128. ვარგავას ღვთისმშობლის, აგებულია 1890 წ., (სომხურ – კათოლიკური), დგას.

ბოლნისის რაიონი

129. აკაიურთას, აგებულია XIX ს. ბოლოს., დგას.
130. აღალარის, აგებულია 1314 წ., ნახევრად დანგრეულია.
131. არაქელის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
132. არახლოს, აგებულია XII-XIII სს., დგას.
133. არახლოს, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
134. ბალიჭის, აგებულია XIX ს. 80-იანი წლებში., დგას.
135. ბალიჭის, მატური, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
136. ბეკტაქარის, აგებულია XVI – XVII სს., დანგრეულია.
137. ბოლნისის ხაჩინი, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
138. ბოლნისის ღვთისმშობლის, აგებულია 1884 წ., ახლა კლუბია.
139. ბოლნისის „კარმრაკვორ“, აგებულია 1721 წ., დგას.
140. ბოლნისის „შინა ტელეცი“, XVII-XVIII სს., დგას.
141. ბოლნისის „ქერწი ტაკი ელცი“, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
142. ბოლნისის „კამაკატარის“, აგებულია XVI-XVII სს., მოლიანად დანგრეულია.
143. ბოლნისის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
144. ბოლნისის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
145. დარბაზის წმინდა სარგისის, აგებულია 1237 წ., დგას.
146. დარბაზის „თანაპლი“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
147. დარბაზის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
148. დარბაზის, აგებულია XVII-XVIII სს., დგას.
149. დარბაზის „ლარასუ“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
150. დარბაზის „ცურტ აღაბიურ“, აგებულია XVI-XVII სს., 1988 წ. მიწისძვრის დროს დაინგრა.
151. დარბაზის წმ. გიორგის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
152. დარბაზის ღვთისმშობლის, აგებულია 1465 თუ 1365 წწ., დგას.

153. თურქის დარბაზის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
154. თურქის დარბაზის, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
155. თურქის დარბაზის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
156. ინჯოლლის წმ.სარგისის ვანქი, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
157. ინჯოლლის, XII-XIII სს., დგას.
158. ხატის ბოლნისის წმ. გიორგი, აგებულია XVII ს., დგას.
159. კაზრეთის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
160. კაზრეთის, აგებულია XVII ს., დგას.
161. კიანეთის წმ. გიორგის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
162. მუშევანის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
163. მუშევანის, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
164. მუსოპრიანის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
165. ჩათახის წმ. გიორგის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
166. ჩათახის „კოტლები ბაღ“, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
167. ჩათახის „ლემსი ქოლ“, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
168. ჩათახის „ათაქიში“, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
169. ჩათახის „შანშიბერდი“, აგებულია XII-XIII სს., დგას.
170. ჩათახის, მატური, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
171. ჩათახის „მოლოდი“, აგებულია 1506 წ., დგას.
172. ჩათახის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
173. ჩათახის ფორფორთის, აგებულია 1505 წ., დგას.
174. ჩათახის ფორფორთის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
175. ჩათახის ფორფორთის „კოტრაზ ვანქ“, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
176. ჩათახის ფორფორთის „ჰაკობი გელატელ“, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
177. ჩათახის ფორფორთის „იოქიორფუ ელცი“, აგებულია XVII ს., დგას.

178. რატევანის წმ. გიორგის, აგებულია XVI-XVII სს., რესტავრ. XIX ს., დგას.
179. რატევანის სასაფლაოს ეკლესია აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
180. სამწვერის „კუიბულაღი ვანქ“, აგებულია XVII ს., დგას.
181. სამწვერის „უზუნქილისა“, აგებულია XVII ს., დგას.
182. სამწვერის, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
183. სამწვერის „შანშიანების საგვარეულო ეკლესია“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
184. ქაფანაკჩის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
185. ქაფანაკჩის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
186. ქაფანაკჩის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
187. ქაფანაკჩის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
188. ქაფანაკჩის, აგებულია XIV-XV სს., ნახევრად დანგრეულია.
189. ქოლაგირის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
190. ქვეშის წმ. ლოთისმშობლის, აგებულია XVI-XVII სს., დგას
191. ქვეშის წმ. სარგისის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
192. ქვეშის „ბოლორაძევის ეკლესია“, აგებულია VII-VIII სს., ნახევრად დანგრეულია.
193. 194. 195 არ ჩანს! (ბ.ა.)
196. ქვეშის მატური, აგებულია XVI-XVII სს., დგას

ბორჯომის რაიონი

197. ბორჯომის წმ. გრიგოლ განმანათლებლის, 1878 წ., დგას.
198. მოლითის წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დგას.
199. მოლითის მატური, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
200. ტაბაწყურის წმ. კარაპეტის, აგებულია XIX ს. 70-იანი წლები., დგას.

გარდაბნის რაიონი

201. ახალსოფლის წმ. სარგისი, რესტავრ. 1900 წ., დგას.
202. თელეთის წმ. გიორგის, აგებულია XVIII ს., რესტავრ.

- 1887 და 1901 წწ., 1989 წელს ამ ეკლესიაზე გაქრა სომხური წარწერები.
203. თელეთის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
204. წავკისის წმ. სარგისის, რესტავრ. XX ს. დასაწყისში.
205. წავკისის მატური, აგებულია 1493 წ., დგას.
206. წყნეთის ღვთისმშობლის, აგებულია 1881 წ., 1990 წელს გაანადგურეს.
207. კოჯრის ღვთისმშობლის, აგებულია 1875 წ., დგას.
208. კუმისის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
209. ავჭალის, რესტავრ. 1895 წ., დგას.
210. მარტყოფის ღვთისმშობლის, აგებულია 1888 წ., დგას.
211. ნორიოს ღვთისმშობლის, რესტავრ. 1899 წ., დგას.
212. შავნაბადას წმ გიორგის, აგებულია XVIII ს. ბოლო, რესტავრ. XIX ს., დგას.
213. შინდისის წირანავორ ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
214. სოღანლულის ღვთისმშობლის (გრიგოლ), რესტავრ. აგებულია 1884 წ.
215. ტაბახმელას წმ. გიორგი, აგებულია XIX ს., დგას.
216. ტაბახმელას სასაფლაოს ეკლესია, აგებულია XIVIII ს. 40-იანი წლები., რესტავრ. 1877 წ.
217. ოქროყანის, აგებულია 1897 წ.

გურჯაანის რაიონი

218. ახაშენის, აგებულია XIX ს. დასაწყისი.
219. გურჯაანის წმ. სარგისი, აგებულია XIX ს. 50-იანი წლები., რესტავრ. 1888 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
219. ა) კარდანახის, აგებულია XIX ს.
220. მუკუზანის ღვთისმშობლის (წმ. პამბარძუმ), რესტავრ. აგებულია 1909 წ., დგას.
221. სოფ. ველისციხე, ღვთისმშობლის სამრეკლო აგებულია 1888 წ.
222. ჩუმლაყის სასაფლაოს სამლოცველო, აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.

223. ვეჯინის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისი, რესტავრ. XX ს. დასაწყისში.
224. ურიათუბნის წმ. სარგისი, აგებულია XIX ს., დგას.
225. ხოვლეს, აგებულია XIX ს. დასაწყისი.
226. ქოდალოს წმ. ღვთისმშობლის, XIX ს. დასაწყისი.

დმანისის რაიონი

227. ბოსლების ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
228. ბოსლების, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
229. განთიადის (დალამშა), აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
230. გორასის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
231. გორასის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
232. გორნჯუების წმ. ჯვრის, აგებულია XVII ს., დგას.
233. დუნუსის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
234. დუნუსის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
235. ლოქვენდარის, აგებულია XVII ს., დგას.
236. კაკლიანის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
237. ღზლაჯლოს, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
238. ღზლაჯლოს, აგებულია XVII ს., ნახევრად დანგრეულია.
239. ყზლქილისისას, აგებულია XII-XIII სს.
240. დიდი გომარეთის, აგებულია XVI-XVIII სს., დგას.
241. დიდი გომარეთის, აგებულია XVII ს., ნახევრად დანგრეულია.
242. დიდი გომარეთის, მატური, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
243. დიდი დმანისის ღვთისმშობლის, რესტავრ. აგებულია XIX ს., დგას.
244. მთისძირის, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
245. ა. ღარაბულაღის, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
246. ა. ღარაბულაღის, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
247. შინდლარის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
248. პანტიანის, აგებულია XVII-XVIII სს., ნახევრად დანგრეულია.

249. ჯავახქის, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
250. საკირეს, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
251. საკირეს, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
252. საკირეს, მატური, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
253. საჯას, აგებულია XIV-XV სს., ნახევრად დანგრეულია.
254. სარკინეთის ვანქი, აგებულია 1694 წ., სამრეკლო. 1721 წ., დგას.
255. სარკინეთის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
256. სარკინეთის, აგებულია XVI-XVIII სს., დანგრეულია.
257. საფარლოს, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
258. საფარლოს, აგებულია XII-XIII სს ნახევრად დანგრეულია.
- 259,260,261 არ ჩანს - ბ. ა.
262. ვ. ლარაბულაძის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
263. უკანაგორის, აგებულია XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
264. უკანაგორის, მატური, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
265. პატარა დმანისის, მატური, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
266. პატარა დმანისის, მატური, აგებულია XI-XII სს., დანგრეულია.
267. ორმაშნის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.

დუშეთის რაიონი

268. ანანურის ღვთისმშობლის, რესტავრ. 1850 წ., დგას.
269. დუშეთის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. 20-იანი წლები. რესტავრ. 1863 წ. და 1892 წ.
270. დუშეთის სასაფლაოს ეკლესია წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დგას.
271. დუშეთის წმ. გიორგის (ტყეში), აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
272. ჭადიჯვრის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს.,

ზუგდიდის რაიონი

273. ზუგდიდის ეკლესია, აგებულია XIX ს. მეორე ნახევარი.
- თბილისი (ტფილისი)
274. თბილისის (ტფილისი) კათოლიკე წმ. გიორგი, აგებულია 1352 წ., რესტავრ. 1808 წ. და 1832 წ.
275. თბილისის ბეთლემის ღვთისმშობლის, აგებულია 1500წ., რესტავრ. 1718, 1884, 1838 წწ., 1990-1993 წწ. მისი გაქართულება მოხდა.
276. თბილისის ნორაშენის ღვთისმშობლის, აგებულია 1467 წ., რესტავრ. 1650, 1795, 1808, 1830 წწ., დგას.
277. თბილისის შამქორის ღვთისმშობლის, აგებულია 1809 წ., რესტავრ. 1844, 1858წ., დაინგრა 1989 წ. 26 აპრილს.
278. თბილისის მოღნინის წმ. გიორგის, აგებულია 1356 წ., რესტავრ. 1752, 1850 წწ., დგას.
279. თბილისის ვერის წმ. ჯვრის, აგებულია 1836 წ. XX ს. 90-იან წლებში აკურთხეს წმ. პანტელეიმონის სახელზე და გახდა მოქმედი ქართული ეკლესია.
280. თბილისის ქარაფის წმ. გიორგის, აგებულია 1753 (1600), 1991 წ., გააქართულეს.
281. თბილისის ქუკის წმ. გრიგორის, აგებულია 1789 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
282. თბილისის ავლაბრის წმ. გიორგის, აგებულია 1894 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
283. თბილისის დედათა წმ. სტეფანისის, აგებულია 1727 წ., რესტავრ. 1866 წ., 1910 წ., გააქართულეს 1989-1991 წლებში, დგას.
284. თბილისის ჩუღურეთის წმ. გიორგის (ღვთისმშობლის), აგებულია 1807 წ., რესტავრ. 1854 წ., 1991 წლის 26 იანვარს აკურთხეს წმ. ნინოს სახელზე და გააქართულეს.
285. თბილისის ავლაბრის ეჯიმიაწინის წმ. გიორგის, აგებულია 1806 წ., რესტავრ. 1857 1912 წწ., მოქმედია.
286. თბილისის ზრკინიაცის წმ. გიორგის, აგებულია 1713 წ.

- დაანგრიეს XXს. 40-იან წლებში.
287. თბილისის თანდოიანის ღვთისმშობლის, აგებულია 1865 წ., რესტავრ. XIX ს. 90 -იან წლების ბოლოს. ახლა მასში არის კინოთეატრი „კოლხიდა“.
288. თბილისის ხარფუხის წმ. სარგისის, აგებულია 1716 წ., რესტავრ. 1770 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
289. თბილისის ქამოიანის წმ. გიორგის, აგებულია 1778 წ., რესტავრ. 1804 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
290. თბილისის ვანქის ეკლესია, აგებულია 931 წ., რესტავრ. 1430, 1715 წწ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
291. თბილისის მთავარანგელოზის ეკლესია, აგებულია 1480 წ., რესტავრ. 1781 წ., დაანგრიეს 1939 წელს.
292. თბილისის მეტეხის წმ. ვარდანის, აგებულია 1893 წ., დაანგრიეს XXს. 40-იან წლებში.
293. თბილისის ჯიგრაშენის ღვთისმშობლის, აგებულია 1704 წ., რესტავრ. 1785 წ. და 1893 წ., დაანგრიეს 1930-იან წლებში.
294. თბილისის ზორაბაშის წმ. გიორგის, აგებულია 1600 წ., რესტავრ. XIX ს. 80-ანი წლების ბოლოს. დაანგრიეს 1995 წ. იანვარში.
295. თბილისის ერევის წმ. მინასის, აგებულია 1811 წ., დაიხურა 1924 წელს., დგას.
296. თბილისის პატარა მოღნინის ეკლესია, შუა საუკუნეები, დაანგრიეს XIX ს. 70-იან წლებში.
297. თბილისის ნავთლულის წაღკევანქის, რესტავრ. XIX ს. 80-იან წლებში.
298. თბილისის ავლაბრის მელიქი ვანქი, დაანგრიეს.
299. თბილისის წმ. განმანათლებლის, რესტავრ. XIX ს. 80-იან წლებში. რა ადგილას იყო უცნობია.
300. თბილისის სასახლის წმ. გიორგის, აგებულია 1785 წ., დაანგრიეს 1870წ.
301. თბილისის ნავთლულის წმ. გიორგის, აგებულია 1897 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
302. თბილისის ხოჯავანქის, აგებულია 1655 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.

303. თბილისის ზარივაირის წმ. კარაპეტის, აგებულია 1400 წ. რესტავრ. 1705წ. და 1870 წ. გააქართულეს 1992-1993 წწ.
304. თბილისის კოზმა და დიმა, ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის.
305. თბილისის საპაკაშენის წმ. კარაპეტის, აგებულია 1703 წ., რესტავრ. 1814 წ., ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის.
306. თბილისის წმ. ნშანის ნიკოლოზის, აგებულია 1703 წ., რესტავრ. 1868 წ., დგას.
307. თბილისის წმ. კვირიკეს, შუა საუკუნეები, დაანგრიეს XIX ს. 70-იან წლებში.
308. თბილისის თეკენამის წმ. გიორგის, აგებულია 1736 წ., რესტავრ. 1807წ., დაანგრიეს 18 70-იან წლებში.
309. თბილისის ზრატარის წმ. იაკობის, შუა საუკუნეები, დაანგრიეს XIX ს. 70-იან წლებში.
310. თბილისის ნარიყალას ციხის ეკლესია, შუა საუკუნეები, გათხრების დროს –1990 წ. აღმოჩნდა მისი საძირკველი.
311. თბილისის დიდუბის უბნის ეკლესია, აგებულია 1898წ.
312. თბილისის კრწანისის წირანავორ (გელარდ), შუა საუკუნეები, რესტავრ. 1771წ და 1861წ. დგას.
313. თბილისის შავი უბნის წმ. გიორგის ეკლესია, აგებულია 1868 წ.
314. თბილისის წმ. გრიგორ განმანათლებლის მატური, (სომხურ-კათოლიკური), აგებულია XIXს.
- თეთრიწყაროს რაიონი.
315. ახალშენის ეკლესია, აგებულია VI-VII სს., დგას.
316. არდასუბნის წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დგას.
317. ბოგგ-კამაკატარის ღვთისმშობლის, აგებულია 1455 წ., დანგრეულია.
318. დაღეთ-ხაჩენის დიდი პაპის, აგებულია 1890 წ., დგას.
319. დაღეთ-ხაჩენის წმ.ღვთისმშობლის, აგებულია 1879 წ., დანგრეულია.

320. დაღეთ-ხაჩენის ეკლესია, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
321. დაღეთ-ხაჩენის წმ. სტეფანოსის, აღმოაჩინეს 1896 წელს, დგას.
322. დაღეთ-ხაჩენის „აღალო ქამ“ ან წმ. გიორგის, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
323. დაღეთ-ხაჩენის „ეღცი“, აგებულია XIII-XIV სს., ნახევრად დანგრეულია.
324. ღმანისის ეკლესია, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
325. თეთრიწყაროს წმ. კარაპეტის, აგებულია 1881 წ., დაანგრიერის.
326. თეთრიწყაროს „დედოფალ გიოლ“, აგებულია 1617 წ., ნახევრად დანგრეულია.
327. თეთრიწყაროს „წმეტ“, შუა საუკუნეები, ნახევრად დანგრეულია.
328. ლიპა-ეკლესია, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
329. ლიპა-ეკლესია, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
330. წინწყარო, წმ. სარგისის, აგებულია XVIII ს., დგას.
331. კოდა, ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. ბოლო, დგას.
332. კოდას სასაფლაოს ეკლესია, აგებულია XIX ს., დგას.
333. მანგლისის წმ. გიორგის, აგებულია 1878 წ., დაანგრიერის.
334. დიდი დურნუკის წმ. გიორგის, აგებულია 1863 წ., რესტავრ. 1884 წ., დგას.
335. დიდი ენგაიოს (ჯორჯიაშვილი) ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
336. დიდი ოონეთის ღვთისმშობლის, აგებულია XVIII ს. 50-იან წლებში., რესტავრ. XIX ს. 10-იან და 90-იან წლებში., დგას.
337. მუხათის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
338. მუხათის წმ. გიორგის, აგებულია 1913 წ., დგას.
339. სამშვილდის ღვთისმშობლის, აგებულია 1854 წ., ფორმა შეცვლილი აქვს.

340. სამშვილდის ღვთისმშობლის, აგებულია XVIII ს., დგას.
341. სამშვილდის წმ. გიორგის, აგებულია XVIII ს., დგას.
342. სამშვილდის კრწანისი, წმ. გიორგის, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
343. სამშვილდის კვირიკიანების სასახლის ეკლესია, აგებულია X ს., დგას; აღდგენილია.
344. სამშვილდის წმ. სიონის, აგებულია X-XI სს., ნახევრად დანგრეულია.
345. სამშვილდის „ვარჟაპეტი პაკერ“, აგებულია XV-XVI სს., ნახევრად დანგრეულია.
346. სამშვილდის ეკლესია ქალაქში, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
347. სამშვილდის, ქალაქში აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
348. სამშვილდის, მდინარე ხრამის მარჯვენა ნაპირზე, აგებულია XII-XIII სს., დგას.
349. სამშვილდის ჭანტარის ვანქი, აგებულია XII-XIII ს. ნახევრად დანგრეულია
350. სამშვილდის მეორე ეკლესია, იგივე ვანქი, აგებულია XIII ს., დგას.
351. სამღერეთის წმ. ნშანის (ჯვრის), აგებულია XVI-XVII სს., რესტავრ. XIX ს., დგას.
352. სამღერეთის წმ. გიორგის, აგებულია 1612 წ., ნახევრად დანგრეულია.
353. სამღერეთის „ხაჩ“ (ჯვარი) ვანქი, სოფლიდან 3 კმ. სამხრეთით, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
354. სამღერეთის „ველატელის“, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
355. სამღერეთის „მეპრი ქამ“, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
356. ვანეთის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
357. ვაშლოვანის წმ. გიორგის, რესტავრ. 1659 წ., ნახევრად დანგრეულია.

358. გაშლოვანის წმ. გორგის, აგებულია 1659 წ., ნახევრად დანგრეულია.
359. გარხუნას ღვთისმშობლის, აგებულია 1645 წ., დგას.
360. გარხუნას „ეცო“, სოფლის ეკლესია, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
361. „პატარა დაღეთი“, ღვთისმშობლის, აგებულია 1863 წ., დგას.
362. პატარა დურნუქის, წმ.კვირიკეს, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
363. პატარა თონეთის, წმ.გიორგის, აგებულია XIX ს. 40-იან წ., რესტავრ. XX ს. დასაწყისში, დაანგრიეს.
364. ქოსალარის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
365. ქოსალარის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
366. ქსოვრეთის, აგებულია XVI-XVII სს..

თელავის რაიონი

367. ახატელის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისში, ნახევრად დანგრეულია.
368. ქ. თელავის წმ. გიორგის დედა ეკლესია, აგებულია 1786 წ., დგას.
369. ქ. თელავის წმ. კარაპეტის, აგებულია 1797 წ.
370. ქ. თელავის წმ. გიორგის ძველი გალავნის, აგებულია XVIII ს., რესტავრ. 1854 წ., დგას.
371. ქ. თელავის ღვთისმშობლის სასაფლაოს ეკლესია, აგებულია XVIII ს. დასაწყისში, რესტავრ. 1878 -1879 წწ., დგას.
372. ქ. თელავის წმ. თომას მატური, რესტავრ. 1882-1885 წწ.
373. ქ. თელავის, აგებულია XIX ს. 60-იანი წლების დასაწყისში., დგას.
374. ლარისყურის ღვთისმშობლის, XIX ს. დასაწყისი., დგას.
375. წინანდლის ღვთისმშობლის, აგებულია 1808 წ., დგას.
376. ნაფარეულის წმ.კვირიკეს (ღვთისმშობლის, წმ.თომას), აგებულია XIX ს., დგას.

377. ნაფარეულის მატური, აგებულია XIX ს.
378. ზანანის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., ადგილმდებარეობა ცნობილი არ არის.
379. რუისპირის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
380. რუისპირის წმ. სარგისი, აგებულია 1875 წ.
381. სანიორეს ღვთისმშობლის (წმ.აკობის), რესტავრ. 1854-1857 წწ., 1871-75 წწ. გამოყენებულია აბანოდ.

თერჯოლის რაიონი

382. ჩხარის ღვთისმშობლის, რესტავრ. 1866 წ., ნახევრად დანგრეულია.

ლაგოდეხის რაიონი

383. ქ. ლაგოდეხის ღვთისმშობლის, აგებულია 1867 წ., რესტავრ. 1911 წ., დაანგრიეს.

ხაშურის რაიონი

384. ალის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
385. ალის ღვთისმშობლის, აგებულია XII-XIV სს., ნახევრად დანგრეულია.
386. ალის ღვთისმშობლის, აგებულია XIV-XV სს., დანგრეულია.
387. ალის წმ. ქალწულთა, აგებულია XIII-XIV ს. ნახევრად დანგრეულია.
388. ალის წმ. კარაპეტის, აგებულია XIII-XIV სს., ნახევრად დანგრეულია.
389. ალის ღვთისმშობლის, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
390. ნაბახტევის წმ. კარაპეტის, აგებულია არა უგვიანეს XV ს., რესტავრ. 1876 წ., დგას.
391. სურამის წმ. გრიგორ განმანათლებლის, აგებულია XIX ს. 50-იან წლებში., დგას.
392. სურამის წმ. ჰამბარძუმის, აგებულია XIX ს., დგას.

393. ვაყას ღვთისმშობლის, აგებულია XVIII ს., რესტავრ. 1882 წ. და 1912 წ., დგას.
394. ოსიაურის ღვთისმშობლის, რესტავრ. 1903 წ.

ცაგერის რაიონი

395. ლაილაშის ღვთისმშობლის, რესტავრ. XIX ს.

წალკის რაიონი

396. ახალიკის წმ. პარუთიუნის (ღვთისმშობლის), აგებულია 1899 წ., 1901 წ. დგას.
397. აიაზმას წმ. გიორგის (ღვთისმშობლის), VI-VII სს., დგას.
398. აშხალას წმ. მინასის, აგებულია XIX ს., დგას.
399. ბურნაშეთის წმ. სტეფანოზის, რესტავრ. 1960 წ., დგას.
400. დერეს წმ. პარუთიუნის (წმ. გიორგის), რესტავრ. 1855-57 წწ., დგას.
401. ხაჩის (ჯვარი) წმ. გიორგის, რესტავრ. 1855-57 წწ., დგას.
402. კორხიის წმ. სტეფანოზის, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
403. ღადურის წმ. სარგისის, რესტავრ. 1857-61 წწ., დგას.
404. ყიზიქილის ღვთისმშობლის, რესტავრ. 1875-80 წწ., დგას.
405. ყიზიქილის „კარმირ ვანქ“, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
406. ღუშჩის წმ. ჯვრის (წმ. გიორგის), რესტავრ. 1866-67 წწ., დგას.
407. ღუშჩის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
408. ნარდევანის წმ. სარგისის, რესტავრ. 1860 წ., დგას.
409. ნორაშენის წმ. განმანათლებლის, აგებულია 1850 წ., დგას.
410. ზინისის (ჩივთქილისა) წმ. სტეფანოსის, რესტავრ. 1886 წ., დგას.
411. ტაშბაშის წმ. სარგისის, აგებულია XV ს., რესტავრ. XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
412. ტაშბაშის წმ. მარიამის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
413. ტაშბაშის (ჰიუნა) ღვთისმშობლის, რესტავრ. 1860 წ., დგას.

წითელ-წყაროს რაიონი.

414. წითელ-წყაროს ღვთისმშობლის, აგებულია 1885 წ., დგას.

კასპის რაიონი.

415. ახალსოფელის ღვთისმშობლის (ჰამბარძუმის), აგებულია 1900 წ., დგას.
416. ახალქალაქის ღვთისმშობლის, აგებულია XVIII ს., რესტავრ. 1894 წ., დგას.
417. ახალქალაქის ღვთისმშობლის სასაფლაოს ეკლესია, აგებულია XIX ს., დგას.
418. ახალქალაქის წმ. კარაპეტის, აგებულია XVIII-XIX სს., ნახევრად დანგრეულია.
419. გრაკალის წმ. ღვთისმშობლის (აშენების თარიღი არ ჩანს).
420. დუისის წმ. იაკობის, რესტავრ. 1899 წ., დგას. (ახლა მაღაზიად არის გადაკეთებული).
421. ხანდაკის წმ. ღვთისმშობლის, აგებულია XVIII-XIX სს., ნახევრად დანგრეულია.
422. კასპის წმ. პეტრე-პავლეს, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
423. ყარადაჯის წმ. ღვთისმშობლის, აგებულია 1864 წ., დგას.
424. ნიაბის ნორ კირაკი, აგებულია XIX ს.
425. კავთისხევის ღვთისმშობლის, რესტავრ. XIX ს.
426. კავთისხევის წმ. გაბრიელ და მიქაელ მთავარანგელოზის, აგებულია XV-XVI სს., დგას.
427. კავთისხევის წმ. გიორგის, აგებულია 1595 წ., დგას.

ყვარელის რაიონი

428. აღდგომის წმ. სარგისის, აგებულია XIX ს. დასაწყისში., დანგრეულია.
429. გავაზის ღვთისმშობლის (წმ. სარგისი, წმ. გიორგი), აგებულია 1850 წ., დანგრეულია.

430. გრემის წმ. ღვთისმშობლის, აგებულია 1595 წ., აღადგინეს 1989-90 წლებში.
431. გრემის (მრავალსართულიანი), აგებულია XVI ს., დგას.
432. გრემის, აგებულია XVI ს., დგას.
433. გრემის (გუმბათიანი), აგებულია XVI ს., დგას.
434. გრემის (ერთნავიანი), აგებულია XV-XVI სს., დგას.
435. გრემის, აგებულია XVI ს., დგას.
436. გრემის, აგებულია XVI ს., დგას.
437. გრემის მატური, აგებულია XV-XVI სს., დგას.
438. გრემის სამრეკლო-ეკლესია, აგებულია XV-XVI სს., დგას.
439. გრემის, აგებულია XV-XVII სს., დგას.
440. გრემის მატური, აგებულია XV-XVI სს., დგას.
441. გრემის, აგებულია XVI ს., დგას.
442. გრემის გუმბათიანი, აგებულია XV-XVI სს., დგას.
443. გრემის, აგებულია XV ს., დგას.
444. გრემის ეკლესია, სამრეკლო, აგებულია XVI ს., დგას.
445. ზეგანის წმ. სარგისის, აგებულია XIX ს. დასაწყისში., დანგრეულია.
446. ხაჩმიანის (სანავარდო), რესტავრ. 1836 წ., ნახევრად დანგრეულია.
447. ხაჩმიანის წმ. პეტრე-პავლეს (სომხურ-კათოლიკური), აგებულია XIX ს.
448. კუჭატანის წმ. გიორგის, აგებულია XVIII ს. ბოლოს., დგას.
449. ყვარლის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისში., რესტავრ. 1844-1849 წწ. დაანგრიეს XIX ს. 70-იან წლებში.
450. შაქრიანის, აგებულია XIX ს. დასაწყისში.
451. შაქრიანის წმგიორგის, მატური, აგებულია XIX ს. დასაწყისში., დგას.
452. შილდას ღვთისმშობლის, აგებულია 1858-1860 წწ., რესტავრ. 1914 წ., დანგრეულია.
453. ფაშანის (ფაშიანი) ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისში.

- მარნეულის რაიონი
454. აღქიორფის წმ. გიორგის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
455. აღქიორფის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
456. აღქიორფის, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
457. აღქიორფის წმ. გრიგორის, რესტავრ. 912-1913 წ., დგას.
458. ბრდაძორის წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
459. ბრდაძორის, აგებულია XVII ს., დგას.
460. ბურმას, აგებულია XVI -XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
461. გიულლიბალის წმ. პავლე-პეტროს, აგებულია 1840-იან წლებში., 1930 წ ააფეთქეს და ისე დაანგრიეს.
462. დამიას, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
463. დამიას . ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
464. დამიას „ზარგიარ“, აგებულია 1656-57 წწ., დგას.
465. თაზაქიანდის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
466. ხოურნის წმ. ჯვრის (ნაბან), აგებულია XI ს., დგას.
467. ხოურნის „ნერქი უამ“, აგებულია XII-XIII სს., დგას.
468. ხოურნის „ვერი უამ“, აგებულია XII-XIII სს., დგას.
469. ხოურნის „მელიქშენ“, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
470. ხოურნის „მელიქშენ“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
471. ხოხმელის ღვთისმშობლის, აგებულია XVIII ს., ნახევრად დანგრეულია.
472. ხოხმელის წმ. გიორგის, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
473. წერაქვის (სოფ. წერაქვი – აქ დაიბადა მიხეილ ჯავახიშვილი (ბ.ა.)), აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
474. წერაქის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
475. წობის, აგებულია VII ს., დანგრეულია.
476. წობის წმ. გიორგის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.

477. წობის „აგელ ცუხეჩ“, აგებულია XII-XIII სს., დგას.
478. ღუდრის წმ. გიორგის, აგებულია XVII ს., ნახევრად დანგრეულია.
479. ღუდრის „ღონდალსაზ“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
480. ღუდრის „მოროი იოთ“, აგებულია XV-XVI სს., დანგრეულია.
481. ღუდრის „შიშთაფა“, აგებულია XVII-XVIII სს., დანგრეულია.
482. ღუდრის „ვერი“, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
483. ღუდრის „ნერქი“, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
484. მარნეულის წმ. გიორგის, აგებულია XVII ს., დგას.
485. დიდი შულავერის (შაუმიანი) წმ. მესროპის, რესტავრ. 1887 წ., დგას.
486. დიდი შულავერის წმ. სარგისის, მატური, აგებულია XVIII ს., დგას.
487. დიდი შულავერის წმ. კვირიკეს, აგებულია XVII ს., რესტავრ. XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
488. ბნიძორის დიდი ვანქი, აგებულია 1663 წ., დგას.
489. ბნიძორის პატარა ვანქი, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
490. ბნიძორის „ხაჩი იალ“, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
491. ბნიძორის „სპიტაკშენ“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
492. ბნიძორის „მიჯინ ვანქ“, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
493. ბნიძორის ღვთისმშობლის, რესტავრ. 1844 წ. აგრეთვე 1981- 1991 წწ.
494. მოლიაოლლის წმ. სარგისის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
495. ჩანახაჩის ღვთისმშობლის, აგებულია 1880 წ., დანგრეულია.
496. ჩანახაჩის მატური, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
- 497 და 498 არ ჩანს, ვერ ამოვიკითხე – ბ. ა.
499. ჩანახაჩის, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.

500. სიონის, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
501. სიონის ეკლესია აგებულია XVI-XVII ს. ნახევრად დანგრეულია.
502. ულიანოვკის, აგებულია XVII-XVIII სს., ნახევრად დანგრეულია.
503. ულიანოვკის „ლობიალხ“, აგებულია XVII ს., დგას.
504. ულიანოვკის „აშროლლი“, აგებულია XVII ს., დგას.
505. ულიანოვკის „აღქიანდ“-ის., დგას.
506. ულიანოვკის „აღქიანდ“-ის, მატური., დგას.
507. პატარა შულავერის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., ფორმა შეცვლილია.
508. ოფრეთის წმ. სარგისის, აგებულია XIX ს., დგას.
509. ოფრეთის „გორელი“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
510. ოფრეთის „გორელი“, 1615 წ., ნახევრად დანგრეულია.
511. ოფრეთის „გორელი“, აგებულია XVII ს., ნახევრად დანგრეულია.
- მცხეთის რაიონი
512. ახალდაბის ღვთისმშობლის (ძველი სასაფლაო), რესტავრ. 1838 წ. და 1902 წ., დგას.
513. გლდანის წმ. გრიგორ განმანათლებლის, აგებულია 1896 წ., რესტავრ. 1902 წ., დგას.
514. დამპალას წმ. ჯვრის (გუმბათიანი), აგებულია XVI ს., დგას.
515. დილმის „კარმირ კირაკი“, აგებულია XIX ს.,
516. ლისის, აგებულია 1885 წ., დგას.
517. ძეგვის ღვთისმშობლის, რესტავრ. XIX ს.,
518. მცხეთის ღვთისმშობლის, აგებულია 1851 წ., XX ს. 30-იან წ. დაანგრიეს.
519. მუხრანის წმ.განმანათლებლის, აგებულია 1843 წ., რესტავრ. 1857 წ., დგას.
520. მუხრანის წმ.გიორგის (ახალ სასაფლაოზე), აგებულია XIX ს.,

521. მუხრანის წმ. ნიკოლოზის, რესტავრ. XIX ს., დგას.
- 521a. მუხრანის ნახშირგორა ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს.
80-იან წლებში. დგას. გააქართულეს 1986-1987 წწ.,
522. ნიჩბისის ღვთისმშობლის, აგებულია 1871 წ., დგას.
523. ნიჩბისის წმ. ნიკოლოზის, რესტავრ. XIX ს., დგას.
524. ციხისძირის, აგებულია XV-XVI სს., დგას.
525. ციხისძირის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
526. ციხისძირის, აგებულია XVI-XVII სს., დგას.
527. ქანდას ღვთისმშობლის, აგებულია 1472 წ., დგას.
528. ქსოვრისის წმ.მარიამის, რესტავრ. XIX ს., ნახევრად დანგრეულია.

ნინოწმინდის რაიონი

529. ასპარას, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
530. განძას წმ. კარაპეტის, აგებულია 1850 წ., დგას.
531. განძას „სარი ჟამ“, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
532. განძას „ფლაწ ჟამ“, აგებულია XVI-XVII სს., ნახევრად დანგრეულია.
533. ოორიას ღვთისმშობლის (სომხურ-კათოლიკური), რესტავრ. 1905 წ., დგას.
534. ხოჯაბეგის წმ. სარგისის, აგებულია XIX ს., რესტავრ. 1882 წ., დგას.
535. ხოჯაბეგის მატური „ყარაჩა“, რესტავრ. 1985 წ., დგას.
536. ჰეშტიას ღვთისმშობლის (სომხურ-კათოლიკური), აგებულია 1856 წ., დგას.
537. ყაურმას ღვთისმშობლის, აგებულია XII-XIII სს., დგას.
538. ღულალისის ღვთისმშობლის (განმანათლებლის), აგებულია XI-XII სს., ნახევრად დანგრეულია.
539. დიდი არაგიალის წმ. ჯვრის (ხაჩ), აგებულია XIX ს., დგას.
540. დიდი არაგიალის „წერუნი“, აგებულია XIII ს., დანგრეულია.
541. დიდი გიონდურის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., რესტავრ. 1868 წ., დგას.

542. დიდი ხანაჩალის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., პირველ ნახევრად დანგრეულია.
543. ნამზარას წმ. განმანათლებლის, აგებულია XIX ს., დგას.
544. ჯიგრაშენის მთავარანგელოზის, აგებულია XIX ს., დგას.
545. ჯიგრაშენის „პიკაშე“ სოფლის ეკლესია, აგებულია XIII ს., ნახევრად დანგრეულია.
546. სათხეს, აგებულია XI-XII სს., ნახევრად დანგრეულია.
547. სათხეს წმ. დიდი ნერსესის, რესტავრ. 1869 წ. და 1994 წ., დგას.
548. საღამოს ეკლესია, აგებულია XI-XII სს., ნახევრად დანგრეულია.
549. საღამოს ეკლესია, აგებულია XI-XII სს., ნახევრად დანგრეულია.
550. საღამოს ეკლესია, აგებულია XII-XIII სს., ნახევრად დანგრეულია.
551. სპასოვგას, აგებულია X-XI სს., . დანგრეულია.
552. ვლადიმროვეგას, აგებულია XII-XIII სს., დანგრეულია.
553. ტამბოვგას, აგებულია XIII ს., განადგურებულია.
554. ტილიიფის წმ. ვარდან მამიკონიანის, XIX ს., დგას.
555. უჯმანას წმ. ჰოვჰანესის-მერტიჩ (სომხურ-კათოლიკური), აგებულია 1851 წ., დგას.
556. ფარვანას მატური, აგებულია XIII ს., დგას.
557. ფოკას წმ. განმანათლებლის, აგებულია XIX ს., დგას.
558. ჰატარა არაგიალის წმ. სტეფანოზის აგებულია 1862 წ., დგას.
559. ჰატარა გიუნდურას წმ. ღევონდიანთ მღვდელების, აგებულია XIX ს., დგას.
560. ჰატარა ხანაჩალის წმ. იაკობის, აგებულია 1875 წ., დგას.
561. ოორჯალარის წმ. იაკობის, აგებულია XII-XIII სს., დაშენდა ახლად XIX ს-ში. დგას.

საგარეჯოს რაიონი

562. კაკაბეთის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
563. ყანდაურას წმ. ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.

564. ყანდაურას წმ. სარგის, აგებულია XIX ს.
565. ყანდაურას „წალკავანქ“ მატური, აგებულია XVIII ს., ნახევრად დანგრეულია.
566. მანავის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
567. მანავის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
568. მანავის მატური, აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
569. მანავის „თარაქი“ წმ. გიორგის, აგებულია XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
570. ნინოწმინდის, აგებულია XIX ს., პირველი ნახევარი დაუმთავრებელია.
571. ჩაილურის ღვთისმშობლის (წმ. გიორგის), აგებულია 849წ., რესტავრ. 1893-94 წწ., ნახევრად დანგრეულია.
572. საგარეჯოს ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისში, დაანგრიეს 1940-იან წლებში.
573. უდაბნოს ქლდის დავით გარეჯის, აგებულია XIV ს.,
574. მატური, აგებულია XIV-XV სს., დგას.

საჩხერის რაიონი (არასწორია საჩხერეთი)

575. საჩხერის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., 1991 წ. მიწისძვრამ დააზიანა.

სიღნაღის რაიონი

576. ანაგის წმ. გიორგის, აგებულია XIX ს. დასაწყისში., დგას.
577. ნასომხარის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისში.
578. ნუკრიანის წმ. სარგისის, აგებულია 1872-74 წწ., დგას.
579. ზანანის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს.,
580. ქ. სიღნაღის წმ. გიორგის, აგებულია 1793 წ., რესტავრ. XIX ს., დგას.
581. ქ. სიღნაღის წმ. კარაპეტის, აგებულია XIX ს., რესტავრ. 1847 -1849 წწ., დაანგრიეს 1930-იან წლებში.
582. ქ. სიღნაღის ღვთისმშობლის სასაფლაოს ეკლესია, აგებულია XIX ს., დგას.

ქარელის რაიონი

- 582 ა. ატოცის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს.,
583. დირბის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
584. დირბის წმ. თოვემას, XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
585. რუისის ღვთისმშობლის, აგებულია 1865 წ., დგას.

ქალაქი ფოთი

586. ქ. ფოთის წმ. გრიგორ განმანათლებლის, აგებულია 1869-1870 წწ., რესტავრ. 1911 წ..

ქალაქი ქუთაისი

587. ქ. ქუთაისის წმ. ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დგას.
588. ქ. ქუთაისის წმ. გიორგის, აგებულია XIX ს. დასაწყისში, რესტავრ. 1844 წ..

ონის რაიონი

589. ონის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს.,

გორის რაიონი

590. ატენის წმ. სიონის, აგებულია VII ს. (არქიტექტორი თოლდისაკი).
591. ახრის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
592. ბერბუქის წმ. მთავარანგელოზის, აგებულია 1882-1896 წ., დგას.
593. ქ. გორის ღვთისმშობლის, აგებულია XVII ს., დანგრეულია.
594. ქ. გორის ღვთისმშობლის (მცირე), დაანგრიეს XX ს 30-იან წლებში.
595. ქ. გორის წმ. სტეფანოზის (აშენებულია ბველად), 1661 წ. რესტავრ. 1898 წ., დაინგრა 1920 წლის მიწისძვრის დროს.
596. ქ. გორის წმ. სტეფანოზის, (აშენებულია ქვით) აგებულია 1708 წ., რესტავრ. 1857 წ., დანგრეულია.

597. ქ. გორის წმ. გრიგორ განმანათლებლის, რესტავრ. XIX ს., დანგრეულია.
598. ქ. გორის წმ. თოვმასის, რესტავრ. XIX ს., დაანგრიეს.
599. ქ. გორის წმ. ჰამბარძუმის, აგებულია 1790-95 წწ., 600. ქ. გორის ღვთისმშობლის სასაფლაოს ეკლესია, ნახევრად დანგრეულია.
- 600ა. გორიჯვრის ზალაპის ეკლესია, აგებულია 1491 წ., ნახევრად დანგრეულია.
601. ზერდის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. ბოლოს., დგას.
602. კარალეთის წმ. სტეფანოზის, აგებულია XIX ს., დგას.
- 602.ა. კარალეთის წმ. ღვთისმშობლის, აგებულია XVI-XVII სს., დანგრეულია.
603. ძევერას ღვთისმშობლის, რესტავრ. XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
604. ხელოუბნის ღვთისმშობლის, რესტავრ. XX ს., დასაწყისში.
605. ხელოუბნის ღვთისმშობლის სასაფლოს ეკლესია, ნახევრად დანგრეულია.
606. დიდი გარეჯვრის ღვთისმშობლის, აგებულია 1887 წ., რესტავრ. 1902 წ., დგას.
- 606.ა. მეჯვრისხევის წმ. სარგისის, აგებულია XVIII ს., რესტავრ. 1853-1897 წწ., დგას.
607. ნადარბაზევის წმ. ჯვრის (ხაჩ), რესტავრ. XIX ს., დგას.
608. რეხას წმ. ჯვრის (ხაჩ), რესტავრ. 1900 წ., დგას.
609. სვენეთის, აგებულია XIX ს. ბოლოს.
610. ტინისხიდის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დასაწყისში., დგას.
611. ტირმნისის ღვთისმშობლის, რესტავრ. XIX ს., ნახევრად დანგრეულია.
612. ტყვიავის წმ. ჯვრის (ძელჭეშმარიტი), აგებულია 1461 წ., რესტავრ. 1899 წ., დგას.
613. უფლისციხის წმ. ჯვრის, რესტავრ. 1585 წ., 1886-1895 წწ., დგას
614. უფლისციხის ღვთისმშობლის.
615. უფლისციხის კლდის, აგებულია XIV-XV სს., დგას.

616. პატარა გარეჯვრის ღვთისმშობლის, აგებულია XIX ს. დგას.
617. ქვახვრელის ღვთისმშობლის, აგებულია XV-XVI სს., დგას.
618. ქვახვრელის წმ. ჯვრის, აგებულია XIV-XV სს., დგას.
619. ქიწინისის ღვთისმშობლის (ყოვლადწმინდა), აგებულია 1895 წ., დგას.
620. ქსოვრისის წმ. გრიგორ განმანათლებლის, აგებულია XIX ს., დგას.

აფხაზეთი.

621. ანუხვას (გუდაუთას რაიონი) ღვთისმშობლის, აგებულია 1898 წ..
621. ა. გაგარის, აგებულია 1995 წ..
622. ეშერას (სოხუმის რაიონი), აგებულია XIX ს., დასაწყისში.
623. ლეჩქობის წმ. განმანათლებლის, აგებულია 20-იანი წლების დასაწყისში.
624. წებელდას (გულრიფშის რაიონი) ყოვლადწმინდას, აგებულია 1893 წ., დგას.
625. მწარას (გუდაუთიას რაიონი)წმ. კარაპეტის, აგებულია 1885 წ., დაანგრიეს XX ს. 30-იან წლებში.
626. ზიგარდას (ოჩამჩირის რაიონი) ღვთისმშობლის, აგებულია XX ს. დასაწყისში.
627. ფსირცხას (გუდაუთის რაიონი) წმ. იაკობის, რესტავრ. 1885 წ..

აჭარა

628. ქ. ბათუმის წმ. განმანათლებლის, აგებულია 1885 წ., დგას.
629. ქ. ბათუმის (სომხურ-კათოლიკური), აგებულია XIX ს.,

სამხრეთ ოსეთი.

630. ახალგორის ღვთისმშობლის, რესტავრ. 1462 წ. 1693 წ.
1897 წ., დგას.
631. ახალგორის წმ. კვირიკეს, აგებულია XIX ს., ნახევრად
დანგრეულია.
632. ახალგორის წმ. განმანათლებლის, აგებულია XIX ს., ნახ-
ევრად დანგრეულია.
633. ახალგორის წმ. გიორგის, რესტავრ. XIX ს.,
634. ახალგორის წმ. მარინოსის, აგებულია XIX ს., დანგრეულია.
635. ახალგორის წმ. მიქაელ მთავარანგელოზის, აგებულია XIX
ს., დანგრიეს.
636. ახალგორის მატური, აგებულია XIX ს. ბოლოს. ნახ-
ევრად დანგრეულია.
637. ახალგორის ცხინვალის ღვთისმშობლის, აგებულია 1748
წ., დგას.
638. ახალგორის წმ. ჰამბარძემის, აგებულია XIX ს., დგას.

რუპა-ცნობარი მომზადდა და გამოიცა RAA-ს ხელშეწყობით.
აწყო და გააფორმა „სიესტამ“. დაიბეჭდა ARBEITSKREIS
ARMENIEU ZURICH-ის ორგანიზებით და დახმარებით.
ერევანი 1995წელი».

სომხურიდან ქართულად თარგმნა ბონდო არველაძემ.
2006წ.



დასასრული

ვფიქრობთ, არაქრისტიანული იქნება, ქართველებმა თავი ვიქროთ,
მაგრამ, თუკი ვინმეს დუნიაზე მეზობლობის ავ-კარგობისა რამე
გაუგება და აფასებს მეზობლობას და მეზობელს – ჭირის შემაბ-
სუბუქებელსა და ლხინის გამამრავლებელს, – მათში ქართველიც
ურევია. ქართველს უთქვამს: „მეზობელო კარისაო, ნათელი ხარ
თვალისაო“, ხოლო თვალის ნათელს, ცნობილია, ადამიანი თვალის
ჩინივით უფრო ხილდება.

მაგრამ ქართველს ისიც უთქვამს: „მოკეთეს პირში უძრახე,
მტერს-პირს უკანონ“. ზოგიერთ სომებ მეცნიერთა ლოგიკით კი,
თუ ვინმე ქართველმა ხმა აღიძალლა ყალბისმექნელ, მტაცებელ თუ
ცილისმწამებელ „მეცნიერთა“ წინააღმდეგ, იგი შეუწყნარებელი
ყოფილა. თუ ქართველმა მეცნიერმა სომებს პასუხი მოხსენა:

«რა საბუთით ისაკუთრებ ქართველი ხალხის ისტორიას და
კულტურასო, თურმე, არმენოფონი ყოფილა. საქართველოს ის-
ტორიის ფალსიფიკაციაზე თუ თვალს დავხუჭავ, ეს არის ხალხ-
თა ძმობის დაცვა. აი, ასე ცალმხრივად და სუბიექტურად გან-
სჯიან საქართველოს და სომხეთის ურთიერთობის საკითხებს ბ-
ნ მურადიანი (ზემოთ ხსენებული სომები დაშნაკი მეცნიერია-უ.)
და ძმანი მისნი. ბარემ აქვა ვიტყვი: ინტერვიუში გაიჟღერა, თითქოს
საქართველოში ისტემატურად ქვეყნდება არმენოფონიური სტატიე-
ბი და შრომები. ხაზგასმით ვამბობ, რომ, იქნებ, შეიგნოს დაშ-
ნაკური პროპაგანდით მოწამლულმა ზოგიერთმა სომებმა მეცნი-
ერმა და უურნალისტმა, რომ საქართველოში არავითარი არმენო-
ფონიური სტატიები არ ქვეყნდება და არც ანტისომხური პროპა-
განდა მიმდინარეობს, პირიქით კი არის. თუ ქვეყნდება ქართველ
მეცნიერთა შრომები და სტატიები, ეს არის პასუხები ზოგიერთი
სომები მეცნიერის მიერ საქართველოს ისტორიის, ხუროთმოძღვრე-
ბის, ასე განსაჯეთ, ტერიტორიის მისაკუთრების, უსაფუძვლო მის-
აკუთრების პრეტენზიების გამო. განა შეიძლება ლაპარაკი არ-
მენოფონიაზე საქართველოში, სადაც საუკუნეების განმავლობაში
ნახევარ მიღიონამდე სომები ცხოვრობს. საქართველოში არის
165 სომხური საშუალო სკოლა, ბაგა-ბაღი, თბილისში – პ. ადამი-

ანის სახელმწიფო სომხური თეატრი, საქართველოს რადიოში არის სომხურ გადაცემათა რედაქცია, სომხურ ენაზე გამოდის გაზეთი „ვრასტანი“, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 60 წელზე მეტია არსებობს არმენოლოგიის კათედრა, რომლის გამგე გარდაცვალებამდე იყო პროფესორი ლეონ მელქისეთ-ბეგო.

XIX საუკუნეში ერევანში იყო ქართული მართმადიდებლური ეკლესია. ის ისე დაანგრიეს, რომ მისი არსებობის კვალსაც კი კი ვერ მივაგენით. საქართველოში არმენოფონიაზე ლაპარაკი უმაღურ ადამიანებს შეუძლიათ მხოლოდ» [25].

როდესაც ვინძოვობიაზე, გენოციდზე, გვარიჭამიობასა თუ კულტურის ძეგლთა განადგურებაზეა სუბარი, კვლაზე უტყუარი საბუთი ამისა არის რეალური სტატისტიკა. დავსვათ შეკითხვა: როგორია სომხეთში სომები მაცხოველებლთა პროცენტული შემადგენლობა? (რამდენადც ჩვენთვის ცნობილია, 100%-ს ბევრი აღარა აკლია რა!); სხვა ეროვნების მოქალაქეებს თვითმყოფადობის შენარჩუნებისა და განვითარების რა საშუალებები გააჩნიათ, მაგ. სკოლები, თეატრები, გაზეთები, უმაღლესი სასწავლებები და ა.შ.? რამდენადც ჩვენთვის ცნობილია – ბევრი ვერაფერი!

«ეს იყო ამ ათიოდე წლის წინათ ერთი ქართველი ლიტერატორის ოჯახში ერევნიდან ჩამოსული, მაშინაც და ახლაც, ერთ-ერთი იქაური თეატრის დირექტორი, ასლამაზიანი გავიცანი. მან სუფრაზე – არამთვრალმა და არა სადღეგრძელოს თქმისას, ღიმილით და გულწრფელი ტონით თქვა:

– Ծიბითხე, აჲაშურ აჲ იაბია, აბიცეიუ. აბი აუ ბაბიება ძ წაბაში იეეიეეეეია აბიყი, ა იუ ... ა აბაბააააა, ა «ეიბიბიბ» ბაბაიაე იაეე ეაბაბააააა ... აბაბაა იაეე, აბაე აბაბაა აბაბაა აბიბიბეე, იეეა აბ იაეე ინი იეები.

მხოლოდ რაღაც არასრულ 20 წელიწადში (1939-1958 წ.წ.) მარტო თბილისში ჩამოსახლდა 25 800 სომები. ჩამოსახლდნენ არა მხოლოდ ლორედან და ალავერდიდან – ერევნის ახლომახლო სოფლებიდან და დაბებიდან, მათ კი 250 კმ-ით მოშორებულ ერევანში, როგორც ასლამაზიანი პატიოსნად გამოტყდა, ერთი ქართველიც არ დააყენეს» [22].

აი, სხვა მაგალითები სომებთა ცილისწამებისა და ქართველთა მიმართ უმაღურობისა:

«... „სომხური არქიტექტურის კვლევის ორგანიზაციაში“ (ერევანი) კვლავ შემოუტია ქართველი ხალხის ისტორიას და კულტურას. ადრე თუ ქართული ისტორიული ძეგლების სომხურად გამოცხადებას ჯერდებოდა, ახლა აქეთ გვედავება და საქართველოში სომხური ცილინდრიზაციის განადგურებას და ეკლესიების მისაკუთრებას გვწამებს. ეს ათასი ფუთი ბრალდება თავმოყრილია კრებულში „საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკა და სომხური კულტურის ძეგლები“ (1988-1998), ერევანი, 1998. (სომხურ ენაზე). მასში შესულია საქართველოს, კერძოდ, უფრო მეტად თბილისში მცხოვრებ „თვითმხილველ სომებთა“ წერილები „სომხური“ ეკლესიების შესახებ. ეს წერილები გამოქვეყნებულია ერევნის სომხურ და შედარებით მცირე რუსულ პრესაში. მეცნიერული პრეტენზიების მქონე სტატიებიც გვხვდება. კრებულის შემდგენელია და წინასიტყვაობა ეკუთვნის ს. კარაპეტიანს. ეს ის კარაპეტიანია, 1995 წელს ერევანში სომხურ ენაზე რუკა-ცნობარი რომ გამოსცა (სომხური ეკლესიები საქართველოში), და, არც მეტი, არც ნაკლები, 650 სომხური ეკლესია „აღმოაჩინა“ საქართველოში.

ჯერ ეპიგრაფი რად ღირს – „ბეღნიერება ვერ გაუცნობიერებია იმ ხალხს, ვისაც ცივილიზაციის დამნგრეველი მეზობელი არ ჰყავს“. ეს ფორმულა, თურმე, თავის დროზე გამოხატავდა სომხური კულტურის ბედს თურქეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიაზე. ჩვენს მიზანს სცილდება ამ სამი ერთს ურთიერთობის გარკვევა, მაგრამ ერთს კი შევნიშნავ: ტაო-კლარჯეთში ერევნის გზირები დადიან და იქ მცხოვრებ მუსულმანებს ქრთამავენ, თან „მოძღვრავენ“ უძველესი ტაძრები – ბანა, ხახული, პარხალი, ოშკი და სხვა – ქართული კი არა, სომხურია.

თურქეთისა და აზერბაიჯანის „გამოცდილება“ (ბრჭყალები ჩვენია), თურმე, ქართველებს გადაუღიათ: „დიდებულად ისწავლეს და გადაიღეს აზერბაიჯანის გამოცდილება ქრისტიანულ საქართველოში. ამ ქვეყანაში დღეს ანადგურებენ ბერძნულ, რუსულ და გერმანულ, განსაკუთრებით, სომხურ ცივილიზაციას“ (გვ. 7), – წერს ამ ცივილიზაციათა „ერთადერთი“ „გულშემატკივარი“ კარაპეტიანი. სიმართლეს თუ ვიტყვით, ამას ცილისწამება კი არა,

დაბეზღვა უფრო პქვია, რისი მიზანიცაა რუსი, გერმანელი და ბერძენი ხალხის გადაკიდება ქართველებთან და მათ შორის კონფლიქტის ჩამოგდება. ამ ანგაზე არ წამოეგება არავინ, მით უმტეს, საქართველოში მცხოვრები რუსი, რადგან რუსულ ცივილიზაციას საქართველოში ურიგმარიგოდ არავინ შეხებია, მაშინაც კი, როცა რუსის სალდათები 9 აპრილს თუ აფხაზეთის ომში მშვიდობიან ქართველ მოსახლეობას არ ინდობდნენ და ხოცავდნენ.

საქართველოში რუსული საშუალო სკოლა არის – 214, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში რუსულად არის სწავლა – 50 სპეციალობაზე, საქართველოსა და თბილისში მოფენილია რუსული მწერლობისა და კულტურის მოღვაწეთა ძეგლები – პუშკინის, ლერმონტოვის, გრიბოედოვის, გორკის, მაიაკოვსკის, ჩაიკოვსკის, ანტონ რუბენშტეინის და სხვების. თბილისის ქუჩებს ამშვენებს ტოლსტოის, პოლონეკის მემორიალური დაფები. გულმოგინედაა დაცული და მოვლილი გრიბოედოვის საფლავი მთაწმინდაზე. გამოდის რუსული გაზეთი – 15, უურნალი – 3, არსებობს – 3 რუსული თეატრი; სისტემატურად მიდის რუსული გადაცემები საქართველოს რადიო-ტელევიზიით; გამომცემლობები „მერანი“, „საქართველო“ და „სამშობლო“ სცენტ რუსულ წიგნებს, საქართველოში არის 9 რუსული მოქმედი ეკლესია.

ახლა ვნახოთ, რა დღეშია რუსული ენა და ცივილიზაცია სომხეთში – „სომხური ენის დაცვის სახელმწიფო კომისიამ“ დიდი გამარჯვება მოიპოვა. წელს სომხეთში უკანასკნელად გამოიცა რუსული ენის სახელმძღვანელოები. დღეს თუკი ვინმე გაბედავს თუნდაც ოფიციალურ დონეზე რუსულად ხმის ამოღებას, უმაღუცერემონიოდ ჩაწყვეტინებებ ხმას.

სომეხი ბავშვებიდან ერთეულებიდა თუ სწავლობენ რუსულ სკოლებში, რომელთა არსებობა უკვე აშკარად აღიზიანებს შესაბამის უწყებებს და, თუნდაც ერთ დღეს წაულია წყალს, მათზე მზრუნველობას არავინ იჩენს. რუსული პუმანიტარული უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი რუსულენოვანი სასწავლებელია, რომელსაც კატეგორიულად ებრძანა, სასწავლებლად მიიღოს მხოლოდ რუსი ეროვნების აბიტურიენტები და არავითარ შემთხვევაში – სომეხი ახალგაზრდები, რომლებსაც სწავლა-განათლების მიღება მხოლოდ მშობლიურ ენაზე მართებთ. სომხური ენის

დაცვის სახელმწიფო კომისიამ ყოველგვარი ხმაურის გარეშე გააუქმა დადგენილება, რომლის საფუძველზე შერეული ოჯახის ბავშვებს უნდა ესწავლათ მშობლების მიერ აღნიშნულ ენაზე და, შესაბამისი გადაწყვეტილებით მათაც კატეგორიულად მოსთხოვეს, ბავშვები მხოლოდ სომხურ სკოლებში შეიყვანონ, ხოლო რუსულ სკოლებს ასევე კატეგორიული მითითება მიეცათ, არ მიიღონ ამ კატეგორიის ბავშვები სასწავლებლად.

რაც შეეხება სომხეთის სახელმწიფო ტელევიზიის ორ არხს, იქ პრაქტიკულად აღარაფერი დარჩა რუსულენოვანი მაყურებლისთვის, ყველა ფილმი დუბლირებულია სომხურ ენაზე (გაზ „თვალთაი“, 1996, №32, 24-31 ოქტომბერი; ისევ ისე ძველებურად? არა, უარესად!!!).

ერთ ყველაზე უძველეს ხალხს საქართველოში ბერძნები წარმოადგენენ. მათი არსებობა აქ 28 საუკუნოვან ისტორიას ითვლის. ამ ხნის განმავლობაში ქართული მიწა მშობლიური გახდა ბერძნებისათვის. მაგრამ სომხებივთ პრეტენზიები არ გამოიცხადებიათ მასზე და არც საქართველოს ისტორიისა და კულტურის მითვისება უცდიათ. ისინი მშვიდობიანად ცხოვრობენ ქართველი ხალხის გვერდით დღემდე. 1996 წელს საქართველოს განათლების სამინისტრომ მიიღო დადგენილება საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში ერთ-ერთ უცხო ენად ბერძნულის შემოღების შესახებ. დაარსდა სახელმწიფო ინსტიტუტი-ძველი ბერძნული ენის-ბიზანტიოლოგიის და ახალი ბერძნული ენისა და ფილოლოგიის. საქართველოს რადიოს II არხით არის ბერძნულ ენაზე გადაცემა. ბერძნულ ენაზე გამოდის სამი გაზეთი. თბილისის უნივერსიტეტში საქართველოს ბერძნული დიასპორის, ბერძენი ახალგაზრდებისათვის გამოყოფილია 14 ადგილი, რათა ბერძენი ყმაწვილები დაუფლონ ბერძნულ ენასა და ლიტერატურას, თესალონიკის უნივერსიტეტში სწავლობს საქართველოდან წარგზანილი 9 ქართველი სტუდენტი. 1998 წელს 3-12 ივნისს საქართველოში ჩატარდა ბერძნული კულტურის დეკადა. ამ დღეებში ახალციხის უნივერსიტეტს საბერძნეთიდან გადმოეცა ბიბლიოთეკა.

ახლახან წალკის რაიონის სოფელ ავრანოლში აშენდა კიდევ ერთი ბერძნული ეკლესია წმ. დიმიტრის სახელზე. საერთოდ კი საქართველოში 50 ბერძნული ეკლესია, ხოლო სოფლების პა-

ტარ-პატარა ეკლესიებს თუ ჩავთვლით, მათი რიცხვი ასამდე გაიზრდება.

საქართველოს ბერძნული ფედერაცია და საზოგადოება უახლოეს მომავალში აპირებს შექმნას ბერძნული გამომცემლობა, სტამბა, ბერძნული მუზეუმი, საინფორმაციო სააგენტო და ა.შ. (იხ. „მაცნე“, 1998, აგვისტო, სახელმწიფო კანცელარიის საერთაშორისო განყოფილების ორგანო, რუს. ენაზე).

ს. კარაპეტიანის ძირითადი ბრალდება მაინც შემდეგია: ის შავით თეთრზე წერს – თითქოს სომხურ კულტურას სპობენ საქართველოში. რაც გაცამტვერებას გადაუჩა, ქართველები ითვისებენ: „დანარჩენ ცივილიზაციათაგან განსხვავებით, სომხური კულტურის ძეგლებს უყურებენ, როგორც ყველაზე საშიშს, იმ მიზეზით, რომ, თუ საქართველოს რეგიონში (ქართლი, კახეთი, იმერეთი) სომხები, სხვა ხალხთა მსგავსად, ითვლებიან არაადგილობრივებად, მოსულებად, სამხრეთ საქართველოში სომხები არიან ძირძველი მცხოვრებნი, მკვიდრნი. ამიტომ, უკანასკნელ 10 წელს საქართველოში მიმდინარეობს სომხური ისტორიული ძეგლების სრულმასშტაბიანი განადგურება და მითვისება“ (გვ.7) გვ. 116. ამ ამონარიდში რამდენი სიტყვაც არის, იმდენი სიცრუეა» [25].

«... მოვიდეთ პირველ სიტყვას და ვნახოთ, კიდევ რა ბრალდებას, უფრო სწორად, რა ცილისწამებას კადრულობს ს. კარაპეტიანი: „ძნელია, წარმოიდგინო ის სამწუხარო ფაქტი, რომ სომხური ძეგლების განადგურება საქართველოში უშუალოდ ხელმძღვანელობის მონაწილეობით, სახელმწიფო და სასულიერო მეთაურების თვალწინ მიმდინარეობს ამ „დემოკრატიულ რესპუბლიკაში“. შეიძლება ითქვას, უკეთეს შემთხვევაში ეს ხდება მათი გულგრილობის გამო. ედუარდ შევარდნაძე არ არის ისეთი გულუბრყვილო, არ იცოდეს, რა ხდება. იგი გვერდით ედგა ილია II-ს, რომელმაც აკურთხა ახალი ქართული ეკლესიის (იგულისხმება წმ. სამების ტაძარი-ბ.ა.) საფუძვლის ჩაყრა“.

ჯერ იმის შესახებ, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა ირონიულად მოიხსენა და ბრჭყალებში ჩასვა. ზოგიერთ რესპუბლიკასავით ქართველი ხალხისათვის ხონჩით არ მიურთმევიათ თავისუფლება და დემოკრატია. მან სისხლით და ბრძოლით მოიპოვა იგი და არავის აქვს უფლება, გაქილიკოს იგი და

დაცინვით მოიხსენიოს. ასევე საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II აქტიურად იღწვის საქართველოში ქართველ და არაქართველ მცხოვრებთა, და, მათ შორის, სომხებთან, ქრისტესმიერი ძმობა-მეგობრობის განსამტკიცებლად.

თითქმის ნახევარი მიღიონი სომხები არსად ისე კარგად არ გრძნობს თავს, არსად სომხურ კულტურას არ ექცევა ისეთი ყურადღება, როგორც „სომხური ცივილიზაციის დამანგრეველ“ საქართველოში. ეს ფაქტი სომხეთის პრეზიდენტმა – ამერამად ექსპრეზიდენტმა – ლევონ ტერ პეტროსიანმაც კი აღიარა: „რა სირთულებსაც უნდა განიცდიდეთ, მოდით, ვიყოთ გულახდილნი. დამისახლეთ მსოფლიოში თუნდაც ერთი სახელმწიფო, იქნება ეს ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც მიღიონი სომხები ცხოვრობს, საფრანგეთი, იქ მცხოვრები 400 ათასი სომებით, სირია, ირანი, ერაყი, ლიბანი, არგენტინა ან, თუნდაც, რუსეთი, შეუა აზია... დამისახლეთ საქართველოს მსგავსი სხვა ქვეყანა, სადაც სომხები თემს ჰქონდეს ორასზე მეტი სომხური სკოლა და, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, სომხური ეკლესიები, თეატრი, გაზეთი, ჰყავდეს დეპუტატები. ასეთი ქვეყანა არ არსებობს. ქართული კულტურის, მეცნიერების განვითარების პარალელურად განვითარდება და აყვავდება საქართველოში მცხოვრებ სომებთა კულტურული და სამეცნიერო ცხოვრებაც. ქართული ეკლესიის აყვავდების პარალელურად სომხური ეკლესია აყვავდება. მე მწამს, ქართველი ხალხი ერთხელ კიდევ და სამუდამოდ დაადგა დემოკრატიის, თავისუფლების, ერთობის გზას და აღარ გადაუხვევს“ (ლევონ ტერ-პეტროსიანის სიტყვა 4 იანვარს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში სომხური საზოგადოების წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1996, №110, 7 ივნისი). დიახ, იმ დროს, როცა საქართველოში მოქმედ სომხურ ეკლესიებში მრევლის ტევა არ არის, ინდოეთში, ამერიკაში, ინდონეზიაში, ჰონკონგში, სინგაპურში და სხვაგან სომხურ ეკლესიებს მრევლი არ ჰყავს და დახურვის პირასაა (გაზ. „გოლოს არმენი“ 1996 წ. 13 ივნისი. „ეკლესიები ცარიელდებიან“).

ის კი, თითქოს სამ ათეულზე მეტი სომხური ეკლესია „გაქართულდა“, არ არის მართალი. კი არ გაქართულდა, არამედ ამ ეკლესიების უმეტესობა იყო ქართული, ქართველთა მნელბე-

დობით ისარგებლეს სომხებმა და სხვადასხვა დროს, არცთუ საკადრისი ხერხებით, მიისაკუთრეს. მითვისების ერთ-ერთი ზე-რხი იყო, რომ გუშინდელი მოსული სომხები მტრისგან გავერ-ანებულ ძველ ქართულ ეკლესიას დაეპატრონებოდნენ, ჯერ მის ქართულობის დამადასტურებელ ნიშნებს მოსპობდნენ და სომხ-ურ სტილზე გადააკეთებდნენ: საკურთხეველს აამაღლებდნენ, სან-ათლავს ჩრდილოეთ მხარეს გადაიტანდნენ და ა.შ. შემდეგ სომხის სასულიერო პირებს ეკლესია სომხურ ეკლესიათა სიის დავთარ-ში შეჰქონდათ, როგორც სომხური ეკლესია, მისი ქართული წარ-მომავლობის აღნიშვნის გარეშე. გამონაკლისი შეიძლება იყო, მა-გრამ არ შემზედრია. ამიტომ სომხური ეპარქიის საკლესიო, საარ-ქივო საბუთები, თქვენ ასე ამაყად რომ უთითებთ და აფრიალებთ, ბ-ნო ს. კარაპეტიანო, იმთავითვე ნაყალბევია და მეცნიერულ ნდობას არ იმსახურებს. ამა თუ იმ სომხურად ქცეული ქართული ეკ-ლესის ისტორიის შესახებ ხელოვნური დუმილი სწორედ მისი ქართულობის მანიშნებელია. დღეს კი დადგა დრო სამართლიანობის აღდენის, ქართველმა ხალხმა თავისი საკუთარი ეკლესიები დაიბრუ-ნა, კაპიტალური რეპონსტრუქცია გაუკეთა და ქართული მართლ-მადიდებლური წირვა-ლოცვა აღადგინა.

ს. კარაპეტიანო, თქვენ ერთგარი სიამაყით აღნიშნავთ, „სომხ-ური არქიტექტურის კვლევის ორგანიზაცია“ წარმატებით აღ-ნუსხავს და იკვლევს უკრაინაში, ინდოეთსა და სხვა ქვეყნებში არსებულ სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებსო. მათგან თანა-გრძნობა არ გაკლიათ, ს. კარაპეტიანო! აბა, ერთი სიჯეეთ და ხსენებულ სახელმწიფოებს უსაფუძვლო ტერიტორიული პრეტენ-ზიები წაუყენეთ, რაც ასე გჩვევიათ, ან რომელიმე, თუნდაც, მცირეხ-არისხოვანი მათი ძეგლი მიისაკუთრეთ, როგორც საქართველოს მიმართ სჩადიხართ თქვენ და ზოგიერთი სხვა სომხი მეცნიერი, და მერე ნახავთ, რა მეგობრულ თანაგრძნობას და მხარდაჭერას მიიღებთ მათგან.

დიდი სომხი პოეტი ოვანეს თუმანიანი თავის ხალხს მოძღვრავდა – „ქართველები კავკასიაში მუდამ პირველები იყვნენ პოლი-ტიკურ და საზოგადოებრივ ბრძოლაში... თუ თვალს გადავა-ლებთ მსოფლიოს ხალხთა მეზობლურ ურთიერთობებს, უეჭვე-

ლად დამეთანხმებით, ქართველები, როგორც მეზობლები, ერთ-ერთი საუკეთესოები არიან“.

სამწუხაროდ, ს. კარაპეტიანი ქართველი ხალხის ამ კეთილშო-ბილებას ან ვერ ხედავს, ან მაინც ჩირქს სცხებს. მას ჰეონია, ქართველთა დამცირებით თავის ხალხს პატივს და დიდებას მოუ-ტანს. სცდება, მწარედ სცდება კარაპეტიანი. დავკესესხოთ ისევ ოვანეს თუმანიანს: „ის სომეხი მოღვაწე, რომელიც არ დაიცავს სომეხს და სომხეთს, არაფერი ესმის ქართველი ხალხის და მისი ისტორიული გზის“.

ვფიქრობ, ამ გზიდან გადახვევა ქართველი და სომეხი ხალხის მმობის დალატია, დალატი კი არავის ეპატიება, ვინც არ უნდა იყოს იგი. პირუთებნელი მსაჯული-ისტორია უმკაცრეს განაჩენს გამოუტანს მას» [25].

«1881 წელს თბილისში რუსეთის იმპერიის სიძველეთმცოდ-ნეთა V ყრილობაზე ცნობილ პეტერბურგელ აღმოსავლეთმცოდნეს, პროფესორ დ. ხვოლისონს თავის მისასალმებელ სიტყვაში უთქ-ვამს: „მე ბედინიერი ვარ, რომ ვიმყოფები სომხეთის დედაქალაქ ტფილისშიო“ სხდომას ესწრებოდნენ და ეს სიტყვები თავიანთი ყურით მოისმინეს აკაკი წერეთელმა და სხვა მოღვაწეებმა. ხვოლ-ისნის სიტყვები არ იყო შემთხვევით წამოსროლილი.

სომეხთა გარკვეული წრები მთელს მსოფლიოში გაპკიოდნენ – საქართველო, ტფილისი, ყოველთვის სომხეთის ნაწილი იყო და თავის კანონიერ პატრონს უნდა დაუბრუნდესო. ასევე შთააგონეს დ. ხვოლისონსაც.

ასეთ ვითარებაში ილია ჭავჭავაძე იძულებული გახდა, დაეწ-ერა „სომეხთა მეცნიერნი და ქვათა ღაღადისი“ (შემოკლებით „ქვათა ღაღადი“ უწოდეს), რომელშიც სასტიკად ამზილა სომეხ-თა გარკვეული წრების ანტიქართული, საქართველოში ქართვე-ლი ერის სასიცოცხლო ინტერესების ფეხქვეშ გასათელად მიმა-რთული გამოხდომები. ილია, აკაკი და მათი თანამებრძოლები მოქმედებდნენ პრინციპით: „სამშობლოს არვის წავართმევთ, ჩვენც ნურვინ შეგვეცილება“.

ილიასა და აკაკის უმცროსი თანამედროვე რევაზ გაბაშვილიც აღნიშნავდა: „სომხობა აშკარა მტრულ განწყობილებას იჩენდა ყველაფერ ქართულისადმი საქართველოს დედაქალაქში“. „რა

კითხვა უნდა, რომ ყველა რუსი და სომები საქართველოს დამოუკიდებლობისა კი არა, არსებობის წინააღმდეგიც იყო იმ ხანებში“ [21].

ჩვენც იღიას, აკაკისა და ვაჟას გზას გვინდა მივდიოთ: სხვისი არა გვინდა რა, მაგრამ ჩვენსასაც ნებით არ დავთმობთ. ამ მამულიშვილთა ოვისება პირუთვნელობა, მკაცრი მხილება, მოსწრებული, რიგ შემთხვევაში – მწარე სიტყვა და შეძახილი იყო, მაგრამ, სომები მოღვაწეთაგან განსხვავებით, არასდროს მათ გამონათქვამსა თუ აზრში სომებთა მიმართ მტრობა არ იდო.

„„...ქართულ წიგნში“ (გაზეთი გამოდიოდა საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკაში, რომელშიც გაკენწვლით ახსენებდნენ იღიას, აკაკის და სხვა ქართველთავის სათაყვანებულ პიროვნებებს მაშინ, როდესაც ხოტბა–დიდებას ასხამდნენ ქართველთა თავლაფის–დამსხმელ გრიგოლ არწრუნს და სხვებს) გამოქვეყნებულ „არწრუნის აღსასრულში“, კამათის საგნის და მიზეზის გარეშე, ცალმხრივად, ტენდენციურად, აკაკის უტაქტობაზე უსაფუძვლო მითითებით არის გაშუქებული აკაკი წერეთელსა და გრიგოლ არწრუნს შორის კამათის ფინალი. კამათის მიზეზი იყო ის, რომ არწრუნმა გამოსცა სომხეთის რუკა, სადაც ქართული ტერიტორიებიც იყო შეტანილი გორის მაზრის ჩათვლით. ამის შესახებ, მკაცრი საყვედურის შედეგად გაფიცხებულმა არწრუნმა აკაკის მიახალა: „შენ რა გესმის, მთელი სომხეთის სვე-ბედი ამ კისერზე მაწევსო“, რაზეც ენამოსწრებულმა აკაკიმ მისთვის ჩვეული ოხუნჯობით უპასუხა: - „მჯერა, ბატონო, სომხეთი კისერზე და არარატი ზურგზე გადგია, მეტი რაღა გინდა, ბედნიერი ყოფილხარო“, რაც არწრუნმა თავის კუზზე დაცინვად მიიღო და განაწყენდა.“ [15].

აკაკი წერეთელი წერილში – „ჩემი აღსარება“ – წერდა: «დღეს საქართველო დაცემულია. აღრე 15 საუკუნის განმავლობაში იგერიებდა შემოსეულ მტერს, თუმცა დამცირდა, დაპატარავდა, მაგრამ, როგორც რკინა ცეცხლში, ისე კი გაფოლადდა და საშვილიშვილოდ ანდაზაც დაგვიგდო: „ჭირსა შინა გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“ და „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანიო“ გადმოგვცა რუსთველის პირით. ამ უკანასკნელმა საუკუნემ, რომელიც სულ სხვაგვარ პოლიტიკას დაადგა, სულიც შეუბორკა ქართველობას და ხორციც; ხორციელად

ვითომ მშვიდობა მიანიჭა, მაგრამ ყოველგვარი მისი მოქმედება, ყოველი ნაბიჯის გადადგმა მიმართული იყო, რომ სული გაეხრწნა, მოქალა და კიდევაც მიაღწია მიზანს. ვიმეორებ, რომ დღევანდელი ქართველები სულითაც შებლალული ვართ და ხორცითაც და შეგვიძლია, ჩვენს ნაშიერს ის გადავცეთ, ვუანდერძოთ, რასაც დღეს ზარის ხმით იმერეთში იმღერიან: „ვაიმე, დედავ, მეშინა, ვერ მივბედავ კარამდიო“.

საქართველო რომ ამ ყოფაში ჩავარდნილი ნახეს მისმა მეზობლებმა, იმათ, ვისაც წინათ თავი ქართველებად მოჰქონდათ, დიდი ხნის გულში ნადებ სურვილს, რომ აოხრებულ საქართველოზე თავისი ააყვავონ, დრო მოუპოვეს და კიდეც შეუდგნენ განზრახულის სისრულეში მოყვანას. მას შემდეგ ძალათ ფარ-ხმალი დავარდა და მისი ადგილი ფულმა დაიჭირა, ქართველი დაძაბუნდა და სომები კი გაძლიერდა – სომები ფულს აგროვებს, როგორც ყოვლისშემძლებელ ძალას, და ქართველს კი მიტომ უნდა, რომ დახარჯოს!.. იქეიფოს!..

რაც შეეხება ჩვენს მეზობლებს, ჩვენ მათი წინააღმდეგი არც ვყოფილვართ და არც ვიქნებით! თუკი რაიმე სიმართლე უჭირავთ ხელში, ჩვენ არ ვუშლით ეძიონ, მაგრამ თავისა. შინ კი „შენი სვი და შენი ჭამე, ჩემსას ჯვარი დამიწერეო“, ტყვილა კი არ არის ნათქვამი. იმისი თქმა, რომ შენ ნუღა იქნები და მე ვიყოო, არ არის კანონიერი!... და ის ქართველიც, რომელიც იტყვის: „სულერთია ვინც უნდა იდგეს ქართველების მაგიერ ჩვენ მიწა-წყალზეო“, შემცდარია და მისი აყოლა არ გვარგია. „სიტყვა სხვა არის, საქმე სულ სხვაა, სხვა უდევთ გულში მათ დაფარული, ხრიკია მხოლოდ პოლიტიკური – ძმობა, ერთობა და სიყვარული“.

აკაკიდან ასი წლის შემდეგ სომხები კვლავ გვედავებიან ქართულ მიწას, ეკლესიებს, ქართულ-სომხურ ურთიერთობებში მრავალი პრობლემა კვლავ დღის წესრიგში რჩება. «სომები „მეცნიერთა“ კვლევის „ბრწყინვალე“ შედეგები გასცდა „ლაბორატორიის ჩარჩოებს“ და ცხოვრების ფერხულში ჩაება. ჯავახეთის ტერიტორიაზე შექმნილი დაშნაკური პარტიები „ჯავახქე“ და „დაშნაკცუთუნი“ (ყოფილი „იერქი“) ღიად გამოდიან ჯავახეთის ავტონომიის და შემდგომ ამ ნაწილის სომხეთთან შეერთებისათვის» [15]. ამ მოღვაწეებს უნდა ვუთხრათ: «თქვენი გზა არ არის აკაკი წერე-

ლის და ოვანეს თუმანიანის გზა. ამიტომ შეგახსენებთ, რომ, ვინც მათ ანდერძს უღალატებს, ვინც ქართველი და სომეხი ხალხის ძმობას ჩირქს მოსცებებს და შებღალავს, მას ჩვენი ბრძენი ხალხი და პირუთვნელი ისტორია განაჩენს გამოუტანს. ამიტომ ასეთ „ოცნებას“ თავი დაანებეთ და გააგრძელეთ ოვანეს თუმანიანის ნათელი გზა» [25].

სომეხო ხალხო, კეთილმეზობლობას აღტერნატივა არა აქვს!



გამოყენებული შრომები

- [1]. თბილისის II საერთაშორისო სიმპოზიუმი „ქრისტიანობა ჩვენს ცხოვრებაში: წარსული, აწმყო, მომავალი“, 2005 წლის 24-26 ნოემბერი.
- [2]. ბ. არველაძე – „სომხური თუ ქართული ეპლესიები“, თბილისი 1996 წ.
- [3]. ი. ჭავჭავაძე „ქვათა ღაღადი“, 1899 წ.
- [4]. მ. თამარაშვილი – „პასუხად სომხის მწერლებს“, 1904 წ.
- [5]. ზ. ჭიჭინაძე – „აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი“.
- [6]. მთავარეპისკოპოსი ანანია ჯაფარიძე – „ქართლ-კახეთი, ქართველთა გასომხება“, 1999 წ.
- [7]. შ. ლომსაძე – „გვიანი შუასაუკუნეების საქართველოს ისტორიიდან“. 1979 წ.
- [8]. შ. ლომსაძე – „სამცხე-ჯავახეთი“, 1975 წ.
- [9]. მ. თამარაშვილი – „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“, 1902 წ.
- [10]. ევ. ნიკოლაძე – საქართველოს ეკლესიის ისტორია, 1918წ.
- [11]. გ. მაისურაძე – „ქართველ და სომხ ხალხების ურთიერთობა XIII–XVIII საუკუნეებში“, გამ. „მეცნიერება“, თბილისი, 1982 წ.
- [12]. ა. აბდალაძე „კვლავ ქართველ გრიგორიანთა შესახებ“, „სახალხო განათლება“, 2 აგვისტო, 1990 წ.
- [13]. გ. კლარჯი – „სომხების შემოსევები საქართველოში“, გაზ. „ჯორჯიან ტაიმსი“, 2003 წ., ივნის-ივლისი;
- [14]. ქ. სოხაძე – „ქვათა ღაღადის“ ეპოქამდე და შემდგომ“, „მნათობი“, 2001 წ., №5-6
- [15]. დ. კანანელი – „ლიტერატურულ-ისტორიული კომპოზიცია“, თბილისი, 2003 წ.
- [16]. გ. მაისურაძე – „საქართველოს სომხური მოსახლეობის საკითხები“, გამ. „მეცნიერება“, 1999 წ.
- [17]. გ. მაისურაძე – „ნარკვევები საქართველოსა და სომხეთის ურთიერთობის ისტორიიდან IV-XII ს-ში“, გამ. „მეცნიერება“, 2002 წ.

- [18]. ა. ჯორჯაძე – „სამშობლო და მამულიშვილობა“.
- [19]. ნიკოლოზ დურნოვი – „ქართული ეკლესიის ბედი“. (თარგმანი მოგვყავს დ. კანანელის ზემოთ დასახელებული წიგნიდან).
- [20]. ვასილი ველიჩკო – „კავკასია“. (თარგმანი მოგვყავს დ. კანანელის ზემოთ დასახელებული წიგნიდან).
- [21]. გ. კლარჯი – „სომხების შემოსევები საქართველოში“, „ჯორჯიან ტაიმსი“ (26.06-02.07).
- [22]. ი. ახუაშვილი მუხათელი – „ახალი ქვათა ღარადი ანუ ვართ თუ არა მდგმურები“, თბილისი 2005 წ.
- [23]. ა. თოთაძე – „სომხეთი ვაი-მეცნიერების ანტიქართული ისტორია“, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2005 წ.
- [24]. ბ. არველაძე – „ვინ ამოკაწრა ფრესკებს თვალები...“, გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 2006წ. ოქტომბერი, №37.
- [25]. ბ. არველაძე – „ქვანი კვლავ ღარადებენ“, თბილისი, 2004წ.
- [26]. გ. მაისურაძე – „საქართველოს სომხური მოსახლეობის ისტორიის საკითხები (IV-XVIII სს)“, წიგნი II, სერიიდან – „ამიერკავკასიის ისტორიის პრობლემები“, თბილისი, „მეცნიერება“, 1999 წ.
- [27] მარიამ ნიაური – „ივერიის გაბრწყინება“ 2003 წ. №1 (44)
- [28] მარიამ ნიაური – „ივერიის გაბრწყინება“ 2006 წ. №1 (49)
- [29] ზ. ჭიჭინაძე – „ქართველი გრიგორიანები“, თბილისი, 1906 წ.



სარჩევი

როგორ წავიკითხოთ წიგნი	3
წინასიტყვაობა	5
სომხეთი – მტერი თუ მოყვარე?	5
„სომხური საქმე“	5
კეთილმეზობლობას აღტერნატივა არა აქვს!	10
თავი I – სომხები 650 ეკლესიას იჩემებენ საქართველოში	16
თავი II – როგორ და რატომ იტაცებდნენ და იტაცებენ სომხები ქართულ მართლმადიდებლურ ტაძრებს	35
1. შესავალი	35
2. ისტორიის გაყალბება სომხურად	37
3. ქართულ ტაძართა დატაცება სომხურად	57
4. სომებთა მამხილებელი პუბლიკაციები	60
5. ჩვენ რა გვემართება, როგორ ვეპყობით საკუთარ ისტორიას?	98
6. დამატებითი მასალა მე-4 ქვეთავისადმი	107
თავი III – როდის გადმოსახლდნენ სომხები საქართველოში	124
1. სომხეთის ისტორიის „ცრუ ფარშევანგები“	124
2. სომებთა საქართველოში გადმოსახლების ისტორიული წანამძღვრები	134
3. „მეფე ერეკლეს დროშია..“	153
4. რუსეთის პოლიტიკა საქართველოში. პასკევიჩი, ბებუთოვები – ქართველთა გენოციდის შემოქმედი	162
5. ამგვარად...	170
თავი IV – ქართველ გრიგორიანთა პრობლემა	173
1. შესავალი	173

2. ქართველთა გათაოთრება და გაფრანგება, როგორც გასომხების ხელშემწყობი პროცესი	174
3. ქართველთა გასომხება	185
4. „რუსეთს თავისი სამხრეთის საზღვართან „ერთგული ძაღლის” დაბმა სჭირდებოდა”	204
5. სომეხთა უმრავლესობას ქართველი გრიგორიანები შეადგენდნენ	209
6. ქართული ენის დევნა და ქართველთა „განთვისება” ..	216
7. სომეხთა მამხილებელი პუბლიკაციები	225
8. ხანდახან სომხებს რუსებიც უბრაზდებოდნენ	255
9. „უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდების”	279
თავი V – დაშნაკები და ნეოდაშნაკები	285
1. დაშნაკების მემკვიდრე ნეოდაშნაკების ძირითადი სამიზნე ჯავახეთია	285
2. დაშნაკების ომი საქართველოს წინააღმდეგ	295
3. ნეოდაშნაკები, ანუ – ჩვენი დროის დაშნაკები	306
თავი VI – სომეხთა სარწმუნოებისათვის	311
1. შეაგონებდნენ სომეხთა	311
2. პეტროსიანნი და არა გრიგორიანნი	312
3. სომეხთა სწავლების მხილება	315
4. ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი	338
5. ცეცხლთან თამაში	348
თავი VII – რუკა-ცნობარი	354
1. შესავალი	354
2. ქართული ეკლესიების მისაკუთრება გრძელდება... ..	355
3. სამველ კარაპეტიანი – „სომხური ეკლესიები საქართველოში”	358
დასასრული	393
გამოყენებული შრომები	405